საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ალექსანდრე ბარამიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

VIII

თბილისი
„მეცნიერება"
1985

8 Г
899.962.1.09
ბ 255

„ნარკვევების“ VIII წიგნი, წინა ტომების მსგავსად, ავტორის ახალ კვლევით ნაშრომთა კრებულს წარმოადგენს. კრებულში შესული წერილები აშუქებს ძველი ქართული საერო მწერლობის ნაკლებად შესწავლილ აქტუალურ საკითხებს. ძირითადი ნაწილი მოიცავს რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას. წერილების ერთი რიგი კრიტიკულად მიმოიხილავს XVII ს. ცნობილი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის თეიმურაზ პირველის გარშემო ატეხილ პოლემიკას. საყურადღებოა ნარკვევი „საკაძის ფენომენი“, რომელშიც ეს საკითხი განხილულია ახალი, დღემდე უცნობი მასალის შუქზე.

რედაქტორი პროფ. ალექსანდრე გვახარია

ბ 4603010200 / M 607(06)—85 98—85

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985

ლიტერატურათმცოდნეობა საბჭოთა საქართველოში
(1921—1981)

ქართული მწერლობის შესწავლას დიდი ტრადიცია მოდგამს. საკმარისია დავასახელოთ მ. ბროსე (1802—1880), დ. ჩუბინაშვილი (1814—1891), ალ. ცაგარელი (1844—1929), ალ ხახანაშვილი (1866 — 1912), ნ. მარი (1864—1834), პლ. იოსელიანი (1809—1875), მ. ჯანაშვილი (1855—1934), კ. აბაშიძე (1870—1917), ექვ. თაყაიშვილი (1863—1953), დ. კარიჭაშვილი (1860—1927), ს. გორგაძე (1876—1929).

რევოლუციამდელ პერიოდში მოიხვეჭეს სახელი ქართული საბჭოთა მეცნიერების ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი (1876—1940) და კორნელი კეკელიძე (1879—1962). მაინც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, ისე როგორც საზოგადოდ ქართული მეცნიერების, აღორძინება, წინსვლა და წარმატება დიდი ოქტომბრის რევოლუციამ შეაპირობა. ახალი ქართული მეცნიერება თბილისის უნივერსიტეტის წიაღში ჩაისახა და იქიდან იწყო განვითარება. თუ ძველად, რევოლუციამდელ საქართველოში, ქართული მწერლობის საკითხებს იკვლევ-იძიებდნენ ცალკეული ენთუზიასტები, საბჭოთა სინამდვილეში ეს საქმე მინდობილი აქვს დიდ კოლექტივებს, მრავალრიცხოვანი უმაღლესი სასწავლებლების კათედრებს და სპეციალურ სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს).

რასაკვირველია, ჩვენ მხოლოდ ზოგადი შტრიხებით თუ შევძლებთ ვილაპარაკოთ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ვითარებაზე განვლილი სამოცი წლის განმავლობაში.

საბჭოთა წყობილების დამყარებამ ჩვენში წიგნი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა. საქართველოს მთელი მოსახლეობა ახლა წიგნიერია, წერა-კითხვის მცოდნეა. დიდია მოთხოვნილება წიგნზე და ჟურნალ-გაზეთებზე. საგულისხმოა, რომ გაზეთ „კომუნისტზე“ ხელისმომწერთა რიცხვმა ნახევარ მილიონს საგრძნობლად გადააჭარბა. უზომოდ გაიზარ-

და საზოგადოდ წიგნის, კერძოდ კი, ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემა. ცნობილია, რომ ისტორიული უკუღმართობის მიზეზით ქართული წიგნის ბეჭდვამ დაიგვიანა: პირველი ქართული წიგნი მხოლოდ 1629 წელს დაიბეჭდა და ისიც შორეულ უცხოეთში (იტალიაში). თითქმის სრული სამასი წლის განმავლობაში (1629 წლიდან 1921 წლამდე) ბეჭდურად გამოქვეყნდა 6300-მდე დასახელების ქართული წიგნი. 1921 წლიდან კი მრავალგზის გაიზარდა ეს ციფრი. რა თქმა უნდა, ნაბეჭდი პროდუქციის მარტო რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი ციფრი არ კმარა. მნიშვნელოვანი გარემოებაა ამ პროდუქციის ტექნიკურ-პოლიგრაფიული და მეცნიერულ-შინაარსობრივი ხარისხი. ქართული მეცნიერებისა და პოლიგრაფიული ხელოვნების უდიდესი მიღწევაა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა; უკვე დაიბეჭდა ენციკლოპედიის ხუთი ტომი.

ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ-ფილოლოგიური პუბლიკაციის ტრადიცია დანერგა ნ. მარმა. მარისეული ტრადიცია საბჭოთა პერიოდში გრძელდება, ფართოვდება და ღრმავდება. ა. შანიძის მოთავეობით თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა სპეციალური სერია „ძველი ქართული ენის ძეგლები". ამ სერიებში დაიბეჭდა არა ერთი და ორი უძვირფასესი ძეგლი ქართული მწერლობისა, მათ შორის ქართული სალიტერატურო ენის უმდიდრესი საუნჯის — ბიბლიის ტექსტები, ხანმეტი ლექციონარი, სინური მრავალთავი, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი და ბევრი სხვა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს სისტემატურად აქვეყნებდა კ. კეკელიძე. ამჟამად ამ საქმეს ფართო მასშტაბით ეწევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. საგანგებოდ აღსანიშნავია ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემები: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები" ოთხ წიგნად (ილ. აბულაძის რედაქციით), „დიდი სჯულისკანონი" (1975, ე. გაბიძაშვილის რედაქციით), „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი" (1971, ელენე მეტრეველის რედაქციით). ბოლო დროს შეიქმნა სპეციალური სერია — „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები". უკვე გამოვიდა ამ სერიის პირველი ტომი „შატბერდის კრებული", რომელიც გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა 1979 წელს.

ძველი ქართული საერო მწერლობის ძეგლებიდან რამდენიმეჯერ დაიბეჭდა „ამირანდარეჯანიანი", „ვისრამიანი", „აბდულმესიანი", „თამარიანი", დავით გურამიშვილისა და ბესარიონ გაბაშვილის ლექსები; გამოქვეყნდა როსტომიანის სამი დიდი ტომი, თეიმურაზ პირველისა და თეიმურაზ მეორის თხზულებანი, „რუსუდანიანი", „კალმასობა" (ორ წიგნად. ლიტერატურისა და ხელნაწერთა ინსტიტუტები იწყებენ კალმასობის სრული ტექსტის პუბლიკაციას), ქილილა და დამანა (სამჯერ), პირველად გამოიცა არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის და ვახტანგის მხატვრულ თხზულებათა კრებულები.

ახალი ქართული მწერლობის ძეგლები ძველად კანტიკუნტად თუ იბეჭდებოდა და ისიც უხეიროდ. აკაკი წერეთელი ერთ დროს გულისტკივილით ჩიოდა: „ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება კი ჩემ ნაწერებს ეწია; ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოსულიყო“. ამაზე ადრეც დიდ პოეტს უთქვამს: „ოცდაშვიდი წელიწადია, რაც ვწერ და ჯერ კიდევ ჩემს ნაწერებს ცალკე წიგნად გამოსვლა არ ღირსებიაო“[1]. საბჭოთა პერიოდში დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა აკაკის როგორც ცალკეული ნაწარმოებები, ისე თხზულებათა კრებულები. გამოქვეყნდა აკაკის თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად გიორგი აბზიანიძის რედაქციით (მოამზადა ლიტერატურის ინსტიტუტმა). ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საუკეთესო გამოცემად დიდხანს ითვლებოდა მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა (თბილისი, 1914), რომელიც არც სრულია და არც უნაკლო. ახლა გვაქვს ილიას თხზულებათა რამდენიმე კარგი პუბლიკაცია, მათ შორის „ქართული წიგნისა“ ათ ტომად (პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით). ლიტერატურის ინსტიტუტი შეუდგა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის საშვილიშვილო საქმეს. სამჯერ დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ნაწერების სრული კრებული.

საგანგებოდ აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის ნაწერების, მათ შორის, მხატვრული ნაწერების პუბლიკაცია. 1977 წელს არაჩვეულებრივი ზეიმით აღინიშნა ჩვენი ხალხის უსაყვარლესი წიგნის — „დედა ენის“ გამოქვეყნების მე-100 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით დაიბეჭდა „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ სრული ტექსტები. ჩვენ არ ვასახელებთ სხვა ავტორთა ნაწერების გამოცემებს. მეტ-ნაკლები სისრულით გამოქვეყნებულია ახალი დროის ყველა ქართველი მწერლის ნაწარმოებნი. ბევრია დაბეჭდილი კრიტიკოსთა და პუბლიცისტთა ნააზრევი. ასე, მაგალითად, ქვეყნდება ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მრავალტომეული (დ. გამეზარდაშვილის რედაქციით), გამოვიდა ნაწერები ს. მესხისა 3 ტომად (ი. ბოცვაძის რედაქციით), ბოსლეველისა (ს. ხუციშვილის რედაქციით), გ. მაიაშვილ-ზდანოვიჩის რჩეული ორ ტომად (მ. კანდელაკის რედაქციით), კ. აბაშიძის ცნობილი ეტიუდები, ავრეთვე მისივე წერილების კრებული ესთეტიკის და კრიტიკის საკითხებზე ერთ დიდ ტომად და სხვა. ახალი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულად გამოცემის მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სიმონ ხუნდაძეს. XIX საუკუნის

---

[1] პ. ქეკელიძე, ლ. მენაბდე, ქართული ლიტერატურის ისტორია (დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე), თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, 1957, გვ. 77.

კლასიკოსების ნაწერთა გამოცემას ამჟამად ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიური განყოფილება (1979 წლამდე განყოფილებას უძღვებოდა ს. ყუბანეიშვილი, 1979 წლიდან — გ. შარაძე. ამ განყოფილებაში ნაყოფიერად მუშაობენ ი. ლორთქიფანიძე, ლ. მეფარიშვილი, რ. კუსრაშვილი, ე. შარაშენიძე, ლ. სანაძე, ც. ყიფშიძე, ლ. ჭრელაშვილი და სხვ.).

დიდი პატივითა და სიყვარულით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე მწერლობა, უსაზღვროა ამ მწერლობის სარბიელი. საბჭოთა მწერლობას ემსახურება როგორც პერიოდული პრესა, ისე სპეციალური საგამომცემლო ორგანოები. ცალკე ნაწარმოებთა გამოცემებზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოქვეყნდა ყველა ჩვენი გამოჩენილი საბჭოთა მწერლის მრავალტომეული თუ თხზულებათა კრებულები. ათ ტომად დაიბეჭდა ვასილ ბარნოვის ნაწერები, მთლიანად გამოვიდა დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებანი. სრული კრებულების სახით დაიბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის, ლეო ქიაჩელის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაიას, აკაკი ბელიაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, პოლიკარპე კაკაბაძის, სანდრო შანშიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ალიო მაშაშვილის, ლ. ავალიანის, ნოდარ დუმბაძის, ანა კალანდაძის, ი. ნონეშვილის, მ. ლებანიძის, მ. მაჭავარიანის, ჯ. ჩარკვიანის, შ. ნიშნიანიძის და სხვათა ნაწარმოებნი. ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად, ფასეულია საბჭოთა ეპოქის დიდი ქართველი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა გამოცემა 12 ტომად.

ჩვენ ცალკე მოვიტოვეთ ვეფხისტყაოსანი. რუსთველის უკვდავი პოემა სამოცი წლის მანძილზე ოცდათხუთმეტჯერ გამოიცა დიდი ტირაჟებით (თუმცა მკითხველთა მოთხოვნილება მაინც არ არის დაკმაყოფილებული). მარტო 1966 წელს (რუსთველის საიუბილეო წელს) ოთხი გამოცემა განხორციელდა. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემების ტექსტი საგრძნობლად დახვეწილი და გამართულია. მაგრამ სამუშაო ჯერ ბევრი რჩება ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არის შექმნილი.

ქართული მწერლობის ძეგლთა ერთიანი და მასობრივი გამოცემის გვირგვინად მიგვაჩნია „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეული, რომელიც სპეციალისტთა დახმარებით მომზადდა და გამოქვეყნდა გამომცემლობა „ნაკადულში“, შესანიშნავია ქართული მხატვრული მწერლობის 15-ტომეულის პუბლიკაცია, რაც განახორციელა იმავე გამომცემლობამ.

ჩვენი მიმოხილვა ცალმხრივი იქნებოდა, რომ არაფერი გვეთქვა ფოლკლორული მასალების პუბლიკაციაზე: უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ფართოდ წარმოებს ქართული ხალხური სიტყვიერების ძეგლთა შემკრებლობა და პუბლიკაცია. ფოლკლორული ტექსტების მეცნიერული გამოცემის ნიმუშიც მოგვცა დაუცხრომელმა აკაკი შანიძემ (ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931).

დაიბეჭდა ხალხური ლექსებისა და პოემების, საისტორიო თუ მითოლოგიური თქმულებების, ლეგენდების, გადმოცემების, ზღაპრების, ანდაზების ხუთტომეული, ხალხური სიბრძნის ექვსტომეული და პეტრე უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ძეგლთა ოთხტომეული. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების კოლექტივმა მოამზადა გამოსაცემად ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსის მრავალტომეული.

ქართულმა მწერლობამ გადალახა მშობლიური ქვეყნის ფარგლები, გავიდა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ეს შესაძლებელი გახადა მთარგმნელობითი საქმიანობის დიდი მასშტაბებით გაშლამ. გამოჩენილმა რუსმა პოეტებმა (ბორის პასტერნაკმა, ნიკოლოზ ტიხონოვმა, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, პავლე ანტოკოლსკიმ, ელ. დერჟავინმა, კონსტანტინე სიმონოვმა, ლეონიდ მარტინოვმა, ალექსანდრე მეჟიროვმა, მიხეილ ლუკონინმა, ევგენი ევტუშენკომ, ბელა ახმადულინამ და სხვ.) გადაიღეს რუსულ ენაზე ქართული კლასიკური და საბჭოური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. რუსულად გამოვიდა შესანიშნავი კრებულები: «Грузинские романтики», «Антология грузинской поэзии», «Грузинская проза» (სამ ტომად). «Памятники древнегрузинской агиографической литературы» (ქ. კეკელიძის თარგმანი) და სხვ.

ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული დაიბეჭდა უკრაინულად. სომხურად გამოქვეყნდა „ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლების“ დიდი ტომი. ქართული პოეზიის ანთოლოგიები გამოვიდა უცხო ენებზედაც (ინგლისურად, უნგრულად, პოლონურად, რუმინულად, ბულგარულად...). თავის მხრივ, ქართულ ენაზე იბეჭდება რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული და საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის სიტყვიერი შემოქმედების საუკეთესო ნაყოფი. მჭიდრო, ცოცხალი, ძმური კავშირი ხელს უმართავს ურთიერთმიღწევათა გაზიარებას, ურთიერთზე კეთილ ზემოქმედებას, ურთიერთის გამდიდრებას, ერთიანი, შაგრამ მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის საერთო წინსვლას და საერთაშორისო ასპარეზზე დაწინაურებას.

თუ რევოლუციამდელ პერიოდში რუსულად მოიპოვებოდა ვეფხისტყაოსნის მხოლოდ ერთი სრული პოეტური თარგმანი (კ. ბალმონტისა), ახლა რუსულად გვაქვს ხუთი ახალი სრული და ათზე მეტი ნაწილობრივი თარგმანი. მარტო ზაბოლოცკის რუსული თარგმანი დაიბეჭდა 10-ჯერ

800 000-მდე ტირაჟით. ვეფხისტყაოსანი გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე, სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ენებზე, მრავალ უცხო ენაზე — ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე, ესპანურზე, იტალიურზე, ჩინურზე, ებრაულზე. მარტო სამოცდაათიან წლებში გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის თოთხმეტი სრულიად ახალი თარგმანი სხვადასხვა ენაზე: ოთხი გერმანული (ჰ. ბუდენზიგისა, ჰაიდელბერგი, 1971, თბილისი, 1976; რ. ნეუკომისა, ციურიხი, 1974; მ. წერეთლისა, პარიზი, 1975; ვიქტორია რუიკა-ფრანცმა ვეფხისტყაოსანი საუცხოოდ დაამუშავა საბავშვოდ გერმანულ ენაზე და ჩინებული ილუსტრაციებით გამოაქვეყნა ბერლინში 1976 წელს. ავტორ-მთარგმნელის სიტყვით, რუსთველი არის ჩვენი პ ლ ა ნ ე ტ ი ს ერთი უდიდესი პოეტი), ორი ინგლისური (რ. სტივენსონისა, „იუნესკოს“ გამოცემა, ნდუიორკი, 1977; ქ. ვივიანისა, ლონდონი, 1977), იაპონური (ახალი პოეტური თარგმანი იპეი ფუკუროსი, სანიმუშოდ გამოსცა რიოხეი კომიამამ, ტოკიო, 1972), პოლონური (იეჟი ზაგურსკისა, ქართველოლოგ იან ბრაუნის რედაქციით, ვარშავა, 1976), ბულგარული (სტოიან ბაკირჯიევისა, ქართველოლოგ ივანე ბიწაძის რედაქციით, სოფია 1975), სლოვენური (ტონე პავჩეკასი, ლიუბლიანა, 1975), ლიტეური (იონას გრაიჩუნასისა, ედუარდას მეჟელაიტისის წინასიტყვით, ვილნიუსი, 1971), მეორე ყაზახური (ჰამზა აბდულინისა, ჰამიდ მუსრეპოვის რედაქციითა და შესავალი წერილით, ალმაათა, 1974), ტაჯიკური (ასლამ ადჰამისა დუშანბე, 1979), აფხაზური (მ. ლასურიასი, სოხუმი, 1978), ოსური (გიორგი ბესთაუთისა, ცხინვალი, 1975). ვივიანის ინგლისური თარგმანის გამოცემა პოლიგრაფიულად უბადლოა, იგი მდიდრულადაა დასურათებული XVII საუკუნის ქართველი მხატვრების მინიატურებით. ბუდენზიგისა და ვივიანის თარგმანები შესრულებულია ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის კონსულტაციით. ამავე ინსტიტუტის დახმარებით ამზადებს ვეფხისტყაოსნის თარგმანს ბასკურ ენაზე ქართულის მცოდნე ჩვენი ბასკი მეგობარი, პოეტი და მეცნიერი შაბიერ კინტანა. მიღებულია ცნობა, რომ დაამთავრა ვეფხისტყაოსნის თარგმნა იტალიურ ენაზე პოეტმა მარიო პიკკი[2].

საბჭოთა პერიოდში ძალზე გაიზარდა ქართული მწერლობის, განსაკუთრებით პოეზიის, ავტორიტეტი როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებში, ისე საზღვარგარეთ. ქართული პოეზიის საერთაშორისო აღიარების მკაფიო დემონსტრაცია იყო რუსთველის დაბადების რვაასი წლისთავის იუბილე, რომელიც არაჩვეულებრივი ბრწყინვალებით ჩატარდა 1966 წელს.

---

[2] პირველად გამოქვეყნდა (თბილისში 1977 წელს) ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანი ელ.საბედ ორბელიანისა და სოლომონ ორდანიშვილისა, აზერბაიჯანული ა. ჯავადისა (მოამზადა დ. ალიევამ, ბაქო, 1978).

ბევრი ითარგმნა უცხოურიდან ქართულად. კ. გამსახურდიამ (ნაწილობრივ კ. ჭიჭინაძის თანამშრომლობით) გადმოაქართულა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. ითარგმნა აგრეთვე დანტეს „ახალი ცხოვრება“ (მთარგმნელები ბაჩანა ბრეგვაძე და თამაზ ჩხენკელი), ბოკაჩოს „დეკამერონი“ (თ. თედო სახოკიასი). გამოქვეყნდა შექსპირის თხზულებათა ახალი თარგმანები (მთარგმნელები ვახტანგ ჭელიძე, გივი გაჩეჩილაძე, რევაზ თაბუკაშვილი), ითარგმნა ჰომეროსის „ოდისეა“ (მთარგმნელები ზ. კიკნაძე, თ. ჩხენკელი და პ. ბერაძე), „ილიადა“ (მთ. რ. მიმინოშვილი)... თბილისის უნივერსიტეტთან შეიქმნა სპეციალური კომისია (თავმჯდომარე ა. ურუშაძე), რომელიც სისტემატურად აქვეყნებს ანტიკური მწერლობის უშესანიშნავეს ძეგლებს ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის სერიით. უკვე დაიბეჭდა ამ სერიით — ქსენოფონტი, სოკრატეს აპოლოგია (მთ. ა. ურუშაძე), ჰეროდოტე (მთ. თ. ყაუხჩიშვილი), პლუტარქე — რჩეული ბიოგრაფიები (მთ. ა. ურუშაძე), ვერგილიუსი — ენეიდა (მთ. რ. მიმინოშვილი), საფოს ლირიკა (მთ. ნანა ტონია) და სხვ.

გამოქვეყნდა მსოფლიო პოეტური კულტურის ისეთი შედევრები. როგორიცაა „ნიბელუნგები“ (მთ. გრ. ხავთასი, კ. ჭიჭინაძე), „კალევალა“ (მთ. მ. მაჭავარიანი, დ. ძნელაძე, შ. ჩანტლაძე), „გილგამეში“ (მთ. ზ. კიკნაძე), ისლანდიური „დიდი ედა“ (მთ. გ. კალანდაძე) და ბევრი სხვ. გრიგოლ აბაშიძემ შესანიშნავად გადმოაქართულა შანდორ პეტეფის ლექსები. ბევრი ითარგმნა რუსული და მოძმე საბჭოთა ხალხების კლასიკური მწერლობიდან (რასაკვირველია, აგრეთვე თანამედროვე მწერლობიდან). თანდათანობით იბეჭდება „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ ოთხმოცტომეულის წიგნები.

კვლავ განახლდა XIX საუკუნეში შეწყვეტილი მთარგმნელობა სპარსულიდან (მთარგმნელები ა. ჭელიძე, მ. თოდუა, ა. გვახარია, ვ. კოტეტიშვილი, თ. კეშელავა...). ახლა ქართულად ქვეყნდება ინდური, არაბული, თურქული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. უკვე გამოვიდა „ათასერთი ღამის“ ქართული თარგმანის ხუთი ტომი (გ. წერეთლის რედაქციით). შთამბეჭდავია „არმაღანის“ სამი ტომის პუბლიკაცია (შემდგენელი და რედაქტორი მ. თოდუა) და მრავალი სხვა.

მთარგმნელობის წინსვლას დიდად უწყობს ხელს ალმანახი „საუნჯე“. ერთი სიტყვით, საბჭოთა პერიოდში ქართული მხატვრული მწერლობა ორგანულად ჩაერთო საერთაშორისო ლიტერატურული ცხოვრების მიმოქცევაში.

დაწინაურდა ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა. განვლილი წლების მანძილზე საკვლევაძიებო საქმიანობაში თანდათანობით ებმებოდნენ მკვლევართა ახალ-ახალი თაობები, რომელთა მეცნიერული და მსოფლმხედველობრივი ფორმირება ხდებოდა საბჭოთა წყობილების პირობებში. მკვლევართა როგორც ახალი, ისე ძველი თაობა

მტკიცედ დადგა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ნიადაგზე და ამ პოზიციებიდან ცდილობს ქართული მწერლობის საკითხების გაშუქებას. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით შეიარაღება და ამ მეთოდოლოგიის საერთო ფუძემდებლური პრინციპებით ხელმძღვანელობა უნდა ჩაითვალოს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად. რა თქმა უნდა, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე გადასვლა უმტკივნეულო არ ყოფილა მკვლევართა უფროსი თაობისათვის. მოწინავე მეცნიერულ-კრიტიკულ აზრს დიდი ბრძოლა დასჭირდა ანტიმარქსისტული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. რიგ შრომებში თავი იჩინა ეულგარულმა სოციოლოგიზმმა, ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმმა, ნიჰილიზმმა, ფორმალიზმმა, კოსმოპოლიტიზმმა...

მაგრამ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის საერთო გეზი იყო სწორი და ამან უზრუნველყო ლიტერატურული ცხოვრების საერთოდ ჯანსაღი განვითარება. საკუთრივ ლიტერატურის მეთოდოლოგიის დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსაკვლევი, დასაზუსტებელი და დასახვეწი. მაგრამ ქართული საბჭოთა ლიტერატურული მეცნიერება ძირითადად თავისი მოწოდების სიმაღლეზე იდგა და დგას როგორც თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების გაშუქების, ისე ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის მხრით.

საფუძვლიანად გამოკვლეულია და კრიტიკულად შესწავლილი ძველი და ახალი მწერლობის ბევრი საჭირბოროტო საკითხი, გამოქვეყნებულია დიდძალი ნაშრომი (მონოგრაფიული გამოკვლევები და ნარკვევები, წერილები, ესეები და მისთანანი). რასაკვირველია, ზოგი მათგანი ემპირიული ხასიათისაა, მაგრამ ბევრია სერიოზული ნაფიქრ-ნააზრევის შედეგად განზოგადებული ნარკვევიც. სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია განვლილი წლების მანძილზე გამოქვეყნებული თუგინდ უმთავრესი ნაშრომების დასახელება.

ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების გაღრმავებულ შესწავლას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ლიტერატურული ძეგლების სანდო გამოცემები და სამუზეუმო-საარქივო მასალების პუბლიკაცია.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ინტენსიურად და ფართო მასშტაბით წარმოებდა ხელნაწერი მემკვიდრეობის შეგროვება, კონცენტრირება და დაცვა. საქართველოს დაუბრუნდა რუსეთის სიძველეთსაცავების ქართული ხელნაწერი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი. უნაკლოდ დაგვიბრუნდა მენშევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გატანილი ხელნაწერი მასალებიც. ქართული სულიერი კულტურის უმდიდრესი განძი ახლა საიმედოდ არის დაცული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სეიფებში. ახალი მასალების გამოვლინება გააადვილა საარქივო-სამუზეუმო ხელნაწერი ფონდე-

ბის აღწერილობათა და სხვადასხვა საბიბლიოგრაფიო ცნობარებისა თუ საძიებლების გამოქვეყნებამ. დიდი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოსცა თავისი უმდიდრესი კოლექციების სისტემური აღწერილობანი, დაიბეჭდა აგრეთვე აღწერილობანი ლენინგრადის ყოფილი სააზიო მუზეუმის, საქართველოს ცენტრალური არქივის, ლიტერატურული მუზეუმის, საჯარო ბიბლიოთეკის და ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ქართული ხელნაწერების ფონდებისა. მიკროფილმებისა და ფოტოპირების საშუალებით ხელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთული სიძველეთსაცავების ქართული ხელნაწერი კოლექციები. დაიბეჭდა სინას მთისა და საზღვარგარეთის ცენტრებში დაცული ქართულ ხელნაწერთა ფონდების ადრინდელი და ახალი აღწერილობანი (ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, რ. ბლაიკის, ჟ. გარითის, ი ასფალგის, დ. ბარეტისა). სასარგებლო საქმიანი კონტაქტი დამყარდა საზღვარგარეთის ქართველოლოგებთან. განსაკუთრებით დიდ სასარგებლო საქმეს ეწევა ნინო და კალისტრატე (კალე) სალიების ორგანო „რევჟუ დე ქართველოლოჟი — ბედი ქართლისა“, რომელიც საფრანგეთის სამეცნიერო-საკვლევაძიებო ცენტრის დახმარებით გამოდის. ამ ორგანომ შემოიკრიბა საზღვარგარეთის ქართველოლოგთა მთელი აქტივი და გზა გაუხსნა მათი შრომების პუბლიკაციას. „რევჟუ“ აცნობს საზღვარგარეთს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევებს, ჩვენ კი დროულად გვაწვდის ცოცხალ ინფორმაციას საზღვარგარეთის ქართველოლოგიური მუშაობის თაობაზე. სხვათა შორის, ნინო სალიამ თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა საჩუქრად გადმოსცა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა რუსთველოლოგიამ. რუსთველის პირველი იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერდა 1935 წელს, რომ ვეფხისტყაოსნის „დინჯი და გაღრმავებული შესწავლა მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგითგან იწყება“ და რომ ამ მხრივ განსაკუთრებულია ნიკო მარის ღვაწლი. ნ. მარის შემდგომ ი. ჯავახიშვილი ასახელებს იუსტინე აბულაძეს და შენიშნავს, რომ რუსთველოლოგიის „საკითხების განხილვაში პროფ. კ. კეკელიძეს, დოც. ალ. ბარამიძეს, შ. ადეიშვილს, ზ. ავალიშვილს, ა. ს. სვანიძეს, კ. ჭიჭინაძეს და ბევრს სხვას აქვს მონაწილეობა მიღებული“[3]. შემდგომ კონკრეტულად ასახელებს კიდევ პ. ინგოროყვას. ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რუსთველოლოგთა გულისყურს მაშინ იპყრობდა უმთავრესად პოემის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, კერძოდ, პოე-

[3] ივანე ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 10.

მის ორიგინალობის პრობლემა. ი. ჯავახიშვილის ამ წერილის შემდეგ დიდმა დრომ განელო. რუსთველოლოგთა რიგებს ახალ-ახალი თაობები შეემატა როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე საზღვარგარეთიდან. მრავალრიცხოვანი თარგმანების საშუალებით პოემა ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიოს ყველა კუთხეში. გაფართოვდა და გაღრმავდა კვლევა-ძიების სფერო. ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემატიკასთან ერთად გამახვილდა ყურადღება ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ აზროვნებაზე. რუსთველი თანდათანობით თავის საკადრის ადგილს იკავებს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ხორცი შეისხა ილია ჭავჭავაძის მოწოდებამ, რომ ვეფხისტყაოსნის ღირსებებს გასინჯვა უნდა არა „პაწია ჰუჰრუტანიდამ“, „არამედ იმ უშველებელი სარკმლიდან, რომ მთელს კაცადკაცობას თვალი გადევლებოდეს“. ამ პოზიციიდან იხილავენ ვეფხისტყაოსნის ღირსებას ისეთი უცხოელი მკვლევრებიც, როგორიც არიან ახალი დროიდან მ. ბოურა, რ. სტივენსონი, დ. ლანგი, სილიტოუ, ე. ჟალუ და მ. ბრიონი (საფრანგეთის აკადემიის წევრები), ლ. არაგონი, რ. ლაფონი, გ. დეეტერსი, ჰ. ჰუპერტი, ჰ. ბუდენზიგი. გ. პეჩი, ჰ. ფენრიხი, ვ. დიცე, გუსტავო დე ლა ტორე ბოტარო, ხ. ვარდი, ლუის ფრენსის სოლანო, ჰ. ზარინქუბი, ი. იედლიჩკა, ვ. კერნბახი, მ. იშტვანოვიჩი, ი. ბრაუნი და სხვ. ვეფხისტყაოსნის შესწავლას და მის პოპულარიზაციას დიდი ამაგი დასდეს რუსმა სწავლულებმა და მწერლებმა, აკადემიკოსებმა — ვ. შიშმარიოვმა, ალ. ბელეცკიმ, კ. ლუპოლმა, ა. ტოლსტოიმ, ნ. კონრადმა, ვ. ჟირმუნსკიმ, პროფესორებმა — პ. ბერკოვმა და რ. სამარინმა, მკვლევარმა ვ. გოლცევმა, პოეტებმა ნ. ტიხონოვმა, პ. ანტოკოლსკიმ, ნ. ზაბოლოცკიმ... რუსთველის დაუცხრომელი მკვლევარი იყო აკად. ნ. მარი. რუსთველს მიუძღვნეს მშვენიერი წერილები აკად. იოსებ ორბელმა და პოეტმა-აკადემიკოსმა მიკოლა ბაჟანმა, ედუარდას მეჟელაიტისმა. ბაჟანისეული უკრაინული თარგმანი ერთი საუკეთესო თარგმანთაგანია არსებულ თარგმანთა შორის.

რა თქმა უნდა, ფრიად ფასეულია ქართველ მკვლევართა წვლილი. საილუსტრაციოდ დავასახელებ ქართველ ავტორთა რუსთველოლოგიური ხასიათის იმ ნაშრომებს, რომლებიც წიგნების სახით გამოქვეყნდა 1970 — 1979 წლებში: 1. სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, II, თბ., 1970; 2. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1978 (კრებულში შესულია ძირითადად რუსთველოლოგიური ნაშრომები); 3. შ. ძიძიგური, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ 1971; 4. მ. გუგუშვილი, Руставели и грузинская литература эпохи «Возрождения» (ავტორეფერატი, თბ., 1971); 5. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური ნარკვევები, თბ., 1971; 6. ა. ზურაბაშვილი, შოთა რუსთაველი..., ფსიქოლოგიური ნარკვევები, თბ., 1971; 7. ვეფხისტყაოსნის რითმათა სიმფონია, შეადგინა ა. ხინთიბიძემ, ბათუმი, 1972; 8. ლ. ანდღუ-

ლაძე, ბალმონტი და საქართველო, თბ., 1972; 9. ვეფხისტყაოსნის სიმფონია(ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი), მ. ჭაბაშვილისა და ალ. ჭინჭარაულის რედაქციით, თბ., 1973; 10. მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, გ. წერეთლის რედაქციით, თბ., 1973; 11. თ. ბ. ვირსალაძე, Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели (Тб. 1973); 12. მ. მახათაძე, Проблемы Руствелологии (ავტორეფერატი, თბ., 1973); 13. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან XX-ხ, II, ნაკვეთი პირველი, თბ., 1973; 14. ვ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის კომენტარი (ს. ცაიშვილის წინასიტყვაობითადა რედაქციით), თბ., 1974; 15. ნ. ბერძენიშვილი, ვეფხისტყაოსანი როგორც საისტორიო წყარო (საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974); 16. ნ. ნათაძე, დროთა მიჯნაზე, მასალები რენესანსის პრობლემისთვის ქართულ მწერლობაში, თბ., 1974; 17. აკაკი გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974; 18. სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974; 19. ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1974; 20. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XX), II, ნაკვეთი მეორე, თბ., 1975; 21. ე. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975; 22. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი (მონოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1975; 23. მ. გუგუშვილი, რუსთველი გალაკტიონის პოეზიაში, თბ., 1975; 24. ჯ. ლომაშვილი, წერილები (ვეფხისტყაოსანზე), თბ., 1975; 25. ჯ. გაგნიძე, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანები, თბ., 1975; 26. გ. კარტოზია, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, თბ., 1975; 27. ბ. დარჩია, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით, თბ., 1975; 28. ი. გიგინეიშვილი, გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975; 29. პ. რატიანი, ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, თბ., 1975; 30. შ. ონიანი, ეკუთვნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, თბ., 1976; 31. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ი. წაქაძემ ს. ცაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), თბ., 1976; 32. პ. შარია, შოთა რუსთველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი, თბ., 1976; 33. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში. I. თბ., 1977 (რუსთველის კაბინეტის გამოცემა); 34. გ. შარაძე. ევგენი ბოლხოვიტინოვი —პირველი რუსი რუსთველოლოგი. 1978; 35. ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ვეფხისტყაოსნის მიხედვით, თბ., 1977; 36. მ. კარბელაშვილი. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის, თბ., 1977;; 37. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, თბ., 1978; (რუსთველის კაბინეტის გამოცემა); 38. ნიკო ნადირაშვილი, რუსთველის ვინაობა-სადაურობის საკითხი (ტექსტი გამოსაცემად მოამზა-

და და ბოლოსიტყვაობა დაურთო ტარიელ კვანჭილაშვილმა), თბ., 1978; 39. გ. თევზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1979; 40. კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ შაირში (წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა ა. ხინთიბიძემ, თბ., 1979; 41); 41. ი. სტოვბუნი, Фреска Шота Руставели, Тб., 1979; 42. კ. კეკელიძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი (გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1979); 43. რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ი. მეგრელიძემ), თბ., 1979.

დამოწმებულთ უნდა დაემატოს კრებულის ხასიათის მქონე წიგნები, სადაც შეტანილია რუსთველოლოგიური ნაშრომები: 1. გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974; 2. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, V, თბ., 1973; 3. მისივე, ნარკვევები, VI, თბ., 1975; 4. მისივე, ნარკვევები, VII, თბ., 1978; 5. ზ. გამსახურდია, ლიტერატურული წერილები, 1976; 6. ა. ჟორდანია, როცა პოეზიაზე ვფიქრობ, თბ., 1977; 7. ირაკლი აბაშიძე, სიტყვები, გზები, სახეები. თბ., 1971. 8. აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1977; (დიდი მოცულობის ეს წიგნი ეძღვნება რუსთველოლოგიურ და არეოპაგიტიკულ პრობლემატიკას); 9. Проблема эстетики и теории литературы, Тб., 1979.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურას განეკუთვნება ვეფხისტყაოსნის გამოცემები და თარგმანები (ზოგ მათგანს ერთვის შესავალი წერილები ან წინასიტყვა-ბოლოსიტყვანი). 1970—79 წლებში ვეფხისტყაოსანი ქართულად გამოიცა ათჯერ (ვეფხისტყაოსნის აკადემიურად დადგენილი ტექსტი და მისი ახალქართული „თარგმანი“ სისტემატურად იბეჭდებოდა ენისა და ლიტერატურის სერიის მაცნეში). ვშიშობ, რომ ჩემი ნუსხა სრული არ არის. მაინც, შთამბეჭდავია სამოცდაათამდე წიგნი რუსთველოლოგიის სფეროდან ამ ათი წლის განმავლობაში. მხედველობაში მიაღებია ისიც, რომ ამ დროის მანძილზე იმავე სფეროდან გამოქვეყნდა მრავალი ათეული წერილი ჩვენს პრესაში. ცხადია, ყველა ნაშრომი ერთი წონისა არ არის, ზოგი ნამდვილად ფასეული შენაძენია, ზოგი ნაკლები ღირსებისაა, მაგრამ საერთოდ, ვიმეორებ, სურათი შთამბეჭდავია. სამოცდაათიან წლებშიც ინტენსიურად გრძელდებოდა კვლევა-ძიება რუსთველოლოგიის ყველა დარგში (ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგებშიც). ეს კვლევა-ძიება მრავალფეროვანიც იყო თავისი შინაარსით და მასშტაბურიც.

არც ის იქნება უინტერესო აღინიშნოს, რომ საკუთრივ რუსთველოლოგიაში მომზადდა ათი სადოქტორო და რამდენიმე საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი. სადოქტორო ნაშრომების ავტორები არიან — გ. ნადირაძე, ს. ცაიშვილი, ი. მეგრელიძე, ი. გიგინეიშვილი, შ. ღლონტი, ნ. ნათაძე, მ. გუგუშვილი, მ. მახათაძე, ე. ხინთიბიძე, დ. ქუმსიშვილი

(მნიშვნელოვანწილად რუსთველოლოგიური ხასიათისაა აკაკი გაწერელიას სადოქტორო შრომაც — „ქართული კლასიკური ლექსი“). საკანდიდატო შრომები დაიცვეს რუსთველოლოგიაში მ. გიგინეიშვილმა, ზ. გამსახურდიამ, რ. ფირცხალაიშვილმა, ლ. ანდღულაძემ, ც. კარბელაშვილმა, ბ. დარჩიამ, ჯ. გაგნიძემ, ბ. ბაბურიანმა. ერთი სიტყვით, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს შედეგები ჩვენ ოდნავაც არ გვაკმაყოფილებს. რუსთველოლოგიის წარმატებებს უთუოდ დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურის ინსტიტუტში რუსთველოლოგიის სპეციალური განყოფილების შექმნამ 1957 წელს (1967 წლამდის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ამ სტრიქონების ავტორი, 1967 წ-დან მას ხელმძღვანელობს ს. ცაიშვილი) და თბილისის უნივერსიტეტში რუსთველის კაბინეტის დაარსებამ 1966 წელს (კაბინეტის გამგეა ლ. მენაბდე).

საინტერესო საკვლევაძიებო მუშაობა გაჩაღდა ლიტერატურის მეთოდოლოგიის, ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკისა და პოეტიკის საკითხებზე (გ. ჯიბლაძე, მ. დუდუჩავა, ა. გაწერელია, ა. ჭილაია, ს. გაჩეჩილაძე, ნ. ჭავჭავაძე, ნ. ჯაში, ო. ეგაძე, ა. ჩავლეიშვილი, ნ. ჭოლოკავა, ბ. დობორჯგინიძე, ვ. ჭელიძე, გ. ზაუტაშვილი, მ. კიკვაძე და სხვ.). გამოქვეყნდა ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი რიგი წიგნი და კრებული. ს. გორგაძემ, ა. გაწერელიამ, ა. ხინთიბიძემ, რ. ბერიძემ, თ. დოიაშვილმა და სხვ. სპეციალური შრომები დასტამბეს ქართული ლექსთწყობის საკითხებზე. განსაკუთრებით ფასეულია ა. გაწერელიას „ქართული კლასიკური ლექსი“. პირველად ქართულ ენაზე გამოვიდა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლების სოლიდური ორიგინალური კურსი (რედაქტორი მ. დუდუჩავა, მოამზადა ლიტერატურის ინსტიტუტის კოლექტივმა). ძირითადად ქართული მასალების კვალობაზე საინტერესოდ დამუშავდა მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები (გ. გაჩეჩილაძე).

ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საკითხების დამუშავებას საერთოდ მოთავეობს რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილება. გაღრმავდა და გაფართოვდა კვლევაძიება ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორიცაა ლიტერატურული ურთიერთობანი: ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული (კ. კეკელიძე ს. ყაუხჩიშვილი, შ. ნუცუბიძე, პ. ბერაძე, ნ. კეჭაყმაძე, ა. ურუშაძე, თ. ყაუხჩიშვილი, რ. მიმინოშვილი, ა. ალექსიძე, რ. გორდეზიანი, ე. ხინთიბიძე, ა. გამყრელიძე, ვ. ბააკაშვილი, ს. ენუქაშვილი და სხვ.), ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. აბულაძე, ი. შილაკაძე, ბ. არველაძე, ზ. ალექსიძე, ნ. ჯანაშია, ე. ცაგარეიშვილი...), სპარსულ-ქართული და ქართულ-სპარსული (იუსტ. აბულაძე, ი. მარი, ვლ. ფუთურიძე, დ. კობიძე, მ. თოდუა, კ. ფაღავა, ა. გვახარია, ვ. კოტეტიშვილი, თ. კეშელავა, მ. მამაცაშვილი, ჯ. გიუნაშვილი, თ. გორელიშვი-

ლი, ი. კალაძე და სხვ.). განსაკუთრებით გაფართოვდა კვლევა-ძიება რუსულ-ქართულ ურთიერთობათა საკითხებზე (ა. ჩხეიძე, ვ. შადური, გ. ლეონიძე. ი. ანდრონიკოვი, გ. ტაბლიაშვილი, გ. გვენეტაძე, ვ. ნათაძე, ა. ნიკოლაძე, გ. ციციშვილი, თ. ბუაჩიძე, ი. ბოგომოლოვი, ნ. მახათაძე, მ. გორგიძე, ს. კოშუტი, დ. ჯინჭარაძე და სხვ.). საფუძველი ჩაეყარა ქართულ-უკრაინულ და უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლას (ლ. ასათიანი, ბ. ჟღენტი, ო. ბაქანიძე, დ. კოსარიკი, ი. ლუცენკო, ლ. ქართველიშვილი...). აზერბაიჯანულ-ქართულ ურთიერთობებს იკვლევენ დ. ალიევა და ლ. ერაძე. საბჭოთა ქვეყნებთან და უცხოეთთან ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლის მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დასაფუძნებლად რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა შესაფერისი განყოფილებანი (ხელმძღვანელები გ. ციციშვილი და დ. ლაშქარაძე).

ძველთაგანვე საგანგებო ყურადღება ექცეოდა ჩვენში ხალხური სიტყვიერების ძეგლთა შეკრებას, მაგრამ ქართული ფოლკლორისტიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, საბჭოთა დროის პირმშოა. მომზადდა, გაიწაფა და საქმეში ჩაება ფოლკლორისტთა ახალ-ახალი კადრი. გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ნაშრომები ვ. კოტეტიშვილის, მ. ჩიქოვანის, ქს. სიხარულიძის, ელ. ვირსალაძის, ალ. ღლონტის, ზ. კიკნაძის, ი. მეგრელიძის, ე. არჯევანიძის, თ. ოქროშიძის, ჯ. ბარდაველიძის, ა. ცანავას, თ. ქურდოვანიძის, გ. ბარნოვის, ვ. მაცაბერიძის, ა. ჭინჭარაულისა და სხვ. ფოლკლორისტთა ქართულ საბჭოურ სკოლას ამჟამად მეთაურობს მ. ჩიქოვანი (ლიტ. ინსტიტუტის ფოლკლორისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი)[4].

უყურადღებოდ არ დარჩენილა ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები (შ. ნუცუბიძე, ს. ხუნდაძე, გ. ჯიბლაძე, ლ. გორგილაძე, პ. რატიანი, ა. სურგულაძე, გ. აბზიანიძე, შ. ხიდაშელი, ალ. კალანდაძე, დ. გამეზარდაშვილი, გრ. კიკნაძე, ჯ. ჭუმბურიძე, ს. ხუციშვილი, და სხვ.). ზოგი რამ არსებითი გაკეთდა ქართული მწერლობის მსოფლიო ისტორიულ-კულტურული როლის გასარკვევად. შალვა ნუცუბიძემ წამოაყენა აღმოსავლური რენესანსის სამუშაო თეორია, რამაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია ჩვენში და საზღვარგარეთაც. იმავე შ. ნუცუბიძემ და ბელგიელმა სწავლულმა ერნესტ ჰონიგმანმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ განთქმული არეოპაგიტული წიგნების ავტორი უნდა ყოფილიყო V საუკუნის ქართველი საზღვარგარეთელი მოღვაწე პეტრე იბერიელი. კ. კეკელიძის რიგმა ნაშრომმა გაამდიდრა მსოფლიო საქრისტიანო კულტურის საგან-

[4] გარდაიცვალა 1983 წელს.

ძური, ი. მარმა, ვლ. ფუთურიძემ, დ. კობიძემ და მ. თოდუამ გამოიძიეს ქართული წვლილი სპარსულენოვან სამყაროში.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მხრივ დიდია უფროსი თაობის მეცნიერთა ღვაწლი (ი. ჯავახიშვილი, ქ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, ს. გორგაძე, იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, ვ. ბერიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი). მათ გვერდში ამოუდგნენ და მათი საქმიანობა განაგრძეს მომდევნო თაობის წარმომადგენლებმა (გ. ჯაკობია, ს. ყუბანეიშვილი, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ტ. რუხაძე, გ. იმედაშვილი, ე. მეტრეველი, დ. კობიძე, ლ. მენაბდე, თ. ჭყონია, ი. ლოლაშვილი, ს. ცაიშვილი, რ. ბარამიძე, დ. ბრეგაძე, რ. მიმინოშვილი, ვ. ბააკაშვილი, ნ. მახათაძე, ჭ. სანიკიძე, გ. მიქაძე, შ. ონიანი, რ. სირაძე, ე. ხინთიბიძე, მ. გუგუშვილი, გ. შარაძე, ლ. ძოწენიძე, ლ. ქუთათელაძე, ლ. კეკელიძე, შ. ჩიჯავაძე, რ. ფირცხალაიშვილი, შ. დოლაქიძე, ლ. გრიგოლაშვილი, გ. ფარულავა, თ. ბრეგაძე, ც. ქურციკიძე, უ. ცინდელიანი, მ. რაფავა, ლ. ჯღამაია, ე. გაბიძაშვილი, მ. ქავთარია, ე. გიუნაშვილი, ც. კახაბრიშვილი, მ. დოლაქიძე და ბევრი სხვა). ძველი ქართული მწერლობის შემსწავლელი ძირითადი კერა იყო თბილისის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის ძველი ქართული მწერლობის კათედრას სიკვდილამდე უცვლელად განაგებდა ქ. კეკელიძე (ამჟამად კათედრის გამგეა ლ. მენაბდე). ქ. კეკელიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რუსთაველის ინსტიტუტის ძველი მწერლობის განყოფილებასაც (ამჟამად განყოფილების ხელმძღვანელია ი. ლოლაშვილი)[5].

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ალ. ცაგარელი წერდა, რომ ქართული მწერლობის საკითხების დამუშავება მაშინ მხოლოდ პირველი დაგროვებისა და აღრიცხვის სტადიაში იმყოფებოდა, „რამდენადმე მეცნიერული იერის მქონე მიმოხილვა ქართული ლიტერატურის ისტორიისა ჯერ თითქმის შეუძლებელია". მეცნიერი იმედს გამოთქვამდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც მოსახერხებელი გახდებოდა ქართული მწერლობის „სრული, მწყობრი და სისტემური მიმოხილვა".

1895—1907 წლების მანძილზე რუსულად გამოქვეყნდა ალ. ხახანაშვილის „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან" ოთხტომად. შემდეგ ავტორმა ამის საფუძველზე ქართულად დაამუშავა „ქართული სიტყვიერების ისტორია" (ორ წიგნად). ალ. ხახანაშვილის ნარკვევებმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა და დიდი სამსახური გაუწია მოსწავლე ახალგაზრდობას. მაგრამ ამ „ნარკვევებს" ბევრი რამ აკლია სისრულის, სისტემურობის და ფაქტობრივი მასალების სიზუსტის მხრივ, რომ არაფერი ვთქვათ მათ მწყობრ დალაგებაზე და ანალიზის

[5] გარდაიცვალა 1984 წელს.

ხარისხზე. სისრულის პრეტენზია არ ჰქონია კ. აბაშიძის მიერ იშვიათი ცოდნითა და გემოვნებით დაწერილ ორტომიან ნაშრომს „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. ალ. ხახანაშვილისა და კ. აბაშიძის ნარკვევებით ამოიწურებოდა რევოლუციამდელი განმაზოგადებელი ნაშრომები XIX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის დარგში.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატიზებული კურსებისა და სახელმძღვანელოების შექმნის რთული პრობლემაც საბჭოთა პერიოდში გადაიჭრა. კერძოდ, ეს ითქმის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესახებ. ჯერ კიდევ 1923—1924 წლებში გამოვიდა კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ მონუმენტური ორტომეული. ავტორის სიცოცხლეში ორტომეული ოთხჯერ დაიბეჭდა (უკანასკნელად 1958—1960 წლებში). ამჟამად დაიბეჭდა ავტორის მიერ გასინჯული მეხუთე გამოცემა. თითოეული ახალი გამოცემა წინანდელთან შედარებით გამდიდრებულია ფაქტობრივი მასალებით, დახვეწილია ენობრივ-სტილისტურად, უკეთ გამართულია იდეურ-შინაარსობრივად. შეიძლება ავტორს არ დაეთანხმოთ კურსის აგების პრინციპებში, შეიძლება სადავოდ გახადოთ ცალკეული საკითხების გაშუქება, მაგრამ სრულიად უცილობელია კ. კეკელიძის ორტომეულის ორიგინალობა, სისრულე და სხვა მეცნიერული ღირსებანი. კ. კეკელიძეს მოუხდა კოლოსალური შრომის გაწევა, რომ გამოეძიებინა და შეესწავლა უამრავი პირველი წყარო, წესრიგში მოეყვანა, გაეანალიზებინა, აეწონ-დაეწონა, განეზოგადებინა და დაესისტემებინა დიდძალი მასალა და შეექმნა ისეთი ნაშრომი, რომელზედაც ოცნებობდა ალ. ცაგარელი („ქართული მწერლობის ძეგლთა მთლიანი, მწყობრი და სისტემური მიმოხილვა“). კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა კარგად შეაფასეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის პაულ პეეტერსის სიტყვით, კ. კეკელიძის ვეებერთელა ორტომეული მაშინ შეიქმნა, როცა „ქართველი ხალხი შევიდა თავისი (ეროვნული) განვითარების გადამწყვეტ ფაზაში“. პეეტერსმა ხმამაღლა განაცხადა, რომ კეკელიძის „ათას ორას გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალური ღირსებებისა და იმის უფლებისა, რომ მან იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით“. „ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელიო“, ასკვნიდა უცხოელი მეცნიერი.

კ. კეკელიძის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის საფუძველზე მიქელ თარხნიშვილმა და იულიუს ასფალგმა დაამუშავეს და გერმანულ ენაზე გამოაქვეყნეს რომში 1955 წელს „ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია“. თვითონ ავტორმა რუსულად

გამოსცა თავისი დიდი ნაშრომის მოკლე „კონსპექტური კურსი“ (თბ., 1938). 1954 წელს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოუშვა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი „ძველი ქართული მწერლობა“ (ავტორები კ. კეკელიძე, და ალ. ბარამიძე). აქ უფრო შემჭიდროებულად და თანმიმდევრულად, ამასთან, შედარებით უფრო ადვილად დასაძლევი ენით წარმოდგენილია ძველი ქართული მწერლობის განვითარების რთული ისტორია V საუკუნიდან მეცხრამეტემდის. შემდეგ ამის საფუძველზე დაიწერა (იმავე ავტორების მიერ) ძველი ქართული მწერლობის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (პირველად დაიბეჭდა 1969 წელს).

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი მოამზადა და 1925—1927 წლებში სამ წიგნად გამოაქვეყნა ვახტანგ კოტეტიშვილმა, სამ წიგნადვე გამოიცა მიხეილ ზანდუკელის „ახალი ქართული ლიტერატურა“. მასვე ეკუთვნის «Очерки по истории грузинской литературы XIX века». XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის ორიგინალური ნარკვევის ავტორია გერონტი ქიქოძე. სიმონ ხუნდაძის „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ორ წიგნად და „ქართველი ინტელიგენციის პროფილი XIX საუკუნეში“ ფრიად საყურადღებო ნაშრომებია ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისითაც. თავის დროზე სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა თედო ბეგიაშვილის სამტომეული „ქართული სიტყვიერების ისტორია“. დ. გამეზარდაშვილმა გამოსცა „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“ (ორ წიგნად), აგრეთვე „ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“ (I, II, 1974; იგი დაიბეჭდა რუსულადაც — «Становление критического реализма в груз. литературе). აღსანიშნავია კ. კაპანელის „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“. გ. ჯიბლაძემ დასტამბა სოლიდური ნაშრომი რუსულ ენაზე „რომანტიკოსები და რეალისტები XIX ს. ქართულ ლიტერატურაში“. გ. ჯიბლაძე ავტორია მონოგრაფიებისა (ი. ჭავჭავაძეზე და ნ. ბარათაშვილზე) და მრავალრიცხოვანი წერილებისა ახალი და უახლესი პერიოდების ქართულ მწერლობაზე. ეს წერილები უპირატესად თავმოყრილია მის „კრიტიკულ ეტიუდებში“ (I—V). ალ. კალანდაძემ პირველად ჩვენს სინამდვილეში წამოიწყო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შედგენა (გამოქვეყნდა პირველი ტომი, 1977), მასვე ეკუთვნის მონოგრაფიები „ივანე კერესელიძე“ (თბ., 1959) და „საქართველოს მოამბე“ (თბ., 1963), აგრეთვე „ლიტერატურული ნარკვევები“ (1972) და სხვა. (ალ. კალანდაძე ხელმძღვანელობს ჟურნალისტიკის განყოფილებას). ფასეულია შ. გოზალიშვილის ნაშრომები XIX საუკუნის ქართულ მწერლობაზე და რევოლუციამდელი პერიოდის ბოლშევიკური პრესის პოეზიაზე. ღირსშესანიშნავი მონოგრაფიები გამოაქვეყნეს პ. კეკელიძემ (აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები), ა. ჭილაიამ (გიორგი წერეთელი), კ. მეძველიამ (თერგდალე-

ულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური მოღვაწეები), ე. მაღრაძემ (გრიგოლ ორბელიანი), ა. გაჩეჩილაძემ და ო. გიორგაძემ (აკაკი წერეთელზე), ა. კენჭოშვილმა (ილია ჭავჭავაძეზე). შესანიშნავია ლევან ასათიანის „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. სპეციალური მონოგრაფიები მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას (ს. დანელია, გრ. კიკნაძე, ა. გაწერელია, დ. ბენაშვილი, ბ. დობორჯგინიძე). ვაჟა-ფშაველას ცხოვრება-შემოქმედების მეცნიერულად შესწავლის მხრით ძალზე დიდია „ვაჟა-ფშაველას კაბინეტისა“ და ამ კაბინეტის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის გრიგოლ კიკნაძის ღვაწლი. ახლებურია გ. ასათიანის „ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედება“ და „ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე“. შთამბეჭდავია პ. ინგოროყვას ნარკვევები XIX ს. კლასიკოსებზე (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი). აქვე უნდა დავასახელოთ ლ. მენაბდის გამოკვლევა „XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა“. მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის შ. რადიანის „XIX ს. ქართულ ლიტერატურას“, ჯ. ჭუმბურიძის „ქართული კრიტიკის ისტორიას“, ს. ხუციშვილის, ა. მახარაძის, გ. ნატროშვილის, გ. აბაშიძის, შ. ვაშაყმაძის, ნ. ანდრონიკაშვილის ნაშრომებს XIX ს. ქართული მწერლობის და კრიტიკული აზრის ისტორიის საკითხებზე. ბევრი სხვაც არის გამომზეურებული საყურადღებო და მნიშვნელოვანი XIX საუკუნის დიდებული ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საკითხებზე, რომელთა დამოწმება, სამწუხაროდ, არ ხერხდება.

ბოლო დროს თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა (გამგე პ. კეკელიძე) შეუდგა XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის მომზადებას. ჯერჯერობით დასტამბულია ამ კურსის პირველი ტომი. სახელმძღვანელოდაა განკუთვნილი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ის კურსიც, რომელიც დ. გამეზარდაშვილის რედაქციით მზადდება (გამოცემულია I ტომი, 1972).

დიდი რაოდენობით მოგვეპოვება ნაშრომები (მონოგრაფიები, ნარკვევები, წერილები) ქართულ საბჭოთა მწერლობაზე. აქ იმოდენა ზღვა მასალაა, რომ ძალზე გაჭირდება რისამე ცალკე გამოყოფა. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ამ სფეროში წარმატებით მოღვაწეობდნენ როგორც უფროსი, ისე საშუალო და უმცროსი თაობის წარმომადგენლები (ს. ხუნდაძე, ვ. ბახტაძე, ბ. ბუაჩიძე, ბ. ჟღენტი, ლ. ასათიანი, ა. სულავა, ა. გაწერელია, დ. ბენაშვილი, გ. ჯიბლაძე, შ. რადიანი, გ. ნატროშვილი, გ. ლომიძე, მ. კვესელავა, ალ. კალანდაძე, ლ. კალანდაძე, ა. თოფურია, ს. ჭილაია, გ. ციციშვილი, გ. მერკვილაძე, თ. ბუაჩიძე, ტ. კვანჭილაშვილი, გ. ასათიანი; გ. მარგველაშვილი, ვ. ცისკარიძე, გ. გვერდწითელი, გ. კანკავა, რ. თვარაძე, გ. კალანდაძე, გ. ვარდოსანიძე, დ. თევზაძე, ო. პაჭკორია, რ. მიშველაძე. ზ. ჭუმბური-

ძე, შ. ჩიჩუა, გრ. ხერხეულიძე, ა. ბაქრაძე, ნ. წულეისკირი, გ. გაჩეჩილაძე, ვლ. ჯიბუტი, ვ. ბაიაძე, კ. იმედაშვილი, ზ. აბზიანიძე, მ. აბულაძე, გ. ბენაშვილი, ს. სიგუა, ჯ. ღვინჯილია, ჯ. თითმერია, ა. ვასაძე, ა. ნიკოლეიშვილი, ლ. ალიმონაკი, თ. წივწივაძე, რ. ჩხარტიშვილი, თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე და სხვ.).

მკვლევარ-კრიტიკოსთა ახალი თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი მონდომებითა და პროფესიული დახელოვნებით ეწევა მოღვაწეობას ქართული მწერლობის ამ ფრიად რთულ უბანზე. სამწუხაროდ, მოულოდნელად დავკარგეთ ნიჭიერი მკვლევარნი ნოდარ ჩხეიძე, ფილიპე ბერიძე, გელა გაბუნია. მიმდინარე ლიტერატურული პროცესის უფრო საფუძვლიანად შესასწავლად რუსთაველის სახ. ინსტიტუტში 1979 წლიდან შეიქმნა სპეციალური განყოფილება (ხელმძღვანელი გურამ გვერდწითელი).

საბჭოთა მწერლობის საკითხების შესწავლას საერთოდ მოთავეობენ რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის საბჭოთა მწერლობის განყოფილება (ხელმძღვანელი გ. მერკვილაძე) და თბილისის უნივერსიტეტის უახლესი ქართული მწერლობის კათედრა (გამგე ს. ჭილაია).

ქართული საბჭოთა ლიტერატურის სისტემატური მიმოხილვის პატივი ეკუთვნით ბ. ჟღენტსა და ს. ჭილაიას. თვალსაჩინო შენაძენია ბ. ჟღენტის „მწერლობა და თანამედროვეობა“ (I, 1976)., ს. ჭილაიას განმაზოგადებელი ნაშრომებია „XX საუკუნის ქართული მწერლობა“ სამ წიგნად და «Очерки истории грузинской советской литературы».

პრობლემური სიმახვილით, მასშტაბურობითა და დამუშავების სიღრმით გამოირჩევა გიორგი ლომიძის შრომები საბჭოთა მწერლობის სასიცოცხლო-პრინციპულ საკითხებზე (ქართულსა და რუსულ ენებზე). ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი-კრიტიკოსი თანაბარი ინტერესითა და სიღრმით იკვლევ-იძიებს როგორც კლასიკური, ისე საბჭოთა მწერლობის აქტუალურ საკვანძო საკითხებს. ასეთია, უწინარეს ყოვლისა, აკაკი გაწერელია. დიდად ფასეულია პავლე ინგოროყვას მრავალფეროვანი მოღვაწეობის შედეგები. ლიტერატურათმცოდნეობის დარგში ღირსშესანიშნავი ნაშრომები შექმნეს ჩვენმა ცნობილმა საბჭოთა მწერლებმა — კ. გამსახურდიამ, კ. ჭიჭინაძემ, ი. გრიშაშვილმა, გ. ტაბიძემ, მ. ჯავახიშვილმა, გ. ლეონიძემ, ტ. ტაბიძემ, შ. აფხაიძემ, ს. ჩიქოვანმა, დ. შენგელაიამ, ირ. აბაშიძემ, გრ. აბაშიძემ, გ. შატბერაშვილმა, ვ. გაბესკირიამ, რ. ჯაფარიძემ, თ. ჭილაძემ, ნ. დუმბაძემ...

ქართულ მწერლობაში ბოლო დროს ფეხს იკიდებს, ვითარდება და პოპულარული ხდება ახალი ჟანრი, რომელსაც შუა ადგილი უჭირავს საკუთრივ მხატვრულ მწერლობასა და ლიტერატურათმცოდნეობას შორის. ესაა ისტორიულ-დოკუმენტურ მასალაზე დამყარებული მოთხრობა (გინა რომანი)-ნარკვევი, სადაც დოკუმენტური წყარო შევსებულ-

ჭავრცობილია ავტორისეული გამომგონებლობითი ფანტაზიით, ოღონდ ისტორიულად შესაძლებელი და დასაშვები მხატვრული ფანტაზიით. ამ ჟანრის ზოგიერთ ნაწარმოებში ძირითადია ისტორიულ-დოკუმენტური მასალა, ზოგში კი მხატვრულ-გამომგონებლობითი შენამატი. დამოწმებული ჟანრის ავტორებად შეიძლება დავასახელოთ სერგი ჭილაია („ეკატერინე ჭავჭავაძე“, „შვილები“), ელგუჯა მაღრაძე („გრიგოლ ორბელიანი“, „გოდება ანუ ცხოვრება დავით გურამიშვილისა“). ამას უახლოვდება ალ. კალანდაძის „ნეიშნის ფიცი“, რომელსაც ავტორი უწოდებს რომანს. ამ „რომანში“ დიდძალი ისტორიულ-დოკუმენტური მასალაა ჩართული, მისი ზოგიერთი ნაწილი მეცნიერული ნარკვევის ხასიათს ატარებს. დიდად საინტერესოა და მკითხველს იზიდავს ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ და ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია რუსთაველისა და გორკის სახელობის ინსტიტუტების საერთო ძალ-ღონით მომზადებული და 1977 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემული „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“ (ავტორები მ. აბულაძე, გ. გაჩეჩილაძე, გ. გვერდწითელი, დ. თევზაძე, დ. იოვაშვილი, გ. კალანდაძე, გ. კანკავა, გ. მარგველაშვილი, გ. მერკვილაძე, შ. ჩიჩუა, გ. ციციშვილი, გ. ხერხეულიძე; რედაქტორები გ. მერკვილაძე, გ. ლომიძე, ბ. ჟღენტი). მთელი ქართული ლიტერატურის ერთიანი ისტორიის მიმოხილვის პირველ ცდას წარმოადგენს „ქართული ლიტერატურის ისტორია“ რუსულ ენაზე (თბ. 1958, ავტორებია ალ. ბარამიძე, შ. რადიანი, ბ. ჟღენტი). უნდა მოვიხსენიოთ „მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულიც (მომზადდა გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მოთავეობით). ექვსტომეულის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა (ექვსტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო ბ. ჟღენტი). ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობენ აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ათტომეულის გამოცემაში (ამისი გამოცემა ძალზე დაგვიანდა). მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული მწერლობის ისტორიის ერთიანი, მთლიანი, სისტემური, მეთოდოლოგიურად სწორი და, რამდენადაც შეიძლება, სრული გაშუქება აქვს მიზნად დასახული რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის დიდ კოლექტივს, რომელმაც მოამზადა ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეული. ექვსტომეულის მომზადებაში კოორდინაციის წესით მონაწილეობდნენ თბილისის უნივერსიტეტისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები. გამოცემა ძალზე გაჭიანურდა (გამოცემულია ოთხი ტომი, მეხუთე იბეჭდება).

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა პერიოდში დაიწყო ჩვენში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სერიოზული შესწავლა. გამოქვეყნდა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. განსაკუთრებული წარმატებები აქვს შექსპიროლოგიას (დიდია ამ მხრივ ნ. ყიასაშვილის დამსახურება) და გერმანისტიკას (გრ. ხავთასი, ნ. კაკაბაძე, ო. ჯინორია, შ. რევიშვილი, ზ. ჭარხალაშვილი, დ. ლაშქარაძე); ქართულ ენაზე გამოვიდა ანტიკური (ბერძნულ-რომაული) და ბიზანტიური მწერლობის მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები (გრ. წერეთლისა და ს. ყაუხჩიშვილისა); დ. კობიძემ გამოაქვეყნა „სპარსული მწერლობის ისტორია“ და შეადგინა სპარსული მწერლობის ქრესტომათია ორ ტომად. თბილისის უნივერსიტეტში მომზადდა „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ (ლეონ მელიქსეთ-ბეგი). თბილისის უნივერსიტეტშივე რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის თაოსნობით (ვ. შადურისა და გ. ტალიაშვილის რედაქციით) შეიქმნა რუსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო სამ ტომად (თბ., 1961—1963). სამტომეულის დიდი ღირსება ისიცაა (სხვა ღირსებათა შორის), რომ იგი შედარებით ფართოდ აშუქებს რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ვითარებას საუკუნეების მანძილზე.

ასე გვეხატება ჩვენ ძალიან მოკლედ საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მდგომარეობა. მიღწევები უდავოა, წარმატებები თვალსაჩინოა, მაგრამ, რასაკვირველია, მიღწეული და მოპოვებული ოდნავადაც არ არის საკმარისი. გამოსაძიებელი, გამოსარკვევი და გამოსაკვლევი ბევრზე ბევრია. დასამალი არ არის, რომ ლიტერატურათმცოდნეობა საერთოდ, კერძოდ კი ლიტერატურული კრიტიკა, ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება, მხარს ვერ უბამს ჩვენი ცხოვრებისა და მხატვრული მწერლობის წინსვლას. ქართული ლიტერატურათმცოდნეობა ჯერ კიდევ მოვალე რჩება სოციალისტური სამშობლოს წინაშე. ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ იგი პირნათლად გადაიხდის ამ ვალს.

საჭიროდ ვთელი ინფორმაციის წესით ვაუწყო დაინტერესებულ მკითხველს, თუ როგორ აფასებს ჩვენს საქმიანობას მოსკოვისა და ლენინგრადის ავტორიტეტული წრეები. ამას წინათ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების საერთო კრებამ მოისმინა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ანგარიში, ხოლო ამ განყოფილების ბიურომ საგანგებოდ განიხილა ინსტიტუტში მიმდინარე კვლევა-ძიება ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებზე. ორივე ანგარიში დიდად მოიწონეს. გამოჩენილმა სლავისტმა და ძველი რუსული მწერლობის მკვლევარმა აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩოვმა განყოფილების საერთო კრებაზე სხვათა შორის განაცხადა: «განცვიფრებული ვარ რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის სამუშაოთა გაქანებით, და არა მარტო გაქანებით, არამედ ამ

სამუშაოთა ორგანიზაციით, მათ წინაშე დასმული ეროვნული ამოცანების დიდი მნიშვნელობითა და სირთულით. ეს არის ინსტიტუტი, რომელიც ეროვნული ამოცანების დონეზე წყვეტს ურთულეს სამეცნიერო საკითხებს, ქართული კულტურის პრობლემებს». ასევე შეაფასეს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მუშაობა იმავე სხდომაზე აკადემიკოსებმა ალექსეევმა, ხრაპჩენკომ, ბელოდედმა, წერეთელმა და სხვებმა. არსებითად ამის შედეგი იყო ის, რომ 1976 წლის იანვრის ბოლოს რუსული კულტურის განთქმულ კერაში — პუშკინის სახლში ანუ რუსული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში — ჩატარდა სიმპოზიუმი — «ძველი ქართული მწერლობის სამი დღე პუშკინის სახლში». სიმპოზიუმის შედეგების თაობაზე პუშკინის სახლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი პროფესორი თედორე იაკობის ძე პრიიმა და აკადემიკოსი დ. ლიხაჩოვი ჩვენ ოფიციალურად გვწერდნენ: «ამ სიმპოზიუმმა გვიჩვენა საქართველოს ფილოლოგიური მეცნიერების მაღალი დონე და დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა. სიმპოზიუმზე მოსმენილმა მოხსენებებმა მეცნიერული და სამეცნიერო-მეთოდური თვალსაზრისით ბევრი ძვირფასი რამ შესძინა ძველი რუსული ლიტერატურის სპეციალისტებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თბილისისა და ლენინგრადის ფილოლოგებს შორის შემდგომაც განვითარდება ნაყოფიერი სამეცნიერო კონტაქტები». მართლაც, მომდევნო, 1977 წლის სექტემბერში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძველი ქართული მწერლობის კათედრის თაოსნობით (კათედრის გამგე პროფ. ლ. მენაბდე) დიდი წარმატებით მოეწყო საპასუხო „ძველი რუსული ლიტერატურის სამი დღე“. პუშკინის სახლის დირექტორის მოვალეობის მაშინდელმა შემსრულებელმა პროფესორმა ბასკაკოვმა და აკადემიკოსმა ლიხაჩოვმა ჩვენ გვიდებეშეს: „გულითადად მადლობელნი ვართ... იმის გამო, რომ შეგვექმნა შესაძლებლობა შევხებოდით საქართველოს ძველ მაღალ კულტურას. საქართველოში ჩამოსვლამ არა მარტო გაამდიდრა ჩვენი ცოდნა, არამედ სულიერადაც გაგვამდიდრა. ჩვენ კიდევ უფრო მეტად შევიყვარეთ ქართველი ხალხი, მისი კულტურა“.

1979 წელს გამომცემლობა «ნაუკას» ლენინგრადის განყოფილებამ გამოაქვეყნა ორივე დასახელებულ სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებების რამდენადმე შემოკლებული ტექსტების შემცველი სოლიდური კრებული: «Русская и грузинская средневековые литературы». ეს კრებული არის რუსი და ქართველი საბჭოთა ფილოლოგების ძმური თანამშრომლობის კეთილი ნაყოფი.

1981

ვეფხისტყაოსნის შესწავლის ისტორიიდან

ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის თაობაზე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები მოიპოვება XV—XVI საუკუნეების ქართულ მწერლობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. მაგრამ პირველი სპეციალური ნაშრომი, რომელმაც სათავე დაუდო რუსთველოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ეკუთვნის ვახტანგ VI-ს (1675—1737). ეს ნაშრომი „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონისშვილის, გამგებლის პატრონის ვახტანგისა“ დართული აქვს პოემის პირველ ბეჭდურ გამოცემას. იგი განხორციელდა თბილისში 1712 წელს თვითონ ვახტანგის „შრომითა და წარსაგებლითა“, ანუ მისი რედაქციითა და ხარჯით.

ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდი გამოცემის ტექსტი ჩვენ დრომდის მცირე რაოდენობით არის მოღწეული და ყველა დეფექტიანია, მაგრამ, საბედნიეროდ, გადარჩენილი ცალები „ერთი მეორის დანაკლისს ავსებენ და კაცს მთელი გამოცემის აღდგენის საშუალებას აძლევენო“, ამბობს აკაკი შანიძე, და სწორედ მანვე უხაკლოდ აღადგინა და გამოაქვეყნა 1937 წელს 1712 წლის გამოცემა. ამისთვის ა. შანიძემ საგანგებოდ ჩამოასხმევინა ვახტანგისეული გამოცემის შრიფტი ორივე ფერით, შავით და სინგურით, აღადგინა მისი ილუსტრაციები, სამკაულები, თავსართები, ფორმატი. ოღონდ აღმდგენელმა გაასწორა პირველი გამოცემის ზოგიერთი უნებლიე შეცდომა, უმთავრესად კორექტურული ხასიათისა (დაურთო თავის გამოცემას ამ გასწორებათა სრული ნუსხა). ა. შანიძემ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდი გამოცემა[1].

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი დიდ ყურადღებას იქცევს, უწინარეს ყოვლისა, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. თუ ამ გამოცემას შევუდარებთ პოემის ძველ ხელნაწერებს (რაც კი მოგვეპოვება XVI—XVII საუკუნეებიდან), დავრწმუნდებით, რომ ბეჭდური ტექსტი რედაქციულად მოკლეა, ხელნაწერებისა კი — გაცილებით უფრო ვრცელია. ვახ-

[1] 1975 წელს, ვახტანგის დაბადების მე-300 წლისთავზე, ა. შანიძის მიერ აღდგენილი გამოცემა ხელმეორედ გამოქვეყნდა ფოტოტიპიურად.

ტანგისეული გამოცემა 1587 შაირისაგან (სტროფისაგან) შედგება, ხელნაწერები კი შეიცავს 2200-ზე მეტ შაირს. 1712 წლის გამოცემით ვეფხისტყაოსნის ამბავი მთავრდება ქაჯეთის ციხის შემუსვრით, ნესტანის გათავისუფლებითა და ტარიელის ინდოეთში გამეფებით. ხელნაწერები ამბავს აგრძელებს პოემის მთავარი გმირების გარდაცვალებამდე. შეინიშნება ნაწილობრივი შინაარსობრივი სხვაობა ტექსტის შიგნითაც. ერთი სიტყვით, პირველბეჭდურ გამოცემასთან შედარებით ხელნაწერებს აქვს ჩანართები და დანართები ანუ ინტერპოლაციები. ვახტანგის გამოცემა მნიშვნელოვნად არის თავისუფალი ამ ჩანართ-დანართებისაგან. ყველაფრიდან ჩანს, რომ ვახტანგის განკარგულებაში ყოფილა ვრცელი რედაქციული შინაარსის მქონე ხელნაწერები, ვახტანგს ისინი კრიტიკულად განუხილავს, ტექსტი საგრძნობლად შეუკვეცავს, გაუცხრილავს ბევრი ჩანართ-დანართისაგან. მაგრამ ტექსტის პირველი მეცნიერი დამდგენელი თვითნებურად არ მოქცეულა. ტექსტის შემოკლების საბუთს მას აძლევდა ისევ ხელნაწერი მასალები. ზოგ ხელნაწერში (მაგალითად, ე. წ. ზაზასეულ ხელნაწერში) პირდაპირ არის დასახელებული რიგი ინტერპოლატორი და მინიშნებულია მათი ნამოღვაწარი. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვეფხისტყაოსნის ინტერპოლაციების თაობაზე არჩილი.

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემაა. მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია. რა თქმა უნდა, ამ გამოცემას ახლავს ბევრი ნაკლი. გამოცემიდან ამოვარდნილია რამდენიმე, უთუოდ რუსთველური შაირი, გაპარულია ზოგი ზედმეტიც. შესამჩნევია კორექტურული შეცდომები და ტექნიკური ხასიათის დეფექტები. საერთოდ მაინც ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემა თავის დროისათვის სანიმუშოა. ამ გამოცემის ზოგიერთი ნაკლი იმითაც აიხსნება, რომ პოემის ბეჭდვის დროს თვითონ ვახტანგი უცხოეთში (სპარსეთში) იმყოფებოდა. ბეჭდვის საქმეს სხვები უძღვებოდნენ. კერძოდ, დიდი ამაგი დასდო ვეფხისტყაოსნის ბეჭდვას ვახტანგის ერთმა უახლოესმა თანამშრომელმა, „მესტამბეთუხუცესმა“, კარის დეკანოზის შვილმა მიქაელმა. ზოგი მკვლევარი ამ მიქაელს თვლის გამოცემის ფაქტობრივ რედაქტორად[2].

როგორც აღვნიშნეთ, პოემის გამოცემას ახლავს მისი სწავლული რედაქტორის, ვახტანგ VI-ის, „თარგმანი“ ანუ ახსნა-განმარტება, კომენტარი. ნამდვილად ეს არის სერიოზული რუსთველოლოგიური მონოგრაფია.

---

[2] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის თაობაზე იხ. 1. შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა, 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისს 1937, გვ. 343—409; 2. სარგის ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957; მისივე ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970; 3. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 356—392.

განმარტებანი იწყება პირველი შაირიდან („რომელმან შექმნა სამყარო...). უკანასკნელად განმარტებულია 1559-ე შაირი (1937 წ. საიუბილეო გამოცემით 1570-ე შაირი[3]). ერთი შეხედვით, განმარტებანი თითქოს მოიცავს პოემის თითქმის მთელ ტექსტს, მაგრამ შიგადაშიგ ბევრი შაირია განუმარტავად დატოვებული. კომენტატორი თვითონვე შენიშნავს: „თარგმანი მრავალი დამირჩაო“. მიზეზად ასახელებს მოუცლელობას, ამასთან, „გზა და რიგი გამირკვევიაო“. ე. ი. ვახტანგს გაურკვევია კომენტარის მეთოდი და ხერხები დიდძალი ნიმუშებით. „ვისაც თარგმანი გინდათ, ასეა მისი თარგმანი. და აწ თქვენ ამ გზით თარგმნიდეთო“, მიმართავს ვახტანგი მომავალ კომენტატორებსა და მკვლევრებს. დასასრულ ერთგვარი იუმორით ამბობს: „თუმცა სულ მეთარგმნა, სხვა რას იქმოდა?“

ვახტანგი ზოჯერ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით იხილავს ვეფხისტყაოსნის შაირებს, ზოგჯერ ცდილობს გააზრიანოს და გასაგები გახადოს პოემის ბუნდოვანი ადგილები, ზოგჯერ გვთავაზობს ფრიად საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მოსაზრებებს. მისთვის მთავარზე მთავარი იყო ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის გახსნა. ვახტანგი მიზნად ისახავდა გაებათილებინა ქართველი საზოგადოების კლერიკალურად განწყობილი წრეების მძიმე ბრალდებანი რუსთველისა და მისი პოემის მიმართ. კომენტატორი ბეჯითად ცდილობს გააქარწყლოს ის შეხედულება, თითქოს ვეფხისტყაოსანი ურწმუნოებასა და უზნეობას ქადაგებს. ვახტანგის „თარგმანის“ თანახმად, ვეფხისტყაოსანი აღმზრდელობით-დამრიგებლობითი ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც მაღალ ეთიკურ იდეალებს გვიხატავს. კომენტარებს თავიდან ბოლომდე გასდევს ძლიერი პოლემიკური კილო და პუბლიცისტური მგზნებარება. ისიც სათქმელია, რომ ვახტანგმა ჯოხი გადაღუნა და ის აზრი გაატარა, ვითომც ვეფხისტყაოსანი ასახავს საღვთო სწავლას, „სამღვთო მიჯნურობას“ (მიჯნურობას სამღვთოს მიჯნურობისათვის ამბობს“). ცხადია, ვახტანგმა ტენდენციურად განმარტა ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსი. პოეტის ნათელი აზროვნება რელიგიურ-მისტიკური გაგების საბურველში გახვია. „თარგმანის“ ეს მხარე ნაძალადევი და ტენდენციურია. ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რომ კომენტატორს კეთილშობილური მიზანდასახულობა ამოძრავებდა, მას სურდა დაეცვა ვეფხისტყაოსანი კლერიკალთა თავდასხმისაგან და შესაძლებელი გაეხადა ბეჭდური გზით მისი ფართო გავრცელება. ესაა, რომ ვახტანგი იძულებული გამხდარა სწორედ ამგვარად „ეთარგმნა“ დიდებული პოემა, თორემ თვითონ მაინცდამაინც მთლად არ ყოფილა დარწმუნებული თავის მოსაზრებათა უცილობლობაში. იგი

[3] შაირების ჩვეულებრივი სათვალავი ყველგან ემყარება ვეფხისტყაოსნის 1937 წლის გამოცემას.

გამოტეხილად აღიარებს: „თუ უნდა ესეც არ იყოს... თარგმანი ხომ ასრე სჯობს“. ვეფხისტყაოსნის დაცვის საჭიროებას ვახტანგს უკარნახებდა, სხვა არა იყოს რა, მისი მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა. კომენტატორი წერს: „ღვთისა და კაცს წინ მე ასე მიჯობნებია. და ამას იქით მკითხველთ იცით, მე უბრალო (ე. ი. უდანაშაულო — ა. ბ.) ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამათ დავშვერ“.

არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ ვახტანგის შეხედულებისამებრ ვეფხისტყაოსანი შინაარსით „სოფლის ზღაპარია“, საერო ნაწარმოებია, რომელშიდაც ჩაქსოვილია არა მარტო საღვთო, არამედ საერო სწავლა. მაგალითად, ავთანდილის ანდერძის გამო ვახტანგი განმარტავს: „აწ ამას იქით გასინჯეთ, თუ ეს ანდერძი რა კაცის სასწავლოდ, სამღვთოდ და საეროდ, როგორ თვითოს რიგით უსწავლებია“. სხვაგან კიდევ აჯამებს და საზოგადოდ აცხადებს: „ბევრჯელ მითქვამს, რუსთველს, სადაც პირი მოუკრავს, სამღვთო ყოფილა კარგი თუ საკაცო, ორივ დაუწერია“. მაშასადამე, ვეფხისტყაოსანს ვახტანგი განიხილავს, როგორც ზნეთსწავლის გამომხატველ, სასულიერო და საერო დანიშნულების მხატვრულ ნაწარმოებს. რასაკვირველია, თავისი მიზნის შესაფერისად ის განსაკუთრებული ბეჯითობით ხაზს უსვამს პოემის ვითომდა საღვთო ხასიათს. ამიტომ ვახტანგის „თარგმანის“ ხასიათი სრულებით არ შეიძლება აიხსნას ავტორის მეცნიერული უმწეობით ან გულუბრყვილობით (ნ. მარი, ქრ. შარაშიძე). მარი ბროსე ვახტანგის განმარტებას უწოდებს „ფრიად უშესაბამოს და უხამს“ [4]. დავით ჩუბინაშვილის სიტყვით კი «странно и даже неприлично было бы видеть в этом создании (Руставели) какую-то мистическую христианскую поэму»[5]. სრულიად შეუწუნარებლად მსჯელობს ვახტანგის თარგმანის თაობაზე ალ. ცაგარელი: «Когда при оценке поэтических произведений руководствуются полицейскими соображениями и побуждениями, тогда от подобной критики много толку ждать нельзя»[6]. ალ. ცაგარელი უზომოდ ცდება. სწავლულმა მეფემ ახსნა-განმარტების გზით სცადა ვეფხისტყაოსნის მაღალი იდეალების გაშუქება, იგი მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ენით გამოესარჩლა დიდებულ პოემას, მისი ერთადერთი იარაღი იყო მეცნიერულ-ლიტერატურული პაექრობა. ნუთუ ეს არის პოლიციური ზომები?!

თარგმანში ვახტანგი ეხება ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხებს, კერძოდ, განმარტავს პროლოგის ცნობილ შაირს „ესე ამბავი სპარსული“. კომენტატორის კატეგორიული დასკვნით — „ეს ამბავი

---

[4] ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის (პეტერბურგი) წინასიტყვა.

[5] ქართული ქრისტომათია, II, პეტერბურგი, 1846, გვ. V.

[6] О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873 с. 103.

სპარსში არ არის... სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება, ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც". მეხუთე წაირის განმარტებაშიც ნათქვამია: „ლექსიცა იმას გაუკეთებია და ამბავიცა". ვახტანგი იყო სპარსული ენისა და მწერლობის კარგი მცოდნე. მან სპარსულიდან ქართულად გადმოთარგმნა რამდენიმე საყურადღებო ძეგლი, მათ შორის მთელს მსოფლიოში ცნობილი კრებული იგავ-არაკებისა „ჭილილა და დამანა". როგორც ვეფხისტყაოსნის გამომცემელსა და მკვლევარს, მას გულმოდგინედ უძებნია სპარსულენოვან ლიტერატურაში ჩვენი პოემის ნაკვალევი, მაგრამ იმისი მსგავსი რამ ვერაფერი უპოვია და საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ — „ეს ამბავი სპარსში არ არის", რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტიც (ფაბულა) რუსთველს შეუთხზავს და ლექსადაც მას დაუმუშავებია, რომ ვეფხისტყაოსანი ყოველმხრივ ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებია და შექმნილია თამარის მეფობის დროს თვითონ თამარის დავალებით („თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო... უბრძანა მის მთავარს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო)"[7].

ვახტანგმა დიდი გავლენა მოახდინა რუსთველოლოგიის შემდგომ განვითარებაზე, განსაკუთრებით ტექსტოლოგიის სფეროში, მეორე მხრივ, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულმა გამოცემამ არა თუ დააშოშმინა კლერიკალური საზოგადოება, არამედ კიდევ უფრო გააბოროტა მისმა „თარგმანმა". მაგალითად, მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი ღვარძლიანად ამბობს შოთა რუსთველზე: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა, ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა სამღთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი". სამღთოდ კი ვეფხისტყაოსანი თარგმნა სწორედ ვახტანგმა. ტიმოთეს გამოსვლა თითქოს ნიშანი იყო. კლერიკალურ-რეაქციული საზოგადოება არ დაკმაყოფილდა რუსთველის პოემის შესახებ იდეური ბრძოლით. ზოგიერთი დოკუმენტური ცნობით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თითქოს უცდიათ ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურება.

ბრძოლა ვეფხისტყაოსნისათვის გარკვეულ ელფერს აძლევდა ქართველობის სულიერ ვითარებას ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დაძაბუნების ეპოქაში. მით უფრო ძვირფასი იყო ქართველობისათვის სასიქადულო პოემის ჰეროიკული სულისკვეთება და აზრიანი სიცოცხლის წამახალისებელი მოწოდება: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი", „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა" და მისთანანი.

1724 წლის პოლიტიკურმა კატასტროფამ, საქართველოში ოსმალთა ბატონობის დამყარებამ და ვახტანგ VI-ის გახიზნვამ ძლიერ შეაფერხა

[7] ვახტანგის „თარგმანის" თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული განპარტებანი (თსუ შრ., ტ. 108, 1964, გვ. 39—44).

ჩვენს ქვეყანაში კულტურული საქმიანობა. ამ საქმიანობამ ერთხანს რუსეთის ქართულ კოლონიებში (ვსეხსვიატსკოესა და „პრესნიაში“) გადაინაცვლა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველთმცოდნეობის ცენტრი გახდა პეტერბურგი. იქ მოღვაწეობდნენ იოვანე და თეიმურაზ ბატონიშვილები, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი... პეტერბურგში განხორციელდა 1841 წელს ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდური გამოცემა, რომელიც ბროსეს გამოცემის სახელითაა ცნობილი, თუმცა ბროსესთან ერთად იმას რედაქტორობდნენ ზაქარია ფალავანდიშვილი და დავით ჩუბინაშვილი, ხოლო მთელი გამოცემის ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო თეიმურაზ ბატონიშვილი.

ვახტანგიდან მოკიდებული თითქმის მთელ რევოლუციამდელ პერიოდში რუსთველოლოგიური მუშაობა უმთავრესად ტექსტოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემატიკით ისაზღვრებოდა. ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემის მთავარ საკითხს კი შეადგენდა პოემის ორიგინალობა.

ვახტანგის მსგავსად, თეიმურაზ ბატონიშვილმა დაწერა „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსანისა“[8], რომლითაც გვთავაზობს ვეფხისტყაოსნის ტექსტის სისტემურ ინტერპრეტაციას და გადმოგვცემს თავის შეხედულებას პოემის ავტორობაზე, დაწერის დროზე და სიუჟეტის ორიგინალობაზე. „განმარტების“ წიგნით თეიმურაზი ამჟღავნებს ვეფხისტყაოსნის კარგ ცოდნას და ლექსიკოლოგიური ხასიათის კვლევის სანაქებო უნარს. მისი ახსნა-განმარტებანი ყოველთვის ანგარიშგასაწევია, მაშინაც კი, როცა ისინი საცილობელია. თეიმურაზის შეხედულების თანახმად, შოთა რუსთველი (ის ხმარობს ფორმას რუსთაველი) იყო თამარის მეჯურჭლეთუხუცესი, მთავარი რუსთავისა (ჰერეთის ერისთავი), რომელმაც ბოლოს „დაუტოვა სოფელი ესე“ და „წარვიდა წმიდად იერუსალემად“, დაემკვიდრა ქართველთა ჯვრის მონასტერში, „თუმცა სახითა ერის კაცისათა“; იქ აღესრულა, „დაეფლა მუნვე ჯუარის მონასტერსა შინა“, ხოლო მონასტრის „კედელსა ზედა გამოხატულ არს სახეი მისი და ჰსჩანს ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე“[9]. თეიმურაზის დაკვირვებით, „მოლექსეობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაკტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა“. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობასა და მის ზნეობრივ-აღმზრდელობით მნიშვნელობაზე თეიმურაზი სხვაგანაც ბეჯითად ამბობს: „წიგნი ესე ვეფხის-

---

[8] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960.

[9] თეიმურაზი ბევრ წერილად ემყარება ტიმოთე გაბაშვილის ცნობებს, მაგრამ ტიმოთეს არაფერი აქვს ნათქვამი რუსთველის იერუსალიმში დამკვიდრებაზე და იქ აღსრულებაზე.

ტყაოსანი შეიცავს თვისს შორის თუმცაღა ზღაპარსიტყვაობასა, მაგრამ ფრიადსა ხელოვნებითა შეწყობილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა". თეიმურაზისეულ თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის თაობაზე ავითარებს მარი ბროსეც პოემის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაში. ფრანგი მეცნიერის სიტყვითაც, რუსთველის „გმირების ზნეობა, ყოფაქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა, უთუოდ ქართველთა გულს, ზნეობას,... სრულს მათს ხარაკტერს გამოგვიხატავენ". ბროსეს დაკვირვებით, ვეფხისტყაოსანი ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც შეთხზულია „შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათა".

ვეფხისტყაოსნის ალეგორიულობის თვალსაზრისი განვითარებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია დავით ჩუბინაშვილის შრომებში, კერძოდ, იმ შესავალ წერილში, რომელიც მან დაურთო „ქართული ქრისტომატიის" პირველსავე, 1846 წლის გამოცემას.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ალეგორიულობის პრინციპი ბევრმა გაიზიარა (მათ შორის დ. ბაქრაძემ, მ. ჯანაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვ.) და თავისებურად განავითარა. საბჭოთა პერიოდში ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ პ. ინგოროყვა[10], დ. დანდუროვი[11], დ. ბენაშვილი[12], დ. ქუმსიშვილი[13]. კ. კეკელიძემ ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომის პირველ გამოცემაში მკვეთრად გააკრიტიკა ვეფხისტყაოსანში ისტორიული ანალოგიების ძიების თვალსაზრისი[14]. იმავე წიგნის მეორე გამოცემაში კი მან ისტორიულ-ალეგორიული მეთოდი საერთოდ მისაღებად და საიმედოდ აღიარა. მკვლევარი წერდა: „დღევანდელ პირობებში ასეთი გზა (ლაპარაკია ალეგორიულ გზაზე — ა. ბ.) თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი საიმედო და მისაღები გზაა, თუ, რასაკვირველია, ალეგორია და ისტორიული სინამდვილე ერთმანეთს ზუსტად ემთხვევიან და ისტორიული ინტერპრეტაცია ნაძალადევი არაა"[15]. საგულისხმო ის არის, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულიდან ნასესხობის თეორიის დამცველი ნ. მარიც კი აღიარებს, რომ რუსთველის პოემაში იგავ-გაკვრით თუ მოარაკებით, გარდავლით (Намеком) ასახულია ავტორისათვის

---

[10] პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, თბ., 1938; მისივე, თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 200—201, და შმდ.

[11] Шота Руставели, Серия: Жизнь замечательных людей, М., 1937:, დანდუროვის ნარკვევის სრული მეცნიერული უმწეობა ცხადყო კ. დონდუამ (Чудовищная безграмотность, .გაზ. «Известия», 23 XII. 37; იგივე წერილი ქართულად — „საშინელი უმეცრება", „მნათობი", 1938, № 1).

[12] სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1954.

[13] რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი, თბ , 1968.

[14] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ. 114—118.

[15] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 152; იმასვე ეკითხულობთ დასახელებული წიგნის უკანასკნელ 1958 წლის გამოცემაშიც (გვ. 169—170).. .

ნაცნობი ტიპები და მოვლენები მისდროინდელი ცხოვრებიდან[16]. მართლაცდა, ვეფხისტყაოსანში აღწერილი ზოგიერთი ამბავი ისე გამჭვირვალეა და ისე ემთხვევა XII საუკუნის საქართველოს კულტურულ-ისტორიულ სინამდვილეს, რომ შეუძლებელი იქნებოდა ამ სინამდვილის ანარეკლი არ დაგვენახა დიდებულ ქართულ პოემაში. მაგრამ ერთია მხატვრული ანარეკლი და მეორეა პოემის მთლიანად ალეგორიულ ნაწარმოებად გამოცხადება.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის პრობლემა სულ სხვა ასპექტით გადაწყვიტეს აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ. აკაკის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანში დასახელებული ქვეყნები მხოლოდ გადარქმეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებია; ხალხიც ქართველთა ტომია და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენელი: ამას იმათი ზნე, ჩვეულება, თვისება და ცხოვრების წესწყობილება გვიმტკიცებს“. რუსთველს სურდაო, წერს აკაკი: „დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდეალო გმირი როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც“. რამდენადაც ქართველთა ტომები სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათისანი არიან, პოეტმა „საჭიროთ დაინახა ერთი გმირის მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთიმეორით შეევსო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის, ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან ტარიელი, იმერიდან ავთანდილი და შავი ზღვის პირიდან ფრიდონი, და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოსი“. პოემის ქალთა პერსონაჟების თაობაზე აკაკი შენიშნავს: „რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით... იგივე ითქმის ქალების შესახებაც“. სახელდობრ, ნესტანი „ამერთა ქალია“, თინათინი — იმერთა. ერთი მათგანი (ე ი. ნესტანდარეჯანი — ა. ბ.) ძალიან ემსგავსება ხასიათებით ტარიელს და მეორე (თინათინი — ა. ბ.) — ავთანდილსო. აკაკის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანში გამოხატული ტიპები, როგორც კაცები ისე ქალები, ნამდვილი ქართველები არიან, სხვადასხვა კუთხეებიდან აღებული“[17].

აკაკი წერეთელმა დასძლია ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ალეგორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისი, პოემის გმირები მან წარმოიდგინა ინდივიდუალიზებული ხასიათის მქონე პერსონაჟებად, სცადა ზოგად ქართველის ცნების ეთნიკურ ნიადაგზე დანაწევრება და რუსთველის ძირითად პერსონაჟთა ტიპური ბუნების გარკვევა.

---

[16] Н. Я. Марр, Древнегрузинские одописцы, Тр., IV, 1902, с. 55—56.

[17] სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე (კრებული, V, VI, 1898; რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოთ ვეფხისტყაოსნის გამო, კრებული, V, 1898; აგრეთვე: აკაკი წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, ტომი VI, ლევან ასათიანის რედაქტორობით, თბ., 1957, გვ. 39—69—87—95.

აკაკის თვალსაზრისი ვეფხისტყაოსანზე მკაცრად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ[18]. ილიას მოსაზრებით, აკაკიმ „ვიწრო ფარგლებში მოამწყვდია“ დიდებული ქართული პოემის მნიშვნელობა, ხოლო მისი ავტორი „უბრალო ეთნოგრაფის საჩხირკედელო საქმეზედ ჩამოახდინა“, აკაკის ლექციების შედეგად ისე გამოდისო, მწარედ შენიშნავდა ილია, თითქოს „რუსთაველი დიდად სადიდებელი პოეტი კი არ არის, არამედ უბრალო ეთნოგრაფია, ან ამის მსგავსი ერთი ჩურუქი რამ არამკითხე მოამბე“. დიდი მწერალი ისააო, ამბობს ილია ჭავჭავაძე, ვინც „ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნის“, ან „ზოგად კაცობის ტიპსა“ და არა რომელიმე „ქართლელს, კახელს, პეტრეს, ივანეს“. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებს ილია თელიდა ზოგადკაცობრიულ ტიპებად, ზოგად ადამიანებად, რომლებიც ვერ მოექცევიან ვერც ეროვნულსა და, მით უმეტეს, ვერც ეთნიკურ-ტომობრივ ჩარჩოებში. „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, და სხვანი მამაკაცნი და დედაკაცნი ვეფხისტყაოსნისა ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი“ — აცხადებს ილია და ასკვნის: „ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისაო“. პოემის თითოეული პერსონაჟის მოქმედებას, ილიას აზრით, განსაზღვრავს ამ პერსონაჟის ინდივიდუალური ბუნება, მისი ადამიანური ხასიათი“. აქ რა შუაშია ან ქართველი, ან კახელი, ან იმერელიო“, მწარედ კითხულობს მკვლევარი.

ილია ჭავჭავაძის წერილი ახალი სიტყვა იყო რუსთველოლოგიაში. პლატონ იოსელიანისა[19] და არტურ ზუტნერის[20] შემდეგ ილია პირველი იყო, რომელმაც ვეფხისტყაოსანი განიხილა ლიტერატურულ-ესთეტიკური პოზიციიდან. ამ განხილვის შედეგად ილიამ რუსთველი გვერდში ამოუყენა ჰომეროსს, შექსპირს და „ძმათა მათ“. ილიას მოხდენილი სიტყვით, „რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანიდამ სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაეყლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“. ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა სისტემისა და პოემის იდეური შინაარსის გაგების ახალი ორიგინალური თეორია.

მოკლედ ასეთი იყო მდგომარეობა რუსთველოლოგიაში, როდესაც სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა ნიკო მარი. გადაუჭარბებლად შეიძლე-

---

[18] აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი, 1887, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1941, გვ. 61—69.

[19] Шота Руставели («Кавказ», 1870, № 3).

[20] უცხოელის აზრი ვეფხიტყაოსანზე. წერილი ბარონ სუტნერისა (ივერია, 1884, XI—III; დროება, 1884, № 258, 259, 261, 262, 264, 265; გაზ. «Кавказ», 1884 № 265, 267, 268).

ბა ითქვას, რომ ნ. მარმა შექმნა ახალი ხანა რუსთველმცოდნეობის განვითარებაში, როგორც სამართლიანად ამბობს ივანე ჯავახიშვილი[21].

სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში ნ. მარი გადამწყვეტ როლს ანიჭებდა უცხოური შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობას ქართული სულიერი კულტურის ხასიათის ჩამოყალიბებაზე. მარის თეორიის თანახმად, კერძოდ, სპარსული მწერლობის ზეგავლენით უნდა აღმოცენებულიყო და განვითარებულიყო ძველი ქართული საერო მწერლობა. ამ თეორიას დაუკავშირა მან ვეფხისტყაოსნის წარმოშობის ბედიც. მარი პირდაპირ ამბობდა: «Взгляд наш на поэму Шота неразрывная часть общего теоретического построения о возникновении и расцвете древнегрузинской светской литературы»;[22]. ამასვე იმეორებდა ნ. მარი შემდეგაც.

თავისი თეორიის შესაბამისად ვეფხისტყაოსანი მარს მიაჩნდა სპარსულიდან ნათარგმნ პროზაულ ნაწარმოებად, რომელიც შოთა რუსთველს უნდა გაელექსა. 1890 წელს გამოქვეყნებულ წერილში მარი აღნიშნავდა, რომ მას ეგულება ერთი სპარსული თხზულება „შაჰრიარ-ნამეს“ სახელწოდებით, რომელიც უნდა იყოსო წიგნი ტარიელზე ანუ ვეფხისტყაოსნის დედანი. თუმცა ეს მისი ვარაუდი არ გამართლდა, მარი მაინც ძველ თვალსაზრისს ადგა და მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე იმეორებდა, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი სპარსულიდან არის ნასესხებიო. ნ. მარის დაჟინებამ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის თაობაზე მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გულისწყრომა გამოიწვია. მის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ. თავის ოპონენტებს მარი გაგულისებით ხვდებოდა. მაგრამ დრონი იცვალნენ. მარის რუსთველოლოგიურმა შეხედულებებმაც თვალსაჩინო ევოლუცია განიცადა. XX საუკუნის დასაწყისიდან მარი ეძიებს იმ ძაფებს, „რომლებიც ვეფხისტყაოსანს აკავშირებს მშობლიური ქართული კულტურული წრის მოვლენებთან“[23]. ამან კი მეცნიერი დააარწმუნა, რომ „რუსთველის შემოქმედების კავშირი ქართულ კულტურულ ნიადაგთან არა მარტო ფორმალურია, ენობრივია, არამედ იდეურიც[24]“. მარი ახლა აღიარებს, რომ ვეფხისტყაოსანი „ორგანულად არის შეზრდილი ქართველი საზოგადოების ყოფიერებასთან“, რომ დაკვირვებული თვალი ვეფხისტყაოსანში აღმოაჩენს „ავტორისათვის ნაცნობი ტიპებისა და მოვლენების პოეტური მოარაკებით შეგნებულ დასურათხატებას“.

---

[21] შოთა რუსთველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო (წიგნიდან—ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 10).

[22] ТР, XII, გვ. III, შნშ.

[23] იქვე, გვ. XLV.

[24] ИАН, 1917, გვ. 427.

1910 და 1917 წლებში გამოქვეყნებული მონოგრაფიებით მარი ამტკიცებდა, რომ ვეფხისტყაოსნის იდეური საფუძველი ემყარება ქალის კულტსა და ძმადნაფიცობას, ხოლო ორივეს ნიადაგს იგი ქართულ ეროვნულსა და სოციალურ სინამდვილეში პოულობდა. ნ. მარი დამარწმუნებლად ცხადყოფს, რომ ვეფხისტყაოსნის იდეები, ვეფხისტყაოსნის ჩხატვრული სახეები, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები გამოხატავენ XII საუკუნის საქართველოს რეალურ სოციალურსა და ეროვნულ სინამდვილეს. მარი იმასაც ასაბუთებს, რომ რუსთველის შემოქმედება არა მარტო ეროვნულია, არამედ ხალხურია. რუსთველი მსოფლიო, საკაცობრიო იდეებით იყო შთაგონებული; ის არც რელიგიური აზროვნების არტახებით იზღუდებოდა, არც ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში ემწყვდეოდა; იგი მსოფლიო ღირებულების დიდი ხელოვანია, „მსოფლიო ღირებულების შემქმნელი ადგილობრივ, კუთხურ (ნაციონალურ) ჩარჩოებში“ (ИАН, 1917).

მარი არ იყო თანმიმდევრული მკვლევარი. მის ისტორიულ-ფილოლოგიურ ნააზრევში, კერძოდ, მის რუსთველოლოგიურ შეხედულებებში, ბევრი წინააღმდეგობაა, ერთმანეთთან შეუთანხმებელი და ერთიმეორის გამომრიცხველი თვალსაზრისია განვითარებული. 1917 წელს, მაგალითად, მარმა წამოაყენა ე. წ. ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა, რომლითაც ვერც ახალი შეხედულება დაამკვიდრა ქართული კულტურის განვითარების გზების თაობაზე და ძველსაც ძირი გამოუთხარა. ახალი კონცეფციით, ვითომც ქართული საერო კულტურა აყვავდა და გაიფურჩქნა XIV საუკუნეში, მონღოლთა ველური კირთების ხანაში და ვითომც ქართული სულიერი კულტურის აღმავლობა შეაპირობა მესხეთში მუსლიმანური სარწმუნოების გავრცელებამ და, ბოლოს, ვითომც ვეფხისტყაოსანი მუსლიმანური სარწმუნოებრივი სულისკვეთებით არის გამსჭვალული, ხოლო მისი ავტორი, შოთა რუსთველი, აღმსარებლობით იყო მუსლიმანი, ქართველი მუსლიმანი. ახალმა ისტორიულ-კულტურულმა კონცეფციამ მარი აიძულა გადაესინჯა ვეფხისტყაოსნის შექმნის თარიღისა და ავტორობის საკითხები. ამისდა მიუხედავად, საბოლოოდ მაინც მარი ისევ ტრადიციულ შეხედულებებს დაუბრუნდა.

ნ. მარს ბევრი საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობასა, სოციალურ-პოლიტიკურ აზროვნებასა და პოეტიკის თაობაზე. მარმა მშვენივრად დაასაბუთა, «На что был способен гений маленького грузинского народа, когда он обеспечивал себе урывками мирное но свободное развитие своих культурных сил»[25].

[25] История грузии (Культурно-исторический набросок), СПб., 1906, с. 23.

უდავოდ, დიდია ნიკო მარის ღვაწლი ვეფხისტყაოსნის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. ამ ღვაწლის შეუფასებლობა ისევე უმართებულო იქნებოდა, როგორც მისი მოჭარბებული გადაფასება.

ნ. მარს ჰყავდა მიმდევრები რუსთველოლოგიაში. განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდა თავისი მასწავლებლის მიმართ იუსტინე აბულაძე, ვეფხისტყაოსნის საკითხების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და ნაყოფიერი მკვლევარი. საყურადღებოა, რომ იუსტ. აბულაძე იზიარებდა ნ. მარის შეხედულებას პოემის სიუჟეტის ნასესხობის თაობაზე, მაგრამ მაინც გააკრიტიკა მარის უცნაური „ახალი კულტურულ-ისტორიული“ კონცეფცია. უფრო ფასეულია იუსტ. აბულაძის ღვაწლი როგორც ვეფხისტყაოსნის მეცნიერი გამომცემლისა. მისი რედაქციით პოემა ორჯერ დაიბეჭდა — 1914 და 1926 წლებში. ესენი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემებია. იუსტ. აბულაძემ პირველმა გამოიყენა შედარებით ფართოდ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და ნაწილობრივ ვარიანტებიც დაურთო ძირითად ტექსტს. მანვე პირველად მიაქცია ყურადღება რუსთველის ენის სპეციფიკურ მხარეს (მაგალითად, -მცა ნაწილაკს) კრიტიკული ტექსტის დასადგენად. ეს კია, რომ იუსტ. აბულაძე გადაჭარბებით აფასებდა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის მნიშვნელობას და პოემის ნამდვილ ტექსტს მხოლოდ ამ გამოცემის ფარგლებში ეძიებდა[26].

ახირებული თვალსაზრისი წამოაყენა ვეფხისტყაოსნის გვიანდელ დროში შექმნის თაობაზე სარგის კაკაბაძემ. ისიც ცნობილია როგორც ვეფხისტყაოსნის გამომცემელი ტექსტოლოგი. მანაც ორჯერ გამოსცა პოემა — 1913-სა და 1927 წლებში. 1913 წლის გამოცემა იმით გამოირჩევა, რომ ემყარება ხელნაწერულ ტრადიციას. ამ გამოცემაში შესულია პოემის ჩანართ-დანართები და ამ მხრივ დიდხანს (სანამ ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული ჩანართ-დანართიანი ტექსტი დაიბეჭდებოდა 1956 წელს) უნიკალური გამოცემის მნიშვნელობით სარგებლობდა.

ვეფხისტყაოსნის რევოლუციამდელი გამოცემებიდან აღსანიშნავია კიდევ ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა 1888 წლისა. ეს გამოცემა განხორციელდა ქველმოქმედი მრეწველის გ. ქართველიშვილის საფასით, მდიდრულადაა გაფორმებული და დასურათებული მიხაი ზიჩის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები: გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი და სხვ. ამ გამოცემის თარსანი ყოფილა იონა მეუნარგია. საბოლოო რედაქცია გაუწევია ივანე მაჩაბელს (სარედაქციო შენიშვნაში იკითხება: „ბეჭდვის დროს ყურის-

[26] იუსტინე აბულაძის უმთავრესი რუსთველოლოგიური ნაშრომები თავმოყრილია კრებულში, რომელიც შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ი. მეგრელიძემ (ი უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე. რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 362).

გდება იდვა თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქციაც"). ქართველიშვილისეული გამოცემის სარედაქციო კომისია კრიტიკულად მიუდგა ვახტანგის გამოცემას, იმასთან შედარებით ტექსტი რამდენადმე კიდევ უფრო შეამცირა (ქართველიშვილისეულ გამოცემაში 1576 შაირია, ვახტანგისაში — 1587). სტროფული მოცულობის მხრივ ქართველიშვილისეული რედაქცია განმეორებულია დავით კარიჭაშვილის გამოცემებში (თბილისი, 1903, 1920).

ეფხისტყაოსნის ხელნაწერები თავის დროზე მეცნიერულად აღწერა და მათი რედაქციული შედგენილობა განიხილა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან დაადგინა, რომ ვახტანგისეული გამოცემა კრიტიკული გამოცემაა. რომ ვახტანგს გაუცხრილავს პოემის ტექსტი შემდეგი დროის დანართებისა და ჩანართებისაგან[27].

ქართული მეცნიერება საზოგადოდ, კერძოდ კი, ქართულმცოდნეობა და მისი ერთ-ერთი შტო რუსთველოლოგია, ძალიან დაწინაურდა საბჭოთა პერიოდში. ახალი ქართული მეცნიერება ჩაისახა ეროვნულ ქართულ უნივერსიტეტში და იქიდან დაიწყო მისი განვითარება. თუ რევოლუციამდე ქართული მწერლობის საკითხებს იკვლევ-ძიებდნენ ცალკეული ენთუზიასტი პირები, საბჭოთა სინამდვილეში ეს საქმე მინდობილი აქვს დიდ კოლექტივებს — სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და უმაღლეს სასწავლებლებს. მაგალითად, ახლა ეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის საკითხებს საგანგებოდ სწავლობს ქართული ლიტერატურის ისტორიის რუსთველოლოგიის განყოფილება, თბილისის უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, რიგი სხვა აკადემიური დაწესებულება (ისტორიის ინსტიტუტი, ფილოსოფიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი...) რუსთველოლოგიის სპეციალური კურსი იკითხება უმაღლეს სასწავლებლებში. რუსთველოლოგიური პრობლემატიკა მუშავდება საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის რიგ სამეცნიერო ცენტრში. ეფხისტყაოსანი ითარგმნება და ვრცელდება მთელ კულტურულ მსოფლიოში. იგი თანდათანობით იკავებს თავის კუთვნილ ადგილს მსოფლიო პოეზიის დიდების პანთეონში. ეფხისტყაოსნის მსოფლიო სარბიელზე გასვლას და მისი შესწავლის საქმეში წინსვლას დიდად შეუწყო ხელი ეროვნულ-სახალხო დღესასწაულად ქცეულმა ორგზისმა იუბილემ (1937 წელს ეფხისტყაოსნის შექმნის 750-ე წლისთავმა, 1966 წელს — რუსთველის დაბადების 800 წლისთავმა). ახლა მკვლევართა განკარგულებაშია ეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სრული მეცნიერული აღწერილობანი, ხელნაწერთა ფოტოპირები, რუსთველოლოგიური ლიტერატურის ჩვეულებრივი თუ ანოტი-

[27] Описание рукописей, II, 1908, с. 581.

რებული ბიბლიოგრაფიები, სიმფონიები, საძიებლები და სხვა საცნობარო მასალები.

საბჭოთა პერიოდში ინტენსიურად მუშავდება რუსთველოლოგიის მრავალფეროვანი პრობლემატიკა. ერთ უმთავრეს პრობლემად კვლავაც რჩება ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხი. 1921 წლიდან 1977 წლამდე პოემა დედნის ენაზე საქართველოში დიდი ტირაჟებით 34-ჯერ დაიბეჭდა, რამდენიმე გამოცემა განხორციელდა საზღვარგარეთ, ხშირად და აგრეთვე დიდი ტირაჟებით იბეჭდება პოემის თარგმანები, განსაკუთრებით რუსული თარგმანები. მაინც მკითხველთა მოთხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ და ვეფხისტყაოსნის წიგნი ძნელი საშოვარია. რასაკვირველია, პოემის ყველა პუბლიკაციას ერთნაირი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს. ბევრი მათგანი სტერეოტიპული გამოცემაა. აქ მოვიხსენიებთ მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ზოგიერთ გამოცემას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1926—1927 წლებში გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის აბულაძისეული და კაკაბაძისეული გამოცემები. 1934 წელს დაიბეჭდა პოემის ტექსტი პოეტისა და რუსთველოლოგის კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით, ლექსიკონითა და სიმფონიით. კ. ჭიჭინაძის გამოცემის თავისებურება ის იყო, რომ აქ შეტანილია წინა გამოცემებით უცნობი მთელი რიგი სტროფები და მათ შორის ერთი ეპიზოდური, ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავი. საერთოდ, კ. ჭიჭინაძე არ ცნობდა ვეფხისტყაოსნის ინტერპოლაციებს, მას მიაჩნდა, რომ ხელნაწერებით შემონახული მთელი ტექსტი ჩანართებით და დანართებით, გაგრძელებებით (ინდო-ხატაელთა ამბავი, ხვარაზმელთა ამბავი, გმირთა ანდერძები და აღსასრულის ამბავი) ეკუთვნის რუსთველს. ოღონდ, მკვლევრის მოსაზრებით, რუსთველმა არ შეიტანა პოემის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ტექსტში ბოლო თავები (ხვარაზმელთა ამბავი, გმირთა აღსასრულის ამბავი). ენობრივ-მხატვრულად სუსტი ეპიზოდები წარმოადგენსო, ამტკიცებს კ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსნის პირვანდელი, ავტორისეული ვარიანტის ნამსხვრევებს, ამიტომაც არ შეუტანიაო ისინი ჩვეულებრივ გამოცემაშიო. პოემის ჭიჭინაძისეულმა გამოცემამ თავის დროზე დიდი პაექრობა გამოიწვია. ამასობაში გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1934 წლის 20 აგვისტოს თარიღით) ვეფხისტყაოსნის იუბილეს თაობაზე. იუბილე აღინიშნა მთელს ჩვენს ქვეყანაში და ნაწილობრივ საზღვარგარეთაც 1937 წლის დეკემბერში. გადაწყდა იუბილესათვის მომზადებულიყო და დაბეჭდილიყო ვეფხისტყაოსნის მეცნიერულად შემოწმებული და დადგენილი ტექსტი. ამისათვის რუსთაველის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც თბილისის უნივერსიტეტთან არსებობდა, შეიქმნა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისია კ. კეკელიძისა და ა. შანიძის ხელმძღვანელობით. შედარებით მცირე დროის განმავლობა-

შ. კომისიამ დაამთავრა მუშაობა და ტექსტი გამოსაქვეყნებლად წარუდგინა საიუბილეო კომიტეტს. 1937 წელს გამოქვეყნდა პოემის საიუბილეო გამოცემა. სამწუხაროდ, იგი ისე არ დაიბეჭდა, როგორც იყო გამზადებული ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ. კომისიის მიერ უარყოფილ რიგ ცალკეულ შაირთან ერთად 1937 წლის გამოცემაში აღმოჩნდა ინდო-ხატაელთა ამბავიც, რაც კომისიას ჩანართად მიაჩნდა[28]. 1966 წლამდე, მეორე საიუბილეო თარიღამდის, სრულიად უცვლელად ან მცირეოდენი უმნიშვნელო რედაქციული ცვლილებებით იბეჭდებოდა 1937 წლის გამოცემის ტექსტი, რომელიც კანონიკურად იქნა აღიარებული და აიკრძალა მასში ცვლილებების შეტანა, კატეგორიულად იყო აკრძალული კანონიკურად მიჩნეული გამოცემის სტროფული შემადგენლობის ხელყოფა. 1937 წლის გამოცემას არ ახლავს არც ვარიანტები და არც რაიმე სარედაქციო შენიშვნები, საერთოდ სამეცნიერო აპარატი.

სპეციალისტები კარგად ხედავდნენ 1937 წლის გამოცემის სუსტ მხარეებს[29]. გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯებიც იქნა გადადგმული ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის ნიადაგის შესამზადებლად. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა ადრე საზღვარგარეთ გატანილი განძეულობა, მათ შორის ვეფხისტყაოსნის რამდენიმე საუკეთესო ხელნაწერი ნუსხა, მიეღოთ ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკისა და პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ვეფხისტყაოსნის ნუსხათა ფოტოპირები, ცნობილი გახდა და ხელმისაწვდომი პოემის ახალი ხელნაწერებიც[30]. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა 1956 წელს გამოსცა ვეფხისტყაოსნის უსრულესი რედაქციული ტექსტის შემცველი ხელნაწერი (H 757) და იმის კვალობაზე ყველა სხვა ხელნაწერის ვარიანტი 4 ტომად (თბილისი, 1960—1963), 1961 წელს გამოვიდა ვეფხისტყაოსნის ვარიანტები ძირითად ბეჭდურ გამოცემათა მიხედვით. მომზადდა და გამოქვეყნდა (1959 წელს) ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შემადგენლობის ნუსხა (შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი). მიუხედავად ზოგი ნაკლისა და ცალკეული შეცდომებისა, ვეფხისტყაოსნის ვარიანტების გამოქვეყნებამ დიდი როლი შეასრულა შემდეგ პოემის ტექსტის დადგენის საპასუხისმგებლო საქმეში. სარგის ცაიშვილმა შეის-

---

[28] კ. კეკელიძე, Отчет о работах по установлению критического текста поэмы Вепхисткаосани для юбилейного (1937) издания (ეტიუდები, VII, 1961, გვ. 279—290).

[29] ვრაცალთაგან იხ. ალ. ბარამიძე. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის (ლიტერატურული ძიებანი, V, გვ. 133—170); მისივე, ხმა წარსულიდან (ლიტერატურული საქართველო, 10, 9. 76).

[30] ა. შანიძე. დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში (მნათობი, 1956, X. XI).

წავლა, რედაქციულად დაახარისხა და მეცნიერულად აღწერა ვეფხისტყაოსნის ჩვენს დრომდის მოღწეული ყველა ხელნაწერი და ფრაგმენტი. 1970 წელს ეს ნაშრომი ორ წიგნად დაისტამბა (ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, თბ., I, II, 1970). ძალიან საჭირო და სასარგებლოა აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილი და გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (თბ., 1956 წ.), აგრეთვე ენათმეცნიერების ინსტიტუტის პუბლიკაცია — ვეფხისტყაოსნის სიმფონია. ფუძეთა და სიტყვაფორმათა ინდექსი (თბ., 1973).

1962 წლის შემოდგომაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია და მისი მთავარი რედაქცია. კომისიის გეგმის თანახმად აუჩქარებლად და კონკრეტული ვადით შეუზღუდავად უნდა მომზადებულიყო პოემის მეცნიერულ-კრიტიკული (აკადემიური) ტექსტი სრული ვარიანტებით, ვრცელი ლექსიკონით და ფართო კომენტარებით. ვეფხისტყაოსნის ამგვარი გამოცემის მომზადება, რასაკვირველია, დიდ დროს მოითხოვდა. ამიტომაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით (27. IX. 62), აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებს ა. შანიძესა და ალ. ბარამიძეს დაეკალათ მოემზადებინათ ფართო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად პოემის მორიგი, გაუმჯობესებული. ე. წ. შუალედი გამოცემა, რომელსაც დაერთვებოდა ძირითადი ვარიანტები, მოკლე კომენტარები და ლექსიკონი. 1966 წელს გამოვიდა კიდევაც ვეფხისტყაოსნის ვარიანტებიანი გამოცემა, რომელსაც არ ახლავს ლექსიკონი და კომენტარები. ამასთან ერთად იმავე 1966 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრების გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქტორობით მომზადებული კრიტიკული ტექსტი პოემისა (უვარიანტოდ, ულექსიკონოდ და უკომენტაროდ). ცოტათი მოგვიანებით (1970 წ.) დაიბეჭდა აგრეთვე კომისიის წევრის პ. ინგოროყვას მომზადებული ტექსტიც. დასახელებულ გამოცემათა საფუძველზე 1966 წელს გამოვიდა მდიდრულად გაფორმებული და დასურათებული საიუბილეო გამოცემა (ორ გამოშვებად, რედაქციულად ორივე ერთი და იგივეა, განსხვავებულია დასურათება). ამ საიუბილეო გამოცემასაც არ ახლავს სამეცნიერო აპარატი და, რაც მნიშვნელოვანია, ლექსიკონი, რეორგანიზებული მთავარი რედაქცია კი განაგრძობდა თავის მუშაობას. 1973 წლის სექტემბრამდე მთავარ რედაქციას ხელმძღვანელობდა მთავარი რედაქტორის სახით გიორგი წერეთელი. მისი გარდაცვალების შემდეგ მთავარ რედაქციაში მოხდა ნაწილობრივი ცვლილება. ამ დროიდან (ე. ი. 1973 წლის სექტემბრიდან) მთავარი რედაქციის წევრები არიან: ალ. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), ირ. აბაშიძე, შ. ძიძიგური, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ი. გიგინეი-

შვილი, ც. კიკვიძე, გ. კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი). 1974 წლიდან მოკიდებული სისტემატურად იბეჭდება „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიაში მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები და დადგენილი ტექსტი. ამგვარად დაინტერესებული საზოგადოება ინფორმირებული ხდება ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის საქმიანობაზე[31]

საბჭოთა პერიოდში გრძელდებოდა ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების (თარიღის, ავტორობის, ლიტერატურული წყაროს ანუ სიუჟეტის სადაურობის) კვლევა-ძიება. გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი მონოგრაფია, ათეული სპეციალური ნარკვევი და ასეული სტატია. რა თქმა უნდა, უძირითადესი მათგანის დასახელებაც კი შეუძლებელია: დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ მიმართოს რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ვეებერთელა პირველ ტომს, რომელიც მოიცავს 1712—1956 წლებს და რომლის შემდგენელია გაიოზ იმედაშვილი. მზადაა გამოსაცემად ანოტირებული ბიბლიოგრაფიის მეორე ტომი. გამოქვეყნდა რიგი სხვა საცნობარო ბიბლიოგრაფიული საძიებლებიც, რომელთაგან უნდა დავასახელოთ ა. ბაბაიანის წიგნი რუსულ ენაზე: «Шота Руставели. Библиографический справочник. 1712—1970 (Москва, 1975)». ჩემს მიმოხილვაში დავკმაყოფილდები არსებული ვითარების პოზიტიური მხარის აღწერით, ე. ი. კვლევა-ძიებითი მუშაობის პოზიტიური შედეგების გადმოცემით.

1. ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღი

ამ საკითხში მიღებული და გაბატონებულია ტრადიციული თვალსაზრისი, რომელიც ემყარება პოემის პროლოგის მონაცემებს: აქ თავის ადგილას შექებული არიან პოეტის მეფე-პატრონები — თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი. მაშასადამე, ვეფხისტყაოსანი შეთხზულია XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე, თამარისა და დავითის ზეობის დროს, 1189—1207 წლებს შუა. განსხვავებული მოსაზრებანი წამოაყენეს იუსტინე აბულაძემ და კორნელი კეკელიძემ. ი. აბულაძის სიტყვით, „დანამდვილებით შეიძლება დღეისდღეობით ითქვას... რომ ჩვენს პოეტს (ე. ი. შოთა რუსთველს — ა. ბ.) თამარის სიკვდილის შემდეგ დაუსრულებია, ანუ, უკეთ, ჩამოუყალიბებია თავისი პოემა“ (ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოცემის შესავალი წერილი, გვ. XXIII). თავისი მოსაზრება ი. აბულაძეს არ დაუსაბუთებია. კ. კეკელიძის თვალსაზრისით, ვეფხისტყაო-

[31] ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის საქმიანობას აშუქებს ალ. ბარამიძის ნარკვევი ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე. (ახლო წარსულიდან, 1983).

სანში საგრძნობია პესიმისტური ჰანგი, რაც არ შეეფერება თამარის დროის ლაღსა და ცხოველმყოფელ მსოფლმხედველობას. ასეთი განწყობილებანი ბუნებრივი იქნებოდაო იმ დროს, როდესაც „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“. აღნიშნულის კვალობაზე ვეფხისტყაოსანი არ შეიძლება შექმნილიყო „უადრეს მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევისა ჩვენში“. პოემის შეთხზვის თარიღად კ. კეკელიძე დებს XIII საუკუნის მესამე ათეულის გასულს. კ. კეკელიძის მოსაზრების მთავარი საფუძველი ისაა, რომ პროლოგში რუსთველი აცხადებსო (4,1): „თამარს ვაქებდეთ ცეფესა სისხლისა ცრემლდათხეული“. „რატომ ცრემლების ღვრით?“ — კითხულობდა მკვლევარი და განმარტავდა: „იმიტომ, რომ ის პოეტს ეგულვება უკვე გარდაცვლილად“[32]. ეტყობა, კ. კეკელიძის მოსაზრებებმა ზეგავლენა მოახდინა უცხოელ ქართველოლოგებზე, იაროშირ იედლიჩკასა და დევიდ ლანგზე. ამათაც გაკვრით გამოთქვეს სკეპტიკური აზრი ვეფხისტყაოსნის თარიღის თაობაზე. ვეფხისტყაოსნისათვის რომ პესიმისტური სოფლგაგება უცხოა, ეს ახლა დავას აღარ იწვევს, ხოლო სისხლის ცრემლების ფრქვევა, რუსთველის ენაზე, ნიშნავს შეყვარებულთა დროებითი გაყრით გამძაფრებული, უზომოდ დიდი. თავდავიწყებამდე მისული თაყვანისცემის განცდის გამოხატვას და არა სიკვდილით გამოწვეულ სამგლოვიარო განწყობილების უკუფენას[33].

2. ავტორობა

ვეფხისტყაოსნის ავტორი რომ შოთა რუსთველია, ახლა ეს რაიმე ცილობას აღარ იწვევს. საცილობლად არის გამხდარი რუსთველის ვინაობა. ბოლო დროს დიდი მონდომებით, მაგრამ წარუმატებლად, ცდილობს პროკ. რატიანი დაამტკიცოს, რომ რუსთველი ერისკაცი კი არ იყო, არამედ სასულიერო პირი, რუსთავის მთავარეპისკოპოსი[34]. რუსთაველის

---

[32] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 120, 131—132, 136, 141; იგივე, 1958 წლის გამოცემა, გვ. 149, 151, 156, 159.

[33] ამ საკითხზე ვრცლად იხ. ალ. ბარამიძე. პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი, ალმანახი „კრიტიკა“, I, 1972, გვ. 109—118; ნარკვევები, V, 1975, გვ. 30—44. ეს ნარკვევი გამოქვეყნდა აგრეთვე რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

[34] პ. რატიანი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის (მნათობი, 1968, № 2, 3, 4, 5); იგივე ცალკე წიგნად (თბილისი, 1969); ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის (მნათობი, 1968, № 8); იგინივე, იძულებითი პასუხი, (მნათობი, 1970, № 3); ს. ყაუხჩიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. მეგრელიძე, შ. ბადრიძე, რუსთაველზე კლერიკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ (მნათობი, 1969, № 11, გვ. 150—155); ნ. შოშიაშვილი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ (იქვე, გვ. 156—180); პ. რატიანი ისევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის თაობაზე (ცისკარი, 1969, № 11, გვ. 123—138.).

გეოგრაფიულ რუსთავთან კავშირი უეჭველია, ოღონდ რომელი რუსთავი უნდა ვიგულისხმოთ, მესხეთისა თუ თბილისის მახლობლად მდებარე? ლიტერატურული ტრადიცია და ხალხური გადმოცემები ბეჯითად უჭერს მხარს რუსთველის მესხობას. თეიმურაზ ბატონიშვილის ფიქრით, რუსთველი უნდა ყოფილიყო „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი შოთა ჰერეთის ერისთავი, კუპრი (შოთა კუპრი), მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე. ეს თეზისი განავითარა, გააღრმავა, გააფართოვა და მთელი თეორიის ხასიათი მისცა პავლე ინგოროყვამ. შოთას კუპრობა (კუპარობა) მან გაიგო, როგორც ურწმუნოების, ორთოდოქსალური ქრისტიანული აღმსარებლობიდან განდგომის და მანიქეიზმის მოძღვრების აღიარების გამოხატულება. ამ პრობლემას მიუძღვნა მან ორი დიდი წიგნი (და რამდენიმე ცალკეული ნარკვევი): რუსთველიანა (თბილისი, 1926) და რუსთველიანას ეპილოგი (მნათობი, 1963, № 3, 4, 5, 6, 7). ორივე წიგნი შესულია პავლე ინგოროყვას თხზულებათა პირველ ტომში (თბილისი, 1963). შოთას მანიქეველობის საკითხი მკვლევარმა ძლიერ შეარბილა, თუმცა საერთოდ არ უარუყვია. სამაგიეროდ, მან გააძლიერა პოეტის ბიოგრაფიის სხვა მხარეების ძიება. მისი შეხედულებით, ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო ბაგრატიონთა გვერდითი შტოს შთამომავალი. ჰერეთის ერისთავი შოთა, თამარისადმი ტრაგიკული სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული. პავლე ინგოროყვას მონოგრაფიების თანახმად, ვეფხისტყაოსანი არის ისტორიული შიფრის შემცველი მხატვრული ნაწარმოები, ხოლო „ამოცნობა ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრისა — ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სხვა საკითხთა შორის“. პოემის ისტორიული შიფრის ამოცნობა „იძლევა თვით ვეფხისტყაოსნის გასაღებსო“. მკვლევრის დაკვირვების თანახმად, ვეფხისტყაოსნის გმირი ქალი ნესტანდარეჯანი წარმოგვიდგენს პოეტურ ასპექტში თამარს, ხოლო ტარიელი თვით პოეტ შოთას. იგი ერცლად ჩერდება როგორც „რუსთველიანაში“, ისე „რუსთველიანას ეპილოგში“ ტარიელისა და შოთას ისტორიათა იგივეობის საკითხზე, „ვეფხისტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია“-ო. ამ გზით კი მკვლევარს მისებურად გადაწყვეტილი აქვს ვეფხისტყაოსნის შინაარსის (სიუჟეტის) ორიგინალობა და აღდგენილი შოთა რუსთველის ბიოგრაფია. სამწუხაროდ, თავისთავად ეს საინტერესო კონცეფცია კრიტიკას ვერ უძლებს.

რუსთველის საბიოგრაფიო საკითხების შესწავლის საქმე მნიშვნელოვნად წასწია წინ იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელიც მოეწყო 1960 წლის შემოდგომაზე ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის მონაწილეობით[35]. იერუსალიმში (ჯვარის მონასტერში) რომ რუს-

[35] ექსპედიციის მუშაობის მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა პრესაში (გაზ. „კომუნისტი“, 22.XI.60; გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 22. X. 60 და სხვ).

თველის პორტრეტი, ფრესკული გამოსახულება მოიპოვებოდა, ეს ცნობილი იყო ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლით“. 1845 წელს ეს პორტრეტი პრიმიტიულად გადმოხატა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა. 1883 წელს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია აღწერა ალექსანდრე ცაგარელმა. მასვე გადმოუღია პოეტის ფრესკული გამოსახულება წარწერითურთ. ფრესკის ცაგარლისეული პირი არსად ჩანს. 1902 წელს სამეცნიერო მიზნით იერუსალიმში ჩავიდა და იქაური ქართული ხელნაწერები შეისწავლა ნ. მარმა. რუსთველის სურათზე იგი აღარაფერს ამბობს. ამ დროისათვის ფრესკა მოშლილი ჩანს. 1903 წელს დ. კარიჭაშვილი წერდა, რომ რუსთველის პორტრეტი „ბოლო დროს უმეცარს ბერებს წაუშლიათო“. ნ. მარმა იერუსალიმის აღაპთა წიგნში მოიპოვა ვინმე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენიებელი ჩანაწერი. ამ შოთას ვინაობაზე მარს არაფერი უთქვამს, თუმცა ჯერ კიდევ ტიმოთე გაბაშვილი მას აიგივებდა პოეტ შოთა რუსთველთან. მეტად ბუნდოვანსა და გაურკვეველ ცნობას გვთავაზობს ნ. მარი შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენიებლის თარიღის თაობაზე. რიგმა ავტორიტეტულმა მკვლევარმა ეს მოსახსენიებელი გვიანდელ ჩანაწერად მიიჩნია. 1960 წლის ექსპედიციას სამუშაოდ მცირე დრო ჰქონდა და დაბრკოლებაც ბევრი შეხვდა, მაგრამ ექსპედიციის წევრებმა მოიპოვეს და გადმოიღეს „მუქი მწვანე ფერის საღებავის სქელი ფენის“ ქვეშ დაფარული თუ დამარხული სურათი რუსთველისა წარწერითურთ: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“. იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად გაირკვა რუსთველის ერთი უძირითადესი ბიოგრაფიული ფაქტი — შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის იგივეობა. აღმოჩნდა პოეტის მოხუცებულობის დროინდელი ჩინებულად შესრულებული პორტრეტი. პოეტი გამოსახულია ქართველი დიდებული ერისკაცის მდიდარი სამოსლით, როგორც შეეფერებოდა ეს ვაზირ მეჭურჭლეთუხუცესს. თავის წარმოშობით პორტრეტიცა და სააღაპო მოსახსენიებელი უნდა ეკუთვნოდეს XIII საუკუნის პირველ ნახევარს, თუმცა ფრესკა შემდეგში განახლებული (რესტავრირებული) ჩანს. მთელი რიგი მკვლევარი მხარს უჭერს გადმოცემას რუსთველის სამშობლოდან გარდახვეწის, იერუსალიმში დამკვიდრებისა და იქ აღსრულების შესახებ, მაგრამ სამისო დოკუმენტური მასალა არ გვაქვს, თუმცა მსგავსი შესაძლებლობა საერთოდ არ შეიძლება გამორიცხულად ჩაითვალოს. რუსთველის იერუსალიმში დამკვიდრების წყაროა უნდა იყოს პოეტის იქაური ფრესკული გამოსახულება. მაგრამ, როგორც ფრესკული გამოსახულება, ისე სააღაპო ჩანაწერი შედეგია შოთა რუსთველის კტიტორული საქმიანობისა (ტიმოთე გაბაშვილის სიტყვით, ჯვრის მონასტრის „გუმბათის ქვეით სვეტნი განუახლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთველს მეჭურჭლეთუხუცესსა“).

ჩვენ ბეჯითად არაფერი ვიცით შოთა რუსთველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვა მხარეებზე. სარწმუნო ისაა, რომ იგი უნდა ყოფილიყო რუსთავის მფლობელ-მეპატრონე, თამარის სამეფო კართან ახლო მყოფი პირი (ვაზირი მეჭურჭლეთუხუცესი), უნდა დაბადებულიყო დაახლოებით XII საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში და აღსრულებულიყო (როგორც ეს იერუსალიმის პორტრეტიდან ჩანს) ღრმა მოხუცების დროს[36].

3. ვეფხისტყაოსნის ფაბულის წყაროს საკითხი

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის პროტოტიპს ვერ მიაგნო, თუმცა ბევრი ეძებდა, ვერც ნ. მარის შვილმა, ჩინებულმა ირანისტმა იური (გიორგი) მარმა. ქართულის მიხედვით დამუშავებული აღმოჩნდა ე. წ. უზბეკური ვერსიაც. როცა აშკარა გახდა, რომ სპარსულენოვან სამყაროში (და საერთოდ მუსლიმანურ აღმოსავლეთში) ვეფხისტყაოსნის ნაკვალევი არ ჩანს, პოემის სიუჟეტის სპარსულიდან წარმოშობილობის თეზისის გადასარჩენად შემუშავდა ისეთი კონცეფცია, თითქო სპარსულიდან ნათარგმნი „ბაჰრამიანისა“, „ამირანდარეჯანიანისა“, „ვისრამიანისა“ და მისთანათა „ზღაპრული სადევგმირო ამბების სხვადასხვა ნაწყვეტებისა და კერძო ეპიზოდების შეერთებით, შესაძლებელი ხდება თითქმის მთელის ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შედგენა“[37]. ასეთი შეხედულება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტზე ერთგვარად მისაღები იყო იმათთვისაც, ვინც პოემის ფაბულის სპარსულიდან ნასესხობის თეორიას არ იზიარებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, კ. კეკელიძის შემდეგი მსჯელობა: „თუ შინაარსს გადავავლებთ თვალს, ჩვენ შევსძლებთ ვეფხისტყაოსნის ზღაპრის მსგავსი ჩონჩხის აღდგენას ამირანდარეჯანიანის მიჯნურთა ამბებიდან“[38].

---

[36] უნიადაგოა მოსაზრება შოთა რუსთველისა და ჩახრუხაძის იგივეობაზე (ბროსე, შარი). დაუსაბუთებელია შეხედულება რუსთველის სიცოცხლეშივე დევნისა და გაძევების თაობაზე (ვ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე), ისევე, როგორც მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია ფართოდ გავრცელებული ვერსია რუსთველის უიღბლო მიჯნურობაზე თამარის მიმართ (პოემის პროლოგი ამისთვის არ გამოდგება). ლაღი ფანტაზიის ნაყოფია შოთა რუსთველის ის ბიოგრაფია, რასაც გვთავაზობს სარგის კაკაბაძე (შოთა რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, „განათლება“, 1966).

[37] იუსტინე აბულაძე, ვეფხისტყაოსნის 26-ე გამოცემის (1926 წლის) შესავალი წერილი. გვ. XIII. მართალია, მკვლევარი თვლიდა, რომ ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან მომდინარე პროზაული წყარო, რომელიც რუსთველს ლექსად გაუწყვია „იყო ჩონჩხი, ეს კი გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებიაო“ (იქვე, გვ. XVII).

[38] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 139.

საბჭოურ მკვლევართა ერთი რიგი (პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, დ. ბენაშვილი, დ. ჭუმსიშვილი) ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის (ფაბულის) ორიგინალობის დასაბუთებას იმით ცდილობს, თითქოს პოემა ალეგორიული ენით ასახავს კონკრეტული ხასიათის ქართულ ისტორიულ სინამდვილეს და, მაშასადამე, სიუჟეტის სპარსული წარმომავლობა გამორიცხულიაო. მაგრამ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის ამ თვალსაზრისს გვერდი აუარა ს. კაკაბაძემ. მან თითქოს მოარიგა ერთმანეთთან პოემის სიუჟეტის სპარსულიდან წარმომავლობა და მისი შინაარსის ალეგორიულ-ქართული ხასიათი. ს. კაკაბაძის ვარაუდით, ვეფხისტყაოსანი პირველად სპარსულად შეუთხზავს პროზით ქართველ კაცს, მეხოტბე ჩახრუხაძის უფროს ძმას ისო ჩახრუხაძეს 1180 წლის ახლოს. ეს სპარსული პროზაული თხზულება ვითომ იგავურად (ალეგორიულად) ასახავდა XII საუკუნის საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს, თხზულების მთავარი პერსონაჟებიც (როსტევანი, თინათინი, ავთანდილი, ნესტანი, ტარიელი) თითქოს ისტორიული პირები ყოფილან (გიორგი III, თამარი, ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი...). ამრიგად, ისო ჩახრუხაძის მიერ სპარსულად დაწერილი ვეფხისტყაოსანი არსებითად უკვე ამოწურავდა რუსთველის ავტორობით ცნობილი პოემის ძირითად შინაარსს. რამდენადაც სპარსული ვეფხისტყაოსანი საქართველოს ამბებს ასახავდა, „მაშინვე გაჩნდა სპარსულად დაწერილი ამ მოთხრობის ქართულად გადმოთარგმნის საჭიროება". სარგის თმოგველს არ დაუყოვნებია და 1181 წელს ის ქართულად გადმოუთარგმნია პროზაულადვე, ხოლო 1188—1200 წლებში ის გაულექსავს შოთა რუსთველსო[39].

სულ ბოლო დროს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულიდან წარმოშობის ძველი თეორიის აღდგენა სცადა მაგალი თოდუამ. მან ვითომც „ჩარდარვიშიანში" ამოიკითხა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის მსგავსი ამბავი, ხოლო ეს იმას ამტკიცებსო, რომ თავის დროზე უნდა არსებულიყო ისეთი თხზულება, „რომელიც უფრო ახლო იქნებოდა სპარსულ ამბავთან, ქართულად რომ უთარგმნიათ და მერე რუსთველს რომ გაულექსავს"[40].

ნ. მართან ახლო თანამშრომლობის დროსაც ი. ჯავახიშვილმა ის აზრი გამოთქვა, რომ ვეფხისტყაოსანი XII საუკუნის კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს, რომ თინათინის გამეფების გარემოება, არაკად თქმული „სხვა ძე არ ესვა მეფესა მართ ოდენ მარტო ასული" და „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია" სახელდებით საქარ-

---

[39] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 158—170.

[40] ვ. თოდუას თვალსაზრისი საგანგებოდაა განხილული და გაკრიტიკებული ალ. ბარამიძისა და დ. კობიძის წერილში — „ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე", მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2, გვ. 157—164.

თეელოს ამბებზე მიუნიშნებსო[41]. ეს თვალსაზრისი მან შემდეგ უფრო გააღრმავა და განავითარა. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვების თანახმად „შოთა რუსთველის გმირებში ქართველის გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს ამბები აღელვებს". ქალის ღირსების წინ წამოწევას და ქალის გამეფების შესაძლებლობის პრობლემას ი. ჯავახიშვილი თვლიდა თამარის დროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ქვაკუთხედად. ჯერ კიდევ ფარსადან გორგიჯანიძემ შენიშნაო, ამბობს ი. ჯავახიშვილი, რომ რუსთველის აფორიზმი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია" თამარის გამეფებაზე არის თქმულიო. ამისდა მიუხედავად, ი. ჯავახიშვილს არ გაუზიარებია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ალეგორიულობის თეორია[42].

ბოლო დროს უფრო ფეხს იკიდებს ის თვალსაზრისი, რომ „სპარსული ამბის" მომიზეზებით რუსთველმა გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში (უფრო შუა საუკუნეებში) გავრცელებული ხერხი — სიუჟეტის შენიღბვის, თუ სიუჟეტის ხელოვნურად გაუცხოურების ხერხი (прием сюжетной маскировки или сюжетного отчуждения). შენიღბვის საჭიროებას, ალბათ, იწვევდა ვეფხისტყაოსანში ასახული ამბის გამჭვირვალე ისტორიული ასოციაციები და პოემაში გატარებული სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-სარწმუნოებრივ შეხედულებათა რადიკალიზმი. ამიტომაც რუსთველმა თავისი პოემის წყაროდ გამოაცხადა სპარსული ამბავი, მოქმედება გაშალა უცხოეთის დიდ გეოგრაფიულ არეზე (არაბეთსა, ინდოეთსა, ხატაეთსა და გამონაგონ ქვეყნებში — მულღაზანზარში, გულანშაროსა და ქაჯეთში). შესაფერისადვე უცხოური სახელი შეარქვა თავის ზოგიერთ პერსონაჟს, მათ შორის ნესტან-დარეჯანს, თუმცა ზოგიერთს მაინც ქართული სახელწოდება შეუნარჩუნა (ტარიელი, თინათინი)[43].

4. პოემის კომპოზიცია

ვეფხისტყაოსნის ამბავს უძღვის შესავალი (პროლოგი) და ხურავს დასასრული (ეპილოგი). საკუთრივ პოემა ორი ამბისაგან, არაბეთისა და ინდოეთის ამბებისაგან შედგება. ეს ორი ამბავი ერთმანეთთან ბუნებრივი უშუალობით, ორგანულად არის შერწყმულ-შენივთებული და ერთ მთლიან, განუყოფელ სიუჟეტურ კომპოზიციას ქმნის. მაგრამ პოემის იდეური

---

[41] ქართველი ერის ისტორია, II, 1914, გვ. 660.

[42] ივანე ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბ., 1956, გვ. 15, 19, 27, 46, ალ. ბარამიძე, ივანე ჯავახიშვილი — ქართული მწერლობის მკვლევარი, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები. VII—VIII, 1975.

[43] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1958, გვ. 54—55; იგივე, 1966 წლის გამოცემა, გვ. 68—71; იგივე 1975 წლის გამოცემა, გვ. 63—65.

შინაარსისა და სახეობრივი სისტემის ასახსნელად ფრიად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ დასახელებული ორი ამბიდან რომელია უმთავრესი, რომელ პერსონაჟებს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა, რომელი რომელს ეწყობა. ამაზეა დამოკიდებული ვეფხისტყაოსნის მთავარი თემისა და მთავარი იდეის საკითხიც. თავის დროზე ნ. მარმა წამოაყენა დებულება, რომ ვეფხისტყაოსნის მთავარი იდეა ძმობა-მეგობრობის (ძმადნაფიცობის) ნათელყოფაა; რომ ესაა ის საძირკველი, რომელსაც ემყარება მთელი პოემა. ნ. მარი წერდა: «Объективно поэма посвящена идее братства на служение общим человеческим идеалам, без различия национальности, и это идейное содержание и характеризует творца «Витязя в барсовой шкуре», как общественного мыслителя и как поэта»[44].

ნ. მარს სავსებით დაეთანხმა ი. ჯავახიშვილი. „მე მგონია, — აცხადებს მკვლევარი, — სავსებით უეჭველია, რომ სწორედ... იდეა ძმობისა... წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლის გულისთვისაც დაიწერა შოთა რუსთველის გენიალური პოემა"[45]. ვეფხისტყაოსნის იდეის საკითხი რომ არკვევს მთავარი პერსონაჟის (თუ პერსონაჟების) საკითხს, ეს გათვალისწინებული ჰქონდათ მარსაც და ჯავახიშვილსაც, განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილს, რომელიც ამბობს: „ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთა რუსთველი აღტაცებულია ტარიელით, რომ ტარიელი მისი საყვარელი გმირია. ეს შემცდარი აზრია"[46]. ივ. ჯავახიშვილის ფიქრით, პოემის მთავარი გმირი, მთავარი პერსონაჟი ავთანდილია, რომელიც გამოხატავს XII საუკუნის მოწინავე პოლიტიკური იდეებისათვის მებრძოლ ადამიანს, მოღვაწეს[47].

კამათში ჩაერთო ცნობილი რუსი მეცნიერი-მედიევისტი აკად. ვ. შიშმარიოვი. მისი მოსაზრებით, „იმაში დაეჭვება, რომ ვეფხისტყაოსანი სიყვარულის პოემაა, შეუძლებელია. და დავა მხოლოდ იმაზე წარმოებს, რომელი წყვილი ჩაითვალოს მთავარ ფიგურად: თინათინ-ავთანდილი თუ ნესტანდარეჯან-ტარიელი"[48]. თუ ვეფხისტყაოსანი სიყვარულის პოემაა, როგორც ფიქრობს ვ. შიშმარიოვი, უცხოელები მ. ბაურა და ლუის სოლანო და ბევრი ქართველი რუსთველოლოგი, მაშინ საკითხი გარკვეულია: პოემის მთავარი ამბავია ინდოეთის ამბავი და მთავარი წყვილი პერსონაჟი ნესტანი და ტარიელია. ამას ამტკიცებს პოემის სათაური — „ვეფხისტყაოსანი" (ე. ი. ვეფხის ტყავით მოსილი ჯაბუკი

---

[44] Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре... (ИАН, 1917, с. 424).

[45] ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 18.

[46] იქვე.

[47] იქვე, გვ 17—18.

[48] შოთა რუსთაველი („ენიმიკის მოამბე", III, 1938, გვ. 240).

ტარიელი), ვეფხის ტყავის განსაკუთრებული, სპეციფიკურ-რუსთველური სიმბოლიკა (გაგულისებული ნესტანი — ძუ ვეფხვი). ვეფხისტყაოსნისათვის, რასაკვირველია, მთავარზე მთავარია ნესტანის ამბავი (და ნესტანის სახე), მისი დაკარგვისა და კვალის ძებნა, განთავისუფლება ქაჯთა ტყვეობისაგან. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ვეფხისტყაოსნის დედააზრი, დედაიდეა გამოთქმულია უკვდავი სიტყვებით: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. სიკეთისა და სინათლის სიმბოლო ნესტანია, ბოროტებისა კი — ქაჯეთის ციხე. პოემის საზეიმო აპოთეოზია: „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“. ამ მეტაფორული მწკრივის მზე ტარიელია, მთვარე — ნესტანი, გველი (გველეშაპი) — ქაჯეთის ციხე. გველეშაპის სასიდან (ქაჯეთიდან) გამოხსნილ იქნა დატყვევებული, ჩასანთქმელად განწირული მთვარე (ნესტანი), რათა იგი შეეყაროს, შეუერთდეს თავის ერთგულ მიჯნურს (ტარიელს). ამით ამოიხსნა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის კვანძი, გამოიკვეთა პოემის დედაიდეა: სიკეთემ დაამარცხა ბოროტება, სინათლემ — სიბნელე, უსამართლობა და ძალმომრეობა. სიყვარული ზეიმობს გამარჯვებას. ახლა როსტევანის მიერ წარმოთქმული შთამაგონებელი სიტყვები: „ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახდენა“. არსებითად დასრულდა ვეფხისტყაოსნის ამბავი. ესაა უკვდავი პოემის იდეური შინარსის ლოგიკური დასასრული. აქედან აშკარა ხდება, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური გრეხილის უმთავრესი რგოლია ნესტან-ტარიელის თავგადასავალი. პოემის ძირითადი სიუჟეტური კვანძი ინასკვება და იხსნება ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიით. ამ სიყვარულის პერიპეტიები ჰქმნის ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური შინარსის ფაზებს. ასეთია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის მოხაზულობა და იმის ფონზე მოქმედი გმირების (პერსონაჟების) განლაგება. ნესტანი უთუოდ შუაგულშია. იმასთანაა ტარიელი. ასე უნდა წარმოვიდგინოთ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური კომპოზიცია. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ნესტანი გარკვეული ასოციაციებით უკავშირდება თამარის სახეს („მისი სახელი ქვემორე შეფარვით მითქვამს, მიქია“), მაშინ კიდევ უფრო გაიზრდება ამ სახის მნიშვნელობა პოემისათვის საზოგადოდ და რუსთველის მხატვრული აზროვნებისათვის კერძოდ.

სადავოდ ქცეული საკითხის ამგვარი გადაჭრა ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსთველი ერთიმეორეს უპირისპირებს სიყვარულსა და ძმობა-მეგობრობას (ძმადნაფიცობას) და ერთ მათგანს მაღლა აყენებს. არა. რუსთველისათვის სიყვარული და მეგობრობა (ძმადნაფიცობა) ერთურთისაგან განუყოფელი და განუკვეთელი გრძნობებია, განუყოფელი და განუკვეთელი მთლიანობაა, სიყვარულმა დაბადა მეგობრობა, მეგობრობამ უკვდავყო სიყვარული.

5. ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო. რუსთველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი

ვეფხისტყაოსანი მკაფიოდ ასახავს XI—XII საუკუნეების საქართველოს სოციალური ცხოვრების იმ ინსტიტუტს, რომელსაც პატრონყმობა ეწოდება. რუსთველი აიდეალებს პატრონყმური ურთიერთობის ჰუმანურ ფორმებს. პოემაში გამოხატულება უპოვია ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სოციალური სინამდვილის ისეთ სპეციფიკურ მოვლენას, როგორიც იყო „საკარგავი“. პოემა გვისურათებს სიუზერენულ-ვასალური ურთიერთობის ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ვითარებას: ავთანდილ-როსტევანისა და ტარიელ-ფარსადანის ურთიერთობას. ბევრ რამეში ეს ურთიერთობა სავსებით ერთგვარია. მაგრამ განსხვავებულმა მიდგომამ იჩინა თავი ტახტის მემკვიდრეობის საკითხში. არც როსტევანს და არც ფარსადანს არ ჰყავდა ტახტის მემკვიდრე ვაჟი, ორივეს მიეცა მხოლოდ ქალი. როსტევანმა ადვილად გადაწყვიტა ტახტის მემკვიდრეობის პრობლემა. მან მეფედ დასვა, დალოცა და გვარის გაგრძელების უფლება მიანიჭა თავის ქალს თინათინს. დიდებულებმაც ერთხმად კვერი დაუკრეს: „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“ და „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ასევე ადვილად, უმტკივნეულოდ გადაწყდა თინათინის გათხოვების საკითხი. როგორც კი როსტევანმა გაიგო თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის ამბავი, უყოყმანოდ (და სიხარულით) დათანხმდა მათ შეუღლებაზე, თუმც ისინი არ იყვნენ თანაბარი სოციალური რანგისა (თინათინი მეფის ასული და უკვე გვირგვინოსანი მეფე, ავთანდილი დიდებულთა ჩამომავალი, მაგრამ არა სამეფო გვარის შვილი). ეს კია, რომ როსტევანმა იმთავითვე ზუსტად განსაზღვრა სიტუაციის მორალური და პოლიტიკური მხარეები, ავთანდილისათვის თინათინის ხელის სათხოვნელად მისულ ტარიელს როსტევანმა განუცხადა (1596):

მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვპოვებ ვერა,
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა.

მაშასადამე, ავთანდილის სიძედ აყვანის შემდეგ ტახტის მემკვიდრედ, ქვეყნის კანონიერ მეფედ და გვარის გამგრძელებლად რჩება თინათინი. ავთანდილი კი იქნება მისი მოსაყდრე და ამდენადვე თანამეფე. მე ერთხელ კიდევ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, თუ როგორ ემთხვევა ვეფხისტყაოსნის ეს სიტუაცია საქართველოს ისტორიული სი-

ნამდვილის ანალოგიურ სიტუაციას (გიორგი III, თამარის გამეფება, თამარისათვის ქმრის მოყვანა).

არაბეთის მსგავსი სიტუაცია შეიქმნა ინდოეთშიც. ინდოეთის მეფე ფარსადანის ოჯახშიც თავი იჩინა დინასტიურმა კრიზისმა. არც ფარსადანს ჰყავდა ტახტის მემკვიდრე ვაჟი. ნესტანი რომ მოიწიფა, ფარსადანმა სახელმწიფო თათბირი გამართა (თათბირზე მიიწვია ტარიელიც) ნესტანის გათხოვების საკითხის გადასაწყვეტად. არსებითად საქმე შეეხებოდა ინდოეთის ტახტის მომავალი მფლობელის მოწვევას. მეფესა და დედოფალს მოფიქრებული ჰქონდათ გამოენახათ ნესტანისათვის ისეთი ზედსიძე საქმრო, რომელიც გახდებოდა ინდოეთის ფაქტობრივი სუვერენული ხელმწიფე. მათ თათბირს მოახსენეს:

> აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
> რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
> სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევინახოთ,
> არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ.

მხედველობაში მისაღებია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ფარსადანმა იცოდა, ყოველ შემთხვევაში გუმანით გრძნობდა, რომ ნესტანსა და ტარიელს უყვარდათ ერთმანეთი. ამასთან, ტარიელი (ავთანდილისაგან განსხვავებით) მეფის ჩამომავალი იყო და ერთხანს (ნესტანის გაჩენამდის) ფარსადანი მას სამეფოდ ზრდიდა. გარედან ზედსიძის მოწვევით ფარსადანი სამ დანაშაულს ჩადიოდა: 1. თიშავდა შეყვარებულთ, აბუჩად იგდებდა და შეურაცხყოფას აყენებდა ნესტანისა და ტარიელის უმწიკვლო გრძნობას, 2. განსაცდელში აგდებდა ინდოეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირსებას, უცხოელს, გადამთიელს იწვევდა სამეფო ტახტზე, 3. სიტყვას ტეხდა, ტახტზე უფლებას ართმევდა ამისთვის მოწოდებულსა და მის მიერვე მიჩნეულ ღირსეულ პირს. ფარსადან მეფე უსულგულოდ, უკანონოდ და უსამართლოდ მოიქცა[49]. ფარსადანი, როგორც მეფე და როგორც მშობელი, კიდევაც მკაცრად დაისაჯა თავისი უცნაური და უსამართლო საქციელისათვის. ფარსადანის სასჯელი მორალური განაჩენია პატრონყმური წესების დამრღვევის მიმართ. მართალია, პოემა ქადაგებს მეფე-პატრონის მიმართ პატივისცემას, მოკრძალებას და თაყვანებას, მეფისათვის ერთგული სამსახური და თავგამოდება უწმინდეს საქმედ არის მიჩნეული („ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან"), მაგრამ თვითონ პატრონებსაც მოეთხოვებათ პატ-

---

[49] სულ სხვაგვარად აშუქებს ნესტანის გათხოვების ამბის ხასიათს იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელი პროფ. ივანე სურგულაძე თავის წერილში „ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით" (კრებული „შოთა რუსთველს)", თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 1966, გვ. 92—118). ამის თაობაზე იხ. ალ. ბერძენიძე, მართალი სამართალი, ნარკვევები,, V, თბ., 1971, გვ. 104—118, ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ვეფხისტყაოსნის მიხედვით, თბ., 1977.

რონყმური „რიგის და წესის“ შეუბღალავად დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში სათაკილო აღარ იქნება, მოყმემ მოაგონოს წესრიგის დამცველს თავისი უფლება-მოვალეობა („მაგრა თვით იცი, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა“, წერდა ტარიელი ფარსადან მეფეს) და საჭირო შემთხვევაში იარაღსაც მიმართოს სამართლიანობის აღსადგენად, თუმცა პოემის ავტორი საგანგებოდ კითხულობს კიდეც: „ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია!“

ტარიელ-ფარსადანის კონფლიქტი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისა და მისი იდეური შინაარსის ცენტრალური მნიშვნელობის რგოლია. აქედან იწყება ვეფხისტყაოსნის ამბის მიმდინარეობის ახალი, ყველაზე უფრო მძაფრი, დრამატული ფაზა (ნესტანის დაკარგვა).

ფარსადანისა და ტარიელის კონფლიქტის ამბავთანაა დაკავშირებული ვეფხისტყაოსნის ხაზგასმული ანტისპარსული ტენდენცია. საქმე ისაა, რომ ნესტანი უნდა მიეთხოვებინათ ხვარაზმშაჰის ძისათვის. პოემაში ხვარაზმი გაიგივებულია სპარსეთთან, ხვარაზმელი — სპარსელთან. ნესტანის მტკიცე რწმენით „ესე ამბად არ ეგების, რომელ სპარსნი გაგვიხასდენ“, ე. ი. შეუძლებელია, დაუშვებელია, რომ სპარსელები გაბატონდნენ ინდოეთში. ნესტანი პირდაპირ ავალებს ტარიელს მისწერეო მეფე ფარსადანს, ვერ დავუშვებო ინდოეთში სპარსელების პარპაშს, იმათ თავგასულობას, განუკითხავ ბატონობას, ინდოეთის დამცირებას, ინდოეთის აკლებას, „ინდოეთისა ჭამასა“ (544). ეს ანტისპარსული განწყობილება ბევრს ეუბნებოდა პოემის ქართველი მკითხველის გულს, მის ემოციასა და პატრიოტულ სულისკვეთებას. სრულიად სამართლიანად მკვლევართა რიგი (ვაჟა-ფშაველა, ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა) აღნიშნავდნენ, რომ ვეფხისტყაოსნის ანტისპარსული ტენდენცია გამორიცხავსო მისი სიუჟეტის სპარსულიდან წარმოშობის შესაძლებლობას.

რუსთველმა ერთმანეთს დაუპირისპირა ფარსადანი და როსტევან მეფე. ფარსადანის პოლიტიკური სიბეცის, კონსერვატიზმის, უსულგულობისა და უგუნურობის მამხილებელი პოეტი ხოტბას ასხამს როსტევანის მეფურ სიბრძნესა და ადამიანურ კეთილშობილებას. ავთანდილის პირით რუსთველი ასე ამკობს როსტევანის, როგორც იდეალური პატრონის, სახეს:

> პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთითა და ღმრთულებრ ცხოველი,
> შობლური ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი.

განა ნესტანი არ დაამშვენებდა ინდოეთის ტახტს ისე, როგორც არაბეთის ტახტი დაამშვენა თინათინმა! ნესტანთან შედარებით თინათინის სახე პოემაში მკრთალად გამოიყურება. ნესტანია მთელი ვეფხისტყაოსნის სული და გული, მისი ცენტრალური პერსონაჟი, შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურისათვის უცნობი მორალური და ინტელექტუალუ-

რი ძალის გამომხატველი უკვდავი სახე მებრძოლი სათნოებისა, ხორცშესხმული აბსოლუტური სიკეთისა, მარადუჭკნობი ქალური სინაზისა და სილამაზისა. თინათინისა და ნესტანის (განსაკუთრებით ნესტანის) მხატვრული სახეებით რუსთველმა პოეტური ენით დაასაბუთა, რომ ქალი დედაკაცია, სრულყოფილი ადამიანია, რითაც დაარღვია აღმოსავლეთის ქვეყნებში გაბატონებული შეხედულება დედაკაცის უსრულობასა და ზნეობრივ-გონებრივ შეზღუდულობაზე. ქალის პატივისცემისა და თაყვანისცემის იდეა გასდევს რუსთველის მთელ პოემას. რუსთველმა არა თუ დაუშვა ქალის ტახტზე ასვლისა და გახელმწიფების შესაძლებლობა, არამედ მან ქალი და კაცი, დედაკაცი და მამაკაცი ინტელექტუალურად და მორალურად გაათანასწორა. პოეტს შესაძლებლად მიაჩნია გარკვეულ პირობებში ქალისა და მამაკაცის პოლიტიკურ-უფლებრივი თანასწორობაც.

რუსთველმა თამამად და გაბედულად დაგმო ძალმომრეობა და ძალადატანება ქორწინებაში. პოეტის შეხედულებით, ქალისა და ვაჟის ურთიერთისადმი ბუნებრივი მიზიდულობა და სიყვარული უნდა აპირობებდეს ქორწინებას, შეუღლებას. თავისუფალი სიყვარული, სიყვარულზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი მეუღლეობა საწინდარია ადამიანური, ოჯახური ბედნიერებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისა. ასეთია რუსთველის მრწამსი. ასეთ ახალ, პროგრესულ, დრომოჭმული შეუსაბამობრივი ადათ-წესების წინააღმდეგ მიმართულ მრწამსს აღიარებს რუსთველი ქართულ მწერლობასა და აზროვნებაში. რუსთველი ავითარებდა და აღრმავებდა ქართველთა მოდგმის შეგნებაში ტრადიციულად განმტკიცებულ შეხედულებას ქალის პატივისცემასა და ღირსებაზე, ქალის ზნეობრივ სისპეტაკესა და ერთგულებაზე, მეუღლებრივ სიწმინდეზე.

მცდარია შეხედულება, თითქოს ვეფხისტყაოსანში ქალისა და კაცის მორალურ-ინტელექტუალური თანასწორობა ეხება მხოლოდ მეფეთა ოჯახისა თუ მეფეთა საგვარეულოს ჩამომავალ ქალებს. მეფეთა ასულებს. რუსთველმა გამოძერწა არა მარტო ნესტანისა და თინათინის მომხიბლავი სახეები, არამედ მან სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა ასმათი და ფატმანი. დავუშვათ, რომ ასმათი არ არის „მდაბიო“ წარმოშობისა თანამედროვე გაგებით, ის ხომ არ იყო სამეფო ოჯახის წევრი, მეფური ჩამომავლობის ქალი? ასმათის მაღალი ზნეობრივი და გონებრივი თვისებები ხომ ცილობას ვერ გამოიწვევს. ვაჭრის ცოლი ფატმანიც, მიუხედავად საჩოთირო ზნეობრივი ხასიათისა, გონებრივად გამჭრიახი და კეთილი გულის პატრონი ქალია, რომელმაც თავი გამოიდო ნესტანის დასახსნელად (ნესტანი ფატმანს უწოდებს დედის უმჯობეს დედას).

რუსთველი თანმიმდევრულად ავითარებს და მხურვალედ იცავს გაერთიანებული, შემჭიდროებული და ცენტრალიზებული სახელმწიფოს

ერთმეფობის პრინციპს. ინდოეთის მაგალითზე პოეტი ასაბუთებს ასეთი პრინციპის გონივრულობას. სარიდანის ადრე განკერძოებული სამეფო, ინდოეთის მეშვიდედის სამფლობელო, შეუერთდა ინდოეთის დიდ სახელმწიფოს. ამის შედეგად ინდოეთი მთლიანად გაერთიანდა, გაფართოვდა, გაძლიერდა; ინდოეთის მთელ მიწა-წყალზე განმტკიცდა ერთმმართველობა, ერთმეფობა, ერთი მეფის სუვერენული უფლებები; შეიქმნა ერთიანი, მძლავრი, ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო. ერთმეფობა, ერთმმართველობის სისტემა, ცენტრალიზაცია შუა საუკუნეების ფეოდალური გათიშულობისა და ფეოდალური შინაომების პირობებში, უდავოდ, პროგრესულ პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა. რუსთველი შეტრფის საზოგადოდ გაერთიანებული, შემშვიდროებული და ჰუმანური მმართველობის ნიადაგზე განმტკიცებულ ძლევამოსილ სამშობლო ქვეყანას.

რუსთველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების ნათელყოფის თვალსაზრისით საყურადღებოა ტარიელის ხატაეთში ლაშქრობის ეპიზოდი. ხატაეთი იყო ინდოეთის მოხარკე, ვასალური სახელმწიფო. ხატაეთის მეფე რამაზმა დაარღვია ვასალიტეტის წესი და განუდგა სიუზერენ მეფეს. ნესტანმა ტარიელს დაავალა ელაშქრა ხატაეთში, აღედგინა პატრონყმური „წესი და რიგი“, ინდოეთის სუვერენული უფლებები. ტარიელმა სამაგალითო დიპლომატიური და მხედართმთავრული ნიჭი გამოიჩინა, წინდახედულობა, სულგრძელობა და ჰუმანურობა, აღადგინა დარღვეული პოლიტიკური წონასწორობა; მისი წინადადებით ფარსადანმა შეუნდო დატყვევებულ რამაზს, შეიწყალა, ერთგულების ფიცი ჩამოართვა და კვლავ დაუბრუნა მისი სამფლობელო ომამდელი წესის, ე. ი. პატრონყმური წესის მიხედვით. სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, თითქოს ინდოეთმა ხატაეთში ლაშქრობით ჩაიდინა აგრესია. ინდოეთს ტარიელის ლაშქრობით სრულიადაც არ შეუბღალავს ხატაეთის სახელმწიფოებრივი უფლებები, მან მხოლოდ აღადგინა პატრონყმური სამართლიანობა და ინდოეთის სუვერენობა. მე მგონია, ინდო-ხატაელთა ეპიზოდი გამოძახილია XII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილისა. იგი ასახავს გაერთიანებულ საქართველოსა და მის ფარგლებში შემავალი ვასალური სამეფოებისა თუ სამთავროების რეალური პოლიტიკური ურთიერთობის სურათს. ტარიელის ლაშქრობა ხატაეთში იმდროინდელი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ნორმების მიხედვით იყო უაღრესად ჰუმანურიც და სამართლიანიც.

საგულისხმო ისიცაა, რომ პატრონყმური ურთიერთობა გარკვეულ ელფერს აძლევდა სამეჯნურო ურთიერთობასაც კი. სატრფო თავისებური მბრძანებელი-პატრონის როლში გვევლინება, მეტრფე კი მორჩილი, ერთგული და თავგამოდებული მსახური მოყმეა. თინათინმა ავთანდილს

მძიმე დავალება მისცა, ეძებნა უცხო მოყმე, რომლის უცნაურად გამოჩენამ შეაშფოთა არაბეთი და, პირველ რიგში, არაბეთის მეფე როსტევანი. თინათინი ეუბნება ავთანდილს (130):

ასე გითხრა: სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი, არავინ გყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად,
წადი, იგი მოყმე ძებნე ახლოს იყოს, თუნდა შორად.

რა თქმა უნდა, ავთანდილი თავს არ დაიშურებდა და წარბშეუხრელად შეასრულებდა სატრფოს ყოველგვარ დავალებას (თუ გინდ სიცოცხლის ფასად) ყმურ-სამსახურებრივი ვალდებულების გარეშე. თინათინმა ეს მშვენივრად იცოდა, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩათვალა გაეხაზა ავთანდილის სწორედ ყმური, სამსახურებრივი მოვალეობა. ავთანდილიც შემდეგ შერმადინს უმტკიცებდა: (154):

პირველ, ყმა ვარ, წასლვა მინდა პატრონისა სამსახურად.

ვეფხისტყაოსანი ფართოდ ასახავს ვაჭართა სოციალური წრის ცხოვრებას. ამ წრის ცხოვრების ამბავი ბუნებრივი უშუალობით უკავშირდება პატრონყმური საზოგადოების ცხოვრების ამბავს. პოემის სიუჟეტის განვითარებას ბუნებრივი გზით შევყავართ გულანშაროში, საზღვაო-საალებმიცემო ქალაქში, სადაც გაშლილი იყო ვაჭართა საშოღვაწეო სარბიელი. რუსთველი კოლორიტულად ასახავს ამ ვაჭართა ქალაქისა და მის მკვიდრთა თავისებური ცხოვრების რიტმს (1067).

დიდვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წაიგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ;
უქონელნი წელიწადსა საქონელსა დაიდებენ.

თუ პატრონყმურ წრეში საზოგადოებრივი ცხოვრების რეგლამენტაცია დამყარებულია სოციალური კიბის მკაცრად განსაზღვრული საფეხურების კვალობაზე, სავაჭრო ქალაქში გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოების წევრთა არა სოციალური ჩამომავლობა, არამედ ნივთიერი მდგომარეობა. შესაძლებელია რომელიმე მდიდარი და გავლენიანი კაცი ერთ დღეს სრულიად დაგლახაკდეს, ეკონომიურმა წარუმატებლობამ ერთბაშად ჩამოაგდოს დიდების მწვერვალიდან და მიწაზე დაანარცხოს. მეორე მხრივ, ასევე შესაძლებელია უპოვარი და უჩინარი გლახაკი ანაზდეულად აღზევდეს და გადიდკაცდეს სარფიანი სააღებმიცემო საქმის შედეგად. ვაჭართა ქვეყანაში დაწინაურებისა და საზოგადოებრივად წარმატების საფუძველს ქმნის სიმდიდრე, ფული, ოქრო („კვერთხი ეშმაკთა ძირისა"). ვაჭრული ქალაქის ცხოვრების რიტმი დინამიკურია, პატრონყმური საზოგადოების ცხოვრების რიტმი კი გაცილებით უფრო დუნეა. გაწაფული, ზრდილი და განათლებული მოყმე-რაინდის ადგილს ვა-

ჰართა სახელმწიფოში იჭერს ვაჭართუხუცესი უსენი — მხდალი, ცრუ და მატყუარა, ფლიდი, სიტყვისა და ფიცის გამტეხი, ყოველივე ამასთან ერთად ფიზიკურად მახინჯი. მაგრამ ამ ზნეწამხდარ და უმგვან ვაჭარს სიმდიდრის წყალობით დიდი ადგილი უჭირავს ზღვათა სამეფოში. იგი სახელმწიფო მეჯლისის წევრია, მეფის მესაიდუმლე, მრჩეველი და მახლობელი მეგობარი („არიფი"). ვაჭართა საზოგადოებაში თავისებურია სიყვარულიც. პატრონყმური წრის ქალის კდემამოსილებასა და აბაღლებულ სიყვარულს აქ უპირისპირდება დიაცური სიყვარული, რომელიც ესაზღვრება მრუშობასა და სიძვას. რუსთველმა დაგვიხატა ვაჭართა ქალისა და მისებური სიყვარულის შესანიშნავი სურათი. ესაა ფატმან-ხათუნი. „არ-ყმაწვილი", მაგრამ მიმზიდველი იერის მჭონე, ტანხორცით სავსე, ენებიანი, მსუბუქი ყოფა-ქცევისა, თამამი, ჩაცმა-დახურვის მოყვარული, ღვინის მსმელი. ფატმანი არსებითად უპირისპირდება ნესტან-დარეჯანსა და თინათინს. ფატმანის სიყვარული („დიაცური სიყვარული") უგულოა, ვნიანი და ავხორცული. მას არაფერი აქვს საერთო ვეფხისტყაოსნის იდეალიზებულ ამმაღლებელ სამიჯნურო გრძნობასთან. ვეფხისტყაოსნის მთლიან სახეობრივ სისტემაში ფატმანი უთუოდ უარყოფითი პერსონაჟია, მაგრამ მას ამკობს ბევრი შესაშური ადამიანური თვისება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იგი მგრძნობიარეა, კეთილია, სულგრძელი, გულშემატკივარი, კაცთმოყვარე. მან უანგარო დახმარება აღმოუჩინა ნესტან-დარეჯანს, მისთვის უცნობ ტყვე ქალს დედობრივი მზრუნველობა გაუწია. ნესტანის დახსნა შეაპირობა მისმა მოქმედებამ. ერთი სიტყვით, რუსთველი ხატავს ფატმანის სახით სიმპათიური, კეთილი და მოყვარული მანდილოსნის შესანიშნავ სურათს, მაგრამ არც მისი ხასიათის მანკიერ მხარეებს ფარავს. ამით ამყღავნებს დიდი პოეტი თავის სოციალურ სულისკვეთებას. იგი აიდეალებს ფეოდალურ-არისტოკრატულ საზოგადოებას, მის ყოფას, ზნეობას, მის სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებას. ოღონდ რუსთველი ყოველივე ამას უგუებს ვაჭრული საზოგადოების ცხოვრებასა და საქმიანობას, ვაჭრული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელი ფატმან-ხათუნი გამოჰყავს ფეოდალურ-არისტოკრატიული საზოგადოების ასევე საუკეთესო წარმომადგენლის (ნესტანის) დახსნის აქტიურ მონაწილედ. ვაჭართა საზოგადოების ამბავი ორგანულად არის ჩაქსოვილი ვეფხისტყაოსანში სიუჟეტურადაც და იდეურ-შინაარსობრივადაც.

6. ჰუმანისტური მსოფლმხედველობა

შოთა რუსთველი დიდი პოეტი მოაზროვნეა, რომელმაც გაუსწრო თავის დროსა და ეპოქას. იგი პირდაპირ არ ამყღავნებს თავის მიდრეკილებას რომელიმე ფილოსოფიურ-სარწმუნოებრივი სისტემისადმი, ერიდება რელიგიის დოგმატიკურ-საწესო ფორმების გამოხატვას, მაგრამ

სრულიადაც არ არის გულგრილი სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი საკითხების მიმართ. ეს გარემოება ართულებდა რუსთველის თეოლოგიურ-ფილოსოფიური მრწამსის გარკვევის საქმეს. ვინ მოთვლის, რა არ მიაწერეს ამ მხრივ ჩვენ დიდებულ პოეტს (მუსლიმანობა, ათეიზმი, მანიქეიზმი, სოლარიზმი, სტოიციზმი, მატერიალისტური პანთეიზმი...). მაგალითად, ისეთი შესანიშნავი რუსთველოლოგი, როგორიც იყო ნ. მარი, ერთ დროს სერიოზულად აცხადებდა, თითქოს ვეფხისტყაოსანი მუსლიმანური აღმსარებლობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული და მისი ავტორი მუსლიმანი იყო. თუმცა სხვა დროს იგივე მარი ამბობდა, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები დასცინიან და ამასხარაებენ მუსლიმანობასაც.

თუმცა რუსთველი პირდაპირ არ ასახელებს არც ქრისტეს, არც ღვთისმშობელს ან ქრისტიანულ წმინდანებს, მაგრამ დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო მტკიცე ქრისტიანი და პოემაშიც თანმიმდევრულად გატარებულია ქრისტიანული აღმსარებლობის მრწამსი. ეს ღებულება წამოაყენა და დაასაბუთა კ. კეკელიძემ. მას მხარს უჭერენ, აღორძავებენ და სხვადასხვა ნიუანსებით ავითარებენ თანამედროვე მკვლევრები (ა. ბარამიძე, ე. ხინთიბიძე, მ. გიგინეიშვილი). კ. კეკელიძემ პირველმა შენიშნა ვეფხისტყაოსანში წარმოსახული ღვთაების ფსევდოდიონისური ხასიათი, რაც შემდეგ განვითარა და მთლიან კონცეფციად ჩამოაყალიბა შ. ნუცუბიძემ. ოღონდ შეუძლებელია დავეთანხმოთ შ. ნუცუბიძისა და შ. ხიდაშელის შეხედულებას რუსთველის პანთეიზმის, მით უფრო მატერიალისტური პანთეიზმის თაობაზე. რუსთველის ღმერთი სამყაროსა და ადამიანის შემოქმედი ღმერთია („კრეაციონისტი"), სახიერი, აბსოლუტური კეთილობა, ადამიანის შემწე და მფარველი. თუ სოფელი „ძვირია", „მუხთალი" და „გამწირავი", „ნუგეშის ღმერთი უხვია". ვეფხისტყაოსნის გმირებს ზოგჯერ სწამთ ბედისწერა, მაგრამ ეს რწმენა მათ სრულიადაც არ ხდის ბედისწერის მონად. პირიქით, ვეფხისტყაოსნის გმირები ებრძვიან ბედისწერის მკაცრ განაჩენს, ებრძვიან და კიდევაც იმარჯვებენ საბოლოოდ. რუსთველის თვალსაზრისით, ყოველი გამარჯვების პირობა და საწინდარია აქტიური მოქმედება, ბრძოლა. რუსთველი გმობს ფატალისტურ მცონარეობასა და მშვრეტელობას. ვეფხისტყაოსნის კვალობაზე უშრომლად, გაურჯელად, უბრძოლველად შეუძლებელია გამარჯვების მოპოვება, მიზნის მიღწევა („ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებია"). გამარჯვების სიამტკბილეს მაშინ იგრძნობ, როცა ის მოპოვებულია ჭირისა და განსაცდელის გამოვლით („მაშინღაა ლხინი ამო, რა გარდიხდის კაცი ჭირსა", „ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი"). ვეფხისტყაოსნის გმირებს აურაცხელი დაბრკოლება გადაეღობათ ცხოვრების გზაზე, ბევრი ჭირი და უბედურება ერგოთ მათ წილად, მაგრამ შეუპოვარი ბრძოლით ყველაფერი ეს სძლიეს და ბრწყინვალე გამარჯვებით დატკბნენ. ვეფხის-

ტყაოსანი არის სამართლიანი ბრძოლისა და სახელოვანი გამარჯვების ჰიმნი. რუსთველის მოძღვრებით სიცოცხლე უმაღლესი სიკეთეა, ოღონდ სახელოვანი სიცოცხლე, საზოგადოებრივად სასარგებლო, ზნეობრივად ამაღლებული და ადამიანურად ღირსეული. თორემ პოეტი დაუზოგავად კიცხავს სიცოცხლეს „ნაზრახსა“ და „აუგიანსა“. რუსთველი ბრძნული სიმშვიდით იხილავს და აფასებს სიკვდილს, როგორც ბუნების მკაცრსა და გარდუვალ კანონზომიერ მოვლენას („ვერ დაიჩირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“).

რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძველია ნათელი ჰუმანიზმი. პოეტმა დასძლია ადამიანის გონებისა და გრძნობის შემზღუდველი პირობითობანი. რუსთველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, საგანია ადამიანი, ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება, ადამიანის საამქვეყნო იდეალები, ამქვეყნიური, მიწიერი, მატერიალური გარემო, ადამიანის მატერიალური და სულიერი ცხოვრების რთული სინამდვილე. „ვეფხისტყაოსანი აპოლოგიაა ადამიანისა“ (ედმონ ჟალუ). თუმცა პოემაში ზოგჯერ შეინიშნება სინამდვილის ზღაპრულ-ფანტასტიკური წარმოსახვის ელემენტები და აქა-იქ საიქიოს შესახებაცაა სიტყვა ჩამოგდებული, რუსთველი დგას ამქვეყნიური, რეალურ-მატერიალური ცხოვრების ნიადაგზე და შთამაგონებლად უმღერის ადამიანსა და ადამიანობას. ამასთან, ვეფხისტყაოსანი ასახავს ადამიანის მძიმე და ხიფათიანი ყოფის არა გარეგან მხარეებს, არამედ მის შინაგან სულიერ თვისებებს, მის ვნებებსა და მიდრეკილებებს, მის სიხარულსა და ტანჯვას, მის შეუდრეკელ ბრძოლასა და სწრაფვას საამქვეყნიო სამართლიანი ცხოვრების შესაქმნელად. რუსთველი სახავს ადამიანური ცხოვრების დამამშვენებელი ზნეობრივი სრულყოფის იდეალებს. XII საუკუნის ქართველი პოეტი-მოაზროვნე უარყოფს ასკეტურ მორალს, საიმქვეყნიო ნეტარების მოსაპოვებლად ხორციელი სურვილების თვითჩახშობას. რუსთველისათვის უცხოა ფანატიზმი და შეუწყნარებლობა, სარწმუნოებრივი სიბეცე, პასივობა და მშვრეტელობა, გულგატეხილობა და სასოწარკვეთა. ვეფხისტყაოსანს თავიდან ბოლომდის გასდევს სიცოცხლისმოყვარეობისა და კაცთმოყვარეობის ანუ ჰუმანისტური სოფლგაგების ცხოველმყოფელი ოპტიმისტური იდეა.

რუსთველმა შექმნა ლიტერატურულ პერსონაჟთა ინდივიდუალიზებული და იდეალიზებული ცოცხალი სახეები, რომელთათვის არაფერი ადამიანური, მათ შორის ადამიანური სისუსტე, უცხო არ არის. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა მოქმედება შეუზღუდავია ღვთაებრივი განჩინებით თუ ბედისწერით. ამ პერსონაჟების მოქმედებას წარმართავს მათი ნება. პოემის ზოგიერთი გმირი უპირატესად გულისთქმას არის აყოლილი (მაგალითად, ტარიელი), ზოგიც გონებრივი განსჯის კარნახით ხელმძღვანელობს (მაგალითად, ავთანდილი), მაგრამ სამოქმედო გეზის არჩევისა-

თვის თავისუფალია მათი ნებელობა. ერთი მოაზროვნის თქმისა არ იყოს, რუსთველი უმღერის მიწიერ, თავისუფალ სიყვარულს. მას დედამიწაზე მოაქვს სინათლე, იბრძვის სიკეთისა და სინათლის ტრიუმფისათვის ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

მთლიანი ასპექტით ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება ე. წ. აღმოსავლური რენესანსის თეორია და რუსთველის ადგილი მსოფლიო აზროვნების ისტორიაში ამ თეორიის კვალობაზე. საჩოთიროა გავრცელებული ტერმინები „აღმოსავლური რენესანსი“, „მუსლიმანური რენესანსი“. რუსთველი უნდა მივიჩნიოთ საერო (სეკულარული) აზროვნების დამამკვიდრებლად თავის ქვეყანაში და ადრეული რენესანსის (თუ გინდ „ქართული რენესანსის“) ჩინებულ წარმომადგენლად მსოფლიო მასშტაბით. რუსთველმა ადრე გამოამჟღავნა ის სულიერი განწყობილებანი და ადრე გამოხატა ის იდეური მიდრეკილებანი, რაც, ჩვეულებრივ, იტალიური რენესანსის დამახასიათებელ თვისებად ითვლება.

მიუხედავად ჰიპერბოლური გაზვიადებისა და ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტის გამოყენებისა, რუსთველის მხატვრული აზროვნება სინამდვილეს, რეალისტურ საფუძვლებს ემყარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალისტურია მხატვრული ასახვის რუსთველური მეთოდი. რასაკვირველია, ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ რეალიზმზე, როგორც გარკვეული კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის გათვითცნობიერებულ ლიტერატურულ-შემოქმედებითს მეთოდზე, მაინც რამდენადაც რეალისტური მსოფლშეგრძნების ჩასახვას უკავშირებენ ევროპული რენესანსის პერიოდს, ხოლო რუსთველი მკაფიოდ გამოხატავს რენესანსულ განწყობილებებს, იგი თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ ერთ-ერთ პირველ რეალისტ პოეტად მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

7. ვეფხისტყაოსნის ადგილისათვის მსოფლიო პოეზიის პანთეონში

ვეფხისტყაოსანი ბუნებრივი მწვერვალია ქართული სულიერი კულტურის განვითარებისა და წინსვლისა საუკუნეების მანძილზე. მას ჰყავდა ქართულ მწერლობაში ახლობელი თუ შორეული წინამორბედნი. იგი მარტო არ ყოფილა პოეზიის სარბიელზე. მას მხარს უმშვენებდნენ მისჟამინდელი ღირსეული თანამოკალმენი (შავთელი, ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი). რუსთველი კარგად იცნობდა ყოველ შემთხვევაში სპარსულენოვანი მწერლობის სამყაროს. იგი ასახელებს ფირდოუსის შაჰნამეს, გურგანის ვისრამიანის და ნიზამი განჯელის პოემების გმირებს. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო არც ანტიკური სამყარო. რუსთველი იდგა მისი ეპოქის როგორც მუსლიმანური აღმოსავლეთის, ისე ქრისტიანული დასავლეთის აზროვნებისა და პოეზიის ცენტრში. რუსთველის შემოქმედებაც უნდა შეფასებული იქნას „იმ უშველე-

ბელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“ (ილია ჭავჭავაძე). ზოგჯერ უხეიროდ და ისტორიული პერსპექტივის გაუთვალისწინებლად უდარებენ ერთმანეთს ვეფხისტყაოსანსა და აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის დიდი პოეზიის ძეგლებს. რა თქმა უნდა, ტიპოლოგიურად ვეფხისტყაოსანს უთუოდ მოეძებნება საერთო მოტივები და საერთო მხატვრული სამკაულები როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის პოეტურ კულტურასთან. „თუ ერთმანეთს შევუდარებთ ვეფხისტყაოსანსა და აღმოსავლურ და დასავლურ მის დროინდელ პოეტურ რომანებს, ჩვენ ბევრ საერთოს ვნახავთო“, — წერს ცნობილი ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე მორის ბაურა და ურთავს, მაგრამ რუსთველი „მიდის თავისი საკუთარი გზითო“. მე ვგონებ, ეს საკითხის სწორი გადაწყვეტაა, თუმცა კონსტანტინე ბალმონტის სიტყვით, ვეფხისტყაოსანი არის «Лучшая поэма любви, какая когда-либо была создана в Европе».

თავისებურია ვეფხისტყაოსანი ჟანრის თვალსაზრისითაც. მას აქვს ზოგი რამ საერთო შუა საუკუნეების დასავლეთის სამიჯნურო პოეტურ რომანებთან და აღმოსავლეთის, კერძოდ, ნიზამი განჯელის რომანტიკულ პოემებთან, მაგრამ იმავდროულად არსებითად და პრინციპულად განსხვავდება მათგან იდეურ-შინაარსობრივადაც და სტრუქტურული ფორმითაც. ფორმულის სახით თუ ვიტყვით, ვეფხისტყაოსანი სამიჯნურო-რომანტიკული პოემაა, რომელიც ძლიერი ლირიზმით არის გამსჭვალული.

რუსთველის პოეტური ენა და ლექსი ისე დიადია, როგორც წარმტაცია მისი იდეურ-შინაარსობრივი მხარე. ვეფხისტყაოსნის ენა შორსაა სასულიერო-მწიგნობრული ენის ნორმებისაგან. პოემის ენა კეთილშობილურ-დარბაისლური სადა ენაა, ახლომყოფი ხალხის სამეტყველო ცოცხალ ენასთან. რუსთველი „ტკბილ-ქართულის“ სწორუპოვარი დიდოსტატია. მან შეიწოვა და შეისისხლხორცა სიმდიდრე, სიღრმე და სიდიადე ქართველი ხალხის ენობრივი საუნჯისა. რუსთველმა დახვეწა, მეტი მოქნილობა და ბრწყინვალება მისცა ქართულ ბარაქიან სიტყვას, აიყვანა იგი თავისი დიდების მწვერვალზე.

რუსთველმა მადლიანი პოეტური სიტყვით უბადლოდ ასახა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სამყარო. მან ზეაღმატებულად გამოხატა მისი მშობლიური ხალხის მებრძოლი, შემოქმედებითი სული. მაგრამ რუსთველის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, სცილდება ეროვნულ ფარგლებს. რუსთველი მსოფლიო მნიშვნელობის გენიოსია. ქართველობა მარტო თავისად ვერ დაიჩემებს და ვერ მიისაკუთრებს სამართლიანობისათვის ბრძოლის, ძმობა-მეგობრობის, გმირობის, სამშობლოს სიყვარულის, ამაღლებული მიჯნურობისა და მისთანა იდეალებს. ასეთი იდეალები ასულდგმულებდა თავისუფლების მოყვარე ყველა ხალხს, დიდსა თუ პატარას. რუსთველის პოეზიის საკაცობრიო ძალა ისაა, რომ ქართველმა

ავტორმა რელიგიურ-მისტიკური აზროვნების ბატონობის პირობებში ბუმბერაზული პოეტური ხმით უმღერა გრძნობების თავისუფლებას, რელიგიურ შემწყნარებლობას, ადამიანობას, ადამიანის საამქვეყნიო ცხოვრებას. საყოველთაო ფეოდალური გათიშულობა-გაკერძოების ეპოქაში რუსთველმა წარმოგვისახა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, ხალხთა და სახელმწიფოთა კეთილმეზობლური სოლიდარობის და ინტერნაციონალური სულისკვეთების მომხიბლავი იდეალები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთველმა მკაფიოდ გამოხატა ის იდეები, რაც საფუძვლად დაედო განათლებული კაცობრიობის ახალ, რენესანსულ კულტურას. ქართველმა ხალხმა ვეფხისტყაოსნით მსოფლიო კულტურის სარბიელზე თქვა თავისი საკუთარი შთამბეჭდავი სიტყვა. მსოფლიო პოეზიის საგანძურში რუსთველმა შეიტანა გარკვეული წვლილი, მან შეავსო და გაამდიდრა ეს საგანძური[80].

ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობის აღიარებას დიდად შეუწყო ხელი პოემის თარგმანებმა რუსულსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ენებზე. რუსულ ენაზე მოიპოვება პოემის სრული ხუთი და ათზე მეტი ნაწილობრივი პოეტური თარგმანი (სრული რუსული თარგმანების ავტორებია კ. ბალმონტი, პ. პეტრენკო, გ. ცაგარელი, შ. ნუცუბიძე და ნ. ზაბოლოცკი. ზაბოლოცკიმ ვეფხისტყაოსანი დაამუშავა აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საკითხავ წიგნად). ვეფხისტყაოსანი გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე, სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ენებზე (პოლონურზე, უნგრულზე, რუმინულზე, ჩეხურზე, სლოვენურზე, სლოვაკურზე, ბულგარულზე), მსოფლიოს რიგ უმთავრეს ენაზე (ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე, ესპანურზე, იტალიურზე, ჩინურზე, იაპონურზე, ებრაულზე).

8. ბრძოლა რუსთველის გარშემო

ვეფხისტყაოსანი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართველი ხალხის უსაყვარლესი წიგნი, მისი განუყრელი მეგობარი ჭირსა და ლხინში. პოემის ეს მნიშვნელობა კარგად აქვს გამოხატული რუსთველისავე სიტყვებით XVII ს. გამოჩენილ პოეტს არჩილს: „საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს; ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს“. XV—XVIII სს. ქართველი პოეტები რუსთველს მიმართავდნენ, როგორც შთაგონების უშრეტ წყაროს, როგორც პოეტური კულტურისა და ფაქიზი მხატვრული გემოვნების უზენაეს კანონმდებელს. XIX ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაბმული ქარ-

---

[80] რუსთველის მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს აშუქებს თბილისის უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის პუბლიკაცია — რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში I, თბ., 1976, II, 1978.

თველი საზოგადოებისათვის ვეფხისტყაოსანი წარმოადგენდა იმ დიდებულ მხატვრულ ძეგლს, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა მისი შემქმნელი ერის კულტურული მოწიფულობა და სოციალური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის კანონიერი უფლებები. რუსთველის კეთილზემოქმედება განიცადეს არა მარტო XV—XVIII საუკუნეების კალმოსნებმა, არამედ XIX საუკუნის პოეზიის კორიფეებმა (ნ. ბარათაშვილმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ). რუსთველი დღემდის რჩება ქართული პოეზიის მიუღწეველ მწვერვალად და საბჭოთა მწერლობის მასწავლებელ-ოსტატად. მაგრამ რუსთველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, სიცოცხლისმოყვარეობის გრძნობით გამსჭვალული მისი ნათელი პოეზია ქართველი კონსერვატულ-კლერიკალური საზოგადოების გაბოროტებასაც იწვევდა. ეტყობა, რუსთველისა და მისი პოემის დევნა შეაპირობა იმ ისტორიულმა ვითარებამ, რომლის იდეოლოგად გვევლინება XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი უამთააღმწერელი. ვეფხისტყაოსნის დევნის თაობაზე პირდაპირ ცნობას გვაწვდის ვახტანგ VI. ამაოდ შეეცადა სწავლული მეფე ვეფხისტყაოსნის დაცვას. მისმა კომენტარებმა კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა და ბრძოლის გუნება გაუღიზიანა კლერიკალურად განწყობილ საზოგადოებას. ტიმოთე გაბაშვილმა უშვერად გაჰკილა არა მარტო ვეფხისტყაოსანი, არამედ მისი მეცნიერი გამომცემელი და კომენტატორი ვახტანგ VI. არის ცნობები ვეფხისტყაოსნის ფიზიკური ხელყოფისა XVIII საუკუნეში. საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა ბრძოლა რუსთველისა და მისი პოემის გარშემო. ეს ბრძოლა გარკვეულ ელფერს აძლევდა ქართველობის სულიერი ცხოვრების ვითარებას შორეულსა თუ მახლობელ წარსულში. მით უფრო ძვირფასი იყო ქართველობისათვის სასიქადულო პოემის გმირული სულისკვეთება და აზრიანი ცხოვრებისათვის წამახალისებელი მოწოდება.

რუსთველის პოეტური მემკვიდრეობისათვის ბრძოლას პირდაპირ ეხმაურებოდა ბრძოლა ქართული ეროვნული, თვითმყოფი კულტურისათვის ძველად და ახლად. ქართველი ხალხის უზომო სიყვარული რუსთველისადმი საუცხოოდ გამოხატა აკაკი წერეთელმა ლექსში —რუსთველის სურათზე“: „სულმნათო, მადლი შენს გამჩენს, დიდება ერსა, შენს მშობელს!“

1978

ქვაბისხევის ფრესკის გარშემო[1]

1948 წელს „თბილისის უნივერსიტეტის შრომებში“ გიორგი ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა წერილი — „ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა“. წერილში აღნიშნავდა, რომ „ბორჯომის რაიონში ქვაბისხევის ხეობაში, ბორჯომიდან ახალციხისაკენ მიმავალ შარა-გზასთან მდებარე სოფლის ზემოთ, ორი კილომეტრის მანძილზე, შენახულია საყდრის ნანგრევი მარიამწმიდის საყდრად წოდებული“. მარიამწმიდის ბაზილიკას გ. ჩუბინაშვილი VIII—IX საუკუნეებით ათარიღებს (უფრო იხრება IX-ის სასარგებლოდ). ეკლესიას შემოუნახავსო უფრო გვიანდელი დროის, XII—XIII ს., კედლის მხატვრობა. ყველაზე უკეთესად შემონახულიაო „გამოსახულება ორი ერისკაცისა — მამაკაცი წარწერით შ ო თ ა და მის წინ მდგომი ქალი წარწერით ი ა“.. ქვაბისხევის ეს ეკლესია ორჯერ უნახავს და მისი ფრესკები წარწერებითურთ დაწვრილებით აღუწერია 1947 წელს ნიკო ბერძენიშვილს. მარიამწმიდის ეკლესიის არსებობა გ. ჩუბინაშვილს სწორედ ნ. ბერძენიშვილისაგან გაუგია. ოღონდ ნ. ბერძენიშვილის დღიურები (სადაც ეს აღწერილობაა მოცემული) მხოლოდ 1964 წელს დაიბეჭდა (საქართველოს ისტორიის საკითხები I). ნ. ბერძენიშვილის აღწერილობის თანახმად, მარიამწმიდის სამნავიანი ბაზილიკის მარჯვენა (სამხრეთის) ნავი გადატიხრულია და „სამლოცველოს“ წარმოადგენს, „მოხატულია მხოლოდ სამლოცველოს მარცხენა მხარეო“ (დას. წერ. გვ. 227). ზემოთ წმინდანების ფრესკებია, „ამათ ქვეშ საგანგებოდ შემოხაზულ აშიაში (წითელი საღებავით) ორი საერო პირია მოთავსებული — ქალი და კაცი. ქალი შუა ხნისა ჩანს. სახე კარგად არ უჩანს, წაშლილი აქვს (ჩამორეცხია)“. ვაჟი ახალგაზრდაა, უწვერულვაშო, „მეტად სანდომიერი“ (იქვე). ორივე პირი მლოცველადაა გამოყვანილი, ხელები წინ აქვთ გაშვერილი, მდიდრული სამოსელი ამკობთ. ორივე ფრესკას ახლავს ასომთავრული წარწერა, ქალს — იაჲ, ვაჟს — შოთა. ახალგაზრდა თითქო შვილი უნდა იყოს მის წინ მდგომარე მანდილოსნისა“, ამბობს ნ. ბერძენიშვილი და განაგრძობს: „იაჲ და შოთა, ბუნებრივია ვიფიქროთ, დიდგვარიანი აზნაურის სახლის წევრებია — დედა და შვილი — ამ ქვეყნის მემამულენი“ (იქვე). ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით,

[1] გამოქვეყნებულია შოთა ძიძიგურისა და ელენე მეტრეველის თანაავტორობით.

იაჲ და შოთა „სამლოცველოს შემქმნელი და მისი მოხატვის ინიციატორებია“. მკვლევარს დედნისეულ ფერებში გადმოუსატვინებია ორივე ფრესკა და თავისი შრომისათვის დაურთავს. ფრესკებისა და წარწერათა თარიღად ნ. ბერძენიშვილი დებს XII საუკუნეს და სიფრთხილით შენიშნავს: „მე ამით რუსთაველისაკენ არ ვეწევი შოთასა და იას, თუმცა შეუძლებელი აქ არაფერია. ამ ჩვენს შოთას თავისუფლად შეეძლო რუსთავი და რუსთველობაც მიეღო“... (დას. წერ. გე. 228): ნ. ბერძენიშვილს ყურადღება მიუქცევია იმისთვისაც, რომ: „იას მარცხენა მხრით წარწერა უთუოდ იყო. ერთი ასო რ კარგად ირკვევაო“ (იქვე გვ. 229).

ნ. ბერძენიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის შემდეგ მარიამწმიდის ფრესკა სხვებმაც ინახულეს (ს. ცაიშვილმა, ა. გაჩეჩილაძემ...) და თავიანთი მოსაზრებანიც გამოაქვეყნეს.

მარიამწმიდის ტაძრის ფრესკებისა და წარწერების შესწავლის ძნრივ განსაკუთრებული ღვაწლი აქვს გაწეული ბორჯომის მკვიდრს, პედაგოგსა და მწერალს გიორგი ზედგინიძეს. გაზეთ „წიგნის ქამყაროში“ (28. V. 80), მან დაბეჭდა საყურადღებო წერილი — „შოთა რუსთაველის ფრესკა ქვაბისხევში“. გ. ზედგინიძე ამბობს, რომ მარიამწმიდის სამლოცველოს (ეკვდერის) ხელოვნური კარგი განათების პირობებში გამოჩნდაო, რომ ასო რ-ს შემდეგ „მონაცრისფრო ლაქად ისახება ოსთ (ასო-მთავრული ასოები — ავტ.), რაც წარწერის შესრულებისას კედლის ლესილობისაგან შეწოვილი სითხის ანაბეჭდია და მას მოსდევს საღებავით ლი.“ ამ გზით გ. ზედგინიძემ ამოიკითხა დაქარაგმებული როსთვლი ანუ როსთველი (რუსთველი). „როგორიც არ უნდა იყოს წარწერის შინაარსი, — წერს გ. ზედგინიძე, — ერთი რამ ცხადია, რომ «როსთველი» მიემართება ფრესკაზე გამოსახულ შოთას და უეჭველყოფს, რომ ფრესკისეული შოთა იგივე რუსთაველია“. რაღა თქმა უნდა, თუ ფრესკისეული შოთა, მართლაც, პოეტი შოთა რუსთაველია, მას ნამდვილად „განუზომელი მნიშვნელობა“ ეძნება პოეტის ბიოგრაფიის დასადგენად.

გ. ზედგინიძის პუბლიკაციას მოჰყვა ზურაბ ჭუმბურიძის წერილი გაზეთ „კომუნისტში“ (22.6.80) მეტად თამამი სათაურით: „რუსთაველი ქვაბისხევში“ (ეს წერილი გადაბეჭდა გაზ. „სამშობლომ“, 1980. VII. № 16). ავტორი მკითხველებს აცნობს საკითხის ისტორიას, იმეორებს გ. ზედგინიძის წერილის შინაარსს, მთლიანად ეთანხმება მას და ბეჯითად ასკვნის (დასკვნა კურსივითაა დაბეჭდილი): „ჩვენს წინაშეა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის სიჭაბუკისდროინდელი პორტრეტი დედამისთან ერთად, შესრულებული მათი თანამედროვე მხატვრის მიერ“.

გ. ზედგინიძის მიერ წამოჭრილი საკითხების შესამოწმებლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით 1980 წლის 2 ივლისს

ქვაბისხევში გაემგზავრა სპეციალური ექსპედიცია შემდეგი შემადგენლობით: ალექსანდრე ბარამიძე (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი), შოთა ძიძიგური (მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის აკადემიკოსი-მდივანი), ელენე მეტრეველი (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი), თამაზ სანიკიძე (ხელოვნების მუზეუმის დირექტორი), ეპიგრაფიკოსები ვალერი სილოგავა და შერმადინ ონიანი, ხელოვნებათმცოდნეები გურამ აბრამიშვილი და ელენე კავლელაშვილი, მხატვარი ფოტოგრაფები იგორ გილგენდორფი და თამაზ ბარამიძე. თან წავიღეთ საჭირო საექსპედიციო აღჭურვილობა, კერძოდ, ხელოვნურად გამაშუქებელი ხელსაწყო. ბორჯომში ჩვენ შემოგვიერთდნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ირაკლი გურგენიძე, გიორგი ზედგინიძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გობრონიძე.

მარიამწმიდის ტაძრის სამლოცველო საგანგებოდ გავაშუქეთ და შეუდექით წარწერების შესწავლას, გადავიღეთ ფოტოპირები, მათ შორის ფერადიც. დაწვრილებით ახსნა-განმარტებას გვაძლევდა გ. ზედგინიძე. ექსპედიციამ გაარკვია, რომ სამლოცველო (ეკვდერი) მთლიანად ყოფილა მოხატული. ჩვენთვის საინტერესო ფრესკის (შოთა, იაჲ) ზემოთ გამოსახულია სამი წმინდა მამა ზემო ტანით. შუათანას შემორჩენილი აქვს ასომთავრული წარწერა ბ̄ლ (ბასილ, იგულისხმება ბასილ დიდი). ამის მომდევნო ფიგურას მოეპოვება წარწერა წ ჲ (წმიდაჲ). დანარჩენი წარწერები გადასულია და აღარ იკითხება. გადარჩენილი წარწერები ცხადყოფს, რომ კედელზე გამოსახული ყოფილან ცნობილი საეკლესიო მამები — იოვანე ოქროპირი, ბასილ დიდი და გრიგოლ ღვთისმეტყველი. კედლის ქვედა ნაწილი შემოსაზღვრულია განიერი წითელი ზოლით და წარმოადგენს ჩარჩოს. სწორედ აქ, ამ ჩარჩოშია კარგად შემონახული წარწერებით შოთასა და იაჲს სურათები. ამას გარდა, შეიმჩნევა აგრეთვე სინგურით შესრულებული მხოლოდ ორი სტრიქონის კვალი. პირველი სტრიქონიდან იმდენად უმნიშვნელო და გაფერმკრთალებული ფრაგმენტებია მოღწეული, რომ არ ხერხდება თუნდაც ერთი ასოს მთლიანი სახით აღდგენა. მეორე სტრიქონიდან (სტრიქონის მეორე ნახევრიდან) შესაძლებელია მეტ-ნაკლები სისრულით აღდგეს ოთხი თუ ხუთი ასო. როგორც ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, სრულიად გარკვევით იკითხება ასომთავრული რ. მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ იგი იყოს სიტყვის პირველი დასაწყისი ასო. ამის შემდეგ პატარა განივი ხაზის ნაშთია. თვითონ ასო არ გაირჩევა, ოღონდ არსებული ფართობი უკმარია ასომთავრულ ო-ს მოსათავსებლად. შემდეგ გადარჩენილია ერთი ასოს ქვედა ნაწილი. მოხაზულობით ის უნდა იყოს ან ლ ან ზ (ⴆ, ⴆ), სტრიქონის ბოლოს თითქოს უნდა ყოფილიყო ასო ა. ამრიგად, იკითხება რ (—), ლ(ზ) ა (შ. ონიანის დაკვირვებით, თითქოს ზედ ლ-სთან ან ზ-სთან პატა-

რა ი-ს ნაკვალევი ჩანს). ყოველ შემთხვევაში წარწერიდან არ დასტურდება გ. ზედგინიძის მიერ ამოკითხული ოსთა ასოთა კომპლექსის არსებობა. ეს კი ამოსავალი საყრდენია პატივცემული ავტორის ძირითადი დებულებისათვის მარიამწმიდის ეკლესიის სამლოცველოში შოთასა და იაბს გვერდით იკითხებაო რ ო ს თ ვ ლ ი (როსთველი, რუსთველი). ესაა ჩვენი საერთო დასკვნა ძნელად ამოსაკითხავი და ძნელად გასაშიფრავი ტექსტის თაობაზე.

სამლოცველოს გადარჩენილი წარწერების პალეოგრაფიული ხასიათი გვარწმუნებს, რომ ეს წარწერები XII ს. მეორე ნახევრისაა, ან ეკუთვნის XIII ს-ის დასაწყისის ხანას, წარწერები კი თავის მხრივ ფრესკების დროინდელია. ამიტომ ცხადზე უცხადესია მარიამწმიდის ფრესკათა უცილობლად დიდი მნიშვნელობა რუსთველოლოგიური პრობლემატიკისათვის.

როგორც ვიცით, გ. ჩუბინაშვილი და ნ. ბერძენიშვილი მარიამწმიდის ფრესკებს მიაკუთვნებდნენ XII—XIII საუკუნეებს. ჩვენ ვიზიარებთ მათ მოსაზრებას, ხოლო ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსის ირაკლი ციციშვილის ერთ ოფიციალურ წერილში ნათქვამია, რომ: „ქვაბისხევის მონასტრის მოხატულობა, სპეციალისტ ხელოვნებისმცოდნეთა აზრით, XIV საუკუნისაა და, ამდენად, არ წარმოადგენს შოთა რუსთაველის სიცოცხლეშივე გაკეთებულ პორტრეტს, თუ ეს საერთოდ შოთა რუსთაველია".

ყოველივე აღნიშნული უეჭველყოფს, რომ უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს მარიამწმიდის ყოველმხრივი კომპლექსური შესწავლა. რაც მთავარია, უნდა დაჩქარდეს ქართული კულტურის ამ ძვირფასი ძეგლის რესტავრაცია და დაცვა.

1980

ვითომ ჩანართია?

მკვლევარმა რამაზ პატარიძემ ჩანართად მიიჩნია ვეფხისტყაოსნის 1113 ანუ 1125 სტროფი[1]. იგი შეეცადა დაესაბუთებინა თავისი მოსაზრება (1113? — „ლიტერატურული საქართველო". 16. I. 76). მეორე მკვლევარმა, ალექსი ჭინჭარაულმა, არ გაიზიარა ეს მოსაზრება (დიახ, 1113! — „ცისკარი", 1977, № 5, გვ. 153—154) და შესაფერისი არგუმენტებიც წარმოადგინა. საკითხი გამწვავდა. რ. პატარიძემ ადრინდელი თვალსაზრისის შესამაგრებლად ახალი, უფრო ცხარე ხასიათის საპასუხო წერილი გამოაქვეყნა (ნაწროზობა დღე გულანშაროში, — „ლიტერატურული საქართველო", 27. I. 78). ჩვენ სრულიადაც არ ვკისრულობთ არბიტრის როლს, მაგრამ, როგორც ვეფხისტყაოსნის ტექსტის ბედ-იღბლით დაინტერესებულ პირებს, გვსურს მკითხველთ გავუზიაროთ ჩვენი შთაბეჭდილება ატეხილი დავის გამო. ჯერ, საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის რომელიმე ნაწილის ჩანართად გამოცხადება ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა და დიდ სიფრთხილეს, საკითხის ყოველმხრივ აწონ-დაწონას მოითხოვს. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი სპეციალური კომისია, რომლის მთავარი რედაქციის სხდომის ოქმები და დადგენილი ტექსტები სისტემატურად იბეჭდება ენისა და ლიტერატურის სერიის ჟურნალ „მაცნეში". ვინც ამ მასალებს გაეცნობა, დარწმუნდება, რა სიფრთხილეს იჩენს მთავარი რედაქცია ტექსტის დადგენისა და, მით უფრო, ჩანართდანართად მიჩნევის მხრივ. 1113 (1125) სტროფი რედაქციას ჯერ არ განუხილავს და აქ მხოლოდ ჩვენს წინასწარ მოსაზრებას გამოვთქვამთ საცილობლად ქცეული სტროფის თაობაზე.

რაღა თქმა უნდა, 1113 (1125) სტროფის საკითხი უნდა განვიხილოთ პოემის სათანადო ეპიზოდის საერთო სიტუაციის ფონზე და კონტექსტის კვალობაზე (უნდა დავადასტუროთ, რომ ასევე იქცევიან მოპაექრენი, ე. ი. რ. პატარიძე და ა. ჭინჭარაული). ფატმანმა ავთანდილს უამბო (1112/1124—1114/1126):

---

[1] პირველი ნუმერაცია (1113) გულისხმობს მეორე საიუბილეო გამოცემას (თბილისი, 1966), მეორე — (1125) ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით გამოქვეყნებულ ტექსტს (თბილისი, 1966).

დღე მოვიდა ნაუროზობა, დედოფალსა ძღვენი ვსძღვენით:
ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, აკავსენით, ავიესენით;
ჟამიერად მხიარულნი წამოვედით ნებით ჩვენით,
კვლა დავსხედით გახარებად, უნებურნი არ ვიყვენით.

ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე ჟამსა,
გავიტანე ხათუნები — მათი ჰმევა ჩემგან ხამსა;
მომყვებოდეს მომღერალნი, იტყოდიან ტკბილსა ხმასა,
ვიმღერდი და ვყმაწვილობდი, ვიცვალებდი რიდე-თმასა.

იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი,
მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღვას ზედა წაკიდებულნი,
მუნ შევიტანენ ხათუნნი, იგი ჩემ თანა ხლებულნი,
კვლა დავიდევით ნადიმი, დავსხედით ამოდ შეებულნი.

დამოწმებული სტროფების შეპირისპირება რ. პატარიძეს აფიქრებინებს, რომ მეორე (1113/1125) სტროფი შინაარსობრივად არ ეთანხმება წინამორბედსა და მომდევნო სტროფებს. მეტიც, იგი „უთუოდ ამახინჯებს ტექსტის შინაარსს“, კონტექსტით ცხადი ხდებაო „შინაარსობრივი უთავბოლობა“. ჩვენი აზრით, მართებულია ა. ჭინჭარაულის დაკვირვება, რომ, პირიქით, „1113 სტროფის ამოღება დაარღვევს თხრობის თანმიმდევრობას.. გააბუნდოვნებს მის შინაარსს“. მართლაცდა, პირველ (1112) სტროფში ნათქვამია, რომ ნაუროზობა-დღეს ფატმანმა იქაური წესის თანახმად ხათუნების თანხლებით დედოფალს მიართვა ღირსეული ძღვენი, მიიღო სამაგიერო საჩუქრები, ინადიმეს, იმხიარულეს, შინ წამოვიდნენ და აქაც გაიხარეს დროს ტარებით. მომდევნო (1113/1125) სტროფი ურთავს, რომ საღამო ჟამს ფატმანმა ხათუნები ბაღში წაიყვანა და ნადიმი განაახლეს. მესამე (1114/1126) სტროფი ხაზს უსვამს, რომ **იმ ბაღში** („იქ ბაღსა შიგან“) მშვენიერი შენობები იდგა, იქ შევიყვანე ხათუნებიო („მუნ შევიტანენ ხათუნნი“) და „კვლა დავიდევით ნადიმი“. შინაარსობრივად აქ ყველაფერი თავის რიგზეა. უნდა შევნიშნოთ, რომ რუსთველური თხრობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ პოეტი ზოგჯერ წინა სტროფში თქმულს უბრუნდება მომდევნო სტროფში (ან სტროფებში), ამბავს ახალი დეტალებით ავრცობს, ამდიდრებს, ამრავალფერებს. ასეა საანალიზო ნაწყვეტშიც. თხრობა მწყობრი თანმიმდევრობით ვითარდება, მესამე (1114/1126) სტროფში გრძელდება პირველ და მეორე სტროფებში აღწერილი ლხინის ამბავი, თითოეული სტროფი ახალი შინაარსობრივი დეტალით, ახალი ნიუანსით იტვირთება და მდიდრდება. ესაა და ეს. ა. ჭინჭარაულმა უკვე მიაქცია ყურადღება, რომ მესამე (1114/1126) სტროფის „**იქ ბაღსა შიგან**“ უთუოდ გულისხმობს წინამორბედ (1113/1125) სტროფში მოხსენიებულ ბაღს („**ბაღსა შიგან** თამაშობად საღამოსა გავე ჟამსა“) მესამე (1114/1126) სტროფის დაწყება „იქ ბაღსა შიგან“-ო უმეორესტროფოდ არაბუნებრივი, გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩებოდა. მართალია, რ. პატარიძე

პირველ წერილში შენიშნავდა, აქ ნავსადგურის ის ბაღი იგულისხმება, სადაც ვაჭართა ქარავანთუხუცესმა ნავი „დააბა“ (1050/1062), მაგრამ ეს სამოციოდე სტროფით უსწრებს საანალიზო ეპიზოდს. ამ ეპიზოდის „იქ“ ვერ გამოდგება სანავსადგურო ბაღზე მისათითებლად. 1114/1126 სტროფის „იქ“ სწორედ წინა სტროფის ბაღის მიმანიშნებელი გარემოებაა. ტექსტი განმარტავს, რომ სახელდებით იმ ბაღზეა საუბარი, ფატმანმა რომ ხათუნები წაიყვანა სანადიმოდ. 1113/1125 სტროფის ამოღება ნაწყვეტის შინაარსს ნამდვილად გააღარიბებდა და ბუნდოვანს გახდიდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საპასუხო წერილში რ. პატარიძე გვერდს უვლის ა. ჭინჭარაულის ამ არგუმენტს და აღარაფერს ამბობს „იქ“ ნაწილაკის მნიშვნელობაზე.

ამრიგად, ჩვენც ვფიქრობთ, რომ შინაარსის კვალობაზე 1113/1125 სტროფი თავის ადგილასაა, ეპიზოდის ბუნებრივი რგოლია, მისი ამოღება საერთო შინაარსობრივ კონტექსტს დააზიანებს.

რ. პატარიძე სადავოდ ქცეულ სტროფს უწუნებს სალექსო ფორმას და „მხატვრულად მდარეს“ უწოდებს (ლიტ. საქართველო, 16.1.76). შაირის პირველ ნახევარში რითმააო ა მ ს ა (ჟამსა, ხამსა), მეორე ნახევარში კი — ა ს ა (ხმასა, თმასა). ა. ჭინჭარაულმა უკვე მიუთითა (და სათანადო ტექსტიც დაიმოწმა), რომ მსგავსი მოვლენა ვეფხისტყაოსანში სხვაგანაც (უდავო შემთხვევაშიც) გვხვდება. არც ამ საკითხს შეხებია მკვლევარი საპასუხო წერილში (ეტყობა, შედავება საბუთიანად ჩათვალა). რჩება უკანასკნელი შენიშვნა, 1113/1125 სტროფი „მხატვრული თვალსაზრისით მდარეა“, ამბობდა იგი პირველ წერილში, მაგრამ ამბობდა მხოლოდ ზოგადად, მხატვრულობის თვალსაზრისით ტექსტის გაუანალიზებლად, დაუსაბუთებლად. მეორე წერილში ამას აღარ დაბრუნებია. საერთოდ, მეორე წერილში მკვლევარი ვრცლად და სპეციალურად არჩევს საანალიზო სტროფის მხოლოდ შინაარსობრივ-აზრობრივ მხარეს, რის შესახებაც ჩვენი მოსაზრება უკვე გამოვთქვით. დაგვრჩენია დავასკვნათ, რომ რ. პატარიძის მოსაზრებანი 1113/1125 სტროფის წინააღმდეგ და კატეგორიული მოთხოვნა მისი პოემიდან გაძევების თაობაზე (პატივცემული მკვლევარი სწორედ ასეთ მაგარ გამოთქმას —გაძევებას — ხმარობს), სათანადოდ დასაბუთებული არ ჩანს. უმნიშვნელო გარემოება როდია, რომ რ. პატარიძის მიერ გასაძევებლად განწირული სტროფი ჩვენ დრომდის მოღწეულ ყველა ხელნაწერშია და ყველა გამოცემაში, მათ შორის პირველ ნაბეჭდ ანუ ვახტანგისეულ გამოცემაში. ვახტანგისეული გამოცემის ფასი ხომ კარგად არის ცნობილი.

ჩვენი ღრმა რწმენით, არც პატივცემული ალექსი ჭინჭარაულია უცოდველი ვეფხისტყაოსნის ტექსტის ხელყოფის თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს მისი მოსაზრებანი 762—764 (773—775) სტროფების ჩანართობის თაობაზე (ვეფხისტყაოსნის ფისტიკაური სტროფის შესახებ, „მნათობი", 1975, № 2), მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს[2]

1978

[2] წერილი გამოქვეყნდა სარგის ცაიშვილის თანაავტორობით.

რუსთველოლოგიური ნაშრომი სერიოზული შეცდომებით[1]

გ. იმედაშვილის მონოგრაფიის თემა დიდად საპატიოა და საპასუხისმგებლო. წიგნის შინაარსზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მისი სარჩევი: წინასიტყვაობა (გვ. 5—22), შესავალი — ვეფხისტყაოსნის გაგება (გვ. 23—43), თავი პირველი — ვეფხისტყაოსანი და ქართველი ერი (გვ. 44—72), თავი მეორე — რუსთაველის სოციალური გარემო (გვ. 73—113), თავი მესამე — რუსთაველის იდეოლოგიური საკითხები (გვ. 114—167), თავი მეოთხე — ქართული რენესანსი და რუსთაველის ჰუმანიზმი (გვ. 168—232), თავი მეხუთე — ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის საკითხები (გვ. 233—344), თავი მეექვსე — ვეფხისტყაოსანი და ქართული პოეტური კულტურა (გვ. 345—430).

წიგნის თითოეული თავი შეიძლება გახდეს ცალკე მონოგრაფიის საგანი. ერთგვარად ასეცაა სარეცენზიო ნაშრომში. ზოგიერთი თავი მეტი სისრულითა და საფუძვლიანობითაა დამუშავებული, ზოგიერთი — ნაკლებით. სისრულითა და საფუძვლიანობით გამოირჩევა მონოგრაფიის ბოლო, მეექვსე თავი. ამ საკითხზე გ. იმედაშვილს წინათაც ჰქონდა გამოქვეყნებული საყურადღებო ნარკვევები. ახლა მას შეუჯამებია და განუზოგადებია როგორც თავისი, ისე სხვების ნაშრომთა შედეგები, ერთი მთლიანი, უთუოდ, საინტერესო და არსებით ნაწილში დამარწმუნებელი ნარკვევი შეუქმნია. წიგნის ხასიათს განუსაზღვრავს მისი კომპოზიცია. ავტორს ერთგვარად დაუძლევია კომპოზიციური ფხვიერება და საკმაოდ შეკრული ნაწარმოები მოუცია, თუმცა შესამჩნევია ხშირი განმეორებანი.

გ. იმედაშვილი, რასაკვირველია, მართალია, როდესაც შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი ჯერ საჭირო სიღრმითა და მასშტაბით არაა შემეცნებული“ (გვ. 23). თვითონ გვთავაზობს ბევრ სწორ მოსაზრებას, ბევრ საინტერესო ცალკეულ დაკვირვებასა თუ მახვილ შენიშვნას. გ. იმედაშვილი გამოცდილი მკვლევარია, რუსთველოლოგიის ისტორიკოსი. ყოველივე ეს საგრძნობია სარეცენზიო მონოგრაფიიდან. ამისდა მიუხედავად, თუ ვიქნებით გულწრფელი და ობიექტურად შევაფასებთ გ. იმედაშვილის ამ წიგნს, უნდა ვაღიაროთ, რომ მას სერიოზული ნაკლოვანე-

[1] გ ა ი ო ზ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968, გვ. 430.

ბანი ახლავს. მონოგრაფიას ახასიათებს ორიგინალურობის დაჩემების ძლიერი ტენდენცია, ავტორი ნაკლებ იკვლევს და უფრო დეკლარაციებით კმაყოფილდება, ზოგჯერ უცნაური დასკვნები გამოაქვს და მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებს უშვებს.

როგორც აღვნიშნეთ, გ. იმედაშვილი რუსთველოლოგიის ისტორიკოსია და ფრიად მოსაწონია მისი განზრახვა — გააცოცხლოს რუსთველის მკვლევართა მივიწყებული სახელები, შესაფერისი მიუზღოს მათ რუსთველოლოგიის ისტორიაში. ავტორი ამბობს: „მრავალია მივიწყებული მკვლევარი, რომელთაც ეკუთვნით პრიორიტეტი ამა თუ იმ პრობლემის წამოყენებასა და გადაწყვეტაში და მათი წვლილი მეცნიერული აზრის განვითარებაში არ შეიძლება არ იყოს შეფასებული მათი ნამდვილი ღირებულებით“ (გვ. 16). წინასიტყვაში ჩამოთვლის წესით დახარისხებული არიან რუსთველის მკვლევარნი ვახტანგ მეექვსის დროიდან დღემდის (უკეთ, რუსთველის საიუბილეო თარიღამდის, 1966 წლამდის, როგორც ნათქვამია ანოტაციაში) თემატიკური პრინციპის კვალობაზე. დახარისხება ვერ გამოხატავს საქმის ნამდვილ სურათს. მაგალითად, ნ. მარი და კ. კეკელიძე დასახელებული არიან იმ მონაკვეთში, რომელიც ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობას, შედგენილობას, ნაირწაკითხვებს, განმარტებებს, რუსთველის ბიოგრაფიას და ეპოქის ლიტერატურულ-ისტორიულ საკითხებს (გვ. 16—17). სამაგიეროდ, თურმე, იმავე მკვლევრებს წილი არ უდევთ რუსთველოლოგიის ისეთ საკითხებში, როგორიცაა პოემის მხატვრული კონსტრუქცია, პოეტიკა, რუსთველის აზროვნება, ესთეტიკა, რელიგია, განათლება, იდეოლოგია, ენა, ლექსიკა და მისთანანი (გვ. 17). არაფრის მთქმელი ჩამოთვლა უაღრესად ნებისმიერია, უსრულია, მშრალია.

გ. იმედაშვილს ზოგჯერ მართლაც მიუქცევია ყურადღება ე. წ. მივიწყებული მკვლევრებისათვის, მაგრამ, გამოტეხილად უნდა ვაღიაროთ, მას ორიენტაცია აუღია საზღვარგარეთელ მოღვაწეებზე, გაზვიადებულად წარმოუჩენია მათი როლი რუსთველოლოგიის ისტორიაში, მაშინ როდესაც აშკარა გულმავიწყობასა და უყურადღებობას იჩენს „შინაური“ მკვლევრების მიმართ. ამ დებულების საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გ. იმედაშვილს მრავალგზის ჰყავს დასახელებული თუ ციტირებული ნ. ჟორდანია (გვ. 20, 152, 161, 206, 241, 282, 336, 356), რომელსაც 1930 წელს პარიზში გამოუცია მეცნიერულ-პუბლიცისტური ხასიათის ნარკვევი „ვეფხის-ტყაოსანი“ (გვ. 3—83). მერე და რა მოსაზრებებს იმოწმებს გ. იმედაშვილი ნ. ჟორდანიას ნაშრომიდან? „საგულისხმოა ნ. ჟორდანიას შენიშვნა, რომ ვეფხისტყაოსანი არის არა სადევგმირო ნაწარმოები, არამედ თანამედროვე შინაარსის და ფორმის რომანული პოემა“, ვკითხულობთ გ. იმედაშვილის მონოგრაფიაში (გვ. 241). იმავე მონოგრაფიის 282-ე გვერდზე გ. იმედაშვილი იმეორებს: „საგუ-

ლისხმოდ შენიშნა ნ. ჟორდანიამ, რომ ვეფხისტყაოსანი არის არა სადევგმირო ნაწარმოები, არამედ თანამედროვე შინარსის და ფორმის რომანტიკული პოემა". 336-ე გვერდზე ისევ იმეორებს: „ნ. ჟორდანიას დასკვნით, ვეფხისტყაოსანი არის არა სადევგმირო ნაწარმოები, არამედ თანამედროვე შინაარსის და ფორმის რომანიული პოემა"[2]. ვფიქრობ, გ. იმედაშვილს თამამად შეეძლო სიტყვა-სიტყვით სამჯერ მაინც არ გაემეორებინა თავისდათავად უდავო და გაჩერებული აზრი[3].

რუსთველოლოგიის ისტორიკოსი განზოგადებულად შენიშნავს ერთგან: „უკანასკნელი ხანების რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში თავისი მასშტაბითა და სიღრმით ყურადღებას იქცევენ ნაშრომები, რომლებშიც ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თემას საფუძვლად უდევს ქართული ისტორიის, მწერლობის, ფილოსოფიის, რელიგიის, სოციალურ-კულტურული ყოფისა და საზოგადოებრივი აზროვნების საკითხთა პოზიტიური შესწავლა. თანდათან უფრო მეტი და მეტი მკვლევარი მიდის სხვადასხვა რედაქციით გამოთქმულ იმ ძირითად დასკვნამდე, რომ ვეფხისტყაოსანი არის ქართული ცხოვრების რომანი და მას არც შინაარსობრივ და არც მსოფლმხედველობით არავითარი კავშირი არა აქვს სპარსულ, არც ინდურ, არც არაბულ და არც სხვა რომელიმე ერის ცხოვრებასთან" (გვ. 61; დაყოფა აქაც და ქვემოთაც ყველგან, საგანგებო შენიშვნების გარდა, ჩემია — ა. ბ.).

სქოლიოში წყაროდ დასახელებულია ნაშრომი („ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება"), რომელიც 1958 წელს დაიბეჭდა უცხოეთში. ჩვენც დიდად ვაფასებთ ამ ნაშრომს, მაგრამ ნუთუ ამით ამოიწურება „უკანასკნელი ხანების რუსთველოლოგიური ლიტერატურა", სადაც შესაფერისად არის გარკვეული ვეფხისტყაოსნის დამოწმებული პრობლემე-

---

[2] უნებლიეთ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გ. იმედაშვილი პირველ შემთხვევაში (პირველი ციტატის დამოწმების დროს), ხმარობს გამოთქმას „რომანული პოემა", მეორე შემთხვევაში — „რომანტიკული პოემა", მესამე შემთხვევაში — „რომანიული პოემა". ბოლოს და ბოლოს როგორი ფორმა აქვს თვითონ ავტორს?! მსგავსი დაუდევრობა გ. იმედაშვილის მონოგრაფიისათვის შემთხვევითი როდია.

[3] მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ გ. იმედაშვილი, მაგალითად, ერთხელაც, არ ასახელებს ისეთ მონოგრაფიას, რომლის შესახებ თვითონ წერდა: «В книге с возможной полнотой рассмотрены все актуальные вопросы руставелологии и обобщена проделанная в этой области работа. В этом отношении, можно сказать, рецензируемая книга является единственным источником, рассматривающим с равным знанием, любовью и беспристрастием развитие научной руставелологической мысли как в грузинской и русской, так и в иностранной специальной литературе. Мы считаем неотложным перевод книги на русский язык для самого широкого читателя» (Новая монография о Руставели, «Заря Востока», 4. 2. 59).

ბი? აკი გ. იმედაშვილი თვითონვე ამბობს, რომ „თანდათან უფრო მეტი და მეტი მკვლევარი მიდის“ მსგავს დასკვნებამდეო.

სარეცენზიო წიგნში ნამდვილად საგრძნობია საბჭოური რუსთველოლოგიური მეცნიერების მიღწევათა იგნორაცია. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ თვითონ საზღვარგარეთის მკვლევარნი თავიანთ მხრივ უყოყმანოდ აღიარებენ ქართული საბჭოთა მეცნიერების დამსახურებას რუსთველოლოგიური კვლევაძიების საქმეში[4]. ამის შემდეგ აღარ გვაკვირვებს, რომ „თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკიდან“ გ. იმედაშვილი იმოწმებს მხოლოდ განსვენებულ მწერალ პავლენკოს და იმის საგაზეთო წერილს, სადაც „საფუძვლიანად ყოფილა დამტკიცებული“, რომ „ვეფხისტყაოსანი საშუალო საუკუნეთა პირველი რეალისტური ნაწარმოებია. მას რაინდული ჰეროიკა ზღაპრული სიმბოლიკის სფეროდან რეალურ საყოფაცხოვრებო გარემოში გადააქვს, იგი გვიხატავს ადამიანთა ცოცხალ ხასიათებს და ამიტომ წარმოადგენს აგრეთვე საშუალო საუკუნეთა პირველ ფსიქოლოგიურ წიგნს“[5].

მისასალმებელია, რომ გ. იმედაშვილი ყურადღებით ეპყრობა ისეთ მკვლევარს, როგორიც იყო, მაგალითად, სამამულო ომში დაღუპული შალვა დოლაქიძე (გვ. 261, 416). ოღონდ ეს არ აძლევს მას უფლებას უგულებელყოს სხვა სპეციალისტები.

ერთი სიტყვით, წყაროების დამოწმებით და მკვლევართა მოხმობის თვალსაზრისით, ისევე როგორც მოხმობილი ავტორების ღვაწლის შეფასების მხრივ, გაიოზ იმედაშვილი ცალმხრივია და ტენდენციური.

დავიწყოთ იქიდან, რომ სარეცენზიო ნაშრომის ლეიტმოტივია ნ. ჟორდანიას მცდარი დებულებები იმის შესახებ, რომ „რუსთაველის ეპოქის ქართული (?) საზოგადოება უაღრესად არარელიგიური საზოგადოება იყო“ და რომ ამ „არარელიგიურ ქართულ საზოგადოებას ეგუებოდა ქართული არარელიგიური პოემა“ (გვ. 161). გ. იმედაშვილი ავითარებს და აღრმავებს ნ. ჟორდანიას დებულებებს და, თავის მხრივ, მრავალგზის დაჟინებით იმეორებს, ვითომც ქართველი საზოგადოება სარწმუნოებრივ საკითხებში ისტორიულად იყო ინდიფერენტული და თითქოს ეს „ქართული (!) რელიგიური ინდიფერენტიზმი“ მსჭვალავს მთელ ვეფხისტყაოსანს (გვ. 153, 162, 164, 180, 314 და სხვ.) რა თქმა უნდა, საქმეს ვერ შველის ის გარემოება, თითქოს „რელიგიური შემწყნარებლობა და მომთმენობა თავისთავად სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის ფორმაა“ (გვ. 161, 162). რელიგიური შემწყნარებლობა სხვაა და რელიგიური ინდიფერენტიზმი — სხვა. შემწყნარებლურ სარ-

[4] Revue de Kartvélologie, № 32—33,, p. 150.

[5] სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 241—242. სქოლიოში მითითებულია პ. პავლენკოს წერილი «Витязь в тигровой шкуре» («Заря Востока», 27, XII, 37, № 297).

წმუნოებრივ პოლიტიკას ახორციელებდა თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში, მაგალითად, დავით აღმაშენებელი, მაგრამ ვინ თქვა, რომ იგი გულგრილი, ინდიფერენტული იყო ქრისტიანობის მიმართ? გ. იმედაშვილი ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა ცნებას.

სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ გ. იმედაშვილი იზიარებს შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის ღმერთის რაობის თაობაზე და ბეჯითად ამბობს: „ღმერთის ცნების გაგებაში რუსთაველი სამყაროს კრეაციონისტურ ინტერპრეტაციას არ უშვებსო“ (გვ. 162; შდრ. გვ. 153). ასეთ დიდ პრინციპულ საკითხზე გ. იმედაშვილი მხოლოდ განცხადებით კმაყოფილდება. შ. ნუცუბიძეს კი მომარჯვებული აქვს გარკვეული კონცეფცია, რაც თავის დროზე შეძლებისდაგვარად გავაკრიტიკეთ კიდევაც და აქ ალარ გავიმეორებთ[6].

გ. იმედაშვილის სიტყვით, თუმცა რუსთველი „ყოველგვარ... ღვთაებრიულისადმი ინდიფერენტულია“ (გვ. 314), მაინც, თურმე, „მთლად უსაფუძვლო არ ჩანს“ გრიგოლ ფერაძის მოსაზრება, რომ: „რუსთაველი იყო ქრისტიანობის უდიდესი რეფორმატორი, რომ მან ქრისტიანობის ნიადაგზე შექმნა ახალი რელიგია, რომ რუსთაველმა იქადაგა არისტოკრატიზმისა და დემოკრატიზმის მორიგება“ (გვ. 149). გრ. ფერაძის ამ მოსაზრებას არ შეიძლება სერიოზული ანგარიში გაეწიოს.

აღნიშნულის მიუხედავად, გ. იმედაშვილი საზოგადოდ აქებს ქრისტიანობას და მის აღმსარებლობას, როგორც „ადამიანის რელიგიას“, მაშინ როდესაც სხვა რელიგია, კერძოდ, მაჰმადიანური რელიგია, ყოფილა „ფანატიკური“, „ღმერთის რელიგია“ (გვ. 179). ეს ცოტაა. გ. იმედაშვილი ნებას აძლევს თავის თავს პირდაპირ ლანძღოს მაჰმადიანობა და უწოდოს მას „ფანატიზმის და დოგმატიზმის ყველაზე უწიგნური და უადამიანო რელიგია“ (გვ. 150).

ფანატიზმი ჰო, დოგმატიზმი ჰო, მაგრამ ჩვენ არ გვესმის, რას ნიშნავს გამოთქმა „ყველაზე უწიგნური“. ჩვენ ასე ვიცოდით, რომ მაჰმადიანობა ქრისტიანობასთან (და ზოგიერთ სხვა რელიგიასთან) ერთად სწორედ მწიგნობრული, მწიგნობრობაზე დამყარებული, ანუ წიგნით გამოხატული რელიგიაა. გ. იმედაშვილის აღმოჩენით კი იგი „ყველაზე უწიგნური“ ყოფილა (იქნებ მკვლევარი უწიგნურს ხმარობს სხვა მნიშვნელობით, როგორც „неграмотный“, მაშინ უარესი ვითარება გვექნებოდა). სამწუხაროდ, გ. იმედაშვილი თვითონ იჩენს მუსლიმანობის მიმართ შეუწყნარებელ შეუწყნარებლობას. მაჰმადიანობის აუგის მხილების შემდეგ გ. იმედაშვილი ასკვნის: „თუ რელიგიურ მოძღვრებათა გარემოცვაში მყოფი პოეტისათვის ღმერთის არჩევანი მაინც აუცილებელი იყო,

---

[6] შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 208—211.

ყველა შესაძლებელ ღმერთთაგან რელიგიათა სამყაროში ქართველი ადამიანისა და რუსთაველისათვის ყველაზე ახლობელი და გასაგები უნდა ყოფილიყო სიყვარულის იდეით მოსილი ქრისტიანული ღმერთი, რომელიც ადამიანს არა ბოჭავს, არ აშინებს და არ იმონებს“ (გვ. 150). გამოდის, რომ რუსთველი სრულიადაც არ ყოფილა გულგრილი (ინდიფერენტული) სარწმუნოებრივი გრძნობებისადმი. რატომ უნდა ყოფილიყო პოეტისათვის აუცილებელი ღმერთის არჩევანი, თუკი ის საზოგადოდ გულგრილი იყო ღვთაებისადმი და არ ცნობდა მის ავტორიტეტს?

გ. იმედაშვილი წინააღმდეგობათა ხლართშია გაბმული.

საკვირველია და მოულოდნელი გ. იმედაშვილის მოსაზრება, რომ საქართველოს ისტორიული განვითარება იყო განსაკუთრებული, თავისებური და არ ემორჩილებოდა ისტორიული განვითარების ცნობილ, თუ აღიარებულ „სქემას“. იგი ამბობს: „თუ არ ვეცდებით ქართული ისტორიის მოვლენები დავუქვემდებაროთ წინასწარ შემუშავებულ სქემებს, უნდა ვაღიაროთ ჩვენი ისტორიული ცხოვრების ის თავისებურება, რომელმაც არ გაიმეორა კულტურის ახსნაში ეკონომიური ევოლუციის ევროპული წესრიგი და, ამდენადვე, იდეოლოგიური განვითარების ის ფაზები, რომელნიც ევროპულ ცხოვრებაში წარმოიქმნენ“ (გვ. 106). ჩვენ არ ვიცით, „ეკონომიური ევოლუციის“ რა სქემას, თუ „ევროპული წესრიგის“ რა გზას გულისხმობს გ. იმედაშვილი. ოღონდ ის კი ვიცით, რომ იგი თავს ესხმის (უმისამართოდ!) იმათ, ვინც საქართველოს აზიის სფეროს კუთვნილებად თვლის. „დროა უარვყოთ, — აცხადებს გ. იმედაშვილი, — სავსებით მოძველებული და მცდარი გაგება საქართველოს, ქართველი ერისა და მისი კულტურისა, როგორც აზიური ქვეყნისა და სინამდვილისა“ (გვ. 13). კეთილი და პატიოსანი. სწორია, რომ საქართველო ნამდვილად ევროპული სფეროს ქვეყანაა. უნებლიეთ იბადება კითხვა, რაღა ეს ევროპული ქვეყანა ასცდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სწორედ „ევროპულ წესრიგს“?

მაინც, რით განსხვავდებოდა საქართველოს ისტორიული განვითარება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიული განვითარების „სქემისაგან“?

თუ ვენდობით გ. იმედაშვილს, ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ყოფილა კულტურული დონე: საქართველო დიდად ყოფილა კულტურულად დაწინაურებული, ხოლო ევროპელი ხალხები ის-ის იყო ბარბაროსობის მდგომარეობიდან გამოდიოდნენ (საქმე ეხება რუსთველის დროს). ჩვენი მკვლევარი სიტყვა-სიტყვით წერს: „რუსთაველმა თავისი ხალხის კულტურა დიდი ერის გზაზე დააყენა იმ საბედისწერო დროს, როდესაც თუ ევროპის ხალხები ბარბაროსობიდან გამოდიოდნენ, საქართველო, უკვე დიდი კულტურის მქონე, მონგოლურმა შემოსევებმა მოწყვიტეს განვითარების ლოგიკურ დინებას“ (გვ. 10).

აქ ორი რამ არის საინტერესო. ჯერ ერთი, სრული ანაქრონიზმია, თითქოს რუსთველის ეპოქაში ევროპელი ხალხები ბარბაროსობის მდგომარეობიდან გამოდიოდნენ. მეორე, საქართველო განვითარების „ლოგიკური დინებისაგან“ მოუწყვეტია მონღოლთა შემოსევებს. დიდი კულტურის მქონე ჩვენი ხალხი, — გვიხსნის გ. იმედაშვილი, — „არა ყოფილა იმდენად დაყოფილი სოციალური, ეკონომიური და რელიგიური ინტერესებით გათიშულ კლასებად თუ კასტებად, რომ განსხვავებულობის გრძნობას ჩაეხშო ეროვნული მეობისა და ერთობის გრძნობა და საზოგადოება ანტაგონისტურ ბანაკებად დანაწილებულიყო“ (გვ. 172). პატრონყმური საზოგადოების წევრები, გ. იმედაშვილის დაკვირვებით, „ერთმანეთის მტრებად არ იქცეოდნენ“ (გვ. 79). აი, სწორედ ეს ყოფილა „ქართული ცხოვრების თავისებურება“ (გვ. 79). სხვაგვარად რომ ვთქვათ, გ. იმედაშვილის მოსაზრებით, შუა საუკუნეთა ქართველი საზოგადოება არ ყოფილა ანტაგონისტურ კლასებად თუ კასტებად დაყოფილი და ამით განსხვავდებოდა ეს საზოგადოება ევროპული განვითარების წესრიგისაგან. ამაზე დავას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ გ. იმედაშვილი ვერ გამოდგება ქართველი ხალხის ცხოვრების ობიექტურ მემატიანედ.

გ. იმედაშვილი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყენებს მეცნიერულად ისეთ არა ზუსტ ცნებებსა და გამოთქმებს, როგორიცაა „ქართული იდეოლოგია“, „ქართული შთაგონება“, „ქართული ფიქრი“, „ქართული განცდა“, „ქართული შემეცნება“ და მისთანანი, მათ შორის „ქართული საუკუნეც“ (გვ. 96).

მოაინც, რა არის ეს ქართული იდეოლოგია? „საგვარეულო მამულის არისტოკრატული პრივილეგიის დაცვის იდეაზე იყო აშენებული ქართული იდეოლოგია“-ო, გვასწავლის გ. იმედაშვილი (გვ. 76). აბა, როგორ შეიძლება, განურჩევლად სოციალურ-კლასობრივი სხვაობისა საზოგადოდ ქართველობის იდეოლოგიად იქნას მიჩნეული, ვთქვათ, არისტოკრატული პრივილეგიის დაცვა?! განა საგვარეულო მამულების დაცვა და არისტოკრატიული პრივილეგიების ქომაგი უცხო იყო დასავლეთის მაღალი წრის ფეოდალური საზოგადოებისათვის? რა შეიძლება აქ იყოს სპეციფიკურად ქართული?!

ქართველობა, საზოგადოდ, განმარტავს გ. იმედაშვილი, თურმე გატაცებული იყო „დიდების მოხვეჭის“ წყურვილით, ამიტომაც მისდევდაო სამხედრო საქმეს, ხოლო სამაგიეროდ ასევე საზოგადოდ „ქართულ ცხოვრებაში“ ოდიოზური ყოფილა ვაჭრობის საქმე (გვ. 106—107). ამით აიხსნებაო „ვაჭრული წრის იგნორაცია ქართულ სახელმწიფო ცხოვრებასა და სოციალურ ურთიერთობაში“ (გვ. 107).

გამოჩენილი ქართველი სპეციალისტი-ისტორიკოსები (ივ. ჯავახიშვილი და სხვები) ამტკიცებენ, რომ ვაჭრები მნიშვნელოვან როლს ასრუ-

ლებდნენ XI—XII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, გ. იმედაშვილი კი აცხადებს (სწორედ აცხადებს და არ ამტკიცებს) სრულიად საპირისპირო რამეს.

თავისი მცდარი ამოსავალი დებულებით ვაჭრული საზოგადოების შესახებ გ. იმედაშვილი ცდილობს ახსნას ვეფხისტყაოსნის რიგი ლიტერატურული მხარეები. იგი თვლის რომ რუსთველის პოემაში უგულვებელყოფილია ქალაქურ-ვაჭრული ყოფა და წრე, ხოლო „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივი ცხოვრების ეს თავისებურება ქართულია“-ო, ასკვნის (გვ. 101). გ. იმედაშვილი „უსაფუძვლო გამოგონებას“ უწოდებს მოსაზრებას „ვაჭრობის დიდ საზოგადოებრივ როლზე ქართულ სახელმწიფოში, თუ მის გამოხატულებაზე ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 111). ვაჭრული წრის იგნორაცია ნიშანდობლივია როგორც ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სოციალური ურთიერთობისათვის, ისევე ვეფხისტყაოსნისათვისო, ამბობს გ. იმედაშვილი (გვ. 104). მკვლევარი წერს, რომ რუსთველი „არ გვაცნობს უგვაროთა ცხოვრებას, მათ შორის ვაჭრულ წრესაც“ (ამას ფრჩხილებში ურთავს — „იმაზე მეტად, ვიდრე ეს მისი სიუჟეტის ცალკეული ეპიზოდების გახსნას სჭირდება“)[7]. რუსთველს „არც ერთი უგვარო წარმოშობის პერსონაჟი არა ჰყავს დახატული, რადგან თავის საზოგადოებაში მხოლოდ მაღალ წრეს ათავსებს და მხოლოდ მათივე სახეებსა და ხასიათებში აღიქვამს სინამდვილეს“-ო, განაგრძობს გ. იმედაშვილი მსჯელობას (გვ. 100). მკვლევარი გრძნობს, რომ ძლიერ გადააჭარბა, ამიტომაც საგანგებოდ შენიშნავს, „თუ ერთი-ორჯერ ეპიზოდურად ვაჭრებიც მოგვევლინებიან, მხოლოდ ოდიოზურ სიტუაციაშიო“ (იქვე). მაინცდამაინც, არ ეშვება ამ საკითხს გ. იმედაშვილი, „ერთი ორი ვაჭრის გამოჩენა ჩვენი ისტორიული ცხოვრების სარბიელზე და მისი ერთი მკრთალი სახის დახატვა ვეფხისტყაოსნის საზოგადოებაში“, ვერ შეცვლის ჩვენს წარმოდგენასო (გვ. 102). გ. იმედაშვილი იმაზეც მიუთითებს მკითხველს, რომ პოემით: „არც ერთი ვაჭარი არ არის არაბი თუ ინდოელი“ (გვ. 108). მაშასადამე, იგი უცხოათ ავთანდილისა და ტარიელის საზოგადოებისათვის, ავთანდილისა და ტარიელის საზოგადოება კი, იგულისხმება, საქართველოს (ქართულ) ისტორიულ სინამდვილეს გამოხატავს.

აქ გ. იმედაშვილს დაშვებული აქვს რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა. არ არის სწორი, თითქო რუსთველს „არც ერთი უგვარო წარმოშობის პერსონაჟი არა ჰყავს დახატული“. ვაჭრებს რომ თავი დავანებოთ, „უგვარო“ არ იყო ვეფხისტყაოსნის ისეთი შესანიშნავი პერსონაჟი, როგორიცაა ასმათი?! არც ისაა მართალი, თითქოს ვეფხისტყაოსნით „არც ერთი ვაჭარი არ არის არაბი თუ ინდოელი“. არაბები უნდა ყოფილიყვნენ ის „მობაღდადენი ვაჭარნი“ (1031,1), რომელნიც ავთანდილმა იხსნა

[7] სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 100.

შეკობრებაგან. ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ ნუთუ მ კ რ თ ა ლ ი ს ა ხ ე ა ფატმანის სახე? მკრთალი კი არა, ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული, რეალისტური და სრულყოფილი სახეა ვეფხისტყაოსანში სწორედ ვაჭრის ცოლისა და თვითონ ვაჭრის ფატმანის სახე. ნესტან-თინათინისა და ტარიელ-ავთანდილის სახეები იდეალიზებული სახეებია, მაშინ როდესაც ფატმანის სახე გამოირჩევა თავისი არაჩვეულებრივი რეალისტურობითა და ტიპურობით.

ლიტონი განცხადებაა და უსაბუთო, თითქოს რუსთველი არ გვაცნობს ვაჭრული წრის ცხოვრებას. ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნა „იმაზე მეტად, ვიდრე ეს მისი სიუჟეტის ცალკეული ეპიზოდების გახსნას სჭირდებაო“ ვერაფერს გვიხსნის. არსებითად პოემაში სულ საპირისპირო ვითარება გვაქვს. ზღვათა სამეფოს ამბავი და ვაჭრული ცხოვრების ამსახავი გარემო აუცილებელი და დიდად მნიშვნელოვანი რგოლია ვეფხის ტყაოსნის სიუჟეტისა. რუსთველის ჩანაფიქრით, ამ რგოლის გარეშე, ფატმან-უსენის სამოქმედო ასპარეზზე გამოუყვანლად ვერ აიხსნებოდა ნესტანის საიდუმლოება და ვერ გაიმარჯვებდა ვეფხისტყაოსნის იდეალიზებულ გმირთა მიზანდასახულობა, ვერ გაიმარჯვებდა წმინდა სიყვარული. თუ არ ვაჭრული საზოგადოება, ნესტანი თავს ვერ დაიხსნიდა და სიკეთის ეს უმაღლესი განსახიერება საწადელს ვერ ეწეოდა. „თუ ერთი-ორჯერ ეპიზოდურად ვაჭრებიც მოგვევლინებიან, მხოლოდ ოდიოზურ სიტუაციაშიო“, ბრძანებს ჩვენი მკვლევარი. დავუშვათ, რომ რუსთველი ვაჭრებს მართლაც „ოდიოზურ სიტუაციაში“ გვიხატავს (თუმცა ეს მთლიანად სწორი არ არის), ამით ამ სიტუაციას არ ეკარგება თავისი მნიშვნელობა, თუკი საზოგადოდ პოემისათვის ფასეულია მისი ღირებულება. საქმე ის კი არ არის, ოდიოზურია თუ არაოდიოზური ესა თუ ის სიტუაცია, ან დადებითია თუ უარყოფითი ესა თუ ის პერსონაჟი, არამედ, ის თუ რა როლს ასრულებს ეს სიტუაცია და პერსონაჟი ავტორისეული იდეურ-მხატვრული წარმოსახვის სისტემაში. პრინციპული ასპექტით საკითხი მხოლოდ ამგვარად შეიძლება დაისვას. ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, რატომ არ შეიძლება ოდიოზური სიტუაცია და ოდიოზური პერსონაჟი იყოს ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ღერძი?

გ. იმედაშვილი „უცნაურს“ უწოდებს იმ ეპიზოდს, „რომელშიაც ისეთი ტიპური რაინდი, როგორიცაა ავთანდილი, ვაჭრულად გადაცმული მოევლინება გულანშაროს ქალაქს, როგორც ვაჭართა თავი და ვ ა ჭ რ ო ბ ა ს დ ა ი წ ყ ე ბ ს“ (გვ. 109). მკვლევარი კითხულობს: „რატომ დასჭირდა ეს რუსთაველს?“ პასუხი იქვეა გაცემული: „რუსთაველმა ის (ე. ი. ავთანდილი, ა. ბ.) სავაჭრო ქვეყანაში ვაჭრის სამოსით მიიყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი დ ი დ გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი ბ უ ნ ე ბ ა არ შ ე ე ლ ა ხ ა ოფიციალური ურთიერთობით არისტოკრატსა და ვაჭარს შორის“ (გვ. 109).

დასმული კითხვა და მასზე გაცემული პასუხი ჩვენი მკვლევრის ბრძნობის, ბრძნულმსიტყველობის ნაყოფია. არავითარი ამის მსგავსი საკითხი რუსთველს აქ არ დაუსვამს. ავთანდილი წინდახედული, გერგილიანი ჰაბუკი იყო, რომელიც მიზნის მიღწევისათვის საჭირო სხვადასხვა საშუალებას, ხერხს, არ თაკილობდა. მოვიგონოთ, რომ ის არა მარტო ვაჭართუხუცესად მოევლინა ზღვათა სამეფოს, არამედ ვაჭრულად გადაცმული (შენიღბული) აპირებდა ქაჯეთის ციხე-კოშკში შეღწევას და „მუხთლური“ წესით ბრძოლის გადახდას („სავაჭროთა შევეკაზმვი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა... მე მარტო შევალ ვაჭრულად და კარგად შევეტყუები, მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გავჩნდები, გავეცრუები; ღმერთმან ქნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები“). ამ შემთხვევაში რუსთველმა გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში გავრცელებული მოტივი ვაჭრად შენიღბვისა, ვაჭრად გადაცმისა გარკვეული მიზნის მისაღწევად. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია დავიმოწმოთ ქართულ მწერლობაშიც კარგად ცნობილი ორი მაგალითი: ვაჭრად შენიღბულმა ბალავარმა შეაღწია უფლისწულ იოდასაფის სადგომში და მას ქრისტიანული სარწმუნოება უქადაგა; ვაჭრადვე შენიღბულმა ფალავანმა როსტომმა მოახერხა თურანთა ქვეყანაში შეპარვა და ტყვედმყოფი ბეჟანის გამოხსნა („ბეჟანიანი“). ვითომ „სტიქიურად გამოხატული ქვეშეცნობა“ უკარნახებდა „ბალავარიანის“ უცნობ ავტორს ბალავარი რომ ვაჭრად შეენიღბა, რათა „მისი დიდგვაროვნული ბუნება არ შეელახა“?

ასეთ დასკვნამდის მიიყვანს მკვლევარს ქიმერული კონცეფციების გამოდევნება.

სარეცენზიო შრომის ერთი უმთავრესი ამოცანაა გარკვევა ქართული კულტურის მიმართებისა აღმოსავლურსა და დასავლურ მსოფლიო კულტურასთან. ამან ისიც უნდა ცხადყოს, თუ როგორ აირეკლა ეს მიმართება რუსთველის შემოქმედებაში. გ. იმედაშვილის თანახმად საქართველო თავისი კულტურული მეობით, მსოფლშეგრძნებით, მხატვრული აზროვნებით, მთელი თავისი სულიერი ცხოვრებით მკვეთრად განსხვავდება როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სამყაროსაგან, თუმცა საბოლოოდ „მაინც დასავლურ გზას ამჯობინებდა“-ო (გვ. 119). ამიტომაც „ქართული ცოდნა-განათლებისათვის ყველაზე ნაყოფიერ ნიადაგს მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში ბერძნულ-ბიზანტიური კულტურა წარმოადგენდა, რაც თვალსაჩინოა ინტენსიური ლიტერატურული ურთიერთობით, რომელიც საქართველოს ბიზანტიასთან ჰქონდა. საუკუნეთა მანძილზე ბიზანტიურიდან (!) შესრულებულ ქართულ თარგმანებს ოდნავადაც ვერ შეედრებიან სპარსული, თუ სხვა ენებიდან გაკეთებული თარგმანები“ (გვ. 119).

რა თქმა უნდა, საქართველოს, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას, ცხო-

ველი კულტურული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ბიზანტიასთან, შესაფერისად ინტენსიური იყო ბერძნულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა, მაგრამ ისტორიული განვითარების გარკვეული პერიოდიდან, კერძოდ, რუსთველის ეპოქაში უმნიშვნელო როდი იყო, მაგალითად, სპარსულ-ქართული (თუ ქართულ-სპარსული) ურთიერთობა პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სხვა ადგილას გ. იმედაშვილი თვითონ გვაუწყებს, რომ „აქემენიდებიდან დაწყებული ჩვენს დრომდე (რომელ დრომდე? — ა. ბ.) სპარსული კულტურის ცხოველმყოფელი ძალა საგრძნობი იყო საერთოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის მრავალი ხალხის კულტურულ ცხოვრებაზე და საქართველო ამ მხრივ არ შეიძლებოდა გამონაკლისი ყოფილიყო. ეს **გავლენა არ იყო ვიწრო ლიტერატურ!ული**, ის მრავალი კუთხით ვითარდებოდა...“ ეს **გავლენა** კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდაო, ამბობს მკვლევარი, „ფოლკლორისა თუ მწერლობის ამა თუ იმ მოტივსა, თემასა და სახეშიო“ (გვ. 126). „სპარსულის კვალი ჩვენს კულტურაში თავისთავად საკმაოდ საეჭვოა იმ ფაქტით, რომ **უხსოვარი დროიდან რაინდული კულტუ!რისა და ყოფის ესკლასიკური ქვეყანა** ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს წარმოადგენდაო“ (გვ. 126). როგორც ვხედავთ, აქ მკვლევარმა ველარ მოზომა და ძლიერ გადააჭარბა. სპარსეთი გამოაცხადა რაინდული კულტურისა და ყოფის კლასიკურ ქვეყანად „უხსოვარი დროიდან“ (მაინც რა დროიდან?), რომლის **გავლენის** ქვეშ მოქცევა კანონზომიერ მოვლენად მიიჩნია, თუმცა სხვა ადგილას მკაცრად გაუსწორა ანგარიში „აღმოსავლურ ფანატიზმსა და დესპოტიზმს, რომელიც ადამიანს ამყოფებდა მუდმივ იდეოლოგიურ და სოციალურ ტყვეობაში“ (გვ. 118). მკვლევარი ცდილობს მკითხველი იმაშიც დაარწმუნოს, რომ „აღმოსავლეთის აზროვნებამ თავისი განვითარება დაამთავრა ეპიგონიზმითა და დოგმატიზმით“ (გვ. 184). ჩვენ კვლავ უნდა შევეკითხოთ პატივცემულ მკვლევარს, როდის დაამთავრა აღმოსავლეთის აზროვნებამ თავისი განვითარება ეპიგონიზმითა და დოგმატიზმით? ეს შეკითხვა იმითაა გამოწვეული, რომ გ. იმედაშვილი, ჩვეულებრივ, ზოგადად მსჯელობს, დროისა და სივრცის გარეშე, წინა თქმულს თუ მომავალ დასკვნებს ანგარიშს არ უწევს და განწყობილების კვალობაზე აყალიბებს თავის მოსაზრებებს.

ზემოთ დამოწმებული ვრცელი ამონაწერით გ. იმედაშვილი ლაპარაკობს სპარსული კულტურის ქართულზე ყოვლისმომცველი **გავლენის** თაობაზე, შემდეგ კილოს ცვლის და იმასღა ამბობს, რომ სპარსული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების „ელემენტები“ აისახა (გამოიხატა) „ამირანდარეჯანიანსა“ და ვეფხისტყაოსანშიო (გვ. 128). რასაკვირველია, სრულიად უმართებულოა ამ კონტექსტით „ამირანდარეჯანიანისა“ და ვეფხისტყაოსნის ერთ წრეში მოქცევა.

ერთი სიტყვით, გ. იმედაშვილის დაკვირვების თანახმად, „ზოგჯერ ქართულ ეპიკურ ძეგლებს მათი იდეალებით, მოტივებითა თუ სახეებით“ სპარსულით უსარგებლია (გვ. 128)[8], ოღონდ დასაზუსტებელიაო კონკრეტულად „ამ გავლენის ხასიათი, მასშტაბი და მნიშვნელობა“ (იქვე). კონკრეტული მასალიდან, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსთველისა და ნიზამი განჯელის ლიტერატურული ურთიერთობის ვითარება. ამ საკითხზე შედარებით დიდი ლიტერატურაც არსებობს. მე არ ვიცი, იცნობს თუ არა გ. იმედაშვილი ამ ლიტერატურას, ყოველ შემთხვევაში ის არ ასახელებს უკანასკნელი დროის სპეციალურ ნაშრომებსაც კი, ამავე დროს გვამცნობს: „მხოლოდ ძალადობასა და უვიცობას შეუძლია ვეფხისტყაოსანი შეუდაროს ლეილმაჯნუნიანისა და გულანდამიანის ტიპის თხზულებებს“ (134). არ გვესმის, რად არ შეიძლება ვეფხისტყაოსანს შეუდარდეს „ლეილმაჯნუნიანისა“ და „გულანდამიანის“ ტიპის თხზულებები? რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ გაუტოლდეს, არამედ შეუდარდეს. აბა, შეუდარებლად როგორ გაირკვეს და დადგინდეს ვეფხისტყაოსნის უმაგალითო ღირსებანი დასახელებული ტიპის თხზულებებთან შედარებით? შემთხვევითი როდია, რომ გ. იმედაშვილი თვითონ უდარებს ერთიმეორეს „ლეილმაჯნუნიანსა“ და რუსთველის ვეფხისტყაოსანს. სხვა საქმეა, რამდენად შედეგიანია ეს შედარება. გ. იმედაშვილი ლაპარაკობს ეპიკური პოეზიისათვის „დაბრკოლების მოტივის“ მნიშვნელობაზე და ასკვნის: „ნიზამი განჯელისათვის ლეილმეჯნუნში ასეთი შეფერხების მოტივი ყაისის სიგიჟეა. უსაზღვროდ შეყვარებულმა ყაისმა უდროოდ აკოცა ლეილას, რითაც განარისხა, ან დაეჭვიანა სასიმამრო თავის ჰკვათამყოფელობაში და ამითვე დაჰკარგა საცოლე. აქ ყაისის სიგიჟე... შეფერხების მოტივს წარმოადგენს და ფაბულის განვითარებაში მოქმედი პერსონაჟის ფუნქციას ასრულებს“ (გვ. 249). მკითხველს უნდა შევახსენო, რომ გ. იმედაშვილის მიერ დამოწმებულ სიუჟეტურ ფაქტს ნიზამის პოემა არ იცნობს. აქ დამახინჯებულია „ლეილმაჯნუნიანის“ შინაარსი და ამ ნიადაგზე მიღებულია მცდარი განზოგადება. საქმე ისაა, რომ სპარსულ ენაზე არსებობს „ლეილმაჯნუნიანის“ მრავალი ვერსია. ერთი მათგანი გადმოთარგმნა თეიმურაზ პირველმა (XVII ს.). თეიმურაზისეულ „ლეილმაჯნუნიანში“ მოიპოვება დაახლოებით ის ეპიზოდი, რომლის შესახებ მოგვითხრობს გ. იმედაშვილი. ვამბობთ დაახლოებით იმიტომ, რომ თეიმურაზის ვერსიით საქორწინო მეჯლისის დროს ყაისმა (მაჯნუნმა) აკოცა ლეილას კი არა,

[8] გ. იმედაშვილის მოსაზრებების შინაგან წინააღმდეგობას აქაც უჩენია თავი. სხვაგან მკვლევარი კატეგორიული კილოთი ამბობს: „ვეფხისტყაოსნის სხეულში არ შეიძლება უცხო ფაბულისა და მოტივის შიგრაცია“ (გვ. 259). შდრ. ვეფხისტყაოსანში გამოყენებულ ცალკეული მოტივები და სახეები მსოფლიო მწერლობისა თუ ქართული ფოლკლორულ სინამდვილიდან (გვ. 257).

მის გოშიას, რის გამოც იგი ჩათვალეს ჭკუაზე შემცდარად და გააძევეს. ასეა თუ ისე, გ. იმედაშვილის მონათხრობს ერთგვარი კავშირი აქვს თეიმურაზის მიერ გადმოქართულებულ „ლეილმაჯნუნიანთან“. ახლა გარკვეულია თეიმურაზისეული „ლეილმაჯნუნიანის“ წყაროს დროის საკითხი. ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო XV საუკუნეზე ადრინდელი. ყოველ შემთხვევაში, ნიზამი განჯელის „ლეილმაჯნუნიანი“, როგორც თეიმურაზის წყარო, გამორიცხულია[9]. სამწუხაროდ, ასეთ შეცდომას ადრე სხვებიც უშვებდნენ. ახლა, ჩვენი მეცნიერული ცოდნის თანამედროვე დონეზე, მსგავსი რამ შეუწყნარებელია. კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება არა უბრალო შინაარსობრივი დეტალის დამახინჯებას, არამედ ნიზამი განჯელის სამიჯნურო კონცეფციის გამრუდებას. ეს არ ეპატიება იმ მკვლევარს, რომელიც სხვებს ფაქტებზე ძალდატანებასა და უმეცრებას უკიჟინებს საანალიზო პრობლემის დასმა-გადაწ;ყვეტის საკითხში.

სხვაც ბევრი გაუგებრობა არის სარეცენზიო წიგნში ქართულ-სპარსული კულტურის ურთიერთობათა პრობლემაზე. ჩვენ მათზე არ ვჩერდებით, მაგრამ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ზემოთ ციტირებული დებულება — „ბიზანტიურიდან შესრულებულ ქართულ თარგმანებს ოდნავადაც ვერ შეედრებიან სპარსული, თუ სხვა ენებიდან გაკეთებული თარგმანები“-ო (გვ. 119). მეთოდოლოგიურად არასწორი შეპირისპირებაა. ბერძნულიდან (და არა ბიზანტიურიდან:) ქართულად ითარგმნებოდა სასულიერო-საეკლესიო წიგნები. რა თქმა უნდა, სხვაგვარი უნდა ყოფილიყო ქართველი მთარგმნელის დამოკიდებულება საღვთო წერილის ტექსტისადმი, ვიდრე, ვთქვათ, „ვისრამიანისა“ თუ „როსტომიანის“ ტიპის თხზულებებისადმი, მაგრამ იმის თქმა არ შეიძლება, თითქო სპარსულიდან მომდინარე თარგმანები ვერ შეედრება ბერძნულიდან მომდინარე თარგმანებს. მოვიგონოთ კ. კეკელიძის საგულისხმო სიტყვები, ტექსტის დასახვეწად „მგონია, სახარების ტექსტზედაც კი არ გაუწევიათ ძველი დროის ქართველებს იმდენი სარედაქციო მუშაობა, რამდენიც XVIII საუკუნეში გასწიეს ჩვენში ქილილა და დამანას ტექსტზე, განსაკუთრებით ვახტანგ მეექვსემ და სულხან-საბა ორბელიანმა“[10].

ორიოდე სიტყვა ქართული რენესანსის თაობაზე.

გ. იმედაშვილის თვალსაზრისით, რენესანსი „არ არის უთუოდ მხოლოდ შუასაუკუნეთა დასასრულის მოვლენა“, ან „უთუოდ გამოსვლა შუასაუკუნეობრიობისაგან, როგორც ფეოდალური წესრიგისა და რელიგიური მსოფლმხედველობისაგან“ (გვ. 178); აგრეთვე (185—186). გ. იმე-

---

[9] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, IV, თბ., 1964, გვ. 89; დ. კობიძე, ჯამი და ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი (თუშ, 108, 1964, გვ. 131—133); შ. შამანაშვილი, თეიმურაზ პირველის ლეილმაჯნუნიანის სპარსული წყაროები, თბ., 1967, გვ. 9.

[10] ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956, გვ. 193.

დაშვილი არ უარყოფს, რომ „რენესანსის გაგება საერთოა კულტურული აღორძინების, ჰუმანიზმის, ეროვნული თვითშეგნების ეთიკური და ესთეტიკური ზოგადი იდეებით“ (გვ. 170), ოღონდ მკვლევარს მიაჩნია, რომ რენესანსის წარმოშობის ისტორიულ-კულტურული ფაქტორები ყოველი ერის ცხოვრებაში „შეიძლება სპეციფიკური იყოს“ (იქვე).

რა უნდა ყოფილიყო ის კონკრეტულ-ისტორიული ფაქტორები, რასაც უნდა შეეპირობებინა ქართული რენესანსის წარმოშობა. გ. იმედაშვილის ფიქრით, „რენესანსი ქრისტიანული სამყაროს მოვლენაა“ (გვ. 179). რენესანსის ყველაზე უფრო გამოკვეთილ, მკაფიო, ნიშანდობლივ თვისებად ითვლება ჰუმანიზმი, ხოლო თვალი რომ მივადევნოთ მუსლიმანურ სამყაროს, აკადემიკოს ნ. კონრადის სიტყვით, «передовые деятели науки и философии среднеазиатского мира IX — XI веков — подлинные гуманисты по своим принципам»[11]. ასევე სვამს საკითხს ნ. კონრადი ჩინეთის შესახებაც. არა, ჰუმანიზმი და რენესანსი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ქრისტიანული ქვეყნების კუთვნილება. ჰუმანიზმი და რენესანსი თავს იჩენდა ყველა ქვეყანაში, სადაც კი შესაფერისი ისტორიული ნიადაგი იყო სათანადოდ მომზადებული.

მაინც რამ შეაპირობა ქართული რენესანსის აღმოცენება? „რენესანსული მოძრაობა ჩვენში გაპირობებული იყო, ამბობს გ. იმედაშვილი, ხანგრძლივი იდეოლოგიური ევოლუციით, უწყვეტი კულტურული ტრადიციებით, თვითონ ფეოდალიზმისა და ქრისტიანობის ქართული ფორმაციის თავისებურებით, რომლის კეთილმყოფელი გავლენა ზრდიდა ადამიანის იდეას საზოგადოებრივ შეგნებაში და, საერთოდ, წინ სწევდა აზრის როლს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში“ (გვ. 174 — 175). „რენესანსული აზრის ევოლუცია თვითონ ქართული ფეოდალიზმისა და ქრისტიანიზმის წიაღში გახდა შესაძლებელი“ — იმეორებს სხვაგან (გვ. 187), მაგრამ ვერ გვიხსნის, თუ რა იყო ფეოდალიზმისა და ქრისტიანობის ქართული ფორმაციის ის თავისებურება, რასაც შეუპირობებია რენესანსული მოძრაობის წარმატებანი საქართველოში. გ. იმედაშვილი გვარწმუნებს, რომ „ქართულმა შთაგონებამ“, „რელიგიურმა ინდიფერენტიზმმა“ დასძლია ქრისტიანული დოგმა და ამით გზა გაუხსნა რენესანსულ აზროვნებასო (გვ. 180). „ქართული შთაგონება“, ცხადია, ვერაფერს აგვიხსნის. თუ საქმე დოგმატიზმის დაძლევაზე მიდგება, ეს რენესანსის დამკვიდრების საყოველთა-

---

[11] Н. И. Конрад, Запад и восток, М. 1966, с. 94. ნ. კონრადის საინტერესო წერილები რენესანსის საკითხებზე თავმოყრილია ამ კრებულში. ერთი მისი წერილი («Об эпохе Возрождения») შესულია კრებულში «Литература эпохи Возрождения и проблемы всемирной литературы») (М., 1967). აკადემიკოსი კონრადი სიტყვით გამოვიდა რუსთველის საიუბილეო სესიაზე 1966 წლის 28 სექტემბერს. ამ გამოსვლის ტექსტი დაბეჭდილია „მაცნეში“, (1966, № 5, გვ. 207).

ოდ აღიარებული გზაა და აქ სპეციფიკური ქართული არაფერია. მაშ, რაღად უარყოფს გ. იმედაშვილი რენესანსის წარმოშობის აღიარებულ „სქემას“, აქაოდა რენესანსი არ არისო შუა საუკუნეთა დასასრულის მოვლენა ან და შუასაუკუნეობრივი ფეოდალური წესრიგისა და რელიგიური მსოფლმხედველობისაგან გამოსვლა. უნდა ვიცოდეთ, რომ «без средних веков не было бы ренессанса, но ренессанс покончил со средними веками»[1];. როცა ლაპარაკია ეროვნულ ან ლოკალურ რენესანსზე, ან რენესანსზე პირობითად, მაშინაც საგულვებელია, რომ იმ ქვეყნებმაც გადალახეს თავიანთი „შუა საუკუნეები“[1].

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ გ. იმედაშვილმა ვერ აგვიხსნა ქართული რენესანსის რაობა და ვერც მისი აღმოცენების გზები გვიჩვენა. ეს კია, რომ ფაქტებით შეუმაგრებელი და დაუსაბუთებელი თვალსაზრისი რენესანსის შესახებ შეთანხმებულია საქართველოს ისტორიული განვითარების ავტორისეულ სქემასთან.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ გ. იმედაშვილი უმართებულოდ ხმარობს ისეთ ისტორიულ-ლიტერატურულსა და კულტურულ ტერმინს, როგორიცაა კ ლ ა ს ი ც ი ზ მ ი, რუსთველის ეპოქას, მეთორმეტე საუკუნეს, იგი უწოდებს „ჩვენს კლასიციზმს“ (გვ. 46, 197, 345 და სხვ.), ან „ლიტერატურულ კლასიციზმს“ (169,182), თუმცა მის წიგნში ზოგჯერ გვხვდება გამოთქმა „კლასიკური მწერლობა“ (გვ. 114—115). ცხადია, მკვლევარი აქაც ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა ცნებას.

გ. იმედაშვილი იმეორებს რუსთველოლოგიაში უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ სწორ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ რუსთველი გვიხატავს ხასიათებს[14], რომ ჩვენს ყურადღებას იპყრობს მთავარი გმირების ხასიათთა განვითარება (84), რომ „რუსთველი ხატავს გმირს როგორც ხასიათს“ (გვ. 274), რომ რუსთველის „მხატვრობის ძირითადი საგანია ხასიათი“ (226, 260), რომ რუსთველმა მოგვცა გამოკვეთილი, ძლიერი, ამაღლებული ხასიათები (257, 262, 285), ხასიათების მთელი „მწკრივი“ (250), „ადამიანური ხასიათების გალერეა“ (გვ. 275), რომ რუსთველი „ქმნიდა ხასიათებს და არა თავგადასავალს“ (გვ. 275). „რუსთაველი ხატავს ნამდვილ ადამიანურ ხასიათებს და არა მორალურ ცნებებს“ (გვ. 292). შეიძლება მკვლევარს შევედავოთ, როდესაც ამბობს, რომ „რუსთაველი ყვება არა ამბავს, არამედ ხატავს ხასიათს“ (გვ. 210). არა, რუსთველი გვიყვება მშვენიერ ამბავს და მშვენიერი ამბების ფონზე გვიხატავს მშვენიერ ხასიათებს, ამბის განვითარების საშუალებით ბუნებრივად გვიხსნის გმირების ხასიათებს. რუსთველის გმირები უთუოდ „ერთმანეთი-

---

[12] Н. И. Конрад, დასახ. წიგნი, გვ. 280.

[13] იქვე, გვ. 95.

[14] რაღა თქმა უნდა, საჭირო წყაროებს არ ასახელებს.

საგან ინდივიდუალურად განსხვავებულ ხასიათებს წარმოადგენენ“ (გვ. 308), როგორც ეს აღიარებულია თანამედროვე რუსთველოლოგთა ერთი წრის მიერ.

ისიც სწორია (და ამ მხრივაც გ. იმედაშვილი არსებულ შეხედულებას იმეორებს), რომ რუსთველი გმირების შინაგან, სულიერ თვისებებს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, „ადამიანის ხასიათს ხატავს უფრო მეტად სულის ქცევასა და ვნებათა ღელვაში“ (გვ. 234). ოღონდ მკვლევარს თავისთვის საბოლოოდ გარკვეული არ აქვს, თუ რას წარმოადგენს პოეტის მიერ დახატული ხასიათი, ზოგადი სახე-ხასიათია იგი, თუ კერძო, ანუ საკუთრივ ეროვნული. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ გ. იმედაშვილი ზოგჯერ წერს, რომ რუსთველმა „ობიექტურად მ ხ ო ლ ო დ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი და ქ ა რ თ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი გ ა მ ო ს ა ხ ა“ (გვ. 267); ზოგჯერ კი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ რუსთველის „გმირები განასახიერებენ ზოგადადამიანურ ხასიათებს, რაც პოემის მხატვრულ კონსტრუქციაში სივრცისა და დროის აბსტრაქტულობას განსაზღვრავს“ (გვ. 323, შდრ. გვ. 65). ჩემი აზრით, მისაღებია აკაკის ცნობილ განცხადებაზე დამყარებული იმედაშვილისეული ფორმულა: „რუსთაველმა ქართველი კაცის ხასიათით დახატა ადამიანის ზოგადი ტიპი“ (გვ. 22).

ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის ხასიათის ამოხსნისათვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ პოემის ორი სიუჟეტური რკალიდან (თინათინ-ავთანდილისა და ნესტან-ტარიელის, ანუ არაბეთისა და ინდოეთის ამბავი), რომელია მთავარი, რომელია პოემის მთავარი გმირი, ან გმირთა მთავარი წყვილი. ამასვე უშუალოდ უკავშირდება ვეფხისტყაოსნის მთავარი თემის საკითხი. გ. იმედაშვილს ძალიან ადვილად გადაუწყვეტია ეს რთული საკითხები, იგი გვერდს უვლის სპეციალური ლიტერატურით ცნობილ პაექრობას და შალვა დოლაქიძის ადრინდელ ნარკვევზე დამყარებით ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსნის ცენტრალურ სიუჟეტს წარმოადგენს ტარიელის ამბავი (261), შესაფერისად მთავარ გმირად (გვ. 249), თუ „ერთ მთავარ და ძირითად გმირად“ აღიარებს ტარიელს (გვ. 314). მკვლევარი ივიწყებს იმას, რომ ტარიელის ხასიათის რაობაზე და მის როლზე ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა სისტემაში დიდხანს გაბატონებული იყო მცდარი შეხედულება, რომ ბოლოს და ბოლოს მოხერხდა ტარიელის რ ე ა ბ ი ლ ი ტ ა ც ი ა (პროფ. ვლ. ნორაკიძის გამოთქმაა)[15]. ამისდა მიუხედავად, გ. იმედაშვილის მონოგრაფიაში შესამჩნევია ძველ შეხედულებათა გამოძახილი და ტარიელის აუგად მოხსენიების რეციდივები: ვითომც ტარიელმა პასივობა გამოიჩინა ნესტანის გათხოვების თაობაზე გამართული თათბირის დროს და თითქოს „თათბირის შემდეგაც ტ ა რ ი ე ლ ი ს ქ ც ე ვ ა ბ ო ლ ო მ დ ე უ ა ზ რ ო ა“ (გვ.

[15] ადამიანობის იდეა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1966, გვ. 149.

285—286). კარგი იდეალიზებული მთავარი გმირი ყოფილა ტარიელი, თუკი სწორედ გონიერების მობილიზების საჭირო შემთხვევაში იგი პასიურად და უაზროდ იქცეოდა. ჩვენთვის გაუგებარია გ. იმედაშვილის საყვედური ტარიელის მისამართით, „თუ რატომ არ წინაღუდგა იგი თათბირზე ნესტანის სხვაზე გათხოვების გადაწყვეტილებას და რატომ მოკლა ხვარაზმელი სასიძო“-ო (გვ. 286). ამავე საყვედურს იმეორებს მონოგრაფიის ავტორი სხვაგანაც (გვ. 307). წარმოიდგინეთ, გ. იმედაშვილი თვითონ რუსთველსაც სდებს ბრალს, ვითომ ტარიელის ქცევა თათბირზე და ხვარაზმშაჰის შვილის მკვლელობის ეპიზოდი ვერ არის (ან არ არის) მხატვრულად მოტივირებული, რომ აქ (ზოგჯერ სხვა შემთხვევაშიც) რუსთველი „ჩვეული მხატვრული დამაჯერებლობით არ გვიხატავს“ ამბის ვითარებას (გვ. 285). ამ საკითხზე ჩვენ არ შევჩერდებით, რამდენადაც შეძლებისდაგვარად მათზე უკვე გვაქვს პასუხი გაცემული[16]. საეჭვოა, რომ გ. იმედაშვილი არ იცნობდეს საკითხის ისტორიას, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, მას ჩქმალავს, ყოველ შემთხვევაში არ იხსენიებს და ანგარიშს არ უწევს.

ვერავინ დაუჯერებს გ. იმედაშვილს, რომ „რუსთველს არ დაუხატავს უარყოფითი ტიპი“ (გვ. 301), თუ, რასაკვირველია, ტიპს აქ მივიჩნევთ სახის შესაფარდ ცნებად. ცოტათი ქვემოთ მკვლევარი ოდნავი სიტყვაცვლილებით იმეორებს ამ მცდარ დებულებას, ვეფხისტყაოსანში „თითქმის“ არ არისო „არც ერთი უარყოფითი სახე“ (იქვე). თითქმის, ცხადია, საქმეს ვერ უშველის. საქმეს ვერც ის უშველის, რომ ფატმანი „საკმაოდ მიმზიდველი სახეაო“ (გვ. 300). ფატმანის სახის ამგვარი გაგებაც არ არის იმედაშვილის აღმოჩენა. მაგრამ, მიუხედავად სიმპათიურობისა, რუსთველის მხატვრულ სახეთა სისტემაში იგიც საჩოთიროდ გამოიყურება, თუმცა გარკვეულად უარყოფით პერსონაჟად მას ვერ ჩავთვლით.

გ. იმედაშვილი ზოგჯერ იხილავს ეპოსის ზოგადი თეორიის პრობლემატიკას და გამოთქვამს სხვადასხვა ხასიათის მოსაზრებებს როგორც ქართული, ისე მსოფლიო ეპიკური ძეგლების ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე.

პირველ ყოვლისა, გ. იმედაშვილს უნდა გაერკვია, რა ლიტერატურულ ჟანრს აკუთვნებდა იგი ვეფხისტყაოსანს და შემდეგ ცდილიყო მისი ადგილის გამონახვას ქართული და მსოფლიო პოეზიის სარბიელზე. თუმცა მკვლევარი შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ „პრობლემატურია ვეფხისტყაოსნის ჟანრი“. (გვ. 277), იგი ამ პოემას თვლის ეპიკური ჟანრის ნაწარმოებად. ეპოსი ფართო ცნებაა. გ. იმედაშვილი აკონკრეტებს. მას მიაჩნია, რომ „პირველი ქართული რაინდული რომანია ამირანდარეჯანიანი“ (გვ.

---

[16] იხ. ჩემი ნარკვევები — „ტარიელი“, „მართალი სამართალი“, «Реплика проф. П. Н. Беркову» და ზოგიც სხვა.

349). ხოლო ვეფხისტყაოსანი — „ქართული რაინდული რომანის დაგვირგვინება“ (გვ. 345). სხვაგან კი ნათქვამია, რომ ვეფხისტყაოსანში „ზოგი რამ დარჩა რაინდული ეპოსის სქემიდან“ (ავტორი გულისხმობს საგმირო ეპოსს), ამიტომაც აქ გვაქვს „ჟანრულად ეპოსიდან (ე. ი. საგმირო ეპოსიდან, — ა. ბ.) რომანში გარდამავალი ფორმა“-ო (გვ. 260). ასეა თუ ისე, გ. იმედაშვილი ვეფხისტყაოსანს მიიჩნევს რაინდული რომანის ჟანრის ნაწარმოებად. შემდეგი მსჯელობიდან ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსანი ლირიკული ეპოსია“ (გვ. 281), თვითონ „რუსთაველმა განსაზღვრა თავისი თხზულების ჟანრული თავისებურება, როგორც ლ ი რ ი კ უ ლ ი ე პ ო ს ი ს ა“-ო (იქვე). საეჭვო ცნებაა ლ ი რ ი კ უ ლ ი ე პ ო ს ი ს ცნება. ცნობილია ცნება ლირიკული პოემა, შესაძლებელია ლირიკული რომანიც. მაგრამ ვეფხისტყაოსნის ლირიკულ პოემად, ან ლირიკულ რომანად მიჩნევა, საკითხის დაბნელებაა მხოლოდ. სხვა საქმეა, რომ ვეფხისტყაოსანში ძლიერია „ლირიკული ნაკადი“ (გვ. 281—282). ეს კარგად არის ცნობილი[17]. მაგრამ სხვაა ლირიკული ნაკადი პოემასა ან რომანში, სხვაა ლირიკული პოემა და ლირიკული რომანი. უცნაურია გ. იმედაშვილის მოსაზრება, თითქოს „დაბრკოლებიანი სიყვარულის ფაბულაზე“ აგებული პოემა (თუ რომანი) მეგობრობის მოტივით „შეიძლებოდა მ ხ ო ლ ო დ ლირიკის საგანი ყოფილიყო“ (გვ. 201). გ. იმედაშვილის ამ აღმოჩენის მცდარობა უკომენტაროდაც ცხადია. პარადოქსულია გ. იმედაშვილის მეორე თეორიული აღმოჩენა — „ლექსის ენა განცდის უპირატესი ფორმაა, პროზა კი — ქცევისა“ (გვ. 349).

თვითნებურია და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გ. იმედაშვილის განმარტება ვეფხისტყაოსნის პროლოგის სიტყვებისა „ესე ამბავი სპარსული“, თითქოს „ს პ ა რ ს უ ლ ი ლიტერატურული ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინია“ (გვ. 33) და თითქოს ა მ ბ ა ვ ი ც ლიტერატურული ტერმინია და თანამედროვე გაგებით ნიშნავს რ ო მ ა ნ ს“ (გვ. 32). ისიც საფუძველს მოკლებულია, რომ „შესაძლოა ეს სტროფი ნაყალბევიც იყოს“ (გვ. 34). ორივე ეს დაუსაბუთებელი მოსაზრება ზედმეტად ხერგავს სხვადასხვა შეუსაბამო „თეორიებით“ ისედაც საკმარისად გაბუნდოვნებულ პრობლემას.

გ. იმედაშვილი შეგნებულად ამცირებს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეთა რაინდული რომანის ჟანრს, როდესაც ამბობს, ვითომც იქ „ეს ჟანრი ისე მოკვდა, რომ მან ვერ შექმნა მსოფლიო მასშტაბის მსგავსად მნიშვნელოვანი ნაწარმოები“ (გვ. 261). სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამ მოსაზრების გასაბათილებლად საკმარისია გავეცნოთ ცნობილი რუსი სპეციალისტის, პროფესორ რომან სამარინის შესანიშნავ წე-

[17] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი თბ., 1958, გვ. 81—83; შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 116—128,

რილს „შოთა რუსთაველი და XII—XIII საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურული პროცესი", რომელიც ჩვენ ჟურნალებში დაიბეჭდა[18]. რატომ უკარგავს მსოფლიო მნიშვნელობას გ. იმედაშვილი რაინდული რომანის ისეთ ძეგლებს, როგორიცაა „ტრისტან და იზოლდა", „პარციფალი" (ვოლფრამ ფონ ეშენბახელისა), კრეტიენ დე ტრუას პოემები და ზოგი სხვაც. ტყუილად ფიქრობს გ. იმედაშვილი თითქოს „მსოფლიო ეპოსების ისტორიაში მკვეთრადაა შესამჩნევი გამონაკლისი", რაც „ქართულმა ეროვნულმა ეპოსმა ვეფხისტყაოსანმა დაუშვა", „უარყო სისხლისა და სიკვდილის ესთეტიკა სიყვარულის დიადი იდეალებისათვის და არ გაიზიარა ეპოსის ომის თემაზე აგების საერთო ტრადიცია" (გვ. 304). ასეთი „გამონაკლისები" ჩვეულებრივია რაინდულ-რომანტიკული პოემებისათვის (ვისრამიანი, ლეილმაჯნუნიანი, ტრისტან და იზოლდა და სხვ.).

რა თქმა უნდა, სხვაა ვეფხისტყაოსანში ასახული სიყვარული და სხვა — მოხმობილი თხზულებებისა, მაგრამ ეს არ ცვლის საკითხის პრინციპულ მხარეს. არ არის სწორი, თითქოს „არ შეიძლება ეპოსი ტრაგიკულად გათავდეს, მისი მთავარი გმირი დაიღუპოს" (გვ. 246). ამის საწინააღმდეგო მაგალითებს გვაძლევს ნიბელუნგები, ტრისტან და იზოლდა, სიმღერა როლანდზე ...„ამირანდარეჯანიანში" არა თუ სიყვარულის გაგება არ არის მისული „გრძნობის თანასწორი გაზიარების ფორმამდე", არამედ იქ საერთოდ არ არის ასახული სიყვარული, როგორც „სამჯნურო" გრძნობა[19]. „ამირანდარეჯანიანისა" და ვეფხისტყაოსნის შეპირისპირებისას გ. იმედაშვილი ამბობს, რომ ვეფხისტყაოსნის „არც ერთი გმირი არ იტანჯება საკუთარი თუ სხვისი ფიზიკური ტკივილებით" (გვ. 310). მკვლევარს მოვაგონებთ ფრიდონის თავგადასავლის ერთ მომენტს (სტრ. 593):

ზახილი მესმა[20]. შევხედენ, მოყმე ამაყად ყოდა,
შემოარბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურე წყლული სტკოდა;
ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,
მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა,

როგორც მკითხველი ხედავს, ფრიდონი ფიზიკური წყლულებისაგან ძლიერ იტანჯებოდა. შეჭირვებული ტარიელისათვის სავსებით გასაგები აღმოჩნდა ფრიდონის წყლულების სიმწარე. ეს ვერ უგრძვნია მხოლოდ სარეცენზიო შრომის პატივცემულ ავტორს.

---

[18] ჟურნ. „მნათობი", 1967, № 2. გვ. 158—164; Поэма Руставели и мировой литературный процесс XII—XIII веков, «Литературная Грузия», 1967, № 3, с. 73—77.

[19] მოცალეობის, როგორც ტოლობის მნიშვნელობის იმედაშვილისეული გაგება დამარწმუნებლად არის დარღვეული ე. ხინთიბიძის მიერ ვეფხისტყაოსნის ერთი ეთიკური ცნება, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 1968, ტ. 52, № 1, გვ. 263—268).

[20] მოგვითხრობს პოემით ტარიელი.

ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ ყოვლად შეუძლებლია გავიზიაროთ გ. იმედაშვილის მოსაზრება, თითქოს „რუსთაველისათვის მთავარი იყო არა გამარჯვებული სიკეთის აპოთეოზი, არამედ თვითონ ტანჯვის პროცესი, რომლითაც მან დაამეგობრა უცხო ქვეყნის რაინდები“ (გვ. 209).

რუსთაველისათვის მთავარი იყო ადამიანური, მართალი სიყვარულის გამარჯვების იდეა, რაც როსტევანის სიტყვებით არის გამოთქმული ვეფხისტყაოსანში (1544,4):

ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახდომა.

ეს აზრია ჩაქსოვილი რუსთველის უკვდავ სიტყვებში:

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.

გ. იმედაშვილს ჯერ უნდა დაერღვია განმტკიცებული დებულება და მერე ცდილიყო თავისი მოსაზრების არგუმენტირებას. ნაშრომში არც ერთია, არც მეორე. მსგავსი რადიკალური ხასიათის დასკვნისათვის ცარიელი განცხადება საკმარისი როდია.

გ. იმედაშვილი სავსებით მართალია, როდესაც არ იზიარებს ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილის ავალიშვილისეულ ვულგარულ ინტერპრეტაციას (გვ. 220—222)[21]. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „რუსთაველი სიყვარულის არც ერთ სცენას არ აგვიწერს, რომელშიაც ფიზიკური სიამოვნება იყოს გამოხატული“ (გვ. 219). გ. იმედაშვილი, ჩვეულებისამებრ, ანგარიშს არ უწევს და არც იმოწმებს (მისაღებად თუ გასაბათილებლად) ამავე საკითხზე არსებულ სხვაგვარ შეხედულებას.

„ამჟამად მეცნიერებაში აღარა დგას საკითხი იმის შესახებ, თუ სად ვეძიოთ ვეფხისტყაოსნის ძირები“, — ვკითხულობთ გ. იმედაშვილის წიგნში (გვ. 58). თუ ასეა, მაშინ გაკვირვებას იწვევს ავტორისავე სიტყვები, რომ ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემის შესწავლაში „დღემდე... რუსთველოლოგიურ კვლევაძიებას არსებითად განსხვავებული და უფრო დასაბუთებული მოსაზრება არ წამოუყენებია, ვიდრე ვახტანგ მეექვსეს“ (გვ. 55): ნუთუ ორასორმოცდაათი წლის მანძილზე რუსთველო-

---

[21] გ. იმედაშვილი შენიშნავს, რომ „უახლესი ლიტერატურაში მრავალმხრივი ფართო მასალის ანალიზით უკვე სავსებით ნათელყოფილია“ ამ მოსაზრების მცდარობაო“ და მითითებულია ბუენოს აირესში 1954 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომზე (გვ. 222, შენ. 20). სავსებით სწორი მითითებაა, მაგრამ რა დაშავა ამავე საკითხზე თბილისში 1958 წელს გამოცემულმა წიგნმა, სადაც ავრეთვე სწორი პოზიციებიდანაა განხილული იგივე საკითხი (რა თქმა უნდა, შესაფერისად არის დამოწმებული ბუენოს აირესში დაბეჭდილი შრომაც). ნუთუ, კვლავ ვეკითხებით ჩვენს მკვლევარს, „უახლესი ლიტერატურა“ მარტო ერთს და იმასაც უცხოეთში დაბეჭდილ ნაშრომს მოიცავს? რატომ უვლის გ. იმედაშვილი გვერდს ქართველი საბჭოთა მკითხველისათვის უფრო ხელმისაწვდომ „ადგილობრივ“ ნაშრომებს?!

ლოგიური მეცნიერება წინ არ წასულა ვეფხისტყაოსნის ნამდვილი ორიგინალობის დასაბუთების თვალსაზრისით? მაშინ, რად აცხადებს მკვლევარი, ამჟამად აღარ დგას საკითხი ვეფხისტყაოსნის ძირების შესახებო? ვითომ ეს საკითხი საბოლოოდ გაარკვია ვახტანგმა? არა გვგონია. სხვათა შორის, იმასაც შევნიშნავ, რომ მთელი პოემა ვახტანგს საღვთოდ არ გაუგია, როგორც იუწყება გ. იმედაშვილი (გვ. 40). არ არის სწორი გ. იმედაშვილის მოწმობა, ვითომც „ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობის ახირებული თეორია თვით აკად. ნ. მარმა უარყო თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში“ (გვ. 55). „ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში მან (ე. ი. ნ. მარმა, — ა. ბ.) საბოლოოდ უარყო ირანული გავლენის აკვიატებული აზრი“, წერს სხვაგან იმედაშვილი და ასახელებს ნ. მარის ფრანგულად გამოქვეყნებულ ნარკვევს „La langue géorgienne“ (პარიზი, 1928) და მის რუსულ თარგმანს, როელიც დაიბეჭდა კრებულში «Язык и история», I, 1936 (სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 31, შენ. 4). ჩემი მხრით უნდა დავძინო, რომ ნ. მარს არასოდეს უარუყვია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსული წარმოშობის თვალსაზრისი. გ. იმედაშვილის მიერ დამოწმებულ მარისეულ ფრანგულ ნარკვევში ასე იკითხება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის თაობაზე: „Or son sujet est un conte persan“ (გვ. 13), ხოლო რუსულ ვარიანტში შესაფერისად წერია: «Однако ее сюжет — персидская сказка» (გვ. 36) ამასვე იმეორებს ნ. მარი თავის უკანასკნელ ნარკვევში, ვეფხისტყაოსნის საკითხს რომ შეეხება (В тупике ли история материальной культуры?, Л., 1933, С. 35).

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება.

უკვე საკმარისი მასალა დაგროვდა იმისათვის, რომ გ. იმედაშვილმა გადასინჯოს თავისი შეხედულება მზისგაგების თაობაზე ვეფხისტყაოსანში საზოგადოდ, კერძოდ კი, „მზიანისა ღამისას“ მნიშვნელობაზე (გვ. 36—37).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გ. იმედაშვილი შემაშფოთებელ ნიჰილიზმს იჩენს მთელი ე. წ. აღორძინების პერიოდის (XV—XVIII სს) ქართული მწერლობის მიმართ, თითქოს აღორძინების პერიოდის პოეზია „მოსაწყენი ერთფეროვნებითა და დიდაქტიზმით მოსასმენი ამბავია, ან რითმისა და საზომის მთხზველთა ვარჯიში“ (408). ამის თქმა სერაპიონ კედელაურის, არჩილ ბაგრატიონის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და ბესიკის შემოქმედებაზე ან უვიცობაა ან ცილისწამება. მე ვერც ერთს ვერ დავწამებ გ. იმედაშვილს, მაგრამ რა ვუყოთ მის შიშველ, ლიტონ დეკლარაციას? ამას ხომ რეაგირება სჭირდება.

კიდევ ბევრი სხვაც არის გ. იმედაშვილის მონოგრაფიაში მიუღებელი, მცდარი, პარადოქსული[22]. ყველაფერს ვერ გამოვეკიდებით. აღვნი-

[22] ყოველად შეუწყნარებელია, მაგალითად, გ. იმედაშვილის მოსაზრება, თითქოს ვეფ-

შნავთ მხოლოდ რამდენიმე ნებსით თუ უნებლიე ლაფსუსს. ბოლნისის სიონის წარწერა ეკუთვნის არა 461 წელს (გვ. 28), არამედ ოცდაათიოდე წლით უფრო გვიან ხანას. „ვეფხისტყაოსნით სულდგმულობს ქართველი ერი რვაასი წლის განმავლობაში“-ო (გვ. 69). დაახლოებით რვაასი წლის წინათ უნდა დაბადებულიყო რუსთველი, ვეფხისტყაოსანი კი უფრო გვიან შეიქმნა. „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“, განუცხადებიათ ქართველ დიდებულებს არა თამარისათვის, როგორც გ. იმედაშვილი მოგვითხრობს (გვ. 94), არამედ გიორგი მესამისათვის (ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 15). ჩვენმა მწერლობამ არ იცის „ომანიანის“ მსგავსად „სარიდანიანი“ (გვ. 256). ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ტარიელს ომი ჰქონდა ხატაელებთან და არა ხვარაზმელებთან (გვ. 237). ხვარაზმელებთან ბრძოლის ამბავი პოემის გაგრძელებათა ციკლის ეპიზოდია.

წიგნში შეინიშნება უხეში კორექტურული შეცდომებიც. დაწერილია გ. იმედაშვილის მონოგრაფია საერთოდ მძიმე, ალაგ-ალაგ ბუნდოვანი სტილით. ზოგჯერ აქვს ენის თვალსაზრისით შეუწყნარებელი გამოთქმები, მაგალითად: „ვეფხისტყაოსანში გახსნილი ადამიანი“ (გვ. 12), „გმირის გახსნა (გვ. 319), „მთლიანად ზის რუსთაველის კონცეფციაში“ (გვ. 145), „კლასიციზმის საერთო სტილში დგას“ (გვ. 345) და მისთანანი.

ამრიგად, სარეცენზიო ნაშრომს სერიოზული შეცდომები დაჰყოლია. თვითკრიტიკული წესით უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შეცდომებისათვის ერთგვარი პასუხისმგებლობა ჩვენც გვეკისრება — მონოგრაფია გამოქვეყნებულია ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ვიზით.

1969

ისტყაოსანმა „გაამძაფრა ჩვენი ეროვნული სიამაყის გრძნობა საკუთარი უპირატესობის შეცნობაში“ (გვ. 49) ეროვნული განსაკუთრებულობის, უპირატესობის გრძნობის თაობაზე გ. იმედაშვილი სხვაგანაც ლაპარაკობს (გვ. 45, 65, 94).

სამშვილდის წარწერის დარეჯანი

რუსთაველის ვეფხისტყაოსანი ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის ნაყოფია, რომელმაც უზარმაზარი ზემოქმედება მოახდინა ქართველობის სულიერი ცხოვრების ფორმირებაზე. ვეფხისტყაოსნის, ისე როგორც ქართული საერო-მხატვრული მწერლობის სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების, პერსონაჟთა სახელების წრემ გადალახა საეკლესიო კალენდარული ჯებირი და მტკიცე ადგილი დაიკავა ეროვნულ ონომასტიკონში.

თინათინის სახელი დამოწმებული უნდა გვქონდეს თამარიანის ბიბლიოგრაფიულ მინაწერში:

> მოხევეს ძეთა, ჩახრუხას-ძეთა ექო თამარი, მეფე წულიანი,
> მათი სიმეტე, ბრძენთა სირეტე თინათინ გაქო, ბაღი წყლიანი,
> ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულად იანი.

ამ სტროფში თინათინი (მზის თინათინი), თუ თინათინობა (მზის თინათინობა) განეკუთვნება თამარს. აი, ეს თინათინი (ე. ი. თამარი) და არა ის თინათინი, რომელიც არაბეთს იყოო (ე. ი. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი, როსტევან მეფის ასული). სამწუხაროდ, მოყვანილი ტექსტის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება, მისი ადრინდელი წარმოშობილობა კი ჩვენთვის უდავოა. იქნებ სწორიც იყოს პ. ინგოროყვას ვარაუდი, მინაწერის ავტორი თამარს ცოცხალ პირად ჰგულობსო: „ა ე ს თინათინ, ნუ ის თინათინ“ (პ. ინგოროყვა. ჩახრუხაის-ძე: პოეტი-მოგზაური, „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 276).

ვეფხისტყაოსნის ცენტრალური ვაჟი პერსონაჟის — ტ ა რ ი ე ლ ი ს სახელი — ნიკო მარის მოწმობის თანახმად, მოიპოვება 1225 წლის ერთ სამონასტრო სომხურ წარწერაში. ტარიელი მოიხსენიება ვინმე დავითის მამის სახელადო (Н. Я. Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1916, с. 503).

სახელი ნესტან-დარეჯანი გავრცელებული ყოფილა შუა აზიის არაბული მოსახლეობის ფოლკლორში (გ. წერეთელი, ნესტან-დარეჯანი შუა აზიის არაბულ ფოლკლორში, „ენიმკის მოამბე“, 1938, II, გვ. 1—2). ამ სახელს იცნობს ნიზამი განჯელი (შარაფ-ნამე, სპარსულ ენაზე, ბაქო, 1947, გვ. 388, 396, 473). ამ გარემოებაზე მითითებული აქვს ე. ბერტელსს (Ша-

раф-наме, Перевод и редакция Е. Э. Бертельса. Баку, 1940, с. 308, прим. 2).

ნესტან-დარეჯანი და ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა სხვა სახელები ფართოდ გავრცელდა პოემის წყალობით. ჩვენამდე მოღწეული და გამოვლენილი წყაროების კვალობაზე[1], ნესტან-დარეჯანი პირველად იხსენიება 1397 წლის სიგელში, როგორც მეფეთ-მეფე ალექსანდრეს მეუღლე (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 202). XV საუკუნიდან (1449—1460 წ.) ცნობილია დედოფალი ნესტან-დარეჯანი, თანამეცხედრე გიორგი IX-ისა და დედა კახეთის მეფის ალექსანდრესი (ქრონიკები, II, გვ. 277, 280; საისტორიო მოამბე, 1924, II, გვ. 40—43). XVI საუკუნიდან (1520 წლიდან) იხსენიება ათაბაგ ყუარყუარეს მეუღლე, ნინო — ყოფილი ნესტან-დარეჯანი (ქრონიკები, II, გვ. 347). შემდეგ ხანებში ნესტან-დარეჯანის სახელი ხშირი ხდება. ნესტან-დარეჯანი კომპოზიციური აგებულების სახელია და ორი ნაწილისაგან შედგება: ნესტანი და დარეჯანი. შემდგომ დროებში ეს რთული შედგენილობის სახელი დანაწევრდა და ცალ-ცალკე გავრცელდა. პირველად 1682 წლის საბუთით არის ცნობილი სახელი დარეჯანი, ასული ვახტანგ მდივანბეგისა და თამარისა, მამიდაშვილი ფანასკერტელ-ციციშვილის ციცისა (ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad 641). სახელის ეს სახეობა შემდგომ ხშირდება. ნესტანი — დამოუკიდებელი ფორმით ძველ წყაროებში არ ჩანს. ამგვარად, სახელი დარეჯანი თითქოს მხოლოდ XVII საუკუნეში ჩნდება. მაგრამ, როგორც ირკვევა, ასე არ არის. საძიებელ საკითხთან დაკავშირებით ჩემი ყურადღება მიიპყრო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1904 წელს გამოქვეყნებულმა სამშვილდის წარწერამ (Известия КОМАО, В. I, Тбилиси, 1904, с. 42—46). ამ წარწერის თაობაზე ე. თაყაიშვილს საჯარო მოხსენება წაუკითხავს 1901 წლის 27 ოქტომბერს. სამშვილდის წარწერა დიდია და ძალზე დაზიანებულია. ჩემს საგანგებო ინტერესს იწვევს ვრცელი წარწერის შემდეგი ნაწყვეტი (ტექსტი მოგვყავს სტრიქონ-სტრიქონ ე. თაყაიშვილის პუბლიკაციის მიხედვით):

1. ... ნმე: ღ᷑თით ე᷑მნ᷑ვჩმ᷑ნკ᷑ა: ოილ... კრი ესე
2. ...დე... ცი... ყმთ [სამშ] ვლდესა: გვნბა: შუნება ციხესა[2]: შინა
3. გგრ᷑გ᷑ლ: დნი... ვჳ აშშნა... ჴე: ლ... ეს .....
4. ...ხთი: თა... ციხე:ჴ... ო ... ლის დარეჯანმან.....
5. ...ლ: ცხ. თ რვასსა ბ᷑ლი... ციხე დ᷑ესე ლაჲ: და დიდი
6. ... თახ: ლისაჲ წ᷑ა: ი... ა დიჯრთ... ლნ: მცლისაჲ
7. ...რთ: ხ... ჲ მხსა ეკლესაჲ წ᷑ისა თ᷑ესი: სმ.....
8. ... სალცველ᷑დაჭა... თა ევის თა: დავ.....

[1] სათანადო მასალები მომაწოდა ვალერი სილოგავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[2] ე. თაყაიშვილს აქვს: ციკესა.

ტექსტი ე. თაყაიშვილს დაბეჭდილი აქვს ასომთავრულად, ქარაგმები არ გაუხსნია და არც დაზიანებული ადგილები აღუდგენია ერთადერთი შემთხვევის გარდა: აღდგენილია და შესაფერისი ასოები კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული სიტყვა „[სამშ]ვლდესა“, თუმცა იგი დაუტოვებია ასონაკლულად (სამშვლდესა: სამშვილდესა). წარწერა იმდენად დაზიანებულია, რომ [ი]ქიდან რაიმე გარკვეული აზრის გამოტანა ჭირს. თარგმანით კი მკვლევარს მწყობრად გაუაზრებია ნაწყვეტის შინაარსი: «Из приведенных отрывков этой надписи можно вывести заключение, что некий Эристав Эристовов Вачe (?)[3] и супруга его Дареджан в Самшвилдской крепости построили церковь во имя святого Феодора» (დასახ. ნაშრ), გვ. 44). ე. ი., ე. თაყაიშვილის ინტერპრეტაციის თანახმად, ვიღაც ერისთავთერისთა ვ ვაჩეს/?/ და იმის მეუღლე დარეჯანს სამშვილდეში აუგიათ წმ. თევდორეს სახელობის ტაძარი. ე. თაყაიშვილს არ უცდია წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის გარკვევა, მაგრამ მას გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე წარწერის მარჯვენა მხარის შედარებით ნაკლებ დაზიანებული ნაწყვეტის ტექსტიც, რომლის შინაარსი რუსულად ასე ჟღერს: «Из этой надписи можно заключить, что Эристав Эристовов и ипертимос (кажется Аваг Хурцидзе) в царствование царя абхазов, картвелов, ранцев и кахетинцев Давида и сына его... пожертвовал церкви купленное им поместье. В конце следует проклятие тому, кто изменит определение жертвователя» (იქვე, გვ. 45). დასასრულ ე. თაყაიშვილი ამბობს, რომ კარიბჭის ზევით, დასავლეთის მხარეს, ყოფილა, ახლა გადასული, წარწერა, რომლისგან მხოლოდ შემდეგის ამოკითხვა შეძლო: „სახელითა ღ[თისათა ბრძანებითა დ]თ[ფისა)... Речь идет, вероятно, о Давиде Возобновителе (1089—1125)» (გვ. 45—46).

[სამშ]ვილდის წარწერა, ე. თაყაიშვილის ვარაუდით («вероятно»), დავით აღმაშენებლის დროისაა და, მაშასადამე, არა უგვიანესი XII საუკუნის პირველი მეოთხედისა. ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ საანალიზო წარწერა პირველად ხდება ცნობილი (გვ. 44). ე. თაყაიშვილის შემდეგ, გარკვეული მიზანდასახულობის გამო, ეს წარწერა საგანგებოდ შეისწავლა და განიხილა შოთა მესხიამ თავის დიდად საყურადღებო ნაშრომში „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ (თბილისი, 1979), რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა. წარწერა შ. მესხიას თვითონ არ შეუმოწმებია, ის ემყარება მხოლოდ ე. თაყაიშვილის პუბლიკაციას. შ. მესხია უყოყმანოდ და გადაჭრით იმ აზრს ადგას, რომ წარწერა საალმშენებლო ხასიათისაა, აღმშენებელია ერისთავთერისთავი ვაჩე (კითხვითი ნიშნის გარეშე). ამ ვაჩე ერისთავთერისთავს და მის მეუღლე დარეჯანს ენებათ „ციხესა შინა შენება“, მაგრამ

[3] კითხვითი ნიშანი თაყაიშვილისაა.

კონკრეტულად თუ რა ააშენეს, წარწერის დაზიანების გამო, სამწუხაროდ, არ ჩანსო (დასახ. ნაშრ., გვ. 61). შ. მესხიას გამოკვლევის თანახმად, თურქთაგან განთავისუფლების, ე. ი. 1110 წლის, შემდეგ სამშვილდე მეფეს ორ ბელებისათვის უბოძებია. შ. მესხიას აზრით, ორბელები სამშვილდის მფლობელნი შეიძლება ყოფილიყვნენ დემნას აჯანყებამდე, ამის კვალობაზე, ასკვნის შ. მესხია, „ერისთავთერისთავი ვაჩე“ ამ მხარის ერისთავად მხოლოდ გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში, ორბელთა დამხობის შემდეგ და თამარის დროს შეიძლებოდა ყოფილიყო“ (გვ. 61—62). შ. მესხიასთვის ცხადია, რომ სამშვილდის წარწერა უეჭველად XII საუკუნისაა. იგი უფრო იქითკენ იხრება, რომ წარწერა ამ საუკუნის 80-იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს. კი, მაგრამ მაშინ რა ვუყოთ დავით აღმაშენებლის მოხსენიებას, რომლის დროსაც მოღვაწეობდა ვაჩედ მიჩნეული უცნობი ერისთავთერისთავი? უფრო თანმიმდევრულია ე. თაყაიშვილის ვარაუდი, რომ სააღმშენებლო წარწერა XII ს. პირველი მეოთხედისაა.

სამშვილდის წარწერას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამიტომაც გადავწყვიტეთ მოგვეწყო პატარა ექსპედიცია და ადგილზე შეგვემოწმებინა, კერძოდ, წარწერის ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი. რაღა თქმა უნდა, პირველად მივმართეთ ვახუშტის:

„ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე... არს ფრიად მაგარი. სამხრით უდის ქცია, ჩრდილოთ უდის ჰიეჰივა; საშორისსა ზედა არს გარდავლებული ხრამით ხრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კუალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული, ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა. ციხესა შინა აღაშენა ეკლესია გუმბათიანი ლ ბ მეფემან მირდატ (434—446). შემუსრა ლანგ თემურ, მერმე ოსმალთა. ზაფხულ არს ცხელი, ზამთარ ცივი, არამედ მშუენი და კეთილ-ჰაოვანი... ქციის ხრამი აქა არს სიმაღლით ს (200) მხარი და მეტიცა, და განით ფ (560) მხარი და ჰიეჰივის ხრამი ს (200) მხარი... ჰიეჰივის-წყალი სდის ბენდერის მთასა და მოდის სამხრით; არს ვენახოვანი, ხილიანი, არამედ მთისაკენ არა. ამის სადინს არს ნადარბაზევი, თამარ მეფის ნასასახლევი (ქართლის ცხოვრება, სვ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, IV, თბილისი, 1973, გვ. 322—323).

სხვა არა იყოს რა, სამშვილდე იყო თამარის აღმზრდელი დაქვრივებული მამიდის, რუსუდანის, სადგომი. იქ იზრდებოდა დავით სოსლანი. სამშვილდეში, ალბათ, ბევრჯერ ყოფილა შოთა რუსთველი.

ჩვენს პატარა ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიე წარწერების კითხვაში დახელოვნებული ისტორიკოსები გივი გაფრინდაშვილი და ვალერი სილოგავა. სამუშაოდ ყოველმხრივ აღჭურვილნი გავემგზავრეთ თეთრი წყაროს გზით 1980 წლის 1 ივნისს. რაიონული ცენტრიდან სოფელ სამშვილდემდე მანძილი ათიოდე კილომეტრია. სოფლიდან ნაქალაქარამდი, 1,5—2 კილომეტრი მანძილი ფეხითაა სასიარულო. ამინდი საუცხოო დაგვესწრო და გზაც (ეტყობა, ძველი, ყოველ შემთხვე-

ვაში, თამარის დროინდელი) არ იყო დამღლელი. გზის ორივე მხარეს ხარობს ჩრდილის გამომცემი ხშირი მცენარეულობა. მათ შორის გამოირჩევა ხანდაზმული დიდრონი კაკლის ხეები.

აგერ სამშვილდეც! დიდებული სანახაობაა, ოღონდ სევდის მომგვრელი. ოდესღაც სიცოცხლით სავსე, აყვავებული და ნატიფი ხუროთმოძღვრული ძეგლებით დამშვენებული სამეფო ციხე-ქალაქი ჟამთა სიავის გამო ახლა ნაციხარ-ნაქალაქარ ნანგრევებსღა წარმოადგენს (მომაგონდა: „აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი“). ამაყად და შედარებით კარგად შემონახულად გამოიყურება მხოლოდ მისასვლელი გარე ციხის მაღალი ზღუდე. გული მოგვიკლა იმან, რომ გაუვალი ბარდ-ეკლით, ბალახბულახითა და სამშენებლო ქვებით დაფარულ ციხის შიგა ეზოში თავი ამოუყვია, სიცოცხლის ნიშანი გამოუღია (და ყვავილობაც კი დაუწყია) გაველურებული ვაზის ლერწებს განსაკუთრებით შეეცოდა უპატრონო ობოლი ვაზი ჩემს შვილიშვილს ლევანს, რომელიც თან მახლდა სამშვილდეში. დიდხანს ვტკბებოდით ქცისა და ჭივჭივის ულამაზეს ხეობათა ცქერით. შორს, თვალსაწიერზე გაშლილი იყო ქართლის მწვანედ აბიბინებული მინდორ-ველები, „ვენახოვანი, ხილიანი“ სანახები.

ნანახით მოხიბლულნი გონს გვიან მოვეგეთ, დავუბრუნდით რეალობას, ცოტა წავიხემსეთ, წარწერას მივაშურეთ და ამოკითხვას შევუდექით (წარწერა კაცის სიმაღლეზეა და მისადგომად ადვილია). გივიმ და ვალერიმ ბევრი უკირკიტეს გამჭვარტლული, დიდად დაზიანებული და მნიშვნელოვან წილად გადასული ძვირფასი ტექსტის ნაშთებს. მათ მრავალი მხრიდან გადაიღეს ფოტოპირებიც. ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ (კაი ოთხმოცი წლის მანძილზე) წარწერას ახალი დაზიანების მხრით რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია.

სამშვილდის წარწერის ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტს ვალერი სილოგავა ასე კითხულობს (მას ეთანხმება გივი გაფრინდაშვილიც):

1. ქ მე [...] ე(რისთა ვთ)—ე(რისთა ვ)მ(ა)ნ ჩემსა ო ისა [.....] ე: [...]
2. [.....] [სამშ ვ]ილდისა ქონება [სა] ციხე ა ვ[აგე]
3. [.....] აო: წონე: ხაშ [..]ოიხე: ლო [....] ეს [..]
4. [.....]: თ [..]: ცი [..]ჯ [მეუღ]ლის დარეჯ [ანის[4]...] ო [..]
5. [..]ს: ც(ი)ხ [ე] შ(ა)რ ვანს: [.] გლ [..] ციხე: და ბსელ [..] დ: დდ
6. [.....] [ეკ]ლ(ე)სია ჲ წ(მიდი)სა დ(ე)დისა ნ(ა)თლ(ი)ს — მც(ემ)ლის(ა) ჲ [..]
7. [.....] ჲ: [.....] ეკლეს(ია) ჲწ(მიდ)ისა თ(ე ვდორ)ესი ს [.]
8. [.....სა] ჭელითა ღ(მრ)თის(ა) ჲთა: დ [ა]

[4] ეტყობა ე. თაყაიშვილის დროს ეს სახელი უკეთ იკითხებოდა.

წარწერის თაყაიშვილისეულსა და სილოგავა — გაფრინდაშვილისეულ წაკითხვათა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. არსებითი ხასიათის ზოგ ადგილს ორივე მხარე ერთნაირად კითხულობს. თაყაიშვილიცა და ჩვენი ეპიგრაფიკოსებიც თვლიან, რომ წარწერა სააღმშენებლო ხასიათისაა, შეეხება სამშვილდის ციხეში ეკლესიის აგებას. მშენებელნი ყოფილან სახელმწიფოს დიდი მოხელე ერისთავთერისთავი და მისი მეუღლე. ე. თაყაიშვილი ამ ერისთავთერისთავს კითხვითი ნიშნით უწოდებს ვაჩეს. სახელის ვაჩობას უცილობლად აღიარებს შ. მესხია. ნაცვლად თაყაიშვილისეულ — მესხიასეული წაკითხვისა „ვაჩე-მან“, თანამედროვე ეპიგრაფიკოსები გვთავაზობენ სიტყვას „ჩემსა“. ერთი რამ ცხადია, წარწერაში „ვაჩე“ გარკვევით არ ჩანს. გარკვეულია მხოლოდ, რომ ეს პირი მშენებელია, ერისთავთ-ერისთავია და მისი მეუღლეა დარეჯანი. ჩემთვის ესაა მთავარი. აგრეთვე მთავარია ის, რომ გაფრინდაშვილ — სილოგავას დაკვირვებითაც წარწერა პალეოგრაფიულად და ისტორიული რეალიებით, უეჭველად, XII საუკუნისაა, უკეთ, XII საუკუნის პირველი მეოთხედისა, დავით აღმაშენებლის დროისა (1110—1125 წლებს შუა). მაშინ სამშვილდის ციხის ქონებისას ვიღაც ერისთავთერისთავს და მის მეუღლეს დარეჯანს აუგიათ ტაძარი.

როგორც ვიცით, დარეჯანი ვეფხისტყაოსნის უმთავრესი გმირი ქალის კომპოზიტური აგებულების მქონე სახელის ნაწილია (მთავარი ნაწილი). ეს სახელი რომ XII საუკუნეში ცნობილი ყოფილა, ამას ამტკიცებს „ამირან-დარეჯანიანის“ არსებობა და ამ საგმირო-საფალავნო თხზულების უმთავრესი პერსონაჟის სახელწოდება — ამირან დარეჯანის-ძე. მართალია, აქ დარეჯანი მამაკაცის სახელია. არა გვგონია, ამირანის დარეჯანის-ძეობა ისეთი სოციალურ-ენობრივი მოვლენის გამომხატველი იყოს, როგორიც არის, მაგალითად, გიორგი-ლაშას ძეობა (თამარის ძე). მაინცდამაინც, დარეჯანი, როგორც ქალის სახელი, დადასტურებულია სამშვილდის სააღმშენებლო წარწერით, ე. ი. XII საუკუნის პირველი მეოთხედის ეპიგრაფიკული ძეგლით. ამრიგად, რუსთველის ეპოქის საქართველოში გავრცელებული ყოფილა ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ისეთი სახელები, როგორიცაა თინათინი, ტარიელი, დარეჯანი (ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით ავთანდილის შესახებ). ყოველი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თავისი საყვარელი პერსონაჟების სახელებს რუსთველი პოულობდა მისი მშობლიური ქვეყნის სინამდვილეში, ქართულ ონომასტიკონში. ამ მხრივაც ეროვნული ნიადაგი უნდა ყოფილიყო მისი შემოქ-

მედების წყარო. რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსნის შექმნის შემდეგ პოემა თვითონ გახდა საერო ონომასტიკონის საბადო. აი, ეს აზრები აღმიძრა სამშვილდის შესანიშნავმა წარწერამ. ასე მეჩვენება, რომ სამშვილდე საჭიროებს ჩვენი საზოგადოებისა და ჩვენი ხელისუფლების სათანადო ორგანოების მეტ ყურადღებას. უნდა გაიწმინდოს, გაითხაროს და აღდგეს წარსულის ამ ბრწყინვალე ძეგლის მთელი დიდებულება.

1980.

ფატმანის სახის გარშემო

ვაჭრად გადაცმული ავთანდილი რომ ზღვათა სამეფოში, ნავსადგურ გულანშაროში ჩავიდა, იქაური ვაჭართუხუცესი უსენი შინ არ იმყოფებოდა. უსენის სანაცვლოდ ჰაბუკს კეთილად უმასპინძლა მისმა მეუღლემ ფატმან-ხათუნმა. რუსთველი ასე გვიხასიათებს ამ ქალს (1077):

ფატმან-ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკვთად კარგი, შავგრემანი, პირმსუქანი, არ პირხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი;
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.

პირველი შეხვედრისთანავე ფატმანს დიახაც მოეწონა ახოვანი ჰაბუკი. „ფატმან-ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა“ შენიშნავს რუსთველი (1082,1). ეს ნდომა მას თანდათან გაუძლიერდა, თავი ვეღარ შეიკავა და სამიჯნურო უსტარი მისწერა უცხოელს. ავთანდილს სასაცილოდაც არ ეყო ვაჭრის ცოლის ტრფიალი, „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერიაო“, ამბობდა გულში 1090,4). მაგრამ გამჭრიახი გონების პატრონმა ავთანდილმა იფიქრა, იქნებ საჭიმო საქმისათვის გამომადგეს ვაჭრის ცოლიო და პირფერულად საპასუხო წერილი აახლა (1095): „შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება“. ფატმანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „ფატმანისსა ვერ გიამბობ, მოემატა რა სიამე!“ (1096,1). ავთანდილი მოხერხებულად ინიღბებოდა, გარეგნულად თავი მიჯნურად მოჰქონდა, „ყმა ნამუსსა ინახვიდა, სიყვარულსა იფერებდა“ (1251,3), თუმცა დიდ შინაგან ძრწოლას განიცდიდა. რუსთველის განსახოვნებით, ფატმან-ხათუნი ბედნიერი ყვავია, რომელმაც ვარდი იპოვა და თავი ბულბულად წარმოიდგინა. ეს აზრი პოეტს გადმოცემული აქვს განმაზოგადებელი ხასიათის მშვენიერი აფორიზმით (1254,4):

თუ ყვავი ვარდთა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია.

ავთანდილიც ყვავად თვლის ფატმანს, თავი რომ ბულბულად მოაქვს (1090,1—2). მეტიც, ფატმანი თითქოს ნეხვია, რომელზედაც ბულბული — ავთანდილი ყვავივით „ზედა ზის“ (1253,4). აღარ შევჩერდებით ჭაშნაგირისა და ფატმანის სიყვარულის ისტორიაზე. ვიტყვით, რომ ავთანდილთან შეხვედრამდე ფატმანი ამ კარისკაცს ჰყვარობდა. ფატმანი გა-

უტყდა ავთანდილს: „მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი“ (1204,3). თავის საქციელს ფატმანი ასე ამართლებს (1205,1):

მით არ ჯერვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი.

ფატმანი საკმაოდ რთული და უაღრესად რეალისტური, კოლორიტული სახეა. ამ სახის რაობის საკითხი ახლებურად არის დასმული და, ჩემი აზრით, უმართებულოდ გადაწყვეტილი საზღვარგარეთ (პარიზში) გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“. სანამ ამ ნაშრომის განხილვას შევუდგებოდე, ჯერ სულ მოკლედ ორიოდე სიტყვა საკითხის ახლო ისტორიიდან. ფატმანის, როგორც პერსონაჟის, მნიშვნელობაზე საგანგებოდ და საინტერესოდ მსჯელობს კარპეზ დონდუა თავის ნაშრომში «Шота Руставели и грузинская литература»[1]. მკვლევარი წერს: «Особенно тонко и с исключительным проникновением рисует Руставели необычайно привлекательный образ жены Гусейна (? — А. Б.) — Фатман» (с. 24). კ. დონდუა იმოწმებს ნესტანისა და ტარიელის სიტყვებს, პირველი რომ „დედის მჯობ დედას“ (1141, 2, 1285 1), ხოლო მეორე დედას და დას უწოდებს ნესტანს: „ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდებია და სდებია“ (1429, 3). ფატმანმა ისეთი სულგრძელობა გამოიჩინა, რომ გულში ჩაიხშო გატაცება და ავთანდილს ხელი არ შეუშალა განეგრძო თავისი კეთილშობილური საქმე ნესტანის გამოსახსნელად. ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ კ. დონდუა ასკვნის: «Вот, следовательно, подлинный образ этой чрезвычаино тонко задуманной героини поэмы» (с. 26).

კ. დონდუას მოსაზრებით, გაუგებრობის შედეგია, რომ ფატმანს, ჩვეულებრივ, თვლიან „უარყოფით ტიპად მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მას არ უყვარს ქმარი და თავის პირად საქმეებში ინარჩუნებს დამოუკიდებლობის გრძნობას“ (გვ. 24).

უნდა ვაღიარო, რომ მეც ასე მიმაჩნია — რუსთველის სამიჯნურო კონცეფციის თანახმად, ფატმანი, საერთოდ, უარყოფითი პერსონაჟია, რამდენადაც იგი უპირისპირდება ნესტანსა და თინათინს. ფატმან-ავთანდილის „მიჯნურობა“ კი უპირისპირდება ნესტან-ტარიელისა და თინათინ-ავთანდილის იდეალურ მიჯნურობას[2]. რუსთველური კონცეფციით, ნამდვილმა მიჯნურმა უნდა „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში“ (25,3). რუსთველური სიყვარული მხოლოდ ერთხელ იბადება და სიკვდილამდეა გასატანი, იგი ამამაღლებელი გრძნობაა, ადამიანს რომ აკეთილშობილებს, ზნეობრივად აფაქიზებს, საზოგადოებისათვის, ქვეყნი-

[1] Известия АН СССР, ООН, 1938, № 3. с. 11—28.

[2] ეს მოსაზრება დასაბუთებული მაქვს ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო“ (ნარკვევები, I, 1945, გვ. 155—180. კერძოდ, გვ. 163, 176—179), იგივე თვალსაზრისი განვითარებულია ჩემს მონოგრაფიაში „შოთა რუსთველი“ (1958, 1966, 1975).

სათვის, სამშობლოსათვის თავგამოსადებად განაწყობს. რუსთველის კვალობაზე, იგი არაა ჭეშმარიტი მიჯნური, ვისაც „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა“. ეს არისო, ამბობს სულმნათი პოეტი, მიჯნურობით ცუდი თამაში, ყმაწვილური სულწასულობა, ადამიანის ღირსების დამამცირებელი, უსულგულო ხორციელი ჟინის მიყოლა. ამ ასპექტითაა შეპირობებული რუსთველის განცხადება (25,4):

მჭულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლაში.

რუსთველურ ამაღლებულ სიყვარულს ასახიერებენ ვეფხისტყაოსნის იდეალიზებული გმირები, ფატმანი კი ხორციელი ვნებათაღელვით გატაცებულ პირთა ბანაკს ეკუთვნის, რომელთათვის უცხოა რუსთველური „მიჯნურთ ზნეობა“, თავშეკავება, „დათმობა“, „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ (27,3). განა შემთხვევითია, ფატმანმა რომ ავთანდილთან ღამე გაათია, „მას ღამე ფატმან იამა ავთანდილს თანა წოლითა: ყმა უნდო გვარად ეხვევის ყელსა ყელითა ბროლითა, ჰკლავს თინათინის გონება, ბრწის იდუმლითა ბრწოლითა“ (1252). ავთანდილი მხოლოდ ხორციელად იყო ფატმანთან ახლო, სულიერად კი მისი არსება თინათინის ტყვეობაში იმყოფებოდა. ასე სვამს საკითხს რუსთველი პრინციპული ასპექტით. თორემ, რასაკვირველია, ფატმანი არ ყოფილა ზნედაცემული ქალი, გარყვნილი, მეძავი (თანამედროვე მნიშვნელობით). ვეფხისტყაოსნის კვალობაზე ფატმანი თავისუფალი, შეუზღუდავი ხორციელი სიყვარულის მიმდევარია, ანუ სიძვას აყოლილი (რუსთველური გაგებით), ე. ი. ისეთი ქალი, რომელიც მამაკაცთან იჭერს სქესობრივ კავშირს მეუღლეობის გარეშე. ასე ვწერდი 1945 წელს და განვაგრძობდი: „აღნიშნულთან ერთად რუსთველი ფატმანს აჯილდოებს დიდი ადამიანური ღირსებებით. ფატმანი გრძნობიერია, კეთილია, პურადია, გულშემატკივარია და სულგრძელი ქალია. ფატმანმა უზომო მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია ნესტან-დარეჯანს, (მისთვის) უცნობ ტყვე-ქალს დედობრივი მზრუნველობითა და ალერსით მოეპყრო. ტყუილად კი არ უწოდებდა ნესტანი ფატმანს „დედისა მჯობ დედას“. ფატმანს თავისებური თავდავიწყებით უყვარდა ავთანდილი, მაგრამ როდესაც მისგან გულახდილი აღსარება მოისმინა, გრძნობა ჩაიხშო, ავთანდილს წინ არ გადაეღობა. ვინ იცის, როგორი შინაგანი მღელვარება დაძლია ფატმანმა, მაგრამ ის უყოყმანოდ დაეხმარა ავთანდილს დაბრუნებოდა თავის გულისსწორ სატრფოს. ფატმანმა გამოიჩინა სამაგალითო უანგარობა, კაცთმოყვარეობა და სულდიდობა“[13]. ჩვენ დამოწმებული გვქონდა კ. დონდუას ზემოთ ციტირებული ტექსტი და ვასკვნიდით: „რუსთველის იდეურ-მხატვრული კონცეფციით, ფატმანი უპირისპირდება ნესტან-თინათინს,

[3] ნარკვევები, I, 1945, გვ. 177—178.

ის ეულგარული სიყვარულის გამომხატველია და, ამდენადვე, საერთოდ და მთლიანად უარყოფითი ტიპია, მიუხედავად იმისა, რომ მას (ფატმანს) ამკობს დადებითი ადამიანური ღირსებანი"[4]. ფატმანის სიმპათიურობის შესამაგრებლად ჩვენ ვიშველიებდით (მონოგრაფიულ ნარკვევში) აკადემიკოს ი. ორბელის სიტყვებს, რომ ფატმანი არის „бесконечно милая и глубоко человечная"[5].

რუსთველი არ მალავს ფატმანის ხასიათის ერთგვარ მანკიერ მხარეებს, იგი მკაფიოდ ამჟღავნებს ფატმანისა და დიაცური სიყვარულისადმი ირონიულ დამოკიდებულებას, მაგრამ მაინც გარკვეული სიმპათიით ხატავს ვაჟკაცური საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელ ქალს.

ასე გვესმოდა და გვესმის ფატმანის ადგილი რუსთველის პერსონაჟთა სახეობრივ სისტემაში. აღნიშნული პაექრობის შემდეგ ფატმანის სახის გარშემო გამოქვეყნდა რიგი ნაშრომების, სადაც ეს სიმპათიური მანდილოსანი მეტად აუგადაა მოხსენიებული. პირველად 1964 წელს გამოცემულ ნ. მარის ერთ ნაშრომში ფატმანზე ნათქვამია, რომ იგი არის «подлинная беспутная буржуйка», რომელიც თავის სიყვარულს სთავაზობს თუ თავზე ახვევს ყველა ახალგაზრდა ძლიერ მამაკაცსო («навязывает... любовь каждому молодому сильному мужчине»)[6]. ცნობილი რუსთველოლოგი და ვეფხისტყაოსნის კარგი მთარგმნელი რუსულ ენაზე შ. ნუცუბიძე ფატმანს უწოდებს „თავაშვებულ" თუ „აღვირახსნილ" ქალს (/«распущенная купчиха»/)[7]. ვეფხისტყაოსნის ჩინებული მცოდნე და პოემის აღიარებული მთარგმნელი ნიკოლოზ ზაბოლოცკი კიდევ უფრო შორს მიდის და განმაცვიფრებელი წინდაუხედაობით ფატმანს ახასიათებს „გარყვნილ ბებრუცუნა დედაკაცად" («старая распутница»)[8].

ნ. ზაბოლოცკის ხომ მოეხსენება, რომ პოემაში ფატმანის ხანდაზმულობაზე გარკვევით არის ნათქვამი „არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი", ეს გარემოება კარგად არის აღბეჭდილი მისეულ თარგმანშიც «по летам немолодая, но красивая собою». დიდზე დიდი უსამართლობა იქნებოდა ფატმანი მიგვეჩნია ბებერ (ბებრუცუნა) გარყვნილ დიაცად. ეს მეტისმეტია, და რაც მთავარია, სრულიად უმართებულოა და რუსთველის მონათხრობს ეწინააღმდეგება, თითქოს ფატმანი თაყვის სიყვარულს სთავაზობდა ყველა ახალგაზრდა ძლიერ მამაკაცს. ფატმანის ხნოვანობის საკითხში სხვა მხრით

---

[4] იქვე, გვ. 177, შნშ I.

[5] შოთა რუსთაველი 1958, გვ. 148, (იგივე, 1966 წლის გამოცემა, გვ. 197—198, 1975 წლის გამოცემა, გვ. 178—179). შდრ. «Памятники эпохи Руставели, Л., 1938, с. 11.

[6] Н. Я. Марр, Об истоках творчества Руставели и его поэме. Тбилиси, 1964, с. 132.

[7] Творчество Руставели, Тбилиси, 1958, с. 22—23.

[8] Деятели русской культуры о Шота Руставели, Тбилиси, 1966, с. 63.

ცოდავს აკადემიკოსი ორბელი. მისი სიტყვით, ფატმანი თითქოს იყო «молодая горожанка»[9]. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ პოემის ერთსა და იმავე პერსონაჟს რუსთველის შემოქმედების ერთი კარგი მცოდნე უწოდებს ბებერს (თუ ბებრუცუნას), მეორე კი—ახალგაზრდას. ორი შეუთავსებელი უკიდურესობაა.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება". მონოგრაფია იხილავს მიჯნურობასა და ქალის საკითხთან დაკავშირებულ არა ერთსა და ორ ასპექტს. საგანგებო ყურადღება აქვს მიპყრობილი ფატმანის სახის გაგებას. მონოგრაფია არსებითად წარმოადგენს ფატმანის აპოლოგიას. მკვლევარი თავიდანვე შენიშნავს: „ფატმანის შესახებ არაერთხელ ცუდი ითქვა: აქ მაქვს ნიშუშად აკად. პროფ. ნიკო მარის ნათქვამიო" (გვ. 365) და იმოწმებს ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ცნობილ და გაკრიტიკებულ დახასიათებას. შემდეგ ჯერი მოდის ამ სტრიქონების ავტორზე „და აკად. პროფ. ალ. ბარამიძესაც გამოუთქვამს ასეთი აზრი: რუსთველს დახატული აქვს მდაბიო ზნეობის გამომხატველი ქალის ტიპად (ფატმანი), ვულგარული, დიაცური მიჯნურობის გამომხატველად, რითაც რუსთაველი დიაცობასა და დიაცურ ზნეობას კიცხავსო" (იქვე). წყაროდ დასახელებულია გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიური ლიტერატურა", გვ. 77. მითითება ზუსტია. ოღონდ გ. იმედაშვილის ანოტაცია სრული არ არის, აქ წარმოჩენილია ფატმანის ხასიათის ნეგატიური მხარე, ხოლო პოზიტიური უგულებელყოფილია. გ. იმედაშვილს აღნიშნული არა აქვს, რომ ფატმანის სახის გაგებას ჩვენ ვუკავშირებთ რუსთველური სამიჯნურო კონცეფციის საერთო ხასიათს, რომ დიაცური ზნეობა ჩვენ გვეხატება რუსთველური იდეალური მიჯნურობის ანტიპოდად, ამას კი დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ერთია ფატმანის დიაცური ზნეობა თავისთავად, რუსთველის საერთო კონცეფციიდან მოწყვეტილად, მეორეა ფატმანის სახე რუსთველური სამიჯნურო კონცეფციის შუქზე. მაკვირვებს, რომ „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების" ავტორი დაკმაყოფილდა გ. იმედაშვილის ანოტაციით, მაშინ როდესაც მის განკარგულებაში ყოფილა ჩემი წიგნი „შოთა რუსთველი და მისი პოემა", მეორე გამოცემა, თბ., 1966 (იხ. „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება", გვ. 346). ამგვარად, ჩემი თვალსაზრისი განხილულია და შეფასებულია ცალმხრივად, ტენდენციურად.

საინტერესო ის არის, რომ ფატმანის სახის საკითხში „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება" აკრიტიკებს არა მარტო რუსთველოლოგებს (როგორც აღვნიშნეთ, ის ასახელებს მხოლოდ მარსა და ბარამიძეს), არამედ თვითონ შოთა რუსთველს. რუსთველური აფორიზმის გამო — „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია" — მკვლევარი წერს:

[9] Памятники эпохи Руставели, с. 11.

„მე კი მგონია, რომ ავთანდილის „ამგვარი მიჯნურობა“ არ იყო მართებული, რასაც თვითონ ავთანდილიც აღიარებს და არც რუსთაველის დაფასება არის მართებული, რადგან ფატმანი გულწრფელად არის გატაცებული, მას გულწრფელად უყვარს ავთანდილი და მისი ჩამოქვეითება ყვავამდე არა-ჯეროვანია. აქ გამოსჭვივის ეროტიკის ის ესთეტიკური დაფასება, რაც ავტორის არისტოკრატიულ შეგრძნობას გვიჩვენებს“ (გვ. 368—369, ხაზი და დაყოფა ჩემია — ა. ბ.).

რა თქმა უნდა, თუ მკვლევარს უმართებულოდ ეჩვენება ფატმანის ბასიათის რუსთველური შეფასება, მაშინ მისთვის ბუნებრივად მიუღებელი იქნება იმ რუსთველოლოგის თვალსაზრისიც, რომელიც რუსთველის პოზიციაზე დგას. „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“ ცდილობს გაამართლოს ფატმანის უტიფარი განცხადება „მით არ ჯერვარ ქმარსა ჩემსა, მჯლე არის და თვალად ნასი“. აქაოდა, ფატმანის საქციელი გამოწვეული იყოო მისი „სქესობრივი დაუკმაყოფილებლობით“ (გვ. 364). ამ მოტივით თამამად შეიძლება გამართლდეს ოჯახის საფუძვლების ღრევის რაგინდარა შემთხვევა.

ჩვენ ვერ დავიწუებთ, რომ ქმარ-შვილის პატრონი ფატმანი ავთანდილის გაცნობამდე ღალატობდა თავის ქმარს ჭაშნაგირთან. ვითომ ვერც ჭაშნაგირმა „დააკმაყოფილა“ მისი ჟინი? მერმე ავთანდილს შეხვდა და ახლა ამას გაუმიჯნურდა, წინანდელი მიჯნური კი გაიმეტა სასიკვდილოდ. არა, ფატმანის საქციელის გამართლება „სქესობრივი დაუკმაყოფილებლობის“ მოტივით ყოვლად შეუძლებელია, ეს იქნებოდა ავხორცობის რეაბილიტაცია. ყოველ შემთხვევაში, რუსთველური ეთიკური ნორმები ამას ვერ დაუშვებდა. „ვეფხისტყაოსნის მიჯნურომეტყველებაში“ გატარებული თვალსაზრისი გადაჭრით ეწინააღმდეგება რუსთველის ეთიკურ პრინციპებს. მკვლევარს სწორად აქვს შენიშნული, რომ ფატმანის ეპიზოდში „გამოსჭვივის ეროტიკის ის ესთეტიკური დაფასება, რაც ავტორის (ე. ი. რუსთველის, — ა. ბ.) არისტოკრატიულ შეგრძნობას გვიჩვენებს“.

„ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველებით“ „ფატმანის სიყვარული წმინდა სიყვარულამდე არის აყვანილი... აქ პატიოსანი სიყვარული ღალადებს და არა მეძავური ავხორცობა“ (გვ. 356). რასაკვირველია, სწორია მოსაზრება, რომ „ფატმანი ჩინებული პიროვნებაა, შესანიშნავი გულისა და გონების ადამიანი“ (გვ. 369). მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ უშლის ხელს ფატმანს თავისუფლად მიჰყვეს ხორციელი წადილის თავშეუკავებელ ჟინს, არაფრად ჩააგდოს ოჯახური სიწმინდის მხარე.

რამდენადაც „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“ აქებ-ადიდებს ფატმანს და იმის სიყვარულს, იმდენად კატეგორიული ფორმით გმობს და კიცხავს ავთანდილის ქცევას ფატმანთან სატრფიალო ურთიერთობის საკითხში. „ავთანდილის მთელი მოქმედება, — ამბობს მკვლევარი, —

არის მოჩვენებითი, აოაგულწრფელი, და მისი გრძნობა არის რ ი ო შ ი, ყ ა ლ ბ ი“ (გვ. 368). ეს დასკვნა სავსებით შეეფერება მკვლევრისეულ პოზიციას საანალიზო საკითხის გარშემო, მაგრამ, ჩემი ფიქრით, მკვლევრის საყრდენი თვალსაზრისია მცდარი, თუ გნებავთ, რიოში და ყალბი[10].

ცხადზე უცხადესია, რომ ფატმანი „ადვილად ხელწამოსაკრავი“ არ არის[11]. მაგრამ მისი ნესტან-თინათინის გვერდით თ ა ნ ა ს წ ო რ ა დ მოთავსება აგრეთვე მცდარი და რიოში დასკვნაა.

P, S. ჩვენი ამ ნარკვევის დაბეჭდვის შემდეგ გამოქვეყნდა ორი წერილი, რომლებიც ფატმანის სახის საკითხს შეეხება. ესენია:

1. დავით ბრეგაძე, ეეფხისტყაოსნის გმირები — 1. ფატმანი (წიგნში: წარსულის სიახლოვე, ქუთაისი, 1980, გვ. 28—47).

2. ვენორ ქვაჩახია, „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ ანუ რუსთაველის ხელოვნება (საბჭოთა ხელოვნება, 1981, № 5, გვ. 79—84, სპეც. გვ. 84).

დ. ბრეგაძე საგანგებოდ იხილავს სადისკუსიოდ ქცეულ საკითხს. ის თვლის, რომ ფატმანი უმართებულოდ არის შეფასებული სამეცნიერო ლიტერატურაში. „შ ე დ ა რ ე ბ ი თ ობიექტურად აფასებს ფატმანის პიროვნებას აკად. ალ. ბარამიძეო“, ამბობს და იმოწმებს ერთ პატარა ციტატას ჩემი 1958 წლის ნაშრომიდან („შოთა რუსთაველი“, გვ. 148). თანაც დასძენს: „მაგრამ ფატმანის მოქმედებათა საერთო შეფასებისას იგი მაინც უარყოფით პერსონაჟად მიაჩნიაო“ (გვ. 30—31, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩემია, ა. ბ.). მკვლევარი ასკვნის: „ცხადია, ამის შემდეგ სულ არაა გასაკვირი, თუ დღეს ფატმანი მ ხ ო ლ ო დ უარყოფით ტიპადაა მიჩნეული“. დ. ბრეგაძე ფიქრობს, რომ „სინამდვილეში ეს ასე არაა, ყოველ შემთხვევაში, ასე არ მიაჩნია იგი რუსთველს“ (იქვე). რუსთველის პოზიციის თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და თქმულს აღარ გავიმეორებთ (ჩვენს ახალ ნარკვევს დ. ბრეგაძე არ იცნობს). ჩვენ გვგონია, რომ პატივცემული მკვლევარი თავისი წერილით ვერ გვთავაზობს არსებითად ახალსა და პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისს. მართალიაო, წერს დ. ბრეგაძე, ფატმანის ზოგიერთი მოქმედება „არ იმსახურებს მოწონებას“ და „რუსთველმა შესანიშნავად იცის ფატმანის სუსტი მხარეებიო“ (დას. წერ. გვ. 47), მაგრამ საერთოდ პოეტმა წარმოაჩინაო „ფატმანის

---

[10] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფატმანის ადამიანურ ღირსებებს ყურადღება პირველად მიაქცია მელიტონ კელენჯერიძემ. მისი სიტყვითაც, „შოთა ცდება“ ფატმანის სიყვარულის შეფასებაში (ყვავად რომ თვლის მას). მკვლევარი წერს: „აკად. დილი ბევრ რამეშია მტყუანი და სამწუხაროა რომ შოთამ მას კალთა გადააფარა, ფატმანი კი გაუკითხავად გასრისა“ (მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ტიპები. ქუთაისის კრებული, ქუთაისი, 1921, გვ. 138). თუმცა მ. კელენჯერიძე ფატმანის ხასიათის მეორე მხარესაც არ მალავს და ამ ეპიზოდს „ბოროტ და ქარაფშუტა დიაცს“ უწოდებს (იქვე, გვ. 144).

[11] ა პ ო ლ ო ნ ჟ ო რ დ ა ნ ი ა, როცა პოეზიაზე ვფიქრობ თბ., 1977, გვ. 45.

ადამიანური ღირსება“ (გვ. 35), „რუსთველმა ფატმანის ხასიათის კეთილი საწყისი გვიჩვენა“ (გვ. 40). „ფატმანი პოეტისათვის ერთ-ერთი საჭირო გმირთაგანია. მას, ნაკლთან ერთად, ბევრი კარგი თვისებაც აქვს“ (გვ. 47).

სავსებით სწორი მოსაზრებანია, მაგრამ განა ეს მოსაზრებანი ჩვენ როდისმე სადაოდ გაგვიხდია?! რა თქმა უნდა, მოსაწონია დ. ბრეგაძის განზრახვა ერთჯერ კიდევ ხაზი გაუსვას ფატმანის ხასიათის სანაქებო თვისებებს (გვ. 47).

არც ვენორ ქვაჩახიას მოსაზრებაა სადავო, რომ რუსთველი ფატმანისადმი სიმპათიითაა გამსჭვალული და მას დედის მჯობ დედას უწოდებს (დას. წერ., გვ. 84). „ფატმანის მსუბუქი ყოფაქცევის გამო ლაპარაკი არც ი.უ ისე საფუძვლიანიაო“, ზოგადად შენიშნავს მკვლევარი და ასევე ზოგადად საყვედურის კილოთი ურთავს: „რუსთველოლოგიაში ფატმანის სახე ვერაფრით ვერ ამოიხსნა, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული მისი შესაფერისი შეფასებაო“ (იქვე).

1981

ახალი ნაშრომი ინდო-ხატაელთა ამბავზე[1]

(პირველი შთაბეჭდილებანი)

შ. ონიანის ახალი ნაშრომი, უთუოდ, დიდად საინტერესო გამოკვლევაა, თუმცა ინდო-ხატაელთა ამბის პრობლემა ამ ნაშრომის შემდეგაც არ მეჩვენება გადაჭრილად.

შ. ონიანი სერიოზული, დაკვირვებული, მეძიებელი სულის პატრონი ნაყოფიერი მკვლევარია. თავის მონოგრაფიაში იგი ხშირად წერს, რომ კვლევა-ძიებისას წინდახედულობა, თავდაჭერა და სიფრთხილეაო საჭირო, თვითონ კი მეტად გაბედულ და თამამ დასკვნებს გვთავაზობს როგორც მთლიანად პრობლემის არსის, ისე მისი ცალკეული მხარეების შესახებ. ვფიქრობ, მეტისმეტად თამამია მკვლევრისეული საბოლოო დასკვნა ინდო-ხატაელთა ამბის ტექსტის თაობაზე — „ეს ტექსტი აღდგა თავდაპირველი რუსთველური სახით“ (გვ. 228). ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაზე სისტემური მუშაობა მიმდინარეობს ვახტანგ მეექვსის დროიდან დღემდე. რამდენმა კვალიფიციურმა პირმა თუ კოლექტივმა შეამზადა და გამოსცა უკვდავი პოემა, მაგრამ, ვინ გაბედავს და იტყვის, რომ რუსთველის ტექსტი აღდგენილია თავდაპირველი ფორმით!

ინდო-ხატაელთა ამბის ზოგიერთი წარყვნილი ადგილის ონიანისეული გასწორება შესაწყნარებელია. მაგალითად, დამარწმუნებლად არის ნაშრომში გაანალიზებული 1814—1818 სტროფები. დასაბუთებულია აქ შინაარსობრივ-აზრობრივი ხარვეზის არსებობა, რაც გამოუწვევია ერთი მნიშვნელოვანი სტროფის (1815 სტროფის) გადაადგილებას (გვ. 185—194). ამ სტროფს ნამდვილად „ცენტრალური ადგილი უჭირავს ინდო-ხატაელთა ამბავში“ (გვ. 193). მისი ამბიდან ამოღება (რასაც ჩადის კ. ჭიჭინაძე) შეუძლებელია. 1815-ე სტროფი, მართლაც, უადგილო ადგილასაა მოთავსებული, რის გამოც იგი „აშკარად არღვევს თხრობის მიმდინარეობას და დისონანსი შეაქვს მასში“ (გვ. 187). შ. ონიანმა დაასაბუთა საანალიზო სტროფის საჭიროება და მას კუთვნილი ადგილი მიუჩინა. ასევე სწორად ავითარებს შ. ონიანი დებულებას 1812,1—7 სტროფების ნართაულობაზე ინდო-ხატაელთა ამბავში (გვ.179—182).

---

[1] შ ე რ მ ა დ ი ნ ო ნ ი ა ნ ი, ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში, თბ., 1982, გვ. 270.

შ. ონიანის ტექსტობრივი გასწორებანი უმრავლეს შემთხვევაში ნებისმიერია, ან საეჭვო ხასიათის ხელნაწერთა მონაცემებს ემყარება, ან გაუმართლებელი კონიექტურაა. სანიმუშოდ დავიმოწმოთ 1883-ე სტროფის პირველი ორი ტაეპი:

უბრძანეს: გეითხარ, ვაჰარნო, ამბავი ინდოეთისა.
მათ ჰკადრეს: ზეცით მოსრულა ინდოეთს რისხვა ზეცისა.

ტექსტი ამგვარად იკითხება ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში. თავის დროზე ჩვენ მივაქციეთ ყურადღება იმას, რომ აქ რითმის რუსთველური წესი დარღვეულია (ინდოეთისა; ზეცისა), შედარება უფერულია და ტავტოლოგიური გამოთქმებია („ზეცით მოსრულა... რისხვა ზეცისა")[2]. შ. ონიანს ყურად უღია ეს შენიშვნა და ტექსტი გაუსწორებია ზოგი ხელნაწერის კვალობაზე: „მათ თქვეს: ინდოეთს მოსრულა რისხვა მართ ჯოჯოხეთისა". შ. ონიანი აცხადებს, გასწორების შედეგად „აზრიც გამართულია და რითმაც. რაც მთავარია, შედარება ღრმად პოეტურია და უჩვეულოც: ჯოჯოხეთის რისხვა ამგვარ კონტექსტში ჩვენ არ შეგვხვედრია ძველ ქართულ მწერლობაში. ყოველ შემთხვევაში ის ვეფხისტყაოსანში სხვაგან არა გვხვდება" (გვ. 137). საგულისხმო დაკვირვებაა. საქმე ისაა, რომ ქრისტიანული მსოფლგაგებით, რასაც რუსთველიც იზიარებს, საჭირო შემთხვევაში ღვთაებრივი რისხვა მოდის ზეციდან და არა ქვესკნელიდან, ჯოჯოხეთიდან. თვითონ ჯოჯოხეთი შერისხულთა მარადიული სატანჯველი ადგილია. საკვირველია, რომ სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ამგვარი შეუფერებელი ტექსტის ავტორობას შ. ონიანი მხოლოდ რუსთველს მიაწერს, ინტერპოლატორის ან გადამწერის როლს გამორიცხავს (გვ. 137). ნამდვილად გვაქვს პირიქითი მდგომარეობა. დახელოვნებულმა ინტერპოლატორ-რედაქტორმა შენიშნა ტექსტის პოეტური უსუსურობა და სცადა მისი გასწორება. როგორც ცნობილია, ტექსტის დამახინჯებას ჩვეულებრივ იწვევს ხოლმე ინტერპოლატორისა თუ გადამწერისათვის უცნობი სიტყვის (ცნების, ტერმინის) არსებობა დედანში „რისხვა ჯოჯოხეთისა" სავსებით გასაგები შესიტყვებაა. ის რომ თავდაპირველ დედანში ყოფილიყო, გასწორების საცთურს ვერ შექმნიდა. სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ ტექსტის გადაკეთებული ვარიანტი („რისხვა ჯოჯოხეთისა") მოიპოვება IT ნარედაქციალ ხელნაწერებში. T ხელნაწერი ყოველთვის I-ს იმეორებს, ხოლო I-ს რედაქციული ტექსტის შემქმნელი დახელოვნებული მწიგნობარია, რომელიც ძალიან ხშირად თამამად ასწორებს მისი თვალსაზრისით დამახინჯებული

[2] ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის (ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 161—162; ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 97—98).

სიტყვებისა თუ შეუფერებელი აზრების მქონე დედნისეულ სტრიქონებს.

თუ ყოველივე თქმულს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ცხადი გახდება საანალიზო ტექსტის ონიანისეული გასწორების უმართებულობა, თუმცა გასწორება ხელნაწერულ მონაცემს ემყარება და არ წარმოადგენს კონიექტურას.

უფრო რთული ვითარება იქმნება, როდესაც შ. ონიანი ტექსტის გასწორებისათვის მიმართავს კონიექტურის ხერხს. სანიმუშოდ აქ განვიხილავთ ინდო-ხატაელთა ამბის უძირითადეს შაირს, სადაც იხსენიებიან კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი და მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ი.

როდესაც ნესტანმა და ტარიელმა ვაჭრისაგან მოისმინეს ფარსადან მეფის გარდაცვალების ამბავი, თავი ვერ შეიკავეს და ტირილი მორთეს. მათთან ერთად ატირდნენ ავთანდილი და ფრიდონი, აგრეთვე მთელი ბანაკი. ბოლოსა და ბოლოს გულიანი ტირილის შემდეგ სხვაზე ადრე მოიხეს და ჭირისუფლების დამშვიდება სცადეს ავთანდილმა და ფრიდონმა (1795):

მაშინ გახდეს ყველაკანი მტირალად და ცრემლთა მღვრელად,
დიდი ხანი მოიტირეს თავის-თავის გაუყრელად.
ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულ-სადაგად, არ თუ ჰრელად,
მაგრა ექმნეს სულის მღებლად, კ ა თ ა ლ ი კ ო ს-მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ა დ.

ტექსტის მიხედვით, ავთანდილი და ფრიდონი შედარებული არიან კათალიკოსთან და მაწყვერელთან[3]. მსგავსი შადარება იმთავითვე მიჩნეული იყო სრულიად შეუფერებლად ვეფხისტყაოსნის ავტორისათვის. როგორც ოდიოზური, დამოწმებული შაირი (და მომდევნოც) ტექსტიდან ამოიღო ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ, თუმცა ინდო-ხატაელთა ამბავს ეს კოლეგია რუსთველისეულად თვლიდა (ტარლოვსკაიას რუსულ თარგმანში ტექსტი დატოვებულია, მაგრამ წარხოცილია კათალიკოს-მაწყვერელის ნაკვალევი).

შ. ონიანის მოსაზრებითაც, „წარმოუდგენელია რუსთველს ავთანდილი და ფრიდონი შეედარებინა კათალიკოსისა და მაწყვერელისათვის" (გვ. 146). ეს შედარება „რუსთველის მსოფლმხედველობისათვის ყოვლად შეუფერებელი და ანაქრონისტულიაო" (გვ. № 161). მკვლევარი ფიქრობს, რომ: „აქ საქმე გვაქვს ტექსტის უეჭველ დამახინჯებასთან" (გვ. 147). იგი ადასტურებს, რომ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ყველა ხელნაწერშია და ვარიანტი არ მოეპოვება. სიტყვას მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ა დ კი აქვსო რიგი

[3] ამ შედარების ინტერპრეტაციამ ერთ დროს ცხარე კამათი გამოიწვია (ლიტ. ძიებანი, V, გვ. 159. ნარკვევები, III, გვ. 94). პ. ინგოროყვა სამართლიანად ამტკიცებდა, რომ აქ შედარებულია პერსონაჟთა ორი წყვილი: ავთანდილ -ფრიდონი და კათალიკოს-მაწყვერელი. კათალიკოსი და მაწყვერელი ორი პერსონაჟია და არა ერთი — კათალიკოს-მაწყვერელი.

იკითხვისები: მაწირეელად, მაწყურელად, მაწვეველად, მიწვეველად, მაწყევლელად. ორ ხელნაწერში გადაკეთებულია მთელი შესიტყვება — „დამჩუმებელ (დაჩუმებულ), არ ცრემლ მყრელად“ (ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, IV, 1963, გვ. 976—977). შ. ონიანი მხარს უჭერს ვარიანტს „მაწვეველად“, ოღონდ რითმის სრულყოფისათვის მას ასწორებს ფორმით „მაწვევრელად“. რაც შეეხება „კათალიკოსს“, იგი ვითომ დამახინჯებულია და მომდინარეობს სიტყვისაგან „კათოლიკე“, ოღონდ არა რელიგიური მნიშვნელობით („კათოლიკე ეკლესია“, „კათოლიკე ეპისტოლე“), არამედ სამედიცინო ძეგლებში დამოწმებული გაგებით — მთავარი („კათოლიკე ძარღვი“ — მთავარი ძარღვი). შ. ონიანი თვითონ შენიშნავს, რომ მის მიერ შემოთავაზებული თამამი კონიექტურა (კათალიკოს: კათოლიკე) „ჩვენც გვეხამუშებაო“ (გვ. 155), მაგრამ მაინც ბეჯითად იცავს ამ უცნაურ კონიექტურას (კათოლიკე მაწვევრელი“).

ჩვენი მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ „კათალიკოსი“ ფართოდ გავრცელებული, ყველა წიგნიერი კაცისათვის ცნობილი საეკლესიო-სამოხელეო ტერმინია და ამიტომაც არავის უცდია მისი შეცვლა. რაც შეეხება „მაწყვერელს“ (ნიშნავს აწყურის ეპისკოპოსს), იგი შედარებით უფრო ვიწრო საზოგადოებრივი წრისათვის იყო გასაგები და ბუნებრივადაც მას ამდენი იკითხვისი (ვარიანტი) გაუჩნდა. გადამწერები ცდილან გაეაზრებინათ მათთვის თუ მკითხველებისათვის უცნობი, თუ ნაკლებ ცნობილი ტერმინი. არავითარი საფუძველი არ გვაქვს საგანგებოდ შემუშავებული კონცეფციური თვალსაზრისის მისასადაგებლად მოვიხმოთ ყოველად შეუფერებელი კონიექტურა. შ. ონიანის კონიექტურა დაუსაბუთებელი და ხელოვნურია. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ამ გასწორებაზეა დამყარებული მკვლევრისეული შორს გამწვდომი კონცეფციური ხასიათის მჭორე დასკვნები. ვერ მოვუწონებთ შ. ონიანს ჩვენთვის უცნობი გადამწერის წინაღმდეგ დაუმსახურებელ გალაშქრებას. შ. ონიანი წერს: „ცალკე უნდა გამოვყოთ ის უცნობი გადამწერი, რომელმაც ტექსტი შერყვნა და გააუკუღმართა მასში (!) კათალიკოსისა და მაწყვერელის ხსენებით. ჩვენი აზრით, ესაა — განაგრძობს ონიანი, ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი ყველაზე მძიმე «ფილოლოგიური დანაშაული» ვეფხისტყაოსნისა და მისი გენიალური ავტორის წინაშე“ (გვ. 126).

შ. ონიანი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსანშიც და ინდო-ხატაელთა ამბავშიც იშვიათი არაა სოფლის სამდურავის მოტივები, ოღონდ იმას კი უყურადღებოდ ტოვებს, რომ სხვადასხვაგვარია მათი საბოლოო პოზიცია ამ მხრივ. რუსთველის თანახმად, ღმერთი „არ გასწირავს კაცსა სოფლით განაწირსა“. ინდო-ხატაელთა ამბავი გვარწმუნებს: „წაღმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუ ნაცარსა“ (გვ. 240—241). რუსთველის მოძღვრებით, სოფლის ნაუკუღმართევს ასწორებს ადამიანის ქომაგი კეთილი ღმერთი. ხოლო ინდო-ხატაელთა ამბით მის

ნაცოდვილარს სოფელი თურმე თითონვე „წაღმავე წაგრეხს“. ორი ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებაა.

ინდო-ხატაელთა ამბავი საგანგებო საფუძველს უძებნის დამარცხებული მტრის შეწყალების შესაძლებლობას (1819):

ბრძენმან ვინმე მოსწავლემან საითხავნი ესე ჰპოვნე[4].
ესეაო მამაცისა მეტის-მეტი სიგულოვნე:
ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე;
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე.

ნარედაქციალი ტექსტის შემცველი I ხელნაწერის მიხედვით შ. ონიანი პირველი ტაეპის სიტყვას „მოსწავლემან“ ასწორებს სიტყვით „მასწავლელმან“. მაგრამ იმავე ხელნაწერით პირველი სიტყვაა „ბრძენთა“ და არა „ბრძენმან“. მაშასადამე, მკვლევარი ერთ რომელიმე რედაქციულ ვარიანტს კი არ მისდევს, არამედ ჰქმნის ნარევ, ხელოვნურ ტექსტს. შაირის მეორე ტაეპის ირიბი ფორმით გამოხატულ სიტყვას „ესეაო“ გადმოსცემს პირდაპირი ფორმით („ესე არის“). ყოველივე ეს მკვლევარს იმისთვის სჭირდება, რომ დაიფაროს მთელი ტაეპის ციტირების ფაქტი. საქმე ისაა, რომ, ვეფხისტყაოსნით, ტარიელმა რომ რამაზი დაიმორჩილა, რაინდული პატივით მოეპყრო მას და აპატია დანაშაული. თავის საქციელს ჰაბუკი ასე ამართლებს:

ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავამგვანე,
ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე.

დამოწმებული ტექსტების შედარება ცხადყოფს, რომ ინდო-ხატაელთა ამბის 1819-ე სტროფი იმეორებს ვეფხისტყაოსნის შესაფერისი ეპიზოდის სიტუაციას და, რაც მთავარია, პირწმინდად იმეორებს მთელ სალექსო სტრიქონს, სულ ერთია ირიბი ფორმით გადმოვცემთ სათქმელს („ესეაო“), თუ პირდაპირი ფორმით („ესე არის“). ვეფხისტყაოსანში გვხვდება ერთგვარი გამოთქმები, ერთგვარი შედარებანი, ეპითეტები, მეტაფორები, რითმები, მაგრამ ყოვლად დაუჯერებელია, რომ რუსთველმა ასე უცვლელად გაიმეორა თავისი თავი. ეს ამხილებს ინტერპოლატორის ხელწერას. ინტერპოლატორი პირდაპირ იმოწმებს თავის წყაროს და მოაქვს ციტატა რუსთველის ტექსტიდან.

სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ 1819-ე სტროფი ამოღებულია ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემიდან, თუმცა ინდო-ხატაელთა ამბავი რამდენადმე შეკვეცილი სახით შეტანილია ამ გამოცემაში. 1819-ე სტროფი აშიშვლებს ინდო-ხატაელთა ამბის საჩოთირო ტექსტობრივ სინამდვილეს.

---

[4] ამისი ვარიანტია (გამოცემების მიხედვით): ბრძენთა ვინმე მოსწაულემან საკითხავ(ნ)ი ესე ვპოვნე.

შ. ონიანი აღტაცებულია ინდო-ხატაელთა ამბის მხატვრულობით (მოწმეებად ასახელებს კ. ჭიჭინაძეს და ამ სტრიქონების ავტორს), რომ იგი „პოეზიის ნამდვილი შედევრია“, „მხატვრული თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის დონეზეა შესრულებული და დაწერილია ნამდვილი რუსთველური სტილით“ (გვ. 242).

სამწუხაროდ, ეს დებულება არ არის შემაგრებული ტექსტობრივი მასალის შესაფერისი ანალიზით, თუმცა მონოგრაფიაში ცალკეა გამოყოფილი შედარებით პატარა ქვეთავი „ინდო-ხატაელთა ამბავი მხატვრული თვალსაზრისით“ (გვ. 241—247). აქ კონკრეტულად შეპირისპირებულია ვეფხისტყაოსნისა და ინდო-ხატაელთა ამბის თითო შაირები (32 და 1784):

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კელა მოუბარი წყლიანი (32).

მისრელი ვაჭარი უამბობს ნესტანსა და ტარიელს მათსავე თავგადასავალს (1784):

თვით მათვე მათსა ამბავსა უამბობს, არის წყლიანი:
ფარსადან, მეფე ინდოთა, იყო ხელმწიფე სვიანი,
მას ესვა ქალი მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი,
კბილ-მარგალიტი, ტან-ალვა, ღაწვ-ბადახშ, ყორან-თმიანი.

პირველი შაირი (32) „გაჯადოებთ თავისი პოეტურობით“, შენიშნავს შ. ონიანი (გვ. 243). რაც შეეხება მეორე 1784) შაირს, იგი მხატვრული თვალსაზრისით არა თუ ჩამოუვარდება პირველს, არამედ „პირადად ჩვენ ეს სტროფი 32-ე სტროფზე უფრო ძლიერიც გვეჩვენებაო“ (გვ. 244). „ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, — წერს ონიანი, — თითქოს პოეტი (რუსთველი) თავის თავს გაეჯიბრა და სცადა ინდოეთის მეფე ფარსადანი როსტევან არაბთა მეფეზე კიდევ უფრო მაღალფარდოვანი სიტყვებით შეემკო და დაეხასიათებინა“ (იქვე).

ეს არის და ეს. საკუთრივ ანალიზი ჩატარებული არ არის.

ნამდვილად ინდო-ხატაელთა ამბის 1784-ე შაირი შორეულადაც ვერ გაუსწორებს თვალს ვეფხისტყაოსნის 32-ე შაირს. ეს შაირი მთლიანად ეძღვნება როსტევან მეფეს. აქაა გაშლილი და ამაღლებული დახასიათება როსტევანის მეფური სიდიადისა, რაინდულ-მეომრული ქველობისა და ადამიანური კეთილშობილებისა. მეფე-პერსონაჟის ღირსებისამებრ შესამკობად რუსთველს მოხმობილი აქვს სანაქებო თვისებათა ერთ ათეულზე მეტი მჭევრი პოეტური სიტყვა (სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე, მოწყალე, მორჩმული, განგებიანი, მეომარი უებრო, მოუბარი წყლიანი). გხიბლავთ შაირის ალიტერაციუ-

ლი ჟღერადობა (მოსამართლე, მორჭმული, მოწყალე... მეომარი უებრო და მოუბარი წყლიანი), ეპითეტების სიუხვე, რითმის სიმდიდრე.

თუმცა ჩვენ დრომდის მოღწეულ ძეგლთა შორის ქრონოლოგიურად ჯერჯერობით „შუშანიკის მარტვილობაა" პირველიც და უძველესიც ორიოდე ეპიგრაფიკულ წარწერასთან ერთად, უსაშველო გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართველმა ხალხმა ერთ დღეს ისწავლა ასონიშნის მოხაზვა, ხოლო მეორე დღეს მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული შედევრი შექმნა. იაკობ ცურტაველის ქმნილება თავისი გარდუვალი, თავისთავადი ღირებულების გარდა, იმის უტყუარი საბუთიც არის, რომ ქართული მწერლობის სათავეები ჩვენი წელთაღრიცხვის მიღმა საუკუნეებშია საძიებელი, წარმართულსა და არა ქრისტიანულ ეპოქაში. „წამებაი წმიდისა შუშანიკისი" ხანგრძლივი ტრადიციების მქონე და დიდად განვითარებული მწერლობის მშვენიერი ნაყოფია. აქ ნათლად და გამოკვეთილად არის აღბეჭდილი ქართული მწერლობის ის ნიშანდობლივი ტენდენციები, ის დედა-იდეები, რითაც სულდგმულობდა იგი დღიდან ჩასახვისა „მოდღეინდელად დღედმდე".

„შუშანიკის წამებაში" მომხიბლავი უბრალოებით არის მოთხრობილი V საუკუნის ქართლში გათამაშებული ტრაგიკული ამბის ნამდვილი ისტორია.

ქართლის დიდმა მოხელემ, მონაპირე მთავარმა ვარსქენ პიტიახშმა ანგარების მიზნით უარყო მამაპაპეული ქრისტიანული სარწმუნოება, მიენდო ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ძლიერ მტერს — მაზდეანურ ანუ ზოროასტრულ სპარსეთს, აღიარა ცეცხლთაყვანისმცემლობა და აღუთქვა შაჰს, რომ მისეულ რჯულზე მიაქცევდა თავის „ბუნებითს ცოლს" და

შვილებს. გახარებულმა შაჰმა ვარსქენი უხვად დააჯილდოვა და, კერძოდ, მეორე ცოლიც უბოძა (მაზდეანობა ამის უფლებას იძლეოდა). ქმრის საძრახისმა ნაბიჯმა აღაშფოთა ზნეფაქიზი შუშანიკ-დედოფალი, მან მიატოვა საპიტიახშო სახლი და ერთ მცირე სენაკში დაბინავდა შვილებთან ერთად. პატივმოყვარე პიტიახშმა იუკადრისა ცოლის საქციელი, ამაოდ შეეცადა იმის დაბრუნებასა და შემორიგებას. ნებაყოფლობით რომ ვერას გახდა, ძალა იხმარა, რამდენიმეჯერ მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის მეუღლეს, შემდეგ ბორკილები დაადო და ნესტიან საპყრობილეში ჩასვა. წამების მეშვიდე წელს 475 წლის ოქტომბერში, შუშანიკი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

ასეთია იაკობ ცურტაველის მოთხრობის შინარსობრივი ჭარგა. ეს ამბავი მკითხველსა და მსმენელს ცხადლივ აგრძნობინებს ჩვენი ხალხის იმ შორეული ისტორიული წარსულის ცხოვრებისა და ბრძოლის საარაკოდ მძიმე ხასიათს. ცნობილია, რომ მებატონე საზოგადოებისათვის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა ყოველთვის იდეოლოგიური ბრძოლის საიმედო იარაღს წარმოადგენდა. ამ იარაღს ჯიუტად ეტანებოდნენ თავიანთი აგრესიული მიზნებისათვის როგორც აღმოსავლელი, ისე დასავლელი დამპყრობლები. V საუკუნეში ამიერკავკასიის სამივე ძირითად ქრისტიან ხალხს უშუალო მომაკვდინებელ ხიფათს უქმნიდა სასანიანთა მაზდეანური სპარსეთის უზარმაზარი იმპერია. მტკიცე ძმობით შეკავშირებული ქართველები, სომხები და ალბანელები აუნაზღაურებელი მსხვერპლის საფასურით მედგრად იგერიებდნენ მოზღვავებული მტრის შემოტევას. გააფთრებული მტერი არც შემპარავი და მომთაფლველი უმზაკვრესი ხერხებისა თუ ხრიკების გამოყენებას თაკილობდა, რომ გაეტეხა და დაეძაბუნებინა ჩვენი ქვეყანა შინაგანი გამცემი და გამთიშავი ძალების მეშვეობით. ამ ძალების დახმარებითაც ცდილობდა მოძალადე ამოეძირკვა ქრისტიანული სარწმუნოების ახალი ნერგი და იმის ალაგას შთაეთესა „მახვილითა პყრობილი სჯულის“ საშიში თესლი. ქრისტიანობა, როგორც ეროვნული სარწმუნოება, იდეოლოგიურად აერთიანებდა, აკავშირებდა და ადუღაბებდა ქართველობას მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. დამპყრობელთა რჯულზე გადასვლა ობიექტურად უდრიდა სამშობლოს ღალატს. ქრისტიანობისათვის თავდადებული პირი კი იმსახურებდა ხალხის საერთო პატივისცემასა და სიყვარულს, იმოსებოდა ეროვნული გმირის შარავანდედით, მას მიაგებდნენ ხოლმე წმინდანის პატივს, მას ადიდებდა შთამომავლობა, ინიშნებოდა მისი ხსოვნის დღე, იწერებოდა საგანგებო მოთხრობები („წამებანი“, „ცხოვრებანი“), ითხზვებოდა საგალობლები, იქმნებოდა თქმულებები, გადმოცემები, ლეგენდები. ცნობილთაგან შუშანიკი პირველია, ერმა რომ თავის სათაყვანებელ გმირად აღიარა, ჩარიცხა წმინდანთა შორის და იაკობ ცურტაველის სახით შეუთხზა დიდებული საგალობელი.

იაკობ ცურტაველი იყო შუშანიკის თანამედროვე, თანამოღვაწე, მისი პირადი სულიერი მოძღვარი, ქართლის საპიტიახშო კარის ხუცესი. როგორც შუშანიკის სულიერ მოძღვარს, მას კარგად უნდა სცოდნოდა დედოფლის ცხოვრების ყველა წვრილმანი და ადამიანური სახასიათო თვისებები. იაკობი იმთავითვე უცდომელი გუმანით გრძნობდა, რომ მისი სულიერი შვილი თავს გამოიდებდა ქვეყნისა და ქრისტიანული სჯულისათვის, არ მიენდობოდა განდგომილ ვარსქენს და წამებით აღასრულებდა თავის სიცოცხლეს. ვარსქენი ჯერ არც იყო დაბრუნებული ცურტავში, რომ იაკობს გამოუკითხავს დედოფლისათვის, თუ კიდევ რაიმე ჰქონდა საიდუმლოდ შემონახული, „რაითა უწყოდი და აღვწერო შრომაი შენიო“. ერთი სიტყვით, იაკობ ცურტაველი იყო შუშანიკის მესაიდუმლე, მისი თავგადასავლის საუკეთესო მცოდნე და მისი ამბის პირუთვნელი აღმწერი. მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, იაკობი მაინც ახერხებდა ნაცემ-ნაგვემი, ჯერ სენაკში ჩაკეტილი და შემდეგ ციხის საპყრობილეში გამომწყვდეული დედოფლის ხილვას. იაკობ ცურტაველი თვითონ გვევლინება თავისივე მოთხრობის ერთ აქტიურ, კოლორიტულ პერსონაჟად. რომელიც ორგანულად არის ჩართული „წამების“ მწყობრ სიუჟეტში.

შუშანიკი აღესრულა 475 წელს. მისი „წამებაც“ დაწერილია ამ თარიღის შემდეგ. მაგრამ არა უგვიანეს 482 თუ 483 წლისა, როცა ქართლის სახელოვანმა მეფე ვახტანგ გორგასალმა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების წინ მოღალატე ვარსქენი სიცოცხლეს გამოასალმა.

რასაკვირველია, „შუშანიკის წამება“ საერთოდ ეგრეთ წოდებულ აგიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება. ეს სრულიად ბუნებრივია. საკვირველი იქნებოდა, ასე არ ყოფილიყო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ იაკობ ცურტაველის ქმნილება ოდნავ არ იზღუდება თავისი ჟანრის ფარგლებით, სრულიად ვერ თავსდება იგი ამ ჟანრის ჩარჩოებში (კ. კეკელიძე), „შუშანიკის წამებით“ მკითხველს თვალწინ მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი, მხატვრული სურათი ეშლება“ (ივანე ჯავახიშვილი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, „შუშანიკის წამება“ ეროვნული ქართული მხატვრული პროზის შედევრია. საინტერესო ის არის, რომ დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, შუშანიკის დევნა და სასჯელი უფრო სამთავრო ოჯახის საფუძვლების დარღვევას შეუპირობებია და არა სარწმუნოებრივი უთანხმოების ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტს. მართლაც-და, ვარსქენ პიტიახშმა დედოფალს ხელი უდიერად მაშინ მიჰყო და უმოწყალოდ, მხეცურად სცემა, როცა ოჯახური პურობის ვითარებაში რძლის მიერ მოკრძალებული თავაზიანობით მოწოდებული „ჭიქაი იგი პირსა შეალეწა და ღვინოი იგი დაითხია“;. ამ საბედისწერო პურობის დროს (ზოგჯერ სხვა დროსაც) შუშანიკმა ცხადლივ გამოამჟღავნა თავისი თავშეუკავებელი, ანჩხლი, ფიცხი ხასიათი. რაღა თქმა უნდა, შუშანიკის ხასიათის სიფიცხეს ის ამძაფრებდა, რომ პიტიახშმა დაამდაბლა

და მიწასთან გაასწორა მტკიცე ეროვნულ-სარწმუნოებრივი გრძნობის პატრონი დედოფლის მეუღლეობრივი, ქალური, ადამიანური ღირსებანი, ახალი ცოლი მოიყვანა და თანაც უტიფრად მასთან შერიგებასა და მეუღლეობრივი ურთიერთობის გაგრძელებას ფიქრობდა. ეს იყო პიტიახშის უმაგალითო მზაკვრობა. დედოფალი შეუპოვარი იყო და უკომპრომისო, როდესაც საქმე მის ადამიანურ თავმოყვარეობასა და სარწმუნოებრივი სინდისის საკითხს ეხებოდა.

შუშანიკისა და ვარსქენის კონფლიქტს აღვივებდა სხვადასხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისის ნიადაგზე აღმოცენებული მწვავე უთანხმოება. მტრების მხარეზე გადასული, გადარჯულებული, გალაღებული და აღზევებული პიტიახში ასახიერებს ქვეყნის მოღალატეს, შაჰინშას აგენტს, პოლიტიკურ რენეგატს, ხოლო შუშანიკი ღვაწლმოსილი ეროვნული გმირია, რომელიც განდგომილი მეუღლის განაჩენს არ დაემორჩილა, ქედი არ მოიხარა უსამართლობის წინაშე, უზრუნველ ცხოვრებას ჯოჯოხეთური ტანჯვა და მოწამებრივი სიკვდილი ამჯობინა. ამით შუშანიკმა საარაკო სულიერი მხნეობისა და მამაცობის საშვილიშვილო მაგალითი უჩვენა მის თანამედროვეებსაც და შთამომავლობასაც. საგულისხმო ის არის, რომ შუშანიკი იყო თავის მაზლთან, ჯოჯიკთან ერთად ქართლის საპიტიახშო კარზე ბავშვობიდანვე აღზრდილი პატრიოტი, ანტისპარსული აჯანყების მოთავის, სომეხთა სახელგანთქმული მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის საყვარელი ასული და მისი მიმდევარი პოლიტიკური მოღვაწე (მამის. ვარდანის, დაღუპვის შემდეგ არშუშა პიტიახშმა ობოლ შუშანიკს უპატრონა, თავისთან წაიყვანა და სათუთად აღზარდა).

იაკობ ცურტაველმა ექსპრესიულად, დიდი მგზნებარებითა და ფსიქოლოგიური სიმართლით წარმოგვიდგინა ორი მკვეთრად დაპირისპირებული პერსონაჟი: სამარცხვინო მოღალატურ საქმეთა მოქმედი, თვალთმაქცი პიტიახში, ერთი მხრივ, და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების გამომხატველი მებრძოლი დედოფალი, ნაზი, გრძნობიერი, მოყვარული ქალი და დედა, მეორე მხრივ, ეს დაპირისპირება უდევს საფუძვლად იაკობ ცურტაველის შორს გამწვდენ იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ცურტაველი დაუფარავად ამხილებს თავისი მთავარი ქალი-პერსონაჟის ხასიათის ზოგიერთ საჩოთირო, თუ გნებავთ, ერთგვარად ჭირვეულ თვისებას, რითაც ცხადლივ გვიმტკიცებს მწერლური სიმართლის შესაშურ იშვიათობას. იაკობ ცურტაველის შუშანიკი სრულიადაც არა ჰგავს სასულიერო მწერლობის მიერ შაბლონად ქცეულ უსიცოცხლო ასკეტს, სიცოცხლის მოძულესა და სიკვდილს მონატრებულ ინერტულ „წმინდანს“. შუშანიკი იყო სიცოცხლის უზომოდ მოყვარული, მებრძოლი. პატრიოტი მანდილოსანი, რომელიც აშკარად ამჟღავნებდა თავის გულისწყრომასა და სინანულს, მტარვალმა ქმარმა რომ „უჟამოდ ნაყოფნი მისნი მოისთულნა და სანთელი მისი დაშრიტა და ყუავი-

ლი მისი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა მისისაი დააბნელა და დიდებაი მისი დაამდაბლა". შუშანიკს საიმქვეყნოდ არ მიუწევდა გული, მით უფრო არ მიუხაროდა. გული მას აქ, ცოდვილ დედამიწაზე რჩებოდა. გატანჯული ქალი იმედოვნებდა, რომ ღმერთი სამაგიეროს მიუზღავდა მის უსამართლოდ მტანჯველ პიტიახშს: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თუალღებაი წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა. სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა".

შუშანიკის სიტყვებიდან ისიც უდავოდ ჩანს, რომ იგი ვერ ურიგდებოდა ქალის უუფლებო მდგომარეობას საზოგადოებასა და ოჯახში. შუშანიკი ოცნებობდა იმაზე, რომ კაცსა და ქალს თანაბარი უფლებით ესარგებლა.

დედოფალი შუშანიკი თავს მარტოდ გრძნობდა სარწმუნოებრივი სიწმინდის, ზნეობრივი ღირსებისა და სამშობლო ქვეყნის სუვერენობისათვის წამოწყებულ უთანასწორო ბრძოლაში. მებრძოლი ქალი დიდი გულისტკივილით შესჩიოდა გამჩენს: „უფალო ღმერთო, არცა მღვდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს!" ასევე საყვედურის სიტყვებით მიმართავდა შუშანიკი თავის მაზლს ჯოჯიკს და მის მეუღლეს: „არა ვინ იპოვა კაცთაგანი, რომელსაცა აქუნდა წყალობაი და ტკივილი ჩემთვის". რასაკვირველია, საყვედურის წილი მოდიოდა თვითონ იაკობ ცურტაველზე. ესეც ხომ მის მწერლურ პირუთვნელობაზე მეტყველებს ცხადლივ. შუშანიკის რწმენით, ვარსქენ პიტიახში ბოროტად იყენებდა თავის პოლიტიკურ უფლებებს, მეუღლეობრივ მდგომარეობას და მამაკაცურ ძალას ყველასგან მიტოვებული, სუსტი და უძლური დედაკაცის მიმართ.

მართალია, ვარსქენმა შვილები გადაიბირა, ისინი დედას ჩამოაშორა და თავის რჯულზე გადაიყვანა, მაგრამ შუშანიკის მხარეზე იყო ქართლის მკვიდრი მოსახლეობა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ერი და მღვდელი. შუშანიკის თანამგრძნობელთა და სულიერად გამამხნევებელთა შორის იაკობი კონკრეტულად ასახელებს კიდევაც საპიტიახშო კარის ეპისკოპოს აფოცს, ეპისკოპოს იოვანეს და ეპისკოპოსთა თავს სამოელს, რომელნიც „მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა". შუშანიკის დემონსტრაციული თანაგრძნობისათვის ვარსქენ პიტიახშმა „უხეთქნა კუერთხითა ზურგსა" ვიღაც უცნობ მღვდელს. ხოლო ასევე უცნობ დიაკვანს შიშისაგან სიტყვა გაუწყდა, მრისხანე პიტიახშის სახე რომ დალანდა ანაზდეულად. რა თქმა უნდა, შუშანიკის მხარეზე იყო პიტიახშის ძმა ჯოჯიკი, აგრეთვე მისი მეუღლე... შუშანიკს გულწრფელად თანაუგრძნობდა და მის განსაცდელს დასტიროდა „ამბო-

ხი (ბრბო) მრავალი დედებისა და მამებისაი, სიმრავლე ურიცხვი“. შუშანიკის სიწმინდისა და მოწამეობრივი ცხოვრების ამბავი „განითქუა ყოველსა ქართლსა“. მის მოსაკითხავად, პატივისცემის დასადასტურებლად და ლოცვა-კურთხევის მისაღებად უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ყველა კუთხიდან „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი (მდაბიონი) სოფლისა ქართლისანი“. განუზომლად გაიზარდა და განმტკიცდა დედოფლის ზნეობრივი ავტორიტეტი, სიცოცხლეშივე ლეგენდური გახდა საქმენი მისნი.

აქა-იქ ვრცელდება მოსაზრება, თითქოს ვარსქენიც ამყღავნებდა მაღალ ადამიანურ თვისებებს, სიბრალულითა და თანაგრძნობით ეკიდებოდა თავის მსხვერპლს, სარწმუნოებრივ ნიადაგზე მას არ ავიწროებდა და მხოლოდ საპიტიახშო სახლის ღირსებაზე ზრუნავდა. სწორია, რომ ვარსქენმა ჯერ მისანდო ხუცები მიუგზავნა შუშანიკს, შემდეგ კარის ეპისკოპოსი და ძმა ჯოჯიკი ცოლით, და დაჟინებით მოითხოვდა დედოფლის შინ დაბრუნებას. ბოლოს, საპყრობილეში გამომწყვდეულს ძუძუსმტე (ძუძუს მოზიარე, ძიძიშვილი) აახლა და იმის პირით შეუთვალა: „ნუ აოხრებ სახლსა მას თქუენსა“, ოჯახსა და სახლ-კარს მიხედეო. მაგრამ შუშანიკმა კარგად იცოდა, რომ ეს იყო მხოლოდ თვალთმაქცური, შენიღბული მზაკვრობა: „რამეთუ მაგით სახით ეგულებოდა შეტყუევილი (მოტყუება)... და მას სხუაი ზრახვაი გულსა მოეხადა (მოუვიდა) სიბოროტისაი“. ამგვარი მუხანათური ხერხით უნდოდა თვალთმაქცს დედოფლის გადაბირება, „მონადირებაი ნეტარისაი“.

ვარსქენის ჰუმანურობის დასამტკიცებლად ჩვეულებრივ იმას იმოწმებენ, რომ პურობის ჟამს ჩადენილმა მხეცურმა საქციელმა პიტიახშო ბოლოს თითქოს შეაშფოთა, საგონებელში ჩააგდო და სინდისის ქენჯნა მოჰგვარა, მთელი ღამე თეთრად გაათენა, ხოლო უთენია გვემულს მიაკითხა. კი, ვარსქენმა მართლა უთენია („ვითარცა ცისკარ ოდენ იყო“) მოიკითხა თავისი მსხვერპლი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი ებრალებოდა. და სინდისი აწუხებდა, არამედ მას სანადიროდ მიეჩქარებოდა. როცა ვარსქენმა გაიგო, რომ დედოფალს სასიცოცხლო პირი არ უჩანდა, წარბიც არ შეუხრია და „ნადირობად წარვიდა“. მკვლევარმა ციალა ქურციკიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სწორედ საბედისწერო პურობამ გადაწყვიტა შუშანიკისა და ვარსქენის საბოლოო გაყრის ბედი, მანამდის დედოფალი რამდენადმე მერყეობდა კიდევაც, თუმცა სასახლე მიატოვა, მაგრამ მახლობელთა დაჟინებითი თხოვნის შედეგად ასე თუ ისე უკანვე დაბრუნდა და საოჯახო პურობაში მიიღო მონაწილეობა. შუშანიკსა და ვარსქენს შორის ხიდი საბოლოოდ მაშინ ჩატყდა, როცა ვარსქენმა უმოწყალოდ გაწირა მეუღლე და სასიკვდილოდ გაიმეტა, უმძიმესი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას.

იაკობ ცურტაველის თხზულების ყველა პერსონაჟი (მათ შორის მეო-

რეზარისხოვანნიც) დახატულია ნიშანდობლივი სახასიათო თვისებებით. თხრობა ვითარდება დინამიკურად, მწყობრად, ლოგიკური თანმიმდევრობით, მთავარი სასიუჟეტო ხაზიდან გადაუხვეველად, გაუჭიანურებლად. მთელი წამების მანძილზე შუშანიკს მხოლოდ ორიოდეჯერ წარმოუთქვამს ლოცვა და ისიც საოცრად მოკლე. „წამების“ ტექსტისათვის სრულიად უცხოა ეროვნულ-სარწმუნოებრივი და კონფესიურ-აღმსარებლობითი რაიმე ტენდენცია. კერძოდ, იაკობ ცურტაველი იმთავითვე საგანგებოდ უსვამს ხაზს შუშანიკის სომხურ წარმომავლობას. იგი გულწრფელი სიმპათიით იხსენიებს სომეხთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული მებრძოლის, შუშანიკის მამის, ვარდან მამიკონიანის ღირსეულ სახელს. იაკობ ცურტაველის თხზულებიდან მკაფიოდ გამოისმის ქართულ-სომხური ისტორიული ძმობის გამოძახილი.

განუზომელია „შუშანიკის წამების“, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა.

„შუშანიკის წამება“ კომპოზიციურად სრულყოფილი ნაწარმოებია. ამბავი აქ ვითარდება ბუნებრივად და იხურება ასევე ბუნებრივი ფინალით. ენა ძეგლისა ხატოვანია და გამომეტყველი, მაღალი უბრალოების თვისებით დამშვენებული. სტილი — ლაპიდარულია, ფრაზები — მოკლე, მოკვეთილი, მტკიცედ შეკრული, სიტყვები — ეკონომიურად შერჩეული, ემოციური, შინაარსით მდიდარი და ტევადი, აზრით — მაქსიმალურად დატვირთული. თავის ჩანაფიქრს იაკობ ცურტაველი გამოთქვამს ნათლად, მკაფიოდ და გამჭვირვალედ. ზომიერად და მოხდენილად იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს. „დადნა ვითარცა ავლი“ — ამბობს ავტორი არაადამიანური ტანჯვითა და სნეულებით გალეულ შუშანიკზე. მოვიგონოთ, როგორი შთამბეჭდავი სურათი შეუქმნია იაკობს თავდავიწყებამდე მისული პიტიახშის მრისხანების გადმოსაცემად: „ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“. გაავებული მამაკაცის გოლიათური ძალ-ღონე ვარსქენ პიტიახშმა უმწეო მეუღლის შეურაცხყოფის მიზნით გამოიყენა. ასევე ემარჯვება იაკობ ცურტაველს ბუნების მძვინვარების განსახოვნებაც. „ყამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი მხურვალებაი მზისაი, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი“ თურმე მომაკვდინებლად მოქმედებდა მოსახლეობის ყველა ფენაზე. ამის გამო „მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი, დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი, და მოხუცებულნი არაცინ არს მათ ქუეყანათა“. ნესტიან დილეგში ჩამწყვდეული და ბორკილებით შეკრული დედოფალი სრული ექვსი წელიწადი იტანდა ბუნების ამ ჯოჯოხეთური მძვინვარების ზემოქმედებას. აბა, რა ჯანი გაუძლებდა ამნაირ ჰავას და ამნაირ ტანჯვას!

უბადლოა „შუშანიკის წამების“ ცოცხალი დიალოგები.

იაკობ ცურტაველს საუცხოოდ ჰქონდა შეგნებული მწერლობის იდეურ-მხატვრული და საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მაღალი დანიშნულება. V საუკუნის დიდებულ ნაწარმოებში მკაფიოდ არის აღბეჭდილი ან მინიშნებული თითქმის ყველა ის ძირითადი იდეურ-მხატვრული ტენდენცია, რაც ქართულ მწერლობას გასდევს მისი ხანგრძლივი, ათასხუთასწლოვანი განვითარების ისტორიაში. იაკობ ცურტაველმა სრულყოფილად ჩამოაყალიბა ზნეობრივი სიწმინდის ის ნათელი იდეალი, რაც შეადგენდა ქართული მწერლობის მასულდგმულებელ შთაგონებას. იაკობ ცურტაველის შემოქმედებას მსჭვალავს „ჭირსა შიგან გამაგრების“ ოპტიმისტური ფილოსოფია. იაკობმა გამოძერწა რწმენაურყევი, შეუდრეკელი და ქედმოუხრელი მებრძოლი ქალის უჭკნობი სახე. რიგი ნიშნებით მას ემსგავსება თვითონ ნესტანი. შუშანიკის ნარეკლიან გზას მიჰყვა სახელოვანი ქეთევან დედოფალი... V საუკუნის ქართველმა მწერალმა მოაზროვნემ მკაცრად ამხილა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გულგრილობა და ნიჰილიზმი; დაგმო, გაკიცხა და შეაჩვენა რენეგატობა, განდგომილობა, ქვეყნის ღალატი. იაკობ ცურტაველი შორიდან გვიხმობს ერთგულად ვემსახუროთ საქვეყნო საქმეს და პატივი ვცეთ მეზობელ ხალხებს.

გარდასულ დროთა დიდი ქართველი მწერალი მხურვალედ მოგვიწოდებს თანამედროვეთ გულით გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო და თავგამოდებით ვებრძოლოთ მის მტერსა და დუშმანს.

იაკობ ცურტაველი შეხარის და შენატრის ერის ღირსებისათვის მებრძოლ ყველა ნამდვილ გმირს.

იაკობ ცურტაველის შემოქმედებამ გაუძლო საუკუნეთა სრბოლას და დღესაც გვხიბლავს დიადი აზრით და ნატიფი ენით.

„წამება წმიდისა დედოფლისა შუშანიკისი“ მსოფლიო ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შედევრია და ქართული მხატვრული პროზის ბრწყინვალე ძეგლი.

1978

განახლებული დავა

ბოლო დროს ისევ განახლდა ძველი დავა თეიმურაზ პირველის (1589—1663) გარშემო.

როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძის თაყვანისმცემელი ანტონ ფურცელაძე უარყოფდა თეიმურაზის მეფურ ღირსებას, ხოლო მის პოეზიას მთლად აბუჩად იგდებდა. იგი ასე წერდა თეიმურაზის შესახებ: „უჯდა მთელი დღეობით ამ უშნო და უაზრო ლექსებს და აკლავდა თავის სიცოცხლეს შიგა. სწერდა ლექსებს, სადაც არც ესთეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეა, არც რაიმე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღვთისაგან განაჩენი, გარდა უბრალოდ და უაზროდ გადატმასნული სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვების ტმასნვა-გრეხისა... როგორ არ შეიპყრა არა აზრმა თავის ლექსების წერის დროს, როგორ ერთხელ მაინც არ შეჰკვნესა გულმა ამოდენა ამბების მნახველსა, როგორ არ გაუარა ერთხელაც არის რამე ჩასაფიქრებელმა და საგულისხმო აზრმა, მსჯელობამ, გონების მოსაზრებამ, ქვეყნის ცრემლმა, ქვეყნის ვაებამ“[1]. სულმნათი აკაკი ძრახავდა თეიმურაზის მეფობასაც და მის ლექსებსაც. „ბაშიაჩუკში“ ვკითხულობთ: „კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი და მით საზარელს მომავალს უმზადებდა სამეფოს... მეფე რომ „პიიპუუ-პიიპუუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებს... ამისი შაირები ლაზღანდარობაა“. ალ. ხახანაშვილმა შენიშნა, რომ თეიმურაზი „სოფელს მწარედ ემდურის“, რომ პოეტს შეუმუშავდა ცხოვრებაზე „პესიმისტური შეხედულება“, რომ ეს „პესიმისტური შეხედულება მეფეს ჩააგონა საკუთარმა სევმ და მრისხანე ბედისწერამ“[2]. თეიმურაზის „მაჯამის“ გამო ა. ხახანაშვილი ამბობს: «Стихи довольно звучные и не лишены поэтического пафоса.[3]

ან. ფურცელაძის ნიჰილისტური შეხედულება თეიმურაზის პოეზიაზე მკაცრად გააკრიტიკა კ. კეკელიძემ. კ. კეკელიძის სიტყვით, „რაც აკლდა

[1] ანტონ ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობელად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ., 1892, გვ. 355—356.

[2] ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდგან XVIII საუკ. გასულამდე), ტფ., 1904, გვ. 456.

[3] Очерки III, М., 1901, 91.

მას (ე. ი. თეიმურაზს, — ა. ბ.) როგორც მეფეს, უხვადა ჰქონდა როგორც პოეტს. ნამდვილად რომ ვთქვათ, ის მოწოდებული იყო იმდენად მეფობისათვის არა, რამდენადაც მწერლობისათვის"[4]. ჩემი ფიქრით, კ. კეკელიძე ძალზე გაზვიადებულად აფასებდა თეიმურაზის „მაჯამას" პოეტურ ღირსებებს: „მაჯამაში" გვაქვსო „ის ანკარა წყაროსავით მოჩუხჩუხე ლექსი, რომელიც უნაზესი ჰარმონიით ატკბობს ჩვენს სმენას, ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშადა ჰხდის ამ ნაწარმოებს და თამამად უყენებს გვერდში ჩვენს კლასიკოსებს"[5].

ა. გაწერელია შენიშნავს (უმისამართოდ): „თეიმურაზის განსაკუთრებულ პოეტურ ღირსებებს ხედავენ მის მაჯამაშიო" და თავის მხრივ ასკვნის: „რასაკვირველია, მაჯამა არ შეიძლება ჩაითვალოს ლექსის უმაღლეს ფორმადო" (ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, 1938, გვ. 58).

თეიმურაზის შესახებ ცალმხრივი შეხედულების დამკვიდრებას ისიც იწვევდა, რომ გამოქვეყნებული არ იყო მისი ნაწერები, არც მეფე-პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობა იყო შესაფერისად შესწავლილი. 1934 წელს გამოქვეყნდა თეიმურაზის თხზულებათა სრული კრებული (ტექსტი, გამოკვლევა. ლექსიკონი)[6]. ეს გამოცემა, რა თქმა უნდა, გმობდა თეიმურაზის პოეზიის მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. ჩვენი შეხედულება თეიმურაზზე და მის პოეზიაზე მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებულია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსში[7]. აქ ვკითხულობთ: თეიმურაზი სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს... ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა მტრების იერიშების მოსაგერიებლად შეეკავშირებინა ქართული სამეფო-სამთავროები" (გვ. 318). „მუსლიმანურ აგრესიას თეიმურაზი უპირისპირებდა ქრისტიანულ აღმსარებლობას. ქართველი საზოგადოება თეიმურაზს მხარს უჭერდა როგორც ქართველთა ეროვნობისა და ეროვნული სარწმუნოებისათვის შეუპოვრად მებრძოლს" (გვ. 325). „თეიმურაზმა სამარეში ჩაიტანა დამსხვრეული იმედები და სამშობლო ქვეყნის გულწრფელი სიყვარული. ოღონდ მის ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად აუნაზღაურებელი მსხვერპლის გაღებისა, თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში გამოიბრძმედა და გამოიჭედა ჩვენი ხალხის ნებისყოფა. ქართველობამ უკეთ ისწავლა მტერმოყვრის გარჩევა, ქართველობამ მტერს ქედი არ

---

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, ტფ., 1924, გვ. 385.

[5] იქვე, გვ. 397; იგივე, 1958 წლის გამოცემა, გვ. 566—567.

[6] ალ. ბარამიძისა და გ. ჯაოხიშვილის რედაქციით.

[7] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969 (გვ. 316—336). თავის მხრით ეს კურსი ემყარება იმავე ავტორების ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ ტომს (თბ. 1954, გვ. 337—363).

მოუხარა, შეუბღალავად შეინარჩუნა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსება“ (გვ. 319).

ასევე შეფასებულია თეიმურაზის პოეზიაც: „იმდროინდელი აფორიაქებული საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება, ქვეყნის ჭირვარამი, თვითონ თეიმურაზის პირადული ადამიანური მწარე განცდანი მკაფიოდ აისახა მის მხატვრულ შემოქმედებაში“ (გვ. 319). თავისი პოეზიით „თეიმურაზმა გამოხატა ქართული ხალხის თავდადებული ბრძოლა თვითმყოფობისა და თავისუფლებისათვის უღიმლობაში დამპყრობლების წინააღმდეგ“ (გვ. 336). ისიც მართალია, რომ თეიმურაზი განიცდიდა სპარსული პოეზიის ზეგავლენას. „თეიმურაზი შეეცადა ქართულ მწერლობაში დაენერგა სპარსული პოეზიის ტრადიციები“ (გვ. 334). თუმცა „ამავე დროს თეიმურაზზე უცილობელ გავლენას ახდენს კლასიკური პერიოდის ქართული ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა რუსთველი“ (გვ. 334). თეიმურაზმა „მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქართულ ლიტერატურას, გაამდიდრა ამ ლიტერატურის ჟანრები, გაამრავალფეროვნა მისი შინაარსი“ და თავის მხრითაც „გარკვეული გავლენა მოახდინა ქართული პოეზიის განვითარებაზე“ (გვ. 336). დამოწმებული მოსაზრებანი არსებითად გაზიარებული იყო თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. თუმცა ზოგიერთი საბჭოთა პოეტი უფრო აფასებდა თეიმურაზის პოეზიას, ვიდრე მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ასე, სიმონ ჩიქოვანის სიტყვით (ლაპარაკია თეიმურაზზე): „მეფეს ხომ მეფედ არვინ იგონებს, მხოლოდ შაირი უმკობს სამარეს“.

სხვა აზრისაა თეიმურაზის პოეზიაზე ვალერიან გაფრინდაშვილი:

„განა იცოდა, რომ მომავალი მას, როგორც პოეტს, არ დაინდობდა?“

იოსებ გრიშაშვილი კი გადაჭრით აცხადებდა: „ძველს პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი, მომწონს მაჯამის ამირბარი თეიმურაზი“.

გიორგი ლეონიძე გაემიჯნა თეიმურაზის მიერ ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ ვარდ-ბულბულიანურ კილოს: „აღარ გვინდა საქართველო ვარდ-ბულბულის ქვეყნად“.

ტ. ჭანტურია სწორად შენიშნავს, რომ: „პოსტ ფაქტუმ“ იოლია, ცხადია, (ვისიმე) განსჯა. მაგრამ სრულიად უმართებულოა მისეული განსჯა თეიმურაზის ცხოვრებისა, პოლიტიკური მოღვაწეობისა და პოეტური შემოქმედებისა (ტრაგიკული ონომასტიკონი, „ლიტერატურული საქართველო“ 6. VII. 79). ამაზე აქ აღარ შევჩერდებით, რამდენადაც მას ვრცელი პასუხი გასცეს იმავე „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (გ. ციციშვილი, ნ. ნაკაშიძე — „გავუფრთხილდეთ კლასიკურ მემკვიდრეობას“ 27. VII. 79). ოღონდ პოლემიკური პათოსით შეპყრობილი ავტორები მეტისმეტად იდეალიზებულად გვიხატავენ თეიმურაზის პიროვნებასა და პოეზიას, ნამეტურ პოეზიას. აკაკი არ ყოფილა **„ერთადერთი“** ვინც უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა თეიმურაზის მიმართ. მოვიყვანთ

დამოწმებული წერილის ერთ ნაწყვეტს: „ქართული ლიტერატურის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ თეიმურაზმა, მიუხედავად სპარსული ლიტერატურისადმი მის მიერ გაღებული ერთგვარი ხარკისა **(რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი უმართებულოდ აზვიადებს)**, მიუხედავად იმისა, რომ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, სპარსულმა ენამ ასურვა მუსიკობანი, პირველმა **შეძლო გამოჯნოდა სპარსულ ლიტერატურას** და საფუძველი ჩაეყარა, შეექმნა დიდებული ეროვნული ეპოსი“.

ის დაუსახელებელი „ზოგიერთი მკვლევარი“, ფრჩხილებში მოქცეული ტექსტი რომ გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, არის ამ სტრიქონების ავტორი. იგი ბეჯითად ამტკიცებდა და ამტკიცებს (აქ ვიმეორებ ზემოთ თქმულს): „თეიმურაზმა სამარეში ჩაიტანა დამსხვრეული იმედები და სამშობლო ქვეყნის გულწრფელი სიყვარული. ოღონდ მის ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად აუნაზღაურებელი მსხვერპლის გაღებისა, თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში გამოიბრძმედა და გამოიჭედა ჩვენი ხალხის ნებისყოფა. ქართველობამ უკეთ ისწავლა მტერ-მოყვრის გარჩევა, ქართველობამ მტერს ქედი არ მოუხარა, შეუბღალავად შეინარჩუნა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსება“. „იმდროინდელი აფორიაქებული საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება, ქვეყნის ჭირ-ვარამი, თვითონ თეიმურაზის პირადული აღამიანური მწარე განცდანი მკაფიოდ აისახა მის მხატვრულ შემოქმედებაში... თეიმურაზმა გამოხატა ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა თვითმყოფობისა და თავისუფლებისათვის ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ“. რა თქმა უნდა, არასოდეს არ ვმალავდი და გარკვეეით აღვნიშნავდი, რომ თეიმურაზმა განიცადა სპარსული ლიტერატურის დიდი ზემოქმედება, რომ იგი შეეცადა ქართულ მწერლობაში დაენერგა სპარსული პოეზიის ტრადიციები.

საქმე ისაა, რომ პოლემიკური წერილის („გავუფრთხილდეთ კლასიკურ მემკვიდრეობას) თანაავტორი ისტორიკოსი ნ. ნაკაშიძე ჯერ კიდევ 1970 წელს დაესხა თავს ქართული ლიტერატურის ისტორიკოსთა (სახელდებით ალ. ბარამიძის) პოზიციას თეიმურაზ პირველისა და არჩილის პოეზიის შეფასებაში (ნ. ნაკაშიძე, თეიმურაზი — მეფე და თეიმურაზი— მგოსანი, „ლიტერატურული საქართველო“, 13.2.70). ნ. ნაკაშიძეს მაშინ ღირსეული პასუხი გასცეს ბორის დარჩიამ და გურამ შარაძემ („რაზე ვდაობთ?“ „ლიტერატურული საქართველო“, 5. VI. 70). ამ საბუთიანი პასუხის მიუხედავად, ნ. ნაკაშიძემ მთლიანად გაიმეორა ძველი მოსაზრებანი თავის წიგნში „წიწამურიდან ბახტრიონამდე“ (თბილისი, 1977). რომელიც თეიმურაზის მოღვაწეობას მიეძღვნა (იხ. წიგნის „ბოლოსიტყვის მაგიერ“, გვ. 216—223). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მონოგრაფიული ნარკვევი თეიმურაზის შესახებ საერთოდ კარგად არის დაწერილი და საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა ამ ღვაწლმოსილი და

მრავალტანჯული მეფის საქმიანობაზე. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ თეიმურაზი „პირმშო იყო იმ ეპოქისა და თავისი კლასისა“ (გვ. 108) და წინააღმდეგობრივი ხასიათის მოღვაწე დადგა, რომ თეიმურაზი ზოგჯერ სათანადოდ ვერ აფასებდა პოლიტიკურ სიტუაციას, ეჭვიანი იყო, შურის მაძიებელი და შესაძლებელია ვერაგული პოლიტიკური ინტრიგისა და მკვლელობის ორგანიზატორი (გვ. 109—113). „ზოგჯერ თეიმურაზი ემოციების გავლენითაც იღებდა სერიოზულ გადაწყვეტილებებს, არ იყო და ვერც იქნებოდა დაზღვეული ადამიანური შეცდომებისაგან“ (გვ. 218). სადავო არაა, რომ „თეიმურაზ მეფემ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში“ (გვ. 217). არც ისაა სადავო, რომ „თვალსაჩინო და ნათელია თეიმურაზის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც“ (გვ. 218). სადავოდ ხდის ნ. ნაკაშიძე თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის ჩემეული კონკრეტული ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს და თეიმურაზ-არჩილის ლიტერატურული პოზიციების დაპირისპირებას (ძირითადად ამ თვალსაზრისს ადგას თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა).

გამომცემლობა „ნაკადულმა“ 1975 წელს ერთად, ერთ ტომად გამოსცა თეიმურაზისა და არჩილის პოეზიის რჩეული. ამ გამოცემას უძღვის ჩემი შესავალი წერილი. მეც შესაძლებლობა მომეცა მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ შემეპირისპირებინა ძველი ქართული მწერლობის ეს ორი შესანიშნავი წარმომადგენელი. თეიმურაზი და არჩილი, — ვკითხულობთ აქ, — „არსებითად ასახიერებენ ორ, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულ, მიმდინარეობას ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში, თუმცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე ორივე გულმოდგინედ მოთავეობდა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფობის, დამოუკიდებლობისა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ სასიცოცხლო ძალებს ყიზილბაშურ-ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ... თეიმურაზ პირველის პოეზია აშკარად ამჟღავნებს სპარსოფილურ ტენდენციებს, არჩილი კი გარკვევით ანტისპარსული მიდრეკილების პოეტი-მოაზროვნეა“ (შეჯამებულად გამოთქმულ ამ შეხედულებას ვავითარებ ყველა ჩემს შრომაში, რომელიც კი თეიმურაზისა და არჩილის შემოქმედებას ეხება).

მართლაცდა, თუ თეიმურაზი აცხადებდა „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანიო“, არჩილი გამომწვევი კილოთი საგანგებოდ ამბობს: „მითქვამს ქართული ენითა, სხვა ენა არ ურევია“. თეიმურაზმა გადმოაქართულა პოპულარული სპარსული პოემები (ვარდ-ბულბულიანი, შამი-ფარვანიანი, ლეილ-მაჯნუნიანი, იოსებ-ზილიხანიანი). არჩილი შეგნებულად **გაემიჯნა** თეიმურაზის ლიტერატურულ პოზიციას. არჩილის სიტყვით, თეიმურაზი **ამუშავებდა** სპარსული წარმოშობის მოგონილ, შეთხზულ, „ნაჭორ“ „ზღაპრულ“, „ტყუილად გასაგონარ“, „საკიცხარ“ თე-

შებს. ამას არჩილმა დაუპირისპირა „მართლის-თქმის“ პრინციპი, თავისებური რეალისტური შემოქმედების მეთოდი. ადრეული რეალისტური მეთოდით შექმნა არჩილმა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული პირველხარისხოვანი პოემა („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“): ამრიგად, არჩილი მწერლებისაგან მოითხოვს მშობლიური ენის სიწმინდის დაცვას, რეალისტური შემოქმედებითი მეთოდით ხელშეწყობას და ეროვნული ისტორიული სინამდვილის ამსახველი ამბების დამუშავების საჭიროებას. აშკარად მცდარია ნ. ნაკაშიძის მოსაზრება, თითქოს თეიმურაზმა „პირველმა **შეძლო გამიჯნოდა სპარსულ ლიტერატურას**“. არა. სპარსულ ლიტერატურას გაემიჯნა არჩილი, თეიმურაზს კი, მისივე აღიარებით, სპარსული ენის სიტკბომ „ასურვა მუსიკობანი“. აქ საუბარია ქართული პოეზიის ამ მოამაგეთა შემოქმედების ძირითად ტენდენციებზე, თორემ თეიმურაზის მშვენიერი ორიგინალური ლირიკის შინარსი ქართულმა ისტორიულმა სინამდვილემ შეაპირობა, ხოლო არჩილმა „ვისრამიანი“ გალექსა და ბოლომდე ვერც ენის პურიზმი დაიცვა.

ნ. ნაკაშიძეს ერთიან ნაკადად ესახება ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურის განვითარება. იგი წერს: „თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი, გურამიშვილი და სხვები ლიტერატურის განვითარების კანონებს ემორჩილებიან და **ერთნაირად** (თემატურ-შინარსობრივად) გამოხატაენ თავისი ეპოქისა და ხალხის ტკივილსა და სულს“ („წიწამურიდან ბახტრიონამდე“, გვ. 223). პოლემიკური სულისკვეთებით გამსჭვალული მკვლევარი აღარიბებს XVII—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის იდეურ-შინაარსობრივ ხასიათს. რასაკვირველია, თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი, გურამიშვილი „და სხვები“ („სხვებში“ აღმოჩნდა სულხან-საბა ორბელიანიც!) „ლიტერატურის განვითარების კანონებს ემორჩილებიან“, მაგრამ **ერთნაირად** კი არა, **სხვადასხვანაირად**, სხვადასხვა შინაარსეული მასალებით, სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა შემოქმედებითი ძალით „გამოხატაენ თავისი ეპოქისა და ხალხის ტკივილსა და სულს“.

დასასრულ, უმნიშვნელო არ არის ის გარემოება, რომ თეიმურაზ-არჩილის ლიტერატურული პროფილის განსაზღვრაში ქართული ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისს ავითარებს ქართული საისტორიო მეცნიერებაც. საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში, რომელიც 1958 წელს გამოვიდა ნიკო ბერძენიშვილის მთავარი რედაქტორობით (სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, გ. ჩიტაია, გ. ხაჭაპურიძე), ნათქვამია: „XVII საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელია ქართულ პოეზიაში ირანული მიმართულებისა და გავლენის დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლა. XVII ს. ქართულ პოეზიაში ირანული ყაიდის ერთ-ერთი მთავარი გამტარებელი იყო დიდი პოლიტიკური მოღვა-

წე და ნიჭიერი ქართველი პოეტი თეიმურაზ პირველი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ირანის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია, თეიმურაზ I ირანული პოეზიის ძლიერ გავლენას განიცდიდა...

თეიმურაზის ლიტერატურული ტრადიციებისა და სკოლის ძლიერი მოწინააღმდეგე იყო არჩილი, რომელიც ირან-ოსმალეთის წამლეკავ გავლენას ლიტერატურის ისტორიაშიც ბრძოლას უცხადებდა. არჩილის მოღვაწეობამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებას საზოგადოებრივ აზროვნებასა და პოეზიაში. არჩილი ქართულ პოეზიაში იცავდა რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის ძირითად პრინციპს — „მართლის თქმას“, ეროვნულ-ისტორიულ თემატიკას და ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდეს. ამ ახალი ლიტერატურული პრინციპების მიხედვით არის დაწერილი მისი ისტორიული პოემა — „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ (გვ. 324—325).

სურათი ნათელია. თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა და ისტორიოგრაფია ძირითადად ერთნაირად აფასებს თეიმურაზისა და არჩილის როგორც ცხოვრებას, ისე შემოქმედებით მოღვაწეობას. ნ. ნაკაშიძე წერს „თეიმურაზ პირველის გმირული და ტრაგიკული ცხოვრება აქამდე არ არის ყოველმხრივ და თანმიმდევრულად შესწავლილ-შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაშიო“ („წიწამურიდან ბახტრიონამდე“, გვ. 217). არ ვდავობ, შესაძლებელია ასეც იყოს, თუმცა დარწმუნებული არ ვარ. ყოველ შემთხვევაში ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონეზე საკითხი სავსებით გარკვეულია და ნ. ნაკაშიძის თვალსაზრისი მიუღებელია.

1980

ქეთევან დედოფლის წამების გარშემო[1]

1980 წლის „ცისკრის“ მეოთხე ნომერში „განხილვის წესით“ გამოქვეყნდა როლანდ ბურჭულაძის კრიტიკული წერილი — „წამება ქეთევან დედოფლისა“. ეს არის საინტერესო, სერიოზული და, რასაკვირველია, ყოველმხრივ ანგარიშგასაწევი ნარკვევი. ამ ნარკვევის ძირითადი მიზანია დაასაბუთოს, რომ, წინააღმდეგ განმტკიცებული შეხედულებისა, პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ ეკუთვნის არა თეიმურაზ პირველს, არამედ მის ძმას ვახტანგს. ბურჭულაძისეული ჰიპოთეზა, თუ ის დამტკიცდება, იმ მხრივადაც იქნება საყურადღებო, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიას შეეძინება ერთი ახალი პატრიოტი მწერლის სახელი. მკვლევარი აცხადებს, რომ ვახტანგ ბატონიშვილს სხვა ნაწარმოებებიც შეუთხზავსო და გვპირდება, რომ მომავალში ამ საკითხსაც გააშუქებს. ჩვენ სიამოვნებით დაველოდებით დაპირებულ პუბლიკაციას. ახლა კი შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ უკვე წარმოდგენილი ნაშრომის ავკარგი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქეთევანის წამების თეიმურაზისადმი კუთვნილებას უარყოფს მკვლევარი შერმადინ ონიანიც (იხ. ლიტერატურათმცოდნეობის საკოორდინაციო საბჭოს XIV სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1979, გვ. 16—17).

თეიმურაზ პირველის (1589—1663) ნაწერები საკმაოდ ბევრ ხელნაწერს შემოუნახავს, ბეჭდურად სრული სახით გამოვიდა 1934 წელს (ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით). ტექსტების პუბლიკაციისა და ხელნაწერების თაობაზე ამ გამოცემას რ. ბურჭულაძე სრულ ნდობას უცხადებს. „ბეჭდური ტექსტი ძირითადად იმეორებს ხელნაწერებს. უფრო მეტიც: ყველა რედაქციული ჩასწორება ხელნაწერებიდან მომდინარეობს. ამრიგად, ანალიზის დროს ჩვენ სავსებით შეგვიძლია დავეყრდნოთ ბეჭდურ გამოცემასო“, წერს რ. ბურჭულაძე და ურთავს: „ხოლო იქ, სადაც ვარიანტების დამოწმებაა საჭირო, ხელნაწერი მივუთითოთ“ („ცისკარი“, 1980, № 4, გვ. 138).

თეიმურაზის ნაწერების შემცველი ხელნაწერები შედარებით გვიანდელ დროს ეკუთვნის და ავტოგრაფული ნუსხა არა გვაქვს. XVII საუკუნიდან მომდინარეობს მხოლოდ ერთი ხელნაწერი — ცენტრარქივის

[1] გამოქვეყნებულია მერი გუგუშვილის თანაავტორობით.

№ 290, თუმცა ესეც XIX საუკუნის პირველ ნახევარშია გადაწერილი (ქაღალდის ჭვირნიშანი 1808 წ.), ერთი მინაწერი ცხადყოფს, რომ მისი დედანი 1670 წლის ნუსხა ყოფილა. რ. ბურჭულაძის მოსაზრებით, XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნება აგრეთვე იმავე ცენტრარქივის ხელნაწერი № 396 (დას. წერილი, გვ. 144). მკვლევარი არ ამბობს, რას ემყარება მისი ეს მოსაზრება. ხელნაწერი № 296 მეცნიერულად აღწერილია პროფ. ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით (ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, II, თ., 1950, გვ. 46—51). აღწერილობაში არაფერია თქმული ხელნაწერის არქეტიპის არსებობის შესახებ. იგი კრებულია, შეინიშნებაო სხვადასხვა ხელი, მაგრამ კრებულში შესული თხზულებანი უმთავრესად XVIII საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრის ავტორებს ეკუთვნით — ვახტანგ ორბელიანს, ზაქარია გაბაშვილს, ზაქარია გაბაშვილის შვილს ოსეს, დავით იმამ ყული-ხანს, ისაკ მცირეს, დავით გურამიშვილსა და სხვ. ამრიგად, ხელნაწერი და მისი არქეტიპიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარზე უადრესი არ შეიძლება იყოს.

რ. ბურჭულაძე დასახელებულ ხელნაწერებზე იმიტომ ამახვილებს ყურადღებას, რომ „ქეთევანის წამება“ აქ შეტანილია თეიმურაზის თხზულებათა შორის ავტორწაუწერლად. მკვლევრის დაკვირვებით კი ავტორწარწერილიანი ხელნაწერები ჩნდება მხოლოდ გვიან, სახელდობრ, ანტონ კათალიკოსის „მარტირიკის“ შემდეგ. საქმე ისაა, რომ ანტონმა შეადგინა ქართველ წმიდანთა ცხოვრების ახალი რედაქცია, რომელსაც უწოდა „მარტირიკი“. „მარტირიკის“ პირველი თავი ეძღვნება ქეთევან დედოფლის წამებას. ანტონი ქეთევანის ცხოვრების აღმწერლად თვლის თეიმურაზ პირველს. რ. ბურჭულაძე სრულ უნდობლობას უცხადებს ანტონსა და მის ცნობას. რ. ბურჭულაძის სიტყვით, თითქოს ანტონამდე „თეიმურაზ I ჯერ კიდევ არ მიაჩნდათ „წამების“ ავტორად. ასეთად კი ეს უკანასკნელი პირველად ანტონ I კათალიკოსის მიერ იხსენიება“ (გვ. 145, აქაც და ქვემოთაც ხაზი ჩვენია — ავტ.). ასევე დაბეჯითებით წერს რ. ბურჭულაძე მეორეგანაც: „თეიმურაზ I „წამების“ ავტორად პირველად იხსენიება ანტონ კათალიკოსთან. მაგრამ მისი შიშველი განცხადება, რომ ქეთევან დედოფლის წამება აღწერა „ძემან მისმან მეფემან თეიმურაზ პირუელმან“, არ შეგვიძლია ეჭვმიუტანელ სინამდვილედ მივიღოთ. მით უმეტეს, რომ ანტონი არც თეიმურაზის თანამედროვეა და არც პოემის ანალიზს ეყრდნობა“ (გვ. 138). რ. ბურჭულაძის მოსაზრებათა თანახმად, სწორედ ანტონის თვალსაზრისს უნდა გამოეწვია XVIII საუკუნის ბოლოდან „წამების“ იმ ხელნაწერების გაჩენა, სადაც ავტორად თეიმურაზი იყო სახელდებული“ (გვ. 145).

ჯერ ერთი, უცნაურია, რად უწოდებს რ. ბურჭულაძე ანტონის შოწმობას „შიშველ განცხადებას“ ანტონი „არც პოემის ანალიზს ეყრდნობაო“. ანტონს პოემის ანალიზი არ სჭირდებოდა, ის ხომ მეცნიერულ გამოკვლევას არ წერდა, ანტონმა ქეთევანის ცხოვრება მხატვრულად გაიაზრა და წამების ახალი რედაქცია მოგვცა. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ანტონს წინასწარ საგანგებოდ შეუსწავლია ქეთევანის წამების თაობაზე არსებული ყველა წყარო. თეიმურაზთან ერთად ანტონი ასახელებს იმ ავტორებს, რომელთაც თავიანთი წვლილი შეუტანიათ ქეთევანის წამების აღწერაში თეიმურაზის გარდა აქ დასახელებული არიან ანონიმი, არჩილი, გიორგი ხუცესმონაზონი (დოდორქელი), ვახუშტი (იხ. საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა, გვ. 597). მწერალი იმასაც აღნიშნავს, რომ, თურმე მისგანაც მოითხოვდნენ ხელი მოეკიდა ქეთევანის წამების აღწერისათვის, მაგრამ ერთხანს თავს ვიკავებდი, საკმარისი იყო ამდენი ღირსეული პირის შრომების არსებობაო. მაშასადამე, ანტონის მოწმობა სრულიადაც არ არის „შიშველი განცხადება“, ანტონს ამომწურავი სისრულით შეუსწავლია საჭირო მასალები და თავისი თხზულების წერას ისე შესდგომია.

მეორე. ანტონის „მარტირიკა“ დაწერილია 1768—1769 წლებში (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 381—382: ნ. ჯანაშია, შუშანიკის წამების ანტონისეული რედაქცია, „მრავალთავი“, IV, 1975, გვ. 75, 78). როგორ მოხდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ შეიქმნა ცნობილი მდივან-მწიგნობრის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ვეებერთელა ანთოლოგია, „შეხვეტილიანი“, სადაც თავმოყრილია ძველი ქართული კლასიკური მხატვრული მწერლობის უმთავრესი ძეგლები და მათ შორის „ქეთევანის წამება“ თეიმურაზის ავტორობის აღნიშვნით! საერთოდ, ნ. ჩაჩიკაშვილის კრებულს, როგორც საგანგებო ძიების შედეგად შექმნილ ანთოლოგიას თუ ქრესტომათიას, მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს.

მესამე: ანტონისადმი იმთავითვე სკეპტიკურად განწყობილ რ. ბურჭულაძეს უყურადღებოდ დაუტოვებია ამ შესანიშნავი მოღვაწის ცნობა ვახუშტი ბატონიშვილის შესახებ. ვახუშტიზე ხომ ვერ ვიტყვით, რომ შიშველი ხასიათის ცნობებს იძლეოდაო? ვახუშტი ბატონიშვილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი შრომით, რუდუნებითა და გულმოდგინებით იკვლევ-იძიებდა, ამოწმებდა და კრიტიკულად იხილავდა სხვადასხვა ხასიათის დიდძალ მასალას, რომ შეექმნა თავისი სახელგანთქმული შრომა — საქართველოს ცხოვრება („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“). როგორც მოსალოდნელი იყო, ვახუშტის მოკლედ აღუწერია კახეთის დედოფლის ქეთევანის წამება შრომის ძირითად ნაწილში, ხოლო აშიაზე თავისი ხელით მიუწერია: „მემეტაფრასე სწერს წამებასა ამას პირველვე ყორჩიხანის მოწყვეტისა, არამედ ბატონი თეიმურაზ ლექსთა შინა თვისთა მისთვისვე იტყვის ი წელსა ტყვეობასა დე-

დისასა, და შემდგომად წამებასა მისსა. და ეს ი წელი რომ შააბაზის მოსლვას დავადევით, ეს ქორონიკონი იქმნა, და ეს უმეტეს გვეჰშმარიტა, და ესევე დავსდევით სხვათა თქმულთა განმართლებისათვის, ვინადგან იტყვის თეიმურაზვე შააბაზისას, შემდგომად წამებისა ქეთევან დედოფლისა ხუთ წლამდე ვერღარა მიწევასა და სიკუდილსა“ (ქართლის ცხოვრება, II, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან, 1854, გვ. 119, სქოლიო; ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1973, გვ. 592, სქოლიო I). ვახუშტის დამოწმებულ ცნობას პირველად მიაქცია ყურადღება და — „მემეტაფრასეს“ ვინაობა გაარკვია მკვლევარმა ტ. რუხაძემ (ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, „ლიტერატურული ძიებანი“, V, 1949, გვ. 229—267, სპეც. გვ. 245).

მაშასადამე, ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც კრიტიკულად განუხილავს ქეთევანის წამების თარიღის საკითხი, პირდაპირ გვიმოწმებს, რომ ქეთევანის წამების ამბავი ლექსად აღუწერია თეიმურაზ პირველს. ვახუშტის დიდი შრომა დასრულდა 1745 წლის 20 ოქტომბერს (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 12; ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, 1969, გვ. 88). აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მცდარია რ. ბურჭულაძის ინფორმაცია, თითქოს ანტონ კათალიკოსი პირველია, რომელიც გვაწვდის ცნობას თეიმურაზის ავტორობაზე. რაღა თქმა უნდა, არც ის მართლდება თითქოს ანტონის წყალობით გავრცელდა ხელნაწერების ცნობა იმავე საკითხზე. რ. ბურჭულაძის თვალსაზრისის საყრდენი საფუძველია ანტონის ვითომცდა მცდარი, „შიშველი“ განცხადება. ეს საყრდენი საფუძველი ვახუშტი ბატონიშვილის წყალობით მოშლილია.

ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ ქეთევანის „წამების“ ავტორობას თეიმურაზს მიაწერს ამ წამების ამბის მეორედ გამლექსავი პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი, რომელიც აგრეთვე თავის მხრივ საგანგებოდ სწავლობდა ქეთევანის მოწამეობრივ თავგადასავალს. დ. ბაგრატიონი გვაუწყებს (დიმიტრიანი, გამოსაცემად მოამზადა რარა ნაკაშიძემ, თბ., 1978):

მეფეს უთქვამს თეიმურაზს მაშინდელი მისი ენება,
. . . . . .
რაღად გვიხამს, სხვათა ლექსთა მომატება, მოგონება?
მაგრამ ბრძანებს: „არ უშლიო, ვინცა იტყვის“, — დართო ნება.

„ქეთევანის წამება“ თავის ანთოლოგიაში შეუტანია დავით რექტორს. ანთოლოგიის სწავლული შემდგენელი და გადამწერი დავით რექტორი ვრცლად მოგვითხრობს: „წამება ქეთევან დედოფლისა სპარსეთის ხელმწიფის შაჰაბას მეორისა უღმრთოსაგან ქალაქსა შირაზს, თთუესა სეკდემბერსა ი გ, წელსა 1624, ქორონიკონსა ქართულსა ზედა 312. ესე ქეთეონ იყო დედოფალი კახეთის სამეფოსა და მეუღლე კახთა მეფის დავითისა და ასული აშოთან მუხრანის ბატონისა და დედა კახთა მეფის კეთილმორწმუნისა თეიმურაზ პირველისა. ამან თეიმურაზ მეფემან, ძე-

მან მისმან, წამება და ღვაწლი დედისა თვისისა დალექსა პირადპირად-ჰამბავთა მისთანი“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, II, 1961, ელენე მეტრეველის რედაქციით, გვ. 255).

ყველა მოყვანილ საბუთთა გასაბათილებლად რ. ბურჭულაძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქეთევან დედოფლის წამების პირველი ლექსითი რედაქციის ავტორია თეიმურაზის უმცროსი ძმა ვახტანგი. თეიმურაზის ძმის თაობაზე გვაქვს სხვადასხვა ხასიათის მწირი ცნობები. 1602 წლის თარიღის მქონე სიგელით დავით კახთა მეფე და დედოფალი ქეთევანი და ძენი მათნი თ ე ი მ უ რ ა ზ ი და ბ ა გ რ ა ტ ი ნინოწმინდას სწირავენ გლეხებს (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I·I, გვ. 432; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, 1913, გვ. 3).

მეორე უთარიღო სიგელით (ცენტრარქივის ფონდი 1449, № 1782), რომელიც არ შეიძლება იყოს 1602 წელზე უგვიანესი, იგივე დავითი, ქეთევანი და ძენი მათნი თეიმურაზი და ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ოთხ გლეხს სწირავენ იმავე ნინოწმინდას (შდრ. ქრონიკები, II, 434). ეს სიგელი თ. ჟორდანიას გარკვეულ დაეჭვებას იწვევდა. გარდა იმისა, რომ სიგელი უთარიღოა, თარიღიან სიგელთან შედარებით უფლისწული ბაგრატის ნაცვლად დასახელებულია ვახტანგი. სახელის შეცვლა კი მაშინ ხდებოდაო, როცა ესა თუ ის პირი „საერო ცხოვრებას ტოვებდა და სასულიეროში გადადიოდაო“, წერს რ. ბურჭულაძე (გვ. 145). რ. ბურჭულაძის ვარაუდით, ბაგრატ ბატონიშვილი „ჯერ აღსაზრდელად, ხოლო შემდეგ სამოღვაწეოდ ნინოწმინდაში მიუბარებიათ“ (გვ. 146). საბუთად იმას იყენებს, რომ სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის მონათხრობით 1604 წელს თეიმურაზთან ერთად შაჰ-აბასის კარს ხლებია მისი ძმა და სამეფო ოჯახის ზოგი სხვა წევრიც. ისკანდერ მუნში გვიამბობს, რომ დავით კახთა მეფეს დარჩაო ორი ძე, „უფროსს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ერქვაო, უმცროსს ქ ე შ ი-შ ი“ (ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 44; რ. ბურჭულაძის დას. წერ., გვ. 145). კახეთის სამეფო ოჯახის წევრებიდან შაჰ-აბასს თავისთან დაუტოვებია მხოლოდ თეიმურაზი, დანარჩენები მალე უკან გამოუბრუნებია (ისკანდერ მუნში, გვ. 46). სპარსელი ისტორიკოსის კვალობაზე თეიმურაზის ძმას რქმევია ქეშიში. ამ ისტორიკოსის ტექსტის მთარგმნელი შენიშნავს: „ასეთი სახელის მატარებელი ქართველი ქუფლისწულის არსებობა სხვა წყაროებით არ დასტურდება. „ქეშიში“ სპარსულად ქრისტიანთა მღვდელს, მონაზონს, ბერს ნიშნავს“ (ისქანდერ მუნში“, გვ. 153). რ. ბურჭულაძე, თავის მხრივ, ასკვნის, ისქანდერ მუნში თეიმურაზის ძმას სახელით კი არ იხსენიებს, არამედ ბერობის მდგომარეობითო („როგორც ჩანს, ქეთევანის უმცროსი ვაჟი ბერად შემდგარა“), ე. ი. უფლისწულ ბაგრატს სახელი ვახტანგი მიუღიაო ბერად შედგომასთან დაკავშირებით (სხვათა შორის შევ-

ნიშნავთ, რომ ბერად შედგომისას ჩვეულებრივ ისეთ სახელს შეურჩევდნენ ხოლმე, რომ ძველი სახელის ინიციალი შეენარჩუნებინათ: სულხან-საბა, ზაალ; ზოსიმე...). ისჭანდერ მუნში კახელ უფლისწულებს სახელებით იხსენიებს და არა სხვა რაიმე ნიშნით. ამასთან, მხედველობაში მისაღებია, რომ თეიმურაზი დაიბადა 1589—1590 წელს, ბაგრატი (ვახტანგი) მასზე უმცროსი ყოფილა. 1602 წელს (თუ სიგელი ნამდვილია) ის იქნებოდა დიდი-დიდი 12—13 წლის ბიჭი. ამ ასაკში მღვდელობა ან ბერობა შეუძლებელია. ამ უხერხულობას გრძნობს რ. ბურჭულაძე (უფლისწული „მეტად ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო“, და გვთავაზობს თავისთავად საეჭვო მოსაზრებას — „ბაგრატ-ვახტანგი ჯერ აღსაზრდელად, ხოლო შემდეგ სამოღვაწეოდ ნინოწმინდაში მიუბარებიათო“ (გვ. 145). ამ ვარაუდის საფუძველი არ არსებობს. მეფე-დედოფალი ნინოწმინდას შვილს კი არა გლეხებს სწირავენ. ერთი დაუმტკიცებელი დებულება გამოყენებულია მეორე სათუო დებულების საძირკვლად.

ამრიგად, თეიმურაზის უმცროს ძმას თითქოს რქმევია ბაგრატიც, ვახტანგიც და ქეშიშიც. უფრო საკვირველი ისაა, რომ რ. ბურჭულაძე გვთავაზობს ამ უფლისწულის მეოთხე სახელსაც — პაატას. როდესაც ქეთევანს მოთხოვეს ქრისტიანული სჯულის დაგდება და „გათათრება“, იგი შეძრწუნებულა და უთქვამს („წამება“, 36).

> ბრძანე: თუ რჯული დავაგდო, რას მიმუქფებენ დარესა,
> პ ა ტ ი ვ ს ა ვინმე მიჩვენებს, ხველზე სწორ უპოვარესა,
> ან ვინმე ჩემსა სამკვიდროს მიმიშვებს, მიმაკარებსა?

რჯული რომ დავაგდო, მის დარ რა სამაგიერო პ ა ტ ი ვ ს მიჩვენებენ (მომაგებენ), ან ჩემს სამკვიდრებელ ქვეყანაში დამაბრუნებენო? — კითხულობს დედოფალი, რაღა თქმა უნდა, იგი იტანჯებოდა შვილიშვილების ტრაგიკული ბედით (სტროფები 16, 21) და შვილები ენატრებოდა („შვილთ ამბავი ენატრების“, 24, 4), მაგრამ რა შუაშია აქ პაატა? ზოგიერთ ხელნაწერში ნაცვლად სიტყვებისა „პ ა ტ ი ვ ს ა ვინმე მიჩვენებს“ იკითხება „პაატას ვინმე მიჩვენებს“. ცხადია, ეს არის გრაფიკულ ნიადაგზე აღმოცენებული უნებლიე კალმის შეცდომა („კალმის ლაფსუსი“). როგორც ვთქვით, დედოფალმა უკვე გამოიტირა თავისი უბედური შვილიშვილები და შვილების ნახვა ინატრა. ამის შემდეგ მოულოდნელია ცალკე გამოყოფილად ვინმე პაატას მოხსენიება და იმის უნახაობის გამო წუხილი. გვაპატიოს პატივცემულმა მკვლევარმა, თუ ვარიანტული პაატას ნამდვილობის მისეულ ახსნას სრულიად შეუწყნარებელსა და ფანტასტიკურს ვეუწოდებთ. მკვლევარი ასე მსჯელობს: „ვ ა ხ ტ ა ნ გ ი და პ ა ა ტ ა სინონიმურ წყვილებს წარმოადგენს: ვახტანგი ვატო (ქინობითი ფორმა წოდებით ბრუნვაში), ვატა (სახელობითი ბრუნვა) პატა პაატა“ (გვ. 147). მეტი კომენტარი ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია.

თავისი ძმის სპარსეთში წაყვანაზე არჩილიც ალაპარაკებს თეიმურაზს (არჩილიანი, II, 441):

პირველ მიველ, ძმა მივართვი და მერე დაც იქ ჩაეგვარე.

ძმას თეიმურაზი თავის ლექსებშიც იგონებს. ერთი მაგალითი მოყვანილი აქვს რ. ბურჭულაძეს, პოეტი სოფელს უჩივის: „მომაძულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და მელია“ (მაჯამა). რ. ბურჭულაძის ინტერპრეტაციით, ეს ლექსი თითქოს იმის საფუძველს იძლევა, რომ ავტორს „თავისი ძმის მიმართ რაღაც უკმაყოფილების გრძნობა ჰქონია“ (გვ. 147). ნამდვილად კი თეიმურაზს ძმის მიმართ კი არა, სოფლის მიმართ აქვს უკმაყოფილება გამოთქმული, სოფელს უჩივის დაი აღარა მყავს (დამელია), ძმა არ შემინარჩუნა, უძმოდ დამტოვა, ძმა არ მაძმოო. როგორც ეტყობა, ძმა თეიმურაზს ადრე დაღუპვია. ჩვენი განმარტება რომ სწორია, ეს ჩანს თეიმურაზის მეორე ლექსიდან, რომელსაც რ. ბურჭულაძე გვერდს უვლის (შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა, 85):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მჭენ დასადაგე?
. . . . . .
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?

ამ მაჯამური ლექსით თეიმურაზი თავის უზომო გულისწყრომას გამოთქვამს სოფლისადმი იმისათვის, რომ დაუკარგა ძე (თეიმურაზს სამივე ვაჟიშვილი დაეღუპა, ლევანი და ალექსანდრე შაჰ-აბასმა იმსხვერპლა, დათუნა ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაეცა), ასული (თეიმურაზის ასული თინათინი სპარსეთში დაარჩვეს). ძმა არ მყავს, და სად წაიყვანეო. ერთი სიტყვით, თეიმურაზის უმცროსი ძმა, რომელსაც ბაგრატი თუ ვახტანგი ერქვა (და არა პაატა ან ქეშიში), 1614 წლის შემდეგ წყაროებში აღარ ჩანს და, ალბათ, მალე დაიღუპა. ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზის რაჭაში ყარიბობის დროს იგი გარდაცვლილია (ამ დროსაა შეთხზული „მაჯამა“ და „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“). თეიმურაზის ამ ძმას მიაწერს რ. ბურჭულაძე „ქეთევანის წამების“ ავტორობას.

საყურადღებო დაკვირვებები აქვს რ. ბურჭულაძეს „წამების“ ტექსტოლოგიურ საკითხებზე, თუმცა პრინციპული ხასიათის ზოგიერთი მისი მოსაზრება, ჩვენი აზრით, მცდარ საფუძველს ემყარება. ჯერ კიდევ 1924 წელს კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ „ქეთევანის წამება“ შეიცავს როგორც ავტორისეულ, ისე ჩანართ, თუ დანართ, ტექსტებს: „პოემა მთავრდება ავტორის განცხადებით — თუ ვინმე დაუმატებს ამ ჩემს ნათქვამს, არა მაქვს რა საწინააღმდეგო... მართლაც, ვიღაც მელექსეს, ხელნაწერთა მიხედვით, მერე მიუმატებია „შვიდი-ექვსი“ ლექსი, თანახმად ავტორის ნებართვისა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ. 331—332).

თეიმურაზის თხზულებათა გამოცემის რედაქცია შეეცადა დაეზუსტებინა და ცალკე გამოეყო მერმინდელი დანართი შაირები. რ. ბურჭულაძე არ უარყოფს „წამების“ დამატებების არსებობის ფაქტს, ოღონდ, მისი გამოკვლევის თანახმად, დანართების დიდი წილი ისევ ავტორისეულია. პოემის დამთავრების შემდეგ „ავტორი კვლავ დაუბრუნდა ტექსტს და ჩაურთო“ რიგი სტროფებიო. ეს იყო „პირველი ავტორისეული ჩამატება“ (გვ. 141). ამას მოჰყოლია უცნობი გადამწერის ჩამატებაც. ყველა ეს ჩამატება გაკეთებული უნდა იყოს XVIII საუკუნეშიო“ (იქვე). ავტორისეული ჩანართები თითქოს იმას გამოუწვევია, რომ პოემა თავიდან ნაჩქარევად, ნაუცბათევად იყო დაწერილი. რ. ბურჭულაძე ასე მსჯელობს: „გარკვეული დროის გავლის შემდეგ, ავტორი კვლავ უნდა დაბრუნებოდა პოემის ტექსტს, რომელიც მას უცებ დამთავრებულად და ნაკლულად მიაჩნდა“ (გვ. 139). თავის დასკვნას მკვლევარი აფუძნებს სიტყვა უცების არასწორ განმარტებაზე. პოემის ავტორი თავმდაბლურად წერს, რომ, რაც დამაკლდა, „უცებით“ მომივიდა, თუ გსურთ, ნაკლული თქვენ შეავსეთო (85, 3): „რაცა დამეკლოს უცებით, რა ნახოთ გამთავებელნო, თქვენ შეათავეთ მის მადლსა“. როგორც ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, უცები ნიშნავს უცოდინარს. ასეა იგი ახსნილი 1934 წლის გამოცემაშიც: უცები უვიცი, უცოდინარი (ლექსიკონი შეადგინა გ. ჯაკობიამ). მაშასადამე, წამების უცებ (ნაჩქარევად) დამთავრების თვალსაზრისი კრიტიკას ვერ უძლებს.

ავტორისეული და ინტერპოლაციური ტექსტების ერთმანეთისაგან გასარჩევად საორიენტაციო მასალას გვაწვდის „წამების“ 95-ე სტროფის პირველი ორი ტაეპი:

ამ წიგნის მთქმელმან ბოლოს თქვა ამაე წამების ლექსია,
მათ /?/ თქმის დასტური მოეცა, „ამად ვთქვი შვიდი-ექვსია“.

„ამად ვთქვი შვიდი ექვსია“ „უაზრობაა“, ამბობს რ. ბურჭულაძე, ტექსტი უნდა გაიმართოსო „ამად ვთქვი შვიდი ლექსია“ (გვ. 141). არ გვესმის, რა უაზრობას შეიცავს „შვიდი-ექვსია“. ბურჭულაძისეული გასწორება „შვიდი ლექსია“ სრულიად შეუფერებელია. პირველ ტაეპში უკვე არის საროთმო სიტყვა ლექსია, მეორე ტაეპშიც იმავე ფუნქციით (ე. ი. სარითმოდ გამოსაყენებლად) იმავე სიტყვის უცვლელად განმეორება უხეშ ტავტოლოგიას მოგვცემდა: ლექსია-ლექსია. ასეთ პოეტურ უმწეობას ინტერპოლატორს ვერ დავწამებთ (ვინც არ უნდა იყოს იგი). მერმე- და ინტერპოლატორი ამ შემთხვევაში უშუალოდ ჰბაძავს შოთა რუსთველის პოეტურ მანერას:

ნავი წინა მომეგება, არა ვიცი, შვიდნი თუ რვა (614, 9).
მონათა და ამა ასმათს სიტყვა ვუთხარ შვიდი თუ რვა (650,3).

ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე აღვნიშნავთ, რომ ქეთევანის „წამების“ ტექსტზე საერთოდ ძლიერი გავლენა მოუხდენია ვეფხისტყაოსანს. ერთგან „წამების“ ავტორს მთლიანად უცვლელად გადმოუტანია ვეფხისტყაოსნიდან მთელი სალექსო ტაეპი. ტარიელმა მოუწოდა მის მოყმეებს (585,4):

აჰა, ყამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა!

ასევე მიუმართავს თავისი მხლებლებისათვის დედოფალ ქეთევანსაც (62, 2):

აჰა, ყამი, ვისაც უნდა ჩემი თანა წამოყოლა!

ქეთევანი უშიშრად შეხვდა წამებას (48,1):

მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია.

არსებითად ეს არის ნესტანზე თქმულის განმეორება (1176, 2):

ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი.

მიუხედავად გარკვეული პოეტური მედიდურობისა, თეიმურაზი აღიარებდა რუსთველის დიდ ავტორიტეტს, განიცდიდა მის ცხოველმყოფელ გავლენას და, სხვათა შორის, ერთგან ღრმა მწუხარებით აცხადებდა (შედ. გაზაფხ. და შემოდგ. 90,1):

ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად.

ეს ტაეპი შთაუგონებია ნესტანის წერილს (1305,4):

თე სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი-მცა მქონდა ტკბილი!

სტილებრივი სიახლოვე და რუსთველის სამოწმოდ მოხმობაც იმაზე მიუთითებს, რომ „წამების“ ავტორად სწორედ თეიმურაზია საგულებელი და არა რ. ბურჭულაძის მიერ მონაზვნად მიჩნეული ბაგრატი თუ ვახტანგი. ესეც არ იყოს, კლერიკალურად განწყობილი ერთი ინტერპოლატორი საგანგებოდ უკრძალავდა ბერ-მონაზვნებს ვეფხისტყაოსნის კითხვას.

თუ „წამების“ სტილებრივ ხასიათზე ჩამოვარდება სიტყვა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოემის მაჯამებს. მაჯამაა ამ პოემის სპეციფიკური სტილებრივი ნიშან-თვისება. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ სწორედ თეიმურაზმა შექმნა ჩვენში თვითმიზნური მაჯამური ლექსის კულტი (ტყუილად კი არ უწოდებდა გრიშაშვილი თეიმურაზს „მაჯამის ამირბარს“). ძნელია წარმოვიდგინოთ თეიმურაზის თანამედროვე მეორე პოეტი, რომელსაც ოთხმოცსტროფიან შაირში ჰქონდეს იმდენი მაჯამური ლექსი, რამდენიც ქეთევანის წამებაშია. ამ გარემოებას იმიტომაც ვუსვამთ ხაზს, რომ რ. ბურჭულაძე „უცხო ჩამმატებელს მიაწერს „წამების“ ერთ ჩინებულ მაჯამურ შაირს:

წერს, იტყვის: ეა, დავემარხე მე სიკვდილისა წინარე,
ტვექნილი, შეჰრევებული ვიგონებ თვალთა წინარე,
ორისაგანვე გარჯილი გუბე მიდგს თვალთა წინ არე,
ტრედო, მიმიძეღ სიონად, წამიძეღ შენვე წინა-რე:

„ტრედო, მიმიძეღ სიონად“ არავითარ შემთხვევაში არ მიესადაგება პოემის სხვა ადგილებს, სადაც ავტორი საკუთარ თავზე საკმაოდ კატეგორიულად ამბობს „ჰო ჯოჯოხეთის მლოდნელმან... (26,3), მიმელის მატლი უძილო და ცეცხლი აღტყინებული“ (82,4). არსაიდან ჩანს, რომ ამ სტროფის შინაარსი საკუთრივ პოემის ავტორს გულისხმობს, მეორეც, რატომ არ შეეძლო, ვთქვათ, ჯოჯოხეთის მომლოდინე პოეტს (ყოველ ქეთილმორწმუნე ქრისტიანს თავი ცოდვილად მიაჩნდა) მომავალი სატანჯველის ასაცილებლად ეთხოვა ტრედისათვის (სულიწმიდის სიმბოლოსათვის) წამიძეღ სიონად სასუფეველშიო. მესამეც, სწორედ იმ შაირით, სადაც ნათქვამია „ჰო ჯოჯოხეთის მლოდნელმანო“, პოემის მთავარი პერსონაჟი თუ ლირიკული გმირი სამოთხის მონატრეა (26,2). დაბოლოს, მიმართვის ანალოგიური ფორმაა გამოყენებული „წამების“ 55-ე სტროფში:

ჭარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავნი არ სამრუდენი.

გარკვეულ ინტერესს იწვევს „ქეთევანის წამების“ ორი სპეციფიკური სიტყვა ი ს ა და ნ ი მ რ ო ზ ი (ნიმროზელი მწიგნობარი).

ერთი შაირით ქეთევანს მიეწერება სასოწარკვეთილი ღაღადისი (26,4):

ჰო მე, რითა მაქვს იმედი, რომ გამომიხსნას ი ს ა მ ა ნ.

ქეთევანის წამებით სიკვდილის შემდეგ უძებნიათ მისი „ნაწილი“ (75,1—2):

მალვით მონახეს ნაწილი, სად დაემალა ბარებსა;
რა ცნეს, შეესმა ვერ შოვნა ნ ი მ რ ო ზ ე ლ თ მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ე ბ ს ა.

ი ს ა იესო ქრისტეს მუსლიმანური სახელწოდებაა. ნ ი მ რ ო ზ ი ანუ ნ ი მ რ უ ზ ი სპარსულია, ნიშნავს შუადღეს, სამხრეთს, ირანის სისტანს (ირანელი მითური ფალავნების სამშობლოს). ორივე ამ სიტყვის მოხმობა სრულიად ბუნებრივი იქნებოდა „ლეილ-მაჯნუნიანისა“ და მისი მსგავსი პოემების ქართულად გადმომღებელი თეიმურაზისათვის, მაგრამ არაბუნებრივი ბერ-მონაზონი ბაგრატისა თუ ვახტანგისათვის (როგორც ვიცით, ბერ-მონაზვნად თვლის რ. ბურჭულაძე თეიმურაზის უმცროს ძმას, რომელსაც მიაწერს „წამების“ ავტორობას). აბა, როგორ უწოდებდა ბერ-მონაზონი ქრისტიანულ ძე-ღმერთს მუსლიმანურ სახელს?

რ. ბურჭულაძე ძალიან თამამად და, რაც მთავარია, დაუსაბუთებლად ასწორებს „წამების“ ხელნაწერებით ნაანდერძევ ტექსტს. ასე, მაგალითად, თარიღის თაობაზე პოემაში იკითხება: „დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ჩვენთვის ს რ უ ლ ს ა“. მართალია, დათარიღება ზოგადია,

კონკრეტული თარიღი არ ჩანს. მკვლევრის ფიქრით, ტექსტი დამახინჯებულია და უყოყმანოდ უნდა გასწორდეს: „დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ჩვენთვის ტკულსა“ (გვ. 143). ვერაფერი შვილი ლექსი გამოვიდა, გასწორება აშკარად ხელოვნურია.

ჩვენი აზრით, ტექსტის მცდარი გაგება უდევს საფუძვლად ბურჭულაძისეულ ერთ პრინციპულ დებულებას პოემის ავტორობის საკითხთან რომ არის დაკავშირებული. ესაა 56-ე სტროფი:

მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოსა ყოფითა,
ვნახე ნაზარდი თამამად, ყოფითა არ სამყოფითა,
ფარაოზისგან შეპყრილი სულთა და ხორცთა ყოფითა,
მოსე ვით გამაგრებული, მათი სარჯლისა ყოფითა.

ამ შაირთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზურაბ ავალიშვილი. მისი მონათხრობის თანახმად, ქეთევან დედოფალს კონტაქტი დაუმყარებია 1617—1618 წლებში შირაზში მყოფ ესპანელ ელჩ ფიგეროასთან მისი ამალის წევრის ვინმე მოსე ბერის საშუალებით. დედოფლის ერთგულებისა და თანადგომისათვის ეს მოსე ბერი ყიზილბაშებს მოუკლავთ. „ამ მოსე ბერს, ვგონებ, თეიმურაზის პოემის ერთი ადგილიც ეხებაო“, წერს ავალიშვილი და მიუთითებს უკვე დამოწმებულ შაირზე (ზ. ავალიშვილი. თეიმურაზ I და მისი პოემა წამება ქეთევან დედოფლისა, პარიზი, 1938, გვ. 53—55). ავალიშვილის მიერ ფრთხილად გამოთქმული მოსაზრება („ვგონებ“) რ. ბურჭულაძეს შეუვალ არგუმენტად მიუღია, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ შაირში მოხსენიებული მოსე უეჭველად ქეთევანის მხლებელი მოსე ბერია, რომლის წამებაც პოემის ავტორის თვალწინ მომხდარა: „დიახ, პოემის ავტორმა 1618 წელს შირაზში ნახა მოსე მღვდელის (!) სიკვდილით დასჯა“-ო და აქედან გამოაქვს დასკვნა, რომ „წამების ავტორი ვერ იქნებოდა თეიმურაზი, ის იმერეთში იყო გარდახვეწილიო“ (გვ. 136—137). დანამდვილებით არ ვიცით, ვინ არის უცხო ყოფით მოქმედი „ვინმე ჯვარის მოსავი“, მაგრამ ფარაოზის (ფარაონის) მტარვალობის წინააღმდეგ ამბოხებული (და ღვთაებრივი ძალით) „გამაგრებული“ მოსე კი ბიბლიური წინასწარმეტყველია, რომელმაც უწინამძღვრა ებრაელებს ეგვიპტის ტყეობიდან გამოსვლის დროს. „მუნ ვნახეს“ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ავტორისეულ მერმინდელ ჩანამატად თვლის რ. ბურჭულაძე „წამების“ 67-ე სტროფს:

ვა, მე, იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი წინანი,
მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურვებული რკინანი.
მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.

ამ შაირის გვიანდელ წარმოშობას რ. ბურჭულაძე იმით ასაბუთებს, რომ მომდევნო 68-ე შაირის „სარითმო სიტყვები იდენტურია“-ო: რკი-

ნანი, მინანი წინანი, დასაწვინანი. — „მსგავს შემთხვევას კი პოემის მთელი ტექსტის მანძილზე ვერ ვხვდებით," (გვ. 140), „ინსპირაციის პერიოდის„ გაელის შემდეგ ასეთი რამ შესაძლებელიაო (იქვე). „ინსპირაციის" თაობაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მკვლევრისეული ინფორმაცია („მსგავსს შემთხვევას პოემის მთელი ტექსტის მანძილზე ვერ ვხვდებითო") არ არის სწორი. შესადარებლად დავიმოწმოთ პოემის 50-ე სტროფი:

პირველად ცეცხლი დააგზნეს, მაშიგ ჩაყარეს რკინანი,
მაშინ რაღაცა მოეხვნეს საწველნი სისხლთა მდინანი.
უთხრეს, თუ: რჯულზედ მოიქეც, დაადგე იგი წინანი,
თვარე სასჯელი ეს არი, რა ნახო, შენცა ინანი.

თუ ამ ტექსტებს ერთმანეთს შევუდარებთ, გაირკვევა, რომ 67 და 68 სტროფებს საერთო აქვთ მხოლოდ ორი სარითმო სიტყვა (წინანი, რკინანი), მაშინ როდესაც 50 და 67 სტროფებს საერთო აქვს ფაქტობრივ ოთხივე სარითმო სიტყვა (რკინანი, მდინანი, წინანი, ინანი (ვინანი). მაშასადამე, რითმების განმეორება სრულიად არ ეუცხოება „წამების" ავტორს. „ინსპირაციის" მოტივი აქ მოსატანი არაა. ის „სკრუპულოზური ანალიზი", რომლის თაობაზედაც მკვლევარი მსჯელობს (გვ. 139), მის მიერ ყოველთვის ჩატარებული არ ყოფილა.

ჩვენი კრიტიკული შენიშვნები იმას როდი ნიშნავს, რომ „ქეთევანის წამების" საკითხში უველაფერი თავის რიგზეა და საკვლევაძიებო აღარაფერი გვრჩება. „წამების" ტექსტში უთუოდ იგრძნობა ზოგი აზრობრივი და შინარსობრივი შეუსაბამობა. ერთი მხრივ, საქმე ისეა წარმოდგენილი თითქოს ავტორი წამების მნახველია („მუნ ვინმე ჯვარის მოსავი... ვნახე"), მეორე მხრივ, ავტორისავე განცხადებით, იგი წამების დროს ქეთევანის მხლებელთა შორის არ იმყოფება (67,3—4):

მე ავაზაკი, შემცოდე, ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცევი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.

ეს წინააღმდეგობა მოიხსნება, თუ 56-ე სტროფის სიტყვებს („მუნ ვინმე ჯვარის მოსავი") მივაწერთ ქეთევანს და არა ავტორს. საქმე ისაა, რომ 53-ე სტროფიდან იწყება ქეთევანის მონოლოგი. იგი გრძელდება მომდევნო 54—59-ე სტროფებშიც: თამამად შეიძლება მონოლოგის ტექსტში მოთავსდეს 56-ე სტროფიც. 67-ე სტროფი („მე ავაზაკი, შემცოდე") შინაარსობრივ-აზრობრივად სავსებით შეეფერება თეიმურაზის სულიერ განწყობილებას, სულიერ ქენჯნას. ბოლოს და ბოლოს ქეთევანი უფლისწულებითურთ მან გაგზავნა შაჰაბასის მძევლებად (თუმცა ეს მოხდა კახეთის დიდებულთა დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად). დედოფალ-დედის ტანჯვაში ერთგვარი მორალური პასუხისმგებლობა თეიმურაზსაც ეკისრება. თეიმურაზის ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს ქეთევანის ლოცვა (46):

რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სასწაული მოავლინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა;
შეილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერთა ზედა
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.

სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, რომ სიკვდილის წინ ქეთევანს ელოცა თავისი შვილის მტრებზე გამარჯვებისათვის და „მისთა ღვაწლთა აღმწერელისათვის“ ენატრა საიქიო სასუფეველი. შაირის მეოთხე ტაეპი მესამის ორგანული გაგრძელებაა და ერთგვარად მიგვანიშნებს, რომ სწორედ იგია მისთა ღვაწლთა აღმწერელი, ვისი დღეგრძელობისათვის (მტრებზე გამარჯვებისათვის) მხურვალედ ლოცულობს.

ნამდვილად დიდად დამაფიქრებელია 79-ე სტროფი:

ვით ითქმის ქება მეფისა, ღვთით დაცულ-დაფარულისა,
აწ დაუმკვიდრდა დოვლათი ეტლითგან არ ფარულისა,
მას მიენიჭა უფლება ამ საწუთროსა სრულისა,
მოშორება აქვს ვეშაპსა ღრუბელთა მოჯრულისა.

მეოთხე ტაეპის ვეშაპი მართლაც უნდა იყოს შაჰ-აბასი, როგორც ფიქრობს ზ. ავალიშვილი. პირველი ტაეპის მეფედ შესაფერისად უნდა ვიგულოთ თეიმურაზი, რომელსაც დაუმკვიდრდა ტახტი (პოეტური გადაჭარბებაა, თითქოს „მას მიენიჭა უფლება ამ საწუთროსა სრულისა“). ამ შაირის თეიმურაზისადმი მიკუთვნება ძალზე გაჭირდებოდა („ვით ითქმის ქება მეფისაო“, თავის თავზე ვერ იტყოდა, თუმცა თეიმურაზს საერთოდ არ ეუცხოებოდა თავის თაეის ქება). საერთოდ, „წამებაში“ რომ სხვების ხელი ურევია, ეს კარგად არის ცნობილი. ავტორს თვითონ გაუღია კარი ინტერპოლატორებისათვის — „ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავიო“ (86,4). შედარებით მოგვიანებით ინტერპოლატორობა უკისრია თვითონ სულხან-საბა ორბელიანსაც, ზოგჯერ გადამწერლებმაც კარგად იცოდნენ, რომ „წამების“ ტექსტში ჩანართები იყო შეტანილი. S 403 ხელნაწერის გადამწერი (ჩვენი აზრით, ონანა ქობულაშვილი) 96-ე შაირის გამო შენიშნავს: „ეს ბოლო ლექსი ამ წიგნისა არ არის, ნუსხაში ეწერა და შეცდომით დავსწერეო“. ამ გარემოებას ყურადღება პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა მიაქცია (აღწერილობანი, II, გვ. 274—275). მსგავს ვითარებაში სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ „ქება მეფისა“ რომელიმე უცნობ ინტერპოლატორს ეკუთვნოდეს (ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48). „ქეთევანის წამების“ ტექსტის დადგენაზე მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. კერძოდ, მოსაწონია ამ მხრივ რ. ბურჭულაძის ცდა, რამდენადაც საცილობელი არ უნდა იყოს პოემის მისეული რეკონსტრუქციის ფორმა.

ჩვენ არც იმას ვიავიწყებთ, რომ სკეპტიკური შეხედულების საფუძველს იძლევა არჩილის დუმილი (ამას ადრე ყურადღება მიაქცია შ. ონიანმა). მოსალოდნელი იყო, რომ არჩილი რამეს იტყოდა ქეთევანის წამე-

ბის თაობაზე, თუმცა ის არაფერს ამბობს თეიმურაზის ისეთ საინტერესო ლექსებზე, როგორიცაა „გრემის სასახლეზე“ და „თამარის სახე დაეით გარეჯას“. უფრო საკვირველი ისაა, რომ არჩილი საერთოდ არ ეხება ქეთევანის წამების ამბავს. თუმცა „წამების“ ტექსტის ერთ ფრაზას ის უეჭველად დასესხებია. „ვა, მე, იმ დღისა მხსენესა“, ამბობს ქეთევანი „წამების“ მიხედვით (67,1). ამ სიტყვებს ამეორებინებს თეიმურაზს არჩილი: „ვა იმ დღისა მხსენესა“ (არჩილიანი, II, 446,1).

რ. ბურჭულაძე არ ივიწყებს, რომ კათოლიკე მისიონერები „ერთერთ წერილში ხაზგასმით აღნიშნავენ თეიმურაზის მიერ ბიბლიური სიუჟეტის გალექსვას (გულისხმობენ „იოსებ-ზილიხანიანსო“, გვ. 138), ხოლო არაფერს ამბობენ ქეთევანის წამების აღწერის შესახებო. ამ შენიშვნას ადვილად მოევლება. მისიონერების მიზანი იყო თეიმურაზის ავტორიტეტის განდიდება ვატიკანის თვალში. ამისათვის, რა თქმა უნდა, ბიბლიური თემის დამუშავების ავტორობა იქნებოდა უფრო დამარწმუნებელი: იოსების ბიბლიური ამბავი მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის იყო ცნობილი, ბიბლიურ თემას შეეძლო თეიმურაზი გაეყვანა მსოფლიო პოეზიის სარბიელზე, ეს გაზრდიდა მის წონას რომის პაპის წინაშე. ბიბლიურ თემასთან შედარებით ქეთევანის წამების თემას მხოლოდ ადგილობრივი ლოკალური ხასიათი ჰქონდა (თუმცა შემდეგ მძაფრი დრამატულობის გამო ქეთევანის წამების თემამ გაიკვლია გზა დასავლეთევროპის მხატვრულ მწერლობაში).

ამით ვამთავრებთ ჩვენს კრიტიკულ შენიშვნებს სადისკუსიოდ გამოტანილი საკითხის შესახებ. ჩვენ კვლავ ხაზგასმით ვამბობთ, რომ რ. ბურჭულაძის ნარკვევი უეჭველად საინტერესო, მრავალი ფიქრის აღმძრელი და ანგარიშგასაწევი ნარკვევია, რომელიც ბიძგს აძლევს საცილობლად ქცეული პრობლემის კიდევ უფრო გაღრმავებულ კვლევას.

1981

„საკაძის ფენომენი“

1980 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ჯანსუღ ღვინჯილიას ფრიად საყურადღებო სოლიდური ნაშრომი — „გიორგი საკაძის პიროვნება“. გარდა თავისი თავისთავადი დიდი მნიშვნელობისა, წიგნი ბევრ რიგად ეხმაურება მრავალტანჯული მეფისა და პოეტის თეიმურაზ პირველის გარშემო ბოლო ხანებში განახლებულსა და საკმაოდ გამძაფრებულ დავას. ჩვენც უმთავრესად ამ კუთხით გვინდა შევეხოთ ჯ. ღვინჯილიას ნაშრომს.

ბევრი მკვლევარი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და მწერალი ნებსით თუ უნებლიეთ ერთმანეთს უპირისპირებს თავისი დროისათვის ამ ორ გამოჩენილ მოღვაწეს. საკაძის უზომოდ მოტრფიალენი ჩვეულებრივ შეგნებულად ამცირებენ თეიმურაზის ღვაწლს. ამის მკაფიო მაგალითია ანტონ ფურცელაძე. ჯ. ღვინჯილია თავისებური გამონაკლისია. წიგნისადმი წამძღვარებულ ანოტაციაში ჯ. ღვინჯილია წერს, რომ იგი შეეცადა „მწერლის პოზიციიდან წაეკითხა“ გიორგი საკაძის ისტორია. ასე მოიქცა არაერთი მისი წინამორბედიც. მწერლურმა წაკითხვამ სხვადასხვა ნაყოფი გამოიღო.

ჯ. ღვინჯილიას წიგნი დაწერილია საკაძისადმი აღტაცებული სიყვარულით და მოქალაქეობრივ-პუბლიცისტური მგზნებარებით, იგი თავიდან ბოლომდის შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

ჯ. ღვინჯილია ერთგან შენიშნავს: „ჩვენ ძალიან გვიყვარს ისტორიული სიტუაციების გაზვიადებაო“ (გვ. 272). თითქოს ეს შეეხება ანტონ ფურცელაძეს, რომელიც, ჩვენი ავტორის სიტყვით, გიორგი საკაძის „აბსოლუტურ აპოლოგეტად გვევლინება“, „ხელაღებით აქებს“ მას (გვ. 417).

თვითონ ღვინჯილიაც საკაძის დიდი მოტრფიალეა, მაგრამ არა თავშეუკავებელი და ანგარიშმიუცემელი. მისი სიტყვებია: „ჩვენი რწმენა და სიყვარული ბრმა არ უნდა იყოს. საკაძეს მოსდიოდა შეცდომები, მაგრამ არა იმ მასშტაბისა, მოწინააღმდეგენი რომ მიაწერდნენ. ჩვენ გვმართებს გაცნობიერებული სიყვარულით გვიყვარდეს დიდი მოურავი და გვიყვარდეს იმ შეცდომებითურთ, რაც მას მოსდიოდა როგორც კაცს, როგორც ქართველს“ (გვ. 416).

ჯ. ღვინჯილიას სავსებით სწორად აქვს განსაზღვრული საკაძის სოციალურ-პოლიტიკური მიზანდასახულობა. იგი ამბობს: „საკაძე ქვეყნის

პროგრესულ ძალებს ედგა სათავეში და უკეთესი მომავლისათვის იღვწოდა“ (375). დიდი მოურავის სამოქმედო მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება, ქართლ-კახეთ-იმერეთის გაერთიანება (82, 89, 91, 98, 100, 101, 375...). აღნიშნულის კვალობაზე სააკაძე „მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეძებს საკუთარი მიზნებისა და იდეების შესაფერის მეფეს! ნამდვილ მეფეს ეძებს“ (გვ. 101). ამ ძიებამ დიდი მოურავი მიიყვანა თეიმურაზ პირველთან. ჯ. ღვინჯილიას დახასიათებით, თეიმურაზი იყო „ნაცადი სარდალი, შეუპოვარი, გამოცდილი“ (336), სახელოვანი მეომარი, ირანის აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, ქედმოუხრელი, გაუტეხელი, რომელმაც „სისხლი გაუშრო შაჰ-აბასს“ (264), თეიმურაზის „გაუტეხელობა აცოფებდაო შაჰს“ (269). „ტანჯული მეფე თეიმურაზი“ „გამუდმებით ცდილობდა ეშველა თავისი ხალხისათვის“ (263). ასეთ ვითარებაში სააკაძის არჩევანი ბუნებრივად შეჩერებულა თეიმურაზ პირველზე — „ნაცადი სარდლის, სპარსელების დაუძინებელი მტრის მეფედ მოწვევა გონივრულ ნაბიჯად ეჩვენებოდა გიორგი სააკაძეს“ (361). ჯ; ღვინჯილია მაინც საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ ზოგჯერ „ჩვენ ძალიან გვიყვარს ისტორიული სიტუაციების გაზვიადება“ და რომ, კერძოდ, „თეიმურაზის დამსახურების ხელოვნური გაზრდა არ იქნება სწორი“ (272, 366). სწორი მსჯელობაა. ავტორი თვითონ გვიდასტურებს თეიმურაზის უეჭველად დიდი დამსახურების ფაქტს ქვეყნის წინაშე. საგულისხმიერო და მოსაწონი აღიარებაა.

გიორგი სააკაძის თაოსნობით, თეიმურაზი დამსახურებისამებრ მოიწვიეს ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე. თითქოს ფრთები შეესხა სააკაძის ოცნებას. საუბედუროდ, ასე არ მომხდარა. ჯ. ღვინჯილია გვარწმუნებს, რომ დიდი მოურავი შედარებით მალე დარწმუნებულა, რომ იგი „მწარედ მოტყუვდა მეფის არჩევანში“ (361). თეიმურაზს ვერ გაუმართლებია მისი იმედები, იგი შეუფერებელი გამომდგარა მეფობისათვის (357, 358, 376). მარაბდის ომის შემდეგ სააკაძე აღარ „მიიჩნევს თეიმურაზს უკვე სასურველ მეფედ“ (361, დაყოფა ჩვენია — ა. ბ.) და კვლავ იწყება ახალი სამეფო კანდიდატის ძიება. „როგორც ვხედავთ, — შენიშნავს ღვინჯილია, — სააკაძე გამუდმებით ეძებს მეფეს — სასურველ მეფეს“ (362).

რით დაიმსახურა თეიმურაზმა დიდი მოურავის უკმაყოფილება?

ჯ. ღვინჯილიას ფიქრით, თავისი მიზნის აღსრულების გზაზე მას (ე. ი. გ. სააკაძეს — ა. ბ.) თეიმურაზ პირველი აღუდგა“ (90—91), გადამწყვეტ მომენტში (მარაბდის ომის დროს და შემდეგაც) „თეიმურაზი აღმოჩნდა დიდგვაროვანთა ინსტიტუტის მხარეზე ისევე, როგორც ლუარსაბი თავის დროზე“ (გვ. 376). მარაბდის საბედისწერო ომის პერიოდში გამომჟღავნდაო თეიმურაზის ხასიათის მანკიერი თვისებები — პატივმოყვარეობა, შურიანობა, „ავადმყოფური ეჭვიანობა“, „გაუგონარი უმადურობა“ და

მისთანანი (336, 338, 357, 360, 362...). თეიმურაზმა კარგად იცოდაო სააკაძის ღირსებები. „მარაბდის გენერალური ომის გადახდა სააკაძის იმედით გადაწყვიტა“ (337—338), მაგრამ პატივმოყვარეობამ დასძლია და დიდი მოურავი არც მთავარსარდლად დანიშნა და არც მისი გონივრული გეგმა მიიღო“ (360), რითაც „გაუგონარი უმადურობა“ გამოიჩინა და, როგორც შემდგომ გამოირკვა, საბედისწერო შეცდომა დაუშვა. უთანხმოება თეიმურაზსა და სააკაძეს შორის, — წერს ღვინჯილია, — ცხადია, ამ წუთებიდან (ე. ი. ომის წინა თათბირიდან — ა. ბ.) დაიწყო. თავნება და ეჭვიანი თეიმურაზი „ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ ქვეყანა სააკაძის სურვილებისამებრ მოწყობილიყო“ (385). მარაბდის მარცხის შემდეგ მეფესა და დიდ მოურავს შორის ურთიერთობა ძალზე გამწვავდა, დაიძაბა და აშკარა მტრობაში გადაიზარდა. სააკაძე აღარ ფარავდა თავის უკმაყოფილებას. ჯ. ღვინჯილია არ ფარავს იმას, რომ სააკაძე უგულებელყოფდა თეიმურაზის მეფურ უფლებებს, გამომწვევად იქცეოდა, ფაქტობრივ თვითონ მართავდა ქართლის საქმეებს. აბა, რა უნდა ექნა სააკაძეს, „თუკი ხედავდა თეიმურაზის, როგორც მეფის სისუსტეს“, კითხულობს ავტორი (358). სააკაძემ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი თეიმურაზთან, რასაც შედეგად მოჰყვა ბაზალეთის ტრაგედია.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ჯ. ღვინჯილიას, რომ ბაზალეთის ომის „ტვირთის სიმძიმე“ ორივემ, თეიმურაზმა და სააკაძემ უნდა გაინაწილონ (376). ოღონდ ვერას გზით ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას, თითქოს ბაზალეთის ომი იყო „სამოქალაქო ომი“ (362 და შმდ.). არა, ეს იყო ტიპური ფეოდალური შინაომი, ფეოდალური შინააშლილობით გამოწვეული, ქვეყნის დამაძაბუნებელი, ხალხის შემმუსრავი, მომაკვდინებელი შინაომი. ამ ომში ხომ ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთი მხრივ, გიორგი სააკაძე იმერეთის მეფის რაზმებით, ათაბაგ საფარფაშის „თურქული ჩალმით თავდამშვენებული“ (ჯ. ღვინჯილიას სიტყვებია) მეომრებით და ქართველი დიდებულების მოლაშქრეებით („ზურაბ ერისთავისა და იოთამ ამილახვრის მეტი“), მეორე მხრივ, თეიმურაზისა და ზურაბ ერისთავის ჯარები.

უნდა ვენდოთ არჩილს, რომელიც სამაგალითო ობიექტურობით აგვიწერს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ისტორიულ მოვლენებს. არჩილი იყო გიორგი სააკაძის საარაკო მამულიშვილური ღვაწლის ღირსეული დამფასებელი. მან ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას სააკაძის პატრიოტული საქმენი საგმირონი, ქვეყნის დახსნის გულისათვის ღვიძლი შვილის გაწირვა („აწ ეს ქმენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ“). არჩილს გული მოუკლა იმ გარემოებამ, რომ მარაბდის შემდეგ დაჭიშპნენ და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდნენ მარტყოფისა და მარაბდის გმირები. ამან გამოათქმევინა გულდამწვარ პოეტს, განთქმული მამხილებელი სიტყვები:

ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ., გინა მცირეთა,
აზვავდებიან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღერეთა?"

ფეოდალურმა შინაომლილობამ ჩაითრია თეიმურაზიც, ზურაბ ერისთავიც, გიორგი სააკაძეც და ბევრი იმდროინდელი თავკაცი. ზოგს ნაკლები ბრალი ჰქონდა, ზოგს — მეტი. თეიმურაზის გამართლება, ისე როგორც გიორგი სააკაძის გამტყუნება, სწორი არ იქნებოდა. ჩვენ ბევრს ვფიქრობდით და ვფიქრობთ თეიმურაზის შესახებ. მას ყოველთვის ვთვლიდით წინააღმდეგობრივი ბუნების მქონე პიროვნებად და პოლიტიკურ მოღვაწედ, რომელსაც დადებითთან ერთად ბევრი უარყოფითი თვისება ახასიათებდა. თეიმურაზი იყო ზედმეტად პატივმოყვარე, გულზვიადი, ეჭვიანი, შურიანი, დაუნდობელი, ზოგჯერ ვერაგი, აშკარად უსამართლო, მტარვალი, ღალატიანი მკვლელობის ორგანიზატორი და ა. შ. ეს თვისებები თეიმურაზს განუვითარა თუ გაუღვივა, გაუმძაფრა მის თავზე დატეხილმა ათასგვარმა განსაცდელმა, წინააღმდეგობებით სავსე გარემომ, უკუღმართი ცხოვრების პირობებმა. თუმცა უდავოა მისი დიდი ისტორიული ღვაწლი. თეიმურაზი სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფობის, დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს. ზემოთ დავიმოწმეთ ჯ. ღვინჯილიას მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ თეიმურაზი იყო ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, შეუპოვარი, გაუტეხელი, რომელმაც სისხლი გაუშრო თვითონ სისხლისმსმელ შაჰ-აბასს. რასაკვირველია, დიდია თეიმურაზის დამსახურება ქართული სულიერი კულტურის აღორძინების საქმეშიც. კი, დიახაც მართებდა თეიმურაზს მეტი სიფრთხილე, მეტი ტაქტი, მეტი მოქნილობა (ჯ. ღვინჯილია, გვ. 263). ბაზალეთის ომთან დაკავშირებული ამბების ანალიზისას ჩვენმა ავტორმა ფაქტობრივად წყალში ჩაუყარა თეიმურაზს ყველა მისი დამსახურება. ჯ. ღვინჯილია იუწყება: „დიდი მოურავი არ ეკუთვნოდა იმ ადამიანების კატეგორიას, ვინც იმერეთს წლობით შეაფარებდა თავს, ქეიფსა და ნადირობაში გართული დაელოდებოდა, როდის შეიცვლებოდა მის სასარგებლოდ პოლიტიკური სიტუაცია" (გვ. 385). ავტორი პირდაპირ არ ასახელებს, თუ ვინ აფარებდა წლობით თავს იმერეთს, პოლიტიკურ უმოქმედობას იჩენდა, ქეიფსა და ნადირობაში ატარებდა დროს. ცხადია, რომ ამ პირად ის გულისხმობს თეიმურაზ პირველს. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ ავტორისეული მეორე ციტატა, რომელიც არსებითად აბათილებს ახლა დამოწმებულ მოსაზრებას: „მისი (ე. ი. თეიმურაზის — ა. ბ.) იმერეთს გაქცევა უფრო თავის შველას და ხალხის მიტოვებას ჰგავდა, ვიდრე საშველი გზების საძებნად წასვლას. ასე ჩანდა ხალხის თვალში. სინამდვილეში კი თეიმურაზი გამუდმებით ცდილობდა ეშველა თავისი ხალხისათვის (გვ. 263. დაყოფა ჩვენია — ა. ბ.)". იმერეთში იძულებით გახიზნული თეიმურაზი „ქეიფსა და ნადირობაში" კი არ ჰკლავდა

დროს, არამედ ქვეყნის დახსნის გზებს ეძებდა, ეწეოდა ფრიად აქტიურსა და პრაქტიკულ პოლიტიკურ-დიპლომატიურ მოღვაწეობას.

1620 წელს იგი პირადად ეწვია სულთანს სტამბოლში და შეეცადა წაექეზებინა შაჰ-აბასის წინააღმდეგ საომრად. 1622 წელს დასავლეთ ევროპაში გაგზავნა საგანგებო დესპანი ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი) ირანის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დახმარების გამოსათხოვად. 1649 წელს ელჩი აახლა მოსკოვის მეფეს. მომდევნო 1650 წელს მოლაპარაკება გამართა მოსკოვიდან საპასუხოდ წარმოგზავნილ ცნობილ ელჩებთან — ტოლოჩანოვთან და იევლიევთან, 1657 წელს საკმაოდ დიდი ამალით მოსკოვს მიაცილინა თავისი შვილიშვილი ერეკლე. ბოლოს, 1658 წელს პირადადაც ეახლა მოსკოვის მეფეს... თეიმურაზი ყველგან ითხოვდა შემწეობას და ანტიირანული მოქმედებისაკენ მოუწოდებდა მოლაპარაკების წარჩინებულ მონაწილეთ. თეიმურაზი ბევრს ცდილობდა, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებიც ჩაება ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მხოლოდ დროდადრო, „მოცალეობის ჟამს“, თავის გულისწუხილს გამოხატავდა გრძნობიერი ლექსებით:

მე გასაძლებლად დაეშვერე ხან ისი, ხან ეს რამეო,
გული ამაზედ დავაპყარ, ბევრი დღე შევაღამეო,
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევიღამეო,
ჩარხი უკუღმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა-მეო

თეიმურაზი და სააკაძე ბევრ რიგად სხვადასხვა ბუნებისა და სხვადასხვა ხასიათის ადამიანები იყვნენ, მაგრამ თავიანთი ძალ-ღონის შესაფერისად ორივე გულწრფელად იღვწოდა ქვეყნის საკეთილდღეოდ. ერთის დამსახურებისამებრ განდიდებისათვის, განა აუცილებელია მეორის დაუმსახურებელი დამცირება?

ჯ. ღვინჯილია არაერთხელ აღნიშნავს თავის წიგნში, რომ ის თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევებს ემყარება. კერძოდ და განსაკუთრებით ის დიდ ნდობას უცხადებს ნიკო ბერძენიშვილსა და გივი ჯამბურიას. ჟნდა შევახსენო პატივცემულ მწერალს, რომ ნიკო ბერძენიშვილი თეიმურაზ პირველს უწოდებდა „სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის „მ ე ს ა ჭ ე ს“, ხოლო გივი ჯამბურიას სიტყვით, „თეიმურაზის შეურიგებლობამ ირანი აიძულა დათმობაზე წასულიყო“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 325). თავის მხრივ ივანე ჯავახიშვილი წერს: „სწორედ რომ გასაოცარი და სათაყვანებელია ის მამაცური გულგაუტეხლობა და სიცოცხლისა და მშვენიერების დაუშრეტელი წყურვილი, რომელიც თეიმურაზ მეფეს და მის ქართველ თანამედროვეებს და მომდევნო თაობას ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც ეროვნული ხელოვნებისადმი უანგარო სამსახურის ხალისს არ უხშავდა“ (ქართველი ერის ისტორია, IV, 343).

ბაზალეთის ომში გიორგი სააკაძე დამარცხდა და იგი იძულებული

გახდა ოსმალეთში გარდახვეწილიყო, სადაც მალე დაიღუპა. სააკაძის მარცხს ჯ. ღვინჯილია სუბიექტური წმინდა ფსიქოლოგიური მომენტებით ხსნის, სააკაძემ სისუსტე გამოიჩინაო, იგი „აშკარად დაძლია გრძნობამ“, მოქმედებს არა გონების, არამედ გულის კარნახით, ხოლო „გულის კარნახს აყოლა შეცდომა იყო სააკაძის მხრივ“ (378). ამისდა მიუხედავად, სააკაძის დამარცხებას საერთოდ და საბოლოო ანგარიშით ავტორი მაინც ობიექტურ მიზეზებს მიაწერს და აღიარებს: „სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის საქართველოსი არ უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ რიგით თავადს, არა დიდგვაროვანს, საქართველოს გაერთიანების საქმე ბოლომდე მიეყვანა“ (406).

აღნიშნულ დასკვნასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ იოსებ სტალინის ერთი წერილი, რომელიც 1940 წლის 11 ოქტომბრით არის დათარიღებული და კინემატოგრაფიის საქმის მაშინდელი ხელმძღვანელის ამხ. ბოლშაკოვის სახელზეა გაგზავნილი. წერილი ეხება გიორგი სააკაძის პრობლემას და წარმოადგენს მოკლე რეცენზიას კინოსცენარზე — „გიორგი სააკაძე“. ამ წერილში ი. სტალინი მისთვის დამახასიათებელი დიდი სიღრმით იხილავს და სრულიად დამარწმუნებლად, მკაფიოდ და ნათლად წყვეტს სააკაძის ფენომენის საკითხს. ი. სტალინი აღნიშნავს, რომ, თუმცა სააკაძის პოლიტიკა იყო პროგრესული, იგი დამარცხდა, დამარცხდა იმიტომო, რომ სააკაძის დროინდელი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ამგვარი პოლიტიკისათვის, ე. ი. ერთ სახელმწიფოდ მისი გაერთიანებისათვის სამეფო აბსოლუტიზმის განმტკიცებისა და თავადების ძალაუფლების ლიკვიდაციის გზით. სააკაძე გრძნობდაო საქართველოს ამ შინაგან სისუსტეს და განიზრახაო საგარეო (უცხოური) ძალის საქმეში ჩაბმით მისი ანაზღაურება. დაუძლეველ წინააღმდეგობათა პირობებში სააკაძის პოლიტიკა უნდა დამარცხებულიყო და ნამდვილად დამარცხდა კიდევაც, — ასკვნის ი. სტალინი.

ჩვენ არ ვიცით, იცნობდა თუ არა ჯ. ღვინჯილია ი. სტალინის წერილს, მაგრამ მისი მოსაზრება ესადაგება სტალინურ ახსნას. ეს არის, ჩვენი აზრით, ღვინჯილიას შრომის ერთ-ერთი დიდი ღირსება.

დასასრულ, სამი არც თუ მთლად კერძო შენიშვნა:

1. ჯ. ღვინჯილია რამდენიმეჯერ იმეორებს და უსაყვედურებს ზოგიერთ მკვლევარსა და მწერალს, საქართველოს ისტორიის ნარკვევებით (თბილისი, 1973) დ ა კ ა ნ ო ნ ე ბ უ ლ ი შეხედულებისგან განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებთო (გვ. 366, 367, 368, 410). ჩვენი ფიქრით, ამ შემთხვევაში „დაკანონებული“ შეხედულებით სავალდებულო ხელმძღვანელობა კარგ სამსახურს ვერ გაუწევს მეცნიერული აზრის წინსვლას. საგულისხმოა, რომ ყველა წყარო გიორგი სააკაძის შესახებ ჯერ კიდევ გამოვლენილი და მით უფრო შესწავლილი არც არის.

2. ჯ. ღვინჯილია წერს; „იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ ერთ-

ხანს უნდობლობას იწვევდა, რაკი მისი ავტორი გვარად სააკაძე იყო, თანაც დიდხანს მიიჩნევდნენ მოურავის ძმისწულად, ბოლო ხანებში გაირკვა, რომ იგი მხოლოდ მოგვარედ, შორეულ ნათესავად, მოხვდებოდა გიორგი სააკაძეს. რიმა ფირცხალაიშვილი თავის ნაშრომში „დიდმოურავიანი და მისი ავტორი“ კარგად ასაბუთებს ყოველივე ამას, ხოლო ცნობილი მკვლევრები გიორგი ლეონიძე და სარგის ცაიშვილი ერთხმად ადასტურებენ, რომ იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ სანდო წყაროაო“ (გვ. 40, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩვენია — ა. ბ.).

„დიდმოურავიანი“ უთუოდ სანდო საისტორიო წყაროა, ფაქტები და მოვლენები სისწორით აქვს ავტორს გადმოცემული. მაგრამ პრინციპულად განსხვავებული რამ იოსებ სააკაძისა და გიორგი სააკაძის ნათესაური კავშირის შესახებ ახლა არ გარკვეულა. ჩვენ მართლაც ვფიქრობდით, რომ იოსებ სააკაძე უნდა ყოფილიყო გიორგი სააკაძის ძმისწული. რ. ფირცხალაიშვილი თავის ნამდვილად კარგ ნაშრომში ასკვნის: „დასაშვებია, რომ ტფილელის წარმომავლობა მართლაც გიორგი სააკაძის ძმის ოჯახს უკავშირდებოდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი გვესახება არა ძმისწულად დიდი მოურავისა, არამედ ძმისწულის ძედ“ (რიმა ფირცხალაიშვილი. იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“ თბილისი, 1978, გვ. 31). მაშასადამე, რ. ფირცხალაიშვილი მეცნიერული სიფრთხილით დასაშვებად თვლის, რომ იოსებ სააკაძე მიჩნეულ იქნას დიდი მოურავის ძმის შვილიშვილად (და არა ძმისშვილად). განა ამით დამტკიცდება, რომ იოსები გიორგის მხოლოდ მოგვარე და შორეული ნათესავი ყოფილა? „შორეული ნათესავი“ ცოტა სხვაგვარი შინაარსის მქონე ცნებაა. მთავარი მაინც ისაა, რომ ავტორი თვითონ გვიმოწმებს „დიდმოურავიანი“ დავწერეო გიორგი სააკაძის „ნათესავ-მოდგამ გვარ-ტომმან“. ავტორი ხაზს უსვამს, რომ იგი არის გიორგი სააკაძის მახლობელი და არა შორეული ნათესავი.

3. ცნობილია, რომ გიორგი სააკაძემ დიდი როლი შეასრულა ხოსრო მირზას (შემდგომ როსტომ-ხანის, როსტომ მეფის) დაწინაურების საქმეში. ჯ. ღვინჯილია თვლის, რომ როსტომის მეფობის ხანა „ხასიათდება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ბედნიერ ხანად“ (გვ. 415, დაყოფა ჩვენია — ა. ბ.). ამ დებულებას ვერ გავიზიარებთ. მართალია, როსტომის წაყრუებით თუ, შესაძლებელია, სხვადასხვა მოსაზრებით მისივე ფარული თანხმობით დედოფალმა მარიამმა (როსტომის ოფიციალურმა მეუღლემ) ბევრი რამ სამახსოვრო და სასიკეთო გააკეთა ქართული კულტურისათვის, მაგრამ საერთოდ სწორედ როსტომის დროიდან მოიკიდა ჩვენში ფეხი სპარსულ-ყიზილბაშური ცხოვრების მანკიერმა წესმა. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ამან როსტომ მოიყვანნა ყოველნი ტყუენი საქარ-

თეელოსანი სპარსეთიდამ გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, ხორცთგანსუენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი, რამეთუ ამათ საქმეთა მოქმედთაგან კიდევ არავის სცემდენ პატივს და მიდრკენ, ვიდრე მღუდელთმთავარნიცა და ჰყოფენ უჯეროთა“ (ქართლის ცხოვრება, IV, სვ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973, გვ. 439).

ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობას კვერს უკრავს ივანე ჯავახიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ გამჭრიახი და გონიერი პოლიტიკური მოღვაწე როსტომი იმთავითვე „ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველობას შეუდგა“ (ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1967, გვ. 371). მაგრამ, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „როსტომ მეფე თავისი აღზრდითა და ზნეჩვეულებებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი“ (იქვე). ამიტომაც „ვითარცა სპარსეთში აღზრდილსა და მაჰმადიანს როსტომ მეფეს ქართული წესისა და ზნე-ჩვეულებისა ბევრი არა ესმოდა რა და თავის ყოფა-ცხოვრებაში ის ხშირად უფრო სპარსულ-მაჰმადიანურს წესს მისდევდა და იცავდა და ამით ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გრძნობა არა-ერთხელ შელახულა“ (იქვე, 377). ივანე ჯავახიშვილი ერთმანეთს უდარებს თეიმურაზ პირველისა და როსტომის ხელმწიფობის ვითარებას და ასკვნის: „თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთი საქართველოს დამოუკიდებლობასა და მაინცდამაინც დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულს ბრძოლას მოასწავებდა, როსტომის მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობისა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო“ (იქვე, გვ. 369).

სრულიად შემთხვევითი არ არის, რომ ყიზილბაშების ტყვეობაში აღსრულებული თეიმურაზი, თანახმად მისი ანდერძისა, მშობლიურ მიწას მიაბარეს ალავერდში, ხოლო საქართველოში გარდაცვლილი როსტომი (ალბათ, აგრეთვე მისივე ანდერძის შესაბამისად) სპარსეთში წაასვენეს და მუსლიმან-შიიტების წმინდა ქალაქ ყუმში დაკრძალეს. როსტომის ხანა შეუძლებელია ყოფილიყო ჩვენი ქვეყნისათვის თუგინდ „ერთერთი“ ბ ე დ ნ ი ე რ ი ხ ა ნ ა“.

კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ჯანსუღ ღვინჯილიას წიგნი იშვიათი სიყვარულითა და გულმოდგინებით დაწერილი სერიოზული ნაშრომია. ავტორი გვთავაზობს კარგად მოფიქრებულ და გააზრებულ კონცეფციას ჩვენი წარსულის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მღელვარე ეპოქაზე და ამ ეპოქის დიდ მოღვაწეზე.

1981

გეორგიევსკის ტრაქტატის იდეურ-ფსიქოლოგიურად შემზადება

გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატი ლოგიკური და კანონზომიერი დაგვირგვინებაა საქართველოს ისტორიული განვითარების პროგრესული ტენდენციებისა შორეული წარსულიდან, ყოველ შემთხვევაში XI—XII საუკუნეებიდან მაინც. საქართველო-რუსეთის (ჯერ კიევის რუსეთის, შემდეგ მოსკოვის რუსეთის) დაახლოება-დამეგობრებას ერთგვარად ხელს უწყობდა სარწმუნოებრივი ერთობა, ქრისტიანული აღმსარებლობა. მაგრამ, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვისა არ იყოს, „სახელმწიფოსა ერთობა რჯულის არარას არგებს ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვადასხვაობდეს“.

საქართველოსა და რუსეთის კეთილ ურთიერთობას აპირობებდა ორივე მხარის ერთგვარი ინტერესები ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების სარბიელზე საუკუნეების განმავლობაში. შეუძლებელია შემთხვევით გარემოებას მიეწეროს, რომ 1154 წელს ქართველი მეფის ასულზე იქორწინა კიევის მთავარმა იზიასლავ მსტისლავოვიჩმა, ხოლო დიდი თამარის მეუღლედ მოიყვანეს გიორგი რუსი (ბოგოლუბსკი). ასეთი ხასიათის დაქორწინებას, ჩვეულებრივ, სარჩულად ედო ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკურად და კულტურულად დაახლოების სურვილები.

არც ის არის შემთხვევითი, რომ კულტურულად ადრე დაწინაურებულ საქართველოს თავისი წვლილი შეაქვს კიევის რუსეთის ცხოვრებაში.

რუსული წყაროები გვაცნობენ, რომ ქალაქ კიევის დიდი ლავრის მოხატვისა და მოზაიკით მოპირკეთებისათვის ბერძნებთან ერთად მიუწვევიათ ქართველი მხატვრები და ხელოსნები, საამისო ნაკვალევი ახლაც შემორჩენილი აქვს ამ დიდებულ ტაძარს.

საგულისხმოა, რომ სამხატვრო სამუშაოების შესასრულებლად ქართველებს იწვევენ ბერძნებთან ერთად. საქმე ისაა, რომ, როგორც საქართველოს, ისე რუსეთს, კულტურული ორიენტაცია აღებული ჰქონდა ბიზანტიაზე — მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს დედაბოძზე. საქართველოც და რუსეთიც ერთნაირად ეწაფებოდნენ ბიზანტიური ცივილიზაციის წყაროს. როგორც ქართულად, ისე რუსულად უხვად ითარგმნებოდა და შესაბამისი ეროვნული სულისკვეთების კვალობაზე

ყალიბდებოდა ბიზანტიური საქრისტიანო ლიტერატურა, ამ ლიტერატურის ყველა მრავალფეროვანი დარგი. იმდროინდელი წიგნიერი ქართველობა და რუსობა ძირითადად ერთნაირი სულიერი საზრდოთი იკვებებოდა. ეს ქმნიდა ქართველთა და რუსთა სულიერი ცხოვრებისა და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი იდეალების ერთობლიობას. აღნიშნულის ნიადაგზე ბუნებრივი ხდებოდა ჩვენი ხალხების წადილი ერთმანეთის უკეთ გაცნობისა, დაახლოებისა და დამეგობრებისათვის. ვიმეორებ, ქართველთა და რუსთა ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ვითარება ადუღაბებდა მათი მჭიდრო კავშირის საჭიროებათა საძირკველს.

მონღოლთა კირთებამ დიდხანს შეაფერხა ქართულ-რუსული კონტაქტები და საქმიანი ურთიერთობანი. კონტაქტები და ურთიერთობანი გაიახლდა, გაფართოვდა და რეგულარული გახდა გვიანფეოდალურ ეპოქაში (XV—XVIII), ოღონდ ამ დროისათვის პოლიტიკურ ძალთა ხვედრითი წონა სხვადასხვაგვარი იყო. რუსეთი (აწ უკვე მოსკოვის რუსეთი) დიდი ალმავლობით შლის ფრთებს, შეიქმნა მძლავრი ცენტრალიზებული მოსკოვის სახელმწიფო, რომელმაც არა მარტო გააერთიანა რუსთა მანამდის გათიშული სამთავროები, არამედ დაიპყრო მონგოლ-თათართა ოქროს ურდოს სახანოები მდინარე ვოლგის მთელი დინების აუზში კასპიის ზღვამდე, და კავკასიონამდე გააფართოვა თავისი სამფლობელო.

ამრიგად, მოსკოვის სახელმწიფო ტერიტორიულად მოუახლოვდა ჩვენს ქვეყანას, იგი რეალურად შეეჯახა თურქ-ოსმანთა და სპარს-ყიზილბაშთა ექსპანსიას. საქართველო კი XV—XVI საუკუნეებში იყო შინაგანად დაუძლურებული და აგრესიული მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში მომწყვდეული (გარემოცვის რკალი შეიკრა კონსტანტინოპოლის დაცემის, ე. ი. 1453 წ. შემდეგ). რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დანაწილებული, ფეოდალური აშლილობით, მოშლილი ეკონომიკით, შემუსვრილი ეკლესია-მონასტრებით და ციხე-კოშკებით, გაუკაცრიელებული დაბა-სოფლებით და ქალაქებით, უკიდურესობამდე შემცირებული მოსახლეობით საქართველო ვერ უმკლავდებოდა მოძალადე გარეშე მტერს. საშიში მასშტაბები მიიღო ლეკიანობამ.

გურამიშვილი იგონებდა — „ჩემსა ყრმობაში სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში; მით იკლო სწავლამა, ჩვენში ლეკთ დავლამა წიგნნი წარსტყვენნა“.

დიახ, უკუღმა დატრიალდა წიგნის, განათლების, სულიერი კულტურის ჩარხი. ვისღა სცალოდა სწავლის მისაღებად (და სადღა იყო სწავლა-განათლების კერები?). რუსთველის ენას და მწერლობის საქმეს ემუქრებოდა სრული დაბეჩავება. გურამიშვილი არ აჭარბებს. ჩვენს განძთსაცავებში შემონახულია ნატყვევარი, ნალეკარი (ლეკების ტყვეობაში ნამყოფი) თითო-ოროლა ძვირფასი ხელნაწერი. მაგრამ რამდენი დაიღუპა სამუდამოდ, რამდენი ჩანთქა ჟამთა სიავემ? ეს კია, რომ ამ ჟამთა სიავის

მიუხედავად, დაძაბუნებულ, მაგრამ სულიერად მხნე და გაუტეხელ ქართველ ხალხს ხელი არ აუღია ბრძოლაზე, არც გუთანი მიუგდია და არც ქალამი. თუ კალმის ხმარება გაუძნელდებოდა, ზეპირად ქმნიდა მშვენიერ ლექსებს. სწორედ უკიდურესი განსაცდელის დროს, მარაბდის ტრაგედიის ვითარებაში, შეუქმნიათ უბრწყინვალესი საგალობელი — „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრნი შესჯამონ მტრისანი“.

ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი პოტენციის მაუწყებელი საბუთია ვანის ქვაბთა მონასტრის კედლის დიდებული პოეზია და XV—XVIII საუკუნეების მთელი შესანიშნავი მწერლობა.

საგულისხმო ფაქტია: თუ ადრე, ძველად, კიევის ლავრის მოსახატავად იწვევდნენ ქართველ მხატვრებს, ახლა, პირიქით, თეიმურაზ პირველი მოსკოვის მეფეს სთხოვს გამოუგზავნოს მხატვრები და ხელოსნები ქართული ეკლესია-მონასტრების შებღალული ფრესკების სარესტავრაციოდ. დრონი იცვალნენ!

ჩვენი ქვეყნის მესვეურები კარგად გრძნობდნენ, რომ საქართველოს არ შეეძლო საკუთარი ძალით გაერღვია მტრული გარემოცვა, შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრიობა და კულტურა. საჭირო იყო ერთგული მოკავშირე და ძლიერი მფარველი.

დღის წესრიგში მთელი სერიოზულობით დადგა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, სცადეს საერთო ენა გამოენახათ დასავლეთ ევროპასთან, შესთავაზეს თავისი მონაწილეობა ოსმალური აგრესიის წინაღმდეგ (XV საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები). დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და რომის პაპთან კონტაქტები გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე (ნიკიფორე ირბახის ელჩობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში, სულხან-საბა ორბელიანის მოლაპარაკება XVIII საუკუნის ათიან წლებში ლუი XIV-სთან და რომის პაპთან). აქედან სახეირო არა გამოვიდა რა. დასავლეთ ევროპას სხვა საზრუნავი ჰქონდა და ნაკლებ აწუხებდა შორეული საქართველოს ბედ-იღბალი, თუმცა მოწადინებული იყო კათოლიკური პროპაგანდის გაფართოებით თავისი გავლენის სფეროში მოექცია ეს ქვეყანა.

აშკარა ხდებოდა, რომ ერთადერთი გარეშე ძალა, რომელსაც ნამდვილად შეეძლო დახმარება აღმოეჩინა და მფარველობა გაეწია ჩვენი ქვეყნისათვის, იყო მოსკოვის სახელმწიფო.

ქართველთა სამეფო-სამთავროთაგან მოსკოვთან ხელი უფრო კახეთს მიუწვდებოდა. კახეთის სამეფო შედარებით ეკონომიურადაც ღონიერი იყო და კულტურულადაც დაწინაურებული. უკვე XV საუკუნის მიწურულში, სახელდობრ 1492 წელს, მყარდება ნიადაგის მოსასინჯავი კონტაქტი კახეთის მეფე ალექსანდრესა და მოსკოვის სამეფოს შორის, ხოლო 1587 წელს მეორე ალექსანდრე კახთა ოფიციალურად იღებს რუსეთის

მფარველობას და ხელს აწერს ე. წ. ფიცის წიგნს, ე. ი. ფორმალურად მაინც რუსეთის მეფის ხელქვეითი ხდება.

ამის შემდეგ მოსკოვის სამეფოსთან რეგულარულად წარმოებს ელჩების გაცვლა-გამოცვლა, ცოცხალი კონტაქტები და მოლაპარაკება კონკრეტულ საკითხებზე. ქართლ-კახეთის მეფეები თეიმურაზ პირველი (1589—1663), არჩილ მეორე (1647—1713), ვახტანგ VI (1675—1737), თეიმურაზ მეორე (1700—1762) და ერეკლე მეორე (1720—1798) გადაჭრით ადგანან რუსეთის ორიენტაციის გზას. მათ მხარს უბამენ იმერეთის მეფეები და მათი ხელქვეითი მთავრები.

შაჰ-აბასისაგან აკლებული და შეზარებული თეიმურაზ პირველი მთელ თავის იმედებს რუსეთთან კავშირზე ამყარებდა. მან სისტემატური დიპლომატიური ურთიერთობა გაიბა მოსკოვის სამეფოსთან. მეფე ალექსი მიხეილის ძის თხოვნით, თეიმურაზმა 1653 წელს მოსკოვის სამეფო კარზე გაგზავნა შესაფერისი ამალით თავისი ტახტის მემკვიდრე ერეკლე, რომელსაც რუსეთში ნიკოლა დავიდოვიჩს უწოდებდნენ (შემდეგში ერეკლე პირველი — ნაზარალიხანი). 1658 წელს თეიმურაზი პირადად ეწვია მოსკოვში ალექსი მიხეილის ძეს და დაწვრილებით აუწყა თავისი სარჩელი. თეიმურაზი მეფურად მიიღეს, დიდი პატივი მიაგეს, მნიშვნელოვანი ფინანსიური დახმარებაც აღმოუჩინეს. დიპლომატიური წერილებით ადრეც და ახლაც შაჰ-აბას მოსთხოვეს თეიმურაზისა და მისი სამფლობელოს ხელყოფისაგან გარიდება. სამხედრო კონფლიქტზე შაჰ-აბასთან მაშინ რუსეთი ვერ წავიდოდა, საამისო პირობები ჯერ არ იყო მომწიფებული.

აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაზე შენახულა თეიმურაზის მოსკოვის მეფესთან გაგზავნილი ერთი წერილი, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს ამ ტანჯული მეფის უმწვავეს სულიერ განწყობილებას.

რუსეთთან ურთიერთობის მხრივ უფრო შორს წავიდა არჩილი. იგი ცოლშვილიანად და საკმაოდ დიდი ამალით (162 კაცი) საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში 1699 წელს და დაემკვიდრა მოსკოვის ახლოს სოფელ ვსეხსვიატსკოეში („სესენწკაში“). ასე შეიქმნა მოსკოვში პირველი ქართული კოლონია. ვსეხსვიატსკოე იქცა დედასამშობლოს სიმბოლოდ, მინიატურულ საქართველოდ დიდი რუსეთის მიწა-წყალზე, ქართული მოსახლეობით, ქართული ხელისუფლებით, ეროვნული ეკლესიით, სკოლითა და სტამბით. არჩილის ანდერძის თანახმად, „სესენწკის“ სასახლის კარი მუდამ ღია იყო თავშესაფრის მაძიებელი, გადმოხვეწილი თუ სხვადასხვა ტყვეობიდან თავდახსნილი ქართველებისათვის.

1724 წელს დიდძალი ამალით (დედაწულიანად 1200 სულს შეადგენდა) მოსკოვს აგიზიზნა და პრესნის მიდამოებში დაიდო ბინა ვახტანგ VI-მ, ამით საფუძველი დაედო მოსკოვში ქართველთა მეორე კერას (მი-

სი გადმონაშთია მოსკოვის აწინდელი ქუჩები „ბოლშაია გრუზინსკაია“, „მალაია გრუზინსკაია“, „გრუზინსკი ვალ“, გიორგის მოედანი).

მოსკოვის კოლონიები თანდათანობით ივსებოდა ახალი მოსახლეობით, თუმცა ზოგნი კიდევაც ტოვებდნენ მათ, ან სამშობლოში ბრუნდებოდნენ, ან სხვაგან იხიზნებოდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის ორიენტაციის თვალსაზრისს მმართველი წრეები და მოწინავე საზოგადოება უყოყმანოდ იზიარებდა. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ ამ ორიენტაციას თავისი მტკივნეული, ნეგატიური მხარეებიც ახლდა. ირანი აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს თავის ვასალურ სამფლობელოდ იჩემებდა. ორი აგრესორი თითქოს შეთანხმებული იყო ჩვენი ქვეყნის მიტაცების ხარჯზე (ზოგჯერ ეს შეთანხმება ირღვეოდა, ორივეს სურდა მხოლოდ თვითონ ეგდო ხელთ მთელს ჩვენ ქვეყანაზე ბატონობა). საქართველო-რუსეთის დაახლოებას მაჰმადიანი აგრესორები მოსკოვის მხრივ მათ საქმეში ჩარევად თვლიდნენ. ამიტომაც ცდილობდნენ დაესწროთ, დაეჩქარებინათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია, მოსახლეობის გადარჯულება და გადაშენება, ასიმილაცია. აგრესორები აძლიერებდნენ უმაგალითო ძალმომრეობას. რასაკვირველია, გამხრწნელი იდეოლოგიური ზემოქმედების ხერხებსაც არ თაკილობდნენ.

ქვეყნის გულწრფელად გულშემატკივართა ერთი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მიმდინარეობას. ერთ თავის ლექსში ვახტანგ VI გულის წუხილით ამბობს: „მეფეს არჩილსა სძრახვედენ, სხვას თემს (ე. ი. რუსეთს, ა. ბ.) რომ იყო მვლელია... მეც მასვე მძრახვენ“.

გურამიშვილი ადასტურებს, რომ ვახტანგს სამეფო კარზე (და სამეფო ოჯახშიც) ყველა როდი უწონებდა ჯიქურ საგარეო პოლიტიკას (განზე იდგა, კერძოდ, ტახტის მემკვიდრე ბაქარ ბატონიშვილი). მაგრამ „მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა რასაც ინებდა“, — ურთავს პოეტი.

მიუხედავად ცალკეული პირების თუ ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგობისა, მიუხედავად ნეგატიური ფაქტების გამოვლენისა (განსაკუთრებით ვახტანგის დროს), პროგრესული ქართველი საზოგადოება განუხრელად და თანმიმდევრულად მიჰყვებოდა რუსეთთან დაახლოების, დამეგობრებისა და დაძმობილების საიმედო პერსპექტიულ გზას. მოწინავე ქართველი საზოგადოება არც შემცდარა თავის არჩევანში. ამ გზამ გაარღვევინა ჩვენ ქვეყანას მტრული გარემოცვის რკალი და გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა პოლიტიკური ჩიხიდან. ამ გზამ მიიყვანა საქართველო გეორგიევსკის ტრაქტატამდის, ამ გზამ გადაარჩინა იგი ფიზიკურ გადაშენებას, იხსნა გადარჯულებისა და ასიმილაციის საშინელი ხიფათისაგან.

მთელი ჩემი შეგნებით, გულწრფელობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ვამბობ, რომ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ გეორგიევსკის გზა იყო

ჩვენი ქვეყნისათვის ერთადერთი სწორი, მარჯვე, ნათელი მომავლის მაუწყებელი გზა. ამ გზამ გაიყვანა საქართველო საკაცობრიო ცივილიზაციის დიდ სარბიელზე.

გეორგიევსკის ტრაქტატის იდეურად მომზადებაში დიდი როლი შეასრულეს მოსკოვის ქართულმა კოლონიებმა.

პირველი, ვსეხსვიატსკოეს („სესენწკას“) კოლონიის მესვეური და სულის ჩამდგმელი იყო არჩილ მეორე, განსწავლული მეფე, განმანათლებელი, ნიჭიერი პოეტი-მოაზროვნე, რომელმაც ქართულ მწერლობაში დაამკვიდრა „მართლის თქმის“ ანუ თავისებური რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპები. რუსეთში — ასტრახანსა და მოსკოვში (ვსეხსვიატსკოეში) არის დაწერილი მისი რიგი თხზულებები. მოსკოვშია გადანუსხული ავტორის მეთვალყურეობით „არჩილიანის“ ორი შესანიშნავი კრებული, ფაქტობრივ „არჩილიანის“ ხელნაწერი გამოცემა (S 424, ლენინგრ., 22). არჩილი დაუცხრომლად ზრუნავდა ეროვნული სტამბის დასაარსებლად, ქართული წიგნების დასაბეჭდად და გასავრცელებლად (არჩილის მეცადინეობის შედეგად 1705 წელს მოსკოვში გამოვიდა ნაბეჭდი „დავითნი“). არჩილი იყო ფრიად ნაყოფიერი მთარგმნელი. მისი დავალებით ბაგრატ სოლოლაშვილმა წამოიწყო „ხრონოგრაფის“ (მსოფლიო ისტორია დასაბამითგან კონსტანტინოპოლის დაცემამდე — 1453 წლამდე) თარგმნა ბერძნულიდან, შემდეგ თვითონ განაგრძო თარგმანი და დაასრულა (თარგმნიდა რუსულიდან). რუსულიდან გადმოიღო ძველი აღთქმის ორი წიგნი „ისო ზირაქი“ და „მაკაბელთა“, გადმოთარგმნა პეტრე მოგილას ცნობილი თეოლოგიური თხზულება „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“. გადმოაქართულა და ახალი, ეროვნული წმინდანების ცხოვრებათა საკითხავებით შეავსო განთქმული რუსული „პროლოგ-სვინაქსარი“. „რუსულით გარდმოიღო“ არჩილმა მსოფლიო რომანისტიკის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა „ალექსანდრიანი“ (რომანი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, გამოცემულია რევაზ მირიანაშვილის მიერ: ალექსანდრიანი, თბ., 1980). არჩილმა და მისმა შვილმა ალექსანდრემ მიაწოდეს თავისი წიგნისათვის ცნობები საქართველოს შესახებ ჰოლანდიელ სწავლულს და ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს ნიკოლა ვიტცენს. არჩილისავე მასალებზე ყოფილა აგებული „საქართველოს მოკლე ისტორია“ რუსულ ენაზე (ა. ცაგარელი). შესაძლებელია, არჩილი იყოს იმ მოკლე, მაგრამ საყურადღებო საისტორიო ცნობების წყარო, რომელიც მოიპოვება ვოლტერის წიგნში „კარლოს XII-ის ისტორია“.

დახელოვნებული მწერალი იყო ალექსანდრე არჩილის ძე ბატონიშვილი (1674—1711), თუმცა იგი ევროპაში სწავლობდა, რუსეთში კი ხელმძღვანელობდა საარტილერიო საქმეს (უთარგმნია კიდევაც ქართულად „არტილერიის წიგნი“), ხოლო სიცოცხლის ბოლო ათი წელი გაატარა შვეციის ტყვეობაში.

ირკვევა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ამსტერდამში (ჰოლანდიაში) გასცნობია სასტამბო საქმეს. მშვენიერი ქართულით უთარგმნია რუსულიდან (ნაწილობრივ ფრანგულიდან) სხვადასხვა ხასიათის რამდენიმე ლიტერატურული ძეგლი, მათ შორის საგანგებო ყურადღების ღირსია ბასილ მაკედონელის „ტესტამენტი“, მსოფლიო მწერლობაში კარგად ცნობილი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოები. თავისი თარგმანის დედნად ალექსანდრეს გამოუყენებია სიმეონ პოლოცკისეული საუკეთესო რუსული რედაქცია. „ტესტამენტის“ ქართული თარგმანი დაიბეჭდა მოსკოვში 1739 წელს.

არჩილის შემდეგ ვსეხვსიატსკოეს კერის ყველა კულტურული წამოწყების, თუ მეთაური არა, უშურველი, ენერგიული ხელისშემწყობი იყო დარეჯან ბატონიშვილი (არჩილის ასული). სხვათა შორის, ვსეხსვიატსკოეს აწინდელი ტაძარი აგებულია 1733 წელს სწორედ დარეჯანის სახსრებით.

მეცნიერთა, თეოლოგთა, მწერალთა და საერთოდ სულიერი კულტურის დარგის მუშაკთა უფრო ფართო წრე იყო თავმოყრილი ვახტანგ VI-ის გარშემო. საკმარისია დავასახელოთ მარტო მისი ოჯახის წევრები: ტახტის მემკვიდრე ბაქარ ბატონიშვილი, ქართული სტამბისა და ქართული წიგნის ბეჭდვის ღვაწლმოსილი მოამაგე, სრული ქართული ბიბლიის („ძველი აღთქმის“) პირველი გამომცემელი მოსკოვში 1743 წელს (ეს გამოცემა ცნობილია როგორც „ბაქარის ბიბლია“); ვახუშტი ბატონიშვილი — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი, მწერალი. მოსკოვშია დასრულებული მისი სახელგანთქმული „საქართველოს ცხოვრება“, ვახუშტიმ ცოცხალი მეცნიერული კონტაქტი დაამყარა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წრეებთან. აკადემიკოსმა დელილმა რუსულად და ფრანგულად გამოაქვეყნა ვახუშტის გეოგრაფიული ატლასები. ამით ვახუშტის ნაშრომები გაიცნეს და გამოსცეს როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში; ვახუშტიმ რუსულიდან გადმოთარგმნა და შეავსო მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო. ზურაბ შანშოვანთან ერთად თარგმნა და დაამუშავა „პერიარმენია“, გიორგი ღამბარაშვილთან კი მას შეუდგენია რუსულ-ქართული ლექსიკონი. ვახუშტიმ თარგმნა სტეფანე იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“ და სხვ; გიორგი ბატონიშვილი — სახელმოხვეჭილი სამხედრო მოღვაწე, გენერალი, მწერლობის მოყვარული, ქველმოქმედი, მეცენატი. მოსკოვის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს შესწირა ათიათასი მანეთი.

კარგად განსწავლული იყო პაატა ბატონიშვილიც, მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი ცოდნა და გამოცდილება მან საავანტიუროდ გამოიყენა და კიდევაც უსახელოდ წაიგო თავი.

თვითონ ვახტანგი — უნივერსალური ცოდნისა და ნიჭის პატრონი, გამჭრიახი პოლიტიკოსი, დიპლომატი, სჯულმდებელი, მეცნიერი ბუნების-

მეტყველი (ასტრონომი და ქიმიკოსი), მეცნიერი ფილოლოგი (ვეფხისტყაოსნის პირველი კრიტიკული ტექსტის გამომცემელი და კომენტატორი), ლექსიკოგრაფი, ისტორიკოსი, მთარგმნელი, გრძნობიერი პოეტი, ქართული ლექსის რეფორმატორი, მეცნიერული და ლიტერატურული საქმის სანიმუშო ორგანიზატორი. ვახტანგი აქტიურ პოლიტიკურსა და დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა რუსეთში. დროდადრო, მოცალეობის ჟამს, განაგრძობდა მეცნიერებისა და მწერლობის სამსახურს. მოსკოვში დაწერა ვახტანგმა რიგი შესანიშნავი ლირიკული ლექსებისა, იქ გალექსა „ამირ-ნასარიანი", დაამუშავა დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი შინარსის მქონე ნოველებისა და ბრძნული სენტენცია-აფორიზმების კრებული „სიბრძნე მალაღობელი", რომლის პროზაული დედანი რუსულიდან უთარგმნია მის თანამშრომელ ერასტი თურქისტანიშვილს. ვახტანგის პოეზიას შეემატა ახალი მოტივები, ახალი სახეები. მაგალითად ბედის მომდურავი პოეტი ახლა წუთისოფელს იმასაც უჩივის, რომ „რუსთ ზაფხულისებრ მოკლეა" ჩვენი ცხოვრების დღენიო. მოსკოვში, ავტორის სიცოცხლეში და მისი თანადგომით არის გადაწერილი მელქისედეგ კავკასიძისა და დემეტრე საყაძის მიერ ვახტანგის თხზულებათა ოთხი საუკეთესო ხელნაწერი.

არჩილისა და ვახტანგ VI-ის თანამშრომლები იყვნენ მეცნიერების, მწერლობისა და წიგნის ბეჭდვის სარბიელზე ლავრენტი არქიმანდრიტი (რომელიც 1705 წლიდან განაგებდა მოსკოვის დიდებულ დონის მონასტერს. ამ მონასტრის ტერიტორიაზე არჩილმა ააგებინა საგვარეულო საძვალე, რომელიც რუსეთში გახიზნულ ბაგრატიონთა პანთეონად იქცა); ბერ-მონაზონი ბაგრატ სოლოღაშვილი („ხრონოღრაფის" მთარგმნელი); სასულიერო მოღვაწენი, მწერლები და მესტამბეები იოსებ სამებელი, ქრისტეფორე გურამიშვილი, ათანასე ამილახვარი, ნიკოლოზ ორბელიანი; მწიგნობრები და პოეტები გაბრიელ ჩხეიძე, დავით ჯაფარიძე, გივი თუმანიშვილი, დავით თურქისტანიშვილი, ონანა ქობულაშვილი („ბარამგულიჯანიანის" ავტორი), თომა და მამუკა ბარათაშვილები, ნიკოლოზ, ზოსიმე და დიმიტრი ორბელიანები (სულხან-საბა ორბელიანის ძმები[1]), ვახტანგ ორბელიანი („პეტერგოფის" ავტორი), ოტია ფავლენიშვილი (პოემა „ვახტანგიანის" ავტორი), გაბრიელ გელოვანი (მემუარისტი), შიოშ ჯავახიშვილი (დავით გურამიშვილის მოქიშპე), ერასტი თურქისტანიშვილი (რუსული „აპოვთეგმატას" მთარგმნელი), ზურაბ შანშოვანი, გიორგი ღამბარაშვილი, დიმიტრი ციციშვილი და ბევრი სხვა.

1729 წლის მიწურულში ვახტანგის ამალას შეუერთდა ლეკთა ტყეობიდან თავდახსნილი დავით გურამიშვილი.

---

[1] თვითონ სულხან-საბა გადაჰყვა ვახტანგს რუსეთში, პირველი ჩავიდა მოსკოვში, ვახლა ვისეხსვიატსკოეში დარეჯან ბატონიშვილს ვახტანგის საქმეების მოსაგვარებლად, მაგრამ ჯანგატეხილი და სნეული მალე იქვე გარდაიცვალა 1725 წლის 26 იანვარს. დიმიტრი ორბელიანის სიტყვით, ეს „ფრიად მაშვრალი მუშაკი მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა".

მოსკოვის ქართულ კოლონიებში იმთავითვე გაიშალა დიდი საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. მოღვაწეთა პირველ თაობას თანდათანობით ემატებოდა რუსეთსა და უცხოეთში სწავლამიღებულ ახალგაზრდათა ახალი თაობები, რომლებიც ბეჯითად ეწეოდნენ რუსულ-ევროპული ცივილიზაციის ტრადიციების დანერგვას ქართველთა შორის. როგორც ძველი, ისე, და განსაკუთრებით, ახალი თაობის ქართველი ემიგრანტი-კოლონისტები გულწრფელად ემხრობოდნენ რუსეთის ორიენტაციას სიტყვით, საქმით, რწმენით. მხურვალედ იღვწოდნენ ამ ორიენტაციის სასარგებლოდ. ქართველი კოლონისტები საფუძვლიანად ეცნობოდნენ რუსი ხალხის ყოფას, ცხოვრებას, ადათ-წესებს, რუსეთის გზით, ზოგჯერ უშუალოდაც, ევროპის სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმას, სამხედრო საქმის ორგანიზაციას. ეწაფებოდნენ რუსულ-ევროპულ მეცნიერებას, მწერლობას, კულტურას. მიღებულ ცოდნას ავრცელებდნენ როგორც რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე განლაგებულ ქართულ ახალშენებში, ისე საკუთრივ დედასამშობლოში. ამ ცოდნით ამდიდრებდნენ მშობლიურ კულტურას, მეცნიერებას, მწერლობას.

ეს იყო საქმის ერთი მხარე.

მეორე მხრივ, ქართველი კოლონისტები ასევე მონდომებით აცნობდნენ თავიანთ მასპინძლებს და ნაწილობრივ ევროპელებს საქართველოს სახელოვან ისტორიულ წარსულსა და შედარებით სავალალო აწინდელ მდგომარეობას.

მოსკოვის ქართული კოლონიების მეშვეობით მიმდინარეობდა ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ კულტურულ ღირებულებათა ურთიერთგაცვლა-გამოცვლა. იმდროინდელობის კვალობაზე ურთიერთის გათვითცნობიერება და გამდიდრება. ბევრი ქართველი მოღვაწეობდა რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო სარბიელზე, აგრეთვე კულტურის დარგში. ქართველებს მოხვეჭილი ჰქონდათ მამაცი მეომრების, ერთგული, ნიჭიერი და თავგამოდებული მუშაკების და პატრიოტების სახელი. ამით ისინი იმსახურებდნენ საყოველთაო პატივისცემასა და სიყვარულს.

ერთ საგულისხმო მაგალითს დავიმოწმებთ მხოლოდ.

1700 წელს ნარვასთან ბრძოლის დროს შვედებს ტყვედ ჩაუვარდა რუსეთის არმიის უფროს ოფიცერთა დიდი ჯგუფი, მათ შორის გენერალფელდცეხმაისტერი ალექსანდრე ბაგრატიონი. ალექსანდრემ ათი წელი დაჰყო მძიმე ტყვეობაში, ვერ აიტანა ჩრდილოეთის მკაცრი ჰავა, ხშირად ავადმყოფობდა, ცხოვრობდა ხელმოკლედ (მაგრამ მწერლობაზე და ქართული სასტამბო შრიფტის შეძენის ზრუნვაზე ხელი არ აუღია). პეტრე I ბევრჯერ შეეცადა დაეხსნა ტყვეობიდან თავისი მეგობარი და თანამებრძოლი. არჩილმაც რამდენიმეჯერ წერილობით სთხოვა კარლოს XII-ს უბედური შვილის განთავისუფლება. ყოველივე ამაო გამოდგა. კარლოსმა კარგად იცოდა ალექსანდრე ბაგრატიონის ფასი და მისი განთავისუფლებისაგან დიდ

სარგებელს გამოელოდა. სხვათა შორის, ალექსანდრეს გამოსასყიდლად ერთხელ მოითხოვა უამრავი თანხა — 10 კასრი ოქრო. ამდენი ოქროს გაღება ხანგრძლივი ომისაგან ისედაც გამოფიტულ ხაზინას არ შეეძლო. პეტრე მაინც დაეკითხა ალექსანდრეს. ქართველ მამულიშვილს კატეგორიული უარი უთქვამს შვეციის „კოროლის“ წინადადებაზე: «На то мы званы: терпеть и умереть за интересы государя и отечества», — მიუწერია ალექსანდრე ბატონიშვილს.

ასეთი პასუხის გაცემა შეეძლო მხოლოდ მაღალი სულის პატრონ სარდალსა და მამულიშვილს.

რუსეთის მრავალ ომში მიიღეს მონაწილეობა და მამაცობით გაითქვეს სახელი ქართულ ჰუსართა პოლკის მეომრებმა (მათ შორის დავით გურამიშვილმა).

ქართველი კოლონისტები მოხიბლული იყვნენ რუსული სამოქალაქო წყობილებით, განსაკუთრებით სამხედრო საქმის ორგანიზაციით, მუდმივი (რეგულარული, „რეღული“) ჯარის წყობით, დისციპლინით, აღჭურვილობით, ჩაცმულობით. გურამიშვილი იგონებდა:

არს მოსაწონი მნახველთა
განწყობა რუსის ჯარისა,
ათას-ხუთას კაცთ ერთფერად
ტანთა ცმა, სხმა აბჯარისა,
მწყობ-რიგად შესვლა-გამოსვლა,
ქცევა ვით ბრუნვა ჯარისა,
დამუსრვა ციხის მოქლოთა,
მაგროვნად დანაჯარისა.

ქართველი ემიგრანტი პოეტები აღტაცებული ხოტბით ამკობდნენ პეტრე პირველის პოლიტიკურ გამჭრიახობას, სამხედრო ქველობას, პირადულ ადამიანურ ღირსებებს და თავგამოდებულ განმაახლებლურ საქმიანობას. არჩილმა ვრცელი ხოტბა მიუძღვნა თავის მწყალობელ პატრონს. „თვით პეტრე ცარი, ვნახე რაც არიო“, აცხადებდა და ძველქართული სახოტბო პოეზიის ტრადიციების კვალობაზე ამაღლებული ენაწყლიანობით წერდა პეტრეს შესახებ:

გონიერი, მეცნიერი, ბედნიერი, ქადნიერი,
მშვენიერი, ნივთიერი, არ-მცბიერი, სახნიერი,
მჭონიერი, ცნობიერი, მძნობიერი, მგრძნობიერი;
ამდონი ერი, ამ-ქვეყნიერი,
მონებრი არის გამგონიერი.

არჩილმა საგანგებო ლექსით მიულოცა პეტრეს პოლტავის ბრწყინვალე გამარჯვება შვედებზე 1709 წელს.

შთამაგონებლად ადიდებდა გურამიშვილიც „ჩრდილოეთის“ სახელმწიფოს სახელოვან საჭეთმპყრობელს (მაგალითად):

ის ჩრდილოეთის ხელმწიფე,
თეთრის რუსეთის მჭირველი,
თვითმპყრობელობის მიმღები,
პეტრე ცხებული პირველი,
. . . . . .
ადიდოს ღმერთმან სულითა,
ბევრი ყავს მლოცველ-მშირველი!

საყურადღებოა, რომ ჩვენთვის უცნობ იმერელ სახალხო მგოსანს — „ბრმა მემუსიკეს“ — ჩონგურზე დაუმღერებია იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შთამბეჭდავი სამქებრო ლექსი. ამით მოხიბლულ რუს დიპლომატს, პოლკოვნიკ ტამარას, სიმონ ეგნატაშვილისათვის დაუვალებია მისი რუსულად გადათარგმნა.

როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვის ორივე ქართული კულტურული კერა ერთსა და იმავე ამოცანას ისახავდა მიზნად — ქართველობის მორალურ-პოლიტიკურად შემჭიდროებას, გონებრივად ამაღლებას, კულტურულად დაწინაურებას, რუსულ-ევროპული ცივილიზაციის დონის მიღწევას. ვსენსვიატსკოესა და პრესნის კრების გაერთიანებამ შექმნა მოსკოვის ქართველთა მძლავრი კულტურული ცენტრი. აქ, შედარებით მყუდრო პირობებში, წარმატებით მიმდინარეობდა ქართველი მეცნიერებისა და მწერლების გატაცებული, პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობა. მოსკოვის ქართულ კულტურულ ცენტრში შეიქმნა ქართული მეცნიერებისა და მწერლობის არაერთი პირველხარისხოვანი ორიგინალური ნაწარმოები, აქ გაშალა ფრთები გურამიშვილის პოეტურმა გენიამ. აქ დაიწერა მისი — „მოსკოვს მყოფნი მზეს ველოდით“!

მოსკოვის ქართულ კოლონიაში საქმობდა ქართველ მდივან-მწიგნობარ-კალიგრაფთა კვალიფიციური ჯგუფი (გივი თუმანიშვილი, დავით თურქისტანიშვილი, მელქისედეგ კავკასიძე და სხვანი). აქ გაიწაფა და დახელოვნდა ქართველ მთარგმნელ-მწიგნობართა თაობები, აქ ითარგმნებოდა სხვადასხვა დარგისა და ხასიათის ლიტერატურა — თეოლოგიური, საგანმანათლებლო, ფილოსოფიური, სამეცნიერო-ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, საკანონმდებლო, საცნობარო, სასწავლო, მხატვრული. თარგმანები სრულდებოდა ძირითადად რუსულიდან, ნაწილობრივ — უცხოურიდან (ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, ვახუშტი ბატონიშვილი, დიმიტრი ციციშვილი და სხვ.). ქართულ მწერლობაში შემოიჭრა მოწინავე რუსულ-ევროპული აზროვნების განმაახლებელი სიო. ამან საგრძნობი ბიძგი მისცა ქართველთა გონებრივ მოძრაობას, საზოგადოებრივი აზროვნების წინსვლას.

მოსკოვის ქართულ კოლონიებში წამოწყებულმა მთარგმნელობამ შემდგომ ისეთი ფართო მასშტაბი მიიღო, რომ, იოვანე ბატონიშვილის მოწმობით, თითქოს მარტო გაიოზ რექტორს რუსულიდან გადმოუღია სამასამდე სხვადასხვა თხზულება, მათ შორის „ბარონ-დე-პოლნიცას მიმო-

სელა“ (მკითხველს აცნობს ევროპის დიდი ქალაქების ცხოვრებას, კერძოდ, თეატრალურ ცხოვრებას) და მარმონტელის „ველისარიონი“ (ეძღვნება იუსტინიანე დიდისა და მისი სახელოვანი სარდლის ველისარიონის სამხედრო ქველობას). რუსეთის ქართული კოლონიების მწერალთა შემოქმედებაში შესამჩნევი ხდება სტილის შედარებითი სისადავე. შემთხვევითროდია, რომ, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთ-უკრაინაში მოღვაწე გურამიშვილია „თითქმის პირველი“, რომელმაც თავი დააღწია ძველ ქართულ მწერლობაში გაბატონებულ ენაწყლიან, ძალზე ორნამენტულ („ფიგურალურ და ალეგორიულ“) სტილს და „სცადა ევროპეიზმის შემოტანა ქართული ლექსის გამოთქმაში.“ ქართულ მწერლობას დაეტყო თემატიკური სიახლენი (რუსული ყოფის ამსახველი მოტივები). კერძოდ, წუთისოფლისა და კაცის პაექრობა მონაწილე უნდა იყოს რუსული მწერლობის კეთილისმყოფელი ზემოქმედებისა («Прения живота и смерти»). ასევე უნდა ითქვას ბუკოლიკური პოეზიის ტრადიციების დამკვიდრებაზე ქართულ მწერლობაში. ქართველი ემიგრანტების პოეზიაში იპოვა გამოძახილი რუსული და უკრაინული ხალხური შემოქმედების ხმებმა (დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი). მოსკოვში ცაიწერა ქართული ნორმატიკული პოეტიკის სახელმძღვანელო „ჭაშნიკი“ (მამუკა ბარათაშვილი).

ქართველ კოლონისტ პოეტთა შემოქმედება გამოხატავს მსოფლიო პოეზიაში კარგად ცნობილ ერთ სპეციფიკურ მოტივს — Heimweh-ს, სამშობლოს დაშორებით თუ დაკარგვით გამოწვეულ მწვავე, მძაფრ, უკურნებელ სევდას (რუსულად «тоска по родине»). ასეთი სევდა წამლავდა და ღრღნიდა დავით გურამიშვილის კეთილშობილურ, გაუხარელ გულს, ხოლო არჩილი მწარედ ჩიოდა:

> თუ კაცსა მიხვდეს გრძელად ყოფნა უცხოს თემსა და მიწებსა,
> შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიწებსა.

„ჰაიმვეს“ მოტივები მეტ-ნაკლებად ახასიათებს რუსეთში გარდახვეწილ ყველა ქართველ პოეტს. ამ მხრივ ტიპურია დიმიტრი სააკაძის მშვენიერი პოეზია. დიმიტრი სააკაძე თავის დროზე ყოფილა სიცოცხლის მოყვარული, მხიარული, მომლხენი, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული. ღრმა მოხუცებას მიღწეული პოეტი წუთისოფელს უსაყვედურებდა: „დახეთ, სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები“. დიმიტრი სააკაძე ერთგან ამაყად ამბობს: „მაშინ იცნობთ, ბობნავშია როცა ნახავთ სააკაძეს“ (ბობნავი სააკაძიანთ სოფელია ატენს ზევით). მაგრამ ბობნავში ჩასვლის იმედი მას საბოლოოდ დაკარგული ჰქონია: „მე მექადის ეს სოფელი, ველარ მიხვალ ბობნავშიო“. ეს ავსებს სევდანაღველით მის მგრძნობიარე გულს.

„სამკვიდრებელის“ დაკარგვით გამოწვეული საშინელი ზაფრის მიუ-

ხედავად, დავით გურამიშვილი არასოდეს ივიწყებდა ერთი უბრალო ყაზახ-რუსის განმაცვიფრებელ სიკეთეს და ჰუმანურობას (ტყვეობიდან გამოპარულს რომ გაუწია):

> როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მამიარაო,
> როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო;
> შეუბრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო.

ქართული თემატიკა ადრითგანვე გარკვეულ ადგილს იჭერს რუსულ საისტორიო და სამოგზაურო ლიტერატურაში. რუსი მოგზაურები და პილიგრიმ-მლოცველები საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან იერუსალიმისა და ათონის ქართული კულტურული კერების შესახებ. მაგალითად, XIV საუკუნის მოგზაური ეგნატე წერს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ღვთისმსახურება ქართულად სრულდება, ქართველები წირავენო. ახალი დროიდან, სახელდობრ, XVII საუკუნიდან, ფრიად საყურადღებოა „ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ.“ ქართული თემატიკა აღბეჭდილია რუსულ თეოლოგიურსა და მხატვრულ მწერლობაშიც. რუსეთში ძალიან პოპულარული იყო „ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი“, რომლის შესახებ რამდენიმე თქმულებაა ლიტერატურულად შექმნილი. რუს მორწმუნეთა აზრით, ეს ხატი (და საერთოდ მარიამ ღმრთისმშობელი) მფარველია არა მარტო „წილმიხდილი“ საქართველოსი, არამედ მართლმადიდებელი რუსი ხალხისა. რუსულ სვინაქსარებში იხსენიება ქართველთა განმანათლებელი ტყვე-ქალი, ე. ი. წმინდა ნინო. ქართული თემატიკის თვალსაზრისით აღსანიშნავია რუსული მხატვრული მწერლობის ცნობილი ძეგლები: «Сказание о Вавилонском царстве» და «Повесть о грузинской царице Динаре».

ქართული თემატიკისადმი ინტერესი, რასაკვირველია, უფრო გაიზარდა, როდესაც გაფართოვდა და გაღრმავდა ქართველი და რუსი ხალხების წარმომადგენელთა პირდაპირი კონტაქტები, კერძოდ, მოსკოვის ქართული კოლონიების საშუალებით. ალბათ, ნაწილობრივ მაინც ამ ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა პირველი მოკრძალებული თარგმანები ქართული მწერლობის ძეგლებისა რუსულ ენაზე. ასეთებია: «Похождение новомодной красавицы Гуланданы и храброго принца Барама» (ე. ი. ბარამ-გულანდამიანი (СПБ, 1773) «История георгианская о юноше князе Амалахорове, с кратким прибавлением истории тамошней земли от начала нынешнего века» (СПБ, 1770); დიალოგიური ხასიათის ნაწარმოები „В Астрахани“.

მოსკოვის ქართულმა კოლონიებმა საშვილიშვილო როლი შეასრულეს ქართული სტამბის გამართვისა და ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეში.

უკუღმართი ისტორიული ვითარების გამო ქართული წიგნის ბეჭდვა გვიან დაიწყო. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოქვეყნდა 1629

წელს იტალიაში. ეროვნული სტამბის ორგანიზაცია ითავა არჩილ მეფემ (1647—1713). მოსკოვში პირველი ჩასვლისთანავე მან კავშირი დაამყარა შვედ სწავლულ იოჰან შპარვენფელდთან და ამსტერდამის ბურგომისტრ ნიკოლა ვიტცენთან (1640—1719). მათი დახმარებით დაუკვეთა უნგრელ მიკლოშ კიშს (1650—1702), ქართული შრიფტი სამივე სახეობისა (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული). შრიფტი მზად იყო 1686—1687 წელს. მაგრამ არჩილს 1688 წელს მოუხდა საქართველოში დაბრუნება. დამზადებული შრიფტი ამსტერდამში დარჩა. შვეციაში ტყვედ მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი ბევრს ზრუნავდა ქართული შრიფტის ჩამოსხმაზე. მიზანსაც მიაღწია და ცდილობდა მის გადმოგზავნას მოსკოვში აქ საბოლოოდ დასახლებული არჩილისათვის. ომიანობის გამო ეს ვერ მოხერხდა. თავის მხრივ არჩილმა 1703 წელს მოსკოვში ჩამოასხმევინა ახალი შრიფტი და 1705 წელს სახაზინო სტამბაში დაბეჭდა „დავითნი“. საკუთარი ქართული სტამბა გაუმართავს ვსეხსვიატსკოეში დარეჯან ბატონიშვილს. ცნობილია 1739 წელს ამ სტამბიდან გამოსული რუსი სახელგანთქმული განმანათლებლის თეოფანე პროკოპოვიჩის (1681—1735) სახელმძღვანელო წიგნი — „პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არს ანბანი და დაწყობა ასოთა“. იგი „რუსულისაგან ქართულად გადმოითარგმნა ბატონიშვილის დარეჯანის მოლარეთხუცის ჩხეიძის გაბრიელისაგან, და ქართულს ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან, და დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს და მის დიდებულის ბატონიშვილის დარეჯანის სასახლეში“.

მოსკოვში დაბეჭდილი ქართული წიგნებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიბლია (ძველი აღთქმა) ანუ დაბადება. ქართული ენისა და მწერლობის ეს უძვირფასესი ძეგლი თავის დროისათვის სანიმუშოდაა გამოცემული მეცნიერული თვალსაზრისითაც და პოლიგრაფიულადაც. ბიბლიის გამოცემაზე ოცნებობდა არჩილი. ჯერ კიდევ საქართველოში შეუდგა იგი ბიბლიის ხელნაწერების შეგროვებას. მოსკოვში მას ტექსტი მზად ჰქონდა დასაბეჭდად, მაგრამ არ დასცალდა. წამოწყებული საქმე განაგრძო და დააგვირგვინა ბაქარ ბატონიშვილმა. მას დახმარებას უწევდა ვახუშტი ბატონიშვილი. ტექსტი გამართა და სასტამბოდ გააწყო იოსებ სამებელმა. ფაქიზად, დიდი ცოდნით და პასუხისმგებლობის გრძნობით მომზადებული ქართული ბიბლია დაიბეჭდა მოსკოვში 1743 წელს. ეს იყო ნამდვილი ეროვნული მასშტაბისა და ღირსების შესაფერისი გამოცემა, რომელსაც დღემდის არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მოსკოვის ქართულ კოლონიაში, გარდა აქ დასახელებული გერმანე არქიმანდრიტისა და იოსებ სამებელისა, სასტამბო-საგამომცემლო საქმეს უძღვებოდნენ აგრეთვე ქრისტეფორე გურამიშვილი, ათანასე ამილახვარი და ნიკოლოზ ორბელიანი.

ამრიგად, ცხადი უნდა იყოს, რომ სწორედ მოსკოვის ქართული კო-

ლონიების მუშაკთა დაუცხრომელმა ღვაწლმა, გამჭრიახმა ინტელექტუალურმა ალღომ, მტკიცე რწმენამ და ნაყოფიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობამ მნიშვნელოვანწილად შეამზადა პოლიტიკური, იდეური და ფსიქოლოგიური ნიადაგი გეორგიევსკის ისტორიული ტრაქტატის დასადებად ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს, ერეკლე მეორესა და ეკატერინე მეორეს შორის. დღეს, გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის ორასი წლისთავზე, დიდი მოწიწებითა და მადლიერების გრძნობით შეგვიძლია გავიმეოროთ ერეკლე მეფის მისამართით თქმული შთამაგონებელი სიტყვები ჩვენი სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა:

აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი.[2]

გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა

1. არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1, თბ., 1936, 11 თბ., 1937.

2. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები. ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1947; 1975.

3. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, 1945, VI, 1975, VII 1978.

4. ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949.

5. მისივე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.

6. იასე ციცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან /X—XVII სს/, თბ., 1956.

7. Ш. А. Месхиа и Я. З. Цинцадзе. Из истории русско-грузинских взаимоотношений, Тб., 1958.

8. Вл. Татишвили. Грузины в Москве, Тб., 1959.

9. ლალი ძოწენიძე, რუსული „აპოვთეგმატას" ქართული რედაქციები, თბ., 1959.

10. გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960.

11. ნატალია ორლოვსკაია, საქართველო XVII—XVIII სს დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, თბ., 1965.

12. იასე ციცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

13. ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967.

14. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი. თბ., 1969.

[2] საგულისხმოა, რომ ეს ლექსი პოეტმა მიუძღვნა ვახტანგ VI-ის მხლებლის, მოსკოვის ქართული კოლონიის წევრის, მელქისედეგ ბარათაშვილის შვილიშვილს, ცნობილ მეცნიერ-ნუმიზმატ მიხეილ ბარათაშვილს (ბარათაევს).

15. Р. Мирианашвили, Переводческая деятельность Арчила Багратиони. Автореферат, Тб., 1973.

16. Натела Надибандзе. Жизнь и деятельность Александра Арчиловича Багратиони. Афтореферат. Тб. 1975 г.

17. ალექსანდრიანი, რ. მირიანაშვილის რედაქციით, თბ., 1980.

18. გურამ შარაძე, პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე. 2. არჩილ მეფე, მიკლოშ კიში და ქართული შრიფტი ამსტერდამში (გაზეთი „კომუნისტი", 8. 8. 82).

19. მისივე. 3. ქართველი უფლისწული მოსკოვის „დიდ სახელმწიფო წიგნში". პეტრე პირველი და „პრინცი ტარტარი" /იქვე, 15. 8. 82/.

20. დიერდ ჰაიმანი, მიკლოშ კიში და ქართული წიგნის ბეჭდვის დასაწყისი /ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნე", № 2, 1982, გვ. 102—112/.

21. შალვა გოზალიშვილი, მამულიშვილი /გაზ. „სამშობლო", VII, № 18, 1982/.

1983

ქალმასობა

ამ წიგნით საფუძველი ეყრება დიდ საშვილიშვილო საქმეს — „ქალმასობის“ სრული ტექსტის პუბლიკაციას.

„ქალმასობის“ ავტორია თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და განმანათლებელი, მწერალი-მწიგნობარი და მეცნიერი იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძე. იოანე დაიბადა 1768 წლის 16 მაისს და გარდაიცვალა პეტერბურგში 1830 წლის 15 თებერვალს[1].

ერეკლე მეორისა და გიორგი XII-ის ოჯახების თითქმის ყველა წევრი, ქალი და კაცი, მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდა. განსწავლულობით, პროგრესული აზროვნებით და შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩეოდნენ ძმები: დავითი (1767—1819), იოანე (1768—1830) და თეიმურაზი (1782—1846). ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციის შემდეგ სამივეს წილად ერგო რუსეთში გასახლება. სამივემ მოღვაწეობა განაგრძო პეტერბურგში, იქვე აღესრულნენ.

იოანე ბატონიშვილმა ჯერ კიდევ საქართველოში გაითქვა სახელი, როგორც გულადმა მეომარმა და გამჭრიახმა პოლიტიკოსმა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იოანემ კრწანისის ბრძოლაში აღამაჰმად-ხანის წინააღმდეგ 1795 წელს. 1799 წელს იოანემ თავის მამას წარუდგინა მოხსენება („სჯულდება“) სახელმწიფო წყობილებაში რიგი რეფორმის ჩატარების აუცილებლობის თაობაზე[2]. მოხსენების შესავალში იოანე აღნიშნავს, რომ მრავალმა უწესობამ, უკანონობამ, უსამართლობამ და უთანხმოებამ „მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართველოსა ერნი განწირუ-

---

[1] ეს თარიღები ახლა ზუსტადაა დადგენილი (ალ. ბარამიძე, იოვანე ბატონიშვილის ბიოგრაფიიდან, ნარკვევები, III, თბ., 1952, გვ. 372—376). მით უფრო საკვირველია, რომ 1974 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (იოანე ბაგრატიონი, ქალმასობა, ფილოსოფიური ნაწილი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გულნარა დედაბრიშვილმა, თბ., 1974, გვ. 5) სხვა თარიღებია ნაჩვენები, თუმცა იმავე ავტორის იმავე წლის მეორე ნაშრომში, რომელიც უფრო გვიან დაიბეჭდა, შეცდომა გასწორებულია (გულნარა დედაბრიშვილი, იოანე ბაგრატიონის — ქალმასობის ფილოსოფიური ნაწილის გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 5).

[2] იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1957.

ლებასა შინა“. მეფემ „მოიწონა ესე სჯულდება სამოქმედოდ, გარნა სიკვდილმან მოუსწრაფაო“, შენიშნავს ავტორი.

სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაჯანსაღების მრავალ ღონისძიებათა შორის იოანე ბატონიშვილი საჭიროდ თვლიდა თბილისსა, გორსა და თელავში გახსნილიყო უმაღლესი ტიპის საერო სასწავლებლები, დაწყებულიყო გაზეთის ბეჭდვა, დაარსებულიყო ბიბლიოთეკა-მუზეუმი, სასწავლო-საგანმანათლებლო და სასტამბო საქმის ხელმძღვანელობა დაკისრებოდა საგანგებოდ შერჩეულ მოხელეს და ა. შ.

რუსეთში გადასახლების შემდეგ, იოანე ბატონიშვილმა არაჩვეულებრივი ენერგიითა და გულმოდგინებით განაგრძო სამწიგნობრო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რომ ამ გზით მაინც მოეტანა სარგებლობა თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ჯერ არა თუ სრულყოფილად არ არის შესწავლილი, არამედ აღნუსხულიც არ არის საჭირო სისრულით. ბოლო დროს, ლილი ჭუთათელაძემ გამოავლინა იოანე ბატონიშვილის ორი უცნობი შესანიშნავი ორიგინალური ნაწარმოები „პატარა ედემით განძება“ და „აღსარება“. მანვე გამოიკვლია იოანეს დიდი ლექსიკოლოგიური მუშაობა და, სხვათა შორის, გაარკვია, რომ ენციკლოპედიურად განსწავლული ბატონიშვილი მხატვარიც ყოფილა.

იოანე ბატონიშვილი იყო გატაცებული და უშურველი კოლექციონერი. მისი წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია საფუძვლად დაედო პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ფონდს.

იოანე ბატონიშვილის შემოქმედებითი შრომის საუკეთესო ნაყოფია „კალმასობა“. ავტორის ფართო ენციკლოპედიური განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილება და მხატვრული ნიჭი სწორედ ამ ვეებერთელა თხზულებაშია გამოხატული. „კალმასობა“ მეცნიერული ცოდნის ენციკლოპედიაა. მეტ-ნაკლები სისრულით აქ წარმოდგენილია ცნობები საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგიდან (მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, მედიცინა, ფიზიოლოგია, ზოოლოგია, გეოგრაფია, სამხედრო საქმე, ისტორია, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა...). ზოგ შემთხვევაში ავტორისეული მასალა თარგმანია რუსული და რუსულის გზით უცხოური წყაროებისა, ზოგჯერ კომპილაციაა, უმეტეს წილად კი იოანე ბატონიშვილი გვთავაზობს თავისი დაკვირვებისა და ნაფიქრ-ნააზრევის შედეგს. რასაკვირველია, უფრო ორიგინალურია „კალმასობის“ ცნობები მშობლიური ქვეყნის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. ახლა ამ ენციკლოპედიას ერთგვარად დაკარგული აქვს თავისი პრაქტიკულ-გამოყენებითი და მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა, მაგრამ ის საკმარისი სისრულით გვითვალისწინებს XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის მეცნიერული ცოდნის დონეს, ამდენად, უდავოა, „კალ-

მასობის“ ისტორიულ-კულტურული ღირებულება. დღესაც დიდად ფასეულია „კალმასობის“ მასალები ქართულ თემატიკაზე.

„კალმასობის“ მეცნიერული ცნობები გაშლილია მხატვრული თხრობის ფონზე. მშრალი, რთული და მძიმე მეცნიერული მსჯელობანი რომ მკითხველისათვის მოსაწყენი არ ყოფილიყო, მკითხველს რომ ეს მასალა შედარებით ადვილად აეთვისებინა, ავტორმა გამოიყენა კითხვით დაინტერესების მხატვრული ხერხი. სიუჟეტურად „კალმასობა“ მარტივი აგებულების ნაწარმოებია. სიუჟეტურ ღერძს ქმნის თხზულების ორი მთავარი პერსონაჟი — იონა ხელაშვილი და ზურაბა ღამბარაშვილი. იონა ხელაშვილი რეალური ისტორიული პიროვნებაა, ქართველ ბატონიშვილებთან, კერძოდ, თვითონ იოანესთან ძლიერ დაახლოებული მოღვაწე და საეკლესიო მწერალი. რეალური პირი უნდა იყოს ზურაბა ღამბარაშვილიც.

იონა ხელაშვილი ასახიერებს ფართოდ განათლებულ, სიბრძნისმოყვარე ღვთისმეტყველ სქოლასტიკოსს, რომლისთვის უცხო არ არის ადამიანური სისუსტენიც. იგი ხშირად კარგავს სულიერ წონასწორობას, ამჩატდება ხოლმე, სასაცილოდ ირჯება, ცუნდრუკობს. „კალმასობის“ მიხედვით, იონა თითქოს ზომაზე მეტად იყო აყოლილი სმა-ჭამას, შურიანი ყოფილა, პირმოთნე, ფარისეველიც. ზურაბა ღამბარაშვილი სოციალურად მდაბიოა, ცხოვრების ღვიძლი შვილი, სიცოცხლისმოყვარული, მხიარული, მომლხენი, ოხუნჯი, იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი, მახვილგონიერი, გაბედული, თამამი, დაუზოგველი მამხილებელი ყოველგვარი უკეთურებისა, რომელიც არც თავისი „მოკალმასე“ თანამგზავრისა და მოძღვრის, იონა ხელაშვილის, ახირებულობას ინდობდა. ზურაბას თხრობაში შეაქვს სიცოცხლე, სიხალისე, მისი ოხუნჯობანი, ხან პირდაპირი, ხან გადაკრული, მოარაკებული მახვილი სიტყვები, რეპლიკები, პატარ-პატარა ამბები, ანეკდოტები და მისთანანი დიდად შთამბეჭდავ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, ამშვიდებს, ასვენებს მას, უმსუბუქებს მეცნიერული ცოდნის ათვისებას და ახალი, მორიგი „ქადაგების“ ანუ „ბერის ლაქლაქის“ მოსასმენად ამზადებს.

იონა ხელაშვილისა და ზურაბა ღამბარაშვილის დაპირისპირებულობა თხზულებას უქმნის გარკვეულ იდეურ-შინარსობრივ ელფერს.

„კალმასობის“ კომპოზიციური რაობის გასათვალისწინებლად მოვიყვანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს. ბერი იონა და ზურაბა ღამბარაშვილი ეწვივნენ დადიანს სალხინოში. ბედად, მთელი კვირა განუწყვეტლივ წვიმდა. ნაწვიმარი წყალი თავისუფლად ატანდა სადგომში. როდესაც მასპინძელი ხელაშვილს შეეკითხა, „როგორ მოგწონთ ეს ჩვენი სალხინო ადგილიო“, მას უპასუხნია: „ასე მომწონს, რომ ჩემი რომ გახლდეს, სახელს გამოუცვლიდი ამ ადგილსა, სალხინოს მაგიერ

სატირალს დავარქმევდი". ღამბარაშვილმა თავის მხრივ დაურთო: „ბატონო დადიანო, აბანო არ დაგეჭირვებათ ამ ადგილის პატრონსაო". ამაზე იცინეს ბევრი. მაშინ დადიანმა უბრძანა ბერსა: „განმიმარტეთ მე, თუ რაი არს წვიმა". იონა ხელაშვილიც იწყებს მსჯელობას წვიმის რაობაზე. ასე ბუნებრივად ინასკვება „ქალმასობის" ყველა სამეცნიერო თხრობის კვანძი.

აღნიშნული გვირკვევს თხზულების სათაურის საკითხსაც. „ქალმასობა" შერქმეული სახელია. თვითონ ავტორი მას უწოდებს „ხუმარსწავლას". ეს სათაური უფრო შეეფერება ნაწარმოების შინაარსსა და ავტორისეულ მიზანდასახულობას — ხუმრობის მოშველიებით მკითხველი აზიაროს მეცნიერულ ცოდნას, „სწავლას". ქალმასობა ნიშნავს მონასტრისათვის სარჩოს მოპოვებას. იონა ხელაშვილი და ზურაბა ღამბარაშვილი საქალმასოდ მოგზაურობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მგზავრობის დროს ისინი ეცნობიან სხვადასხვა თვალსაზრისით საინტერესო ადგილებს, ხვდებიან ადამიანებს, სხვადასხვა შემთხვევათა თვითმხილველი მოწმენი ხდებიან და ა. შ. ამას ავტორი მოხერხებულად იყენებს საბაბად (ქვანძად) მისთვის საინტერესო თემაზე სიტყვის ჩამოგდებისათვის. მაგრამ ეჩმიაძინს იონა ეწვია მარტო და ისიც არა საქალმასოდ. მალე ზურაბა გავიდა სცენიდან (თავი დაიხრჩო მტკვარში სულხან მდივნის მხრივ მისდამი მიყენებული აუტანელი ძალმომრეობის გამო). ქალმასობასთან არაფერი აქვს საერთო იონას რუსეთში გადასვლას და იქ დამკვიდრებას. აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენს გამოცემას მაინც შევუნარჩუნეთ საყოველთაოდ გავრცელებული და უკვე ტრადიციულად ქცეული სათაური — „ქალმასობა".

იოანე ბატონიშვილი პროგრესული თვალსაზრისით იხილავდა საქართველოს ისტორიულ ვითარებას, სხვადასხვა საჭირბოროტო სოციალურ პრობლემას, კერძოდ, ბატონყმობის საკითხს. იგი დაუზოგავად ამხილებს სამეფო გვარეულობის წარმომადგენელთა და თავადაზნაურული საზოგადოების მაღალი ფენების ზნეობრივ დაკნინებას. იოანეს აღწერილი აქვს ტყვეებით ვაჭრობის შემზარავი, ველური ჩვეულება, დიდი თუ წვრილი სახელმწიფო მოხელეების თავგასულობა, მოსამართლეთა ანგარება, გლეხთა უსულგულო ყვლეფა. ავტორი ნათელყოფს სამღვდელოების მსუნაგობასა და ფარისეველობას, დასცინის „განსწავლული" მოხელეების (მდივნების, მდივანბეგების, ელჩების) გონებრივ შეზღუდულობას და უწიგნურობას. ქვეყნის დამღუპველ გარემოებად იოანე ბატონიშვილი თვლის საყოველთაო უმეცრებასა და ცრუმორწმუნეობას, რაც, მისი ფიქრით, ნიადაგს უპოხიერებდა ყოველი ჯურის უსამართლობას, უხამსობასა და ბოროტებას. „ქალმასობაში" დახატულია უმეცრების აპოლოგეტთა კოლორიტული სურათები. ერთ წარჩინებულ ფეოდალს, ქართლელ ამილახვარს იონა ხელაშვილისათვის პირდაპირ უთქვამს: „ცოდნამ დააქცია

ქვეყანაო“. კახელ თავმომწონე თავადიშვილს, თავის მხრივ, აუვსია ღვინით „ერთი დიდი ჯიხვის ყანწი“, გადაუკრავს და შეუძახნია: „აჰა, ჩვენი ცოდნა ეს არისო“. ეს თავადიშვილი ჰეშმარიტად ღირსეული წინამორბედია ნეტარხსენებული ლუარსაბ თათქარიძისა.

„კალმასობის“ მეცნიერული ნაწილი საერთოდ მძიმე, არქაულ-მწიგნობრული ენითაა დაწერილი, თხრობითი ნაწილის ენა კი მსუბუქია და ხატოვანი. „კალმასობის“ ნამდვილი მხატვრული სამკაულია მისი მშვენიერი დიალოგები. ამ დიალოგების ხალხურ სასაუბრო კილოს აცხოველებს მოსაუბრეთა ზომიერად მოხმობილი დიალექტური ფორმები (იმერიზმები, ქიზიყური ქცევა).

„კალმასობა“ იწერებოდა 15 წლის განმავლობაში, 1813—1828 წლებში. არსებითად იგი რეალისტური შემოქმედებითი მეთოდით გამართული ნაწარმოებია, ძველი ქართული მწერლობის უკანასკნელი და ახალი ქართული მწერლობის პირველი თვალსაჩინო მხატვრული ძეგლი.

1975

ერის მამა[1]

აქ, ყვარელში, ჩვენი მშვენიერი ქვეყნის ამ ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, დაიბადა, აღიზარდა, დავაჟკაცდა და აქაური ბუდიდან აფრინდა ახალი ქართული კულტურის ბუმბერაზი არწივი, ამ კულტურის დიდება და მშვენება — ილია ჭავჭავაძე. აქ დაირწა მისი აკვანი. აქ გაშალა თავისი მძლავრი შემოქმედებითი ფრთები დიდმა პოეტმა-მოაზროვნემ, მახვილმა კრიტიკოსმა, დაუნჯებულმა მეცნიერმა, მგზნებარე პუბლიცისტმა, თავდადებულმა მამულიშვილმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებულმა მეთაურმა.

ყვარელში იშვა ილია ჭავჭავაძის დიდი პოეზია, აქ ჩაისახა ქართველთა ეროვნული და სოციალური თავისუფლების დიადი აზრი.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუღლელად და მტკიცედ იდგა ილია ჭავჭავაძე ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების საგუშაგოზე და ჭირისუფლური მზრუნველობით მკურნალობდა იმის სატკივარს, მხოლოდ ცარიზმის მოსყიდული აგენტების ვერაგულმა ტყვიამ ჩამოაშორა იგი თავის სამოღვაწეო სარბიელს.

გულთამხილავ ლირიკოს პოეტს ერის ჰმუნვა, ერის წყლული აჩნდა წყლულად. „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“, — აცხადებდა ილია ჭავჭავაძე სიჭაბუკეში. „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“, იმეორებს პოეტი სხვაგან. „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, ამბობს ილია და, ჭეშმარიტად, თავისი ნათელი ჭკუით, მხურვალე გრძნობით და თავგანწირული ბრძოლით შეუბღალავად იცავდა იგი ერის სასიქადულო სახელს, ერის ღირსებას.

თუმცა ილია ჭავჭავაძეს გულს უდაღავდა ქვეყნის უიღბლო აწმყო და რომანტიკული გატაცებით შენატროდა დიდებულ წარსულს, ნუგეშად და სასოებად მაინც მომავალს თვლიდა. ვინ დაივიწყებს ბავშვობიდანვე გულში შთანაჰდევ უკვდავ სტრიქონებს:

> მას ნუღარ ვტირით, რაც დამარხულა,
> რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
> მოვიკლათ წარსულს დროებზედ დარდი...

---

[1] სიტყვა წარმოთქმული ყვარელში ილიაობაზე, 1978 წლის 28 მაისს.

ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

როგორც პოეტი — მოაზროვნე და მებრძოლი მამულიშვილი, ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ილია გულმოდგინედ სწავლობდა, იკვლევ-იძიებდა სამშობლო ქვეყნის შორეულსა თუ მახლობელ წარსულს, მის საამაყო ისტორიას, მის დიდ სულიერსა და მატერიალურ კულტურას, მისი მშობელი ხალხის ტრაგიკული ცხოვრების ამბავს. ქართველობის სახელოვანი ისტორიული წარსულის შესწავლას, მის სწორ გაშუქებას და ღირსებათა გამომზეურებას უნდა თვალნათლივ დაესაბუთებინა ქართველი ხალხის კულტურული მოწინფულობა და ამის საფუძველზე უეჭველი უფლებამოსილება ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოპოვებისა, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. ამიტომაც იყო ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი მამხილებელი საქართველოს ისტორიის ყველა გამყალბებლისა, ყველა ჯურის ნიჰილისტისა და უარისმყოფელისა, იქნებოდა ის შინაური განმაქიქებელი თუ კეთილისმყოფელის ქურქში გახვეული უცხოელი ფარისეველი.

ილია ჭავჭავაძემ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ძველ სამყაროს, დახავსებულ ძველ სოციალურ წყობას, ძველ დამყაყებულ ცხოვრებას. იგი ებრძოდა მცონარეობასა და უქნელობას, სიზარმაცესა და ინერტობას, ბაქიობასა და გულზვიადობას. მას სწამდა მოძრაობის. მოქმედების, ბრძოლის სასიკეთოდ გარდამქმნელი ძალა. ვის არ მოეხსენება მყინვარისა და თერგის, გოეთესა და ბაირონის ილიასეული ამაღელვებელი შედარება: „არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე სუსხავს... მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. ან და, მოვიგონოთ ილიასეულივე დაპირისპირება დღისა და ღამისა: „წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცინით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!“

ილია ჭავჭავაძე უხმობდა სახალხო გმირებს, უმღეროდა ახალ გრიგალებს. — „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს“, მტკიცედ ამბობდა ერის ზრახვების მესაიდუმლე და იმედიანი რწმენით ასკვნიდა:

ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას.

ჯერ კიდევ 1858 წლის გვიანი შემოდგომის ერთ სუსხიან დღეს სტუდენტ ილია ჭავჭავაძეს სანკტპეტერბურგში შეუთხზავს მშვენიერი ლექსი-ანდერძი, რომლითაც ანდობდა მკითხველს თავის გულისთქმას:

დაე, თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.

შთამაგონებელი სიტყვით და საქმით, უებრო შემოქმედებით და უმწიკვლო ღვაწლით, საკუთარი სისხლით, წიწამურში დაღვრილი მართალი სისხლით, დიახაც რომ მოიხადა ერის წინაშე „მან თვისი ვალი“.

მართალია, ჩვენი ქვეყნის მტრებს ასე ეგონათ, რომ ილიას მოკვლით დეზორგანიზაციას შეიტანდნენ ხალხში, გათიშავდნენ, ერთმანეთს წაჰკიდებდნენ მის შვილებს, დააძაბუნებდნენ და დააუძლურებდნენ. მაგრამ ისინი მწარედ მოტყუვდნენ. ილიას სიკვდილმა შეაერთა, შეაკავშირა და შეადუღაბა მთელი ქართველი ერი. გამართლდა აკაკი წერეთლის სიტყვა — ილია ჭავჭავაძის სიკვდილმა განამტკიცა ის სახალხო საქმე, რასაც დიდმა მამულიშვილმა შესწირა სიცოცხლე თვისი.

აღსრულდა აკაკის წინასწარმეტყველებაც: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად უკვდავი იქნება ილია ჭავჭავაძეცო. საქართველო დღეგრძელია და ბედნიერი, მთაწმინდის ბინადარი, მისი მგოსანი კი — მარად უკვდავი.

აწინდელი თაობა ქართველობისა, ახალი სოციალისტური საქართველო უდიდესი მადლიერების გრძნობით, დიდი მოწიწებითა და ღრმა სიყვარულით ხრის თავს ერის ამ სასიქადულო მამის წინაშე და გულით იმეორებს მისსავე სიტყვებს:

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!

1978

„ნეიშნის ფიცი“

მწერალმა და მკვლევარმა ალექსანდრე კალანდაძემ გამოაქვეყნა მრავალმხრივ საყურადღებო დიდი მოცულობის რომანი — „ნეიშნის ფიცი“[1]. წიგნს უძღვის ავტორისეული ანოტაცია, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მწერლის მიზანდასახულობას. ავტორი აცხადებს, რომ მისი ამოცანაა მე-18 საუკუნის საქართველოს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერეკლე მეორისა და ანტონ კათალიკოსის ეპოქის, „მთლიანი სურათის წარმოსახვა“. ალ. კალანდაძე იმასაც შენიშნავს, რომ მის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა „ანტონ ბაგრატიონის ხასიათი და, აქედან გამომდინარე, საერთოდ ისტორიული პიროვნების როლი“. იგი განაგრძობს: „ასევე მაღელვებს პიროვნების მთლიანობის, საზოგადოების, ერისა და ეპოქის წინაშე მისი მორალური პასუხისმგებლობისა და პრინციპულობის პრობლემა“.

ანტონ კათალიკოსის (1720—1788) ლიტერატურული მოღვაწეობის საკითხი ალ. კალანდაძეს განხილული აქვს აგრეთვე გამოკვლევაში „ლიტერატურული ნარკვევები“[2]. ამ პრობლემას ავტორი უფრო ფართო პლანით უბრუნდება რომანში „ნეიშნის ფიცი“. მოკლედ რომ მოვჭრათ, ალ. კალანდაძე გვთავაზობს ანტონ კათალიკოსის ისტორიული როლის გაგების მისებურ კონცეფციას როგორც მკვლევარი და როგორც ბელეტრისტი. თუ მცირეოდენ ნიუანსურ განსხვავებებს არ მივიღებთ მხედველობაში, გამოკვლევა და რომანი ერთნაირ თვალსაზრისს ავითარებს. რომანის დაკვირვებულ მკითხველს არ გამოეპარება, რომ მისი ავტორი არა მარტო მწერალია, არამედ მეცნიერი-მკვლევარი, ფილოლოგი და ლიტერატურის ისტორიკოსი. რომანის ბევრი პასაჟი, ცალკეული თავებიც კი, ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევის ხასიათის მქონეა.

„ნეიშნის ფიცის“ ანოტაციიდან აშკარაა, რომ ეს არის ისტორიული რომანი, ისტორიული რომანის ჟანრის ნაწარმოები. ალ. კალანდაძეს სიზუსტით აქვს ასახული, ხოლო ზოგჯერ პირდაპირი თხრობით გადმოცემული, საქართველოს მეტისმეტად მძიმე, რთული, წინააღმდეგობებით სავსე ისტორიული ცხოვრების ამბავი დამოწმებული ეპოქისა. ამ მხრივ რომანის შემეცნებითი მნიშვნელობა დიდია. რომანის პერსონაჟთა უმთავრესი ნა-

[1] თბ., 1977, 535 გვ.

[2] თბ., 1972, 346 გვ.

წილი ისტორიული პირებია. სიუჟეტი გაშლილია ცნობილი, კონკრეტული ისტორიული მოვლენების ფონზე. მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია ავსებს, ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ამ ფონს, ხოლო მწერალი-მკვლევრის მსოფლმხედველობრივი ჩანაფიქრი ააზრიანებს, აშუქებს და ხსნის გარეგნული ისტორიული მოვლენების სიღრმისეული შინაარსის ხასიათს. „ნეიშნის ფიცით“ საქმე გვაქვს ისეთ ნაწარმოებთან, როდესაც მწერალი და მკვლევარი ერთი მიდგომით, მაგრამ ასახვის სხვადასხვა ფორმით ცდილობს წარმოაჩინოს კონკრეტული ისტორიული ცხოვრების რეალისტური სურათი. მე ასე მეჩვენება, რომ, თუმცა მწერალი და მკვლევარი ერთმანეთს ავსებს, თითქოს მაინც, ნებსით თუ უნებლიეთ, სასწორი უფრო მკვლევრის მხარეზე იხრება. შემთხვევითი როდია, რომ „ნეიშნის ფიცის“ ზოგიერთი თავი მეცნიერული გამოკვლევაა უამრავი ფაქტობრივი მასალით და მათი ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზით. ავტორი იმოწმებს ანტონის თხზულებების მძიმე სტილით აღბეჭდილ ბევრ ციტატას, რაც ამბის მიმდინარეობას რამდენადმე ანელებს (რომ არ ვთქვათ, აფერხებს). ყოველ შემთხვევაში, აძნელებს მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას ამბის მსვლელობაზე. თუ რომანის უდიდესი, მხატვრულ-გამომსახველობითი თხრობის ნაწილი გატაცებით იკითხება, ამას ვერ ვიტყვით რომანის მეორე, ასე ვთქვათ, კვლევითს ნაწილზე. „ნეიშნის ფიცის“ გამოცდილ მწერალ-ბელეტრისტს ხშირად ენაცვლება მგზნებარე პუბლიცისტი და ცივი ანალიტიკოსი მკვლევარი. ეს მრავალფეროვნება შეიძლება რომანის ღირსებადაც ჩაითვალოს, მაგრამ ჩემი შთაბეჭდილებით რომანი გადატვირთულია არა საკუთრივ მხატვრულ-გამომსახველობითი მასალებით.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის, როგორც ბელეტრისტი, ცოცხლად და ამაღელვებლად გვიხატავს ქართველი ერის ისტორიული განსაცდელის უტყუარ სურათებს. ასევე ცოცხლად და სკულპტურულადაა გამოკვეთილი რომანის პერსონაჟები. უწინარეს ყოვლისა, ორი უძირითადესი სახე-პერსონაჟი — ერეკლე მეორე და ანტონ კათალიკოსი, პირველ რიგისად ანტონ კათალიკოსი. ამაზეა დაშუაწერტილებული ავტორის მთელი შემოქმედებითი ძალ-ღონე.

ისტორიული წყაროთი ცნობილია, რომ 1735 წელს მაშინ სრულიად ახალგაზრდა, 15 წლის კახელი უფლისწული ერეკლე თამამად შეება სათარეშოდ შემოჭრილ ლეკთა დიდ რაზმს ქიზიყში, ნეიშნის ველზე და სასტიკად დაამარცხა იგი. ეს ისტორიული ამბავი დაედო სათავედ ალექსანდრე კალანდაძის რომანს „ნეიშნის ფიცი“. ავტორმა ის სიახლე შეიტანა ისტორიულ ამბავში, რომ ნეიშნის ბრძოლის გმირად ერეკლესთან ერთად წარმოგვისახა ასაკით მისი თანატოლი ქართლელი უფლისწული თეიმურაზი, მომავალი კათალიკოსი ანტონი, „ორნივ დიდებული, ორნივ სწორუპოვარი“. საარაკო გამარჯვების შემდეგ, კახელმა და ქართლელმა

უფლისწულებმა მტკიცე ფიცი მისცეს ერთმანეთს ძმობისა, სიყვარულისა და მამულიშვილური თავდადებისა. „ვფიცავ საქართველოს ნათელს, ეუბნება თეიმურაზი ერეკლეს, მხარში ამოგიდგე, არ შევუშვა გულში არა ეჭვი, არა ცილი, არა სიხარბე, არა შური, არა პატივმოყვარეობა! იყოს არა ჩემი, არამედ ჩვენი. ერთობლივ აღვუდგეთ ბოროტ-მზრახველთა, მოსპობის მოსურნეთა, ურჩთა...“ (გვ. 92). ეს ფიცი ასულდგმულებდა მათ მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებათა გამო თეიმურაზ ბატონიშვილი იძულებული გახდა გასცლოდა სამოქალაქო ცხოვრებას, აღკვეცილიყო ბერად და ანტონის სახელით განეგრძო ბრძოლა ძმადნაფიცის გვერდით სამშობლოს საკეთილდღეოდ. ავტორისეული ჩანაფიქრით, ერეკლე ქართველობის სამხედრო საქმის დიდებაა, ანტონი — სულიერი სიქველის მწვერვალი. ერეკლესა და ანტონის შეთანხმებული, პროგრესული მოღვაწეობა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ სარბიელზე, მტკიცე რუსულ-ევროპული ორიენტაცია, მართლაც, ერთადერთი საიმედო გზა იყო იმ ჩიხიდან გამოსასვლელად, რომელშიაც მიმწყვდეული აღმოჩნდა საქართველო ყიზილბაშურ-ოსმალური მტრული გარემოცვის პირობებში.

ალ. კალანდაძის სავსებით სწორი და დასაბუთებული თვალსაზრისით, საქართველო დააძაბუნა და დასცა არა იმდენად გარეშე მტრებმა რამდენადაც შინაგანმა მოვლენებმა, ფეოდალურ-კუთხურმა აშლილობამ და განკერძოებამ, დინასტიურმა ბრძოლებმა, ურთიერთჭიშპმა და შუღლმა, საერთო გათიშულობამ და ერთობის გრძნობის დაჩლუნგებამ. ქვეყნის უბედურების მიზეზად „ნეიშნის ფიცის“ ავტორი თვლის, მისი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ყვითელ ურჩხულს“. თეიმურაზ ბატონიშვილი (ანტონი) ამბობს, რომ „ერთმანეთის მტერნი და მოქიშპენი ვართ, თორემ ერთი პირი რომ გვქონდეს, არას ურუმელი, ვერც არას სხვა მტერი გვავნებს. „ყვითელმა ურჩხულმა“ დააქცია ქართლი და კახეთი, „ყვითელი ურჩხული“ ახრჩობს აფხაზეთს, ის ჰყიდის ოდიშელ ბავშვებს სტამბოლის ბაზარზე, მან შთანთქა აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი. ჰარ-ბელაქანი“... (159): „ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილ საქართველოს „ყვითელი ურჩხული“ სწოვს სისხლს“ (160).

ალ. კალანდაძის რომანში ნაჩვენებია, და ნაჩვენებია დიდი სიმართლით, გარეშე მტრების, ყიზილბაშებისა და ოსმან-თურქების ბარბაროსული ბატონობის შემაძრწუნებელი სურათები, ნაჩვენებია ლეკთა აულაგმავი, ავაზაკური თარეშების დამღუპველი შედეგები, მაგრამ, რაოდენ საკვირველი არ უნდა იყოს, ყველაფერი ეს უმნიშვნელოდ მოჩანს შინაური ომებით გამოწვეულ საშინელებასთან შედარებით. ქსნისა და არაგვის ერისთავები, ამილახვრები, და მათი წაბაძულობით უფრო წვრილი ფეოდალები, მზად იყვნენ ცოფიანებივით კბილებით დაეგლიჯათ ერთმანეთი (214). ისინი არ ინდობდნენ არც ქალებს და არც ბავშვებს, არც მოხუცებს

და არც სნეულთ, მშობლების „თვალწინ ხოცავდნენ ბავშვებს, ერთმანეთს სასიკვდილოდ ახლიდნენ და-ძმებს". ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მოშუღარნი ერთმანეთის წინააღმდეგ შურის საძიებლად თვითონ იწვევდნენ ლეკებს. „ყათლანი" (სიკვდილი, გაჟლეტა) — გაჰკიოდნენ დაჭრაგებული ავაზაკები და სისხლით დამთვრალნი თავს უხეთქავდნენ შიშისაგან დამფრთხალ და ტაძრებში შემალულ ბავშვებს" (219). ლეკები რა სათქმელია, შანშე ქსნის ერისთავმა საკუთარი ხელით დაჰკრა ხმალი არაგვის ერისთავის ბარძიმის „მშვენიერ ასულს და გადაჰკვეთა შუაზე" (219). ქსნის ერისთავებმა არ დაინდეს ეკლესიაც, ცეცხლი შეუნთეს და ამოსწვეს შიგ თავშეფარებულნი. ქსნის ერისთავთა ეს ამაზრზენი საქციელი თავის მხრივ პასუხი იყო არაგვის ერისთავთა არანაკლებ ველური ქმედობისა ქსნის ერისთავთა წინააღმდეგ. საქმეში ჩაერია გივი ამილახვარი. მან განმაცვიფრებელი სისასტიკით დაარბია, აიკლო, გაავერანა ქსნის საერისთავო, „გასაოცარი გულგრილობით ამოჟლიტა სოფლები" (225). ამილახვარმა და მისმა გადამთიელმა მოკავშირეებმა დააწიოკეს იკორთის დიდებული ტაძარი, არ დაინდეს წმინდანებად შერაცხილ ქართველთა ეროვნული გმირების შალვა და ბიძინა ერისთავების საფლავები (222). შინაურმა აშლილობამ და გაუტანლობამ ადამიანები პირუტყვად აქციათ, ამბობს „ნეიშნის ფიცის" ავტორი. წიგნში აღწერილი შინაომების შემზარავი შემთხვევები იქნებ გაზვიადებულად მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ რომ სწორედ შინაომებმა, ძმათა შორის სისხლის ღერამ „წაახდინა" ჩვენი ქვეყანა, ამაზე ჩივიან არჩილ ბაგრატიონი და დავით გურამიშვილი.

მოვიგონოთ გურამიშვილის ლექსი:

> რაც მოგახსენე, მოგეგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლამა.
> ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლამა

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ლეკიანობის დამღუპველ შედეგებზე, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, შეგვაგონებს „ნეიშნის ფიცის" ავტორი, რომ თვითონ მოშუღარი ქართველი ფეოდალები იწვევდნენ და აქეზებდნენ ლეკებს ქვეყნის ასაოხრებლად და მოსახლეობის გასაჟლეტად. „ნეიშნის ფიცის" მონათხრობით (და ეს ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება, ისე როგორც ისტორიული ქრონიკებით დასტურდება ქსნისა და არაგვის ერისთავების შესახებ მოთხრობილი ამბები), მაგალითად, გივი ამილახვარმა შვიდი ათასი დაქირავებული ლეკი ჩამოიყვანა თავისი პატივმოყვარული გეგმების განხორციელებისათვის საჭირო საგარანტიო სამხედრო ძალად (233).

უნდა დავიმოწმოთ „ნეიშნის ფიცის" ერთი საინტერესო დიალოგის ნაწყვეტი. ერეკლე მიმართავს ანტონს: „შეხედე, რა დღეშია ქვეყანა! არაგვისა და ქსნის ერისთავებმა, ამილახვრებმა, დიდმა და მცირე თავა-

დებმა ერთმანეთი ამოაგდეს, ძმათა სისხლის გუბეები დააყენეს. რა ვუშველოთ, რა მოვუხერხოთ, გარეგან მტერს რით და როგორღა ვეომოთ?! შანშე ლეკებით საამილახეროს და არაგვს აწიოკებდა, უთრუთი სამუხრანოს იკლებდა, ამილახვარს ოსმალო მოუწვევია. *საქართველოს ერთად აქცევენ, ცალ-ცალკე კი ცრემლსა ღვრიან, საქართველო იქცევაო*“ (238).

გვიანფეოდალური საქართველოს ანტიპატრიოტულსა და ანტისახელმწიფოებრივ, ანტისაზოგადოებრივ შავ, დამღუპველ საქმეს ფრთებს ასხამდა ქართლ-კახეთის კუთხური ქიშპი, დინასტიური განხეთქილებანი, შური, ინტრიგები და მისთანა სამარცხვინო მოვლენები. „კახეთის ბაგრატიონთა გამეფებას ქართლის თავადები ყიზილბაშთა ხანების ბატონობასაც კი ამჯობინებდნენო“, ფრთხილად შენიშნავს ალ. კალანდაძე (გვ. 232). სხვაგანაც ამგვარი მომაკვდინებელი ქმედობის არა ერთი და ორი მაგალითი აქვს მოყვანილი. აქაც გვაგონდება გურამიშვილი: „კახელების აღმა ხნულნი, ქართველებმა (ქართლელებმა) დაღმა ფარცხეს“ კუთხური განკერძოება და სეპარატიზმი იყო ქვეყნის უბედურების ერთი უმთავრესი მიზეზი.

„ნეიშნის ფიცის“ საერთო კონცეფციის თანახმად, „ყვითელი ურჩხულის“ როლს ასრულებდნენ და ქვეყნის ღალატს მოთავეობდნენ ერეკლეს წინააღმდეგ ვერაგულად მოქმედი სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური ავანტიურისტები, იქნებოდა ეს გადარჯულებული აბდულა ბეგი თუ საქართველოსთვის წამებული ვახტანგ VI-ის ჩამომავალნი (პაატა ბატონიშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი). ალ. კალანდაძის რომანს თავიდან ბოლომდის მსჭვალავს ქართლ-კახეთის ერთიანობის, ქვეყნის ერთობის საჭიროების შთამაგონებელი იდეა: „არაფერი ისე არ გვჭირდება, როგორც ერთობა“ — ამბობს ანტონ კათალიკოსი (462). მას ბანს აძლევს კახეთის სამეფო კარის მრჩეველი, გარეგნულად გონჯი, კუზიანი ჯუჯა, მაგრამ გონიერი პოლიტიკური მოღვაწე, პატრიოტი ჭონოპორტე, რომლის სამოქმედო დევიზია „საქართველო უპირატეს ყოვლისა“ (106). ჭონოპორტე სიხარულით ნეტარებდა, როდესაც ქართლ-კახეთის ტახტზე ქრისტიანი მეფენი, თეიმურაზი და ერეკლე ავიდნენ. საინტერესო დეტალი: პატრიოტული გზნებით აღტყინებული ერეკლე და თეიმურაზ ბატონიშვილი ნეიშნის მინდვრისაკენ მიეშურებოდნენ, სხვათა შორის მათ თან ახლდა ჭონოპორტე. „ერეკლეს გვერდით ჭონოპორტე *მიირხეოდაო*“, ვკითხულობთ რომანში. მართალია, ჭონოპორტეც ცხენზე იყო შემჯდარი, მაგრამ როგორღაც მაინც უცნაურად ეღერს კუზიან ჯუჯაზე *მიირხეოდა*. ოღონდ, რასაკვირველია, აქ ნიშანწყალიც არ არის ირონიისა. ავტორს უნდა თქვას, რომ საბრძოლო-პატრიოტულ აღმამფრენ გუნება-განწყობილებას ჯუჯა ჭონოპორტეც მოეცვა და მის მოძრაობას სახელოვან შეომართა წრეში დისონანსი არ შეჰქონდა.

საგულისხმოა, რომ ჰონოპორტე იყო თამამი, გაბედული და პრინციპული მრჩეველი, რომელიც, თუმცა აფასებდა თეიმურაზ მეორის გარკვეულ მეფურსა და ადამიანურ თვისებებს, მაგრამ ამხილებდა მის უნებისყოფობასა და უხერხემლობას, ერთგვარ გულგრილობასაც კი სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. თეიმურაზი კეთილი იყო, ოჯახისა და ქვეყნის მოყვარული, ნაყოფიერი პოეტი, მაგრამ ბევრს ფიქრობდა საკუთარ კეთილდღეობაზე, უდარდელი იყო და უზრუნველი, ზოგჯერ სასახლის ჭორებს აყოლილი, დედოფლისა და სეფექალების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. „სადა, მხიარული ხასიათისა და გულმხურვალე მამულიშვილობისთვის — ჰონოპორტე — თეიმურაზს პატივს სცემდა, მაგრამ ზოზინააო, ამბობდა“ (210). ერთ სპეციალურ კარში (მეფის სასახლე თელავს, 398—401), სადაც გადმოცემულია ერეკლესა და ჰონოპორტეს კონფიდენციალური საუბარი, ჯუჯა კარისკაცი აფრთხილებს ახალგაზრდა მეფეს, თავისი უდარდელი ქცევით თეიმურაზი „ღუპავს ქვეყანასაო“ (399); რომ „ქვეყანას მართავს მეფის ცოლი, მეფის ცოლის და, და ყველას ერთად — საოცარი მეფის მოძღვარი“ (იგულისხმება ზაქარია გაბაშვილი).

„ქვეყანას უნდა მტკიცე ხელი, მარჯვე პატრონი“, აცხადებს ჰონოპორტე. კახელ პატრიოტ კარისკაცს კვერს უკრავს ქართლელი პატრიოტი — კარისკაცი შიო სიდამონიძე. ქართლ-კახეთის გაერთიანებასთან დაკავშირებით მას დიდი სიხარულით ჩაუწერია თავის მატიანეში: „ქართველობა შეგვექმნა... აღსდგა ერი ქართველთა“ (247). ეს იყო ქვეყნის გულშემატკივარ პატრიოტთა საერთო ხმა, მაშინ როდესაც ერთობის მტრები გესლს ანთხევდნენ, გველური სისინით სწამლავდნენ ატმოსფეროს, მახვილს ლესავდნენ და შეთქმულების გეგმებს აწყობდნენ. ასე იქცეოდა, მაგალითად, ჭკვიანი, გამჭრიახი, გამობრძმედილი პოლიტიკოსი და დიპლომატი, გულადი მეომარი, მაგრამ დაუდგრომელი, უსაზომოდ პატივმოყვარე, პირის გამტეხი, ჯიუტი ქართლელი სეპარატისტი გივი ამილახვარი.

„ნეიშნის ფიცი“ მშვენივრად აჩვენებს 1744 წლის აქტის (ე. ი. ქართლ-კახეთის ფაქტობრივი გაერთიანების) დიდ პოლიტიკურსა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. ოღონდ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. ქვეყნის კრიზისული ჩიხიდან გამოყვანა შეიძლებოდა ახალი საშინაო და საგარეო აქტიური პოლიტიკის გატარებით, ყიზილბაშურ-ოსმალური ბატონობის გამხრწნელი შედეგების აღმოფხვრით, რუსულ-ევროპული განმანათლებლური პოლიტიკურ-კულტურული კურსის ბეჯითი მიდევნებით, ფეოდალური აღვირახსნილობის შეზღუდვით, სეპარატისტული მიდრეკილებების აღკვეთით, გლეხკაცობის ხვედრის შემსუბუქებით, საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების გაჯანსაღებით, დაცემული ეკლესიის აღდგენით. ყველაფერ ამისათვის, „ნეიშნის ფიცის“ ავტორის თვალსაზრისით, მოწოდებული იყვნენ ერეკლე მეორე და ანტონ კათალიკოსი. როგორც

ზემოთ აღვნიშნე, ერეკლე — სამხედრო-სახელმწიფოებრივი ხომალდის სწორუპოვარი მესაჭე, ანტონი — მისი მარჯვენა ხელი, ერის გონებრივი და სულიერი ცხოვრების დაუნჯებული წინამძღოლი, ერის ორი ძმადშეფიცული თავკაცი, ორი თავგამოდებული მოჭირნახულე. ყველა, ვინც მათ ერთად ხედავდა, გულით ამბობდა: „აი, ორი საკვირველი კაცი, ორი საკვირველება საქართველოსი!“ (გვ. 496). ავტორისეული ესრე მარკა ზუსტად გამოხატავს „ნეიშნის ფიცის“ სულისკვეთებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გვეთქმის ამის საწინააღმდეგოდ. იგი მხატვრული აზროვნების ლოგიკით დამარწმუნებლად არის რომანში დასაბუთებული. არსებითად ასე იყო ისტორიულად, ასეა რომანში. ოღონდ, მე ასე მეჩვენება, რომ ავტორი ერთგვარად აჭარბებს ანტონის სახის დახატვისას, რამდენადმე სწორხაზოვნად გვიხასიათებს მას და შესაფერისად ზედმეტ ჩრდილს აყენებს მის მოწინააღმდეგე მხარეს, კერძოდ, თავის დროისათვის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს ზაქარია გაბაშვილს. ჩემი ღრმა რწმენით, ანტონი უფრო წინააღმდეგობრივი ბუნების პატრონი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მას გვიხატავს ალ. კალანდაძე. არა მგონია, სწორი იყოს თელავის სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტ გაიოზის, ენაწყლიანი ხოტბის სიტყვები: „ვისაც ახსოვს, რა ვიყავით ოცის-ორმოცის წლის წინ, მიხვდება იგი ღვაწლსა ჩვენის მამამთავრისა, რომ დღეს არცთუ ევროპას ჩამოუვარდებით“ (გვ. 528). ალ. კალანდაძეს შეუძლია თქვას, რომ ამას ამბობს ენაწყლიანი ორატორიო. ყველაფრიდან ჩანს, რომ გაიოზ რექტორი სწორედ „ნეიშნის ფიცის“ ავტორის საერთო გულისთქმას გამოხატავს. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ ავტორისეული (ამ შემთხვევაში უყოყმანოდ ავტორისეული) სხვა განცხადება: „სასულიერო, და საერთოდ განათლებით, საქართველო მაშინ (ეს მე-18 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებია ა. ბ.) დიდად ჩამორჩებოდა სომხურ ეკლესიას“ (292). როგორ მოახერხა ერთმა კაცმა, თუგინდ მეფის მხარდაჭერით, რაღაც ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში ასე ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა ისე წაეწია წინ, რომ ევროპასაც კი დასწეოდა. ჩემი ფიქრით, სწორი არ არის მოსაზრება არც საქართველოს უსაშველო ჩამორჩენაზე და არც მის ანაზდეულ უზომო წარმატებაზე. რასაკვირველია, ეს ოდნავაც არ ამცირებს ანტონ კათალიკოსის დიდზე დიდ ღვაწლს ქვეყნის კულტურულად დაწინაურებისა საქმეში, ანტონის დამსახურებას რუსულ-ევროპული განათლებისა და აზროვნების დამკვიდრებაში. ანტონი და ერეკლე ნამდვილი გატაცებით იღვწოდნენ ევროპეიზაციის გასატარებლად ცხოვრების ყველა სფეროში. „ნეიშნის ფიცის“ ავტორი მართებულად ალაპარაკებს ქართლ-კახეთის მეფეს: „ევროპა არს ლამპარი მთელის ქვეყნისა, განმანათლებელ კაცის გონებისა, მეცნიერება მოსწავლეთა, სიბრძნე გამგეთა, სიკეთილე კაცობრიობისა“ (238). ანტონ კათალიკოსმა თავისი საგანმა-

ნათლებლო მოღვაწეობით, თავისი ორიგინალური თუ ნათარგმნი წიგნებით, მათ შორის სემინარიების სახელმძღვანელოებით, დიდად შეუწყო ხელი ქართველთა გონებრივ ამაღლებას. ანტონი, უდავოდ, პროგრესულად მოაზროვნე იყო მეცნიერების დარგში, მაგრამ ვერც იმას დავივიწყებთ, რომ მან ერთგვარად შეაფერხა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალური განვითარება, მძიმე, ღვლარჭნილი მწიგნობრული „შტილი“ დანერგა და გააბატონა კიდევაც ქართულ მწერლობაში. თავის მეცნიერულ გამოკვლევაში ანტონის შესახებ ალ. კალანდაძე წერს: „განყენებული ცნებების, უცხო სახელების, არქაიზმებისა და ხელოვნური სიტყვა-ფორმების მოზღვავება ბევრჯერ ისე აბნელებს (ანტონის) ნაწარმოებს, რომ აზრის გამოტანაც კი გვიძნელდება“[3]. ანტონ კათალიკოსის „აბსტრაქტულმა ნორმატივებმა და შტამპებმა, — განაგრძობს მკვლევარი, — ფრთა შეაკვეცა შემოქმედებითს თავისუფლებას, ჩაახშო პიროვნების ინდივიდუალური ინიციატივა, გრძნობა და აღმაფრენა“[4]. ანტონისეულმა ენობრივმა ნორმებმა მძლავრად შეაღწია საერო მხატვრულ მწერლობაშიც. საგულისხმოა, რომ „ნეიშნის ფიცის“ ავტორი ასე ალაპარაკებს თვითონ ანტონს: „ვინძლო, ჩემი ენა არ მოგეწონოთ! ვინძლო, ყველაფერი ვერ გაიგოთ და ამოხსნათ! ნუ დამძრახავთ, მაინც! არ გვქონდა ჩვენს ენაში ის სიტყვები, რომლებიც... მეცნიერებს სჭირდება. მე ვიგონებდი, მე ვქმნიდი მათ! ძველ წიგნებშიც ვეძებდი! პეტრიწი, შოთა, საბა მუდამ თან დამაქვს“ (გვ. 416). დამოწმებულ ნაწყვეტში მთელი სიმძიმე გადატანილია ტერმინოლოგიაზე. ანტონის ენობრივი პოზიციისათვის, რასაკვირველია, მთავარია არა ეს, არამედ ენობრივ-გრამატიკული სფერო. ანტონმა ხომ გაიზიარა ე. წ. სამი სტილის თეორია, რომლის თანახმადაც იგი იცავს, ალ. კალანდაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველთა არ გასაგონ“ „მაღალ ფრაზას“ (გვ. 468). საეჭვო არ არის, რომ ანტონისათვის განუყრელი იქნებოდა პეტრიწის, შოთას და საბას ნაწერები. მაგრამ თავისი ენობრივი ნორმებით იგი ემყარებოდა პეტრიწს, ხოლო ძალიან იყო დაშორებული შოთასა და საბასაგან. არნოლდ ჩიქობავას დახასიათებით, „ანტონ პირველმა დააკანონა მაღალი სტილისათვის ძველი ქართულის თავისებური სუროგატი, — ენა ღვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“[5]. „წინ წასწია ანტონი I-მა ქართული სალიტერატურო ენის საქმე, თუ უკან დახია?“ — კითხულობს აკაკი შანიძე და იქვე გადაჭრით ასკვნის: „რა თქმა უნდა, უკან დახია“[6]. ქართული ენის ამ გამოჩენილი

---

[3] ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1972, გვ. 71.

[4] იქვე, გვ. 74.

[5] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1, გვ. 21.

[6] ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბ., 1964, გვ. 76.

მკვლევრების შეფასებანი იქნებ მკაცრია, მაგრამ არსებითად ხომ სამართლიანია! ანტონი მისდევს პეტრიწის ენასა და სტილს, შოთასა და სულხან-საბას გზას კი უხვევს.

ჩემი აზრით, ერეკლე მეორის იდეალიზების ფონზე „ნეიშნის ფიცის“ ავტორმა ჩრდილში მოაქცია მისი მამა, მეფე თეიმურაზ მეორე. მაინც რა საბუთით მიაწერს იგი თავის დროისათვის ცნობილ პოეტსა და რიგიან მოქართულე მწიგნობარს ისეთ დიალექტურ გამოთქმებს, როგორიცაა, მაგალითად, „შეიჭიიმე“ (82), „ძიენ კარგი“ (84) „კიდენ“ (102) და მისთანანი.

„ნეიშნის ფიცის“ იდეურ-მხატვრული წარმოსახვის რეალისტურ საფუძველს ქმნიან მის ისტორიულ პერსონაჟებთან და წყაროებით ცნობილ ისტორიულ ამბებთან ერთად გამონაგონი მხატვრული სახეები და ასევე გამონაგონი, ოღონდ ისტორიულად სავსებით შესაძლებელი ცალკეული სიუჟეტური სიტუაციები. გამონაგონ პერსონაჟთა წრის კოლორიტული სახეებია კახელი ჭონოპორტე და ქართლელი შიო სიდამონიძე. ჭონოპორტეზე უკვე გვქონდა საუბარი. შიო სიდამონიძე იყო „სიონელი ხუცის შვილი, თბილელის ყმა“, შეძლებული ოჯახის შვილი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სამეფო კარს დაუკავშირა. იგი იყო ხან მდივანი, ხან — მოლარე, ხანაც — მსაჯული-მდივანბეგი, გამრჯე, ენერგიული, განსწავლული მწიგნობარი, მემატიანე, თეიმურაზ მეორისა და ერეკლეს ერთგული თანამებრძოლი, ერეკლეს განმაახლებლური და გამაერთიანებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კურსის დაჯერებული მიმდევარი, ანტონ კათალიკოსის მოთაყვანე, ზნესრული კაცი, პატრიოტი, მეოჯახე, მიწა-წყლის მოყვარული. იგი გონივრულად უვლიდა და პატრონობდა მემკვიდრეობით მიღებულ მამულს, იძენდა ახალ ყმებსა და მიწებს, კარგად უთავსებდა ერთმანეთს კარის მოხელისა და სოფლის მეურნის მოვალეობას.

შიო სიდამონიძის სახის მოდელია ცნობილი ისტორიული პირი, მდივანმწიგნობარი და მემუარისტი იესე ოსეს ძე ბარათაშვილი. შიო სიდამონიძისა და იესე ოსეს ძის საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობა, საქმიანობა, ხასიათები სრული სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს წვრილმანებშიც კი. „ნეიშნის ფიცის“ ავტორი თავის პერსონაჟის — შიო სიდამონიძის — სახეს ხატავს იესე ოსეს ძის მიხედვით. იესე ოსეს ძის თავგადასავალი კი კარგად არის ცნობილი მისი შესანიშნავი ნაწარმოებით „ცხოვრება-ანდერძი“[7]. „ნეიშნის ფიცის“ ავტორი ძალიან ხშირად პირდაპირ იწერს ტექსტებს იესე ოსეს ძის ამ თხზულებიდან შიო სიდამონიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საილუსტრაციოდ, მისი სახასიათო

[7] ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ ოსელიანმა, თბ., 1950.

თეისებების ნათელსაყოფად. შიო სიდამონიძე მემატიანე-ჟამთააღმწერელი არსებითად იგივე მემუარისტი „ცხოვრება-ანდერძის“ ავტორი იესე ოსეს ძეა. სანიმუშოდ აქვე წარმოვადგენ შესაფერის პარალელურ ტექსტობრივ ნაწყვეტებს, ოღონდ ჯერ უნდა ვიცოდეთ, რომ იესე ოსეს ძეც და შიო სიდამონიძეც, ორივე ერთ და იმავე სოციალურ წრეს ეკუთვნოდა, ორივეს ცხოვრება-მოღვაწეობა ქართლის სამეფო კართან იყო დაკავშირებული, ორივე კარის (მეფის, დედოფლის) მდივანი, მდივანმწიგნობარი, მოლარე, მსაჯული (მდივანბეგი), მემატიანე-ჟამთააღმწერელი თუ მემუარისტი იყო. ორივე ერთნაირად იტანდა ჭირვეული სამეფო კარის, მეფე-პატრონთა შეწუხალებასა და რისხვას, ერთგვარი იყო ორივეს სოციალურ-პოლიტიკური მრწამსი და პატრიოტული გუნება-განწყობილება, ოჯახისა და მამულის სიყვარული...

თეიმურაზი რომ ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ გამოცხადდა, იესე ოსეს ძეს თავისი ანდერძის წიგნში ჩაუწერია აღტაცებულს: „ქართველობა შეიქმნა, საყდრებში თათრების შიში აღარ იყო“ (ცხოვრება-ანდერძი“, გვ. 7). თავის მხრივ, შიო სიდამონიძესაც ჩაუნიშნავს მატიანეში: „ქართველობა შეგვექმნა, საყდრებში თათრების შიში აღარა გვაქვს“ („ნეიშნის ფიცი“, გვ. 247).

იესე ოსეს ძემ და შიო სიდამონიძემ იმდენი მამულები შეიძინეს, რომ „ერთი სათავადო“ გამოვიდოდა (ცხოვრება-ანდერძი; 49, 97; ნეიშნის ფიცი, 438). ორივეს მამულში შედიოდა სოფლები ტაგნაგეთი, ასურეთი, შინდის-ტაბახმელა (ორივეგან შინდის-ტაბახმელა დეფისით იწერება!). ერთ-ერთ წელს მოუსავლობა ყოფილა. იესე ოსეს ძე აცხადებს: „ამ წელს პური სრულობით არ მოგვივიდა. ღმერთმან შეგარცხვინოს ტაგნაგეთო, ასურეთო, შინდის-ტაბახმელავ! ოთხს სოფელში ო ც ი კ ო დ ი პური მოსულიყო“ (გვ. 105). შიო სიდამონიძეც იმავე სიტყვებით უჩივის ამ სოფლებს: „პური სრულებით არ მოვიდა. ღმერთმან შეგარცხვინოს ტაგნაგეთო, ასურეთო, შინდის-ტაბახმელავ! ოთხ სოფელში ო რ ი კ ო დ ი პური მაინც მოსულიყო“ (გვ. 364). „ნეიშნის ფიცი“ ერთგვარად უფრო ამძაფრებს პურის მოუსავლობას, ო ც ი კოდი ო რ კოდამდე დაუყვანია. სხვა მხრივ ტექსტები აბსოლუტურად იდენტურია.

იესე ოსეს ძეს გაქცევია კახეთში მისი ყმა ქიტესა, მწიგნობარ-მემამულეს დაუწყია ქიტესას შვილების ძებნა (თვითონ ქიტესა გადაკარგულა) უკან დასაბრუნებლად (გვ. 55). ანალოგიური შემთხვევა ჰქონია შიო სიდამონიძესაც. არც იმას დაუკლია ცდა „ქიტესას შვილების ასაყრელად“ და უკან დასაბრუნებლად (გვ. 94).

იესე ოსეს ძე ბევრჯერ ჩავარდნილა განსაცდელში და თავს დასტეხია მას მეფის წყრომა. იგი ჩივის: „მრჩეველი არა მყვანდა — ასე ქმენ, ეს გიჯობსო. თუ ვინმე მეტყოდა, დაკარგვასა და რუსეთში წასვლასა“ (გვ. 47). ასეთ დღეში არის შიო სიდამონიძეც. განსაცდელის ჟამს „მრჩე-

ვული არავინა მყავდა, თუ ვინმე მეტყოდა — გადაკარგვასა და რუსეთში წასვლასა“ (გვ. 402).

ერთხელ პირველულმა ანახანუმ დედოფალმა თავის მოლარეთუხუცესს იესე ოსეს ძეს რ ა ხ ტ ი ს მითვისება თუ ქურდობა დააბრალა. აი, სათანადო ტექსტი:

„ერთს დღეს ებძანა დედოფალსა, სალაროში რახტი იყო, რა იქმნაო?! მე მოვახსენე: — მანდ არისო. ებძანა: — ჩემს რახტს არ ვიკითხავ, ელისაბედის რახტი სად არისო? მოვახსენე: — მუხრანის ბატონის ცხენი რომ მოერთმიათ ბატონისათვის, პაწაწას რახტით შეკაზმული, თქვენ რომ მოახსენეთ, თქვენ როგორ იხმარებთ, პაწაწა არის, სირცხვილია და ელისაბედისათვის ყმაწვილობაში კარგიაო, აიღევით და იმავ იარაღით და უნაგრით იმის გამდელს მიაბარეთ. თავისს საწოლში ჰქონდათ, სალაროში როდის შემოგიტანიათო. ებძანა: — მართალიაო, მაგრამ გამდელი ასე ამბობსო: — გლახას ვათხოეო და გლახა ამბობსო, მოვიტანე, სალაროს კარი ღია იყო და იქ შევაგდეო. მოვახსენე: — მე ერთი ზანდუკი მებარა, თუ იმაში ან თვალი გაკლია, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვერცხლი, ან ფარჩა, ის მე მკითხე და სალაროს საქმე ვისაც მისი კლიტე აბარია, იმას ჰკითხეო“ (იესე ოსეს ძის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 25—26). პარალელურად ვიმოწმებ შიო სიდამონიძის მონათხრობს:

„...დედოფალი გაწყრა.

— მოლარეთუხუცესს მიხმეთ!

შემოვიდა მოკრძალებით შიო სიდამონიძე.

— რახტი სად არის?

— სალაროში გახლავთ, დედოფალო!

— ჩემს რახტს არ მოვიკითხავ. ელისაბედის რახტი სად არის?

— დედოფალო, ის რახტი სალაროში როდი შემოგიტანიათ! მოიგონეთ: მუხრანბატონის ცხენი რომ მოერთმიათ ბატონისათვის, პაწაწას რახტით შეკაზმული, თქვენ რომ მოახსენეთ, თქვენ როგორ იხმარებთ — პაწაწაა, სირცხვილიაო, და ელისაბედისთვის კი ყმაწვილობაში კარგიაო. აიღეითა და იმავ იარაღ-უნაგირით იმისავე გამდელს მიაბარეთ. თავის საწოლში ჰქონდათ, ჩემთვის როდი მოგიბარებიათ!

— გამდელი ამბობს, გლახას ვათხოვეო და გლახა ამბობს, მოვიტანე, სალაროს კარი ღია იყო და იქ შევაგდეო.

შიომ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მხრები აიჩეჩა:

— მე ერთი ზანდუკი მაბარია! თუ იმაში ან თვალი გაკლია, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვერცხლი, ან ფარჩა, ის მე მომკითხეთ და სალაროს საქმე, ვისაც იმისი კლიტე აბარია, იმასა!“ (ნეიშნის ფიცი, გვ. 397).

როგორც მკითხველი ხედავს, მოყვანილი ტექსტები იესეს „ცხოვრება-ანდერძიდან“ და „ნეიშნის ფიციდან“ სრულიად ერთგვარია. განსხვავება ისაა, რომ ალ. კალანდაძეს ტექსტი აბზაცებად დაუყვია და ორი ავ-

ტორისეული რემარკა ჩაურთავს („შემოვიდა მოკრძალებით შიო სიდამონიძე", „შიომ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მხრები აიჩეჩა").

რახტის დაკარგვის ამბავი გახმაურებულა და ერეკლეს ყურამდე მიუღწევია „იესე ქურდობაზე დაიჭირესო". ერეკლე მაშინ პატარძეულში იმყოფებოდა, მას გახსენებია თავისი ოქროს ხანჯლის დაკარგვა, ისიც იესეს დაბრალებია. იესე გვიამბობს:

„ამ ამბავში მეფეს ერეკლეს მოეწერა: — ჩემი ოქროს ხანჯალი რომ დამეკარგა შარშანწინ, ისიც მაგას ექნებაო, უნდა მომცეს, უნდა მომცეს და უნდა მომცესო, — გამოართვიო. მოვიდნენ და თხოვნა დამიწყეს... ყოელს ასნაფს ჰკითხეს, ოქრო ვის მოგყიდათო იესემაო. დიდება შენდა, ღმერთო, როგორ არ გასქდი [გულო]! თხოვნისაგან დასცხრენ, მაგრამ ყადაღა იყო, ქალაქის გარეთ არა და სიონს გარეთ ვერ გავიდოდი" (იესე ოსეს ძე. ცხოვრება-ანდერძი, გვ. გვ. 26).

ამასვე ვკითხულობთ შიო სიდამონიძის დღიურშიც:

„ამ ამბავში გიორგი ბატონიშვილს მოეწერა: ჩემი ოქროს ხანჯალი რომ დამეკარგა, ისიც მაგას ექნება — უნდა მომცეს, უნდა მომცეს, და უნდა მომცესო. დიდი თხოვნა დამიწყეს — დაუბრუნეო. ყოველს ასნაფს ჰკითხეს, ოქრო ვის მოგყიდათ შიომაო.

დიდება შენდა ღმერთო!

მომეშვნენ, მაგრამ ყადაღა დამადეს — სიონის გარეთ ნაბიჯს ვერ გადგამო" (ნეიშნის ფიცი, გვ. 402).

აქაც შიო სიდამონიძეს მიეწერება იესე ოსეს ძის ტექსტი. საქმე იქამდე მიდის, რომ შიოც სამგზის იმეორებს ერეკლეს სიტყვებს „უნდა მომცეს, უნდა მომცეს და უნდა მომცესო". ოღონდ შიოს დღიურში ერეკლე მეფე გიორგი ბატონიშვილით არის შენაცვლებული. არის ზოგიერთი წვრილმანი სხვაობაც. „ნეიშნის ფიცში" გამოტოვებულია იესეს შეძახილი „როგორ არ გასქდი [გულო]!" შეიძლება ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ იესეს ტექსტს, მართლაც, აკლია ჩვენ მიერ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა „გულო" უამსიტყვოდ კი ფრაზას აზრი ეკარგება. „ნეიშნის ფიცში" თავის ადგილას ჩამატებულია სიტყვა „დაუბრუნეო" და გარდათქმით არის გაწყობილი ნაწყვეტის ბოლო წინადადება: „ქალაქის გარეთ არა და სიონს გარეთ ვერ გავიდოდი" (იესე ოსეს ძე) — „სიონის გარეთ ნაბიჯს ვერ გადგამო" (შიო სიდამონიძე).

იესე ოსეს ძეს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ მაინც მკაცრად დაისაჯა. ფაქტობრივ პატიმრის („ტუცაღის") მდგომარეობაში აღმოჩნდა. იესე ჩივის:

„ცოლი და შვილი კარდანეხს მყვანან, იმათგან უფრო მრცხვენიან, მსახური წამართვეს, იარაღი წამართვეს, ტუცაღი ვარ, ავადა ვარ

და დღე ყოელ ნასაღსა და ავად მოპყრობას მოველი. ყმა თუ რამ მყვანდა, აღარ მომიდგა, ცხენები წახდენ, გაფუჭდენ, ვგდივარ ერთ სახლში, ვიკითხავ წიგნებსა და ვმადლობ ღმერთსა.

ამაში ძალი დამატანა ციებ-ცხელებამ და ქვეშაგებში ჩამაგდო... და სასიკვდილოდ გარდამდვეს, აღსარება მათქმევინეს, მაზიარეს და გამოვესალმე ყველასა. ერთი ანდერძის წიგნი დავწერე" (იესე ოსეს ძე, გვ. 27).

ამ შემთხვევაშიც იესე ოსეს ძის დღეშია შიო სიდამონიძეც. ისიც დაუფარავად გვიამბობს თავის გასაჭირს:

„ცოლი და შვილი კარდენახს გავგზავნე, იმათი უფრო მრცხვენიან. მსახური წამართვეს, იარაღი წამართვეს, ტუცაღი ვარ, ავადა ვარ და დღე ყოველ ავადმყოფობას მოველი. ყმა თუ რამ მყავდა, აღარ მომიდგა, ცხენები წახდნენ, ვგდივარ ერთ სახლში, ვიკითხავ წიგნებსა და ვმადლობ ღმერთსა.

ამაში ძალი დამატანა ციებ-ცხელებამ, ისე რომ სასიკვდილოდ გადამდეს, აღსარება მათქმევინეს, მაზიარეს, გამოვესალმე ყველას და დავწერე ანდერძის წიგნი" (შიო სიდამონიძის დღიური, გვ. 402—403).

სურათი სავსებით ნათელია, შიო სიდამონიძე თავის დღიურებში იწერს იესე ოსეს ძის ტექსტს. „ნეიშნის ფიცის" ავტორი უცვლელად ტოვებს სიტყვის ისეთ სპეციფიკურ ფორმასაც კი, როგორიცაა ტუცაღი, თუმცა მას ერთგვარი ჩალხი გაუკრავს ძველი ტექსტისათვის. ნაწილობრივ შეუცვლია ორთოგრაფია (იყო წახდენ, არის წახდნენ, ციებ-ცხელება — ციებ-ცხელება გარდამდვეს — გადამდეს, ყოელ — ყოველ). გეოგრაფიულ სახელს კარდანეხი კარდენახის ფორმა მიუღია, სინონიმური სიტყვებიდან „წახდენ, გაფუჭდენ" დატოვებულია ერთი — „წახდნენ". მაგრამ ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იესე ოსეს ძის ნაწყვეტის ფრაზა: „ავადა ვარ და დღე ყოელ ნასაღსა და ავად მოპყრობას მოველი". შიოს ჩანაწერით ამ ფრაზას სულ სხვა იერი და შინაარსი აქვს: „ავადა ვარ და დღე ყოველ ავადმყოფობას მოველი". თუ პატიმარი უკვე არის ავად, როგორღა მოელის „ავადმყოფობას?" საქმე ისაა, რომ იესეს ნათქვამი აქვს: „ავადა ვარ და დღე ყოელ ნასაღსა და ავად მოპყრობას მოველიო". ნასაღი უცნობი სიტყვაა, რომელიც არც იესეს „ცხოვრება-ანდერძის" კრიტიკულად გამოცემული ტექსტის ლექსიკონშია შეტანილი, არც საბას აქვს ახსნილი, არც სხვა ლექსიკონებში გვხვდება. კონტექსტის მიხედვით ლაპარაკია რაღაც ახალ სასჯელზე, სასჯელის რაღაც ახალ კონკრეტულ ფორმაზე, რადგანაც „ტუცაღი" მოელის კიდევ უფრო „ავად მოპყრობას". „ნეიშნის ფიცის" ავტორს „ავად მოპყრობა" და „ნასაღი" გაუერთიანებია გამოთქმით „ავადმყოფობას" მოველიო, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ის უკვეა ავად და მომლოდინეა ან ავადმყოფობის

გართულებისა, ან, რაც უფრო საფიქრებელია, პატიმრობის რეჟიმის გაუარესებისა თუ ახალი სასჯელის განჩინებისა („ავად მოპყრობისა“)[8].

დამოწმებულ მაგალითებს ვიკმარებთ, თორემ მათი რიცხვის გამრავლება ადვილია. არავითარი ეჭვი არ არის, რომ შიო სიდამონიძის სახე მთლიანად გამოძერწილია იესე ოსეს ძის სახის მოდელის მიხედვით. შიო სიდამონიძის მატიანის თუ ქრონიკის („დღიურების“) უშუალო წყაროა იესე ოსეს ძის „ცხოვრება-ანდერძი“.

აღნიშნულის კვალობაზე შეიძლება ისიც ითქვას, რომ შიო სიდამონიძე აღარაა გამონაგონი პერსონაჟი, იგი სახეშეცვლილი, უკეთ სახელშეცვლილი, ისტორიული პერსონაჟია. სამაგიეროდ, ნამდვილად გამონაგონი პერსონაჟია შიოს დაი თ ა ფ ლ ო და მისი ქმარი გოლა ყ ა ნ თ ა რ ე ლ ი. გოლას სოციალურ მდგომარეობაზე რომანში გარკვევით თქმული არ არის, მაღალი წოდებისა რომ არ უნდა ყოფილიყო, ეს კი ცხადია.

გოლა ყანთარელს ავტორი პირველად გვაცნობს სიდამონიძეების საოჯახო წრეში. აქ იგი „უფრო მეტს და ღრმად საუბრობდა, ვიდრე ეს მ ი ს ი წ ო დ ე ბ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ს შ ე ე ფ ე რ ე ბ ო დ ა“ (გვ. 23). მაგალითად, გოლას სიტყვით, „ვახტანგმა (ვახტანგ მე-6-მ, ა. ბ.) დაგვღუპა, ასეთი ჯიუტი მეფე ჯერ არ გაგონილა“ (25). გოლა ყანთარელს კარგად („მოდურად“) ეცვა, საზოგადოებაში მიღებული, შეძლებული და გავლენიანი ჩანდა, ეწეოდა აღებ-მიცემობას თუ მევახშეობას (147). თაფლო მშვენიერი გარეგნობის პატრონი იყო, ოდნავ გამხდარი და ფერმკრთალი, მაგრამ სიცოცხლით სავსე ენებიანი ქალწული, ჩვიდმეტი წლისა. თაფლოსა და გოლას ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ, სხვადასხვა მიზეზის გამო დაქორწინება დაუგვიანდათ. ერთხანს ბედნიერი მეუღლეობა ჰქონდათ, მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ხ ა ნ ს. ჯან-ღონით სავსე ყანთარელს იმთავითვე უკურნებელ სნებასავით თან დაჰყვა შიში მოსალოდნელი რაღაც ხიფათისა, განსაკუთრებით ტანჯავდა ლეკიანობის შიში. ლეკის ხსენება პანიკურ შიშს ჰგვრიდა, რაც ყველაფერთან ერთად მას მამაკაცობის ძალას ართმევდა. და აი, ამ ნიადაგზე ცოლსა და ქმარს შორის ზავი ჩამოწყვა. ორივე იტანჯებოდა, თაფლო დაუოკებელი ჟინისაგან, გოლა — მამაკაცური უძლურებისაგან. გოლამ გადაწყვიტა გასცლოდა ქალაქს, გასცლოდა საზოგადოებას, გახიზნულიყო და დასახლებულიყო სადმე შორეულ, მყუდრო ადგილას, სადაც „ლეკს არასოდეს ფეხი არ დაედგა“ და სადაც მშვიდად, გლეხურად იცხოვრებდა (288). ეს აზრი თაფლოსაც მოეწონა. გოლამ იპოვა მასავით დაზაფრული „ათიოდე ქალაქელი“ და სადღაც „ქვეყნის დასალიერში“, მთის ძირას, ციცაბო მთა და უღრანი ტყე რომ იცავდა, ნასოფლარში დასახლდნენ (288). ასე შეუდგა სახიზარ ცხოვ-

[8] ალექსანდრე გვახარიამ გაარკვია, რომ ნ ა ს ა ღ ი სპარსული სიტყვაა და სწორედ ს ა ს ჯ ე ლ ს, წამებას ნიშნავს.

რებას თოთხმეტი მამაკაცი და თოთხმეტი ქალი. საქმე კარგად აეწყო, გოლას „სიჭაბუკე და მამაკაცობა დაუბრუნდა“ (314), ხოლო თაფლო „მთის ჰაერზე სისხლხორცითა და ვნებით დაიყურსა“. მაგრამ, ვაი უბედურებავ! ერთ საბედისწერო დღეს ამ გადაყრუებულ სოფელშიც ლეკი დალანდეს. შეშინებულ გოლას ისევ ჩაუქრა ვნების ცეცხლი, თაფლოს კი ჟინი მოემატა. მალე ხიზნებს ხუთი ლეკი ეწვია. გოლამ რომ ლეკი დაინახა, „თავქუდმოგლეჯილი ქვითკირის გალავნისგან დარჩენილ ორმოში ჩაძვრა“. ლეკი დუცალი დინჯად, აუჩქარებლად შევიდა სახლში, თოფი კედელზე მიაყუდა, ცეცხლს მიეახლა (ზამთარი იყო). „თაფლო არ შემკრთალა. თითქოს დიდი ხანია ელოდაო, ისე შინაურივით მიეგება სტუმარს“ (340). სტუმარმა არც აცივა, არც აცხელა, უტიფრად „ქალი მუხლებზე დაისვა და თვალის დახამხამებაში გააშიშვლა“ (341). დუცალი დაეპატრონა როგორც გოლას ცოლს, ისე მის სახლკარს. თაფლომ ჟინი მოიკლა და თავს ბედნიერად გრძნობდა. სტუმარს ჩვეულებრივ უტიფრად ეჭირა თავი, „თაფლოს ალერსს არ ათავებდა. მოსალამოვდებოდა თუ არა, გოლას თვალწინ, ლოგინში ჩაიწვენდა და დილამდე ანებივრებდა“ (359). ასევე იქცეოდნენ დუცალის გუნდის წევრებიც. „თოთხმეტი ქალი ხუთ ლეკს შორის ისე განაწილდა, რომ არავითარი უსიამოვნება არ მოსვლიათ“ (362). გაჩნდა თოთხმეტი ორსული ქალი. ქმრები ადვილად შეურიგდნენ თავიანთ სამარცხვინო მდგომარეობას. ისინი ფაქტობრივ ლეკების მონა-მორჩილი და მათი ნების შემსრულებელი მსახურნი გახდნენ. „ნახიზარში სანიმუშო წესრიგი და მშვიდობა დამყარდა“ (362). თაფლო, რასაკვირველია, ახლოს არ იკარებდა თავის ახირებულ ქმარს თუ ნაქმრევს. ასე გაგრძელდა რამდენიმე წელიწადი. ბოლოს ლეკებმა გადაწყვიტეს თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებულიყვნენ ახლად შეძენილი ცოლშვილით. წასასვლელად ახაზირებული იყვნენ, რომ შორიდან გამოჩნდა ლეკთა მდევარი პატარა რაზმი ლეონ ბატონიშვილის მეთაურობით (რაზმი სულ სამი კაცისაგან შედგებოდა). რაზმს თვალი შეასწრო გოლა ყანთარელმა. — „არიქა, ბიჭებო, ჩვენებს მოსდევენ“, — იკივლა მან. შეიქმნა ჩოჩქოლი, მღელვარება. ლეონის რაზმიც ზედ წამოადგათ. ლეკებმა თოფ-იარაღი დაჰყარეს. ნახიზარ მამაკაცებს შიშის ზარი დაეცათ. თოთხმეტი მამაკაცი „დახოცილი კალიებივით“ ეყარა მიწაზე (477). „ესენი ვინ არიან?“ — იკითხა ლეონმა იმათ შესახებ. — „ქართველები, ბატონო“, — იყო პასუხი. „აქ რას აკეთებენ?“ — „ჩვენს ცოლშვილს უვლიან“. დამფრთხალ, დალაჩრებულ ხიზნებს სიტყვის ძალა წართმეოდათ და მხოლოდ რაღაც ერთმარცვლიან გაურკვეველ ბგერებს გამოსცემდნენ — ბუყბუყებდნენ (ბუ-ბუ, დუ-დუ...). ლეონ ბატონიშვილმა და მისმა რაზმელებმა ლეკებს უვნებლობის გზა მისცეს, პირუტყვად ქცეულ ნაკაცარებს კი ზიზღით მოავლეს თვალი და ტყვია დაახალეს. ლეკეთში მიმავალ მგზავრებს თოფის ხმაზე უკან არ მოუხედავთ, „წეროებივით გამწკრივე-

ბულნი“ ტყის ბილიკებს ჩაჰყვნენ. „სულ წინ თაფლო მიაბიჯებდა, ზურგზე ფუთამოკიდებული. ცხენზე გადადებულ ხურჯინში ტყუპები ირწეოდნენ. წამოჩიტული ბიქები მამას ეჯდა უნაგირზე, გოგონას დედისათვის კალთაში ჩაეკლო ხელი. მიდიოდა თაფლო ენერგიულად, ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე, გულმხიარული, მძიმედ და თეძოებ დამრგვალებული, დაღვინებული და დაშაქრებული“ (გვ. 479).

რაზმელებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს ცეცხლით ამოეწვათ არაკაცთა უწმინდური ბუნაგი. „საქართველოში ყოფილა და არის დანგრეული, აოხრებული, დამწვარი სოფელი, მაგრამ შებილწული და შერცხვენილი არასოდეს“, — ამ სიტყვებით ჰკრავს ავტორი შემზარავ ამბავს. ავტორისეული ულმობელი განაჩენი სამართლიანია და მხატვრულად დამაჯერებელი. მხოლოდ ცეცხლს შეეძლო გაეწმინდა ჩვენი წმიდათაწმიდა მიწის კაცთაგან თუ არაკაცთაგან შებილწული პატარა კუთხე, ცვედანთა და ლაჩართა სახიზარი.

ჩვენი ტრაგიკული წარსულის ისტორიამ იცის იმის მაგალითები, რომ დამპყრობელთა ველური ძალმომრეობის შედეგად ქვეყნის რომელიმე განაპირა კუთხე გადაშენებულა, გადარჯულებულა, გათათრებულა, გალეკებულა და ეროვნული სახე დაუკარგავს. ანგარებისა და წარჩინების მიზნით რჯულსა და ეროვნებას იცვლიდნენ მებატონე საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები. მაინც ვერ გავამართლებ „ნეიშნის ფიცის“ ავტორს, როდესაც მან მშიშარა, ქალაჩუნა ლაჩრებად, სულიერად და ხორციელად არაკაცებად წარმოგვიდგინა თოთხმეტი პირისაგან შემდგარი გუნდი, ლეკთა შიშისაგან დაზაფრულთ მამაპაპეული სახლ-კარი რომ მიუტოვებია, გაქცევია საზოგადოებას, გამოთიშვია ერის ჯანმრთელ, მწარმოებელ — შემოქმედ ძალას, გახიზნულა, თითქოს მყუდრო ბუნაგი მოუძებნია და იქ შედგომია ნამდვილ პირუტყვულ ცხოვრებას. ეს თოთხმეტი ქალაჩუნა კაცი (მათ შორის შიო სიდამონიძის სიძე გოლა ყანთარელი) ისე დაცემულა ზნეობრივად, რომ მათი ცოლების თავხედი კუროები, მოთარეშე ლეკების მონა-მსახურნი გამხდარან. ქართველი მანდილოსნები (მათ შორის შიო სიდამონიძის ოჯახის წევრი, მშვენიერი თაფლო) ისე შეუპყრია ხორციელ ვნების ჟინს, რომ წუწკი ლეკების სამარცხვინო ხარჭებად ქცეულან. როგორი სიმშვიდით ტოვებს სიდამონიძის ქალი თავის მშობლიურ ქვეყანას და „ნაბიჭვარი“ ლეკებით თავმომწონედ მიემგზავრება უცხო მხარეში. ჩემთვის გასაგებია დაუოკებელი ვნების მოძალებით გამოწვეული ქალური სისუსტე თაფლოსი, მაგრამ სრულიად გაუგებარია მისი სულიერი დაძაბუნება, გადაგვარება-გალეკება და ამით თავის მოწონება. მოწინავე, განათლებული, გაელენიანი ქართული ოჯახიდან გამოსული ქალი ასე არ უნდა დაცემულიყო. „ნეიშნის ფიცის“ ავტორმა გაწირა თავისი გმირები, თაფლო და გოლა. ვთქვათ, ბუნებამ

დასაწყისში გოლა ყანთარელი, მაგრამ სულიერად ისე რამ წაახდინა ეს კაცი, რომ უდრტვინველად იტანს, როცა მის თვალწინ, მის ლოგინში გადამთიელი უტიფარი ლეკი ასე არხეინად ნებივრობს მის საკუთარ ცოლთან. გოლა არათუ შეურიგდა დამცირებას და სირცხვილის გრძნობა დაკარგა, არამედ იგი ამ ლეკის ნებას შემსრულებელი ყურმოჭრილი მონა-მსახურიც გახდა. ფიზიკური ქალაჩუნობა ასე თუ ისე კიდევ მოსათმენია (ეს კაცის უბედურებაა და არა დანაშაული), მაგრამ ზნეობრივი ქალაჩუნობა მხოლოდ ზიზღს იწვევს. სწორედ ასეთი ზიზღი გამოიწვია თოთხმეტმა ქალაჩუნამ ლეონ ბატონიშვილისა და მისი მხლებლების თვალში.

შემზარავი აპოთეოზით მთავრდება გოლას და თაფლოს ამბავი. ეს ამბავი, ჩემი ფიქრით, დისონანსს ქმნის „ნეიშნის ფიცის“ იდეურ-მხატვრულ სინამდვილეში. ყოველ შემთხვევაში, არც ამბავია ტიპური და არც მისი პერსონაჟები.

„ნეიშნის ფიცის“ ენა შედარებით სადაა და გამომეტყველი, ოღონდ არქაიზებულია, რაც თითქოს ეპოქის საერთო კოლორის შექმნას უნდა უწყობდეს ხელს. ავტორი გაურბის ენობრივი წარმოსახვის ორნამენტულობას და ენაწყლიანობას. მე მგონია, რომ რომანის სტილისათვის შეუფერებლად ჟღერს ზოგიერთი ენობრივი მასალა, მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორიცაა გრიმასა, პლანტაცია, ტიფი, პანიკა, დეპეშა, მოდური, მედიკამენტი... წიგნში ბევრია კორექტურული შეცდომა, მათ შორის, მძიმეც. განსაკუთრებით ითქმის ეს საკუთარსა და გეოგრაფიულ სახელებზე, მით უფრო, როცა ეს სახელები უცხოური წარმოშობისაა. ასე, თენედორის კუნძული (13), იგი სწორადაა, მეორეგან — „თენედოსის კუნძული“ (194). ავტორი ზოგჯერ ხმარობს გამოთქმას მემანდრი (124—126, 127, 176). ხან გვაქვს მამანდრი (269), ხანაც მემანდარი (126), ან მამანდარი (128, 268). ეს სპარსული სიტყვა (ნიშნავს მესტუმრეს) ქართული წყაროების მიხედვით გამოითქმის, როგორც მემანდარი, ან მამანდარი. სამთავისის წინამძღვარ-ეპისკოპოსი რომანში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება. სამთაველი (59, 324), სამთავისელი (335—336), სამთავნელი (429). ეს უკანასკნელი სწორია. წიგნშია რაყიმი (241), უნდა რაყამი; თოშარი (243) — უნდა თომარი; მიზანდარანი (274), უნდა მაზანდარანი; ხოროსანი (278), უნდა ხორასანი; პალეოლეგი (310), უნდა პალეოლოგი; აბიკური (293), უნდა აბიკურა; პროკლე დიოდორი (291), უნდა პროკლე დიოდოხოსი; ავიტა ბელა (309), უნდა ავიტაბილე და სხვ. ცალკე გამოსაყოფია სახელი ნადირ-შაჰი. ის შეიძლება ვიხმაროთ ასეთი ფორმითაც და შეკვეცილითაც — ნადირშა. ოღონდ, თუ სრულ ფორმას ვიხმართ, შეცდომა იქნება „გურჯისტანის ვალს ნ ა დ ი რ-შ ა ჰ ს მიწვევა გადასცა“. (176), უნდა „...ნ ა დ ი რ-შ ა ჰ ი ს მიწვევა გადასცა“. ანტონ კათალიკოსი ვერ იხმარდა ფორმას რუსთველი (295, 296). გარკვეული მოსაზრების გამო მან შემოიღო ფორმა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი.

ალ. კალანდაძის რომანში შეინიშნება კიდევ ზოგიერთი უსწორო (უზუსტო) გამოთქმა ან უბრალოდ ლაფსუსი. დავიმოწმებთ ზოგიერთ ნიშანდობლივ მაგალითს:

1. ანტონ კათალიკოსის ნაწერში ვერ იქნებოდა ნახსენები პეტროგრადი (356—357).

2. „ნეიშნის ფიცის“ მიხედვით, ანტონი ამბობს: „ხომ არ შევცოდე „მზამეტყველებაში“ „ჯოჯოხეთის ბჭენი“ რომ ვუწოდე?“ (310). „ჯოჯოხეთის ბჭენი“ უწოდა ანტონმა სულხან-საბას თხზულებას („სამოთხის ბჭენი“) „წყობილსიტყვაობაში“.

3. ახლა გარკვეულია, რომ „კატის ომის“ ავტორია ისაკ მცირე და არა ზაქარია გაბაშვილი (368).

4. თოთხმეტი წლის ანტონი ვერ დაეწაფებოდა „ყარამანიანის“ კითხვას (73), რადგანაც იგი გაცილებით გვიან ითარგმნა ქართულ ენაზე.

5. ბონავენტურას რად უნდა ეთარგმნა ანტონ კათალიკოსისათვის იოანე დამასკელის „წინამძღვარი“ (293), როდესაც არსებობდა ამ თხზულების ძველი თარგმანი.

6. მფარველობის სათხოვნელად რუსეთს მიმავალი ელჩები „ათი დღის შემდეგ სტეფანწმინდას იყვნენ გაბრიელ ყაზბეგისას“ (500). გაბრიელი ყაზბეგი გახდა გაცილებით უფრო გვიან. ამ დროს ის იყო ყაზიბეგის შვილი.

7. სწორი არ იქნება თბილისის ან თელავის სემინარიის მოსწავლეს ვუწოდოთ სტუდენტი (522—523). სემინარია არ ყოფილა უმაღლესი სასწავლებელი.

8. ანტონმა „შეიმუშავა კიდევ გორში უმაღლესი სასწავლებლის შექმნის პროექტი“ (522). ასეთი პროექტის ავტორი იყო იოვანე ბატონიშვილი (1768—1730), „ქალმასობის“ ავტორი.

9. საშინლად დამახინჯებულია რომანში მუსლიმანური აღმსარებლობის ძირითადი დოგმის არაბული ფორმულა (50), ქართულად რომ იქნება — „არა არს ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამედი წინასწარმეტყველი მისი“.

10. შიო სიდამონიძისა და ნინიას საუბარში აღნიშნულია: „ჩვენმა ტერ-ღუკასშვილმა ორი მილიარდი ოქრო შეიტანა თეირანის ბანკში“ (505). რაღაც უსაშველოდ ფანტასტიკური ციფრია დასახელებული. მილიარდის ნაცვლად, ალბათ, მილიონი უნდა თქმულიყო.

11. „ნეიშნის ფიცი“ ხუთი ნაწილისაგან შედგება. წიგნის საამისო ყველა მონაკვეთს აწერია ესა და ეს ნაწილიაო, მაგრამ ავტორს გამორჩენია პირველი ნაწილის აღნიშვნა.

„ნეიშნის ფიცში“ იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც, გვხვდება შეუფერებელი გამოთქმები, მაგალითად: „წმინდა ზიარება ფეხით გათელეს“ (59), „ხილს... საპნით ხეხავდნენ“ (261), „გემოვნებით დახუნძლული ბაღვენახები“ (57) და სხვ.

„ეპისკოპოსი, ანუ ხუცესი, ანუ დიაკონი, რომელ სიძვას ანუ ცრუფიცობასა, ანუ პარვასა დაეპყრას, — განიკვეთნენ (დაბეჭდილია — განიკვთენ) და ნუ უზიარებელ იქნებინ...“ (284). დამოწმებულ ნაწყვეტში ნუ ზედმეტია. სასჯელი უზიარებლობის განჩინებას აწესებდა და არა პირიქით.

მაინც, უზუსტობანი თუ ლაფსუსები სრულიად უმნიშვნელოა ამ დიდი მოცულობის წიგნში. „ნეიშნის ფიცი“ ქართული ბელეტრისტიკის საყურადღებო შენაძენია.

1977

ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი

ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა წამოიწყეს თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782—1846) და აკადემიკოსმა მარი ბროსემ (1802—1880). ბროსემ ქართული ენა შეისწავლა და ქართველოლოგიური შრომების ბეჭდვა დაიწყო ჯერ კიდევ საფრანგეთში, 1828 წლიდან. 1830 წელს ბროსემ კონტაქტი დაამყარა პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზთან. ამ დროიდან დაიწყო მათი მეგობრობა, რაც მხოლოდ თეიმურაზის სიკვდილმა შეწყვიტა. თეიმურაზი ეხმარებოდა ბროსეს რჩევა-დარიგებით, კონსულტაციით, ამარაგებდა მას საჭირო ლიტერატურით. 1836 წელს ბროსე აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად. მომდევნო 1837 წელს ბროსე გადმოსახლდა საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ პეტერბურგში. ამის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა თეიმურაზისა და ბროსეს თანამეგობრობა. ბროსე თეიმურაზს თვლიდა თავის მასწავლებლად, თავის თავს აღიარებდა თეიმურაზის მადლიერ მოწაფედ.

ბროსემ ცხოველი საქმიანი ურთიერთობა დაამყარა პეტერბურგელ ქართველებთან (პეტრე ქებაძესთან, დავით ჩუბინაშვილთან, ზაქარია ფალავანდიშვილთან...), თუ საქართველოში მოღვაწე სწავლულ პირებთან (პლატონ იოსელიანთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, დიმიტრი მეღვინეთუხუცესთან...). როგორც ცნობილია, დ. ჩუბინაშვილთან და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად ბროსემ 1841 წელს პეტერბურგში გამოსცა ვეფხისტყაოსანი თავისი შესავალი წერილით (ეს იყო ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდური გამოცემა. ამ გამოცემის სულის ჩამდგმელი უნდა ყოფილიყო თეიმურაზ ბაგრატიონი). ბროსეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია დ. ჩუბინაშვილის წარმატებანი ქართველოლოგიის დარგში და, ვფიქრობ, მისი რეკომენდაციით ჩუბინაშვილი 1844 წელს მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორად. ამგვარად, XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან ბროსე განაგრძობს ფრიად ნაყო-

ფიერ მოღვაწეობას მეცნიერებათა აკადემიაში, ხოლო ჩუბინაშვილი ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას უნივერსიტეტში, აქვეყნებს ლექსიკონებს, ქართული მწერლობის ქრესტომათიებს, მეცნიერულ ნარკვევებს.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრაზე დ. ჩუბინაშვილი 1872 წელს შეცვალა ალექსანდრე ცაგარელმა (1844—1929), მეცნიერებათა აკადემიაში კი ბროსეს გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი კარგა ხანს იყო ვაკანტური, ვიდრე იგი არ დაიკავა 1909 წელს ნიკო მარმა (1909 წელს მარი აირჩიეს აკადემიის ადიუნქტად, 1912 წელს — ნამდვილ წევრად).

ალ. ცაგარელი მუშაობდა ქართველოლოგიის ყველა სფეროში. ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასეულია მისი სამტომიანი «Сведения о памятниках грузинской письменности» (I, 1886; II, 1889; III, 1894); «Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае» (СПБ, 1888). 1873 წელს ცაგარელი წერდა, რომ ქართული მწერლობის შესწავლა ახლა იმყოფება იმ საფეხურზე, როცა შეუძლებელია რამდენადმე მაინც მეცნიერული იერის მქონე (განმაზოგადებელი) ნარკვევის შედგენა ქართული ლიტერატურის ისტორიაზე. მკვლევარი იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალში გახდებოდა შესაძლებელი ქართული მწერლობის ისტორიის შესაფერისი მიმოხილვის დაწერა. 1889 წელსაც ალ. ცაგარელი იმეორებდა თავის წინანდელ მოსაზრებას: „ქართული ლიტერატურის ისტორიის დამუშავება ახლა იმყოფება, ასე ვთქვათ ბიბლიოგრაფიულს ანუ სტატისტიკურ პერიოდში, ლიტერატურული მასალის ბეჯითი შეკრების, დამუშავებისა და კლასიფიკაციის ფაზაში; მხოლოდ მომავალში თუ მოხერხდება ქართული მწერლობისა და ლიტერატურის ძეგლთა მთლიანი, მწყობრი და სისტემური მიმოხილვა“ (Сведения, II, გვ. III—IV). თითქოს ცაგარლის საპასუხოდ მოსკოველმა სწავლულმა ალექსანდრე ხახანაშვილმა (1864—1912), რომელიც ლაზარაანთ სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობდა[1] და პრივატული წესით ქართული მწერლობის ისტორიის კურსს კითხულობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, 1895—1907 წლების მანძილზე ზედიზედ გამოაქვეყნა ოთხტომიანი «Очерки по истории грузинской словесности». რუსული კურსის საფუძველზე ალ. ხახანაშვილმა დაამუშავა და გამოსცა ორ ტომად მისი ქართული ვარიანტი — „ქართული სიტყვიერების ისტორია“. ხახანაშვილის ნარკვევებმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა და დიდი სამსახურიც გაუწია მოსწავლე ახალგაზრდობას, მაგრამ მათ ბევრი რამ აკლდა სისრულისა და სისტემურობის თვალსაზრისით. „ნარკვე-

[1] ალ. ხახანაშვილი ლაზარაანთ ინსტიტუტში ქართულ ფილოლოგიას მეთაურობდა ილია ოქრომჭედლიშვილის (1838—1898) შემდეგ.

ვებში“ მოიპოვებოდა ფაქტობრივი შეცდომებიც, რომ არაფერი ვთქვათ შეთოდოლოგიის მხრივ ჩამორჩენილობაზე. მაინც, ვიმეორებთ, ხახანაშვილის „ნარკვევებმა“ და ამავე ავტორის მრავალრიცხოვანმა წერილებმა, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე, მნიშვნელოვანი ამაგი დასდო ქართული მწერლობის პროპაგანდის საქმეს რუსეთსა და უცხოეთში.

ქართველოლოგია საზოგადოდ, კერძოდ კი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის შესწავლა, მაღალმეცნიერულ საფეხურზე აიყვანა ქართველოლოგთა პეტერბურგის სკოლის საყოველთაოდ აღიარებულმა მეთაურმა აკადემიკოსმა ნიკო მარმა (1864—1934). ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისი სამაგალითო ენერგიით, დაუღალავი შრომის უნარითა და აღფრთოვანებული მუშაობის სიფაქიზით, პროფ. ნ. მარმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“ („ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 10, ხაზი ავტორისაა — ა. ბ.). ივ. ჯავახიშვილი შემთხვევით კი არ ასახელებს ერთად ქართულ და სომხურ ფილოლოგიას. ნ. მარის ღრმა რწმენით, ქართული მწერლობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა მეზობელ კულტურულ ხალხებთან (ბიზანტიელებთან, სირიელებთან, არაბებთან, სპარსელებთან, სომხებთან, ალბანელებთან) მჭიდრო ურთიერთობის ვითარებაში. ამიტომაც ქართული როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის ისტორიის საკითხებს იგი ამ ხალხებთან ერთად იკვლევ-იძიებდა. ნ. მარი იყო ფართო პროფილისა და ფართო დიაპაზონის მეცნიერი-მკვლევარი. ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია მარის ის ნაშრომები, რომლებიც ქართული მწერლობის პრობლემებს განეკუთვნება. არ დარჩენილა ძველი ქართული მწერლობის არც ერთი საკვანძო, ან ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ნ. მარს არ შეესწავლა და არ გამოეკვლია. დიდზე დიდია ის ღვაწლი, რაც მარმა გასწია ქართული მწერლობის პირველხარისხოვან ძეგლთა შესწავლისა და მეცნიერული პუბლიკაციის მხრივ. ნ. მარის საერთოდ სამართლიანი მოსაზრებით, ქართული მეცნიერული ფილოლოგიის ფუძემდებელი აკადემიკოსი მარი ბროსე უფრო ემპირიული, აღწერილობითი ხასიათის მუშაობას ეწეოდა და გაურბოდა განზოგადებას („ბროსეს გონების მიმართულება არ იყო სინთეტიკური ხასიათისა“-ო). თვითონ მარს კი, პირიქით, სწორედ სინთეტიკურობა ახასიათებდა, დიდი ანალიტიკური ჭკუის პატრონი, იგი განზოგადების პრინციპული მოსარჩლე იყო, ყოველ ცალკეულ წვრილმან მონაპოვარსაც, ჩვეულებრივ, განზოგადებისა და ზოგადი თეორეტიკული დასკვნების მისაღებად იყენებდა (სხვა საქმეა, რამდენად სწორი იყო ეს

დასკვნები). ამასთან, ისიც დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ნ. მარი იმ-თავითვე სერიოზულ შეცდომებს უშვებდა არა მარტო საკუთრივ ენათმეცნიერების სფეროში. იგი დიდხანს მეტისმეტად დიდ როლს ანიჭებდა უცხოური შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობას, ე. წ. გავლენებსა და სესხებას ეროვნულ-ხალხურ საწყისებთან შედარებით. თავის ადრინდელ საკვლევაძიებო მეთოდს მარი უწოდებდა „რეალურ-ისტორიული კრიტიკის" მეთოდს, რომელიც ხშირად უბრალო ბურჟუაზიული ობიექტივიზმის ხასიათს ღებულობდა. გვიანდელ ნაშრომებში მარი უპირატესად ვულგარული მატერიალიზმისა და ვულგარული სოციოლოგიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობდა.

თუ ბროსე ძირითადად საქმიანობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში, ხოლო ჩუბინაშვილი და ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობდნენ, ნ. მარი ნაყოფიერად მოღვაწეობდა აკადემიაშიც და უნივერსიტეტშიც როგორც საკვლევაძიებო, ისე სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-ადმინისტრაციულ სარბიელზე.

დიდია ნ. მარის დამსახურება მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადების მხრივაც. მისი უშუალო მოწაფეები არიან ქართულთმცოდნეობის გამოჩენილი წარმომადგენლები: ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, იუსტინე აბულაძე, ვუკოლ ბერიძე, კარპეზ და ვარლამ დონდუები და სხვ. თუმცა პეტერბურგში არ უსწავლია, მაგრამ თავის თავს მარის მოწაფედ თვლიდა კორნელი კეკელიძეც. მარის დიდ გავლენას განიცდიდა მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში მარისავე სკოლის ამხანაგი და ბოლომდის ერთგული მეგობარი ექვთიმე თაყაიშვილი. მარის მოწაფეებმა ჩაუყარეს საფუძველი ახალი ქართული მეცნიერებისა და ეროვნული კულტურის იმ დიდებულ კერას, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტი ეწოდება.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ მარის დროიდან იწყება სპეციალიზაცია ქართველთმცოდნეობის შიგნით. თუმცა მარმა მოამზადა ფართო პროფილის ფილოლოგები, თითოეულ თავის მოწაფეს გარკვეული, უფრო ვიწრო სპეციალობა მიუჩინა (ჯავახიშვილი — ისტორიკოსი, ყიფშიძე და შანიძე — ენათმეცნიერები, იუსტ. აბულაძე — ლიტერატურათმცოდნე ირანისტი და ა. შ.).

ცალკეული პატრიოტი ენთუზიასტები სხვა საზოგადოებრივ-ეროვნულ საქმიანობასთან ერთად საკმაო ინტენსიურობით სწავლობდნენ და იკვლევდნენ ძველი ქართული მწერლობის საკითხებს რევოლუციამდელ საქართველოშიც. ამ რიგის მოღვაწეთა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: სოლომონ დოდაშვილი (1804—1836), პლატონ იოსელიანი (1809—1875), დიმიტრი ყიფიანი (1814—1887), დიმიტრი ბაქრაძე (1827—1890), პეტრე უმიკაშვილი (1838—1904), გიორგი წერეთელი (1842—1900), თედო ჟორდანია (1854—1916), ზაქარია ჭიჭინაძე (1854—

1933), მოსე ჯანაშვილი (1855—1934), იონა მეუნარგია (1852—1919), დავით კარიჭაშვილი (1862—1927), სერგი გორგაძე (1876—1927). ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეს დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენმა სახელოვანმა მწერლებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავგამოდებულმა მოღვაწეებმა: ილია ჭავჭავაძემ (1837—1907), აკაკი წერეთელმა (1840—1915), ვაჟა-ფშაველამ (1861—1915), ანტონ ფურცელაძემ (1839—1913), ნიკო ნიკოლაძემ (1843—1928), იაკობ გოგებაშვილმა (1840—1912), ივანე მაჩაბელმა (1854—1898).

ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობაზე და მისი შესწავლის საჭიროებაზე ხმა ამოიღო ჯერ კიდევ პირველმა ქართველმა „რაზნოჩინელმა" ფილოსოფოსმა და ჟურნალისტმა სოლომონ დოდაშვილმა, რომელმაც სოლიდური განათლება მიიღო პეტერბურგში. ს. დოდაშვილმა ერთმა პირველთაგანმა მოგვცა თავის დროისათვის საკმაოდ კვალიფიციური მიმოხილვა ქართული მწერლობის ისტორიისა — „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა" (სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათა, 1832, № 1, 2). ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციის ის სქემა, რომელიც შეიმუშავა ს. დოდაშვილმა, არსებითად გაიზიარეს ალ. ცაგარელმა, ალ. ხახანაშვილმა და კ. კეკელიძემ.

სანამ წერილობითი ძეგლების შესწავლა დაიწყებოდა, ჯერ საჭირო იყო ამ ძეგლების შეკრება, მოვლა-პატრონობა, საიმედოდ დაცვა, აღრიცხვა, სახელდახელოდ მაინც წესრიგში მოყვანა. ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა საეკლესიო კომიტეტი, ქართველთა შორის წერა-კითხვისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებანი (საეკლესიო მუზეუმი დაარსდა 1889 წ., წ-კ. საზოგადოება — 1879 წ., ს. ს. საზოგადოება — 1907 წ.). 1918 წ. საეკლესიო კომიტეტისა და წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მდიდარი ხელნაწერი ფონდები გადაეცა თბილისის უნივერსიტეტს, რამაც სათავე დაუდო „უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს". 1930 წლიდან ყველა ამ ფონდს თავი მოუყარეს საქართველოს მუზეუმში. დასასრულ, საბოლოო ბინა მათ მოიპოვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში. ძველ ფონდებს თანდათანობით ახალი კოლექციები ემატებოდა. ქართული ხელნაწერი ფონდების შევსება დღემდის გრძელდება. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა პირველი აღწერილობანი შეადგინეს თედო ჟორდანიამ (Описание Тифлисского Церковного Музея, I, II, 1902—1903) და მოსე ჯანაშვილმა (იგივე, ტ. III, 1908). ქართველთა შორის წ. კ. გ. ს. ხელნაწერების კატალოგის ავტორია დ. კარიჭაშვილი (თბ., 1905, 1911). წ. კ. კოლექციის დიდი ნაწილის ვრცელი მეცნიერული აღწერილობა მოგვცა ე. თაყაიშვილმა (Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения I (1902—1904), II (1906—

1912). ამჟამად თავისი უმდიდრესი კოლექციების სისტემურ აღწერილობას თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე ეწევა ხელნაწერთა ინსტიტუტი (გამოქვეყნებულია აღწერილობათა 20-ზე მეტი ტომი).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბეჭდურად გამოქვეყნდა ძველი ქართული მწერლობის რიგი მნიშვნელოვანი ძეგლი, მაგალითად, „საქართველოს სამოთხე“ — ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებათა დიდი კრებული, გამოცემა მიხეილ საბინინისა, კალმასობა, მოგზაურობანი სულხან-საბა ორბელიანისა, ტიმოთე გაბაშვილისა და იონა გედევანიშვილისა, შავთელისა და ჩახრუხაძის ოდები, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „დავითიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“, შემოკლებული თხზულებანი თეიმურაზ პირველისა, არჩილისა, ბესიკისა... განმეორდა ბაქარისეული ბიბლიის გამოცემა.

რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ვეფხისტყაოსანი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთათვის რუსთველის ვეფხისტყაოსანი იყო ისეთი სწორუპოვარი მხატვრული ძეგლი, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა კაცობრიობისათვის ქართველი ერის კულტურული მოწიფულობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში და ცხადი გაეხადა ყველასთვის, რომ ასეთ განათლებულ ერს შეუძლია იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით, მოიპოვოს ეროვნული და სოციალური თავისუფლება. შემთხვევითი არ არის, რომ XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მონაწილეობდა ვეფხისტყაოსნის სამაგალითო გამოცემის განსახორციელებლად. შედგა პოემის ტექსტის დამდგენი კომისია, რომელშიაც შედიოდნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ და დავით ერისთავები, პ. უმიკაშვილი, იონა მეუნარგია, ივანე მაჩაბელი და სხვ. კომისიას ჯერ გრ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა, შემდეგ ი. ჭავჭავაძე. გამოცემის დასასურათებლად მოიწვიეს გამოჩენილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი (1827—1906). თავსამკაულების გაკეთება მიანდვეს ცნობილ გრავიორს გრიგოლ ტატიშვილს (1838—1911), დამზადებული იქნა საგანგებო შრიფტი, ყდა. გამოცემის მთელი ხარჯი იკისრა ქართველმა ქველმოქმედმა მრეწველმა გიორგი ქართველიშვილმა (1827—1901). ასე შეიქმნა ვეფხისტყაოსნის ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა 1888 წლისა. თავის დროისათვის ეს იყო ტექსტის შედარებით საუკეთესო კრიტიკული გამოცემა, გარეგნული გაფორმებით კი ქართველიშვილისეული გამოცემა დღემდის პირველ გამოცემად რჩება. ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემა ქართველობის გონებრივი საუნჯისა და პოლიგრაფიული ხელოვნების ნიმუშია. ასეთ ამოცანებს უსახავდნენ მას ამ დიდებული საქმის მესვეურები. მიზანი წარმატებით შესრულდა. ბევრი საერთაშორისო გამოფენა დაამშვენა ქართველიშვილისეულმა ვეფხისტყაოსანმა. ამ გამოცემის საგანგებო ყდაში ჩასმული ერთი ცალი

ალ. ცაგარელმა საჩუქრად მიართვა ორიენტალისტთა VIII საერთაშორისო კონგრესის საპატიო თავმჯდომარეს შვეციისა და ნორვეგიის მეფეს ოსკარ მეორეს (კონგრესის სხდომები ეწყობოდა სტოკჰოლმსა და ქრისტიანიაში, თანამედროვე ოსლოში).

დიდი წარმატებით მიმდინარეობს ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა საბჭოთა პერიოდში. თუ ძველად, რევოლუციამდელ ხანაში, ქართული მწერლობის, ისე როგორც საზოგადოდ ქართველოლოგიის საკითხებს იკვლევ-იძიებდნენ ცალკეული პირები, ახლა ეს სახელმწიფოებრივ საქმედაა მიჩნეული და დაკისრებული აქვს დიდ კოლექტივებს, სპეციალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლების კათედრებს. კვლევა-ძიება ახლა წარმოებს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძვლებზე. მართალია, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე გადასვლა უმტკივნეულო არ ყოფილა მკვლევართა ძველი თაობისათვის. მოწინავე მეცნიერულ კრიტიკულ აზრს დიდი ბრძოლა დასჭირდა ანტიმარქსისტული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. რიგ შრომებში თავი იჩინა ვულგარულმა სოციოლოგიზმმა, ნიჰილიზმმა, კომპარატივიზმმა, კოსმოპოლიტიზმმა. მაგრამ ახალი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის საერთო გეზი იყო სწორი და ამან უზრუნველყო მისი ძირითადად ჯანსაღი განვითარება.

აღსანიშნავი ისიცაა, რომ საბჭოთა პერიოდში ფართოდ დაინერგა სპეციალიზაცია. „ყოვლისმცოდნეობამ“ თავისი დრო მოჭამა. ამანაც ხელი შეუწყო კვლევაძიების სწრაფ წინსვლას.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ — „გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი ძველი საერო მწერლობის შესწავლის საქმე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ“[1]. თუ ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში ასეთი დიდი მიღწევებია მოპოვებული, ამას მნიშვნელოვანწილად უნდა ვუმადლოდეთ თვითონ კ. კეკელიძის სამეცნიერო-შემოქმედებით მოღვაწეობას. სწორედ ჩვენ დროში, საბჭოთა პერიოდში გაშალა ფრთები კ. კეკელიძის სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ. კ. კეკელიძემ შემოიკრიბა მკვლევართა ახალი კადრები, აღზარდა, გაწაფა და ყველას თავისი მოწოდებისა და ცოდნის შესაფერისი უბანი მიუჩინა სამუშაოდ. რა თქმა უნდა, შეუნელებელი ენერგიით განაგრძობდნენ მოღვაწეობას ძველი თაობის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლებიც (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ს. გორგაძე, იუსტ. აბულაძე, ვ. ბერიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, თ. ბეგიაშვილი და სხვ.). სამწუხაროდ, უდროოდ გამოგვეცალნენ ხელიდან ახალი თაობის რიგი ნიჭიერი და ნაყოფიერი მკვლევარნი — ილია აბულაძე (1901—1968), გიორგი ჯაკობია (1895—1944), სოლომონ იორდანიშვილი (1898—1953).

1980

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1958, გვ. 19.

მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი

ამან მთელი არსებით შეიყვარა საქართველო.

ლორან ბროსე

მარი ბროსე აკადემიური ქართველოლოგიის ფუძემდებელია და მისი პირველი შესანიშნავი წარმომადგენელი. ბროსე იყო ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგის ნაყოფიერი მკვლევარი, ფართო მასშტაბის ისტორიკოსი და ფილოლოგოსი, უწინარეს ყოვლისა, ისტორიკოსი, რომელმაც ფილოლოგიის სფეროშიც დატოვა წარუშლელი ნათელი კვალი. ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერება ბროსეს დროს და შემდეგაც კარგა ხანს არ იყო დანაწევრებული ცალკეულ დისციპლინებად, მით უფრო ცალკეულ ვიწრო სპეციალობებად. როგორც ფილოლოგოსი, ბროსე იყო ფართო პროფილის ლინგვისტი (ქართული ენის მკვლევარი) და ქართული, ლიტერატურის ისტორიკოსი. ქართულთან ერთად ბროსე წარმატებით სწავლობდა სომხურს და, როგორც ნიკო მარი სამართლიანად ამბობს, მან დაუდო სათავე ქართულ-სომხურ ფილოლოგიას.

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის კომპლექსური შესწავლის მხრივ ბროსეს მოუხდა პირველი ხნულის გავლება და ნამდვილი ყამირის გატეხა. ამიტომაც, ბუნებრივად, განსაკუთრებით მის ადრინდელ ნაშრომებში შეიმჩნევა ცალკეული გულუბრყვილო მოსაზრებანი და აშკარა შეცდომები. მაგრამ განმაცვიფრებელია და აღტაცების გამომწვევი ის დიდი შრომა და საარაკო ენერგია, რაც ბროსემ მოახმარა ქართული კულტურის შესწავლის საქმეს. ბროსეს შრომების მოკლე ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც მისმა შვილმა ლორანმა (ლავრენტიმ) გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე პეტერბურგში 1887 წელს, ერთ დიდ ტომს მოიცავს.

ბროსე ეძიებდა, კრებდა, აგროვებდა, აწესრიგებდა და ერთგვარად ასისტემებდა სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ-ფილოლოგიურ მასალებს[1],

[1] მაგალითად, პეტერბურგის ყოფილი საზღვაო მუზეუმის (აწ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა განყოფილება) ქართულ ხელნაწერთა ფონდის უდიდესი ნაწილი შედგენილია და თავმოყრილია ბროსეს დროს და ბროსეს

აქვეყნებდა ამ მასალების აღწერილობებსა და ინდექსებს, ზოგჯერ მთელ ძეგლებსაც ბეჭდავდა დედნის ენაზე და ფრანგული თარგმანებით. ბროსე იყო მკვლევარი-შემკრებიც, ანალიტიკოსიც, სისტემატიზატორიც და სინთეტიკოსიც.

ქართული მასალების შესწავლა და მისი შედეგების პუბლიკაცია ბროსემ საფრანგეთში დაიწყო 1828—1830 წლებში. იგი თანდათანობით იფართოებდა და იღრმავებდა ქართულის ცოდნას. საგულისხმოა, რომ ვეფხისტყაოსნის ბროსესეული გამოცემისათვის შეთხზულ ლექსის ბოლოსიტყვაში თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა ბროსეს შესახებ „მცოდნე ქართველთ ენის“, რაც ადრესატს თავმდაბლობით ასე შეუცვლია „მზრუნველ ქართველთ ენის“.

პეტერბურგში გადმოსვლამდე ბროსეს შესწავლის ობიექტი იყო პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთი პირველი ქართული ძეგლი, რომელიც ბროსემ 1835—1836 წლებში შეისწავლა, განიხილა და ფრანგულ ენაზედაც გამოსცა, იყო „მირიანი“ (ნაწყვეტები უმალვე დაიბეჭდა ინგლისურადაც ლონდონში 1836 წელს). ბროსე სისტემატურად და ბეჯითად იკვლევდა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ორ ხელნაწერს, რომელთაც იგი იხსენიებს ხოლმე ლიტერებით E და F და რომლებიც შეიცავენ ვეფხისტყაოსნის ტექსტს, ერთი ვრცელ რედაქციას, მეორე — მოკლეს (ვახტანგისეულ რედაქციას). ბროსე იმთავითვე დაუკავშირდა პეტერბურგში მცხოვრებ სწავლულ ბატონიშვილ თეიმურაზს (1782—1846) და იმისგან ღებულობდა რჩევა-დარიგებას მისთვის საინტერესო მრავალრიცხოვან საკითხზე მუშაობისას ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა და მწერლობის სფეროში. 1830—1836 წლებში ბროსეს კონტაქტი თეიმურაზთან მიმდინარეობდა წერილობით, 1837 წლიდან (ბროსეს პეტერბურგში დამკვიდრების პერიოდიდან) ეს კონტაქტი მჭიდრო, ცოცხალ ურთიერთობასა და მეგობრობაში გადაიზარდა. საერთოდ, ფრანგი და ქართველი სწავლულების განუყრელი მეგობრობა, სულიერი ძმობა და საქმიანი თანამშრომლობა ჩვენი კულტურის ისტორიის დამამშვენებელი ფურცლებია.

თეიმურაზის „წერილი-სტატიები“ (რუსულიდან ორბელის სიტყვებია) ზოგჯერ ფრაგმენტული, ზოგჯერაც დასრულებული ნარკვევებია, რომლებიც მიმართულებას აძლევდა ბროსეს მუშაობას, საფუძვლად ედებოდა ფრანგი სწავლულის კვლევა-ძიებას, ხშირ შემთხვევაში კი ისინი თეიმურაზისავე სახელით ქვეყნდებოდა „ნუვო ჟურნალ აზიატიკში“.

წყალობით (Азиатский музей — Ленинградское отделение института Востоковедения АН СССР, Л., 1972, с. 475)

1837 წელს ბროსე აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ამ დროიდან იგი დასახლდა პეტერბურგში და ფართოდ გაშალა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა. გარდა თეიმურაზ ბატონიშვილისა, მან მჭიდრო კავშირი დაამყარა პეტერბურგელ და მოსკოველ ქართველებთან. საქართველოში მგზავრობის დროს (1847) კი ბროსეს ნაცნობთა და პატივისმცემელთა წრე გაიზარდა (პლატონ იოსელიანი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი...). ბროსეს კონტაქტები ჰქონდა ბევრ რუს და უცხოელ ორიენტალისტთან. მისი ახლო მეგობარი და თანამშრომელი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, დავით ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი). ბროსეს მუდმივი დამხმარე თანამშრომლები იყვნენ სიმონ (სიმონიკა) ტაბიძე (მწიგნობარი და მბეჭდავი), იოსებ ნაზაროვი და პეტრე ქებაძე (მწიგნობარ-გადამწერები).

მიმოხილვითი ხასიათის ამ ნარკვევში ჩვენ ვეხებით ბროსეს მოღვაწეობას მხოლოდ ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ფრანგი სწავლული ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ქართულ სასულიერო მწერლობას, სამაგიეროდ, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე შეუნელებელ ინტერესს იჩენდა საერო მწერლობის მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოღვაწეობის პირველ (საფრანგეთის) პერიოდში ბროსესთვის ძირითად ბაზას წარმოადგენდა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა და მისი ქართული ხელნაწერები[2]. ეს იყო პრაქტიკულად ხელმისაწვდომი მასალა. ბროსეს იმთავითვე მეცნიერული ცნობისმოყვარეობა აღუძრა ვეფხისტყაოსნის ცნობილმა სტროფმა:

> ამირან დარეჯანის -ძე მოსეს უქია ხონელსა,
> აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქვს რომელ.ა,
> დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
> ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრომელსა.

ბროსეს თეიმურაზ ბატონიშვილისათვის უთხოვია განმარტება ამ შაირში დასახელებული ძეგლებისა და მათი ავტორების შესახებ[3]. თეიმურაზსაც არ დაუყოვნებია და 1833 წლის თარიღით შესაფერისი პასუხი გაუცია (წერილები, გვ. 32—38). პეტერბურგში დამკვიდრების შემდეგ, ეტყობა, თეიმურაზს ბროსესათვის გადაუცია დამოწმებული ბიბლიოგრაფიული შაირის უფრო დაწვრილებითი ანალიზი. 1841 წლის სავარაუდებელი თარიღით თეიმურაზს ბროსესათვის მიუწერია: „გთხოვ, რომ ვეფხისტყაოსანის გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა, რომელიც მე განვმარტე, თ ქ ვ ე ნ ა

---

[2] ეს ხელნაწერები ახლა სანდოდ აღწერილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი (პარიზი, 1933).

[3] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბ., 1964, გვ. 108 (ქვემოთ ეს წყარო აღინიშნება შემოკლებით — წერილები).

გქონდეთ, თქვენთან შეინახეთ და, როცა მოიცლიდეთ, ფრანციცულად სთარგმნეთ, სხვას ნურავის მისცემთ: ჩემი ნება არ არის, რომ სხვას ვისმე მისცეთ, და ნახევარსაც განმარტებისას რას წამს შევასრულებ, იმასაც თქვენ მოგართმეე სათარგმნელად" (წერილები, გვ. 86). „წერილების" გამომცემელი ს. ყუბანეიშვილი ამის გამო საგანგებოდ შენიშნავს: „აქ უნდა იგულისხმებოდეს თეიმურაზის წერილი ბროსესადმი მიწერილი, რომელიც ჩვენს გამოცემაში მე-10 ნომრით არის დაბეჭდილი" (გვ. 118). შენიშვნა სწორი არ არის. დამოწმებულ შემთხვევაში თეიმურაზი გულისხმობს თავის ვრცელ ნაშრომს — „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა", რომელიც დაამთავრა 1843 წელს. თეიმურაზს „განმარტების" პირველი ნაწილი (პირველი ნახევარი) ბროსესათვის გაუგზავნია დაახლოებით 1841 წელს, „ნახევარსაც, რას წამს შევასრულებ, იმასაც თქვენ მოგართმევთო". „განმარტების" მთელი ტექსტი 1960 წელს გამოაქვეყნა გაიოზ იმედაშვილმა.

თავის ნარკვევებში ბროსე, ჩვეულებრივ, ავითარებდა თეიმურაზ ბატონიშვილის ნაფიქრ-ნააზრევს ქართული მწერლობის საკითხებზე. მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვანი კორექტივები შეჰქონდა მიწოდებულ ახსნა-განმარტებებში და თავის საინტერესო თვალსაზრისსაც გამოხატავდა. ამ მხრივ საყურადღებოა ბროსეს სპეციალური გამოკვლევა, რომელიც მან მიუძღვნა „ამირან-დარეჯანიანისა" და „დილარიანის" პრობლემას (ქართული რომანის „ამირან-დარეჯანიანის" განხილვა — „Analyse d : roman géorgien Amiran Darejaniani, (BSc, III, 1838, გვ. 1—14). „ამირან-დარეჯანიანის" შექმნის დროისა და ავტორობის თაობაზე ბროსე იმეორებს ტრადიციულ ცნობებს. ორიგინალური შეხედულება აქვს მას გამოთქმული ამ საგმირო-საფალავნო თხზულების ტექსტობრივ შემადგენლობაზე და ჟანრობრივ რაობაზე. ბროსე პეტერბურგში გაეცნო „ამირანდარეჯანიანის" ერთ ხელნაწერს, რომლის ძირითადი ნაწილი გადაწერილი იყო 1808 წელს ბერ-მონაზონ დიმიტრის მიერ, ორი თავი კი ამ ნუსხაში დამატებით შეუტანია და თავისი ხელით ჩაუწერია ბაგრატ ბატონიშვილს 1814 წელს. ეს ორი კარი შეიცავს ე. წ. ჯიმშერიანს ანუ ჯიმშერ დილარის შვილისა და ჯიმშერის შვილის არ-მოკლა ჭაბუკის ამბებს. თეიმურაზის განმარტების თანახმად, „ამირანდარეჯანიანი" „თ ო თ ხ მ ე ტ ი ზღაპარი არის, თითო ზღაპარს თითო კარი აქვს" (წერილები, გვ. 33; განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, თბ., 1960 გვ. 289). მაშასადამე, თეიმურაზი ჯიმშერიანსაც თვლიდა „ამირანდარეჯანიანის" ორგანულ ნაწილად. ცხადია, ამავე აზრისა იყო ბაგრატ ბატონიშვილიც, რომელსაც საგანგებოდ დაუმატებია მის ხელში მყოფი ტექსტისათვის ჯიმშერიანის ამბავი. მსგავს თვალსაზრისს ავითარებდა შემდეგ ქართული მწერლობის ზოგი ავტორიტეტული მკვლევარი (მაგალითად, 1924 წ. კ. კეკელიძე). ბროსეს განმაცვიფრებელი მეცნიერული ალღო გამოიჩინა, ტექსტის ენობრივ-სტილებ-

რიეი და იდეურ-შინაარსობრივი ანალიზის შედეგად დაასაბუთა, რომ ჯიმშერიანი არ არის „ამირანდარეჯანიანის“ ნაწილი (და არც დილარიანია), იგი ამ თხზულების გაგრძელებას, ინტერპოლაციას ან წაბაძვას წარმოადგენსო. ბროსეს ეს მოსაზრება შემდგომმა გაღრმავებულმა კვლევა-ძიებამ უცილობელი გახადა და დღეს იგი საყოველთაოდ არის აღიარებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში (ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 33—52).

თვითონ „ამირანდარეჯანიანს“ ბროსე თელიდა სარაინდო ჟანრის რომანად. თხზულებაში ასახული ფალავნობა და გმირობა მან შეუპირისპირა დასავლეთევროპული შუა საუკუნეების რაინდობას (Chévalerie) და მათ შორის ბევრი მსგავსება დაინახა. ბროსეს დაკვირვებით, „ამირანდარეჯანიანში“, ისე როგორც დასავლეთ ევროპის სარაინდო რომანებში, გამოხატულია მეფის (სიუზერენის) ერთგულების და თავდადებული სამსახურის იდეა, აგრეთვე ქალის კულტი. „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტური წარმოშობის თაობაზე ბროსე გადაჭრილ პასუხს ვერ იძლეოდა, თუმცა მისი ფიქრით, საგმირო-სათავგადასავლო ფანტასტიკური მოთხრობების კვალობაზე „ამირანდარეჯანიანი“ ასახავდა ქართველი საკარისკაცო რაინდული საზოგადოების სულისკვეთებას.

ბროსე მოკლედ შეეხო ქართული კლასიკური პერიოდის (მისი ტერმინოლოგიით „ოქროს საუკუნის“) დანარჩენ ძეგლებსაც. შავთელის „აბდულმესიანზე“ თეიმურაზისეული შეხედულების მიმდევარია. უცხოელი მეცნიერი დიდად აფასებდა „თამარიანის“ პოეტურ ღირსებებს. ამ სახოტბო ძეგლის ავტორად, წინააღმდეგ ტრადიციისა, ბროსე თელიდა შოთა რუსთველს, ე. ი. რუსთველი მას მიაჩნდა როგორც ვეფხისტყაოსნის, ისე თამარიანის ავტორად. საგულისხმოა, რომ ბროსეს ეს მოსაზრება ფრთხილად გაიმეორა ნიკო მარმა. ბროსეს ვარაუდი, წერდა მარი «представляется в высшей степени вероятным» (Древнегрузинские одописцы, 1902). „ვისრამიანის“ თაობაზე ბროსე ხელმძღვანელობდა თეიმურაზ ბატონიშვილის მითითებებით (წერილები, 5), ამ რომანს მეცნიერი თვლიდა ძლიერი ეროტიკული სიყვარულის გამომხატველ ნაწარმოებად. ავტორობას მიაწერდა სარგის თმოგველს. საინტერესო ისაა, რომ ბროსეს განზრახული ჰქონია „ვისრამიანის“ ფრანგულად თარგმნა. ამისათვის საგანგებოდ გადაუწერია მთელი თხზულების ტექსტი, ბროსე შედგომია კიდევაც თარგმნას 1851 წელს, მაგრამ ხელნაწერის მე-11 გვერდზე შეუწყვეტია მუშაობა და შემდეგ, როგორც ჩანს, მოუცლელობის გამო მას აღარ დაბრუნებია[4].

[4] რ უ ს უ დ ა ნ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962, გვ. 81.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ბროსე დიდი სიყვარულითა და გატაცებით დასტრიალებდა თავს შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანს: სწავლობდა, იკვლევდა, თარგმნიდა, ზრუნავდა მის მეცნიერულ გამოცემაზე.

ბროსე პირველი უცხოელია, რომელმაც ევროპას გააცნო ჩვენი სახელოვანი წარსული და ჩვენი აწმყო, ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურა, ამ კულტურის დიდება და მშვენება ჩვენი ვეფხისტყაოსანი. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ ბროსეს წინ უსწრებდა ევგენი ბოლხოვიტინოვი, რომლის წიგნი «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии» დაიბეჭდა პეტერბურგში 1802 წ. 1804 წელს გამოქვეყნდა გერმანული თარგმანი. ბოლხოვიტინოვის წიგნი რიგ უხეშ შეცდომას შეიცავს, მაგრამ საყურადღებო და სასარგებლო ინფორმაციასაც აწვდის მკითხველს ქართული კულტურის შესახებ, ამ წიგნმა გაუღვივა ბროსეს ინტერესი ქართულისადმი და ბიძგი მისცა მის შემდგომ მოღვაწეობას.

ბროსემ ჯერ კიდევ 1828 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი „ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა“ JA, I), რომელშიც ჩართულია ვეფხისტყაოსნის შინაარსი (ვრცელი რედაქციის მიხედვით). იმავე 1828 წელს ბეჭდავს პოემის დასაწყისი ამბის პროზაულ თარგმანს (NJA, II)[5]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბროსე სარგებლობდა ვეფხისტყაოსნის იმ ორი ხელნაწერით, რომლებიც დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ერთი ხელნაწერი, ბროსეს ლიტერით E, გადაწერილია 1702 წ. შემახაში ყაზაანთ ბეჟოას ქალის მიერ. ხელნაწერი შეიცავს პოემის ვრცელ რედაქციას. ტექსტი ძალზე წარყვნილია. მეორე ხელნაწერი, ბროსეს ლიტერით F, გადაწერილია 1811 წელს იოანე იალღუზისძის მიერ. მომდინარეობს პოემის ვახტანგისეული გამოცემიდან. თავისთვის სამუშაოდ ბროსეს გადაუწერია ყაზაანთ ბეჟოას ქალის ნუსხა. შეუდგენია ვარიანტები იოანე იალღუზისძის ხელნაწერის მიხედვით. ვეფხისტყაოსნის ბროსეული ხელნაწერი ამჟამად დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში — K 23. ჩვენს განკარგულებაშია ყაზაანთ ბეჟოას ქალის ხელნაწერის მიკროფილმი და ფოტოპირი. ვეფხისტყაოსნის თავისი სამუშაო ხელნაწერის გვერდებზე ბროსეს მიწერილი აქვს შესაფერისი ქართული შაირების ფრანგული (პროზაული) არგმანი. 1831 წელს ბროსე ბეჭდავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების თარგმანს და მთელი პოემის შინაარს (NJA, VII, 1831).

---

[5] ორივე დამოწმებული ტექსტის თარგმანის ნაწყვეტები გამოქვეყნებულია კრებულში — „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (I, თბ., 1976, გვ. 37—43; ქვემოთ ეს კრებული აღინიშნება შემოკლებით — რმლ.). ნაწყვეტები ფრანგულიდან გადმოთარგმნა ნუნუ ქადეიშვილმა.

თვითონ ბროსესეულ ხელნაწერს თავში მიწერილი აქვს: „ვეფხისტყაოსანი. ტარიელისა და ნესტანდარეჯანის მიჯნურობა, რუსთველისაგან. ფრანციცულად გარდმოთარგმანებული ბროსეტისგან, ჩყლბ (1832), პარიზს“[6].

ადრე ბროსე ვეფხისტყაოსანს ჩვეულებრივ უწოდებდა „ტარიელს“. 1828 წლის თარგმანის პოემა სწორად აქვს დასათაურებული — „L' homne à la peau de tigre“. მით უფრო საკვირველია, რომ ვეფხისტყაოსნის 1841 წლის ბროსესეული გამოცემა რუსულად დასათაურებულია, როგორც «Барсова кожа». ეტყობა ამ მხრივ თავისი როლი შეასრულა ბოლხოვიტინოვის წიგნმა, იქ პოემას სწორედ «Барсова кожа» ეწოდება. ტერმინ ვ ე ფ ხ ი ს გაგებაში ბროსე ბარსის, პანთერის, ლეოპარდის სასარგებლოდ იხრება. ფრანგი მეცნიერი წერს: „ვეფხისტყაოსანი ამბავია კაცისა, რომელსაც აცვია ვეფხვის, ავაზისა თუ ლეოპარდის ტყავი“ (რმლ, I, 65).

ბროსე ბევრს ცდილობდა ვეფხისტყაოსანი ფრანგულ ენაზე გადაეთარგმნა ღირსებისამებრ. მას შეუმუშავებია თარგმანის გარკვეული მეთოდიც. ბროსეს თანახმად, თარგმანი ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის შინაარსსაც და მისეულ სტილსაც, მაგრამ არ უნდა იყოს არც სიტყვასიტყვითი და არც მეტად თავისუფალი (რ. დოდაშვილი, გვ. 70). ყველაფრიდან ჩანს, რომ თავისი თარგმანი ბროსეს არ აკმაყოფილებდა. ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემის წინასიტყვაში ბროსე ერთხელ კიდევ აღნიშნავდა, „ფრანციცულად ვამზადებ“ ამ პოემის თარგმანსო და იმედს გამოთქვამდა, რომ ევროპაში მოუწონებდნენ ნამუშევარს. სამწუხაროდ, თავისი კეთილშობილური განზრახვა ბროსემ ვერ განახორციელა. მას მხოლოდ ადრინდელი, შავად შესრულებული თარგმანის ტექსტი დარჩა გაუჩალხავი და გაურანდავი (ინახება ლენინგრადში, მის არქივში). ბროსეს ადრინდელ, ნაწილობრივ გამოქვეყნებულ თარგმანს მადლიერი ქართველი საზოგადოება, ფრანგულის რიგიანად მცოდნე თეიმურაზ ბატონიშვილის სახით დიდი კმაყოფილებით შეხვდა (წერილები, გვ. 12).

ვეფხისტყაოსნის თარგმნის პარალელურად ბროსე სერიოზულად ფიქრობდა ქართული დედნის გამოცემაზე. ამისათვის თადარიგს იჭერდა. როგორც ვიცით, საკუთარი ხელით გადმოწერა პარიზის ვრცელი რედაქციის ხელნაწერი და შეუდგინა მას იქაური მეორე ნუსხის ვარიანტები. 1833 წლის 9 ოქტომბრის თარიღით თეიმურაზი წერდა ბროსეს: „ვეფხისტყაოსანზე თქვენ მიერი შრომა მოგეწერათ და აღბეჭდა... დიდად კმა-

---

[6] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები..., პარიზი, 1923, გვ. 43—45; რ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, მარი ბროსე, თბ., 1962, გვ. 69, 72; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, 1970, გვ. 74—77; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, შენიშვნები (რმლ, I, გვ. 410—411).

ყოფილება იქნებოდა ჩვენის ქართველებისათვის, რომ ვეფხის-ტყაოსანი დაიბეჭდოს ერთს წიგნათ“ (წერილები, გვ. 26). ეს განზრახვა მაშინ ვერ განხორციელდა, თუმცა ბროსეს გაუმზადებია ლითოგრაფიული გამოცემისათვის სასინჯი ერთი ფურცელი და უმალვე თეიმურაზისათვის უახლებია. თეიმურაზს იგი არ მოსწონებია და მორიდებით უცნობებია: „ვეფხისტყაოსანის დაბეჭდვას ლიტოგრაფიით ამ ხელზედ არ გირჩევ ამისათვის, რომ ვისაც ვაჩვენე თქვენგან გამოგზავნილი ფურცელი, დაიწუნეს. ჯერ ხანად იყოს დაყენებული, მანამ თქვენ აქ მოხვალთ, და მაშინ ვიფიქროთ, როგორცა სჯობდეს, ისე აღვასრულოთ“[7].

პეტერბურგში გადმოსვლის შემდეგ ბროსესათვის ერთი უმთავრესი საზრუნავი საქმე გახდა ვეფხისტყაოსნის გამოცემა. ეს გამოცემა განხორციელდა კიდევაც 1841 წელს. გამოცემის თავფურცელს აწერია: „ვეფხვის ტყაოსანი“, რუსულად «Барсова кожа». პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ პეტერბურღს სტანბაში სახელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა, 1841“. გამოცემა ეძღვნება თეიმურაზ ბატონიშვილს: „მათს უგანათლებულესობას ბატონიშვილს თეიმურაზს, საქართველოს მეფის გიორგის ძეს. უმდაბლესის პატივისცემისა, გულითადის მადლობისა, სამარადისო ერთგულებისა ნიშნად შევსწირეთ: დამბეჭდველნი ბროსეტ, ზაქ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინოვი“.

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა ჩვეულებრივ ბროსეს გამოცემად ითვლება. არსებითად ასეცაა. გამოცემა მომზადდა ბროსეს მოთაყვანებით, მან გაიღო წინასწარი ხარჯები, მის სახელზეა გაცემული ბეჭდვის ნებართვა, ბროსე იყო „ზედამხედველი აღბეჭდვისა“, ე. ი. ფაქტობრივი რედაქტორი. სხვა საქმეა, რომ 1841 წლის გამოცემაზე იღვაწა საკმაოდ დიდმა კოლექტივმა, დიდი წინასწარი სამუშაოც იქნა ჩატარებული. ჯერ იყო და შეადგინეს „პროგრამა“. პროგრამის ამოსავალი ძირითადი

---

[7] გურ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი (შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 408). 1841 წლის გამოცემას საყურადღებო ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა ს. ყუბანეიშვილმა ერთგან ის სქოლიოში შენიშნავს: „ა. კობახიძის ცნობით, ვეფხისტყაოსნის გამოცემა ლითოგრაფიულად ბროსეს ჯერ კიდევ 1834 წელს განუზრახავს, პარიზში ყოფნის დროს, და სანიმუშო ფურცელი თეიმურაზ ბაგრატიონისათვისაც გამოუგზავნია, მაგრამ უკანასკნელს არ ურჩევია ასეთი გამოცემა“ (გაზ. „კომუნისტი“, 1937, № 234, გვ. 4). არ ვიცით რა საბუთზეა დამყარებული აღნიშნული ცნობა“ (ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.), თბ., 1966, გვ. 45 შვ 84). ახლა ცხადია, თუ რა საბუთს ემყარებოდა ალ. კობახიძე. უნდა ვიცოდეთ, რომ ალ. კობახიძე თავის დროზე იყო ყოფილი საარხივო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდების მეცნიერი მცველი და მისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო, კერძოდ, ბროსეს კოლექციის მასალები.

პრინციპი ასეა გამოთქმული: „მიზეზნი ესე აღგვძურენ ჩვენ, რათა ახლად აღვბეჭდოთ ვეფხისტყაოსანი, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილნი, გარნა მეორედ გამართული ძველთა ჯელწერილთა თანა, რაოდენთაც შევიძლებთ პოვნასა საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა და მით მივახლებთ ნამდვილს“[8]. ვახტანგის გამოცემით ხელმძღვანელობას თეიმურაზი ადრეც ურჩევდა ბროსეს. საერთოდ თეიმურაზი უნდა ყოფილიყო პოემის ახალი გამოცემის ნამდვილი სულისჩამდგმელი და, ასე ვთქვათ, მთავარი კონსულტანტი[9]. საყურადღებო ისაა, რომ თეიმურაზს შეუდგენია 1841 წლის გამოცემის ბოლოსიტყვაობის ტექსტი ლექსად ბროსეს სახელით[10]:

მე გვარ-ტომობით ფრანცუზი ბროსეტ, მზრუნველ
ქართველთ ენის,
ესე წიგნი ღაწლით ჩემით აწ მეორედ დაიბეჭდა,
პირველ ვახტანგ მეფის ჟამსა, აწ პეტერბურღს კვლავ ვყავ მე ცდა.
ზოგნი ახლად ძველ ჯელ-წერილთ ვპოვე, იგიც ზედ დაჰბეჭდა,
მსახურება ქართველთა მსურს, ამას ზედა ვინა მეჭვდა.
კვლავ ფალავანდოვი ჩემთან და ჩუბინოვიც მოწველია.

ყველაფრიდან ჩანს, რომ თეიმურაზის შთაგონებითაა დაწერილი გამოცემის ბროსესეული წინასიტყვა, თუმცა ავტორი საგანგებოდ შენიშნავს: „ამ წიგნის დაბეჭდვაზე და საკუთრად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. ჩუბინოვმა გულითადი შემწეობა მაჩვენაო“. ალბათ, ასეც იყო. წინასიტყვა გვაგრძნობინებს დავით ჩუბინაშვილის იმ იდეების ანარეკლს, რაც ვეფხისტყაოსნის მესამე, 1846 წლის (ჩუბინაშვილისეული) გამოცემის შესავალ წერილშია გაშლილი. მაგრამ ბროსეს წინასიტყვაობას მკაფიოდ აქვს აღბეჭდილი თეიმურაზის „განმარტების“ ნაკვალევი.

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის რედაქციას საფუძვლად კი აუღია ვახტანგისეული ტექსტი, მაგრამ მას ბრმად არ მიჰყოლია. რედაქციას შეუკრებია და შეუსწავლია პოემის სხვადასხვა ხელნაწერები, შეუჯერებია ეს მასალა ვახტანგის გამოცემისათვის და შეუდგენია ვარიანტები (მიუხედავად ბროსეს ბეჯითი ცდისა, ვარიანტების დაბეჭდვა არ მოხერხ-

---

[8] ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი (წიგნში: საიუბილეო კრებული. კორნელი კეკელიძეს, დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, თბ., 1959, გვ. 249); ი. მეგრელიძე, გიორგი ავალიშვილი (წიგნში: რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 73—75.).

[9] გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა (შოთა რუსთველს. საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 270—276; შდრ. ოთარ ურიდია, ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 4, გვ. 23—40, სჯ. გვ. 39).

[10] ლილი ქუთათელაძე, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაზე დართული „ანდერძისათვის“ (მაცნე, 1970, № 5, გვ. 131—136).

და). თვითონ ვახტანგის ტექსტი რედაქციას კრიტიკულად განუხილავს. წინასიტყვაში ბროსე ამბობს: „ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდვილს ვეფხისტყაოსანში მრავალი ტიპოლრაფიული ცთომილებანი იპოვებოდნენ, ჩვენ გავასწორეთო“. ისიც უნდა ითქვას, რომ რედაქციის განკარგულებაში იყო ვახტანგისეული ნაბეჭდი ტექსტის გიორგი ავალიშვილისეული გასწორებული ცალი. ბროსეს რედაქციამ მკაცრად გააკრიტიკა ვახტანგისეული „თარგმანი“, „რომელიც ფრიად უშესაბამო და უხამსიაო“, ამიტომაც ეს „თარგმანი“ თავის გამოცემაში არ შეიტანა. 1841 წლის გამოცემის ტექსტს ახლავს დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი „მცირე ლექსიკონი“. ახალი გამოცემისათვის თეიმურაზის მიერ დაწერილი „ანდერძის“ ტექსტიც ბროსეს მისი გუნებისგვარად შეუსწორებია. ასე. როგორც ცნობილია, თეიმურაზის კონცეფციის თანახმად, შოთა რუსთველი უნდა ყოფილიყო ჰერეთის ერისთავი და შესაფერისად ჰერეთის რუსთავის ანუ ბოსტანქალაქის მფლობელი.

შოთა იშვა რუსთაველსა ქალაქსა შინა ქებული,
მას ბოსტან-ქალაქს უწოდენ, ძველთაგან იყო გებული.

ბროსე ამ ტექსტს ასწორებს მისი შეხედულების შესაბამისად:

შოთა იშვა სამეხეთოს დაბასა შინა ქებული,
მას რუსთავად უწოდებდნენ, ძველთაგან იყო გებული.

სხვაგანაც (იხ. რმლ, I, 65) ბროსე გარკვევით ამბობს, რომ რუსთველი იყო წარმოშობით „ახალციხის ახლო“ მდებარე რუსთავიდანო.

ბროსე სრულიად უმართებულოდ თვლიდა ანტონ კათალიკოსისა და ტიმოთე გაბაშვილის დამოკიდებულებას ვეფხიტყაოსნისა და მისი ავტორისადმი. 1841 წ. გამოცემის წინასიტყვაში ვკითხულობთ: „სასტიკი კრიტიკა რუსთველზე ანტონი კათალიკოზის მიერ სრულიად უსაფუძვლოა... და ეგრეთვე ტიმოთე მიტროპოლიტის მიერ, რომელიც თვის მიმოხილვაში ჰზრახავს რუსთველს“.

1841 წლის გამოცემის რედაქციისათვის ერთი მოავარი საკითხი ყოფილა საკითხი პოემის სტროფული შედგენილობის შესახებ. ამის თაობაზე თეიმურაზ ბატონიშვილი ჯერ კიდევ 1834 წლის 17 ოქტომბერს სწერდა ბროსეს პეტერბურგიდან პარიზში: „სრული ვეფხისტყაოსანი არის რიცხვით ათას ხუთას ოთხმოცდაცხრა სტიხი[11], როგორათაც ვახტანგ მეფისა დაბეჭდულსა ვეფხისტყაოსანში იხილვება... ვეფხისტყაოსნისა ამათს გარდა კიდევ რაოდენიმე სტიხნი ჩემის ოსტატის დავით ალექსის-შვილისაგან გაგვიგონია და ჩემს ვეფხისტყაოსანზედაც აწერია ვითომ ეს შემ-

[11] ნამდვილად ვახტანგის გამოცემაში 1587 შაირია, მაგრამ სათვალაში დაშვებული მექანიკური შეცდომის გამო ნაჩვენებია 1589.

დგომი ლექსი ვეფხისტყაოსანისა შოთა რუსთველისა ნათქომი იყოს, დაბეჭდვაში დარჩომოდესთ და ვეღარ ჩაეტანებინოსთ. ის ლექსნი... დიახ ძალიან გვანან ვეფხისტყაოსანის სტიხებს [მოყვანილია ტექსტები]. ეს ზემო ლექსები ძალიან მსგავსი არის რუსთველის სტიხებისა და იმ ადგილებშიაც ეტყობა, საცა უნდა ჩაიწეროს, რომ აკლია ეს სტიხები"[12].

ამავე წერილში თეიმურაზი ეხება ვეფხისტყაოსნის გაგრძელებების საკითხსაც და შენიშნავს: „ციციშვილი ყოფილა ერთი, ქართლის თავადთაგანი, იმას მეტი სახელი ნანუჩა რქმევია... იმას მოუგონია და თითონ გაუკეთებია ეგ ლექსები ვეფხისტყაოსანისათვის შეურთავს... ნანუჩა ციციშვილი, დიახ, კარგი კაცი ვინმე იყო, ღმერთმა აცხონოს, მაგრამ, დიახ, ცუდი პიიტიკოსი ბრძანებულა. და რაც რუსთაველს დაუწერია, ვეფხისტყაოსნისად ისი კმარა, იმას სხვა დამატებული არა ეჭირება რა. ომანიანი ზღაპარიც იმისგანვე არის მოგონებული" (იქვე, გვ. 408).

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის ყველა ინტერპოლაციას (და მათ შორის ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელებას — ომაინიანს) თეიმურაზი ხელაღებით ნანუჩას მიაწერს, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ბროსეს კომისიას გაუზიარებია თეიმურაზის მითითებანი, პოემაში შეუტანია დავით რექტორის მიერ რუსთველისეულად მიჩნეული ოთხი სტროფი (აქედან სამი — სტროფები 111, 554, 1514 — მიღებულია თანამედროვე ყველა კრიტიკულ გამოცემაში). ასევე უარუყვია კომისიას ნანუჩასეულად მიჩნეული დამატებანი. ბროსე წერს წინასიტყვაში: „ციციშვილი ყოფილა, ნანუჩად ზედწოდებული... რომელსაც მოუგონია და თვითონ გაუკეთებია სხვაგვარად ვეფხისტყაოსნის ბოლო... ამ ახალ დაბეჭდვილში არ ეგებოდა მათი დაბეჭდვა". ოღონდ მაინც შეუტანია თავის გამოცემაში დამოწმებულ ოთხ სტროფს გარდა კიდევ 46 სტროფი, რომლებიც ამოკრებილია პოემის ხელნაწერული მემკვიდრეობიდან (კომისიისათვის ეს ტექსტები მიუწოდებია პეტრე ქებაძეს[13]). ბროსეს სიტყვით— „მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და ვეფხვის-ტყაოსანსაც ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცი, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებეჭდა და იმიტომაც ჩავუმატეთ". ბროსე იმასაც შენიშნავს, რომ ეს შაირები პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკის ვეფხისტყაოსნის ძველ ხელნაწერშიც მოიპოვებაო. დასასრულ, რედაქტორი შემდეგ არგუმენტსაც იშველიებს: „ზემოხსენებულნი მომატებანი პირველი ჩვენ დაგვებეჭდეთ, ამიტომ რომ მრავალთა სწავლულთა ქართველთა მოეწონებოდათ, ძველ ჴელნაწერებშია იპოვებოდნენ, და ამის გარდა რაოდენნიმე მომწერნი ამ წიგნზე გვთხოვეს არ და-

---

[12] გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი, (გვ. 407).

[13] რმლ, I, გვ. 66.

ტ ე ე ბ ა მ ა თ ი“. ბროსე ერთ პრინციპულად საინტერესო და მართებულ მოსაზრებასაც გამოთქვამს ვეფხისტყაოსნის მეცნიერული გამოცემის თაობაზე: „თუ კიდევ როდისმე დაიბეჭდება ვეფხისტყაოსანი, ნანუჩას მომატებაც და სხვა რა ეკუთვნიან ამ წიგნს, თუ გინდ რუსთველისა არ იყოს, განხილვით უნდა დაიბეჭდოსო“. ბროსეს ეს ანდერძი განვახორციელეთ ჩვენ, როდესაც 1956 წელს გამოვაქვეყნეთ ვეფხისტყაოსნის სრული, ჩანართებიან-დამატებიანი ხელნაწერული ტექსტი[14].

ჩვენთვის დიდად ფასეულია ის მოსაზრებანი, რაც ბროსეს გამოთქმული აქვს ვეფხისტყაოსნის იდეურ-შინარსობრივი მხარის შესახებ ამ პოემის დაკვირვებული ანალიზის შედეგად. ბროსე დიდად განათლებული და ერუდირებული ევროპელი სწავლული იყო, რომელიც კარგად იცნობდა ანტიკურ, შუასაუკუნეობრივ და ახალი დროის მსოფლიო მწერლობას. იგი ვეფხისტყაოსანს იხილავდა სწორედ მასშტაბურად, მსოფლიო მწერლობის პოზიციიდან. ბროსეს ხიბლავდა ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული ღირსებანი და ავტორიტეტულად აცხადებდა პოემის თავისივე გამოცემის წინასიტყვის პირველ აბზაცში (ეს წინასიტყვა წარმოადგენს ვეფხისტყაოსანზე ფრანგი მეცნიერის ხანგრძლივი კვლევა-ძიებითი მუშაობის შემაჯამებელ შედეგს): „რამთონჯერაც ზედიზედ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს, იმთონი უფრო და უფრო მოგვწონს, მიზეზი ამისი არის, — პირველად, ზღაპრის (ე. ი. ამბის, სიუჟეტის, — ა. ბ.) ტურფა-თხზულება, შაირების კეთილ-ხმიანობა, სიტყვა-სიტყვით ენა-მჭევრობა, ჰაზრების მშვენიერად დაწმახნვა და ჰეშმარიტების მაღალი ფილოსოფიური მხატვრობა. მეორედ, ქმა-საყოფელი აღწერა რუსთველის მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა. ამით ვამტკიცებ, რომ წიგნი ესე ქართულს ენაზე უებრო და უამხანაგოა, და თვით ევროპაშიაც მისი უმჯობესი მრავალი არ იპოვება“.

ბროსე თავის პირველ (1828 წლის) წერილშივე აღნიშნავდა, რომ ვეფხისტყაოსანი „დიდ ინტერესს იწვევს მდიდარი და მრავალფეროვანი სტილით, რაინდული თავგადასავლებით და, რაც მთავარია, მიმზიდველი სიახლით“ (რმლ, I, 38). 1830—1837 წლებში ბროსემ გამოაქვეყნა იმ დროის კვალობაზე შესანიშნავი ვრცელი ნარკვევი სამ ნაწილად — „გამოკვლევანი ქართული პოეზიის შესახებ“ (NJ, V, VI, VII; რმლ, I, 43—58.) აქ ბროსე ამბობს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი „ყოველ აზრს ბრწყინვალე სიტყვებითა და სახეებით გადმოსცემს“, „ეს მშვენიერი ნაწარმოები (ე. ი. ვეფხისტყაოსანი, — ა. ბ.) მეტწილად სტილით ბრწყინავს და მკითხველსაც სწორედ ამით ანიჭებს სიამოვნებას“. ბროსე ახასიათებს პოემის პერ-

[14] ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი გაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლ. ყუბანეიშვილმა, რედაქტორი ალ. ბარამიძე, თბ., 1956. ადრე, 1913 წელს, ანალოგიური, ოღონდ არასრული, გამოცემა განახორციელა ს. კაკაბაძემ.

სონაუებს, თვლის, რომ უმთავრესი გმირები არიან ტარიელი და ნესტანდარეჯანი, რომ პოემა გამოხატავს ამ გმირების წმინდა სიყვარულს, თუმცა ასკვნის, რომ „პოემის მიზანია დახატოს სამი კეთილშობილი რაინდის მეგობრობა“.

ბროსემ გადაჭრით შენიშნა, რომ „ესე ამბავი სპარსული“ რუსთველმა ერთგვარი ეგზოტიკური მოსაზრებით შემოიტანა პოემაში, „ამით სურდა მეტი ფასი მიეცა თავისი წიგნისათვისო“. თორემ არსებითად ვეფხისტყაოსანი ასახავსო ქართველთა ზნეობრივი ცხოვრების სინამდვილესო. ბროსეს ფიქრით, ვეფხისტყაოსანი (ტარიელის ამბავი) მხოლოდ „გარეგნულად“ არის ინდური ამბავი, სახელების მიხედვით — სპარსული, ხოლო სხვა დანარჩენი ნიშნებით ქართულიაო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბროსეს თანახმად, ვეფხისტყაოსანი ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებია, ფაბულური ამბავი უცხოეთშია გადატანილი და ზოგიერთ პერსონაჟს შესაფერისად უცხოური სახელი აქვს შერქმეული, „სხვა დანარჩენი ნიშნებით“ კი, ე. ი. შინაარსით, იდეებით, ზნეობრივ-ეთიკური მრწამსით, ყოფა-ცხოვრებით, ანუ მთელი თავისი სულით (თუ სულისკვეთებით) უაღრესად ორიგინალური ქართული ნაწარმოებია. ეს შესანიშნავი დასკვნები ბროსემ პოემაზე დაკვირვებით გამოიტანა მანამ, სანამ ის კონტაქტებს დაამყარებდა თეიმურაზ ბატონიშვილთან თუ სხვა რომელიმე ქართველ სწავლულთან. სწორედ ბროსემ დაუდო სათავე ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ალეგორიულობის გავრცელებულ კონცეფციას. ეს მისი საკუთარი ორიგინალური სიტყვაა რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში.

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაში ბროსე ძირითადად ავითარებს და აღრმავებს თავისსავე ადრინდელ კონცეფციას რუსთველოლოგიურ საკითხებზე, აკონკრეტებს და აზუსტებს ამ კონცეფციის ზოგიერთ მომენტს აწ უკვე პეტერბურგელი ქართველი სწავლულების (თეიმურაზ ბატონიშვილის, დავით ჩუბინაშვილის, გიორგი ავალიშვილის...) დახმარებითა და ხელისშეწყობით. წინასიტყვაში ბროსეს უწერია: „თუმცა მოახსენებს რუსთველი, რომ ვეფხვისტყაოსანი პირველ იყო სპარსულად... მაგრამ ნათლად ჰსჩანს, რომ თვით შეუთხზავს ზღაპარი (ე. ი. ამბავი, — ა. ბ.) ესე... შეთანხმებითა საქართველოს მოთხრობისათა... ხვარაზმშაჰის ძის ნესტანდარეჯანზე გამიჯნურების ამბავი — ვინ არ მიხვდება მოსულასა ხორაზმშაჰისა ტფილისს და თხოვნა თამარ მეფისა ცოლად... და უსაცილოდ სხვანიცა მოქმედნი პირნი ვეფხისტყაოსნისა თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“. რუსთველის პერსონაჟების ხასიათის თაობაზე ბროსე აქაც იმეორებს: „გარნა გმირების ზნეობა, ყოფაქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა, — უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთის სიტყვით ესთქვათ, სრულს მათს ხარაკტერს გამოგვიხატვენ“.

ბროსეს თვალსაზრისით, ვეფხისტყაოსნის სამი სახელოვანი (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი) „თვითო მოქმედი პირი უნდა იყოს თვითო რაჲსამე იდეასი წარმომადგინებელი, როგორც, მაგალითად, ჰომერის ილიადაშიო". კონკრეტულად „თინათინ და ავთანდილ წარმოადგენენ მარტივსა სიყვარულსა, ფატმან ბედითს მიჯნურობასა, ფრიდონ და ასმათ გულითადს მეგობრობასა, ტარიელ და ნესტან-დარეჯან ფრიადსა სიყვარულსა, ან, უფროს ვთქვათ, მომატებულის მიჯნურობის მაგალითსა". ბროსე საბუთიანად ამტკიცებს, რომ რუსთველის პოემა სრულიადაც არ ჰგავს „ამირანდარეჯანიანსა" და მის მსგავს თხზულებებს („ყარამანიანს", „მირიანს") თავიანთი წრესგადასული ფანტასტიკურ-დაუჯერებელი ამბებით და მსუბუქი („ლაღი") სიყვარულის გრძნობით. ვეფხისტყაოსანი მაღალიდეური, მაღალზნეობრივი იდეალების გამომხატველი უბადლო („უებრო") ნაწარმოებიაო, რომელიც უზომო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს საქართველოს ყველა კუთხეშიო. მით უფრო მოურიდებლად კიცხავს უცხოელი მეცნიერი ვეფხისტყაოსნის უარისმყოფელთ (ანტონ კათალიკოსს, ტიმოთე გაბაშვილს, სამღვდელოებას).

ცხადზე უცხადესია, რომ უარისმყოფელთა კრიტიკით ბროსე გამოხატავს მისდროინდელი მოწინავე საზოგადოების საერთო გულისთქმას.

ბროსე სულ მოკლედ და ძირითადად ტრადიციაზე დამყარებით გადმოსცემს რუსთველის ბიოგრაფიას. ამისი განმეორება აქ ზედმეტი იქნებოდა.

ბროსეს ზოგადად მიმოხილული აქვს XV—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობაც[15]. ვრცლად არჩევს „დავითიანსა"[16] და „რუსუდანიანს"[17]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ XV—XVIII საუკუნეების მწერლობას იგი უწოდებს „აღორძინების დროის" მწერლობას. „რუსუდანიანს" ფრანგი მეცნიერი დიდად აფასებს, როგორც საქართველოს ისტორიული სინამდვილისა და ქართველთა ზნეობისა და ყოფაცხოვრების ამსახველ ნაწარმოებს. თუმცა იმასაც ამბობს, რომ ყოველივე ეს მოცემულია ფანტასტიკური მოთხრობების საშუალებითო. დაწერილიაო საუცხოო ენითა და სტილით, კომპოზიციურად მტკიცედ არის შეკრული და აგებულებით „ამირანდარეჯანიანს" ჰგავსო. „რუსუდანიანის" შექმნის თარიღად XV ს. შუა წლების სასარგებლოდ იხრება. საგანგებოდ აღნიშნავს თხზულების ლექსიკის სიმდიდრეს. ზოგი რამ ამ ლექსიკიდან სულხან-საბასაც არ აქვსო. გაკვრით იხსენიებს ბროსე აღორძინების პერიოდის ისეთ მწერლებს, რო-

---

[15] Взгляд на историю и литературу Грузии (ЖМНП, XIX, СПб., 1838. г.; „De la littérature romanesque géorgienne (Bulletin de l'Acad, XXIV, 1878). ამისი ვრცელი ანოტაცია აქვს ლორან ბროსეს თავის ცნობილ ბიბლიოგრაფიაში, № 264, გვ. 504—508.

[16] Взгляд, გვ. 317—334.

[17] აკადემიის ბიულეტენი, XXIII, 1877; ლორან ბროსე, გვ. 503—504; რ. დ ო დ ა შ ე ი ლ ი, გვ. 90—93.

გორიც იყვნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ VI (ამას ანტონ კათალიკოსი თუ მისწვდებაო), სულხან-საბა ორბელიანი, ბესიკი, ბატონიშვილები, განსაკუთრებული მოწიწებით წერს თეიმურაზ ბატონიშვილზე, საჯაროდ აღიარებს მას თავის მასწავლებლად. თავის ნარკვევებში არაერთგზის ეხება ვახტანგის, როგორც ისტორიკოსის, ღვაწლს. ხშირადვე ლაპარაკობს სულხან-საბას ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობაზე. სხვათა შორის ასე თარგმნის ფრანგულად „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის სათაურს: „Le livre de la sagesse et de la malice“ (ე. ი. წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა). ბროსემ შესანიშნავი ცნობები გამოაქვეყნა „ქილილა და დამანას“ შესახებ. ამან ჩვენ საშუალება მოგვცა გამოგვეკვლია და გადაგვეჭრა მსოფლიო მნიშვნელობის ამ ლიტერატურული ძეგლის ქართული ვერსიების რთული საკითხები[18].

ბროსეს გარკვეული ინტერესი გამოუწვევია XVII საუკუნის მელექსის ფეშანგის პოემა „შაჰნავაზიანს“. ეს ინტერესი უფრო იმან შეაპირობა, რომ „შაჰნავაზიანი“ ისტორიული პოემაა და ბროსე მას განიხილავდა, როგორც საისტორიო წყაროს. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ „შაჰნავაზიანის“ ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ხელნაწერი 1848 წელს, ბროსეს საქართველოში ყოფნის დროს, მას უსახსოვრა ცნობილმა კოლექციონერ-მწიგნობარმა, სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა. ამჟამად ეს უნიკალური ნუსხა დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდის ბროსეს კოლექციაში.

ბროსეს გამოქვეყნებული აქვს „შაჰნავაზიანის“ შინაარსი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნებით[19].

ბროსეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია საგმირო-ეპიკური ხასიათის თხზულებები — „ომაინიანი“, „ბარამიანი“ (— გალექსილი „ბარამგულიჯანიანი“), „ყარამანიანი.“ ბესიკს მკვლევარი პირველ ადგილს უთმობს ერეკლე მეორის, როგორც თვითონ ამბობს, მრავალრიცხოვან პოეტთა შორის. ხაზს უსვამს ბესიკის ლირიკის სინაზესა და მგრძნობელობას, მისი სატირა კი მწვავეა და გესლიანიო. ბროსემ ფრანგულად გადათარგმნა ბესიკის პოეტური შედევრი — „სევდის ბაღს“.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ბროსემ დავით გურამიშვილის მიმართ (Взгляд..,. გ. 317—334). უცხოელი მეცნიერი, რა თქმა უნდა, ცდებოდა, როდესაც გურამიშვილს არ მიიჩნევდა „პირველი რანგის“

---

[18] ალ. ბარამიძე, ანყარი სოჰაილის ანუ. ქილილა და დამანას ქართული ვერსიები (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945, გვ. 237—372; VI, 1975. გვ. 158—254).

[19] ლორან ბროსე, ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, გვ. 261—262, 343; „შაჰნავაზიანი, გორგი ლეონიძისა და სოლ. ირრდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935, გ. ლეონიძის შესავალი წერილი.

პოეტად, თუმცა კი თვლიდა, „ფილოსოფიური სიღრმით“ მოაზროვნე შემოქმედად და მაღალი ზნეობის მქადაგებელ პოეტ-ისტორიკოსად. ბროსეს ხიბლავდა გურამიშვილის პოეზიის რელიგიური მგზნებარება, მსუბუქი იუმორი, სტილის საკვირველი უბრალოება და ვერსიფიკაციული ნაირფეროვნება. ბროსეს მთელი სისრულით აქვს გადმოცემული გურამიშვილის ცხოვრების ანალები, რაც მის ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსებშია აღბეჭდილი. ასევე დაწვრილებით გვთავაზობს „დავითიანის“ ისტორიული ნაწილის შინაარსს. ბროსე აღტაცებით წერს „ქაცვია მწყემსის“ „(მხიარული ზაფხულის“) პოეტურ ხიბლზე, თუმცა „მამის შეგონება“ ცივ რეზონერობად ეჩვენება. საგულისხმოა, რომ „ქაცვია მწყემსის“ რიგ პასაჟში ბროსემ მართებულად ამოიცნო პოეტის ავტობიოგრაფიული ფაქტები.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბროსეს ფრანგულად გადაუთარგმნია ილია ჭავჭავაძის „ქაცია, ადამიანი?“[20]

...ასოთხმოცი წელი გავიდა მარი ბროსეს დაბადებიდან (ასორი — გარდაცვალებიდან). ამ უცხოელმა ქალმა მთელი თავისი ანთებული მგზნებარე გულით შეიყვარა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი კულტურა, ჩვენი ხალხი. ორმოცდაათ წელზე მეტი იღვაწა ჩვენი ენის, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ისტორიული წარსულის სამაგალითო მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესასწავლად. ამ შესწავლის დიდად შთამბეჭდავი შედეგები გააცნო ევროპელ მკითხველს. ბევრ უცხოელს შეაყვარა ბროსემ ჩვენი ქვეყანა, ბევრს აღუძრა სურვილი უფრო ახლო გასცნობოდა ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს. მარი ბროსეს ღვიძლი შვილი ლორან (ლავრენტი) ბროსე გულწრფელად აღიარებს: „მან (მამამისმა ა. ბ.) მთელი არსებით შეიყვარა საქართველო და ქართველები... საქართველოსადმი თავისი სიყვარული მან მე გადმომცა და მიანდერძაო“. მადლიერი ქართველი ხალხიც ღირსებისამებრ უზღავდა და უზღავს ამ უანგარო სწავლულს და უკეთილშობილეს ადამიანს თავის ნამდვილად საშვილიშვილო ამაგს. ბროსეს სახელი, ბროსეს ღვაწლი, ბროსეს კაცურკაცობა უკვდავია ჩვენი ერის ხსოვნაში.

1982

[20] ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძის „ნარკვევები“, V, თბ., 1971, გვ. 319—320; იგივე VI, 1978, გვ. 295—296.

აკაკი გაწერელია

(დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო)

აკაკი გაწერელია სტუდენტობის დროიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მუყაითობითა და შრომისმოყვარეობით. წერა და ბეჭდვა ადრე დაიწყო, იმთავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება და სახელი მალე მოიხვეჭა. ახლა იგი გამოჩენილი მკვლევარია, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, ლექსთმცოდნე, კრიტიკოსი და ბელეტრისტი (ნოველისტი). ა. გაწერელიას კვლევის სფერო ძალიან დიდი და ფართოა. იგი თანაბარი ინტერესითა და გატაცებით იკვლევ-იძიებს როგორც ძველი, ისე ახალი და თანამედროვე ქართული მწერლობის საჭირბოროტო საკითხებს. საერთოდ, იშვიათია ისეთი ფართო დიაპაზონის ერუდირებული მკვლევარი, როგორიც ა. გაწერელიაა. თქმულს ისიც უნდა დავუმატო, რომ ა. გაწერელია წარმატებით სწავლობს რუსული და დასავლეთ-ევროპული მწერლობისა და კრიტიკული აზრის ისტორიას. ამ პატარა ნარკვევში მე მოკლედ ვეხები ა. გაწერელიას ღვაწლს მხოლოდ ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის სფეროში.

ა. გაწერელია მრავალრიცხოვანი შრომის ავტორია. ამ შრომების უმრავლესობა თავმოყრილია მის წიგნებში — „ქართული პოეტიკის საკითხები“ (თბ., 1938), „რჩეული ნაწერები“ (თბ., 1962), „რჩეული ნაწერები სამ ტომად“ (ტომი პირველი, თბ., 1977; ტომი მეორე, თბ., 1979), ცალკე აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები — „ქართული კლასიკური ლექსი“ (თბ., 1953), „ქართული ლექსი“ (მეორე გამოცემა, თბ., 1955) და „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1974).

ა. გაწერელიას პირველ წიგნში — „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“ — შესულია ავტორის შრომები XV—XVIII საუკუნეების ანუ ქართული მწერლობის ე. წ. აღორძინების პერიოდის საკითხებზე (თეიმურაზ პირველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი). ეს შრომები მოხვდა აგრეთვე ა. გაწერელიას პირველ, დიდტანიან „რჩეულ ნაწერებში“ (თბ., 1962). წიგნის სათაური — „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“ — გარკვევით მიგვანიშნებს მის საერთო ხასიათზე. ავტორს საგანგებოდ შეუსწავლია და შესაფერისად გაუანალიზებია დამოწმებული მწერლების შემოქმედების პოეტურ-მხატვრული და ენობრივ-სტილის-

ტური მხარეები. ესაა წიგნის სიახლე და დიდი ღირსება. რა თქმა უნდა, ა. გაწერელია არ გაურბის, მეტიც, საპატიო ადგილს უთმობს, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კვლევა-ძიებას. ასეთია, მაგალითად, „მასალა ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის“, რომელიც ჯერ „მნათობში“ დაიბეჭდა (1957, № 12; 1958, № 1; იგივე, რჩეული ნაწერები, 1, 1962, გვ. 467—509). სამწუხაროდ, ეს საინტერესო ნარკვევი ავტორს არ დაუმთავრებია. შესანიშნავია ა. გაწერელიას წერილები „ლეონარდო და ვინჩი და სულხან-საბა ორბელიანი“, „ისევ საბას „მთიელი და კაკლის ხის“ გამო (რჩეული, 1962, გვ. 441—455, 456—457). მკვლევარი მახვილგონივრულად ადგენს სულხან-საბა ორბელიანის ორი იგავის („მთიელი და კაკლის ხე“, „სადაფი და კირჩხიბი“) სიუჟეტურ პარალელს მსოფლიო ლიტერატურაში, კერძოდ, ავტორმა მოუძებნა უცდომელი პარალელი სულხან-საბას „სადაფსა და კირჩხიბს“ ლეონარდო და ვინჩის იგავების წიგნში, გამოიძია მათი საერთო წყარო ბიზანტიური მწერლობის ისტორიიდან — ბასილ კესარიელის „ექუსთა დღეთათვის“. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების საერთო შეფასება მოცემულია ა. გაწერელიას ნარკვევში «Мудрость таланта» (Литературная Грузия, 1959, № 10).

ა. გაწერელიას ინტერესთა ცენტრში ყოველთვის იყო და არის რუსთველოლოგიური და არეოპაგიტული პრობლემები. არეოპაგიტული პრობლემა ბუნებრივად ერწყმის პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთულ საკითხს.

ჯერ პეტრეს ცხოვრების შესახებ.

ჩვენ დრომდის მოღწეულია პეტრე იბერის, ანუ პეტრე ქართველის (409/412—491) „ცხოვრების“ მოკლე, გავრცობილი და სვინაქსარული რედაქციები. ყველა ესენი ახლა გამოქვეყნებულია:

1. ცხოვრება პეტრე იბერისა, ქართული დედანი გამოსცა, რუსულად თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ნიკო მარრმან. სანკტპეტერბურგი, 1896.

2. ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისაჲ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, II, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967).

3. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ პეტრე ქართველისა. გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, რედაქტორი კ. კეკელიძე (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946).

4. ცხოვრება პეტრე იბერისა, სვინაქსარული რედაქცია (ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, IV, 1968, ენრიკო გაბიძაშვილის რედაქციით, თბ., 1968).

პირველი ცნობა პეტრე იბერის ცხოვრების ქართული რედაქციის თაობაზე გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანმა 1849/1850 წლებში. „ცხოვრე-

ბის“ მისივე თაოსნობით გადაწერილი ნუსხა პ. იოსელიანს 1838 წელს გადაუგზავნია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისათვის. მის ხელთ არსებული მასალების კვალობაზე პ. იოსელიანი ამბობს, რომ „პეტრეს ცხოვრება“ შეუთხზავს წმიდანის მოწაფეს, ვინმე ზაქარია ქართველს სირიულ ენაზე. სირიულიდან იგი ქართულად უთარგმნიაო ვიღაც მღვდელ მაკარის (Жизнеописание святых, праславляемых православною грузинскою церковию, Тифлис, 1850). პ. იოსელიანის მოსაზრებანი დიდხანს ბატონობდა მეცნიერებაში, თუმცა ზაქარია ქართველის ავტორობის თაობაზე სკეპტიკური აზრი გამოთქვეს ჯერ ნ. მარმა და შემდეგ (უფრო ბეჯითად) კ. კეკელიძემ. საქმე ისაა, რომ „პეტრე ქართველის“ ცხოვრების გავრცობილ რედაქციას შემოუნახავს საინტერესო ანდერძი ვინმე პავლე ხუცისა და დეკანოზისა, რომელიც ამბობს, რომ მას ჰქონია პეტრეს ცხოვრების დაშლილი და ფურცლებარეული, შესავლისა და დასასრულის უქონელი ხელნაწერი, რომელიც მისი შეხედულებისამებრ გაუმართავს, ტექსტი დაულაგებია, გაუვრცია, დაურთავს შესავალი და დასასრული („გაცამეტრცელებია შესავალითაცა და სასწაულთა მიწყებითა და ბოლოსა კეთილად დასრულებითა“). „ცხოვრებას“ ახლავს ტექსტის ქართულად მთარგმნელის მაკარი მესხის ანდერძიც. იქ ნათქვამია, რომ პეტრეს „ცხოვრება“ „ასურებრითა ენითა აღეწერა... კურთხეულსა და სანატრელსა ზაქარიას, მოწაფესა მის წმიდისა პეტრესსა“. „ხოლო, განაგრძობს მთარგმნელი, მე გლახაკმან მაკარი ხუცესმან მესხმან გარდამოვთარგმნე ქართულად ასურთა ენისაგან, რამეთუ მეცა მეცნიერ ვიყავ მათსა ენასა“. „ცხოვრების“ ბოლოსიტყვაში შეტანილია თვითონ ზაქარიას თვითმოწმობა, სადაც ხაზი ესმება მის ქართველობას: „მე, გლახაკმან ზაქარია, მოწაფე მისი ქართლით განვე, უკ[უ]ანა შეუდეგ წმიდასა მას ვიდრე მიცვალებადმდე მისა, ამისთვისცა აღვწერე ცხორებაჲ მისი და სასწაულნი თუალითა ჩემითა ხილულნი და ყურითა სმენილნი“. აი, ანდერძის ამ ტექსტმა შეუწყო ხელი იმ აზრის გავრცელებას, რომ პეტრე იბერის ცხოვრების ასურული დედნის ავტორი იყოო ზაქარია ქართველი.

ნიკო მარის პუბლიკაციას (1896 წ.) წინ უსწრებდა პეტრეს ცხოვრების ასურული ტექსტის გამოცემა გერმანული თარგმანით, რომელიც ეკუთვნის რიხარდ რააბეს (R. Raabe. Petrus der Iberer, ლაიფციგი, 1895). ძეგლის ავტორი მაშინ ცნობილი არ იყო, ამიტომაც იგი ანონიმის სახელით აღინიშნებოდა. ნ. მარისათვის ცხადი იყო, რომ პეტრეს ცხოვრების ქართული ვერსია სწორედ ანონიმის თხზულებიდან მომდინარეობდა, იქიდან იყო გადმოთარგმნილი თუ გადმოკეთებული. ავტორის თაობაზე დედანი არაფერს ამბობდა, ქართული კი ავტორად თვლიდა ვინმე ზაქარია ქართველს. სწორედ ეს გახდა მარის დაეჭვების მიზეზი. ქართული თარგმანის

ენობრივ-ფილოლოგიურმა ანალიზმა მარი დაარწმუნა, რომ მაკარი მესხი უნდა ყოფილიყო XIII—XIV საუკუნის მოღვაწე, პავლე დეკანოზი კი შესაფერისად X V ს. მწიგნობარი. მნიშვნელოვანი გარემოება იყო ისიც, რომ პეტრეს ცხოვრება თავის დროზე უნდა აღეწერა მის მოწაფეს ზაქარია რიტორს (ტექსტი ჩვენამდე არ არის მოღწეული). ამან აფიქრებინა კ. კეკელიძეს, რომ ეს ზაქარია რიტორი მაკარი მესხს ზაქარია ქართველად უქცევიაო (ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1951, გვ. 314, შნ 4). ამასობაში სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა პირველ წყაროებზე დაყრდნობილი მასალები (გეორგიკა, II, 1965), რომლითაც ცნობილი გახდა, რომ 1912 წელს გერმანელ მკვლევარ ედუარდ შვარცს (Schwartz) გამოუცია წიგნი „იოანეს რუფუსი“ (Iohannes Rufus). აქ დასაბუთებული ყოფილა, რომ პეტრე იბერის ცხოვრების რაობეს გამოცემული ტექსტი თავდაპირველად დაწერილა ბერძნულ ენაზე პეტრეს ახლობელი მოწაფის იოანე რუფუსის მიერ, ბერძნული დედანი დაკარგულა, სამაგიეროდ გადარჩენილა მისი სირიული (ასურული) თარგმანი, სწორედ ის ტექსტი, რომელიც რაობემ გამოსცა და ანონიმის შემოქმედების ნაყოფად ითვლებოდა.

პეტრე იბერის ცხოვრების დახლართული საკითხების ყოველმხრივი შესწავლა იკისრა პროფესორმა აკაკი გაწერელიამ[1]. დიდი შრომისა და ღრმა კვლევა-ძიების შედეგად მან საბოლოოდ და ეჭვმიუტანლად დაადგინა, რომ პეტრე იბერის ცხოვრება (თანახმად შვარცის გამოკვლევისა) ბერძნულ ენაზე დაუწერია იოანე რუფუსს VI საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ — 518 წელს. ბერძნული დედნის აწ დაკარგული თარგმანი შემონახულია სირიულ ენაზე (რაობეს გამოცემა), იგი XIII—XIV საუკუნეებში (თანახმად მარისა) ქართულ ენაზე გადმოუთარგმნია (გადმოუკეთებია) მაკარი მესხს. მაკარი მესხის თარგმანის დაშლილი ხელნაწერი და არეულ-დარეული ტექსტი აღუდგენია, დაულაგებია, განუვრცია, წინა და ბოლოსიტყვა დაურთავს მისთვის XV საუკუნის მწიგნობარს პავლე დეკანოზს. პავლე დეკანოზს (და არა მესხს, როგორც ფიქრობდა კ. კეკელიძე) პეტრეს ცხოვრების ავტორობის პატივი მიუწერია არარსებული, მოგონილი და ფიქციური ზაქარია ქართველისათვის. ერთი სიტყვით, ასკვნის ა. გაწერელია, „ზაქარია ქართველი — ფიქციური ორეულია ზაქარია რიტორისა“ (რჩეული ნაწერები, I, 1977, გვ. 161), „ფალსიფიკატორი“ და „ყალბისმქმნელია“ პავლე დეკანოზი (იქვე, 162, 203...). პეტრეს ცხოვრების რუფუსისეული ასურული და ქართული ტექსტების დაწვრილებითი შედარება ა. გაწერელიას აფიქრებინებს, რომ ქართული კომპილაციური ხასიათისაა, თუმცა ძირითადად იგი მიჰყვება თავის დედანს, შეიცავს ბევრ თავისებურებას, სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ზოგ

[1] მისი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ორგანოში გამოქვეყნებული ნაშრომები შესულია „რჩეული ნაწერების“ სამტომეულის პირველ ტომში (თბ., 1977).

ახალ ცნობას და მნიშვნელოვანწილად განსხვავდება რუფუსის თხზულებიდან. მთავარი ისაა, რომ „პეტრეს ცხოვრების“ ქართული რედაქცია მართლმადიდებლური (ქალკედონისტური, დიოფიზიტური) სულისკვეთებით არის გამსჭვალული, მაშინ როდესაც დედნით პეტრე მონოფიზიტობის ადეპტადაა მიჩნეული. ყოველივე ამაში ა. გაწერელია ბრალს სდებს პავლე დეკანოზს. იგი წერს: „დეკანოზმა პავლემ არა მარტო ზაქარია რიტორი აქცია „ზაქარია ქართველად“, არამედ მონოფიზიტი პეტრე იბერიელი — დიოფიზიტად“ (იქვე, 203). როგორც ა. გაწერელიაც აღნიშნავს, მე უყოყმანოდ გავიზიარე მისი ძირითადი მოსაზრებანი პეტრე იბერის ცხოვრების თაობაზე (I, 467—468). ახალი თვალსაზრისი არ შეიწყნარა (და, ჩემი აზრით, ამაოდ შეეცადა ძველი შეხედულების დაცვას) ივანე ლოლაშვილმა, რითაც დიდი რისხვა დაიმსახურა ა. გაწერელიას მხრით. საერთოდ, როგორც პოლემისტი, ა. გაწერელია მეტად ცხარეა, ძლიერ მკაცრია და ულმობელი (ასე ეკამათება პავლე ინგოროყვას, გიორგი წერეთელს, კონსტანტინე წერეთელს, შალვა ხიდაშელს და სხვებს). სამართლიანობა მოითხოვს არც ის დავივიწყოთ, რომ, უჩვეულოდ მძაფრი კრიტიკის მიუხედავად, იგი აღიარებს ივ. ლოლაშვილის ღვაწლს და წერს: „ჩვენ (იგი) მიგვაჩნია ქართული ფილოლოგიის საჭირო მკვლევრად, რომელსაც ვერავინ დაუკარგავს თავის დამსახურებას“ (I, 1977, გვ. 487)[2].

ნუცუბიძე — ჰონიგმანის გახმაურებულ კონცეფციას პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტურობის თაობაზე ა. გაწერელია თავდაჭერით შეხვდა. ამ კონცეფციას იგი „სერიოზულ ჰიპოთეზას“ უწოდებს (I, 488, შდრ. იქვე, გვ. 217). სამაგიეროდ, ა. გაწერელია არსებითად იზიარებს და ავითარებს შ. ნუცუბიძის დებულებას არეოპაგიტული მოძღვრების ზემოქმედების შესახებ რუსთველის შემოქმედებაზე. ფსევდო-დიონისე არეოპაგელმა, წერს ა. გაწერელია, „გარკვეული გავლენა იქონია ვეფხისტყაოსნის ავტორზე“ (I, 82). ოღონდ „ვეფხისტყაოსნის ავტორი მთლიანად მის (ე. ი. ფსევდო-დიონისეს — ა. ბ.) ადეპტად არ ჩაითვლებაო“ (I, 25). „რუსთველის ქრისტიანობა, ამბობს ა. გაწერელია, გამდიდრებულია არეოპაგიტული მოძღვრებითაც, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ქრისტოლოგიის შემავალი და ორგანული, განუყოფელი ნაწილი გახდა განსაკუთრებით VII საუკუნიდან“ (I, 16). ა. გაწერელიას შეხედულებით, რუსთველი შორდება ფსევდო-დიონისე არეოპაგელს ბოროტების არასუბსტანციურობის საკითხში. მკვლევარი ასე მსჯელობს: „ფსევდო-დიონისე რუსთაველის მასწავლებელია უმთავრესად „ბოროტების“ დაძლევის იდეის სფეროში („ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“), მაგრამ არა მთლიანად (რუს-

[2] სხვათა შორის, ა. გაწერელია ღირსებისამებრ აფასებს „თამარიანის“ ლოლაშვილისეულ გამოცემას (თამარიანის ახალი გამოცემის გამო, „მნათობი“, 1959, № 8, გვ. 123—129).

თაველი უშვებს ბოროტისა და კეთილის პოლარიზაციას, ბოროტების „არასუბსტანციალობა“, ფსევდო-დიონისეული, მასთან არ გვხვდება“ (I, 223).

ა. გაწერელიამ შთამბეჭდავი ნარკვევები მიუძღვნა დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ არეოპაგიტული მოძღვრების ზემოქმედების ასახვას— „დანტე და ფსევდოდიონისე არეოპაგელი“ (I, 61—85), „ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან“ (I, 7—61). რუსთველისა და დანტეს შეხვედრას არეოპაგიტიკის ნიადაგზე ა. გაწერელია სამართლიანად ანიჭებს შორს გამწვდენ მნიშვნელობას და ხაზგასმით შენიშნავს: „კაცობრიობის ორი დიდი სახელი, რუსთაველი და დანტე, შინაგანად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ შინაგან კავშირს უმთავრესად ჰქმნის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება. ორ გიგანტს შორის მაკავშირებელი ხიდი აღმოჩენილია“ (I, 84). ძველი კოლხეთის ცხოვრების არეკლას „ღვთაებრივ კომედიაში“ აშუქებს ა. გაწერელიას ჩინებული წერილი — „დანტე და პრეისტორიული საქართველო“ (I, 86—101). მკვლევარს დაწვრილებით აქვს გამოძიებული არგონავტიკის (მედეაზე თქმულების) ნაკვალევი დანტესთან. გამოკვლევის თანახმად — „დანტე ალიგიერის პოეტურ პასაჟებს ის მნიშვნელობა აქვთ, რომ ისინი მედეას ამართლებენ, უბედურ ქალად მიიჩნევენ მას, ხოლო იაზონი ჯოჯოხეთში ისჯება კოლხი ქალის წინაშე „შეცოდების გამო“. „კომედიაში“ უკუგდებულია ყოველგვარი ცილისწამება მედეაზე“ (I, 101).

რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ერთ უძირითადეს საკითხად ა. გაწერელია თვლის რუსთველის რელიგიურ აღმსარებლობას, თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. ამ ურთულესი პრობლემის დამუშავებას შესწირა ა. გაწერელიამ თავისი მეცნიერულ-შემოქმედებითი ცხოვრების დიდი დრო და დაუშრეტელი ენერგია. დამოწმებული პრობლემის შესწავლისა და მიღებული შედეგების აწონ-დაწონის შემდეგ მკვლევარი აცხადებს: „რუსთაველი არ შეიძლება მიჩნეული იქნას „ათეისტად“, „წარმართად“, „ურჯულოდ“, „განდგომილად“, „ერეტიკოსად“, „მაჰმადიანად“, „მანიქეველად“, „პანთეისტად“, „სტოიცისტად“ და ა. შ.“ (I, 15). ა. გაწერელიას თვალთახედვით, რუსთველი არის „ჰეშმარიტი ქრისტიანი“ და მის პოემაში ეს ჰეშმარიტი ქრისტიანული აღმსარებლობა არის გამჟღავნებული (I, 17). ა. გაწერელია იზიარებს, ავრცობს და აღრმავებს კ. კეკელიძის ადრინდელ დებულებას ვეფხისტყაოსნის ავტორის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თაობაზე. ა. გაწერელიას უწერია: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კ. კეკელიძემ 1924 წელს ჩაუყარა საფუძველი რუსთაველის მსოფლმხედველობის მეცნიერულად შესწავლის საქმეს. შემდეგი ძიებანი არსებითად აფართოებენ, აღრმავებენ და აზუსტებენ კორნ. კეკელიძის ფუნდამენტურ დებულებებს ვეფხისტყაოსნის ავტორის ქრისტიანობაზე და, კერძოდ, მის პოეზიაში წარმო-

დგენილ აპოფატიკასა და კატაფატიკაზე. ყოველგვარი გადახვევა ამ დებულებიდან „ორიგინალურ კონცეფციებს“ კი დაჰბადებს, მაგრამ ჭეშმარიტებასთან მათ არავითარი კავშირი არ ექნებათ“ (I, 31). ასევე იზიარებს ა. გაწერელია ვეფხისტყაოსნის „მზიანი ღამისა“, და რიგი სხვა სპეციფიკური რუსთველური გამოთქმების („ერთარსებისა ერთისა“, „უჟამოსა ჟამისა“ და მისთანათა) მანანა გიგინეიშვილისეულ ინტერპრეტაციას (I, 25—26). ა. გაწერელია საბუთიანად ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანში ასახულია ქრისტიანული ერთარსება სამპიროვანი ღვთაების იდეა (I, 44, 46...), რომ თვითონ ფსევდო-დიონისეს „ერთი“ ღმერთი არის წმინდა „სამება“ (I, 486). იესო ქრისტე ვეფხისტყაოსანში არაპირდაპირ არის მოხსენიებული (I, 32, შნვ. 2). ა. გაწერელია მკაცრად აკრიტიკებს რუსთველის პანთეისტობის, მით უფრო მატერიალისტური პანთეისტობის, თეორიას და შენიშნავს, რომ ეს მცდარზე მცდარი თეორია „ჯერ კიდევ აქა-იქ ბოგინობს“ (I, 223—224). რუსთველური ღმერთი, ასაბუთებს გაწერელია, არის ღმერთი-შემოქმედი, „სამყაროს შემქმნელი ბიბლიური ღმერთი“ (I, 235.486). მკვლევარი მაინც საჭიროდ თვლის შენიშნოს: „მკითხველმა არ უნდა გაიგოს ყველაფერი ზემოთ თქმული ისე, თითქოს რუსთაველი არ სცილდება ქრისტიანულ გაგებათა ფარგლებს, ან დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას“ (I, 59).

თავის მოსაზრებებს რუსთველის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თაობაზე ა. გაწერელია ასე აჯამებს: „არაფერი ისე არ წარმოაჩენს რუსთაველს, როგორც XII—XIII ს-ის უდიდეს შემოქმედ ქართველს და მასთან უაღრესად ეროვნული და ორიგინალური ქმნილების ავტორს, როგორც მისი ქრისტიანობა“ (I, 60).

> ადრე ა. გაწერელია ფიქრობდა, რომ ქართული ეკლესია და კლერიკალური საზოგადოება დევნიდნენ ვეფხისტყაოსანს და მის ავტორს (კლერიკალური-რეაქცია და რუსთაველი, „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“, 1938, გვ. 31—45) რომ „კლერიკალური რეაქციის უმაღლეს გამოხატულებას ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა წარმოადგენსო“, რომ ანტონის „მთელი მოღვაწეობა რეაქციული იყო თავისი შინაარსით და ტენდენციით“ (იქვე, გვ. 42—43), რომ „წყობილსიტყვაობის“ შეფასებით, „ანტონ პირველი პირდაპირ ამბობს იმას, რასაც ეკლესია ფიქრობდა რვა საუკუნის მანძილზე“, (იქვე გვ. 44). ახლა კი მკვლევარი მთლიანად უარყოფს თავის ძველ შეხედულებას ამ საკითხში (სდევნიდნენ თუ არა ვეფხისტყაოსანს, ან მის ავტორს? „რჩეული ნაწერები“, 1, 215—218). კალისტრატე ცინცაძემ დაასაბუთაო „ქართული ეკლესიის მხრივ მოთას დევნის უსაფუძვლო აზრი“ (I, 49).

თავისი „ქართული კლასიკური ლექსით“ აკაკი გაწერელიამ, ჩემი აზრით, სწორად გაიაზრა ქართული ლექსის ბუნება და სტრუქტურა.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც, ვფიქრობთ, ჩანს, თუ რა დიდი ღვაწლი აქვს გაწეული ა. გაწერელიას ძველი ქართული სულიერი კულტურის შესწავლის მხრით[3].

1981

---

[3] აღსანიშნავია გერმანულ კრებულში „Sinn und Form“, (ბერლინი, 1970), დაბეჭდილი ამავე კრებულის რედაქტორის წერილი „Gespräch mit Akaki Gazerelia“. აქ, სამწუხაროდ, ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გაპარულია ზოგი მძიმე კორექტურული შეცდომა (შდრ. „რჩეული ნაწერები“, I, 1973, გვ. 472—480).

თანაავტორობის თაობაზე

კოლეგიურ-კოლექტიური მუშაობა მომწონდა და მომწონს. ბევრჯერ ვყოფილვარ თანაავტორი ნარკვევისა თუ გამოცემისა (უკეთ რომ ვთქვა, ბევრჯერ მყოლია ნარკვევისა თუ გამოცემის თანაავტორი). თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების ერთი რიგი ჩემი თაოსნობით არის მოფიქრებული და შესრულებული. ერთი რიგი კი სხვების თაოსნობითაა მომზადებული. პირველი რიგის ნაშრომები არსებითად ჩემია, ჩემი დაწერილია, თუმცა ზოგი რამ, ჩვეულებრივ სტილურ-რედაქციული ხასიათის ცვლილება, ტექსტში შეტანილია თანაავტორთა სურვილის თანახმად. რასაკვირველია, ამ რიგის ნაშრომების თანაავტორები თ ა ნ ა ა ვ ტ ო რ ე ბ ი ა ამ ცნების სრული მნიშვნელობით, ე. ი. ეს ნაშრომები თანაავტორებსაც ეკუთვნით, მათი გამოქვეყნებისათვის ისინი პასუხისმგებელნი არიან მორალურად და მეცნიერულად, სარგებლობენ იურიდიული საავტორო უფლებებით. ჩემი ნაშრომების კრებულებად გამოქვეყნების შემთხვევაში პირველი რიგის ნაშრომები განზე არ უნდა დარჩეს და კრებულებში უნდა შევიდეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, თანაავტორის ვინაობის შესაფერისად მოხსენიებით.

აქვე ვურთავ პირველი რიგის, ე. ი. ჩემ მიერ დაწერილი ნაშრომების სიას:

1. გიორგი ჯაკობიას ხსოვნას (ლიტერატურა და ხელოვნება, 10.3.44).

2. ერთი მცდარი წერილის გამო რუსთველის გარშემო (საბჭოთა ხელოვნება, 1961, № 2, გვ. 81—83). თანაავტორები: გ. იმედაშვილი, ს. ცაიშვილი.

3. ფაქიზად მოვეპყროთ ვეფხისტყაოსნის ტექსტს (გაზ. „კომუნისტი", 14.2.65). თანაავტორები: გ. იმედაშვილი, ი. ლოლაშვილი.

4. ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის (მნათობი, 1968, № 8, გვ. 164—178). თანაავტორები: ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

5. იძულებითი პასუხი (მნათობი, 1971, № 3, გვ. 170—178). თანაავტორები: ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

6. რუსთაველი თუ რუსთველი! (გაზ. „კომუნისტი", 10.1.61). თანაავტორი ა. შანიძე.

7. ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2, გვ. 157—164). თანაავტორი დ. კობიძე.

8. ქილილა და დამანას გამოცემის გარშემო (ლიტერატურული გაზეთი, 28.4.61). თანაავტორები: ი. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ვ. დონდუა, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ა. შანიძე.

9. ისევ ქილილა და დამანას გარშემო (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სმგ მოამბე, 1962, № 1, გვ. 306—328). თანაავტორები: ა. გვახარია, ე. მეტრეველი.

10. დავით გურამიშვილი დაღესტანში (ლიტ-ლი გაზეთი, 8.7.55). თანაავტორი ს. ყუბანეიშვილი.

11. Книга, искажающая историю («Заря Востока», 29. XI, 49). თანაავტორი ილია აბულაძე.

12. გამოფენა-კატალოგი ფირდოუსი და ქართულ-ირანული ურთიერთობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში (ქართულსა და რუსულ ენებზე). თბილისი, 1934—1935, 87 გვ. ძირითადად ჩემი შედგენილია. თანაავტორი პ. ინგოროყვა.

13. საქართველოს მუზეუმის S ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II), 1939, 60 გვ. თანაავტორი ა. შანიძე. საგანგებოდ უნდა შევნიშნო, რომ თუმცა ეს ნაშრომი სასტამბოდ მე გავამზადე, საძიებლის ერთი ნაწილი შეადგინა აკაკი შანიძემ, მეორე კი მე.

14. ვითომ ჩანართია? (ლიტერატურული საქართველო, 23.6.78). თანაავტორი ს. ცაიშვილი.

15. საშვილიშვილო საქმე (ლიტერატურული საქართველო, 30.9.77). თანაავტორები გ. ციციშვილი, ჯ. ჩარკვიანი და სხვ.

16. ქვაბისხევის ფრესკის გარშემო (გაზ. „კომუნისტი", 7.9.80). თანაავტორები შ. ძიძიგური, ე. მეტრეველი.

17. „რუსთაველის კოსმოლოგია" (ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნე", 1980, № 2, გვ. 182—185). ძირითადად ჩემი დაწერილია. შეავსო ა. გვახარიამ. თანაავტორები შ. ძიძიგური, ს. ცაიშვილი, ა. გვახარია.

18. ქეთევან დედოფლის წამების გარშემო (ცისკარი, 1981, № 1, გვ. 124—134). თანაავტორი მერი გუგუშვილი.

როგორც ზევით აღვნიშნე, ნაშრომების მეორე რიგი სხვების დაწერილია, მე კი გამოვდივარ თანაავტორის როლში. ასეთებია:

1. სინამდვილის დამახინჯების წინააღმდეგ (გაზ. „კომუნისტი", 12.XI.58) დაწერილია ილია აბულაძის მიერ. თანაავტორები: შ. ამირანაშვილი, ა. ბარამიძე, ვახტანგ ბერიძე, გ. ჩუბინაშვილი.

2. ქართული ლიტერატურის სახელოვანი მკვლევარი (პროფ. იუსტინე აბულაძის გარდაცვალების გამო), „ლიტერატურული გაზეთი" 8.VI.62. დამწერია ი. მეგრელიძე. თანაავტორები: ალ. ბარამიძე, ი. ლოლაშვილი.

3. მრავალმხრივი მეცნიერი და მოღვაწე (გივი გაჩეჩილაძე), გაზ. „თბილისი", 21.12.74. დამწერია მ. დუდუჩავა. თანაავტორები: ალ. ბარამიძე, გ. ციციშვილი.

4. Слово о Николае Заболоцком (газ: «Вечерний Тбилиси», 24. 3. 75), ძირითადად დაწერა გ. წიბახაშვილმა. თანაავტორი მე ვარ.

5. Выдающийся советский ученый (Д. С. Лихачев). Литературная Грузия 1977, № 2, стр. 92—94. დამწერი ლ. მენაბდე, თანაავტორები. ალ. ბარამიძე, ვ. შადური.

6. ქართული მეცნიერების ბერმუხა (გაზ. „კომუნისტი", 22.5.77). დამწერი ზ. ჭუმბურიძე, თანაავტორი — ალ. ბარამიძე.

7. უკვდავყოთ დიდი მხატვრის (მიხაი ზიჩის) ღვაწლი (გაზ. „კომუნისტი, 8.9.77. გაზ. „სამშობლო", № 18, 1977). დამწერი: გ. შარაძე, თანაავტორები: ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი.

8. Новые работы ленинградских коллег (ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნე", 1979, № 4). დამწერი ა. გვახარია, თანაავტორები ალ. ბარამიძე და ლევან მენაბდე.

9. მეცნიერის სახელოვანი გზა (შოთა ძიძიგური), გაზ. „თბილისი", 7.9.81. დამწერია სარგის ცაიშვილი, მე ვარ თანაავტორი.

10. კალისტრატე სალია. 80 წლისაა (ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნე", 1981, № 3, გვ. 170—173). დამწერია ნიკოლოზ ჯანაშია, თანაავტორები — ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი.

11. დავით კობიძის ხსოვნას (ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნე", 1981, № 4, დამწერია ალ. გვახარია, თანაავტორი — ალ ბარამიძე.

თავისებური ვითარებაა კ. ჭიჭინაძესთან გამართული კამათის გამო. კ. ჭიჭინაძემ მკაცრი რეცენზია მიუძღვნა ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემას (სარედაქციო კოლეგია ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე). საპასუხო წერილი მე მოვამზადე — „ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა (კ. ჭიჭინაძის რეცენზიის გამო)", გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 8.2.1952. წერილს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგიის სამივე წევრი. ამას მოჰყვა კ. ჭიჭინაძის „პასუხის პასუხი" (იგივე გაზეთი, 15.2.52), რომელსაც ჩვენ მორიგი პასუხი გავეცით (ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 345—360), ოღონდ „ლიტერატურულ ძიებანში" დავბეჭდეთ წინა პასუხიც. მეორე პასუხის ტექსტი შეადგინა ა. შანიძემ, ხელს სარედაქციო კოლეგიის სამივე წევრი ვაწერთ.

ასეთივე თავისებური ვითარებაა ჩემი და ალ. გვახარიას წერილის შესახებაც „მისტიფიკაცია თუ სინამდვილე" („მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია 1976, № 1, გვ. 169—171). წერილი ორივემ დავწერეთ. წერილის პროექტი მე შევადგინე, ალ. გვახარიამ იგი შეავსო.

სხვების თანამშრომლობით მომზადებული და გამოქვეყნებული მაქვს ძველი ქართული მწერლობის შემდეგი ძეგლები:

1. დავით გურამიშვილი. თხზულებათა სრული კრებული. თბ., 1951. თანარედაქტორი სოლომონ იორდანიშვილი.

2. დავით გურამიშვილი. თხზულებათა სრული კრებული. საიუბილეო აკადემიური გამოცემა. თბ., 1955. მომზადდა და დაიბეჭდა ჩემი რედაქციით. ჩემივეა ხელმოუწერელი შესავალი წერილი და ბიბლიოგრაფია. სარედაქციო კოლეგიის წევრები: ი. აბაშიძე, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, იმავე წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ამ გამოცემის შემოკლებული ტექსტიც.

3. ბესიკი. თხზულებათა სრული კრებული. 1932, 1962. თანარედაქტორი ვარლამ თოფურია. ჩემია ხელმოუწერელი ნარკვევები „ტექსტისათვის".

4. თეიმურაზ პირველი. თხზულებათა სრული კრებული. თბ., 1934. თანარედაქტორი გ. ჯაკობია.

5. შაჰნამეს ქართული ვერსიები, II, 1934, სარედაქციო კოლეგია: იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, საკუთრივ ჩემი დამუშავებულია შაჰნამეს ქართული ვერსიის პროზაული ფრაგმენტი (გვ. 369—445).

6. არჩილი. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ტომი I, 1936, ტომი II, 1937. თანარედაქტორი ნიკო ბერძენიშვილი.

7. იოანე ბატონიშვილი. კალმასობა ორ ტომად. ტომი I, 1936, ტომი II, 1948. თანარედაქტორი კ. კეკელიძე. ხელმოუწერელი შესავალი წერილის ავტორია კ. კეკელიძე.

8. ვისრამიანი. თბ., 1938. სარედაქციო კოლეგია ალ. ბარამიძე. პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე. ჩემია შესავალი წერილი (ხელმოუწერელი).

9. ქილილა და დამანა. იგავ-არაკები. თბ., 1949. თანარედაქტორი პ. ინგოროყვა.

10. ქილილა და დამანა, ორ წიგნად (სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის მეორე ტომი), თბ., 1962. თანარედაქტორი ელენე მეტრეველი.

11. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1951, 1957. სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ჩემია სარედაქციო წერილები.

12. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. ტომი I, თბ., 1956.

13. მე ვიყავი აგრეთვე წევრი ვეფხისტყაოსნის მეორე საიუბილეო გამოცემის (თბ., 1966) სარედაქციო კოლეგიისა და პირველი საიუბილეო გამოცემის (1937) ტექსტის დამდგენი კომისიისა.

14. თავის დროზე დამოუკიდებლად მოვამზადე ქართული სიტყვაკაზმული ანთოლოგიის მეორე ტომი (XV—XVIII სს), თბ., 1928, ანთოლოგიის ოფიციალური რედაქტორი იყო ია ეკალაძე, თუმცა მას მონაწილეო-

ბა არ მიუღია მის შედგენასა და რედაქტორობაში. ჩემია როგორც ანთოლოგიის ტექსტი, ისე ყველა სარედაქციო შენიშვნა და შესავალი წერილი.

15. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. ქრესტომათია (სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის). ავტორ-შემდგენლები: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1934 წელს. ილ. აბულაძემ მოამზადა სასულიერო მწერლობა და მეხოტბეთა ტექსტები, დაურთო მათ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კომენტარები. აკაკი შანიძეს ეკუთვნის წიგნის საერთო რედაქცია, მანვე მოამზადა ვეფხისტყაოსნის ტექსტი, ოღონდ მისი კომენტარები ჩემი შედგენილია. ჩემი შედგენილია აგრეთვე კომენტარები „ამირან-დარეჯანიანისა“, „ვისრამიანისა“ და ე. წ. აღორძინების პერიოდის მწერლობისა (ჩემ მიერვეა მომზადებული შესაფერისი ტექსტებიც). ქრესტომათია შემდეგ მრავალჯერ გამოიცა.

1982

მოსაგონარი და გასაგონარი

(ჩემი თვითანგარიში)

1925 წლის ოქტომბერში თბილისის უნივერსიტეტის გამგეობამ პროფესორ კორნელი კეკელიძის წარდგინების საფუძველზე დამტოვა სტიპენდიით საპროფესოროდ მოსამზადებლად ძველ ქართულ საერო მწერლობაში.

უნივერსიტეტში მაშინ იყო ქართული მწერლობის მხოლოდ ერთი კათედრა, რომელსაც განაგებდა კ. კეკელიძე. მალე კათედრას შემოემატნენ უნივერსიტეტთან დატოვებულნი (უსტიპენდიოდ) მიხეილ ზანდუკელი (ახალი ქართული ლიტერატურა) და ვახტანგ კოტეტიშვილი (ფოლკლორი). ამათ გარდა, კათედრის წევრად ითვლებოდა უნივერსიტეტთან ადრე დატოვებული (უსტიპენდიოდ, ძველ მწერლობაში) გიორგი ჯაკობია.

ამრიგად, უნივერსიტეტის ქართული მწერლობის კათედრაზე ირიცხებოდნენ: კ. კეკელიძე (კათედრის გამგე), ალ. ბარამიძე, მ. ზანდუკელი, ვ. კოტეტიშვილი და გ. ჯაკობია, სულ ხუთი კაცი. შემდეგ მოვლენებს რომ წინ წავუსწრო და თანამედროვე ვითარება გავითვალისწინო, სურათი ასეთი გვექნება: ახლა უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერების ოთხი კათედრაა, 1. ძველი მწერლობისა, 2. ახალი მწერლობისა, 3. საბჭოთა მწერლობისა და 4. ფოლკლორისა. დიდ საქმიანობას ეწევა ქართული მწერლობის შესწავლის მხრივ-სპეციალური სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კაბინეტები — რუსთველისა, ვაჟა-ფშაველასი, გ. ტაბიძის სახელობისა და ფოლკლორისა. ქართული მწერლობის ურთიერთობის საკითხებს იკვლევენ უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის, კლასიკური ფილოლოგიის, ირანოლოგიის, არმენოლოგიის და დასავლეთევროპულ ლიტერატურათა კათედრები, ქართული ლიტერატურის კათედრები შექმნილია რესპუბლიკის ყველა უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში (ქუთაისში, ბათუმში, თელავში, გორში, სოხუმში).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებობს ქართული მწერლობის შემსწავლელი ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი რუსთაველის სახელობისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). ქართულ მწერლობას სხვადასხვა ასპექტით სწავლობენ აგრეთვე აღმოსავლეთმცოდ-

ნეობის, ისტორია-არქეოლოგია-ეთნოგრაფიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

ერთი სიტყვით, ქართული მწერლობის ისტორიის კვლევა-ძიების დარგში ამჟამად მეცნიერთა და ლიტერატორთა მთელი არმია მუშაობს. ლიტერატურის მცოდნეთა კადრების ზრდის დიდად შთამბეჭდავი სურათია!

რა თქმა უნდა, რიცხვობრივი მაჩვენებელი მთავარი და გადმწყვეტია როდია, მთავარია ხარისხი. ოღონდ ისიც უდავოა, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში ხარისხობრივადაც ბევრი რამ გაკეთდა ანგარიშგასაწევი და მნიშვნელოვანი. არა ერთი და ორი თავმოსაწონი, სერიოზული და სოლიდური ნაშრომიც გამოქვეყნდა (მონოგრაფია, გამოკვლევა, გაღმაზოგადებელი ნარკვევი). ძალიან წავიდა წინ ლიტერატურულ ძეგლთა მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის საქმე. ყოველივე თქმულის თაობაზე მოკლედ და სქემატურად მოთხრობილია ჩვენს ნარკვევში — „ლიტერატურათმცოდნეობა საბჭოთა საქართველოში“, რომელიც საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

*
* *

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მხრივ დიდი ამაგი აქვთ გაწეული თეიმურაზ ბატონიშვილს, მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილს, ალექსანდრე ცაგარელს, ალექსანდრე ხახანაშვილს, პლატონ იოსელიანს, თედო ჟორდანიას, მოსე ჯანაშვილს, ნიკო მარს, ექვთიმე თაყაიშვილს, დავით კარიჭაშვილს, სერგი გორგაძეს. რევოლუციამდელ პერიოდში მოიხვეჭა სახელი ივანე ჯავახიშვილმა, ქ. კეკელიძემ, იუსტინე აბულაძემ. ძველაღვე დაიწყეს მოღვაწეობა იოსებ ყიფშიძემ, ვუკოლ ბერიძემ, სარგის კაკაბაძემ, პავლე ინგოროყვამ, თედო ბეგიაშვილმა. მაინც ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ლიტერატურული ძეგლების თავმოყრისა, პირველი აღრიცხვის, კატალოგიზაციისა და მარტივი აღწერილობის პერიოდი. ჯერ კიდევ შეიძლებოდა უკეთ შესწავლილი ხანიდანაც უცნობი მნიშვნელოვანი ძეგლების მიკვლევა, გამოვლინება თუ აღმოჩენა, რომ არაფერი ვთქვათ ცნობილი ძეგლების ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისითაც საფუძვლიან გამოკვლევაზე. სანიმუშოდ დავასახელებ მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილ ისტორიასა და რომანს ალექსანდრე მაკედონელზე.

კვინტოს კურციოსის (კურციუსის) საისტორიო თხზულება „საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისათა“ ქართულად პირ-

ველად უთარგმნია ანტონ კათალიკოსს[1]. ფსევდო-კალისთენის ფანტასტიკური საგმირო-საფალავნო რომანი „ალექსანდრიანი“ ადრეც ყოფილა ქართულად გადმოღებული, მაგრამ იმას ჩვენ დრომდის არ მოუღწევია, ხოლო XVII—XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბებულა „ალექსანდრიანის“ რამდენიმე ვერსია. ამ საკითხს მიეძღვნა ალ. ხახანაშვილის, პოლიევქტოს ყვიცარიძის და თადეოზ ბერაძის სპეციალური გამოკვლევები. სათანადო ადგილი დაეთმო „ალექსანდრიანის“ განხილვას ალ. ხახანაშვილის „ნარკვევებში“, კ. კეკელიძის „ლიტერატურის ისტორიაში“. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თხზულების თაობაზე დიდი გაურკვევლობა სუფევდა. გარკვეული იყო მხოლოდ ის, რომ სერბული „ალექსანდრიანის“ ტექსტი პროზაულად უნდა ეთარგმნა რუსული ენიდან არჩილ მეორეს (1647—1713). არჩილის თარგმანის პროზა ლექსად უნდა გაეწყო ვინმე პეტრეს. ამას გვამცნობდა თვითონ მელექსის განცხადება: „ვინებე პეტრე გალექსვად ამა „ალექსანდრიანისაო“. ზოგი მკვლევრის ვარაუდით, პეტრეს თითქოს თვითონ არჩილის დავალებით უნდა შეეწყო „ალექსანდრიანი“ (არჩილმა „ალექსანდრიანი“ რუსეთში დასახლების, ე. ი. 1699 წლის შემდეგ გადმოთარგმნა, პეტრე კი მასთან არ ყოფილა). სხვების (მათ შორის, კ. კეკელიძის) მოსაზრებით, ეს პეტრე უნდა ყოფილიყო XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე პეტრე ლარაძე (გარდაიცვალა 1837 წელს). საგულისხმო ისაა, რომ სადავო საკითხის თაობაზე ზუსტსა და ამომწურავ პასუხს იძლეოდა ორი პირველხარისხოვანი პირველწყარო — ანტონ კათალიკოსი და იოვანე ბატონიშვილი. ანტონის „წყობილსიტყვაობაში“ სპეციალური ქვეთავია „თვის მამისა პეტრე მონაზონისა ჩხატარაძისშვილისა, გურიელისა“, რომელშიც ნათქვამია, რომ პეტრე მონაზონი ჩხატარაძისშვილი არის „პეტრე მესტიხე, მოშაირე მაღალი, ალექსანდრესთა დიდისათა მომთხრობი... კაცი რიტორი... პიიტიკათა შინა“ საქები. ასევე ცალკე რუბრიკადაა გამოყოფილი „კალმასობაში“, „მამისა პეტრე ჩხატარაძისძისა გურიელისათვის“. აქაც ვკითხულობთ, რომ მამა პეტრე ჩხატარაძეც იყო „მეცნიერ და წერილთა შინა გამოცდილ. ამან შეაწყო (ე. ი. გალექსა, ა. ბ.) ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა მშვენიერ ენასა ზედა“, და ბოლოს, „ალექსანდრიანის“ ხელნაწერთა ერთი რიგის სათაურის მიხედვით გამლექსავი ამბობს: „მე, მდივან-მგალობელ-მწიგნობარმან ჩხატარას-ძემან პეტრე რუსეთით მოღებული“ ამბავი გავლექსეო.

მაშასადამე, ყველა პირველწყარო ერთსულოვნად და უყოყმანოდ გვიმოწმებს, რომ „რუსეთით მოღებული“, ე. ი. არჩილის მიერ გადმოთარგმნილი „ალექსანდრიანი“ ლექსად შეუწყვია ანუ გაულექსავს მდი-

---

[1] ე. თაყაიშვილი, Описание, II, გვ. 815—819; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 382.

ვან-მგალობელ-მწიგნობარ პეტრე ჩხატარაიას-ძეს (ჩხატარაისშვილს, თუ ჩხატარასშვილს), ტომით გურულს.

ანტონ კათალიკოსის "წყობილსიტყვაობას" ვიმოწმებ ივანე ლოლაშვილისეული ახალი გამოცემით (თბ., 1980, გვ. 278, სტროფები, 785—786). ივანე ბატონიშვილის ცნობა ჩემი ნაშრომის პირველი პუბლიკაციების დროს („ქართული ალექსანდრიანი", საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. ტომი, IX—B, 1936, გვ. 41—50; ნარკვევები, II, 1940, გვ. 235—246) დამოწმებული მქონდა ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემით „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის (საისტორიო მასალანი, ამონაბეჭდი „ძველი საქართველოს" პირველი ტომიდან, თბ., 1913, გვ. 21). ე. თაყაიშვილი, თავის მხრივ, შენიშნავდა, რომ მან ტექსტი გამოსცა ჩუბინაშვილისეული ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან (PS 3677). პირი დედნიდან „ვერ არის რიგიანად გადმოწერილი" და „საჭიროა მოინახოს ამ სტატიის დედანიო". დედნის ავტორად ე. თაყაიშვილი თვლიდა თეიმურაზ ბატონიშვილს (გვ. 59). ნამდვილად „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის" შერქმეულია თვითონ ხელნაწერის გადამწერის მიერ. მისი დედანიც მოძებნილია, იგია ივანე ბატონიშვილის „კალმასობა" („კალმასობა", II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948, გვ. 181).

თქმული ცოტაა. პეტრე ჩხატარაშვილს მის მიერ გალექსილი ალექსანდრიანი" შემდეგ ხელახლა გადაუმუშავებია, აწ უკვე პროზაულად. ტექსტი ძალზე გაუვრცია ახალი შინაარსობრივი დეტალებით და მთელი ეპიზოდებითაც. ამისათვის მოუხმია და გამოუყენებია ძველი ქართული სასულიერო და, განსაკუთრებით, საერო მწერლობის არაერთი ძეგლი (ვეფხისტყაოსანი, „ამირანდარეჯანიანი", „ვისრამიანი", „როსტომიანი", „იოსებზილიხანიანი", „ლეილმაჯნუნიანი" და სხვ.). ასე შეუქმნია პეტრე ჩხატარაიას-ძეს „ალექსანდრიანის" მისეული, დიდტანიანი, პროზაული რედაქცია. ესეც გარკვევით აღნიშნულია „ალექსანდრიანის" ამ რედაქციის ხელნაწერების სათაურშივე. პეტრე ჩხატარაიას-ძე „ალექსანდრიანის" ვერსიფიკატორიც ყოფილა და პროზაფიკატორიც. პროზაული ტექსტის გალექსვა (ვერსიფიკაცია) ძალიან გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. ლექსითი რედაქციის პროზაულად გადამუშავების (პროზაფიკაციის) სხვა შემთხვევა ქართული ლიტერატურის ისტორიამ არ იცის.

„ალექსანდრიანის" საკითხთან დაკავშირებული ყველა პირველწყაროს გულდასმით შესწავლამ მიგვაკვლევინა (თუ გნებავთ, „აღმოგვაჩენინა") ამ საყურადღებო ძეგლის მანამდის მეცნიერებისათვის უცნობი საკმაოდ მოზრდილი ტექსტი. გამოვავლინეთ „ალექსანდრიანის" არჩილისეული თარგმანის ის ხელნაწერიც, რომელიც თავის დროზე ხელთ ჰქონია ალ. ხახანაშვილს და რომლის კვალი თითქოს აღარსად ჩანდა (კ. კეკელიძე). მოვიპოვეთ არჩილისეული ვერსიის კიდევ რამდენიმე სხვა ხელნაწერი[2].

[2] ყოველივე აღნიშნულის თაობაზე მოთხრობილია ზემოთ დამოწმებულ ჩვენს ადრინდელ ნარკვევში „ქართული ალექსანდრიანი".

ძველ ქართულ საერო ლიტერატურას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სპარსულ პოეზიასთან. ამიტომაც მე საგანგებოდ ვსწავლობდი სპარსულ ენასა და მწერლობას. აკაკი შანიძის რჩევითა და მისივე ხელმძღვანელობით ხელი მოვკიდე არაბულსაც. არაბული ენის საფუძვლების ცოდნა აუცილებელია სპარსულისათვისაც. საქმეს დიდი მონდომებითა და გატაცებით შევუდექი. ივანე ჯავახიშვილმა (მაშინ რექტორმა) მიმიხმო, ჩემი მუშაობის გეგმა გაიცნო, სპარსულის დაუფლების სურვილი მომიწონა, თანაც დასძინა — სპარსულმა, ნამეტნავად სპარსულმა პოეზიამ, გატაცება იცისო და სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების კვლევა-ძიებისას სიფრთხილეაო საჭირო. ნიკო მარმა ამ მხრივ გადააჭარბა და ზოგი რამ ცალმხრივად გაიაზრაო (თვითონ ბატონმა ივანემ სპარსული კარგად იცოდა). სპარსული ენა შედარებით მალე გავტეხე და დედანში წავიკითხე საადი, რუდაქი, ნიზამი განჯელის პოემები, ვის-ო-რამინი, შაჰნამეს ვულერსისეული გამოცემა... შევეჭიდე ქილილა და დამანას ანვარი სოჰეილის რედაქციის უმძიმეს ტექსტს, რომლის შესახებაც ცნობილი რუსი ირანისტი ევგენი ბერტელსი წერს: «Калила и Димна... цветиста и вычурна до последней степени, запутанные периоды, пересыпанные стихами разных авторов, арабскими поговорками, цитатами из Корана и т. д., могут довести до отчаяния самого терпеливого читателя».

სპარსულის ცოდნა დიდად გამომადგა ჩემი ერთ-ერთი პირველი თემის „ამირანდარეჯანიანის“ დამუშავების დროს. აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევდა ამ თხზულების შედგენილობისა და წარმომავლობის საკითხები. არ გვქონდა ძეგლის სანდო გამოცემა. მოგვეპოვებოდა მხოლოდ ზ. ჭიჭინაძის უხეირო პუბლიკაცია (თბ., 1896), თუმცა ამისთვისაც უნდა ეუმადლოდეთ ქართული წიგნის ამ უანგარო მოამაგეს. „ამირანდარეჯანიანის“ ჭიჭინაძისეულ გამოცემას აბოლოებს ორი კარი (ჯიმშერ ხაზართა მეფისა დილარის შვილის ამბავი, ჯიმშერის შვილის არმოკლა მზეჭაბუკის ამბავი), რომელსაც მოკლედ ჯიმშერიანს უწოდებენ. მკვლევართა ერთი რიგი (განსაკუთრებით ექვთიმე თაყაიშვილი) „ჯიმშერიანს“ თვლიდა „ამირანდარეჯანიანის“ გაგრძელებად და მას გვიანდელ დროს მიაწერდა. მკვლევართა მეორე რიგს (კერძოდ, კ. კეკელიძეს) „ჯიმშერიანი“ მიაჩნდა „ამირანდარეჯანიანის“ ორგანულ ნაწილად და, მაშასადამე, კლასიკური პერიოდის ლიტერატურულ ძეგლად აღიარებდა. ხელნაწერებში აღმოჩნდა „ამირანდარეჯანიანის“ კიდევ ერთი ახალი (მაშინ უცნობი) კარი — გურგენ ჯიზიშვილის ამბავი. ჩემი პირველი საჯარო მოხსენება, რომელიც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში მოეწყო 1926 წელს, მიეძღვნა „ამირანდარეჯანიანის“ შემადგენლობის საკითხს. ჩემი მოსაზრებანი საბოლოოდ ყველამ გაიზიარა და „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი ახლა დადგენილი რედაქციით იბეჭდება.

უფრო მწვავედ იდგა საკითხი „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის თაობაზე.

ტრადიციული შეხედულების კვალობაზე, „ამირანდარეჯანიანი“ ხალხური ამირანიანის ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული და, მაშასადამე, სადაურობის თვალსაზრისით — ორიგინალური. ნ. მარმა ადრევე სცადა დაესაბუთებინა „ამირანდარეჯანიანის“ სპარსული წარმოშობის კონცეფცია („სპარსული ნაციონალური ტენდენცია ამირანდარეჯანიანში“). შემდეგ თითქოს ამ კონცეფციის დამადასტურებელი ლიტერატურული წყაროც მოიპოვა: XVI საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე და მწიგნობარი ბაგრატ მუხრან-ბატონი ამბობს, რომ „სარკინოზთა“ ენაზე დაწერილია საგმირო-საფალავნო შინაარსის მოთხრობა, „რომელსა ყისაჲ ჰამზად უწოდენ“. დიდი მოცულობის ამ წიგნის „მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასა ზედა ჩვენსა ქართულსა... რომელსა დარეჯანიანად უწოდენ“. ეს ცნობა იმდენად დამარწმუნებელი ჩანდა, რომ ყველამ გაიზიარა „ამირანდარეჯანიანის“ სპარსული წარმოშობის მარისეული თეორია. არც არავის უცდია ამ ცნობის შემოწმება, ე. ი. ყისაჲ ჰამზისა და „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტობრივი შედარება. ეს საქმე მე ვიკისრე. პირადად ნიკო მარის დახმარებით თბილისში მივიღეთ „ყისაჲ ჰამზას“ სპარსული დედნის ლითოგრაფიული გამოცემა. შედარებამ დამარწმუნა, რომ ყისაჲ ჰამზა და „ამირანდარეჯანიანი“ არსებითად სხვადასხვა შინაარსისა და სხვადასხვა იდეური დანიშნულების თხზულებანია. თუმცა „ამირანდარეჯანიანის“ „ამბარი არაბის“ ამბავში შევნიშნე „ყისაჲ ჰამზას“ ერთგვარი ზეგავლენის ნაკვალევი და ქართული საგმირო-საფალავნო რომანის (ე. ი. ამირანდარეჯანიანის) სიუჟეტური ორიგინალობის თვალსაზრისს მხარი ვერ დავუჭირე. ივანე ჯავახიშვილმა და კ. კეკელიძემ ჩატარებული მუშაობა მომიწონეს, მაგრამ ჩემი საბოლოო დასკვნა არ შეიწყნარეს. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სწორედ ალ. ბარამიძის ღვაწლია და მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქართული ამირანდარეჯანიანისა და XVI ს. მწერლის ბაგრატ მუხრანბატონის მიერ მის სპარსულ დედნად დასახელებულს შორის დამოკიდებულების ნამდვილი ვითარება გამოარკვიაო“, ოღონდ ჩემი დასკვნა დიდმა მეცნიერმა „მოულოდნელად“ ჩათვალა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 64—65). საყვედური გამოთქვა კ. კეკელიძემაც: „სამწუხაროდ, ვერც ა. ბარამიძე შერჩა მის მიერ დადგენილ ფაქტსო“ (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 71, შნ. 1; იგივე, მეოთხე გამოცემა, თბ., 1958, გვ. 75, შნ. 1). გამოკვლევა „ამირანდარეჯანიანზე“ მოიწონა ნ. მარმაც.

ჩემთვის, მაშინ დაწყებითი მკვლევრისათვის, დიდად წამახალისებელი იყო პირველი ნაშრომის საერთოდ დადებითად შეფასება.

კარგი შედეგები მივიღე შაჰ-ნამესა და „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების შესწავლითაც. გამოვავლინე და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩავრთე შაჰ-ნამეს ციკლის სამი მნიშვნელოვანი ტექსტი: 1. ფერიდუნ და ზოაქის წიგნი (იგი საამნამეს თარგმანი აღმოჩნდა); 2. ბურზო-ნამე (ქართულად გადმოუღია XVI ს. გასულის მოღვაწე ხოსრო თურმანიძეს); 3. ფირდოუსის შაჰნამეს ქართული პროზაული თარგმანის მოზრდილი ფრაგმენტი (XV—XVI საუკუნისა). შაჰ-ნამეს ქართული პროზაული თარგმანის ფრაგმენტის გამოვლინება ნამდვილ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ თეორიულად დადგენილი იყო, რომ შაჰ-ნამეს ქართულ გალექსილ რედაქციებს წინ უსწრებდა პროზაული თარგმანი. მისი კვალი არ ჩანდა. შაჰ-ნამეს ციკლის ცნობილი პროზაული ვერსია შაჰ-ნამეს გაგრძელებას წარმოადგენდა. საგულისხმო ისაა, რომ სწორედ შაჰ-ნამეს გაგრძელების ქართულ პროზაულ ვერსიაში შერწყმული აღმოჩნდა შაჰ-ნამეს თარგმანის ტექსტი. ამბავი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იყო, მოთხრობა ორგანულ ბუნებრივად და ნორმალურად მიმდინარეობდა. მხოლოდ ტექსტების სკრუპულოზურად შესწავლამ და სპარსულ დედანთან შეჯერებამ შესაძლებლობა მომცა ცალკე გამომეყო ის ფრაგმენტი, რომელიც საკუთრივ ფირდოუსის თხზულების თარგმანი ყოფილა.

შაჰ-ნამესა და მისი ციკლის ქართული ვერსიების ხელნაწერებზე მუშაობამ მიმაკვლევინა ე. წ. უთრუთიან-საამიანის ერთი ხელნაწერი, რომელიც ე. თაყაიშვილის აღწერილობის თანახმად შეიცავდა, „ყარამანიანის“ უთარიღო ნაგვიანევ ტექსტს ულაზათო ილუსტრაციებით, გადამწერი უცნობიაო. მე გამოვარკვიე, რომ აღნიშნული ხელნაწერი (S 1594) თარიღიანია, გადაწერილია ოდიშში, ლევან დადიანის კარზე, გადაწერა დასრულებულა 1647 წლის 27 ივლისს, გადამწერია ცნობილი მდივან-მწიგნობარი მამუკა თავაქალაშვილი (თავაქარაშვილი). S 1594 ხელნაწერი შეიცავს არა „ყარამანიანს“, არამედ შაჰ-ნამეს ციკლის მოთხრობას; ხელნაწერში ჩართულია ორი ფურცელი შაჰ-ნამეს ამბის ორი შესანიშნავი მინიატურით. ამით, სხვათა შორის, გაირკვა ზააქიანის გამლექსავისა და ეფხისტყაოსნის უძველესი თარიღიანი ხელნაწერის გადამწუსხავის — მამუკა მდივნის — ვინაობა.

ექვთიმე თაყაიშვილი დიდი მეცნიერისათვის დამახასიათებელი, მაგრამ მაინც განსაცვიფრებელი გულახდილობით აღნიშნავს თავის მოგონებებში, რომ მას დიდი „მარცხი“ მოუვიდა დასახელებული ხელნაწერის აღწერისას. „ბოლო დროს ალ. ბარამიძემ შეამჩნია ეს ჩემი შეცდომა, — განაგრძობს ბატონი ექვთიმე, — ძალიან მეუხერხულებაო“ (მნათობი, 1958, № 11, გვ. 168).

რომ მკითხოთ, ჩემს რომელ ნაშრომს გამოვყოფდი, რომელსაც სხვაზე უფრო ვაფასებ, უყოყმანოდ დავასახელებდი გამოკვლევას „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“.

კ. კეკელიძის სიტყვით, „ქართულ ენაზე ნათარგმნ არც ერთ თხზულებას ისეთი რთული ისტორია არა აქვს, როგორც იგავ-არაკთა იმ კრებულს, რომელსაც „ქილილა და დამანა“ ეწოდება“ (ქართული ლიტ. ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 462).

დიდი შრომისა და რუდუნების შედეგად მე წილად მერგო ამ რთული ისტორიის ამოხსნა. მართალია, მწვავე ბრძოლა გადავიხადე, მაგრამ ჭეშმარიტებამ თავისი გაიტანა და საბოლოოდ ჩემმა გამოკვლევამ საერთო აღიარება დაიმსახურა. ნაშრომი სადოქტორო დისერტაციად მქონდა წარდგენილი. ძალიან ცხარე პაექრობა გაიმართა. როგორც გამოცდილი ოსტატი თავისი შეგირდის დამწყებ ოსტატად დალოცვის დღეს ირჯება, ჩემმა სასიქადულო მასწავლებელმა, პროფესორმა კორნელი კეკელიძემ, მკაცრზე უმკაცრესი საჯარო გამოცდა მომიწყო. მე ბედნიერად ვიგრძენი თავი, როცა დისპუტის დამთავრების შემდეგ, 1936 წლის 5 მარტს, ბატონი კორნელი მშობლიურად გადამეხვია და პირველმა მომილოცა წარმატება. მხოლოდ ფაქტის დადგენის საჭიროება მაიძულებს აღვნიშნო, რომ ცნობილმა ირანისტებმა მაგალი თოდუამ და დავით კობიძემ ჩემს ნაშრომს „მთელი ეპოქის შემქმნელი“ გამოკვლევა უწოდეს (მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967, გვ. 84; დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 332). დ. კობიძემ საჭიროდ მიიჩნია, რომ დაეწერა: „ეს ნაშრომი თავის დროზე რატომღაც მართებულად ვერ შეაფასეს ისეთმა დიდმა მკვლევარებმა, როგორიც კორნელი კეკელიძე და იუსტ. აბულაძე იყვნენ. დღეს ეს გაუგებრობა გადალახულია და ალ. ბარამიძის გამოკვლევას შესაფერისი ადგილი აქვს მიკუთვნებული“ (იქვე).

ყველაფერთან ერთად მე გამოვავლინე „ქილილა და დამანას“ ახალი შესანიშნავი თარგმანი, რომელიც პირადად ვახტანგ მეექვსეს შეუსრულებია ჭირმანში. ვახტანგისეული თარგმანის ტექსტი ძირფესვიანად გადაუმუშავებია სულხან-საბა ორბელიანს და მშვენიერი ლექსებით გაუწყვია იგი. ასე ჩამოყალიბებულა „ქილილა და დამანას“, ასე ვთქვათ, ქართული კანონიკური ტექსტი. მე გავარკვიე სულხან-საბას სამაგალითო ღვაწლი ქართულ პოეზიაში, მისი ვერსიფიკაციული ნოვატორობა. გავაშუქე ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბას შემოქმედებითი კონტაქტებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხი. საჯარო პაექრობის დროს განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო სულხან-საბას ავტოგრაფული ხელნაწერის გამოვლინების ფაქტმა. მაშინ სულხან-საბას ხელი უცნობი იყო. მე შევეცადე დამესაბუთებინა, რომ „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი S—51 იყო მთლიანად ავტოგრაფული. სულხან-საბას ავტოგრაფის მიგნების თავისთავად მნიშვნელოვან ფაქტს ის გარემოება ემატებოდა, რომ ჩემი დებულების უეჭველობა საფუძვლად ედებოდა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის რიგი სხვა დასკვნების კანონზომიე-

რებას. ბატონი კორნელი გადაჭრით უარყოფდა ჩემს არგუმენტებს, თუმცა ასევე გადაჭრით მხარს მიჭერდნენ აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, პაველ ინგოროყვა, ნიკო ბერძენიშვილი და ზოგი სხვაც.

დისპუტის შემდეგ ტრიფონ ჯაფარიძემ, პ. ინგოროყვამ, ილია აბულაძემ, ელენე მეტრეველმა და სხვებმა ბლომად მოიპოვეს სულხან-საბა ორბელიანის უეჭველი ავტოგრაფული ხელნაწერები, უმეტეს წილად — ლექსიკონები. ტ. ჯაფარიძემ გამოაქვეყნა სულხანის ხელრთვით შემკობილი მისი ავტობიოგრაფიული ჩანაწერი. ყოველივე ამან სავსებით დაადასტურა ჩემი ადრინდელი მოსაზრებანი (აქვე შევნიშნავ, რომ მოგვიანებით ბატონმა კორნელიმაც იწამა ეს მოსაზრებანი). მალე სულხან-საბას ლექსიკონის („სიტყვის კონის“) იმდენი ავტოგრაფული ნუსხა გამოვლინდა, რომ ილია აბულაძემ 1965 წელს გამოაქვეყნა „სიტყვის კონის“ ტექსტი მხოლოდ ავტოგრაფული ხელნაწერების მიხედვით. წინასიტყვაში ილია აბულაძე იუწყება, რომ გამოცემა ემყარება ლექსიკონის ც ხ რ ა ავტოგრაფულ ნუსხას. მეცნიერი გამომცემელი მადლობას უცხადებს ათ თანამშრომელს, რომელთაც მას დახმარება აღმოუჩინეს წიგნის გამოსაცემად მომზადებასა და გამოქვეყნებაში. ამავე დროს მუდმივ კეთილად მოსაგონარ ჩემს ძვირფას მეგობარს ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია ამ ავტოგრაფების მოძიებისათვის ცხარე ბრძოლაგამოვლილი და დიდად დამაშვრალი მკვლევრის შესახებ. თურმე ასეც ხდება[3].

სავალალო ვითარება იგრძნობოდა XVI—XVIII საუკუნეების ლიტერატურული ძეგლების პუბლიკაციის მხრივ. ამიტომაც ბატონმა კორნელიმ ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დამისახა ამ ხარვეზის ამოვსებისათვის ზრუნვა. უკვე 1928 წელს დაიბეჭდა ე. წ. აღორძინების ხანის მწერლობის ანთოლოგია, რომელიც მთლიანად მე მოვამზადე, თუმცა ნომინალურ რედაქტორად ითვლებოდა მწერალი ია ეკალაძე. შემდეგ ზედიზედ გამოვაქვეყნე ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი ავტორების თხზულებანი — დავით გურამიშვილისა (1931 წ., სოლომონ იორდანიშვილთან ერთად), ბესიკისა (1932—1962 წწ., ვარლამ თოფურიასთან ერთად), თეიმურაზ პირველისა (1934 წ., გიორგი ჯაკობიასთან ერთად), არჩილ მეორისა (ორ ტომად 1936, 1937 წწ., ნიკო ბერძენიშვილთან ერთად), „ქალმასობა“ (ორ ტომად, 1938, 1947 წწ., კ. კეკელიძესთან ერთად), ქილილა და დამანას იგავ-არაკები (1949 წ., პაველ ინგოროყვასთან ერთად), იგივე ქილილა და დამანა სრულად, აკადემიური გამოცემა (1962 წ., ელენე მეტრეველთან ერთად), აკადემიურივე „დავითიანი“ (1955), „ბახთიარ-ნამე“, „ხოსროშირინიანი“ (1943 წ.), როსტომიანის პროზაული თარგმანი (1934 წ.) და ზოგი რამ

[3] აქ აღძრულ საკითხზე დაინტერესებული მკითხველი უფრო ვრცელ ცნობებს იპოვის ჩვენს წერილებში ქილილა და დამანას შესახებ, რომლებიც თავმოყრილია ჩვენივე ნარკვევების 1, 5, 6 და 7 წიგნებში (განსაკუთრებით — მეშვიდე წიგნში).

სხვაც. ყველა დამოწმებულ გამოცემას, გარდა კალმასობისა, ახლავს ჩემი ვრცელი შესავალი წერილები და ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნები. 1935 წლიდან დღემდის, შეძლებისდაგვარად, ვიღწვი ვეფხისტყაოსნის ტექსტისა და მისი ვარიანტების გამოცემაზე.

ვიყავი წევრი ყველა იმ კომისიისა, რომელსაც რუსთველის პოემის გამოცემა ჰქონდა დავალებული. ამჟამად ვხელმძღვანელობ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარ სარედაქციო კოლეგიას.

კვლევა-ძიების სფეროში ადრე ჩემს უმთავრეს ყურადღებას იქცევდა ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემატიკა. შემდეგ თანდათანობით ჩემ ნაშრომებში გაიზარდა ძეგლების იდეურ-მხატვრული ანალიზის ხვედრითი წონა. მე იმ დროს გამოვედი სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე, რომ ერთდროულად მიხდებოდა პირველადი შავი სამუშაოს შესრულებაც, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კვლევა-ძიების წარმოება, იდეურ-მხატვრული ანალიზის ჩატარება და შემაჯამებელ-განმაზოგადებელი ნაშრომების მომზადება. ჩემი უმთავრესი მონოგრაფიული გამოკვლევებიდან უნდა დავასახელო „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ (1958, 1966, 1975) და „სულხან-საბა ორბელიანი“ (1959). განმაზოგადებელი ნაშრომებიდან— „ქართული ლიტერატურის ისტორია“ რუსულ ენაზე (1958 წ., შალვა რადიანთან და ბესო ჟღენტთან ერთად). აქ მე მეკუთვნის ძველი მწერლობის მიმოხილვა. ეს მიმოხილვა დიდი არ არის, მაგრამ მე მომიხდა ძველი ქართული მწერლობის ჩასახვისა და განვითარების ისტორიის განსხვავებული, ჩემეული სქემის შემუშავება. ამ სქემას საფუძვლად დაედო არა ისტორიულ-ჟანრობრივი, არამედ ისტორიულ-ქრონოლოგიური პრინციპი. არსებითად ამავე პრინციპზეა აგებული ძველი ქართული მწერლობის ისტორია, რომელიც 1954 წელს დაიბეჭდა კ. კეკელიძისა და ჩემი ავტორობით (ამის საფუძველზე შეიქმნა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი იმავე ავტორებისა, დაიბეჭდა 1969 წელს).

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი კორნელისა და ჩემი მუშაობა დამოწმებულ კურსზე სრული სოლიდარობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა. არსებითად ისტორიულ-ქრონოლოგიურ საფუძველზეა აგებული ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულიც, რომელსაც ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი სცემს. უნდა ვაღიაროთ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, ექვსტომეულის გამოშვება ძალზე გაჭიანურდა. უკვე გამოქვეყნებულია ხუთი ტომი. საბჭოთა პერიოდის შომცველი მეექვსე ტომი წარმოებაშია. ამ ტომის გამოუქვეყნებლობის სიმძიმეს ის გარემოება ამსუბუქებს, რომ 1976 წელს მოსკოვში გამოვიდა რუსულ ენაზე მისი უფრო მოკლე რედაქცია.

რაღა თქმა უნდა, კვლევაძიებითს პროცესში მჭონდა ცალკეული ხარვეზები, შეცდომები, გადახრები... დრო თავის ხარკს ითხოვდა. ჩემს

ადრეულ ნაწერებში შესამჩნევია ვულგარული მატერიალიზმისა თუ შიშველი სოციოლოგიზმის ზემოქმედების ნაკვალევი, ზოგიერთ ჩემს ძველ ნაშრომში იგრძნობა სპარსული მწერლობის ქართულზე ზემოქმედების ერთგვარი გაზვიადება.

ბევრი მიწერია კრიტიკული და პოლემიკური ხასიათის ნაშრომი. პაექრობა მქონდა ჩემს დიდ მასწავლებლებთან (ივანე ჯავახიშვილთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან), ავგრეთვე ისეთ მკვლევრებთან, როგორიც ბრძანდებოდნენ: მოსე ჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, პავლე ინგოროყვა, იუსტინე აბულაძე, გიორგი ლეონიძე, კონსტ. ჭიჭინაძე, კარპეზ დონდუა, პეტრე შარია, გაიოზ იმედაშვილი, ივანე ლოლაშვილი, ივანე სურგულაძე, აგრეთვე ვიქტორ ნოზაძე, გერჰარდ დეეტერსი, დევით ლანგი, ნიკოლოზ ჩუკოვსკი, პავლე ბერკოვი, ვიქტორ ჟირმუნსკი და ბევრი სხვა. მე ყოველთვის დიდად ვაფასებდი ნიკო მარის განსაკუთრებულ ღვაწლს, მაგრამ უკომპრომისოდ ვაკრიტიკებდი მის მძიმე შეცდომებს. კრიტიკისა და პოლემიკის დროს ვცდილობდი ეყოფილიყავი ობიექტური, ტაქტიანი, არავითარ შემთხვევაში არ დამერღვია ლიტერატურული ეთიკის ნორმები. თავის მხრივ ყოველთვის სერიოზულ ანგარიშს ვუწევდი საქმიან, ჯანსაღ კრიტიკას ჩემს მიმართ. არდამკლებია ტენდენციური, ღვარძლიანი და ცილისმწამებლური გამოხდომები. მწარე ტკივილიც განმიცდია. დრო კარგი მკურნალია. ვცდილობდი და ვცდილობ ცუდი დავივიწყო და კარგი დავიმახსოვრო. ესეცაა, ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე ბევრი თბილი სიტყვაც მომისმენია. პარტიის, ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღება კი არასოდეს არ მომკლებია.

ბოლო დროს ძველი ქართული მწერლობის კვლევა-ძიების სფეროში შეინიშნება მოსაწონი და წამახალისებელი ტენდენციები. ახლა უფრო საბუთიანად განიხილება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის განვითარება როგორც ერთიანი, უწყვეტელი პროცესი უძველესი დროიდან დღემდის. მეტი ყურადღება ექცევა ძველი ქართველი მწერლების ძუნწად გამქღავნებულ თეორიულ ნააზრევს და ესთეტიკურ შეხედულებებს. უფრო თვალსაჩინოა მწერლობის ძეგლთა ლიტერატურულ-მხატვრული მხარეების შესწავლა.

საზოგადოდ, მკვლევართა ყოველი ახალი თაობა ახალი კუთხით, ახალი თვალთახედვით სწავლობს და აფასებს ახლობელი თუ შორეული წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ეს ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა. რასაკვირველია, უნდა შეიქმნას ახალი, მაღალხარისხოვანი შრომები და განმაზოგადებელი ნაშრომები. უნდა გაძლიერდეს კვლევა-ძიება სიღრმისეული და სივრცისეული მასშტაბების მიმართულებით. უნდა შეიქმნას თანამედროვე მაღალი მოთხოვნილებების შესაფერისი სახელმძღვანელოები უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისათვის.

ეს უნდა, რასაკვირველია, შეიძლება დაუსრულებლივ გაგრძელდეს. მაგრამ თქმულიც საკმარისია. ახალი, აქტიური მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის მოვუწოდებ ჩემს მოწაფეებსა და თანამშრომლებს. ყველას შევახსენებ, რომ საჭიროა სწორად გაგებული ისტორიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობა, ადრეული, განვითარებული თუ ნაგვიანევი შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის, აზროვნების და პოეტიკის სპეციფიკური ბუნების საფუძვლიანი ცოდნა და კვლევა-ძიების პროცესში მისი შეუცდომელი გამოყენება. განსაკუთრებით ბევრია გასაკეთებელი ჩვენი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის მსოფლიო ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის თვალსაჩინოდ ცხადყოფისათვის. არ კმარა ფაქტების უბრალო კონსტატაცია თუ რიტორიკული დეკლარაცია იმის თაობაზე, რომ ჩვენი დიდებული მწერლობის ესა თუ ის ძეგლი საერთაშორისო ყურადღებას იმსახურებს და მსოფლიო ლიტერატურის სარბიელზე გავიდა, ღირსეულ ადგილს იკავებს მსოფლიო ლიტერატურის პანთეონში, როგორც ამბობს პოეტი ნიკ. ტიხონოვი.

ქართული სიტყვიერი ხელოვნების, ისე როგორც ხელოვნების სხვა დარგების (არქიტექტურის, ფერწერის, მუსიკის, ქორეოგრაფიის, ფოლკლორის...), განვითარებას აპირობებდა ჩვენი ერის ისტორიის განვითარების ცვალებადი, ხშირად წინააღმდეგობრივი, მდგომარეობა. ამიტომაც ქართული ლიტერატურული პროცესის ანალიზი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ძველი ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის მთელი კომპლექსის ერთობლივი სურათის მონაცემებს.

ამით ვასრულებ ჩემს თვითანგარიშს და, თუ გნებავთ, ჩემს აღსარებას. მოკლედ გაგაცანით, რაც გავაკეთე სამეცნიერო-კვლევითს სფეროში. მეტი ვერ შევძელი. დიდი დრო და ენერგია მოითხოვა სამეცნიერო-ადმინისტრაციულმა საქმიანობამ. არ ვნანობ. ესეც საჭირო იყო. გარკვეული შრომა მაქვს გაწეული საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზეც. მე ის მაიმედებს, რომ ჩემი მასწავლებლისა და ჩემს საქმეს წარმატებით განაგრძობენ ჩვენი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები. ცოტა შრომა როდი დასჭირდა პედაგოგიური და მეცნიერული კადრების მომზადებას. დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მიერ აღზრდილი და გაწაფული კვალიფიციური სპეციალისტები დღეს აქტიურად მოღვაწეობენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო უბანზე.

1982

ვეფხისტყაოსნის ერთი ახლებური წაკითხვის გამო

I

1983 წლის „მნათობის“ მეათე და მეთერთმეტე ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი მწერლის, პოეტისა და პროზაიკოსის თამაზ ჭილაძის ვრცელი რუსთველოლოგიური ნაშრომი „ვარდის ფურცლობის ნიშანი“.

ნაშრომის შესავალში ავტორი გამოთქვამს ზოგად საგულისხმო მოსაზრებებს, რამაც გასაგები უნდა გახადოს მისი მიზანდასახულობის ხასიათი.

თ. ჭილაძე სავსებით მართებულად შენიშნავს: „ყოველ ახალ თაობას თავისი გამოცანა ხვდება ამ პოემაში (ვეფხისტყაოსანში, ა. ბ.) და ალბათ, კიდევ მრავალი მეცნიერი თუ პოეტი დაშვრება პოემის ტექსტის დასადგენად თუ ამოსახსნელად“ (მნათობი, № 10, გვ. 126). თ. ჭილაძე იმასაც ამბობს, რომ „საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ადამიანი, ამ ნაწარმოებზე თავისი აზრი რომ არ გამოეთქვას“ (იქვე, 118), ხოლო „პოემა კი ლამის ჩაიკარგა მასზე დაწერილი გამოკვლევების ზღვაში“ (გვ. 120). სამწუხარო ის არის, რომ ვეფხისტყაოსანზე ბევრი იწერება და ზოგჯერ იბეჭდება დეზორიენტაციის გამომწვევი ახირებული და უცნაური მოსაზრებანი. უფრო ცუდი ისაა, რომ ასეთი საეჭვო მასალები ქვეყნდება რუსულსა და უცხო ენებზეც.

თ. ჭილაძის ფიქრით, ვეფხისტყაოსანში არის „ჩამარხული საიდუმლო“, რომელსაც სჭირდება ამოხსნა, „თუკი ეს საერთოდ შესაძლებელიაო!“ (ბოლო ფრაზა ფრჩხილებითაა შემოზღუდული, გვ. 121). მკვლევარი წერს, რომ სწავლულთა (რუსთველოლოგთა) „გარკვეულ, მეტად გავლენიან წრეში ზოგჯერ ავიწყდებათ, ან შეგნებულად ივიწყებენო „პოეზიაზე საუბრის დროს... რომ ეს სწორედ პოეზიაა, ანუ ხელოვნება“ (გვ. 122). თ. ჭილაძე იმოწმებს შ. ნუცუბიძის სიტყვებს — „ტექსტს ფილოლოგიური წაკითხვის გარდა, პოეტური წაკითხვაც უნდაო“, თუმცა იქვე ურთავს: „რასაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ თვითონაც ივიწყებდა ეს ყველაზე პოეტური ფილოსოფოსი ჩვენს ახალ ფილოსოფოსებს შორისო“ (122).

თავის მხრივ თ. ჭილაძეს განუზრახავს მის მიერ შენიშნული ხარვეზის ამოვსება, უცდია ვეფხისტყაოსნის „პოეტურად წაკითხვა“, პოემაში „ჩამარხული საიდუმლოს“ ამოხსნა და ამ დიდებული ძეგლის იდეურ-მხატვრული რაობის გარკვევა. რაღა თქმა უნდა, მეტად საპატიო და სა-

პასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტა დაუსახავს მიზნად ჩვენს პატივცემულ პოეტსა და მკვლევარს.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, თ. ჭილაძე თავის შეხედულებებს უმეტესწილად შთაბეჭდილებების სახით გადმოგვცემს (თუმცა მათ კატეგორიული დასკვნების ხასიათსაც კი აძლევს) და ნაკლებად იყენებს დასაბუთების ჩვეულებრივ წესებს. კამათის დროს ასევე უმეტეს წილად თ. ჭილაძე დაქარაგმების ხერხით სარგებლობს და მკითხველს პირდაპირ არ უმხელს, თუ ვის ედავება მოპაექრე პოეტი.

პირველ ყოვლისა, თ. ჭილაძე ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის მდგომარეობის საკითხს. ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი პოეტურად წამკითხველი ავტორისაგან (მაგალითად, ცნობილი პოეტისა და რუსთველოლოგის კონსტანტინე ჭიჭინაძისაგან) განსხვავებით ფიქრობს, რომ პოემის „ტექსტი აჭრელებულია უამრავი წარწერით, ჩამატებული სიტყვით, სტრიქონითა თუ მთელი ეპიზოდით“. თ. ჭილაძე აღიარებს, რომ რუსთველოლოგ-ტექსტოლოგებმა „ტიტანური შრომა“ გასწიეს პოემის „სარეველასა“ და „დამატებათა ნაგავისაგან გასაწმენდად“ (გვ. 119—120). ამ შრომამ „არაჩვეულებრივი ნაყოფი გამოიღო“, წერს მკვლევარი და ასკვნის: „დღეს გაცილებით უკეთესი ტექსტი გვაქვს ხელთ, ვიდრე რომელიმე, ცალკე აღებული, ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერია“. დამოწმებულის გვერდით თ. ჭილაძე იმასაც ამბობს, რომ: „ზოგიერთმა ჩვენმა ფილოსოფოსმა თუ ტექსტოლოგმა-მკვლევარმა ლოდიდან ქანდაკება კი არა, ქანდაკებიდან ლოდი გამოთალა და იმით ჩახერგა კარი იმ მზიანი, სიკეთით სავსე სახლისა, ვეფხისტყაოსანი რომ ჰქვია“. სიფრთხილისათვის თ. ჭილაძე თქმულს ურთავს: „ეს სიტყვები ყველას ერთიანად არ ეხებაო“ (გვ. 121). ცოტა უცნაურად გვეჩვენება თ. ჭილაძის განცხადება იმავე საკითხების სფეროდან: „მეცნიერული ტექსტი, მართლაც, ერთი უნდა იყოს (სასურველია!) პოეტური კი იმდენი, რამდენიც მკითხველია (ესეც სასურველია!)“ (გვ. 123). თუ ასეა, მაშინ რად გვეჩოთირება ვეფხისტყაოსნის ტექსტის „სიჭრელე“.

რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესი საკითხია ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხი. თ. ჭილაძეც ამ საკითხს აქცევს ჯეროვან ყურადღებას. მას მიუღებლად მიაჩნია პროლოგის თაობაზე რუსთველოლოგიაში განმტკიცებული შეხედულებანი, სადავოდ თვლის პროლოგის დაწერის დროს, მისი მხატვრულობის ხასიათს, მის მიმართებას საკუთრივ პოემისადმი...

სწორია თ. ჭილაძის მოსაზრება, რომ პროლოგი წარმოადგენს „ერთგვარ თეორიულ ტრაქტატს“, ოღონდ, მკვლევრის ფიქრით, იგი რუსთველს შემდგომ დაურთავს პოემისათვის (გვ. 132). „პროლოგი რომ მერეა დაწერილი, ანუ პოემის ძირითადი ტექსტის შემდეგ, რუსთველოლოგიაში ცნობილი მოსაზრებააო“, ამბობს მეორეგან (133). მართლაც, ძნელია გა-

დაჭრით თქმა, პროლოგი უსწრებდა პოემას, თუ პოემის დასრულების შემდეგ შეითხზა. პროლოგი იგივე წინასიტყვაა. წინასიტყვას ზოგი ავტორი ადრე წერს, ზოგიც მერმე, თხზულებას რომ მოათავებს. მაგალითად, თეიმურაზ პირველი თავისი პოემების წერას იწყებდა პროლოგით, ასევეა შეთხზული არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. მაგრამ გურამიშვილის „დავითიანის“ წინასიტყვა ბოლოსაა დაწერილი და ბოლოსიტყვას წარმოადგენს, თუმცა ჩვენს ბეჭდურ გამოცემებში წინ გადმოვიტანეთ მისი სპეციფიკური ხასიათის გამო (რა თქმა უნდა, ყველაფერ ამაზე მკითხველი სათანადოდ არის ინფორმირებული).

რუსთველოლოგიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ვეფხისტყაოსნის პროლოგი პოემის საუკეთესო, ორგანული ნაწილია, თუ გინდ ვეფხისტყაოსნის „იდეათა სამყაროს შესავალი კარი“, „კლიტე-გასაღები“; პროლოგში გამოთქმული შეხედულებანი პოემაში მხატვრულად არის ხორცშესხმული; პროლოგი და პოემა ერთიან, დაუნაწევრებელ, მტკიცედ შეკრულ და განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. ცხადია, აქ ლაპარაკია პროლოგის ძირითად ტექსტზე, თორემ ინტერპოლაციისაგან არც ის არის დაზღვეული. სულ სხვა თვალსაზრისს ავითარებს თ. ჭილაძე. ის ამბობს (ამბობს და კი არ ამტკიცებს), რომ პროლოგი ვეფხისტყაოსნის სხვა ნაწილებთან შედარებით ნაკლებ პოეტურია. სიზუსტისათვის ვიმოწმებთ მკვლევრის სათანადო ციტატს: „ჩემი აზრით, არც ერთი ნაწილი პოემისა არ არის ისე არაპოეტური, როგორც პროლოგი, თუკი, რასაკვირველია, რუსთველის ქმნილების მიმართ ამ სიტყვის ხმარება საერთოდ დასაშვებია“ (გვ. 132). ეს ცოტაა. თ. ჭილაძის ნარკვევში ხაზგასმით არის განცხადებული, რომ პროლოგი არ არის პოემის ნაწილი, რომ პროლოგი იდეურად უპირისპირდება საკუთრივ პოემას. აქაც ავტორისეულ ტექსტს ვიმოწმებთ სრულად (ტექსტი დაბეჭდილია შავი კორპუსით): „პროლოგი პოემის ნაწილი კი არ არის, არამედ, პროლოგი და პოემა ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა პოეტური თუ ფილოსოფიური და, რაც მთავარია, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის გამომხატველი ნაწარმოებია!“ (გვ. 133).

საგულისხმოა, რომ სულ სხვაგვარად აფასებს პროლოგს და მის მნიშვნელობას ჩვენი სახელოვანი მწერალი ნოდარ დუმბაძე. ის წერს: „ჩემში ყოველთვის განცვიფრებას იწვევდა ვეფხისტყაოსნის პროლოგი. თავისი გენიალობით, ყოვლის მომცველობით, განცვიფრებას იწვევდა მისი სასაუბრო ტონით, პათეტიკით, სიბრძნით, განწყობილებით, პარადოქსული, ერთი შეხედვით არათანმიმდევრული მსჯელობებით, იდუმალი სტრიქონებით, განსაცვიფრებლად უშუალო მსჯელობებით“ (ჩემი რუსთაველი, „ცისკარი“, 1976, № 7, გვ. 93—94). ნ. დუმბაძე თვლის, რომ პრო-

ლოგი დაიწერა პოემის დასრულების შემდეგ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პროლოგის მხატვრულობის შეფასებისათვის თ. ჭილაძეს დატოვებული ში აქა-იქ მართლაც ვარსკვლავებივით ბრწყინავენ“ (გვ. 133).
აქვს უკან დასახევი გზა. მას უწერია: „რუსთაველის სტროფები პროლოგ-

თ. ჭილაძის მსჯელობიდან ირკვევა, რომ პროლოგის მისეული შეფასება, ყოველშემთხვევაში ორი, შორსგამწვდომი მოსაზრების გამო შეუმუშავებია: 1. ვეფხისტყაოსანში ამოეცნო სიყვარულის ისეთი კონცეფცია, რომელიც შეუთავსებელია პროლოგში ჩამოყალიბებული კოდექსისათვის; 2. პოემისაგან ჩამოეცილებინა თამარის სახელი. თავის ნაშრომში, განსაკუთრებით ერთ სპეციალურ კარში (მნათობი, № 10, გვ. 136—142) თ. ჭილაძე ცდილობს სახელი გაუტეხოს თამარს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს და როგორც ადამიანსაც კი. თითქოს თამარი განუდგა, განუდგა კი არა, დაუპირისპირდა მის „მამა-პაპათა პოლიტიკურ ორიენტაციას“ (გვ. 135) და მისმა „პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მ ა ს ი ბ ე ც ე მ“, საერთაშორისო ვითარებაში გაურკვეველობამ, „ინფორმაციის სიღატაკემ“ ქვეყანა საშინელი ხიფათის წინაშე დააყენა (გვ. 141, ხაზი ჩვენია).

თ. ჭილაძის სიტყვით, „მამა-შვილი (გიორგი მესამე და თამარი, ა. ბ.) სხვადასხვა ორიენტაციის ხელმწიფეები იყვნენ“ (გვ. 137). ასევე „თამარის პოლიტიკური კურსი დაუპირისპირდა დავითის (აღმაშენებლის, ა. ბ.) პოლიტიკურ კურსს და ეს იყო პირველი დიდი მარცხი, რომელმაც განაპირობა კიდეც ქვეყნის მომავალი დაცემა და დაქვეითება“ (გვ. 138). თ. ჭილაძის ჩანაფიქრით — „რუსთაველის, დიდად პოეტურ იდეად გარდაქმნილი, მოქალაქეობრივი მრწამსი დავით აღმაშენებლის პოლიტიკური პოზიციიდან იღებს ბიძგს“ (გვ. 136). ვიმეორებთ, ყოველივე ამის გამო აუცილებელი გახდა რუსთველისა და თამარის დაშორიშორება, თამარის სახელის ჩრდილში მოქცევა. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭირო გახდა ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღის გადასინჯვაც. „ვეფხისტყაოსანი თუ დაწერილი არა, დაწყებული მაინცაა თამარის გამეფებამდეო“, წერს თ. ჭილაძე. ვეფხისტყაოსნის შექმნის თაოსნობა თითქოს ეკუთვნის გიორგი მესამეს. ეს ცოტაა, გიორგი მესამე ყოფილაო პირდაპირი დ ა მ კ ვ ე თ ი. მკვლევარი კითხულობს: „ვინ არის პოემის დამკვეთი?“ კითხვას იქვე უპასუხებს: „მე, პირადად, ის შეხედულება უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, რომლის მიხედვითაც დამკვეთი თამარი კი არ არის, არამედ თამარის მამა, მეფე გიორგი მესამე“ (გვ. 128). ვაჟის უყოლობის პირობებში წინდახედულსა და გამჭრიახ მეფე გიორგის თავიდანვე უნდა ეზრუნა ტახტის მემკვიდრედ თავისი ქალიშვილის, თამარის, გამოსაცხადებლად და გასამეფებლად. ქალის გამეფების იდეა იმ დროისათვის „გრანდიოზული იდეა“ იყოო, ამბობს თ. ჭილაძე, ამისი განხორციელება არ იყო ადვილი საქმე. ბევრ კარისკაცს ასეთი რამე „უგუნურებადაც კი მიაჩნდაო“. ქალის გამეფების შესაძლებლობის იდეურად შესამზადებლად გიორგის მიუ-

წვევია დიდი, პროფესიონალი პოეტთა პოეტი („კარის პოეტი"!) და შეუკვეთია მისთვის შესაფერისი პოეტური ნაწარმოების შექმნა: „ქალის კულტის" შექმნისათვის მიუწვევიათ რუსთველი სამეფო კარზეო (გვ. 128). თ. ჭილაძე გვაუწყებს: „ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ გიორგი III-ს თავისი ქალიშვილის — თამარის გამეფება უცებ, მოულოდნელად არ გადაუწყვეტია. ეს იდეა მას თამარის გამეფებამდე დიდი ხნით ადრე დაებადა. იმ დროისათვის ეს გრანდიოზული იდეაა. მის განხორციელებას დიდი ძალა, დრო და სახსარი სჭირდება. ამიტომაც დაიბარეს სასახლეში რუსთაველი ალბათ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ძლევამოსილი გიორგი III-ს მემკვიდრეზე საუბარი უგუნურებადაც კი მიაჩნდათ კარისკაცებს" (გვ. 135, ხაზი ჩემია, ა. ბ.). ასე ჩაეყარაო საფუძველი ვეფხისტყაოსანს, რომელიც „გარკვეული თვალსაზრისით პროპაგანდისტული ნაწარმოებიაო", ამბობს თ. ჭილაძე (129).

თ. ჭილაძე ასკვნის: „ვიმეორებ, რუსთაველს პოემის დაწერა შეუკვეთა თამარის მამამ, გიორგი მესამემ, პოემის წერა კი დასრულდა მაშინ, როცა საქართველოს სამეფოს ტახტზე უკვე თამარი იჯდა" (გვ. 136).

სანამ წამოჭრილ საკითხზე მსჯელობას განვაგრძობდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თავის დროზე ძირითადად ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ვეფხისტყაოსნის შექმნის თაობაზე კათალიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ (1866—1952). კ. ცინცაძის ეს მოსაზრება გამოთქმულია მის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობისათვის", რომელიც დაიბეჭდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებულში — „შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი" (თბილისი, 1966, გვ. 226—274. ნარკვევი გამოქვეყნდა კ. ეკაშვილის ფსევდონიმით). გიორგი მესამემ კარგად იცოდაო, რომ ქალის გამეფების იდეის განსახორციელებლად მას დიდ სამსახურს გაუწევდა სახელმოხვეჭილი კარის მგოსნის მხატვრული სიტყვა. მეფემ იხმო შოთა რუსთაველი და დაავალა მას განზრახული საქმის სრულყოფა (დასახ. ნაშრომი, გვ. 237—240). კ. ცინცაძე პირდაპირ წერს: „რუსთველმა თავისი პოემის დაწერის დაკვეთა მიიღო დინასტიური საკითხით დაინტერესებული გიორგი მეფისაგან. შეიძლება გიორგის სიცოცხლეში დაიწერა და გამოქვეყნდა ნაწილი, თუნდაც 34—192 (32—176) სტროფები, რაც გიორგი მეფისათვის სავსებით საკმარისი იყოო" (გვ. 269). რაც შეეხება პოემის პროლოგს, იმას კ. ცინცაძე თვლის შემდეგი დროის დანართად და არა რუსთველის კუთვნილებად.

ამრიგად, ორივე მკვლევრის, კ. ცინცაძისა და თ. ჭილაძის ვარაუდით, ვეფხისტყაოსანი შეთხზულია გარკვეული პოლიტიკური მიზანდასახულობის კვალობაზე გიორგი მესამის დაკვეთით. პოემა თუ დამთავრებული არა, „დაწყებული მაინცაა" გიორგის სიცოცხლეში, თამარის გამეფებამდე, ე. ი. 1178 წლამდე (თ. ჭილაძე), ან 1177—1179 წლებს შუა (კ. ცინცაძე).

თუ ასეა, საკვირველია, როგორ არ აისახა მსგავსი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი პოემის პროლოგში, დამოუკიდებლად იმისა, პროლოგი დაიწერა პოემის შეთხზვის წინ, თუ შეთხზვის შემდეგ. ორივე დასახელებული მკვლევარი რუსთველს უწოდებს კარის პოეტს. როგორ შეიძლებოდა კარის პოეტს არ აღენიშნა, ან არ მიენიშნებინა დაკვეთის თაობაზე და ქებით არ მოეხსენებინა დამკვეთი მეფე-პატრონი? თ. ჭილაძე სრულიად სამართლიანად დიდ ნდობას უცხადებს ვახტანგ მეექვსეს. ვახტანგი ვეფხისტყაოსნის კომენტარში გარკვევით წერს: „წ ე ს ი ა პირველად ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღვთისა და მერმე მეფეთა“. რატომ დაარღვია რუსთველმა მაშინდელ დროში სავალდებულოდ მიჩნეული ეს წესი?

ვეფხისტყაოსნის პროლოგში ნამდვილად არის მეფე-პატრონთა, თამარისა და დავით სოსლანის შესაფერისი ქება („ვის ჰშვენის, ლომსა...“, თამარს ვაქებდეთ მეფესა“). თ. ჭილაძე კატეგორიული ფორმით ამბობს: „პოემის თავდაპირველ ტექსტში წარმოუდგენელია ყოფილიყო „თამარს ვაქებდეთ მეფესა“! — ამას გიორგი მესამე არ დაუშვებდა: მას პოემა სჭირდებოდა ქალის კულტის პროპაგანდის მიზნით და არა კონკრეტული ფაქტის გასამყარებლად. პოემის თავდაპირველ ტექსტში სახელი თამარი არ უნდა ყოფილიყო ნახსენები, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოემის თავდაპირველ ტექსტს არ ჰქონდა პროლოგი...“ (გვ. 135). ჯერ ერთი, საიდან იცის თ. ჭილაძემ, რომ „პოემის თავდაპირველ ტექსტს არ ჰქონდა პროლოგი“? როგორც ვახტანგის კომენტარიდან ჩანს, ვეფხისტყაოსნის ტიპის ნაწარმოებს უნდა ჰქონოდა „ანდერძი“ ან „შესავალი“, ან ორივე ერთად. ვეფხისტყაოსნის უეჭველი რეალიებიდან ჩანს, რომ რუსთველი უსათუოდ იცნობდა ფირდოუსის, გურგანისა და ნიზამი განჯელის პოემებს (როსტომიანს, ვისრამიანს, ლელი-მაჯნუნიანს). ყველა იმათ ამკობს პროლოგი მეფე-პატრონთა ქებით. რუსთველს რად უნდა დაერღვია დამკვიდრებული წესი, მით უფრო, თუ მისი პოემა შეიქმნა დაკვეთის წესით. სრულიად უსაფუძვლოა მოსაზრება, თითქოს გიორგი III „არ დაუშვებდა“ თამარის ქებას. პირიქით, თუ გიორგიმ იმიტომ დაუკვეთა რუსთველს პოემის დაწერა, რომ პოეტს დაესაბუთებინა ქალის გახელმწიფების კანონზომიერება, გიორგი დაინტერესებული ყოფილა თავისი ქალ-მემკვიდრის ღირსებათა წარმოჩენით და მისი სახელის განდიდებით. ყველაფერთან ერთად ეს იქნებოდა მისი პოლიტიკის, მისი განზრახვის გონივრული ფორმით დასაბუთება.

დაბოლოს, ვეფხისტყაოსნის პროლოგში ხომ არის თამარის ქება (სულერთია წინ უსწრებდა მისი დაწერა პოემას, თუ პოემის დასრულების შემდეგ დაიწერა). საერთოდ, როდესაც თამარის ქებაზეა საუბარი, იგულისხმება თამარის სწორედ პროლოგისეული ქება, რაც თავისთავად უტყუარი ფაქტია. სხვა საქმეა, აისახა თუ არა პოემაში თამარის პიროვნება. ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა და კამათი ბუნებრივია და მო-

სალოდნელი. თ. ჭილაძე ჯერ შედარებით მორიდებით ამბობს: „ეს პოემა მართლა არ იყო თამარის ქება, ანუ პოემა არ გამოვიდა ისეთი ნაწარმოები, როგორსაც რუსთაველისაგან მოელოდნენ. მესმის, ძნელია ამის თქმა, მაგრამ მაინც ვამბობ, რადგან ისეთი ავტორიტეტები მიმაგრებენ ზურგს, როგორიც ვახტანგ VI და იუსტინე აბულაძეა. უკანასკნელი ამ პოემას არა თუ „ვისიმე საქებრად დაწერილად“, არამედ საერთოდ არ თვლის ხოტბად“ (გვ. 134).

„ცნობილია, რომ პირველი რუსთველოლოგი ვახტანგ VI ამ პოემას თამარის ქებად არ აღიქვამდაო“, ამბობს თ. ჭილაძე (იქვე). ჩვენ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ საქმე შეეხება პოემის პროლოგს და იქ გამოთქმულ თამარის ქებას. თ. ჭილაძის განზრახვა ის არის, რომ რუსთველს არ დაუკავშიროს თამარის ამაღლებული ქება, რამდენადაც თურმე რუსთველის პოლიტიკურ მრწამსს ბიძგს აძლევდა დავით აღმაშენებლისა და არა „ბეცი პოლიტიკის“ გამომხატველი თამარის საქმე. მეტიც, თამარი თურმე ერთგვარად მამისა და დავით აღმაშენებლის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა მამის, გიორგი მესამის, სიცოცხლეში. 1179—1184 წლებში, როცა თამარი მეფედ კი იყო დასმული, მაგრამ სახელმწიფო საქმეებს ისევ გიორგი უძღვებოდა, თამარი ვითომც ფარულად ახალი პოლიტიკური კურსის შემზადებას შეუდგა. თ. ჭილაძე იუწყება: „ამ ექვსი წლის განმავლობაში, რასაკვირველია, ისევ გიორგი განაგებდა სახელმწიფოს, მაგრამ, როგორც ჩანს, არც თამარი მჯდარა გულხელდაკრეფილი, მომავალი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ხელმწიფობისთვის ემზადებოდა. საკვირველია, რომ სწორედ იმ ექვსი წლის არალეგალური მეფობის დროს იქმნებოდა თამართან დაახლოებულ პირთა წრეში ის ახალი პოლიტიკური პოზიცია, რომელიც თამარს თავისი მეფობის საყრდენად უნდა გამოეყენებინა“ (გ. 135, ხაზი ავტორისაა, ა. ბ.). ერთი სიტყვით, თამარი მამის სიცოცხლეში ამზადებდა შეთქმულებას მამისავე სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის წინააღმდეგო, ვარაუდობს თ. ჭილაძე. ცხადია, თუ სწორია, რომ რუსთველი დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის პოლიტიკის დამცველი იყო და უპირისპირდებოდა თამარის პოლიტიკურ კრედოს, როგორ შეთხზავდა იგი თამარის ქებას! მაგრამ სწორია კი თ. ჭილაძის ისტორიოგრაფიული კონცეფცია? ჩვენდათავად ვიტყვით, რომ ვეფხისტყაოსანი არ ამართლებს ვარაუდის სახით განცხადებულ ჭილაძისეულ კონცეფციას.

ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს პ რ ო ლ ო გ ი ა ქ ე ბ-ა დ ი დ ე ბ ს თ ა მ ა რ ს. ვახტანგ VI და იუსტინე აბულაძე მოკავშირედ არ გამოადგება თ. ჭილაძეს. მოვიგონოთ ვახტანგის კომენტარი: „წესია პირველად ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღვთისა და მერმე მეფეთა. ა წ თ ვ ი ს ს ა მ ე ფ ე ს ა ა ქ ე ბ ს“. ეს წესის ზოგადი განსაზღვრებაა. ამ წესის კვალობაზე, ვახტანგის აღიარებით, კონკრეტულად „აწ აქ შესავალში

მეფის თამარის ქება მოუყვანიათ“ (მესამე სტროფის კომენტარი); „აწ უბნობს ეს თამარის ქება რომ ვსთქვიო, არ ავად გამორჩეული არისო“ (მეოთხე სტროფის კომენტარი); „ხამს ყმა პატრონის მიჯნური და ტრფიალი უნდა იყოს, და სამსახურისათვის ასე ხელი უნდა იყოს... **თამარ მეფეს** მორჩილებდა სპაცა და ჯარიცა. და უბნობს იმის სამსახურისათვის ვხელობ და ვკვდებიო“ (მერვე სტროფის კომენტარი); „**თავის ხელმჭმნელი თამარ მეფეა**“ (მეცხრე სტროფის კომენტარიდან); „აწ თავის მეფისას უბნობს, თავისი მეფე სიცოცხლედ უთქვამს“ (მეცხრამეტე სტროფის კომენტარიდან).

ამრიგად, ვახტანგი ხუთჯერ დაჟინებით იმეორებს, რომ რუსთველი აქებ-ადიდებს **თამარს.**

იუსტინე აბულაძე თავის მხრივ კვერს უკრავს ვახტანგ მეექვსეს: „შოთა არის ის კარის პოეტი, რომელსაც შესავლის მესამე და მეოთხე ხანებში გამოთქმული თამარის ხოტბა დაუწერია, რადგან ამ ხოტბის ენა, როგორც ეს ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რუსთველის ენის განსაკუთრებულ თვისებათა შემცველია“ (ვეფხისტყაოსანი, იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, თბ., 1926, გვ. LXXII; ხაზი ჩემია, ა. ბ.).

დავაკვირდეთ თ. ჭილაძის მიერაც ასე ავტორიტეტულ რუსთველოლოგად მიჩნეული იუსტ. აბულაძის შენიშვნას. თამარის ხოტბის გამომხატველი სტროფების ენა „რუსთველის ენის განსაკუთრებულ თვისებათა შემცველია“. თ. ჭილაძის თვალსაზრისით კი პროლოგის ენა პოემის საერთო ფონზე „არა პოეტურია“ და უპირისპირდება საკუთრივ ვეფხისტყაოსანს. თამარის ქების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ზედმეტი არ იქნება სანიმუშოდ აქ მოვიყვანოთ მეოთხე შაირი:

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ-ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად — მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეულ.

უბრწყინვალესი პოეტური, რუსთველის პოეტური ენისათვის ეგოდენ დამახასიათებელი გაშლილი მეტაფორული ფორმით რუსთველი აცხადებს. რომ თავის პოემაზე მუშაობის დროს მისი მუდმივი და განუყრელი შთამაგონებელი იყო თამარი, თამარის სახე; რომ თამარის გიშერივით შავი თვალების ტბა „იხმარა“ მელნად, ხოლო კალმად გამოიყენა თამარისავე ლერწამივით (ნა-ლერწამი) წერწეტი, მაღალი მოქნილი (რხევადი) ტანი. მეორე მეტაფორული სახე ორმაგად მდიდრულია: ძველად კალამს აკეთებდნენ ლერწმის ღეროსაგან. ე. ი. ლერწმის ღეროსაგან გამოთლილი და თვითონ ლერწამისებრ მოქნილი თამარის ტანის კალმით ქმნიდა პოეტი თავის ჯადოსნურ ლექსებს. აქედან აშკარაა, რომ რუსთველისათვის თამარი ყოფილა ნამდვილი პოეტური ხილვა, მისი შთაგონება.

„არაპოეტური“ შაირია? ამას ისიც უნდა დაეურთოთ, რომ ნესტანიც ანალოგიური ენით იწერებოდა ქაჯეთის ციხიდან (1293, 1—2): „ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღაწები, ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნაღველსა ამონაწები“. პროლოგისა და პოემის მხატვრული ენა საოცარი სიზუსტით არის ერთმანეთის შესატყვისი. ჩვენ არ შეეუდგებით თამარისა და დავით სოსლანის აღტაცებული ქების გამომხატველი მესამე სტროფის („ვის ჰშვენის...“) განხილვას, მხოლოდ მოვიგონებთ ერთ ძველ ამბავს, რომელიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული. ერთ დროს კორნელი კეკელიძე მთლიანად ჩანართად თვლიდა ვეფხისტყაოსნის პროლოგს (შემდეგ აზრი შეიცვალა). კ. კეკელიძესა და პ. ინგოროყვას შორის მწვავე პაექრობა გაიმართა. პ. ინგოროყვა წერდა, რომ პოემის პირველი პროლოგი (იგულისხმებოდა 1, 3, 4, 10, 19 სტროფები), სადაც შედის მეფეთა ქება (3 და 4 სტროფები) „პოეტურის მხრით შედევრს წარმოადგენს“ და რომ „პირველი პროლოგის ყალბად გამოცხადება — ეს არსებითად იგივეა, რაც მთელი ვეფხისტყაოსნის ყალბად აღიარება“ (რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო, „მნათობი“, 1927, № 4, გვ. 197). პაექრობა ინგოროყვა ცამდე მართალი იყო (მესამე სტროფის მიმართ შემდეგში მან აზრი შეიცვალა). პ. ინგოროყვა ხომ ერთი პირველთაგანია, ვინც ვეფხისტყაოსანს „პოეტურად კითხულობს“! რა თქმა უნდა, თამაზ ჭილაძე ვეფხისტყაოსნის პროლოგს, კერძოდ, დამოწმებულ სტროფებს ყალბად არ აცხადებს, მაგრამ მათ მაინც ხინჯს უძებნის, ვეფხისტყაოსანი თამარს არ აქებსო. მეცნიერებს რომ თავი დავანებოთ, ვეფხისტყაოსნის პოეტურად ისეთი ჩინებული წამკითხველი, როგორიც ნოდარ დუმბაძე არის, საბუთიანად ფიქრობს, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი უეჭველად შეიცავს თამარის ქებას და რომ მისი შთამაგონებელი სახე „შეფარვით“ არის აღბეჭდილი თვითონ პოემაში. „და, მართლაც, — ასკვნის ნოდარ დუმბაძე, — ნესტან-დარეჯანი ვიღა არის, თუ არა თამარი? ან თინათინი ვიღა არის, თუ არა თამარი? მე მგონი, ყველაფერი კვლავ მზესავით ნათელი ხდება“ (ჩემი რუსთაველი, გვ. 98).

ვსვამთ კითხვას. რას ერჩის თ. ჭილაძე პროლოგს? რას უჩივის? რას ერჩის და იმას, რომ გაუტეხოს პროლოგს სახელი და დაუპირისპიროს იგი პოემას. პროლოგი სხვას ამბობს და პოემა სხვასო. პროლოგში კონცენტრირებულად და დაუნჯებულად არის გადმოცემული რუსთველის მრწამსი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პროლოგი აქებს და ადიდებს თამარს. ეს ხელს არ აძლევს მკვლევარს. თამარმა დაივიწყაო მამა-პაპათა ანდერძი, ზურგი შეაქციაო დასავლეთს („არავითარი ევროპის გაგონებაც კი არ სურდა“, გვ. 140), დაუმეგობრდაო სულთან სალადინს და საერთოდ „მუსლიმან მმართველებს“, აღმოსავლეთის არეალში ჩაიკეტა (გვ. 137, 139, 140) და თავისი „ბეცი“ პოლიტიკით ქვეყანა დაღუპვის კარამდე მი-

იყვანაო. რუსთველი სულ სხვა პოლიტიკური გუნება-განწყობილების პოეტი იყო, დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის კურსის მოთაყვანე...

ვეფხისტყაოსანი, უწინარეს ყოვლისა, სიყვარულის პოემაა, ამქვეყნიური, მიწიერი, მაგრამ ამაღლებული, ფაქიზი, წმინდა, იდეალიზებული სიყვარულის საგალობელი. ეს აზრია გამოთქმული პოემის პროლოგში, ეს აზრია ხორცშესხმული პოემაში. ზნე-ფაქიზ, ამაღლებულ სიყვარულს ასახიერებენ ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი. არაო, გაიძახის თ. ჭილაძე, ნამდვილი, ზეაღმატებული სიყვარულის გამომხატველია ვაჭრის ცოლი ფატმანი (ფატმანთან არისო ავთანდილიც). ამ მხრივაც უპირისპირდებაო ერთმანეთს პროლოგი და პოემა.

თ. ჭილაძის მოსაზრებათა თანახმად, ფატმანი ნესტანისა და თინათინის, ტარიელისა და ავთანდილის „ცალია“ (ცალია ავტორს წინწკლებში აქვს მოთავსებული, გვ. 153). ფატმანისა და ავთანდილის სიყვარულიაო ნამდვილი, ორმხრივი და არა ცალმხრივი სიყვარული (გვ. 158), „გული მოუხმობს გულს“ (გვ. 159). ავთანდილისთვის ესაა მოულოდნელი, გულიანი სიყვარული (გვ. 154, 160). ავთანდილს „ფატმანი თინათინის სიმაღლეზე ჰყავს აყვანილი“ (გვ. 158). ფატმანი და ავთანდილი „იმდენად მახლობელნი არიან ერთმანეთისათვის, თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ნ ა ი რ ა დ ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ე ნ“ (გვ. 161, ხაზი ავტორისაა). ერთი სიტყვით, „თუ ქალი რაინდის წარმოდგენა შეგვიძლია, ეს, უპირველეს ყოვლისა, ფატმანია“ (გვ. 160). ჩვენ კი, ცოდვილებს, გვეგონა, რომ ნესტანია რუსთველის მიერ გმირად დასახული ქალი.

კარგი, დავუშვათ, რომ ყველაფერი ისეა პოემაში, როგორც დაგვიხატა თ. ჭილაძემ. მაშინ რა ვუყოთ „ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურების ამბის“ შესავალ ცნობილ შაირს (1081):

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის;
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,
მართ ანაზდად გიღალატებს, გაჰკვეთს, რასცა დაესობის,
მით დიაცსა სამალავი არას თანა არ ეთხრობის.

აქ კი თ. ჭილაძე მოექცა ჩიხში.. სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვა, გამოაცხადა: „მოყვანილ სტროფში გამოთქმული აზრი არ არის ავტორის შეხედულება საერთოდ ქალზე. ეს პ ე რ ს ო ნ აჟ ი ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი უნდა იყოს, თანაც, თავის თავზე ნათქვამი. ასეთი პერსონაჟი პოემაში ფატმანია“ (გვ. 155—156). „ეს სტროფი, — განაგრძობს თ. ჭილაძე, — აზრობრივადაც და მხატვრული ლოგიკის მიხედვითაც, სულ სხვა ადგილას უნდა იჯდეს“ (გვ. 156). თუ ამ სტროფს თავის ადგილს არ მივუჩენთო, ამბობს თ. ჭილაძე, — მაშინ იგი „სრულიად ზედმეტადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, რომელიმე ქალების მოძულე ინტერპოლატორის ჩანართადაც“ (გვ. 156).

თუ ვეფხისტყაოსნის ტექსტს ისე გავიაზრებთ, როგორც მის ავტორს აქვს ჩაფიქრებული, აქ ვერავითარ შეუსაბამობას ვერ დავინახავთ: 1081 შაირს პოემაში მტკიცე და მყარი ადგილი აქვს მიჩენილი (ასეა ყველა ხელნაწერში, ასეა გამოცემებში). თუ ბატონი თ. ჭილაძე ჩვენ არ გვენდობა, ავთანდილს ხომ მაინც უჯერებს! დამოწმებული შაირის ლოგიკური გაგრძელებაა და მასში გამოთქმული აზრის ბუნებრივი განვითარება ავთანდილის შემდეგი სიტყვები (1093):

თქვა: დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა,
აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა კრულსა;
რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა;
მიჯობს, მიჰყვე, განაღ რასმე ვსცნობ საქმესა დამალულსა.

ეს შაირიც ხომ არ უნდა გადაადგილდეს? მაგრამ სადაც არ უნდა წავიღოთ, იგი მაინც ავთანდილის სიტყვებად დარჩება და მის შეხედულებად დიაცის ბუნებაზე[1].

საგულისხმო ის არის, რომ რუსთველი და მისი პერსონაჟი ავთანდილი აუგიანად თვლიან არა საერთოდ ქალს, არამედ დიაცს. ფატმანის ამბავში ფატმანი დიაცად მოიხსენიება (რუსთველის, ავთანდილის, ჩაშნიგირის, თვითონ ფატმანის მიერ) თერთმეტჯერ, ქალად—არც ერთხელ. იმავე ამბავში ქალად მოიხსენიება მხოლოდ ნესტანი. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს ქალსა და დიაცს.] რუსულად გამოქვეყნებულ ერთ თავის წერილში ი. ჯავახიშვილი წერს: «Во всей поэме проглядывает исключительно почтительное отношение автора к женщине. С этой точки зрения достойно внимания, что он употребляет два слова «кали» и «диаци», из которых второе означает в его устах «женщина», а перво е может быть передано лишь приблизительно словом «дама». მართლაც, ვეფხისტყაოსანში არაერთგზის სხვაგანაც საძრახისადაა მიჩნეული დიაცობა, დიაცური საქციელი. მაგალითად, ნესტანი ამბობს: „დიაცურად რად მოვღორდი“ (524, 4). ფატმანიც აღიარებს: „ესე ამბავი მას თანა ვთქვი დიაცურად, ხელურად“ (1206, I,) „კაცსა დასერის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“ (1204, 4). ამან მოგვცა უფლება შემოგველო გამოთქმა „დიაცუ-

[1] საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც რუსთველი რაიმე ახალ ეპიზოდურ ამბავს იწყებს, ამ ამბავს ჩვეულებრივ უმძღვარებს მისი შინაარსობრივი მოტივის შესაფერის ლირიკულ წიაღსვლას. რამდენიმე მაგალითი: „წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონი სასა (951): „ვა, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნევ. რა ზნე გჭირსა!“ „წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“; „მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორვებ ა გაანათლებს“ (830), „აწყა დავიწყებ ამბავსა მის ყმისა წამაელისასა“ (831); „ამბავი ნესტანდარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა: „ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე“ (1213) და სხვ.

რი სიყვარული“ (თ. ჭილაძეს თურმე „ყურს რომ სჭრის“) ამაღლებული რაინდული სიყვარულისაგან გასასხვავებლად.

თ. ჭილაძე არ უჯერებს ტექსტს და ზოგჯერ უკუღმართად იგებს მის შინაარსს. თ. ჭილაძე ფიცით ირწმუნება: „ფატმანს ჭაშნაგირი არ უყვარდაო“ (გვ. 158). ფატმანი კი გულწრფელად აღიარებს — „ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთიო“ (1205, 3). და ეს სრულიადაც არ არის გასაკვირი, „ისი კაცი ჩაშნიგირი დარბაზს იყო მეტად ხასი“, ამასთან ახოვანი, წარმოსადეგი, ტანადი მოყმე („კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი“, 1099, 2). ვის დაუჯეროს მკითხველმა, რუსთველს თუ თ. ჭილაძეს?

თ. ჭილაძე ზოგჯერ შეუფერებელ რამეს კადრულობს, ვითომ ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემის რედაქტორებს უვიცობაშიც კი იჭერს და შემდეგ ლექციას უკითხავს პოემის ეთიკის საკითხებზე. თ. ჭილაძე ერცლად გვიამბობს, ავთანდილს

> „მთელი ღღე ეძინა. „საღამო-ჟამ გაღვიძა“ და ფატმანთან მსახური გაგზავნა, ჩემთან მოდიო („ფატმანს უხმო“). პოემის ტექსტის ბევრ გამომცემელს, მათ შორის ალ. ბარამიძეს, როგორიცაა ვახტანგი, ჩუბინაშვილი, ქართველიშვილი, კარიჭაშვილი, აბულაძე და ჯიჭინაძე, ეს ადგილი სწორედ ასე აქვთ წაკითხული და სამართლიანადაც. პოემის 1957 წლის გამოცემაში კი წერია: „ფატმან ეხმო“-ო. ალბათ იმიტომ, რომ მისი რედაქტორები ფიქრობდნენ, სტუმარს არ შეუძლია მასპინძელი ქალი თავისთან მიიპატიჟოსო. ეს „ეთიკური თვალსაზრისით“ მიუღებლად მიიჩნიეს. ისინი შეიძლება მართალი ყოფილიყვნენ იმ შემთხვევაში, თუკი სტუმარ ვაჟსა და მასპინძელ ქალს ერთმანეთი არ ეყვარებოდათ! სიყვარულს თავისი ეთიკეტი აქვს და, ერთი შეხედვით, ამ ქვეყნად ბევრი რამ არ არის ისეთი ალოგიკური, როგორიც ეს ეთიკეტია“ (გვ. 159—160).

მენტორული შეგონებისათვის ბ-ნ თ. ჭილაძეს მადლობას მოვახსენებთ რისგულია საქმის ვითარება? ვინ არიან ეს რედაქტორები? ვის ასწავლის ეთიკის ნორმებს ჩვენი პოეტი-მკვლევარი? ეს რედაქტორები არიან ა. შანიძე, კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე. თურმე მათ ვერ გაუგიათ ტექსტის მარტივი შინაარსი. ნამდვილად კი თვითონ თ. ჭილაძე ვერ ერკვევა რუსთველის ენის საკითხში. მაშ, ასე. ერთ დღეს ფატმანთან პურობის შემდეგ, საღამო ჟამს, ავთანდილმა „ფატმან უხმო: მოდი, მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“ (1259, 4). ვეფხისტყაოსნის გამომცემელი მთლად უვიცი უნდა იყოს, რომ ერთმანეთში აურიოს, ვინ ვის უხმო, ვინ ვისთან მივიდა, მით უფრო, რომ შომდევნო (1260) შაირი ასე იწყება: „ფატმან მივიდა“. რომ ფატმანი ავთანდილთან დადიოდა ბინაზე, ეს საგანგებოდ აქვს აღნიშნული რუსთველს „ზოგჯერ უხმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა“ (1080, 2). ამის კვალობაზე ჩვენც გვიწერია: „ფატმანი... თავისუფლად დადიოდა უცხოელი მამაკაცის სახლში“ (ნარკვევები, I, 1945, გვ. 172). რუსთველის ენაზე „ფატმან უხმო“ აქ ნიშნავს „ფატმანი იხმო“. ასეა ეს განმარტებული, უკეთ — თანამედროვე სალიტერატურო ენაზე გადმოცე-

მული ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ. ასე ესმოდა ეს ტექსტი ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო გამოცემის კომისიას (შდრ. ს. ორდანიშვილის პწკარედი — «пригласил Фатьму»). ასე ესმოდა ეს ტექსტი ყველა იმ გამომცემელს, ვინც ბეჭდავდა — „ფატმან უხმო“ (ასეა ორივე საიუბილეო გამოცემაში, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის გამოცემაში, პ. ინგოროყვას გამოცემაში), ასეა ვეფხისტყაოსნის საუკეთესო ხელნაწერებში. მხოლოდ ნარედაქციალ რამდენიმე ხელნაწერში იკითხება — „ფატმანს უხმო“ ამ ნარედაქციალი ნუსხების გადამწერებს გაუსწორებიათ და გაუთანამედროვებიათ პოემის ტექსტი („ფატმანს უხმო“). აი, ამ ვითარებაში ვერ გარკვეულა თ. ჭილაძე, შანიძე—კეკელიძე—ბარამიძეს ტექსტის დამახინჯებაში ამხილებს და სიყვარულის ეთიკის წესებს ასწავლის. თუ ვეფხისტყაოსნის მკვლევარს ტექსტის პოეტურად წაკითხვა მოეთხოვება, არა ნაკლებ მოეთხოვება პოეტ-მკვლევარს ფილოლოგიის ანბანის ცოდნა.

თ. ჭილაძის დაკვირვებით, ფატმანის ლაპარაკის მანერაა „საკუთარ თავზე დაუნდობელი, დამცინავი კილოთი საუბარი“ (გვ. 155). ამასთან დაკავშირებით იგი გვთავაზობს პოემის ერთი ცნობილი აფორიზმის („თუ ყვავი ვარდთა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია“, 1254, 4) განმაცვიფრებელ ანალიზს. თურმე „ნეტარების ცრემლმორეული“ ფატმანი „ეჩურჩულება ავთანდილს“. ფატმანიც ბედნიერია („იხარებს“). ოღონდ მის ბედნიერებას სხვა მიზეზი აქვს: ავთანდილი ვაჭარი არ არის, სხვაა, რაინდია, „ჰაბუკია“! ამიტომაც ეჩურჩულება ავთანდილს თვითონაც ნეტარების ცრემლმორეული

> „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“-ო. კი მაგრამ, ეს ხომ სწორედ ის სიტყვებია, ფატმანის პირველი სამჯნურო ბარათით გაკვირვებულმა ავთანდილმა, რომელიც ჯერ არ იყო შეჩვეული თავის ახალ მდგომარეობას, ის-ის იყო იწყებდა ვაჭრის როლის თამაშს და ამიტომაც იუკადრისა სოვდაგრის ცოლის ბარათი — დაუფიქრებლად წამოიძახა (თუ წამოცდა!); „...ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია?“ დიახ, ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლებიც, ეტყობა, წერილის მომტანმა შიკრიკმა მაშინვე მიურბენინა ფატმანს. აი, მაშინ დაეკვდა პირველად ფატმანი... „შენ ვარდი ხარ, მე კი, საცოდავ ყვავს, თავი ბულბული მგონიაო“, — ეჩურჩულება ფატმანი ავთანდილს. ნახეთ, როგორ დაუმახსოვრებია, როგორ ჩარჩენია გულში ავთანდილის პირველი დაუფიქრებელი წამოძახილი: „ყვავი“, (გვ. 158—159, კურსივი ავტორისაა, ა. ბ.).

ჩვენ არ ვიცით, რას ეჩურჩულებოდა ალერსის დროს ფატმანი ავთანდილს (ეს ჩვენზე უკეთ ეცოდინება პოეტ ჭილაძეს), ოღონდ ჩვენთვის ცხადია, ავთანდილი ის კაცი არ იყო, რომ ვიღაც შიკრიკთან ხმამაღლა წამოეძახა, თუ წამოცდენოდა, ფატმანის სალანძღავი სიტყვა, რომ შემდეგ შიკრიკს იგი მიეტანა თავისი ქალბატონისათვის. მაინც რა მისატანი ან მისახარებელი უნდა ყოფილიყო ეს სიტყვა! ავთანდილი დაუფიქრებ-

ლად და განუსჯელად არაფერს ამბობდა. გამჭრიახი გონების პატრონმა, წინდახედულმა და ანგარიშიანმა უბრალოდ გულში გაიფიქრა, ამ ვიღაც ყვავ-დიაცს ბულბულობა მოუნდომებიაო, მაგრამ თავი შეიკავა, აჯობებს ხიჭყვე, იქნებ საქმეში გამომადგესო. აი, მაშინ უთქვამს ავთანდილს (რა თქმა უნდა, თავის გულში):

თქვა: დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა,
აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა კრულსა;
რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა,
მიჯობს მიჯყვე, განაღ რასმე ვსცნობ საქმესა დამალულსა.

იმასაც ვიტყვით, რომ რუსთველის მონათხრობით, ავთანდილს უთქვამს გულში: „ყვავი ვარდსა რას აქმნევს, ანუ რა მისი ფერია!“ (1090,I). თ. ჭილაძე კი ჭაბუკს ამის მსგავს სხვა აფორიზმს მიაწერს: „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“. ნამდვილად ეს აფორიზმი რუსთველისაა, რუსთველის პოზიციას გამოხატავს. სრული სურათის აღსადგენად უნდა მოვიყვანოთ ვეფხისტყაოსნის სამი შაირი (1252—1254):

მას ღამე ფატმან იამა ავთანდილს თანა წოლითა;
ყმა უნდომ-გვარად ეხვევის ყელსა ყელითა ბროლითა,
ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა,
გული მხეც-ქმნილი გასჩრია მხეცთავე თანა რბოლითა.

ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად,
შიგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა ნავი სად;
იტყვის, თუ: „მნახეთ, მიჯნურნო, იგი, ვინ ვარდი–ა ვისად,
უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად“.

მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვისაცა დასალბონია;
გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია;
ფატმან მის ზედა იხარებს მართ ვითა იადონია,
თუ ყვავი ვარდსა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია.

მოყვანილ ტექსტს წინ უძღვის ავტორის რემარკა (1251, 3): „ყმა (ავთანდილი) ნამუსსა ინახვიდა, სიყვარულსა იფერებდა“. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რუსთველური ენამზეობით აღწერილი მთელი სცენის შეფასება მოცემულია ბოლო შაირის მეოთხე ტაეპში: „თუ ყვავი ვარდთა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია“. ესაა ავტორისეული შეფასება, რუსთველის შეფასება. ეს აფორიზმი არც ავთანდილისაა და არც ფატმანისა (როგორც გვაწვდის ცნობას თ. ჭილაძე), არამედ რუსთველისაა. ვიმეორებთ, ის გვიხსნის რუსთველის პოზიციას. რუსთველის თვალსაზრისით, ფატმანის სიყვარული ყვავის ვარდისადმი სიყვარულია. მეტიც, სწორედ ამ ინტიმური შეყრის დროს მიმართა ავ-

თანდილმა ბილწსიტყვაობას და ფატმანთან წოლა ჩათვალა „ნეხვთა ზედა“ ჯდომად. სამწუხაროდ, ყოველივე ამას ივიწყებს და გვერდს უვლის ვეფხისტყაოსნის პოეტურად მკითხველი მკვლევარი. რუსთველი საგანგებო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მას ღამე ფ ა ტ მ ა ნ ი ა მ ა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს თანა წოლითა“, ავთანდილი კი უ გ უ ლ ო დ („უნდომ-გვარად“) ეხვეოდა და იტანჯებოდა. იტანჯებოდა იმიტომ, რომ მძიმე მოვალეობას ასრულებდა („სიყვარულსა იფერებდა“), ის ხორცით იყო ახლოს ფატმანთან, მთელი გონებით, მთელი სულიერი არსებით კი თინათინთან იყო, გული გახელებული, „მხეც-ქმნილი“ ჰქონდა, გაჭრილი, ჰკვლიდა თინათინის გონება, ძრწოდა იდუმალი ძრწოლით. ასე ხატავს რუსთველი. ასე სწამს თინათინ — ნესტანის, ავთანდილ — ტარიელის ამაღლებული სიყვარულის კანონმდებელ რუსთველს. ყველაზე უფრო სავალალო ის არის, რომ თ. ჭილაძე ცილს სწამებს ავთანდილს, თითქოს მას ა ხ ლ ა გაახსენდა თინათინი: „ახლა თინათინიც კი გაახსენდა ჩვენს რაინდს. ფატმანის გვერდით წევს და ჰკლავს „თინათინის გონება“. ახლა კი არ გაახსენდა, ავთანდილს ერთი წამითაც კი არასოდეს მოსცილებია მისი ღვთაებრივი მიჯნურის სალოცავი სახე: — „მიწყივ მისად საგონებლად მისი მკვლელი თინათინ-ა“. მოვიგონოთ ავთანდილის უბრწყინვალესი ასტრალური საგალობელი, რომელიც მთლიანად თინათინის სიყვარულს ეძღვნება. დავიმოწმოთ ავთანდილის რეაგირება ფატმანის სამიჯნურო წერილის გამო (1089, 3—4): „თქვა: არ იცის გული ჩემი, ვინ მაშიკობს, ვისსა ვისი, რომე მიმიჩს სამიჯნუროდ, რათ ვამსგავსო მე მას ისი“; „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“ (1089, 4). ფატმანთან შეყრის წინ იყო, რომ ავთანდილი საყვედურს უთვლიდა წუთისოფელს („ბინდის გვარია სოფელი“), „რაცა მინდა, არა მაქვს, მაქვს რაცა, არ მომინდების“. ავთანდილი ისე კარგად, არტისტულად ასრულებდა შეყვარებული კაცის როლს, რომ ფატმანს ეგონა, თითქოს ავთანდილი მისთვის (მისი სიყვარულის გამო) ტიროდა: „ფატმან ეჭვდა თავისათვის, ამად ცეცხლსა კვლა იდებდა“. ნამდვილად კი ავთანდილი „ცრემლით ღმერთსა ადიდებდა“ ნესტანის ამბის ცნობისათვის (1251).

კიდევ ერთი შენიშვნა. თ. ჭილაძე ვარაუდობს, თითქოს ფატმანი მიხვედრილიყო, რომ ავთანდილი ვაჭარი კი არა, რაინდია, რაც ვაჭრის ცოლს განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა (გვ. 158). არაფერი ამისი მსგავსი პოემაში არ არის. ფატმანმა ავთანდილის რაინდობის ამბავი მაშინ გაიგო, როცა მისმა სათაყვანებელმა მოყმემ „საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა“ (1256, 1). „ფატმან ნახა, გ ა უ კ ე ი რ დ ა ვაჭრულისა უმოსელად“ (1257, 3). რამ გააკვირვა ფატმანი, თუკი გრძნობდა, რომ ავთანდილი რაინდია. რასაკვირველია, ფატმანი აღტაცებაში მოიყვანა ჭაბუკურ (რაინდულ) ტანსაცმელში გამოწყობილი ავთანდილის ხილვამ: „შემოსცინნა, აგრე სჯობსო შენთვის ხელთა სასურველად“ (1257, 4). ვაჭრულ

საზოგადოებას შეჩვეულ ფატმანს ხიბლავდა მოხდენილი, ტანადი, რაინდული გარეგნობის მამაკაცი. ასეთი იყო ჩაშნიგირი, მაღალი თანამდებობის „კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი“ კარისკაცი, ასეთი იყო ავთანდილი...

ასედა ამრიგად, თავის მოსაზრებათა გასამართლებლად თამაზ ჭილაძეს უხდება პირველხარისხოვანი ფაქტების მიჩქმალვა თუ გვერდის ავლა, ზოგი ფაქტის დამახინჯება, რუსთველისა და მისი პერსონაჟების სიტყვა-განსჯის ერთმანეთში არევა, ავტორის ნების იგნორაცია. ზოგი ტექსტის შინაარსი მკვლევარს მცდარად გაუგია, თუმცა შორს გამწვდენი დასკვნები კი გამოუტანია. ამ გზით, პოეტური ფანტაზიის უკონტროლოდ ამოქმედებით და უსაფუძვლო ვარაუდების დახვავებით, რა თქმა უნდა, ყველაფრის დამტკიცება შეიძლება! ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ფატმანის აპოლოგეტი ერთი საზღვარგარეთელი მკვლევარი თვითონ შოთა რუსთველს სდებს ბრალს, ფატმანის სიყვარული დაამცირა და დააქვეითაო. თ. ჭილაძე, მართალია, ასე არ იქცევა, მაგრამ რუსთველს გვერდს უვლის, უგულებელყოფს მის ავტორისეულ ნებას, განაჩენის ხასიათის მქონე პოეტის სიტყვებს სხვას მიაწერს და, ამდენად, ნებსით თუ უნებლიეთ (ჩვენ გვგონია უნებლიეთ), აყალბებს გენიოსი ავტორის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს. ასეთი სამწუხარო შედეგი გამოიღო ვეფხისტყაოსნის ტექსტის ე. წ. პოეტურად წაკითხვის აწინდელმა ცდამ.

ფატმანის სახე რომ რთული, კოლორიტული სახეა, ჩვენთვის ეს არასოდეს არ ყოფილა სადავო. გასაგებია აზრთა სხვადასხვაობაც. გამოიკვეთა ზოგიერთი უკიდურესი ხასიათისა და ერთიმეორის გამომრიცხავი შეხედულებანიც. ნ. მარის მიხედვით, ფატმანი არის «подлинная безпутная буржуйка», რომელიც თავის სიყვარულს თავზე ახვევს ყველა ახალგაზრდა ძლიერ მამაკაცსო (Об истоках творчества Руставели и его поэме, თბ., 1964, გვ. 132). არსებითად ამავე აზრისაა შ. ნუცუბიძეც, რომელიც ფატმანს თვლის „თავაშვებულ“ თუ „აღვირახსნილ“ ვაჭარ დედაკაცად, „რასპუშჩენნაია კუპჩიხად“ (რუსთველის შემოქმედება, რუსულად, თბ., 1958, გვ. 22—23). ფატმანს, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა, „იტაცებდა სასახლის ბრწყინვალება, და იგი დაატყვევა ჯაბუკმა კარისკაცმა, დარბაზს რომ იყო მეტად ხასი“ (შ. ნუცუბიძე, იქვე, 347). საკმაოდ წვა მოსადეგი და მდიდარი „კუპჩიხა“ არ უშვებდა შემთხვევას სიყვარულის ქსელი გაება არისტოკრატიული საზოგადოების რომელიმე წარმომადგენელთან. ჯერ ჩაშნიგირს ყვარობდა და, აი, „ჩვენ თვალწინ ადვილად ირჩევს გატაცების ახალ საგანს — ავთანდილს“ (შ. ნუცუბიძე, გვ. 22). გამჭრიახი და ანგარიშიანი ავთანდილი საბოლოო მიზნის მისაღწევად იძულებული გახდა გარეგნულად მიჰყოლოდა ფატმანის „მსუბუქ სიყვარულს“ (იქვე, გვ. 345). რა თქმა უნდა, შენიშნავს შ. ნუცუბიძე, ავთანდილს ფატმანი „არ უყვარდა“, მაგრამ უდიდესი ტანჯვის ფასად ასრულებდაო სიყვარულის მოვალეობას. „მოვალეობით მთელი ღამე განთიადამდის ფატ-

მანთან წოლა ავთანდილისთვის იყო უდიდესი სასჯელიო", წერს შ. ნუცუბიძე (გვ. 351). რუსთველი მწარედ დასცინისო შეყვარებულ ყვავს, რომელსაც თავი ბულბულად წარმოედგინა. ცხადზე უცხადესია, რომ შ. ნუცუბიძეც თ. ჭილაძეს მოკავშირეობას ვერ გაუწევს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსნის სწორედ პოეტურად წამკითხველი პოეტი და მკვლევარი გურამ პეტრიაშვილი თ. ჭილაძის შეხედულების დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციას ადგას ფატმანის სიყვარულის გაგების საკითხში. გ. პეტრიაშვილის სიტყვით, ფატმანის გატაცება ავთანდილის სიყვარული კი არ იყო, არამე „მხოლოდ ხორცის ლტოლვა". რაც შეეხება ავთანდილს, ის „თავიდანვე ატყუებდა ფატმანს და საგანგებოდ გაცნობიერებულად. ეს ქალი მისთვის იყო მხოლოდ საშუალება საკუთარი მიზნის მისაღწევად" (გვაქვს უთვალავი ფერითა, „საბჭოთა ხელოვნება", 1981, № 6, გვ. 78).

უფრო შორს წავიდა ფატმანის აუგის მხილებაში ვეფხისტყაოსნის ჩინებული მცოდნე და აღიარებული მთარგმნელი ნიკოლოზ ზაბოლოცკი, იგი ვაჭარ ქალს თვლის „გარყვნილ ბებერ დედაკაცად".

სამაგიეროდ ფატმანს ჰყავს აპოლოგეტიც. ესაა „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების" ავტორი. ოღონდ ეს მკვლევარი ფატმანის სახის გაგების საკითხში აკრიტიკებს არა მხოლოდ რუსთველოლოგებს, არამედ თვითონ რუსთველს. აქ ვკითხულობთ: „არც რუსთაველის დაფასება არის მართებული, რადგან ფატმანი გულწრფელად არის გატაცებული, მას გულწრფელად უყვარს ავთანდილი და მისი ჩამოქვეითება ყვავამდე არა-ჯეროვანია. აქ გამოსჭვივის ეროტიკის ის ესთეტიკური დაფასება, რაც ავტორის არისტოკრატიულ შეგრძნობას გვიჩვენებს" (ხაზი ჩვენია).

თამაზ ჭილაძის თვალსაზრისი ბევრ რამეში ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების" ავტორის თვალსაზრისს. არის არსებითი ხასიათის განსხვავებაც. დამოწმებული ნაშრომის ავტორი რუსთველს ეკამათება, ფატმანის სიყვარული ყვავის სიყვარულამდე ჩამოაქვეითაო. თ. ჭილაძე კი უსაფუძვლოდ არწმუნებს მკითხველს, თითქოს რუსთველი არაფერ შუაშია და ყვავი თავის თავს ფატმანმა უწოდაო.

საერთოდ ფატმანის სახის შეფასება სწორი იქნება მხოლოდ რუსთველური სამიჯნურო კონცეფციის შუქზე. ამ მხრივ სავსებით მართებულია „მიჯნურთმეტყველების" დასკვნა: „აქ გამოსჭვივის ეროტიკის ის ესთეტიკური დაფასება, რაც ავტორის არისტოკრატიულ შეგრძნობას გვიჩვენებსო". შ. ნუცუბიძეც აღიარებს, რომ, გენიოსობის მიუხედავად, „რუსთველი არ იდგა ისტორიის ზევით და თავისი სიმპათიებით მაინც ფეოდალურ არისტოკრატიას ეკუთვნოდაო" (გვ. 345).

მხოლოდ თ. ჭილაძე თვლის, რომ: „რუსთველი ფეოდალური, ანუ ტრადიციული კი არა, არამედ, უკვე სხვა სიმაღლიდან უყურებს ახალი სამყაროს დაბადებას“ (გვ. 154). ამის შესაფერისად მას უმართებულოდ მიაჩნია ნესტან — ტარიელის, თინათინ — ავთანდილის, და ვაჭრული სამყაროს წარმომადგენელთა შეპირისპირება. ამას თვლის სქემატიზმად, სქემატურობას უჩივის მკვლევარი რუსთველური სიყვარულის გავრცელებულ ახსნას (გვ. 155). ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა წრის ზესივრცეულ და ზედროულ არეში წარმოდგენა, ისე როგორც სქემატიზმის მომიზეზება, თ. ჭილაძეს იმისთვის სჭირდება, რომ დაუპირისპიროს ერთიმეორეს ვეფხისტყაოსნის პროლოგი და პოემა, საბურველი გადააფაროს ფატმან—ავთანდილის სიყვარულის მისეულ გაგებას. მართლაცდა, რუსთველის პოზიცია სიყვარულის საკითხში ისაა, რომ ნამდვილმა მიჯნურმა „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში, მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“ (25); „ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა: დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა“ (26). რუსთველური სიყვარული მხოლოდ ერთხელ იბადება და „სიკვდიდმდე გასატანია“ (2). თუ ასეა, მაშინ როგორ უნდა შეფასდეს ფატმანის სიყვარული? ან პროლოგის დამოწმებული შაირებია ყალბი, ან მცდარია ფატმანის სიყვარულის ის გაგება, რომელიც შემოგვთავაზა თ. ჭილაძემ. აი, აქ შეიქმნა ნამდვილი (და არა ხელოვნური) ჩიხი, საიდანაც გამოსვლა არასგზით არ უხერხდება მას.

ჩვენ არასდროს არ უარვყოფდით ფატმანის საკვირველ ადამიანურ ღირსებებს. „რასაკვირველია, ფატმანი არ ყოფილა ზნედაცემული ქალი... რუსთველი ფატმანს აჯილდოებს დიდი ადამიანური ღირსებებით. ფატმანი გრძნობიერია, კეთილია, პურადია, გულშემატკივარია და სულგრძელი ქალია. ფატმანმა უზომო მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია ნესტანს, მისთვის უცნობ ტყვე-ქალს დედობრივი მზრუნველობითა და ალერსით მოეპყრო. ტყუილად კი არ უწოდებდა ნესტანი ფატმანს „დედისა მჯობ დედას“. ფატმანს თავისებური თავდავიწყებით უყვარდა ავთანდილი, მაგრამ მისგან გულახდილი აღსარება რომ მოისმინა, გრძნობა ჩაიხშო, ავთანდილს წინ არ გადაეღობა: ვინ იცის, როგორი შინაგანი მღელვარება დასჭირდა ფატმანმა, მაგრამ ის უყოყმანოდ დაეხმარა ავთანდილს დაბრუნებოდა თავის გულისსწორ სატრფოს. ფატმანმა გამოიჩინა სამაგალითო უანგარობა, კაცთმოყვარეობა და სულდიდობა“. ჩვენ საგანგებოდ ვამბობდით, რომ: „აღნიშნულის მიუხედავად რუსთველი არ მალავს ფატმანის ხასიათის ერთგვარ მანკიერ მხარეებს, იგი მკაფიოდ ამჟღავნებს ფატმანისა და დიაცური სიყვარულისადმი ირონიულ დამოკიდებულებას, მაგრამ მაინც გარკვეული სიმპათიით ხატავს ვაჭრული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელ ქალს“. რუსთველი ხატავს, ერთი მხრივ, ნესტანისა და თინათინის ამაღლებულსა და იდეა-

ლიზებულ, თუმცა ამქვეყნიურ, მიწიერ, ადამიანურ სიყვარულს, მეორე მხრივ, ფატმანის ასევე ადამიანურ, მიწიერ, მაგრამ მდაბიო ანუ ვულგარულ სიყვარულს. სად არის აქ ფატმანის „სრულიად დაუმსახურებელი დამცირება“? რუსთველის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, ფატმანი არ შეიძლება იყოს რაინდი, გმირი ქალი. მორალური გოლიათობის გამომხატველი გმირი ქალია ნესტან-დარეჯანი. უკიდურესი განსაცდელის ჟამს, ამბობს რუსთველი, იგი „ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი“ (1176, 2).

ჩვენი მსჯელობა, ჩვენი დასკვნები ემყარება რუსთველის როგორც საკუთრივ პოემის, ისე პროლოგის მონაცემებს. თ. ჭილაძეს პროლოგი ნიშანში აქვს ამოღებული და მას არ ენდობა, თუმცა ვერ ფარავს, რომ: „უდავოა, პროლოგში პოეტი იდეალური სახით წარმოგვიდგენს უველაფერს, განსაკუთრებით, რაც პოლიტიკურ მხარეს შეეხება. ასევე იდეალური სახითა აქვს წარმოდგენილი სარაინდო ყოფის ნორმებიც“ (გვ. 133, ხაზი ჩვენია). დიახ, ჩვენ ვთვლიდით და ვთვლით, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი კონცენტრირებულად წარმოგვიდგენს რუსთველის პოეტურ კრედოს. ამ კრედოს კვალობაზეა გაშლილი პოემის მშვენიერი მხატვრული სამყარო. თ. ჭილაძე შეეცადა დაერღვია პროლოგისა და პოემის ეს ორგანული კავშირი ფატმანის სიყვარულის მისეული გაგების მეშვეობით. რა საშუალებებს, რა ხერხებს არ მიმართა პოეტმა-მკვლევარმა, მაგრამ ვერა და ვერ გაათეთრა ყვავი, ყვავი ბულბულად ვერ აქცია. დიდად სიმპათიური ფატმანის „დიაცური სიყვარული“ ნესტანის (და თინათინის) იდეალური, ამაღლებული სიყვარულის დონემდე ვერ აიყვანა.

და, ბოლოს, ყოვლად შეუწყნარებელია ვიქტორ გოლცევის მოსაზრების გაზიარება, თითქოს ასმათსაც „ჩუმად, გულში უყვარდა ტარიელი“ (გვ. 157). ასმათი იყო ტარიელის „დისაგანცა უფრო დესი“ დობილი. სამწუხაროდ, ჩვენმა კეთილმა მეგობარმა ვ. გოლცევმა რუსთველური უწმინდესი დაძმური გრძნობა სწორედ რომ დაამცირა და გაავულგარულა.

ასევე მეტისმეტად უხერხულია გამოთქმა „ავთანდილის ბუშები“ (გვ. 143), რა აზრითაც და რა კონტექსტში არ უნდა იყოს ეს გამოთქმა მოხმობილი.

თ. ჭილაძე მწყრალადაა რუსთველის ბიოგრაფებზე („ბიოგრაფებს“ წინწკლებში სვამს, გვ. 124). იგი თვლის (არსებითად მართებულად!), რომ: „ამ უკვდავი პოემის ავტორის შესახებ თითქმის არავითარი სარწმუნო ცნობა... არა გვაქვს“ (127). ჩვენც მიგვაჩნია, რომ ლეგენდაა თამარისა და შოთა რუსთველის მიჯნურობის ამბავი (გვ. 129), რომ ვრცელი „ბელეტრისტული გამოკვლევაა“ შექმნილი რუსთველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (გვ. 129. თ. ჭილაძე საგანგებოდ აქარაგმებს ამ

მკვლევრის ვინაობას, თუმცა ქარაგმის ამოხსნა სიძნელეს არ წარმოადგენს). მაგრამ სწორი არ იქნება ყველაფრის ხელაღებით უარყოფა. თ. ჭილაძეს ნიშანში ამოუღია რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობის საკითხი. „მკვლევრებს ძალიან უნდათ, პოემის ავტორი უსათუოდ რომელიმე დიდი კარისკაცი იყოსო“, წერს თ. ჭილაძე და თავის მხრივ ასკვნის: „რუსთველის კარისკაცობის ამბავი ლეგენდააო“ (გვ. 124). თ. ჭილაძე ხაზს უსვამს, რომ რუსთველი იყო პროფესიონალი კარის პოეტი (გვ. 125, 128, 130). კეთილი და პატიოსანი. ვიკითხოთ, რა უშლიდა ხელს კარის დიდ პოეტს, ყოფილიყო დიდი კარისკაციც, ვთქვათ, მეჭურჭლეთუხუცესი, თუ კი ჩვენ დროში შეიძლება პროფესიონალი პოეტი იყოს პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრი, მინისტრთა საბჭოს მეთაური და ა. შ? რატომ იყო შეუძლებელი შუა საუკუნეების კარის პოეტს სჭეროდა საპატიო სახელმწიფო თანამდებობა? რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობის თაობაზე ჩვენ გარკვეული და ანგარიშგასაწევი ცნობები მოგვეპოვება. საბოლოო დასკვნის მიღებამდე მკვლევარ თ. ჭილაძეს მოეთხოვებოდა ამ ცნობების ავთენტურობის დარღვევა. ის კი დაკმაყოფილებულა მხოლოდ სკეპტიკური ხასიათის შიშველი, დეკლარაციული განცხადებით.

უმართებულოა ჭილაძისეული ინტერპრეტაცია რუსთველის ცნობილი სიტყვებისა — „მე, რუსთველი, ხ ე ლ ო ბ ი თ ა ვიქმ საქმესა“... მე, რუსთაველი, ვაკეთებ ამ საქმეს, რომელიც ჩემი ხელობააო“ (გვ. 125).

II

„მნათობის“ მე-11 ნომერში დასრულდა თ. ჭილაძის ნაშრომის ბეჭდვა (გვ. 106—151). პოეტი-მკვლევარი მისთვის ჩვეული წესით განაგრძობს დაქარაგმებულ (უკეთ, დაუსახელებელ) მკვლევრებთან კამათს და გვაცნობს ვეფხისტყაოსნის საიდუმლოს მისეული ამოხსნის შედეგებს. თ. ჭილაძე ეხება რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ბევრ საკითხს. ამათგან აქ განვიხილავთ ზოგიერთს ჩვენი თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანსა და უფრო არსებითს („მნათობის“ მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ ნაკვეთს პირობითად ვუწოდებთ პირველ წერილს, მე-11-ისას — მეორე წერილს).

დავიწყოთ ტექსტოლოგიური საკითხებით. თ. ჭილაძე წერს: „ჩვენი ტექსტოლოგი-მეცნიერების მიერ პოემის ტექსტის კვლევისა და დადგენის სფეროში მიღწეულმა აშკარა წარმატებებმა ერთგვარად არა სასურველი შედეგიც გამოიღო: ტექსტოლოგებს გაუჩნდათ პრეტენზია პოემის მხატვრული რაობაც თვითონვე დაედგინათ“ (გვ. 117). „თუკი მეცნიერული ტექსტის ლოგიკა არსებობს, და მის არსებობაში ეჭვი არც შეიძლება ვინმეს შეეპაროს, ასევე მის გვერდით, მის პარალელურად არსებობს პოეტური ტექსტის ლოგიკაც“, შენიშნავს თ. ჭილაძე (118).

„პოეტური ტექსტის ლოგიკა“ თურმე უფლებას იძლევა ერთი ხელის მოსმით, გაუანალიზებლად და დაუსაბუთებლად, საკუთარი შთაბეჭდილებით და გუნება-განწყობილებით ყალბად მიიჩნიო და გვიანდელი დროის ჩანართად მონათლო ვეფხისტყაოსნის აზრობრივად მტკიცედ შეკრული ხუთი სტროფი (14—18 სტროფები), რომლებიც გვიხასიათებს მელექსეთა სხვადასხვა კატეგორიას (გვ. 107—108). სხვათა შორის, ამით პოემის მიღმა რჩება ავტორის მიერ თავისთვისაც სახელმძღვანელოდ დასახული ჟანრის განმსაზღვრელი სალექსო სტრიქონი — „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. პოეტი-მკვლევარი ამბობს, რომ: „ყველაზე უფრო ყალბად პროლოგის ის სტროფები გ ე ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა, სადაც პოეტებია დახასიათებული და დაჯგუფებული. პროლოგის ეს სტროფები (14, 15, 16, 17, 18) ა შ კ ა რ ა დ მერია დაწერილი, უფრო სწორად — მერია ჩამატებული, თანაც, სხვადასხვა დროს, შეიძლება სხვადასხვა საუკუნეშიც“ (გვ. 107, ხაზი ჩვენია). ქვემოთ თ. ჭილაძე აკონკრეტებს, „მგონი“ ფრაზა „ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“ კ ასტელის დროინდელი უნდა იყოსო, „რატომღაც მახსენდება კასტელის ჩანახატი „ჩოგანთა“ (იქვე). როგორც ხედავთ, თ. ჭილაძის საბუთია „გეჩვენება“ და „მგონი“. ის ანგარიშს არ უწევს ხელნაწერების მონაცემებს, ანგარიშს არ უწევს პირველ ნაბეჭდ (ვახტანგისეულ) გამოცემასაც კი, რომელსაც საერთოდ დიდად აფასებს. სამწუხაროდ, ძველი თარიღიანი ხელნაწერები ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ გვაქვს XVI საუკუნეში გადმოქართულებული „იოსებ-ზილიხანიანის“ ვერსია, რომლის უცნობი ავტორი ბაძავს ვეფხისტყაოსნის პროლოგს, კერძოდ, მელექსეთა დახასიათების შემცველ სტროფებს, ზოგჯერ იძლევა ვეფხისტყაოსნის ტექსტის უბრალო პერიფრაზს. ერთი სიტყვით, თ. ჭილაძის მიერ XVII საუკუნისეულად (კასტელის დროინდელად) მისაჩნევი ტექსტები, ლიტერატურულად დაფიქსირებულია XVI საუკუნეში. ასეთია ფაქტების ლოგიკა. ერთ შემთხვევაში თ. ჭილაძეს ტექსტოლოგიურად გაუანალიზებია ვეფხისტყაოსნის ერთი ნაწყვეტი, თითქოს იქ აღმოუჩენია ჩანართი შაირი და ამის საფუძველზე წარმოუდგენია ძლიერ შორს გამწვდენი დასკვნა. თინათინმა ავთანდილს დაავალა უცხო მოყმის საძებნელად წასვლა. გამგზავრების წინ ავთანდილმა თავისი ამბავი გაანდო შერმადინს:

უბრძანა: „აჰა, შერმადინ, ამად მე შენგან მრცხვენიან,
ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგიელვნიან.
მაგრა არ იცი, აქამდის, რანიცა ცრემლნი მდენიან!
მე ვისგან მჭირდეს პატიენი, აწ მასვე მოულხენიან (151).

მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,
ცრემლი ცხელი ასოლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრელსა,
ვერ ვაჩენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა,
აწ მიბრძანა საომედო, ამად მხედაე მხიარულსა (152).

მიბრძანა: მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულ-ექმნა მაშინღა შენი წადილი გულისა,
ქმარი არ მინდა უშენო, მომხვდეს ხისაცა რგულისა!
მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა (153).

თ. ჭილაძე იმოწმებს ამ ნაწყვეტს და შენიშნავს, რომ 152-ე სტროფი წინა და მომდევნო სტროფებს ერთმანეთთან კი არ აკავშირებს (როგორც ტექსტოლოგები ფიქრობენო), არამედ ის ზედმეტია, ჩანართი, რომელიც სამართლიანად „ამოუღია“ თავისი გამოცემიდან რუსთველის „ხელწერის თავისებურების“ კარგ მცოდნე ვახტანგს. ვახტანგი, „ფხიზლად მისდევს მხატვრულ, პოეტურ ლოგიკას, ნაწარმოების შინაგან კანონზომიერებას“, ტექსტის „მაქსიმალურ ლაკონიურობას“ (გვ. 118—119). პოეტურ ტექსტს (მეცნიერულსაც) „ვერ დაადგენ, თუკი პოეტური სმენა არ გაგაჩნიაო“, ურთავს თ. ჭილაძე. პოეტური სმენის უქონელ მკვლევრებს კი ხელი მოუკიდიათ მათთვის შეუფერებელი საქმისათვის და რუსთველის ტექსტში ჩაურთავთ ყალბი შაირი. მაინც რამ დაუჩლუნგა პოეტური სმენა თუ ალღო პოემის ამდენ გამომცემლებს, მათ შორის პოეტ გამომცემელსაც (მაგალითად კ. ჭიჭინაძეს)?

ჯერ ერთი, უნდა ვიცოდეთ, რომ 152-ე სტროფი არის ვეფხისტყაოსნის ყველა ძველი რედაქციის ხელნაწერში (სარგ. ცაიშვილი).

მაგრამ მაინც ვიკითხოთ, საჭიროა თუ არა 152-ე სტროფი პოემის ტექსტისათვის? შინაარსობრივად და აზრობრივად ის გასაგებს ხდის, რა ცრემლებზე და ტანჯვაზე, რა ახალ სიხარულზეა საუბარი 151-ე სტროფში. 152-ე სტროფის გარეშე შეუფერებელი აზრობრივი განვითარება იქნება 153-ე სტროფში („მიბრძანა: მიცან ამბავი...“). მართლაც, ეს ხარვეზი (დიახ, ხარვეზი, ტექსტობრივი ხარვეზი!) ადრე შეამჩნიეს დავით რექტორმა და ვახტანგის მოთაყვანე თეიმურაზ ბატონიშვილმა. დანაკლისი მათ ახსნეს შემთხვევითი გარემოებით, ბეჭდური ხასიათის მიზეზით: ბროსემ, ჩუბინაშვილმა და სხვებმა დაუბრუნეს პოემას საცილობლად ქცეული ეს 152-ე სტროფი. თ. ჭილაძე ბეჯითად აცხადებს, 152-ე სტროფით გამხელილი ამბავი (თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის ამბავი) ისედაც კარგად იყო ცნობილი შერმადინისთვისაც, „მრავლისთვის და მრავლისთვის“. „განა ეს ამბავი არაბეთში ვინმესთვის საიდუმლოაო“, კითხულობს თ. ჭილაძე. საკვირველზე საკვირველი კითხვა-პასუხია. მით უფრო, რომ, თვითონ თ. ჭილაძის სიტყვითაც, რუსთველური სამიჯნურო კოდექსი გადაჭრით მოითხოვდა სიყვარულის გრძნობის გაუმჟღავნებლობას, დაფარვას, საიდუმლოდ შენახვას („არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჭირთა, მალვა... შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“; „ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს... არ სით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს“). ვინ დაარღვია რუსთველური სიყვარულის ეს აღიარებული წესი? ვინ მოსდო ეს ამბავი მთელ

ქვეყანას? ბოლოსა და ბოლოს ამ სიყვარულის საიდუმლოება იცოდნენ მხოლოდ და მხოლოდ თვითონ მიჯნურებმა, თინათინმა და ავთანდილმა. ისინი ხომ არ გაავრცელებდნენ, ისინი ხომ არ გათქვამდნენ თავიანთ საიდუმლოებას? ეს ყველაფერი იცის და კარგადაც იცის თ. ჭილაძემ, მაგრამ ვითომც მან პოემაში აღმოაჩინა ქ ვ ე ტ ე ქ ს ტ ი ს სახით გაჭირვების ისეთი ფანტასტიკური ტალკვესი, რომლითაც თურმე შეიძლება ყველაფრის დაშვება და ყველაფრის ახსნა. თ. ჭილაძე პირდაპირ წერს: „უამსტროფოდ (იგულისხმება 152-ე სტროფი, ა. ბ.) ეს პაწაწინა ფრაგმენტი უცებ ღრმა ქვეტექსტით იტვირთება, კიდევ ახალ განზომილებას იძენს“ (გვ. 119).

არა. რა ქვეტექსტური დატვირთვაც არ უნდა დავაკისროთ საანალიზო ნაწყვეტს, არასგზით არ შეიძლება იმის დაშვება, თითქოს საქვეყნოდ იყო გახმაურებული თინათინ-ავთანდილის სიყვარულის საიდუმლო ამბავი. ეს ეწინააღმდეგება პოემის შინაარსს, პოემის სულისკვეთებას.

საერთოდ ქვეტექსტების ამოკითხვის მომიზეზებით თ. ჭილაძე ამაოდ ცდილობს ახლებურად გააშუქოს და ახლებურად გადაწყვიტოს რუსთველის პოემის ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ასეთია, უწინარეს ყოვლისა, როსტევან მეფის ხასიათის გარშემო ატეხილი დავა თ. ჭილაძის მეორე წერილში.

თ. ჭილაძის სიტყვით, „ზოგიერთი მკვლევარი“ ერთმანეთს უპირისპირებს ფარსადან და როსტევან მეფეებს. ფარსადანს გარკვეულ უარყოფით თვისებებს მიაწერენ, ხოლო იმის საპირისპიროდ იდეალურად (იდეალურ მეფედ) სახავენ როსტევანსო. „როსტევანი ფარსადანზე სასტიკი და დაუნდობელი ყოფილაო“, წერს თ. ჭილაძე (გვ. 134) და განაგრძნობს: „მკვლევრებმა შენიშნეს, რომ პოეტი ძალიან დაუნდობელია ფარსადანის მიმართ, მაგრამ პოეტს არა მარტო ფარსადანი, როსტევანიც არ ახატია გულზე. როსტევანის მიმართაც დაუნდობელია, როსტევანის, რომელიც საერთო სიმპათიით სარგებლობს ჩვენი მკვლევრების შრომებში. რუსთაველი ფარსადანს როსტევანს კი არ უპირისპირებს, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ ფარსადანსა და როსტევანს აერთიანებს საერთო — დ ე ს პ ო ტ ი ზ მ ი ს — ნიშნით და მათ, ანუ ფარსადანსა და როსტევანს უპირისპირებს ახალ მეფეებს, საკუთარი ღირსებებით რომ მოიპოვებენ ტახტს — ავთანდილსა და ტარიელს!“ (გვ. 135, ხაზი აქაც და ქვევითაც ავტორისაა). როსტევანი ბოროტად იყენებსო თავის ძალაუფლებას (გვ. 144). თ. ჭილაძის მოსაზრებით, „რუსთველმა საზოგადოებაში აღმოაჩინა დესპოტიზმი, როგორც პოლიტიკურ-სოციალური, ასევე მორალურ-ეთიკური ფენომენი, გამოაცხადა ის ბ ო რ ო ტ ე ბ ა დ და დაუპირისპირა მას მისი დამთრგუნველი თავისუფალი ადამიანის პიროვნება — სიკეთე! ამით გაუსწრო მან აღმოსავლეთის დიდ პოეტებსაც“ (გვ. 147).

თუ მივყვებით თ. ჭილაძის მსჯელობას, გამოვა, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნას კი არ გულისხმობს, არამედ ფარსადანზე და როსტევანზე გამარჯვებას ნიშნავს, ამ ორი მეფის დათრგუნვა ყოფილა ვეფხისტყაოსნის აპოთეოზი („ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“). ქაჯები უწყინარნი არიან, მათ ნესტანისათვის არაფერი დაუშავებიათ, „წაიყვანეს მინდორში მარტო მიმავალი ქალი, პატივისცემით მიაბრძანეს ციხეში და უფლისწულზე დაუპირეს გათხოვება“, წერს თ. ჭილაძე (1, 161) და განაგრძობს: „ნესტანი ქაჯეთის ციხეში მთლად უცხოდ არ უნდა გრძნობდეს თავს, მთლად უცხო სამყაროში არ მოხვედრილა. მამიდა ალბათ ბევრს მოუთხრობდა ამ საოცარ ქვეყანაზე“... „აი, ჩვენ ეხედავთ, როგორ დადის ნესტანი ქაჯეთის ციხის ეზოსა თუ ტალანებში, როგორ აკვირდება ყველაფერს, თითქოს რაღაცას იხსენებს“ (II, 131). დიახ, იხსენებს ბავშვობისას მამიდა დაეარის ნაამბობს. დადის, დასეირნობს ნესტანი ქაჯეთის ციხის ეზოში, „სეედანი ფიქრებით“ კი არის შეპყრობილი, მაგრამ ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს გარემოს, გულს აყოლებს.

რა იდილიური სურათია დახატული!

თ. ჭილაძე საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს: „იქნებ იმის აღნიშვნაც იყოს საჭირო, რომ ქაჯეთის ციხე საპყრობილეს არ ნიშნავს“ (I, 161). კი, ქაჯეთის ციხე თანამედროვე საპყრობილეს („ციხეს“) არ ნიშნავს, მაგრამ ნესტანი პატიმარია, ტყვეა, ქაჯეთის ციხე-სიმაგრეშია გამომწყვდეული. ავთანდილი საგანგებოდ აუწყებდა ფრიდონს: „იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს ქაჯეთს პატიმარია“ (1320, I). შემდეგაც იმეორებს: „გზა-გზა ყოვნად აღარა მცალს, პატიმრად-ა იგი მთვარე“ (1322, 2). იქნებ ავთანდილი ტყუის? კითხვა ნუ გაგიკვირდებათ, თ. ჭილაძის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის სანაქებო პერსონაჟებს არ ეთაკილებათ ტყუილის თქმა. მაგალითად, ტარიელი თურმე „ატყუებს რამაზს“ (II, 123), უერთგულესი შერმადინი კი „ატყუებს“ თავის მეფეს (იქვე, 122). ამავე დროს რუსთველი სიცრუეს თვლის უსაძაგლეს მანკიერ თვისებად („სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“; „რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა“). ნესტანი ქაჯების ტყვეა, პატიმარი. ავთანდილი არ ტყუის.

ნესტანიც წერს ფატმანს: „აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები, ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯერ ათასი გმირები“ (1286). ნესტანის სიტყვით, წუთისოფელი არ დასჯერდა მის „პატიჟთა მრავალგვართა“ და კვლავ მისცა „შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად მეომართა“ (1299). ცხადია, რომ ნამდვილი ქაჯები სრულიად არ ჰგვანან იმ უწყინარ, თვინიერ არსებათ, თ. ჭილაძე რომ გვიხატავს. რუსთველის დახასიათებით, ქაჯნი არიან „კაცნი გრძნებისა მცოდნელნი... ყოველთა კაცთა მავნებნი“. „იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალთა დაუბრმობენ,

ქართა აღსძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ; ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ; სწადდეს, დღესა ბნელად იქმან, სწადდეს — ბნელსა ანათლობენ“ (1247, 1248). ასეთ საშინელ არსებებთან ბრძოლა სრულიად შეუძლებელია. მიუხედავად საარაკო მამაცობისა, ვეფხისტყაოსნის სახელოვან გმირებს ძლიერ გაუჭირდებოდათ, ყოველ შემთხვევაში, მეტად გაუძნელდებოდათ ნესტანის ქაჯთაგან გამოხსნა. მაგრამ რუსთველმა საქმე ისე წარმოადგინა, რომ მაშინ ქაჯები სხვაგან, შორს იყვნენ წასული. ქაჯების მეფეს დულარდუხტს თან ახლდა „ყოველი მცოდნელი გრძნებისა“ (1241). ამიტომ საჭირო იყო სიჩქარე. ნესტანი ატყობინებდა ფატმანს: „ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე“. თავის მხრივ ავთანდილმა შეუთვალა ფრიდონს: „ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა... თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძნელდების“ (1313). ქაჯეთის მიუვალ ციხე-სიმაგრეს ათი ათასი რჩეული მეომარი იცავდა. ჩვენმა გმირებმა დრო იხელთეს, დაასწრეს ქაჯების დაბრუნებას და „უსაზომო რისხვა ღმრთისა“ დაატეხეს ქაჯეთს, შემუსრეს ციხის სიმაგრენი, ამოხოცეს მეციხოვნენი, იხსნეს ნესტანი ქაჯთა ტყვეობიდან, მზე და მთვარე (ტარიელი და ნესტანი) შეიყარნენ, შეერთდნენ, დაითრგუნა ბოროტება, ფრთა შეესხა სიკეთეს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

ესაა ვეფხისტყაოსნის აპოთეოზი, სიყვარულის აპოთეოზი!

ქაჯთა საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს დავარის პიროვნება. თ. ჭილაძის მორიგი აღმოჩენაა, თითქოს დავარი თანაუგრძნობდა ნესტანს (და ტარიელს), მათ მხარეზე იყო ფარსადან მეფესთან კონფლიქტის დროს. მოვუსმინოთ პოეტ-მკვლევარს:

> დავარი ნესტანს არ ამტყუნებს, ესმის მისი! ეს კი საოცარი რამ გახლავთ იმ დროისათვის. მაგრამ ამასთანავე, სიყვარულზე ყველაზე ღიდი პოემის ავტორს არ შეიძლებოდა სხვანაირად დაეწერა.
>
> დავარი ძმის ბრძანებას ასრულებს მხოლოდ. მისი სიბრაზე საკუთარ თავზე, საკუთარ უმწეობაზე გამწარებული ადამიანის სიბრაზეა, ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია წინ აღუდგეს დესპოტიზმს! ამიტომაცაა ასეთი დაუნდობელი, ასეთი უხეში მისი სიტყვები, ამიტომაც იკლავს თავს— „მ ქ მ ნ ე ლ ი ა მ ი ს“! აბა, რატომ უნდა მოეკლა თავი, თუკი ისევე ფიქრობდა, როგორც ძმა?! არა, ის ისე ფიქრობდა, როგორც ნესტანი. ის „მართალი სამართლის“ ანუ სიყვარულის მხარეზე დადგა. ოღონდ, გაბრძოლებით მხოლოდ ის შესძლო, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა: საკუთარ თავს მოუსწრაფა სიცოცხლე!“ (II, გვ. 131, ხაზი ავტორისაა, ა. ბ.).

ვრცლად დამოწმებული ტექსტი თ. ჭილაძის მხოლოდ სუბიექტურ შთაბეჭდილებას თუ განწყობილებას გამოხატავს. მკვლევარი საგანგებოდ ხაზგასმით იმოწმებს პოემის სიტყვებს და ამბობს „მ ქ მ ნ ე ლ ი ა მ ი ს“ ამიტომ იკლავს თავსო. საკითხი ისმის, რისი მ ქ მ ნ ე ლ ი? თ. ჭილაძე ისეთ აზრს ავითარებს, თითქოს დავარი იყო ნესტანის მხარეზე, თითქოს

იგი ამართლებდა ნესტანის რჩევით ხვარაზმშაჰის ძის მკვლელობას („ქმნა მართლისა სამართლისა“) და ამისი „მქმნელი“ ვერ გადაურჩება თავისი ძმის, ფარსადანის რისხვას და თვითმკვლელობას ამჯობინებს. ნამდვილად ასე არ არის საქმე. 582-ე სტროფში იკითხება — „დავარ თქვა: მ ქ მ ნ ე ლ ი ა მ ი ს ი ვ ი ნ ა რ დ ა მ ქ ო ლ ო ს, ვინ არ, და!“ ხოლო წინა სტროფებში (579—581) ნათქვამია, რომ გააფთრებულმა დავარმა უღვთოდ გვემა ნესტანი („ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა, დაალება, დაალურჯა...“, 579). როცა დავარი „გაძღა“ ნესტანის ცემით („რა დავარ გაძღა ცემითა“), ქაჯების იერის მქონე მონებს უბრძანა ნესტანის კიდობანში ჩაკეტვა და ზღვის შორეულ სივრცეში გადაკარგვა (580—581). მონებმა რომ კიდობანი წაიღეს და გაუჩინარდნენ, აი, მაშინ „დავარ თქვა: მ ქ მ ნ ე ლ ი ა მ ი ს ი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და!“ (582, 2). სრულიად აშკარაა და მზესავით ნათელია, რომ 582-ე სტროფი ლოგიკურად ასრულებს წინა, 579—581 სტროფებში მოთხრობილ ამბავს: ნესტანის მტანჯველს, ნესტანის გადამკარგავს („წადით, დაკარგეთ მუნ. სადა ზღვისა ჭიპია“, 581, 1), ნესტანის დამღუპველს, ამის ჩამდენს, ამის „მქმნელს“, ვინ არ დამქოლავსო. დავარმა დაასწრო და თავი მოიკლა. ასეთია საქმის ჭეშმარიტი ვითარება.

